

780  
1998

# საზოგადოებრივი



5—6

---

1998



# საუნაირი

1998/5-6

ნომერი  
დანიშნული



## უნიარსი


### პროზა, პოეზია

მოდერლი დე ლალო. სახიფათო კავშირები. დასასრული. თარგმნა რუსუდან ქეზულაძემ	3
არტურ მილერი. სანტ ანჯელოს მთა. მოთხრობა. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ნელი საყვარელიძემ	72
გენადი აივი. ლექსები. თარგმნა რენე კალანდიამ	85
ივან ბუნინი. მოთხრობები. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	99
ვიწნუ კრაბხაპარი. ჰამანდი. თარგმნა მარგარიტა რობაქიძემ	172
ოსური პოეზია. თარგმნა <b>ელდარ კერქუვაძემ</b>	180
პამალა ჯანსოგი ჯონსონი. განსაკუთრებული ნიჭი. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა	187

### ესე, კუბლიცისტიკა, ლიტერატურის თეორია

გვანტა ღვინჯილია. ბახის კასიონების ისტორიული წანამკვრები	237
ირმა რაბიანი. მთხრობა	241
ალექსანდრ ბენისი. ბრძოლი ნიუ-იორკში. თარგმნა ნათელა გავაშელმა	245
გიორგი გურჯიანი. ადამიანის ცხოვრების ობიექტური, მიუკერძოებელი კრიტიკა. გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა	254
ნიკოლაი გარდინაივი. კენის იტალია. ტრაგედიის ფილოსოფიისათვის. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	280
კეტი კამბურბერი. მხატვრული სიტყვის ლოზიკა. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ღვინჯილიამ	303





**საქართველოს მწერართა კავშირი**  
**მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი**

1998, № 5-6

**მთავარი რედაქტორი**  
**შოთა ნიშნიანიძე**

**ნანა დარჩია-ბოლქვაძე**  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

**ხარედაქციო კოლეგია:**  
**ჯემალ აჯიაშვილი**  
**მზინა ბატრაძე**  
**ბაჩანა ბრეგვაძე**  
**გურამ გოგიაშვილი**  
**ნოდარ გურაშიძე**  
**მაგალი თოდუა**  
**ნოდარ კაკაბაძე**  
**რენე კალანდია**  
**დალი ფანჯიკიძე**  
**გივი ძნელაძე**  
**დავით წერეთლიანი.**

**ტექნიკური რედაქტორი**  
**ნანა ბართაია**

---

**ჩვენს მისამართს:** თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. **ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

---

გად. წარმ. 8.10. 98 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 17.12. 98 წ., ქაღალდის ზომა 70X1081/16  
სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმითა რაოდენობა 20 ფ. ტირ. 300. შეკვ. № 1454.

**ფასი 1 ლარი**

---

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.  
თბილისი, მ. კოსტავას 14.





თარგმნა რუსუდან ქეზუდაძემ

125-ე წერილი

ვიკონტ დე ვალჟონი მარკიზის მეუღლე ე-ნ დე მერტიის

21.373

ასე რომ, იგი უკვე დაძლეულია. დიახ, დიახ, დაძლეულია ეს ამაყი ქალი, ვისაც ეგონა, ვერ მოუდრეკდი! დიახ, იგი ჩემია, მეგობარო, მთლიანად ჩემი, მან გაიღო ყველაფერი, რისი გაღებაც ჩემთვის შეეძლო.


ჯერაც ისე ვარ სავსე ბედნიერებით, არ შემიძლია ამ ამბის ჯეროვნად შეფასება. მაგრამ თავად მათლებს ის აქამდე განუცდელი ხიბლი, მე რომ შევიგრძენ. ნუთუ სათნოება და პატიოსნება ასე ამშვენებს ქალს სისუსტის ფაშსაც? არა, ეს ფიქრი დე ბეზიათა ზღაპრებს გადაელოცოს. განა პირველი გამარჯვებებისას არ გვხვდება ხოლმე მეტ-ნაკლები ოსტატობით გათამაშებული წინააღმდეგობა? ან აქნებ ადრეც მაქვს განცდილი ეს ხიბლი? ოღონდ ეს სიყვარულის ხიბლი არ იყო. ვინაიდან ამ საოცარი ქალის გვერდით თუ ხანდახან მძლევედა ამ სულმოკლე ვნების მსგავსი რამ გრძნობა, მუდამ შემქმნლო მისი მოთოკვა და ჩემი წესების კვლავ მიღუენება. ხოლო გუშინ მომხდარმა ამბავმა თუ მოულოდნელად უფრო შორს შემატოპინა, თუ წამიერად მეც დამათრო და თრთოლვა მომგვარა, ეს ხანმოკლე ხიბლი აქამდე უნდა გამქრალიყო. არადა, ჯერ არ გამქრალა. გამოგითყდებით და, ნეტარებითაც მივწებდებოდი, ცოტა რომ არ მაშინებდეს. ნუთუ ჩემს ასაკშიაც შეიძლება მოწაფესავით გაგიტაცოს უნებლიე და უცნობმა გრძნობამ? არა, მას უნდა მოვერიო, ის კარგად უნდა შევისწავლო.

თუმცა, ვგონებ, უკვე მივხვდი, იგი რამ წარმოშვა. ყოველ შემთხვევაში ამ ამბავმა დიდად მაამა და გულით მინდა მართალი იყოს.

იმ პრავად და პრავად ქალთა შორის, ვისთა საყვარლის როლი მითამაშნია და მოვალეობა მომიხდია, ერთიც არ შემხვედრია, დანებება ისევე არ სწყურებოდეს, როგორც მე — დაუფლება. ისე რომ, უკარებებს ვეძახდი ქალებს, შუა გზაზე რომ შეჩერდებოდნენ, მაშინ როცა სხვების გამომწვევი თავდაცვა ძალზე უნიჭოდ ჩქმალავდა იმ ამბავს, პირველი ნაბიჯები თვით რომ გადმოდგეს.

აქ კი პირიქით მოხდა, აქ თავიდანვე შევეჯახე ჩემდამი არცთუ სასურველ

1. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 2, 3, 1998 წ.





ათვალწუნებას, იმ ქალის რჩევებით და ქცევით განმტკიცებულს, ფრიად გამჭრი-  
აზი რომ ბრძანდება და მტრული თვალთ მიტქერის, კიდევ საოცრად დიდ ბუ-  
ნებრივ მოკრძალებას, სრულიად შეგნებულ კდემამოსილებას, რელიგიური გრძნო-  
ბით შთაგონებულს და უკვე ორი წლის მანძილზე შეურყეველს. ეს ყოველივე კი  
ერთი მიზნისკენ უბიძგებდა — ჩემს ღევნას გარიდებოდა.

ისე რომ, ეს მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი კაპიტულაცია უნდა იყოს, რო-  
ვორც ადრინდელ თავგადასავლებისას ყოფილა, რომლითაც მანძილზე, მაგრამ  
რეტო დიდად იამაყებ. ეს სრული გამარჯვებაა, მძიმე საომარი მოქმედებებითა  
და ოსტატური ხერხებით მოპოვებული. ამ გამარჯვებას მხოლოდ და მხოლოდ  
ჩემს თავს უნდა ვპატივდებ. ამიტომ არცაა გასაკვირი, ასე ძვირფასი რომაა ჩემ-  
თვის და ახლაც მანიჭებს იმ ნეტარებას, გამარჯვების წამში რომ მჩუქნა, ეს უტ-  
კბესი შეგრძნება გახლავთ. მე მომწონს ასე ვიფიქრო, ეს მშველის დამცირებუ-  
ლად არ ვიგრძნო თავი. იგი მარწმუნებს, რომ სულაც არა ვარ დამოკიდებული  
ჩემ მიერ დამორჩილებულ მონაზე, რომ ბუნდნიერება მე ერთს არ მაკსებს, რომ  
მისით განცდილი ნეტარება სხვებისგან განსხვავებით ვიღაც ერთი გარკვეული  
ქალის წყალობა არ არის.

ასე საღად შევხედავ, ამით ვიწინამძღვრებ ამ მნიშვნელოვან შემთხვევაში.  
შერწმუნეთ, ისე ვერავინ დამიმონებს, თუკი უინი მომივლის, სიცილ-სიცილით  
არ გავეწყვიტო ეს ახალი კავშირი. თუმცა კავშირის გაწყვეტაზე ვლაპარაკობ, ის  
კი არ იცით, რა ვხით მოვიპოვე ამის უფლება. წაიკითხეთ და დარწმუნდით, რა  
ელის კდემამოსილებას, რის შეეცდება მხსნელ ანგელოზად მოველიანოს გამშაგე-  
ბულ ვნებას. ესდენ გაფაციცებით ვაკვირდებოდი საკუთარ სიტყვებს თუ მათზე  
პასუხებს, რომ მგონი, შევძლებ ზუსტად გადმოგცეთ ერთნიც და მეორენიც და  
გმაყოფილი დამირჩეთ.

იმ ორი წერილის ასლებით თავად დარწმუნდებით, ჩემს ტურფასთან შე-  
სახვედრად შუამავლად ვინ გამოვინახე და რა თავგამოღებით შეეცადა ეს წმინდა  
მამა ჩვენს შეერთებას. დავსძენ იმასაც, რომ ხელში ჩაგდებულ ერთი წერილი-  
დან შევიტყვევ, დამცირების და მიტოვების შიშმა ვით მოუღუნა სიფრთხილე  
ღვთისმოსავ უკარებას, გული და თავი საღ აზრს მოკლებულმა, მაგრამ მაინც  
საგულისხმი გრძნობებმა და ფიქრებმა აღუვსო. ეს ყოველივე უცილობელი და  
წინასწარი ცნობებია. ახლა კი შეიტყობთ, გუშინ, ხუთშაბათს, 28 რიცხვში —  
ამ უმაღურისვე დანიშნულ დღეს — კრძალვითა და სინანულით აღსავსე მონა ვით  
ვახლა მას, რათა მისგან გამარჯვებულის გვირგვინით შემკული დაბრუნებულიყო.

საღამოს ექვს საათზე ვეწვიე ტურფა განდევილს. პარიზში დაბრუნების შემ-  
დეგ მას ხომ არავინ მიუღია, ჩემი მოხელა რომ მოახსენეს, წამოდგომა დააპირა,  
მაგრამ მუხლები ისე აუკანკალდა, კვლავ სავარძელში ჩაეშვა. მსახურმა, მე რომ  
შემიფვანა, რაღაც-რაღაცების მიღაგება დაიწყო. როგორც ჩანს, ამანაც გააღი-  
ზიანა. ამიტომ ჩვეულებრივი თავაზიანი საუბარი გვექონდა. დრო რომ არ დამე-  
კარგა, რაიც ძვირად მიღირდა, დაკვირვებით მოვათვალიერე იქაურობა. მყის  
ვინიშნე ის ადგილები, გამარჯვების მისაღწევად რომ მჭირდებოდა. არჩევის  
საშუალება რომ მქონოდა, უფრო მოხერხებულ ადგილს შევარჩევდი, მაგალი-  
თად, ოტომანს, მაგრამ მის წინ ქმრის სურათი ეკიდა, ეს კი ცოტა არ იყოს სა-  
შიში მეჩვენა. საკმარისი იყო ამ უცნაურ ქალს იქით გაეხედა, მთელი გარჯა და



მცდელობა წყალში ჩაძვროდა. როგორც იყო, მარტო დაურჩო და მეც საქმეს შეუღდექ.

რამდენიმე სიტყვით გავახსენე, მამა ანსელმმა ალბათ გაუწყაი-მეთქი/წემი მოსკლის მიზანი. მერმე ჩივილს მოვეყვი, რომ მეტისმეტად სასტიკად მეძვევო/რომ არაფრად მაგდებს. როგორც ველოდი, თავდაცვა მოინდომა. ალბათ მოძიხვ-ლებით, რომ საბუთად ჩემდამი შიში და უნდობლობა დავუსახელე, მანის წამარ-ცხვინო გაქცევაც, რომ ჩემს წერილებს არათუ უპასუხოდ ტოვებდა, მათ მიღება-ზეც უარს აცხადებდა და ა. შ. და ა. შ. თავის გასამართლებლად თავადაც მოძვევა საბუთების ჩამოთვლას, რომელთა მოძებნა სულაც არ გახლდათ მნელი. მაგრამ შევაწყვეტინე და უხეშობის შესარბილებლად უმაღ მიველაციცე: „თუ თქვენმა სიტუროფემ ესდენ მომაჯადოვა, სული ჩემი თქვენმა სათნობამ დაიმონა და დაი-პორჩილა. მაგრამ მაცოუნა თქვენთან მოახლოების სურვილმა და თავი ამის ღირ-სად ჩაკთვალე. არ გსაყვედურობთ, რომ სხვანაირად განსაჯეთ ეს ამბავი, ოღონ-დაც მინდა შეცდომისათვის თვით დავისაჯო თავი“. იგი შეცბუნებული დუმდა და ბეც განვაგრძე: „მინდა ან თავი გაემართლო თქვენ წინაშე ან იმ შეცდომები-სათვის პატიება გახოვოთ, მე რომ მაწერდით, რათა სულიერად დამშვიდებულმა აღვასრული დღენი ჩემი. თქვენ მათი დამშვენება არ ინებეთ და მათ ჩემთვის ფასი აღარ აქვთ“.

იგი შეეცადა ეპასუხა: „მოვალეობა არ მაძლევა ამის უფლებას“. მაგრამ წინადადება არ დაასრულა, ეძნელა იმ სიცრუის თქმა, რასაც ეს მოვალეობა კარ-ნახობდა. „მაშ მართლა გამეჭეცით?“ — განვაგრძე ნაზად. „უთუოდ უნდა წავ-სულიყავი“. „მაშ თავიდან მართლა მიშორებთ?! „ასე არის საჭირო“. „სამუდა-ძლდაც?“ „ასე უნდა მოვიქცე“. თქმა რად უნდა, ამ მოკლე დიალოგისას შევეა-რებულ უკარებას ხმა ჩაწყვეტით უუღერდა, თვალნი ზევით არ აუღია. სცენა მე-ტისმეტად გაჭიანურდა და მის გამოსაცოცხლებლად აღშფოთებული წამოვდექი: „თქვენი სიმტკიცე მეც მტკიცეს მხდის. ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. მაგრამ განშორება იმაზე დიდხანს გასტანს, ვინემ გგონიათ. შეგეძლება თქვენი ჩამოქმედარით იმდენ ხანს დატკბეთ, რამდენ ხანსაც ინებებთ“. ამ საყვედური-თ სავსე სიტყვებმა ცოტა არ იყოს გააკვირვა და შემესიტყვა: „თქვენი გადაწყვეტი-ლება...“ მაგრამ მე ფიცხად შევაწყვეტინე: „ეს მხოლოდ სასოწარკვეთამ მიკარ-ნახა. თქვენ ინებეთ უბედური ვყოფილიყავი. და იმაზე მეტიც შესძელით, ვინემ ფიქრობდით“. „მე მხოლოდ თქვენი ბედნიერება მინდა“. მიპასუხა და აკანკალე-ბულ ხმაზე დაეტყო, როგორ აღელდა. მაშინ კი მის წინაშე მუხლო მოვიყარე და თქვენთვის კარგად ნაცნობი ხმით შევძახე: „პოი, სასტიკო და დაუნდობელო, რა მომანიჭებს ბედნიერებას, თუ თქვენ მას არ გაიზიარებთ? თუ თქვენგან შორს ვიქნები? არა და არა, არასოდეს!“ გამოგიტყდებით და, ასე შორს შეტოპვისას იმედი მქონდა ცრემლები წამეშველებოდა. არ ვიცი, საკმარისად ვერ ავიღელვე თავი თუ მეტისმეტი დამაბულობით ვაკვირდებოდი ჩემს ყოველ მოძრაობას, ეს კია, აქვითინება ვერ შევძელი.

ჩემდა ბედად გამახსენდა, ქალის მოსადრეკად რომ ყველა გზა და ხერხი კარგია. საკმარისია შენი აღელვებით გააოცო, რომ შენთვის სასიკეთო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინო. რაკი გრძნობიერებამ მიღალატა, მხოლოდ ხმის უღე-რა შევიცვალე, პოზა კი არა: „აჰ, თქვენს ფერხთ ქვეშ ვფიცავ, ან ჩემი გახდეთ, ან სიცოცხლეს გამოვესაღმო!“ ამ უკანასკნელ სიტყვებზე ჩვენი მზერა ერთმა-ხეთს შეხვდა. არ ვიცი, რა წაიკითხა ჩემს თვალებში ან რა წარმოიდგინა, ოღ-ონდაც შემინებული წამოიჭრა და უკვე შემოხვეულ მკლავებიდან გამოსხლტა.



მისი შეჩერება აღარ მიცდია. არაერთხელ შემიმჩნევია, რა სასაცილო ხლები კაცი, მეტისმეტი სიფიცხით გათამაშებულ სასოწარკვეთილების სცენებს როცა გააჭიანურებ და ტრაგიკულად არ დაასრულებ, რისკენაც სულაც არ ვისწრაფოდი. ამიტომაც ვიდრე მკლავებიდან გამისხლტებოდა, ავისმომასწავებლად, ოღონდ მის გასავონად წავიჩურჩულე: „მაშ უნდა მოვკვდე!“

მერე წამოვდექი და დაღუპებულმა გიჟივით დავიწყე სიძინე. თუმცა ჩემს თვალებს არც სიმახვილე და არც დაკვირვების უნარი ბრძანდებოდა. მისი დაბნეული მოძრაობანი, მძიმე სუნთქვა, დაკრუნხული სხეული, ზეალმართული აცახცახებული ხელები ჩემთვის ცხადყოფდა, სასურველ მიზანს რომ მივაღწიე. მაგრამ სასიყვარულო ამბების დროს ერთმანეთთან ახლოს ყოფნაა საჭირო, ჩვენ კი საკმაოდ შორს ვიყავით. ამიტომ სასწრაფოდ მივიღე ვითომდა მშვიდი იერი, სიფიცხე დავიოკე, თუმცა არც ისე, მისით გამოწვეული შთაბეჭდილება განელეზბოდა.

„ო, რა უბედური კაცი ვარ! — დავიწყე ასე, — მინდოდა თქვენი ბედნიერება და — ვერ შევძელი. მინდოდა თქვენი სულიერი სიმშვიდისათვის თავი შემეწირა და — კვლავ აგიფორიაქეთ სული!“ შემდეგ ყასიდი სიმშვიდით დავსძინე: „მაპატიეთ, არ ვარ ჩვეული გრძნობების ასე მგზნებარე გამოხატვას, ამიტომ ვერ ვიოკებ მათ. თუ არ შეგებოდა მათი ესდენ ბობოქარი გამჟღავნება, ეს მეტად აღარ გამეორდება! ოღონდ დამშვიდდით, გაფიცებთ ყველაფერს, დამშვიდდით!..“ ამ საკმაოდ გრძელი სიტყვისას შეუმჩნევლად მივუახლოვდი. „თუ ჩემი დამშვიდება გნებავთ, — მიპასუხა აღელვებულმა, — თავადაც უნდა დამშვიდდეთ“. „ბატონი ბრძანდებით, აღთქმას გაძლევთ, — ვთქვი და ჩუმად დავამატე: — თუმცა თავზე ძალის დატანება არც ისე დიდხანს მომიწევს, — მერე თითქოს უნაზე ვიკბინე, ისე განვაგრძე:—მე ხომ წერილების დასაბრუნებლად მოვედი, განა ასე არაა? ღვთის გულისათვის, გამოძართვით, ნუ დამიტოვებთ. ამ უკანასკნელ მსხვერპლსაც გავიღებ, ვაჟკაცობა რომ არ დამაკარგვინოს, — ვთქვი და ჯიბიდან ძვირფასი პაკეტი ამოვიღე. — ჰა, წაიღეთ თქვენ მეგობრობის ეს ყალბი მტკიცებანი, სიცოცხლესთან რომ მაკავშირებდა, წაიღეთ უკან ნიშნად თქვენგან ჩემი სამუდამო განშორებისა...“

მფრთხალი ტურფა საბოლოოდ შიშმა შეიპყრო და ნახად მითხრა: „რას ბრძანებთ, ბატონო ვალმონ, ამით რისი თქმა გნებავთ? განა ეს თქვენი ნება არ იყო? განა სრულიად მოფიქრებულად არ გადაწყვიტეთ? განა თქვენვე არ განსაჯეთ და მოიწონეთ ის გამოსავალი, რაც მე მოვალეობამ მიკარნახა?“ „დიახ, სწორედ მან განსაზღვრა ჩემი გადაწყვეტილება“, — მივუგე ასე. „მაინც რა?“ „ერთადერთი, რაც დავვაშორებს და ჩემს ტანჯვასაც ბოლოს მოუღებს“. „არ იტყვი, რა გადაწყვიტეთ?“ მაშინ გულში ჩავიკარ და არც გამძალიანებია, ძალუშმა აღელვებამ იმზომ გადაავიწყა ყოველგვარი წესი. „ჩემო ღვთაებავ, — გავბედე აღტაცების გამოთქმა, — ვერც წამოიდგენთ, რარივ მიყვარხართ, ვერც ვერასოდეს გაივებთ, როგორ გაღმერთებთ, სიცოცხლეზე რაოდენ ძვირად მიღირს ეს სიყვარული! დე მშვიდი და ნეტარი იყოს დღენი თქვენი! დე შეამკოს იგი ბედნიერებამ, მე რომ წამართვით! სახლაურად კი ამ წრფელი სურვილისა გაიღეთ სინანულის ნიშნად თუნდ ერთი ცრემლი და ეს უკანასკნელი მსხვერპლი, მერწმუნეთ, გულზე ღოდად არ დამაწვება. მშვიდობით...“ — ვთქვი და ვიგრძენი, რა გაშმაგებით უბგერდა გული, დავინახე, როგორ მისდიოდა ფერიფური, რაც მთავარია, როგორ ახრჩობდა ცრემლები და თვალთაგან მძიმედ სცვიოდა. მაშინ კი ვითომდა მართლა გადავწყვიტე წასვლა. „არა, არა, მისძინეთ, რას გეტყვით!“



— შესძახა მხურვალედ და ძალით შემაჩერა. „გამიშვით“, — უუთხარი. „თქვენ უნდა მომიხმინოთ, მე ასე მინდა!“ — „არა, უნდა გავიქცე, თქვენგან გავიქცე!“ — „არა, არა!“ — შესძახა ისევ და ჩემკენ გამოესწრაფა, უფრო სწორად, გონმიხდილი ჩამესვენა მკლავებში. ჯერ კიდევ შეეჭვებულმა გამარჯვებაში საოცარი შემინება გამოუხატე. მაგრამ ამ ყასიდი შეშინების მიუხედავად ნელ-ნელა, უკეთ ხელით მიმყავდა ჩემი გამარჯვებისთვის ადრევე შერჩეულ ადგილისაკენ, გონს მაშინდა მოეგო, როცა უკვე ძთლიანად იყო დამორჩილებული, ძთლიანად დახვეწებული თავის ბედნიერ მძლეველს.

აქამდე, ჩემო მეგობარო, ვგონებ, იმ უზადო ხერხის მქონედ მივლიდით, სიამოვნებას რომ განიჭებდათ, ახლა კი დარწმუნდებით, იოტის ოდენადაც არ გადამიხვევია ამ ომის ჭეშმარიტ წესებისაგან, რაც ასე ჰგავს ნამდვილ ომს და რაც ჩვენც არაერთხელ აღვივინიშნავს. მაშ ჩამთვალეთ გნებავთ ტიურენად და გნებავთ ფრიდრიჰად. მე ვაიძულე მტერი ბრძოლაში ჩამბმოდა, ვინც მხოლოდ და მხოლოდ დროის მოგებისკენ მიისწრაფოდა. მე მივალწიე ოსტატური სვლებით ბრძოლის ველი თვით ამერჩია და მოხერხებული პოზიცია დამეჭირა, მე მოუუდუნე მტერს სიფხიზლე მის საფარში შესალწევად, შიშის გრძნობა ჩაუუნერგე ჯერ ბრძოლის დაწყებამდე. შემთხვევის იმედად წუთითაც არ ვყოფილვარ, თუკი რისკი დიდ უპირატესობას არ მიქადა გამარჯვებისა ან დარწმუნებული არ ვიყავ, მთლად მშრალზე არ დავრჩებოდი დამარცხებისას. დაბოლოს საომარი მოქმედებანი მარტო მაშინ დავიწყე, როცა ზურგი გამაგრებული მეგულებოდა და შევიძლებდი ყველა მანამდე მონაპოვრის შენარჩუნებას. ვგონებ, ამაზე მეტის გაკეთება არც შეიძლებოდა. თუმცა ახლა კი შიში მიტანს, ჰანიბალივით მეც არ გამანაზოს კაპუის განცხრომა-თავშექცევებმა. აი რა მოხდა შემდეგ.

წინასწარ ვიცოდი, ამ მნიშვნელოვან ამბავს, როგორც ყოველთვის, უთუოდ ცრემლები და სასოწარკვეთა მოჰყვებოდა. ოღონდაც ეს მის უკარება ხასიათს ძივალწერე. ამიტომ ყური არ ვათხოვე ამ პაქარა გადახრებს და მხოლოდ შემთხვევითობად ჩავთვალე. ისე რომ, ჩვეულებრივი ნუგეშისცემის გათელილ გზას დავადექი. მწამდა, რომ ვნება მხარში ამოუდგება გრძნობას, რომ სიტყვებზე მეტად საქმით მოიგებ, თუმცა არც სიტყვებს ვზოგაუდი. მაგრამ საშინელ, ჭეშმარიტად საშინელ წინააღმდეგობას წავაწყდი, საშინელს უფრო გარეგნული გამოხატულებით, ვიდრე სიძლიერით.

წარმოიდგინეთ ქალი, უძრავად, გაქვავებულივით მჯდარი, ქალი სახეგაყინული, ვინც თითქოს არც ფიქრობს, ვისაც არაფერი ეყურება, ერთ წერტილს მიშტერებულ თვალთაგან სცვივა და სცვივა ცრემლები. ასეთი იყო ქ-ნი დე ტურკელი, ვინც მე ენავმზეობდი. ხოლო თუ ყურადღების მისაქცევად ან მოუეფერებოდი ანდა შევეხებოდი, მოჩვენებით გულგრილობას მყის შიში, სულის ხუთეა და ყვირილი სცვლიდა, ოღონდაც უსიტყვოდ.

ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. სულ ბოლო შეტევა კი ისე მძაფრი და მძვინვარე იყო, წამით შევშინდი კიდევ, ვაითუ მოპოვებული გამარჯვება სულაც ფუჭი გამოდგეს-მეთქი. მაშინ ზოგადად გავაბი ლაპარაკი, როგორც ასეთ დროსაა ხოლმე მიღებული. სხვათა შორის ესეც ვთქვი: „ნუთუ ასე გაგანაწყენათ, ბედნიერება რომ მომანიჭეთ?“ ამ სიტყვებზე ეს მომზიბლავი ქალი ჩემკენ მობრუნდა. კვლავ გაოგნებულ სახეს ციური იერი უკვე დაბრუნებოდა. „ბედნიერებაო?“ — გაიმეორა მან, რა ვუბასუხე, ალბათ მიხვდებით. „მაშ მართლა ბედნიერი ხართ?..“ უფრო მეტი გზნებით დავუწყე ამის მტკიცება. „მაშ მე გაგხადეთ ბედნიერი?“ ადრე ნათქვამს ქება-დიდების და ყველანაირი სინაზით სავსე სიტყვები მივამატე.



ამ ლაპარაკში სხეული თითქოს მოუდუნდა, სავარძლის ზურგს მოთენთილი მიესვენა და მითხრა: „ო, რარიგ მამშვიდებს და მანუგეშებს ამაზე ფიქრი...“

ალბათ თავადაც მოგეხსენებათ, სწორ გზაზე ასე და ამგვარად გასულს მერე აღარც მიმიტოვებია იგი, გზა მართლაც სწორი, ერთადერთი და შესაძლებელი, ბედის ხელახლა ცდისას ისევ წინააღმდეგობა გამიწიეს. მაგრამ ჩემი ბედნიერების ამბავი როს კვლავ ისევ მოვიშველიე, მალე ვიგრძენი მისი სიკეთე. „მართალი ხართ, — მითხრა ამ მგრძობიარე ქალმა, — ამიეროდან ამხვეყნად მხოლოდ თქვენი ბედნიერება მასულდგმულებს, მე ამისათვის ვიცოცხლებ, ამ წუთიდან მოლიანად თქვენი ვიქნები, უარს არაფერზე გეტყვით, არც სინანულის სიტყვებს მოისმენთ ჩემგან...“ ესდენ გულუბრყვილო თუ დიდებული თავდავიწყებით დამნებდა იგი მთელი არსებით, მთელი თავისი მშვენიერებით, გაიზიარა ჩემი ნეტარება და კიდევ უფრო ნეტარი გახადა იგი. მისი მკლავებიდან მხოლოდ იმიტომ გავნთავისუფლდი, რომ ფეხებში ჩავვარდნოდი და სამარადისო სიყვარული შემეფიცა. და უნდა გამოვითქვდეთ, მართლაც ვფიქრობდი, რასაც ვამბობდი. ერთი სიტყვით, როცა დავშორდი, მასზე ფიქრი მაინც თან გამყვა და თავს ძალა დაჟატანე იგი სხვაზე გადამეტანა.

ო, რატომ აქ არ ხართ, რომ თქვენგან აღთქმულმა ნეტარებამ გაათანაბროს ჩემ მიერ განცდილი ნეტარება? მაგრამ ცოტა ხნის დაცდა ხომ არაფერს დამაკარგვინებს? იმედი ხომ უნდა ვიქონიო, რომ თანხმობას მეტყვით იმ სიტყვების აღმთქმელ პირობებზე, ბოლო წერილში რომ შემოგთავაზეთ? ხომ ხედავთ, ჩემი მზრივ უკვე შევასრულე, რაიც აღვითქვით, ჩემი საქმენი მალე ისე წაიწვეს წინ, თქვენთვისაც დაძრჩება საამისო დრო. სასწრაფოდ მოიშორეთ ეგ თქვენი მძიმე წონის ბელროში, თავი ანებეთ მაგ მეტისმეტად ენადათაფლულ დანსენის და მხოლოდ ჩემი იყავით. ნეტა ისეთს რას მიკეთებთ მაგ სოფელში, საპასუხოდ ვერ მოგიცლიათ? ღამისაა გავთათხოთ. მაგრამ ბედნიერება თურმე შემწყვალესა ხდის ადამიანს. ისიც მახსოვს, თქვენს მოთაყვანეთა გუნდში მოქცეული კვლავ უნდა დავემორჩილო თქვენს პატარ-პატარა აზირებებს. ოღონდ იცოდეთ, ახალ საყვარელს არ სურს იმ უფლებათაგან ერთი მაინც დათმოს, მეგობრის კვალობაზე რომ მიენიჭა.

მშვიდობით, როგორც ოდესღაც... დიახ, დიახ, ჩემო ანგელოზო, გიგზავნით სიყვარულის ყველა კოცნას და ამბორს.

P. S. არ იცით, პრევანი რომ ერთი თვის პატიმრობის შემდეგ იძულებული გახდა გადამდგარიყო? პარიზში ეს ბოლო ცინცხალი ამბავია. დასტურ სასტიკი სასჯელია იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია. ისე რომ, ზემი გმართებთ!

პარიზი, 20 ოქტომბერი 17...

## 126-ე წერილი

### მ-ნი დე როზმონდი კრეზიდენტის მეუღლე მ-ნ დე ტურველს

უფრო აღრეც ვიპასუხებდით. საყვარელო ჩემო ასულო, თუ რომ თქვენთან ბოლო წერილის წერას არ გადავეღალე და ტკივილს ისევ არ შემოეჭია. მთელი ეს დღეები ხელს ვერ ვხმარობდი. სული კი მიმდიოდა მადლობა შეთქვა იმ კარგი ამბებისათვის, ჩემს ძმისწულზე რომ მაუწყეთ, და ამასთან წრფელი გულითაც მომელოცა თქვენთვის. არა, ვერ ვიტყვი, აქ განგების ხელი არ ურევია, რო-



მელმაც ერთ თქვენგანს მაღლით გაუნათა გონება მეორის გადასარჩენად. უფალ-  
 ნა მხოლოდ გამოცდა ინდომა თქვენი და, როცა ძალა გამოგეცალათ, საშუალოდ  
 მაშინ გამოგიწოდათ ხელი. და თუმცა ცოტა კი დრტვინათ, მაგრამ, მგონი, მისი  
 მაღლიერიც უნდა იყოთ. ალბათ ამ ამბის გადამწყვეტი გერჩივნათ ჯერ თავად  
 ყოფილიყავით და შემდეგ ვალმონი. ზოგადკაცობრიული თვალსაზრისით ამ  
 შემთხვევაში ჩვენი სქესის უფლებანი, ეტყობა, უფრო დაცული იქნებოდა. ჩვენ  
 ხომ სულაც არა გვსურს ჩვენს უფლებათაგან ერთიც კი დავთმოთ. თუმცა ჩვენ  
 მნიშვნელობა აქვს ამ არაარსებით მოსაზრებებს იმ მთავარ მონაპოვართან შედა-  
 რებით? განა ჩაძირულ ხომალდიდან გადარჩენილი საყვედურებს მოჰყვება, გზა  
 ხსნისა რად არ ამარჩევინესო?

მაღე დარწმუნდებით, ძვირფასო ჩემო ასულო, ტანჯვა, რისაც ასე გეშინ-  
 ნოდათ, მისდა თავად შემსუბუქდება. მაგრამ კიდევაც რომ არ შემსუბუქდეს, მა-  
 ანც იგრძნობთ, სინდისის ქენჯნასა და საკუთარი თავისადმი ზიზღს ისევ ეს  
 ტანჯვა სჯობია. ადრე აზრი არ ჰქონდა ესდენ მკაცრად შემსჯელა: სიყვარულის  
 წინაშე ჩვენ ყველანი უძალონი ვართ. კეთილგონიერება კიდევ შეიძლება დაგვეზ-  
 მაროს, რომ ავიცდინოთ, მაგრამ არა დავძლიოთ. თუკი აღიძრა, ან თავისით უნ-  
 და მიიცივალოს ან სრულმა უიმედობამ ჩაკლას. თქვენი ამბავი სწორედ მეორეს  
 განეკუთვნება. ამიტომ თავს უფლებას მივცემ გითხრათ ჩემი აზრი: დაუნდობლო-  
 ბა და გულქვაობაა სწეულის დაშინება. მას მხოლოდ ნუგეში და გამაყურებელი  
 წამლები სჭირდება. მაგრამ მორჩენის გზაზე დამდგარს მართლაც უნდა უთხრა,  
 რა საფრთხე ელოდა, რათა კეთილგონიერება გამოიჩინოს და ყურად იღოს ის  
 დარიგებანი, შემდგომ რომ შეიძლება დასჭირდეს.

რაკიდა ექიმად ამირჩიეთ, ექიმივით გეტყვით — იმ მცირედ უქეიფობას,  
 კვლავაც რომ უჩივით, შესაძლოა რაღაც წამლები კი სჭირდება, მაგრამ მაინც  
 ვერ შევადრი იმ საშინელ სენს, რისგანაც სულ მაღე გამორჩებით. იმასაც გეტყ-  
 ვით, ვით მეგობარი გონიერი და სათნოებით სავსე ქალისა, რომ ის სავალალო  
 ვნება, თქვენ რომ შეგიპყროთ, კიდევ უფრო სავალალო იქნებოდა ამ ენების საგ-  
 ნისთვის. თუ ეირწმუნებთ, რასაც ჩემს ძმისწულზე მეუბნებიან, რომელიც, არ  
 დავიძალავთ და, ჩემი სუსტი მხარეა და რომელსაც შესანიშნავი თვისებანი გააჩ-  
 ნია დიდ თავაზიანობასთან შერწყმული, მაშინ ქალებისთვის მართლაც საფრთ-  
 ხეს წარმოადგენს, ბევრის წინაშე მართლაც მიუძღვის დანაშაული და მათი და-  
 ლუპვა ისეთივე სიამოვნებას ანიჭებს, როგორც მათი შეცდენა. მწამს და მჯერა,  
 თქვენ შეძლებდით მის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებას, უფრო ღირსეულს საამი-  
 სოდ ვერ წარმოვიდგენ. თუმცა ამ იმედით რამდენ ქალს უნანია უკვე მწარედ  
 და სულაც არ მინდა თქვენც იგივე ბედი გეწიოთ.

ახლა კი, ჩემო ლამაზო, იმაზეც იფიქრეთ, მრავალი საფრთხის ნაცვლად,  
 თქვენ რომ გელოდათ, რა კმაყოფილება გელით იმის წყალობით, რომ ყველაზე  
 ძლიერი იარაღი ვალმონის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებისა თქვენ აღმოჩნდით. ეჭ-  
 ვი არ მეპარება, ეს რომ უმთავრესად თქვენი ვაჟკაცური წინააღმდეგობის შე-  
 დგობა, თორემ თქვენს წამიერ სისუსტეს, ვინ იცის, ჩემი ძმისწული მარად ცთო-  
 მილ გზაზე დაეტოვებინა. მინდა ასე ვიწამო და მინდა თქვენც ასე გწამდეთ. ეს  
 ზარველი ნუგეშის მომნიჭებელი იქნება თქვენთვის, ჩემთვის კი მიზეზი კიდევ და  
 კიდევ უფრო ძლიერ მიყვარდეთ.

მოგვლით ჩემთან უახლოეს დღეებში, ჩემო ძვირფასო ასულო, როგორც შემ-  
 ჰირდით. აქ ჰპოვებთ ბედნიერებასა და სიმშვიდეს — აქვე დაკარგულთ. პირველ



ყოველსა კი მიიღა თქვენს მოყვარულ დედასთან ერთად გაიხაროთ, რომ, თქვენ-  
და საბედნიეროდ, მოცემული სიტყვა შეასრულეთ — ისეთს არაფერს ჩაიდენდით,  
თქვენთვის და მისთვის უკადრისი ყოფილიყო!

...კოშკიდან, 30 თქტომბერი 17...

127-ე წერილი

ეროვნული  
ზიზლირთქვა

მარკიზის მეუღლე ქ-ნი და მერთეი ვიკონტ და ვალკონს

29-ში გამოგზავნილ წერილზე რომ არ ვიპასუხეთ, ეს მოუცლელიობით არ  
მომსვლია, გავბრაზდი და იმიტომ. იმდენად ყოველგვარ აზრს მოკლებული მეჩ-  
ვენა, მისი დავიწყება ვარჩიე. მაგრამ რაკილა ისევ მოუბრუნდით, რაკილა იქ გა-  
მოთქმულ მოსაზრებებს მაინც იფინებთ, ღუმილს კი თანხმობად მითვლით, — კი  
ბატონო, გეტყვით, რას ვფიქრობ.

ზოგჯერ მქონია სურვილი, მე ერთს შემეცვალა მთელი ჰარამხანა, მაგრამ  
იმაზე კი არასოდეს დავთანხმებულვარ, ერთ-ერთ მხეველად ვქცეულიყავი. მეგონა,  
ეს ამბავი კარგად იცოდით. მაგრამ ახლა როცა იცით, არ გაგიძნელდებათ მიხ-  
ედრა, რაოდენ სულელურად უნდა მჩვენებოდა თქვენი წინადადება. როგორ?  
გავწირო ახალი გატაცება, სრულიად მოულოდნელად მოვლენილი, მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ თქვენთან ვიყო, თანაც როგორ? რიგში ჩამდგარი საცოდავად ველო-  
დო, როდის ინებებს თქვენი უდიდებულესობა მოწყალების გაღებას, ან როდის  
მოგესურვებათ მოწყდეთ ჯერ განუცდელ ხიბლს, მხოლოდ და მხოლოდ  
წარმტაცმა, დვთაებრივმა ქ-ნმა დეტურველმა რომ განგაცდევინათ,  
ან უცებ შეგეშინდეთ, ვაითუ მომხიბლავ სესილს შეერყას თქვენზე ის ამალე-  
ბული წარმოდგენა, ასე რომ გწადიათ შეინარჩუნოთ? ჰოდა, მაშინ მოიღებთ  
წყალობას და ჩემთან მოინდომებთ ეძიოთ ნეტარება, თუმცადა არც ისე მძაფრი.  
სამაგიეროდ ეს არაფერს დაგაეალებთ, სამაგიეროდ თქვენი ყურადღების ძვირად  
ღირებული ნიშნები, თუმც იშეიათნი, ბოლოს და ბოლოს ბედნიერს გამხდის!

ღიახ, ღიახ, ძალზე დიდ ვინმედ წარმოვიდგენიათ თავი. სამაგიეროდ ალბათ  
ჩე მაკლია თავმდაბლობა, რადგან ჩემს თავზე დაკვირვებისას რაღაც ვერ ვამჩნევ,  
ასე დაკმდაბლებულიყავ. იქნებ ეს ჩემი ნაკლია, მაგრამ გაფრთხილებთ, ნაკლი  
სხვა ბევრიც მაქვს.

მათგან მთავარი კი ეს ვახლავთ: ჩემს თვალში იმ მოწაფე ბიჭს, იმ ენადა-  
თა ფლულ დანსენის, ახლა რომ მხოლოდ ჩემითაა გატაცებული, ჩემ გამო რომ  
თავისი პირველი სიყვარული გასწირა, თუმცა ამას დიდ დამსახურებად არ ითვ-  
ლის, გასწირა მანამდე, ვიდრე ვნებას დაიკმაყოფილებდა, მოკლედ — ვისაც ვუყ-  
ვარვარ, როგორც მხოლოდ მის ასაკში შეუძლიათ უყვარდეთ — მიუხედავად  
თავისი ოცი წლისა, ძალუძს თქვენზე მეტი ბედნიერება და სიხარული მომანი-  
ჭოს. გავბედავ და იმასაც დავამატებდი, რომ თუ მომეპრიანებოდა მისი დამხ-  
მარე მუძებნა, ის თქვენ არ იქნებოდით, ყოველ შემთხვევაში ახლა.

იქნებ მკითხოთ, რა მიზეზით? იქნებ არც რა მიზეზით. იქნებ ჟინით თუ  
ახირებით, რომლის კარნახით შეიძლება თქვენ ავირჩიოთ და ასევე სულაც არ  
ვიხურვი თქვენი არჩევა. მაგრამ ზრდილობის გამო მაინც დავისაბუთებთ. ჩემი  
აზრით, თქვენ მოგიწევთ ჩემ გამო ბევრი რამის გაწირვა. მადლობის ნაცვლად კი,  
რასაც მოვლით, შემდეგ და შემდეგ კიდევ სხვა მსხვერპლთა გაღება ხედავთ.



ამდენად განსხვავებულად ვფიქრობთ, ვერამც და ვერამც ვერ დაგაახლოვდებით. ვშიშობ, კარგა დიდი დრო უნდა, გრძნობები რომ შემეცვალოს. პირობას გაძლევთ, ჩემი გამოსწორების ამბავს უთუოდ გამცნობთ. მანამდე კი, დამიჯერეთ, როგორმე სხვანაირად მოიწყვეთ ცხოვრება და თქვენი კოცნა-ამბორი შემოინახეთ: ვეცი, შესაძლებლობანი არ გაკლიათ მათი უკეთ გამოყენების!

მ შ ვ ი ლ ბ ი თ, როგორც ოდესღაცო, შეუბნებით? ოდესღაც, მგონი, თქვენ-  
თვის უფრო მეტს ვნიშნავდი. ოდესღაც თქვენთვის რიგით მესამე არ მჭყვავდნოდა. ნაკლებ  
ნთავარიც, ვინემ ჩემს თანხმობას ირწმუნებდით, ჯერ ჩემს „პო“-ს ელოდებოდით.  
შეურიგდით იმ ამბავს, რომ ნაცვლად იმისა, გითხრათ „მშვიდობით“, როგორც  
ოდესღაც, „მშვიდობით“-მეთქი, გეტყვით, როგორც ახლა შემოძლია ვთქვა.

ვშთები, ბატონო ვიკონტ, კვლავაც თქვენი ერთგული...

...დან, 31 ოქტომბერი 17...

### 128-ე წერილი

#### პრეზიდენტის მეუღლე ბ-ნი დე ტურველი ბ-ნ დე როზმონდს

მხოლოდ გუშინ მივიღე, ქალბატონო, თქვენი წერილი. მას იქვე უნდა მოვე-  
გალ, ჩემი სიცოცხლე რომ მე შეგუთვნოდეს და არა სხვას. ეს სხვა კი — ბ-ნი  
დე ვალმონია. ხომ ხედავთ, არაფერს გიმალავთ. ალბათ უკვე აღარ ჩამთვლით  
თქვენი მეგობრობის ღირსად. მაგრამ მოტყუებას ისევ თქვენი დაკარგვა მიჩნევ-  
ნია. მხოლოდ ამ ერთს გეტყვით: ბ-ნმა დე ვალმონმა არჩევანის წინ დამაყენა —  
ან მისი სიკვდილი მერჩია ან მისი ბედნიერება. მე უკანასკნელი ავირჩიე. არც  
თავს ვიქებ და არც ვამტყუნებ — უბრალოდ ვამბობ, რა როგორ მოხდა.

ახლა ადვილად მიხვდებით ალბათ, ვით იმოქმედა თქვენმა წერილმა და იქ  
გამოთქმულმა მწარე სიმართლემ. მაგრამ არ იფიქროთ, რასმე ენანობდე ან ამის  
გამო გრძნობები და საქციელი შევიცვალო. ეს არ ნიშნავს, ხშირად არ მქონდეს  
მწარე წუთები. ოღონდ როცა მგონია, საცააა გული გამისკდება, ვეღარ გავუძ-  
ლებ ასეთ წამებას, თავს ვეუბნები, ვალმონი ხომ ბედნიერია. მაშინ ყველაფერი  
განზე დგება, მაშინ ეს ფიქრი სიხარულად აქცევს ყველაფერს.

ჩემი სიცოცხლე მე თქვენს ძმისწულს ვუძღვენი, მისი გულისთვის გავწირე  
თავი. ყველა ფიქრი მისკენ მიმიქრის, ყველა ჩემი გრძნობა თუ საქციელი მისით  
ახაზღვრება. ვიდრე ჩემი სიცოცხლე მისთვისაა საჭირო, ჩემთვის მას ფასი ექ-  
ნება და ჩავთვლი, ბედი ჩემდამი მოწყალეა. ხოლო თუ ერთ დღეს გადაიფიქრა...  
ჩივილს, საყვედურს იგი ჩემგან ვერ გაიგონებს. ეს საბედნიესწერო წამი უკვე  
წარმოვიდგინე და გადაწყვეტილებაც უკვე მივიღე.

ამიტომაც ყველა ის საფრთხე, თქვენ რომ გაშინებთ, რომ ბ-ნმა დე ვალმონმა  
შეიძლება დამღუპოს, ნაკლებ მადარდებს. თუ აღედრება ეს სურვილი, მაშასადა-  
მე, უკვე გადამიყვარა. მაშინ ჩემთვის რაღა ფასი აქვს ლიტონ სიტყვებს? მხო-  
ლოდ ივია ჩემი მსაჯული. და რაკი მისთვის ვცოცხლობდი, ჩემი ხსონაც მასში  
აცოცხლებს. ხოლო თუ იძულებული გახდება აღიაროს, მე რომ მიყვარდა, გასა-  
მართლებლად ესეც შეყოფა.

ამ სტრიქონების წაკითხვით თქვენ ჩემს გულშიაც წაიკითხეთ. ჩემი გულახ-  
დილობით თქვენი პატივისცემის დაკარგვას მე ვარჩიე მისი უღირსი აღმოჩენი-  
ლიყავ, ვინემ ტყუილებით თავი დამემცირებინა. თქვენ წინაშე ამ სიწრფელეს მე



ნავალებს თქვენი წინანდელი ჩემდამი მეგობრული გრძნობები. და კიდევ ერთ სიტყვას დავამატებ: შეიძლება ეჭვი აღგეძრათ, რომ იმდენად გავკადნიერდი, ახლაც მაქვს ამ გრძნობის იმედი. მაგრამ ჩემი მკაცრი მსაჯული საკუთარი თავის განსჯისას უკვე მიკრძალავს ეს იმედი ვიქონიო.

მარად თქვენი ერთგული...



პარიზი, ქაქუცხველი 17...

ბიზლიძის

129-ე წერილი

ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე მ-ნ და მერტიის

მითხარით მაინც, ჩემო მშვენიერო მეგობარო, რამ გამოიწვია ეს გესლიანი და გამქირდავი კილო, თქვენს წერილში რომ მეფობს? რა დავაშავე ჩემდა უნებლიეთ ისეთი, ესდენ რომ განგარისხეთ? მსაყვედურობთ, რატომ გვონიათ, ყველაფერზე თანახმა ვარ, მაშინ როცა ჩემგან თანხმობა არ მიგიღიათო. მე კი მეგონა, რაღაც სხვა ყველას მიმართ კადნიერებად მიიჩნევა, ჩვენ ორს შორის მხოლოდ ნდობას ადასტურებს. მაინც როდის აქეთ გახდა ეს ნდობა მეგობრობისა და სიყვარულის მტერი? ადამიანისთვის ჩვეულ ბუნებრივ სწრაფვას აუყვევი მხოლოდ, როცა სურვილი ნდობას ერწყმება და უნდა ბედნიერება რაც შეიძლება ძალე მოიახლოვოს. თქვენ კი სიამაფის გამოვლინებად ის მიიჩნით, რაც ჩემს მოუთმენლობას მიეწერება. კარგად ვიცი, ასეთ ამბებში, როგორც წესი, კაცმა მოკრძალებული ეჭვი უნდა გამოთქვას. არადა, თვითაც მოგეხსენებათ, ეს რომ თავახიანი ფორმადობაა. მე კი ვაფიქრე, ჩვენ შორის ასეთი წვრილმანური პრანჭილობა ზედმეტი გახლდათ.

ისიც მგონია, როცა ადამიანთან დიდი ხნის სიახლოვე გაქვს, პირში ფერება საჭირო არ უნდა იყოს. ეს ხომ სასიყვარულო კავშირს ხშირად მოსაყირბებულსაც ხდის. ჩემი ქცევა სულაც იმიტომ მომწონს, განცდილ ბედნიერებას რომ მაგონებს. სწორედ ამიტომ უფრო მწყდება გული, სხვა აზრის რომ ხართ.

ვფიქრობ, მხოლოდ ამ ერთში მიმიძღვის ბრალი. არა, ნეტა თუ მართლა ფიქრობთ, რომ თქვენს თავს სხვა ქალს ვარჩევ, ან ისე ნაკლებ გაფასებთ, როგორც გვონიათ. თურმე ამ მიზნით სარკეშიაც დაკვირვებით ჩაგიხედავთ და დარწმუნებულხართ, არც ისე ცუდად გქონიათ საქმე. ეჭვიც არ მეპარება. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, კარგი სარკე ყოფილა. მაგრამ განა უფრო სწორი არ იქნებოდა აქვე დაგესკვნათ, ვინ-ვინ და მე ამას არ ვიფიქრებდი?

ვცდილობ და ვერ გამიგია, საიდან გაგიჩნდათ ეს უცნაური აზრი. მიზეზი, მგონი, მაინც ისაა, რომ გავბედე და სხვა ქალები შევაქე. ყოველ შემთხვევაში ამას მაფიქრებინებს, ხაზგასმით რომ იმეორებთ ეპითეტებს — წარმტაცი, ღვთაებრივი, მიმზიდველიო, რაიც ქ-ნ დე ტურველსა თუ პაწია ვოლანუხე ვთქვი. ნუთუ არ იცით, ეს სიტყვები რომ მეტწილად შემთხვევით იხმარება და არა მოფიქრებულად, რომ ეს სულაც არ გამოხატაუს შენს ურთიერთობას ამა თუ იმ ქალთან, რომ მხოლოდ შენს მდგომარეობას აღნუსხავს იმ წუთში, როცა მასზე ლაპარაკობ? ხოლო თუ ერთით ამ მეორეთი გატაცებისას თქვენთან სიახლოვის სურვილი არ გამნელებია, თუ იმ ორთან შედარებით თქვენ განიჭებთ უპირატესობას — რადგან მათ თუ ზურგი არ ვაქციე, ჩვენს ძველ სიახლოვეს ვით განვაახლებთ — ვფიქრობ, დიდად სასაყვედურო ჩემთან არაფერი არ უნდა გქონდეთ.



არც თავის გამართლება გამომხელებს იმ იდუმალი ხიბლის გამოც, ასე რომ მოგზავთ თურმე გულზე. პირველ ყოვლისა იდუმალი სულაც არ ნიშნავს მიმზიდველს. განა ვის შეუძლია იმაზე წარმტაცი ნეტარება მიანიჭოს ადამიანს, მართოდენ თქვენ ერთს რომ ხელგეწიფებათ, მუდამგზის ახალი და მუდამგზის უფრო მწველი? მე მხოლოდ ერთის თქმა მინდოდა — ეს ნეტარება სულსხვა ყაიდის, აქამდე განუცდელი იყო-მეთქი. სულაც არ მქონია აზრად სხვათა შეხედარებინა შესაფასებლად. ისიც კი დავამატე და ახლაც გავიმეორებ, რომ რიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მე შეეძლებ მის დაძლევას და მოთრევას. ხოლო თუ ეს თქვენდამი მსახურების ხარკად გამომადგება, უფრო მეტ თავგამოდებას გამოვიჩენ.

პაწია სესილზე კი არც მინდა გელაპარაკოთ. ხომ არ დაგავიწყდათ, ამ გოგონას თქვენი თხოვნით რომ დაუუახლოვდი და მისგან თავის დასაღწევად თქვენს ნებართვას ველი? მე შემიძლია მისი მიამიტობა და სიქორფე აღმენიშნა მხოლოდ, წამით მიმზიდველადაც მიმეჩნია — საკუთარი ქმნილება ვის არ ანიჭებს სიამოვნებას, მაგრამ ჯერ კიდევ არც ერთი მხრივ ისე არ მომწიფებულა, ყურადღება მასზე შევრჩეს.

ისე რომ, ჩემო ტურფა მეგობარო, გვედრით მოუხმით თქვენს სამართლიანობის გრძნობას, თქვენს სიკეთეს, თავის დროზე ჩემდამი რომ გამოიჩინეთ, გაიხსენოთ ჩვენი ამდენი ხნის უღრუბლო მეგობრობა, სულიერი ურთიერთნდობა, ჩვენი სიახლოვის შემდუღებელი — და თქვათ, დავიმსახურე კი ესდენ სასტიკი კალო თქვენი ბოლო წერილისა? არადა, რა ადვილი გახლავთ ყოველივე ამის ანაზღაურება, როგორც კი მოისურვებთ! ერთი თქვენი სიტყვა და ნახავთ, ერთი დღით კი არა, ერთი წამითაც ვერ დამაკავებს ვისიმე ხობლი თუ სიყვარული, ფრენა-ფრენით გამოვეშურები თქვენკენ, თქვენს ფერხთა ქვეშე, თქვენს მკლავებში და ათასგზის და ათასგზისი ხერხით დაგიმტკიცებთ, მხოლოდ თქვენ ერთი ხართ ჩემი გულის დედოფალი და მუდამაც იმად დაშთებით.

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო, მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს.

პარიზი, 3 ნოემბერი 17...

### 130-ე წერილი

#### ქ-ნი და როზმონდი პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი და ტურკელს

ვითომ რა მიზეზით აღარ გინდათ, ჩემო ლამაზო, იყოს ჩემი ასული? თითქოს იმაზედაც გადამიკარით, ჩვენი მიმოწერა უნდა შეწყდესო? იმიტომ ხომ არ მსჯით, რატომ ვერ მივხედი ყოვლად დაუჯერებელ ვითარებას? რომ არ ეჭვობთ, რომ განხრახ გატკინეთ გული? არა, მეტისმეტად კარგად ვიცი თქვენი გულის ამბავი და ვერ დავიჯერებ ასე ფიქრობდეს ჩემსაზე. ამიტომაც თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ თქვენი ამბავი უფრო მტანჯავს.

ო, ჩემო სორჩო მეგობარო, ჩემდა სამწუხაროდ უნდა გითხრათ, თქვენ მეტისმეტად ხართ ღირსი სიყვარულისა, მან რომ როდესმე ბედნიერება მოგანიჭოთ. განა რომელ ჭეშმარიტად ნაზი და მგრძნობიარე ქალისთვის უბედურება არ მოუტანია იმ გრძნობას, რომლისგან ესოდენ დიდ ნეტარებას ელოდა? განა რომელ მამაკაცს დაუფასებია ქალი, მას რომ დანებდა?

არა, მათგან ბევრი წესიერია და ერთგული თავისი გრძნობის, მაგრამ მათ



შორის ცოტა ვისმე თუ უძგერს გული ჩვენს თანხმებრად! არ გეგონოთ, ჩემო საყვარელო ასულო, მათ ჩვენსავით შეუძლიათ სიყვარული. კი, ისევე ათრობთ გრძნობა, ზოგჯერ ჩვენზე მეტადაც, მაგრამ მათთვის უცხოა მღელვარე სწრაფვა, ნაზი გულისხმიერება, გამუდმებული ნაზი ზრუნვა, საყვარელ არსებისკენ მიმართული. მამაკაცს საკუთარი ბედნიერების განცდა ატკბობს, ქალი — მისი მინიჭება. ესოდენ მნიშვნელოვანი, მაგრამ იშვიათად შენუშნული განსხვავება დიახაც საგრძნობლად მოქმედებს ყოველ მათგანზე.

ერთისთვის ნეტარება საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაა, მეორისთვის — მისი აღძვრა და გამოწვევა. მამაკაცისთვის თავის მოწონება — წარმატებისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა, მაშინ როცა ქალისთვის ეს უკვე წარმატებაა. გველუცობაც კი, ქალებს რომ ხშირად გვსაყვედურობენ, განა სხვა რაა, თუ არ ჭარბი გამოვლინება მსგავსი გრძნობების და დასტურიც მათი ჭეშმარიტების. დაბოლოს, ერთი არსებისადმი განსაკუთრებული ვნება და სწრაფვა, სიყვარულს რომ ახასიათებს, მამაკაცთათვის ამ ერთისთვის მხოლოდ და მხოლოდ ჰპირატესობის მინიჭებაა სიამოვნების გასაძლიერებლად. ახალი საგნის გამოჩენამ შეიძლება ის შეუწულოთ, მაგრამ მთლიანად ვერ გაუქროთ. ქალისთვის კი ეს ღრმა გრძნობაა. იგი არათუ ამთობს სხვა გატაცებას, ბუნებაზეც კი მძლავრობს და მის კანონებს არ ემორჩილება. ამიტომაც ქალი იქ განიცდის გამტანჯველ ზიზღს, სადაც თითქოსდა ნდობა უნდა აღძროდა.

ოღონდაც არ იფიქროთ, ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლებმა გამონაკლისებმა შესძლონ უარყონ ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებანი! იგი საზოგადოებრივ აზრს ეფუძნება, ვინც მხოლოდ მამაკაცთათვის უშვებს სხვაობას — ვის დაარქვას მოღალატე და ვის ცვალებადი ბუნების მქონე, რითაც ძალიან ამაყობენ და დამამცირებლად სულაც არ თვლიან. ხოლო ჩვენი სქესის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ისინი იზიარებენ ამ აზრს, უწესო ქცევით რომ ჩვენს სქესს ჩირქს სცხებენ და არა ხერხს არ თაკილობენ, ოღონდაც საკუთარი სიმდაბლის შეგრძნებისგან იხსნან თავი.

მე მეგონა, ჩემო ლამაზო, გამოგადგებოდათ ეს ჩემი მოსაზრებანი უღრუბლო ბედნიერებაზე განუხორციელებელ ოცნებათა საპირისპიროდ. სიყვარული ხომ მუდამ აბრეყებს ჩვენს წარმოსახვას მათი წყალობით. ამ მაცთუნებულ იმედს კი მაშინაც ვებლაუჭებით, როს ნათლად ვხედავთ, მაინც მოგვიწევს მასზე ხელის აღება. ხოლო მისი დაკარგვა კიდევ უფრო გვიმძაფრებს იმ ტანჯვა-წამებას, რაიც მუდამ თან ახლავს ძლიერ ვნებას.

ერთადერთი, რაც ახლა ძალშიმს, ესაა მხოლოდ შეგიმსუბუქოთ და შეგიმციროთ ტანჯვა. უკურნებელი სენით დაავადებულს მარტოდენ რეჟიმის თაობაზე შეგიძლია ურჩიო რამე. ოღონდ ამას გთხოვთ: არ დაივიწყოთ, სწეულის შებრალება სულაც არ ნიშნავს მის გაკიცხვას. ჩვენ თავად ვინ ვართ, ერთმანეთი რომ განუსაჯოთ? დე განსჯა იმას მივანდოთ, ვისაც ერთადერთს შეუძლია ადამიანთა გულებში კითხვა და ვის მამობრივ თვალშიც, ვბედავ ვირწმუნო, ადამიანის ბევრი სიკეთე მის ერთ სუსტ მხარეს გადასწონის.

მაგრამ გაფიცებთ, საყვარელო მეგობარო, ნაჩქარევად ნურას გადაწყვეტთ. ეს უფრო სასოწარკვეთის ნიშანია, ვინემ სულის სიძლიერისა. ნუ დაივიწყებთ, როცა თქვენი ცხოვრების მბრძანებლად ვინმეს გაიხდით — ეს თქვენი სიტყვები გახლავთ — მეგობრებს მაინც ვერ წაართმევთ იმ უფლებებს, რაიც ადრე მქონდათ მინიჭებული და რახედაც უარს ვერასოდეს ათქმევინებთ.



მშვიდობით, ძვირფასო ჩემო ასულო. იფიქრეთ ზოგჯერ თქვენს მოყვარულ დედაზე, ვინც მუდამ ყველაფერს გაიღებს თქვენთვის, უპირველესად კი თავის ყველაზე სანუკვარ ფიქრებს.

...კომპიდან, 4 ნოემბერი 17...

131-ე წერილი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### მარკიზის მეუღლე მ-ნი დე მერტივი ვიკონტი დე ვალმონს

ბარაქალა, ვიკონტი, ამჯერად უფრო კმაყოფილი ვარ თქვენით. მაგრამ მოდით მეგობრულად ვილაპარაკოთ. იმედია, დაგარწმუნებთ, რომ ჩვენი შეთანხმება, რისკენაც ასე ილტვიით, წმიდაწყლის უგუნურება იქნებოდა როგორც თქვენთვის, ისე ჩემთვის.

ნუთუ აქამდე ვერ გაიაზრეთ, თუ ნეტარება მართლა ერთადერთი ბიძგია ორი სქესის შესაერთებლად, მაინც არ კმარა ერთმანეთს რომ დააკავშიროს, ხოლო როცა დაახლოებას წინ უძღვის წლომა, მას მოყირჭება მოსდევს უკან? ეს ბუნების კანონია და მისი დარღვევა მხოლოდ სიყვარულს ხელეწიფება. მაგრამ სიყვარული განა ბრძანებით მოდის? არადა, ის ხომ ყველას გვჭირდება. ეს კი დიახაც მოუხერხებელი იქნებოდა, თუ რომ ადამიანებს არ მოესაზრებინათ, რომ, მათდა საბედნიეროდ, სრულიად საკმარისია მხოლოდ ერთ მხარეს უყვარდეს. ამან საქმე სანახევროდ გააადვილა. თანაც თითქმის არც ერთი მხარე არაფერს კარგავს. ერთი ბედნიერია, რომ თავად უყვარს, მეორე კი — რომ იგი უყვართ. და თუმცა ეს არც ისე დიდი ბედნიერებაა, სამაგიეროდ ღალატის სიამოვნება ზღავს ყველაფერს. ისე რომ, წაგებული არაეინ რჩება და ყველაფერი წონასწორდება.

მაგრამ ჩვენ ორში, ვიკონტი, რომელი ერთი იკისრებს ღალატს? არ გახსოვთ ორი თაღლითის ამბავი, როცა ბანქოს თამაშისას ერთმანეთი ჩაიჭირეს? „არაფერი გამოგვივა. ორთავემ ისევე ნახევარ-ნახევარს უნდა ჩამოვიღეთ“, და თამაშიც შეატოვეს. მოდით მივსდით მათ მაგალითს და დროს ნუ დავკარგავთ, რასაც ორივე მხარე ცალ-ცალკე მშვენივრად გავატარებთ.

მერწმუნეთ, ამ შემთხვევაში ისევე ვზრუნავ თქვენს სიკეთეზე, როგორც ჩემსაზე. ამის მიზეზი არც ჩემი ახირებაა და არც განაწყენება. არც აღთქმულ ჯილდოზე ვაპირებ უარის თქმას. კარგად ვიცი, რომ ერთი საღამო დიახაც ნა-სიამოვნები დავრჩებით ერთმანეთით, რომ იგი ისეთ სიტყბოს განგვატდევიანებს, გულიც დაგვწყდება, რად დამთავრდათ. მაგრამ არ უნდა დაეიციფოთ, რომ ბედნიერებას უთუოდ უნდა სდევდეს გულის დაწყევტაც. ისე რომ, რაოდენ ტკბილიც არ უნდა იყოს ჩვენი ილუზიები, თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ ისინი ხანგრძლივად გასტანს.

ხომ ხედავთ, ჩემს სიტყვას არც მე ეღალატობ, არ დამიცდია თქვენსას ზუსტად როდის შეასრულებდით. ხომ გახსოვთ, ღვთაებრივი უკარების დანებების შემდგომ მისი პირველი წერილი ჩემთვის უნდა გადმოგეგზავნათ. მაგრამ იქნებ იგი ისე გეძვირფასებათ, რომ დაგაუიწყდათ ჩვენი შეთანხმების პირობები, ან იქნებ ეს პირობები არც ისე გაინტერესებთ, როგორც ცდილობთ მომაჩვენოთ, ეს კია, მე არაფერი არ მიმიღია. თუმცა იქნებ ვცდები, იქნებ ღვთის ნაზი მხევალი თავკამთღებით გწერთ და გწერთ წერილებს. თორემ მარტო დარჩენისას სხვა რა უნდა აკეთოს? ალბათ ჭკუა არ ეყოფა სხვა გასართობები ეძიოს. ერთი სიტყვით, რომ მოვიწოდო, თქვენს სასაყველუროს საკმაოდ გამოვნახავდი. ამი-



ტომაც არაფერს ვიტყვი იმ გაღიზიანებული კილოს სანახლაუროდ, ჩემს ბოლო წერილს რომ ჰქონდა.

ახლა კი, ვიკონტ, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, თუმცა უფრო თქვენ გამო, ვინემ ჩემისა. მოდიტ ცოტა ხნით გადაუღოთ ჩემთვისაც ასევე სანატრული ის წუთი. ქალაქში ჩემს ჩამოსვლაშდე მაინც. ჯერ ერთი აქ საკმარის თავისუფლად ვერ მოვიქცევი. მეორეც — ჩემთვის რამდენადმე საშინელი იქნებოდა, რადგანაც ეჭვიანობის გრძნობა ერთი წუთითაც რომ გავუზარდოთ, ყველაზე ბელროშს კიდევ უფრო მომაწებებს, ისედაც სული კბილით უჭირავს. კაცმა ლამის თავი მოიკლას, ისე ცდილობს სიყვარულში ივაჟკაცოს. მისი ალერსით მოყირჭებულს მაიძულებს ეშმაკობა მოვიშველიო. ალბათ თავადაც ხვდებით, ბელროში რომ თქვენ გამო გაიწირება, ეს კი ხიბლს კიდევ უფრო გააძლიერებს.

იცით, შიგადაშიგ ვნანობ კიდევ, იძულებულნი რომ ვართ ასეთ ხრიკებს რივართოთ. როცა ერთმანეთი გვიყვარდა — რადგან მგონია, ეს სიყვარული იყო — მე ბედნიერი ვიყავ... თქვენ არა, ვიკონტ? თუმცა რა აზრი აქვს იფიქრო იმაზე, რაც არასდროს დაბრუნდება. დიახ, დიახ, რაც არ უნდა ვთქვათ, იგი არასდროს დაბრუნდება. ვინაიდან ისეთ მსხვერპლს მოგთხოვდით, რომლის გაღებას ან ვერ შეძლებდით ან არც მოინდომებდით და რომლის ღირსი ეგებ არც ვიქნებოდი. ან შეუძლებდი კია თქვენს შენარჩუნებას? არა, არა, ამაზე ფიქრიც არ ნინდა. და თუმცა სიხარულით გწერთ ამ წერილს, მაინც მიჯობს უცბად დაგტოვოთ.

მშვიდობით, ვიკონტ.

...კოშკიდან, 6 ნოემბერი 17...

## 132-ე წერილი

### პრაზიდეანტის მიუღღა ქ-ნი და ტურველი ქ-ნი და როზმონდს

საოცრად შემძრა თქვენმა სიკეთემ და მთელი გულითაც მივნებდებოდი, რომ არ მეშინოდეს ამით მისი წაბილწვის. ნეტა რა მიზეზია ასე ძვირად ფასობდეს ჩემთვის ეს სიკეთე და ამასთან ვგრძნობდე, მას რომ არ ვიმსახურებ? თუმცა გავბედავ და მაინც გეტყვით მაღლობას. მეტადრე აღტაცებას მგვირის, თუ რაოდენ შემწყნარეა თქვენი სიკეთე — მას ხომ მხოლოდ თანაგრძნობა ამცნობს ჩვენს სისუსტეს და შეცოდებებს — და რაოდენ ძლიერია ძალა მისი ხიბლისა ჩვენს გულებზე, რომ სიყვარულის ხიბლსაც კა შეედარება.

ოღონდ შემეძლია კი ახლაც ღირსი ვიყო მეგობრობისა, ჩემი ბედნიერებისთვის საკმარისი რომ აღარაა? იგივე მეოქმის თქვენს რჩევებზეც: ვგრძნობ მთელმათ სიბრძნეს და მაინც არ შემეძლია მათ მივსდით. ან როგორ არ მწამდეს სრული ბედნიერების, რასაც ახლა ასე შევიგრძნობ? თუ მამაკაცები ისეთებია, როგორც თქვენ ბრძანებთ, მათგან გაქცევა ვეშართებს, ისინი უნდა ვკბულდნენ. მაგრამ როგორ არა ჰგავს მათ ვაღმონი! თუკი ვნების სიშმაგე მათსავით მოსდგამს, თქვენ რომ თავაწყვეტილობად ნათლავთ, ჰოი, რაოდენ ჭარბობს და ჯაბნის ამას უსაზღვრო მისი სინაზე! ო, ჩემო მეგობარო! რომ ამბობთ, თქვენს ტანჯვას მეც ვიზიარებო, მაშ ჩემთან ერთად იხარეთ ჩემი ბედნიერებით! იგი მე სიყვარულმა მარგუნა. ხოლო რარივ აძლიერებს მას თვით სიყვარულის საგანიო, ნეტავ ჩემსავით გცნობოდათ იგი! მე მას ვაღმერთებ, მე მას ვეთაყვანები, და მაინც იგი უფრო მეტს იმსახურებს. რა თქმა უნდა, ისიც შემეძღარა ხოლმე, თვი-



თონ არც მალავს ამას. მაგრამ მასზე მეტად ვის შეუცვნია ჭეშმარიტი სიყვარული? მეტი რა გითხრათ? იგი თავს შეგაყვარებს, თუმცა თავადაც არანაკლები ძალით უყვარხარ.

არ გეგონოთ, განუხორციელებელმა ოცნებამ ამიყოლია, ჩვენს წარმოსახვას რომ მუდამ აცთუნებს ხოლმე. თუ ასეა, მაშ რადაა იგი უფრო ნაზი, უფრო გულისხმიერი, როცა უკვე ყველაფერს მიაღწია? უნდა ეგონებოდნენ ადრე გონიერებასა და თავშეკავებას მისთვის არასდროს უღალატნია, მასზე უფრო მახსენებდა მისი მტრების მცდარ, სასტიკ შეხედულებებს მასზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაუბრკოლებლივ შეუძლია თავის გულისთქმას აჰყვეს, თითქოსდა ყველა ჩემს სურვილს ხვდება. ვინ იცის, სულაც განგების ნება გახლდათ, ჩემი ბედნიერება მისი ბედნიერებისთვის ყოფილიყო საჭირო! მაგრამ თუკი თავს ვიტყუებ, დაე მანამდე მომკლას ღმერთმა, ვინემ ეს რწმენა გამომტყუნდება. თუმცა არა, უნდა ვიცოცხლო, რათა იგი ვალმერთო, თავს შემოვევლო. ან რატომ უნდა გადამიყვაროს? ქალთაგან განა რომელი მიანიჭებს ჩემზე მეტ ბედნიერებას? მე კი საკუთარი გამოცდილება მკარნახობს, როცა სხვას ანიჭებ ბედნიერებას, ეს ყველაზე გამძლე, ყველაზე ნამდვილი კავშირია. დიახ, სწორედ ეს აღგავსებს ნეტარებით, სწორედ ეს აკეთილშობილებს, ასე ვთქვათ, ასპეტაკებს სიყვარულს, ვალმონისთანა ნაზი და კეთილშობილი სულის ღირსად გხდის.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, პატივცემულო, შემწყნარე მეგობარო. ამ წერილს ველარც გაუგრობებდი. უკვე დადგა დრო, როცა მოსვლას შემპირდა და სხვა აღარაფერზე მინდა ვიფიქრო. მაპატიეთ! ვიცი, გინდათ ჩემი ბედნიერება, ამ წუთში კი იმზომ სავსე ვარ ბედნიერებით, გულს ჩემსას ველარ დაუტყვია.


პარიზი, 7 ნოემბერი 17...

### 133-ე წერილი

#### ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ძ-ნ დე მერტიის

განა არის კი ისეთი მსხვერპლი, ჩემო ტურფა მეგობარო, რომ არ გავილო, თუკი საზღაურად თქვენი წყალობა მეღის? ოღონდაც თქვით და წამითაც თუ შევეყომანდე — გავილო ან არ გავილო — ნებას გაძლევთ საზღაურზე უარი მიბრძანოთ. აი თურმე რა კარგი აზრი შეგქმნიათ ჩემზე ეს რამდენიმე ხანია, თუკი შეწყნარების მიუხედავად ჩემს გრძნობებსა თუ ნებისყოფაში ეჭვი შეგაქვთ! თურმე არ ძალმიძს და არც მსურს მსხვერპლის გაღება, თურმე თქვენს თვალში დამონებული მიჯნური ვარ, თურმე წარმატებისკენ იმად ვილტვოდი, მისი საგანი ჩემთვის ძვირფასი იყო! ო, არა, ღუთის მადლით, ისე არ დავმდაბლებულვარ, არ დაგიმტკიცოთ ეს თუნდაც ქ-ნ დე ტურველის მაგალითზე, რათა ყველა ეჭვი გაგიქროთ.

ჩემი ფიქრით, გარკვეული დრო შესწირო ქალს, ვისი ღირსება ის მაინცაა, საკმაოდ იშვიათ ჯიშს რომ განეკუთვნება, სულაც სასაცილოდ არ ხდის ადამიანს. იქნებ ეს იმის ბრალაც იყოს, ჩემი გატაცება მკვდარ სეზონს რომ დავემთხვა. არც ისაა გასაკვირი, თუ აქამდეც მისი ხიბლით ვარ მონუსხული — საზოგადოება ხომ ეს-ესაა ახლა იწყებს თავშეყრას. არც ის დაგავიწყდეთ, მთელი სამი თვის მანძილზე გაწეული შრომის ნაყოფით მხოლოდ ეს ერთი კვირა ეტკებები. არადა, უფრო მეტ ხანსაც დავრჩენილვარ ისეთი ქალის გვერდით, გა-





ცილებით ნაკლებ ღირსი რომ ყოფილა და ნაკლებ შრომადაც დაძვდომია! მაგრამ ჩემთვის ესდენ სათაკილო დასკვნები მაშინაც არ გამოვიტანიათ.

დაბოლოს — ვინდათ ვითხრათ მიზეზი ჩემი ასეთი სიჯიუტისა? დიახ, გეტყვი. ეს ქალი თვისი ბუნებით ისეთი მფრთხალი ვინმეა, თაყობს არა და არ სჯეროდა თავისი ბედნიერების, ეს კი საკმარისია ბედნიერების დასაფრთხობად. ცხოლოდ ახლავდა ვხვდები, თურმე რა დიდი ძალა მქონდა მისი მხარისა ჩალებზე. მე კი ამის გარკვევა ძალიანაც მინდოდა, ხოლო მსხრტი მემთხვევები არც ისე ადვილი საპოვნია, როგორც გვგონია.

პირველ ყოვლისა ქალთა შორის ბევრისათვის ნეტარება მხოლოდ ნეტარებაა და სხვა არაფერი. რა სახელიც არ უნდა დაარქვან, მათთვის ჩვენ მხოლოდ მიმწოდებულნი, გადამცემნი ვართ ამ ნეტარებისა. მთელი ჩვენი ღირსება მათი ვაღში მართოდენ აქტიურობით განისაზღვრება. ვინც მეტ ოფლსა ღვრის, მეტადაც ფასობს.

მეორე რაღს ქალებისა ამ ჩვენს დროში, ეგებ უფრო მრავალრიცხოვანთ, მხოლოდ და მხოლოდ საყვარლის სახელი და დიდება აინტერესებთ, სიამოვნების ის შეგრძნება, რომ იგი მეტოქეს წაართვეს, და კიდევ შიში, ვაითუ მათაც წაართვან. თუმცა რაღაც წილი იმ ვითომდა ბედნიერებაში, რასაც განიცდიან, ჩვენც მიგვიძღვის. ოღონდაც პირველ ყოვლისა ამას საყვარლის პიროვნება განსაზღვრავს. ბედნიერებას ისინი ჩვენი წყალობით და არა ჩვენგან იღებენ.

მე კი მეწადა ამ ჩემი დაკვირვებებისთვის მომეძია ქალი ნაზი და მგრძობიარე, ქალი, ვინც საყვარულს მთელი არსებით მიეცემოდა, ქალი, ვისი გრძობაც, ჩვეულ გზას ამცდარი, მხოლოდ გულით ნაკარნახევი სურვილისაგან მომდინარე იქნებოდა, ქალი, ვინც საყვარელში მხოლოდ სატრფოს დაინახავდა. დიახ, მე მინახავს ასეთი ქალი (თანაც მხოლოდ პირველ დღეს არა), ნეტარი განცდის შემდეგ ცრემლებად რომ დაღვრილა, ერთი წამის მერე კი მის სულში გახშიანებული ჩემი რაღაც სიტყვის გამო კვლავ ვნებას მინებებია. დაბოლოს მსურდა ამ ყოველივეს თან დართოდა ბუნებრივი სიწრფელე, ძვალ-რბილში უკვე იმხომ გამჯდარი, ვერა ძალა რომ ვერ დათრგუნავდა და ვერა გრძობის დამალვას ვერ შეიძლებდა. დამეთანხმეთ, ასეთ ქალებს იშვიათად შეხვდები კაცი. მწამს კიდევ, თუ არ ეს ქალი, მისთანას აღბათ ვერც ვერასოდეს შევხვდებოდი.

ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, თუკი სხვა ქალზე მეტხანს მას ვუერთგულე. თუ მისი შემწეობით ჩემი დაკვირვებისთვის საჭიროა ბედნიერება მივანიჭო, რატომ უნდა ვთქვა ამაზე უარი, მით უმეტეს თუ ეს ხელს არ შემიშლის? ხოლო თუ გონება ჩემი მისითაა დაკავებული, განა ეს ნიშნავს, გული ჩემიც მან დაიმონა? არამც და არამც, ამიტომაც ვაფასებ ამ თავგადასავალს, მაგრამ ეს სულაც არ დამაბრკოლებს სხვაგანაც ვეძიო სიამოვნება და მსხვერპლად შეეწირო კიდევ უფრო სასიამოვნოს.

და არც იმდენად ვარ დაბორკილი, პაწია ვოლანეს ზურგი ვაქციო, თუმცა ეს ჩემთვის არც ისე დიდად ფასობს. სამი დღის შემდეგ დედამისი მას პარიზში ჩამოაბრძანებს. გუშინვე უკვე დავიჭირე საამისო თადარიგი. ცოტათოდენი ფული ნეკარეს, რამდენიმე ტკბილი სიტყვა მის ცოლს — და საქმეც გავჩარხე. ეს მარტივი ხერხი დანსენის არც კი მოფიქრებია! კიდევ იტყვიან, საყვარული კაცს გველის ტყავში გააძვრენსო. პირიქით — ვისაც ის დაუფლებს, სულ მთლად გამოატვინებს. თქვენ კი მაინც გგონიათ, მე მისგან თავს ვერ დავიცავ! გული საგულეს გქონდეთ. სულ მალე გავანგლებ ამ იქნებ მეტისმეტად ძლიერ შთაბეჭდი-



ლებას და სხვათა მეოხებით ან მოედრეკ, ან შევეცდები ახალ-ახალი შთაბეჭდილებანი მოვაპრაულო.

ისე რომ, მზად გახლავარ პანსიონის ნორჩი მოწაფე მის გაუბელად მიუწერს გადავულოცო, თუკი ინებებთ. არა მგონია; ამის საწინააღმდეგო რამე გქონდეთ. მეც თანახმა ვარ ესდენ დიდი სამსახური გაუწიო იმ საბრალო ბიჭს! თუმცა ამასთან შედარებით, როგორც მან გამიწია, ეს დიდს არაფერს ნაშენებს. მაშინ კალზე წუხს და შფოთავს, მიიღებს თუ არ მიიღებს ქ-ნი დე ვოლანტი. მაშინ მიძლია ვამშვიდებ და ვარწმუნებ, პირველივე დღიდან შევეცდები გაგაბედნიერო-მეთქი. ჯერჯერობით კი მიმოწერის საქმეს ვაგვარებ, რაიც მისი სესილის ჩამოსვლისთანავე სურს განაახლოს. უკვე დამიგროვდა მისი წერილები. ნანინატრი დღის დადგომამდე ალბათ კიდევ ერთი თუ ორი მიემატება. არა, მაგ ყმაწვილს, მგონი, საქმე გამოლევიან!

თუმცა თავი ვანებოთ ამ ღლაპებს და ისევ ჩვენს საქმეთ მიეხედოთ. თქვენ-ნა წერილმა უნეტარესი იმედი ჩამისახა და მხოლოდ მასზე მინდა ვიფიქრო! დიახ, დიახ, თქმა რად უნდა, თქვენ გვერდით დამტოვებთ, ამაში ეჭვის შეტანაც კი არ გეპატიებათ. განა მუდამ არ ვიყავ თქვენი ერთგული? მერე რა, რომ სიახლოვის ძაფები ცოტა მოსუსტდა, მაგრამ არ გაწყვეტილა. ჩვენი, ასე ვთქვათ, განშორება მხოლოდ მცდარი წარმოდგენის ნაყოფია: გრძნობები და ინტერესები ხომ იგივე დარჩა. უკან დაბრუნებულ გაბრძნობილ მოგზაურის მცეც ვალიარებ, მატუნებელ იმედს აღევნებულმა ბედნიერებას ზურგი ვაქციე და დ'არკურის სიტყვებს გავიმეორებ:

რაც მეტ ქვეყანას მოინახულებ,  
მით მეტად გიყვარს შენი ქვეყანა!

ნულარ ებრძვით იმ გრძობას, კელავ ჩემკენ რომ გაბრუნებთ. ჩვენი გზით მაგალებმა ჩვენ ვიგეშეთ ყველანაირი სიამოვნება, ახლა კი მოდით დავტკბეთ იმ ბედნიერი შეგრძნებით, რომ ვერც ერთი ვერ შეედრება ერთმანეთთან განცდილს და რომ იგი კიდევ უფრო ნეტარი მოგვეჩვენება!

მშვიდობით, ჩემო მშვენიერო მეგობარო, თანახმა ვარ დაველოდო თქვენს დაბრუნებას. ოღონდაც იჩქარეთ და გახსოვდეთ, რარიც მწყურია იგი.

პარიზი, 8 დეკემბერი 17...

### 134-ე წერილი

#### მარკიზის მეშვენიერ ქ-ნი დე მერტივი ვიკონტი დე ვალეონს

მართლა პატარა ბავშვივითა ხართ, ვიკონტი, ვისთანაც არც არაფრის თქმა შეიძლება და არც არაფრის ჩვენება, მყის წართმევა არ მოინდომოს! შემთხვევით რაღაც მომაფიქრდა, გაგაფრთხილეთ კიდევ, ამას ყურს ნუ ათხოვებთ-მეთქი, მაგრამ გამოვთქვი თუ არა, მაშინვე ჩააფრინდით. გინდათ მხოლოდ მასზე ვიფიქრო, მთელი გულისხმა მასზე გადავიტანო, მაშინ როცა სულაც საპირისპიროსკენ ვისწრაფვი, გსურთ, ასე ვთქვათ, საკუთარი ნების წინააღმდეგ თქვენი უგუნური სურვილები გავიზიარო! განა სულგრძელობაა თქვენი მხრივ მარტო მე ამკვიდით კეთილგონიერების მთელი ტვირთი? გიმეორებთ — და ჩემს თავს უფრო

1. დიუ ბელუა, ტრაგედია „კალეს აღეა“.



ხშირად ვაგონებ: როგორც თქვენ გინდათ, ჩვენი ურთიერთობა ისეთი ვერამც და ვერამც ვერ იქნება მთელი თქვენი სულგრძელობის მაუხედავად, ახლა რომ იჩენთ, როგორ გგონიათ, იმდენად მაკლია წესიერება, დაუთანხმდე მსხვერპლზე, ბედნიერებას რომ წაგართმევთ?

ნუთუ თავს იტყუებთ, ვიკონტ, ნუთუ ვერ ხვდებით, რა გრძნობა გაკავშირებთ ქ-ნ დე ტურველთან? თუ ეს სიყვარული არაა, მაშეკრეფე რა არსებულა. ასეზის უარყოფთ ამას და ათასგზის კი ამტკიცებთ — მასმ მრას მოწმობს თქვენი ცდა საკუთარი თავის მოტყუებისა (თუმცა არ შეეჭვება, ჩემთან გულწრფელი ბრძანდებით) ან ის ამბავი, როცა ცნობისწადილად ასაღებთ სურვილს მაგ ქალის გვერდით დარჩენისა, სურვილს, რაიც ვერ დაგიძალავთ და ვერც ჩაგიხშვიათ? კაცს ეგონება, მართლაც არ არსებულა ამქვეყნად მეორე ქალი, ვოსაც ბედნიერებას, სრულ ბედნიერებას მიანიჭებდეთ? რა ცუდი მეხსიერება გქონიათ, ამას თუ ეჭვობთ! მაგრამ მთავარი ეს არაა. უბრალოდ გონმა დაიმორჩილა გული და გაიძულათ უძლეური საბუთები გეძიათ. მაგრამ მე, ვისაც არ მსურს მოუტყუდე, ასე ადვილად ვერ მომატყუებთ.

მე, მაგალითად, არ გამოძმარვია, რარიგ ფრთხილობთ არ იხმაროთ ის შედარებანი, თქვენი აზრით მე რომ არ შეამებოდა. არც ის გამოძმარვია, თქვენდა შეუცნობლად მათთვის მაანც არ ვილაღატნიათ. თუ ქ-ნი დე ტურველი ახლა არც მომხიბლავია და არც ღვთაებრივი, სამაგიეროდ განსაცვიფრებელი ქალია, ნაზი და მგრძნობიარე, მოკლედ ისეთი, იშვიათად რომ შეხვდება კაცი, თუ არ ეს ქალი, მისთანას ვერც ვერასოდეს ვერც შეხვდებოდით. იგივე ითქმის ხიბლზედაც, რის დაძლევას თურმე შეიძლებთ.

დე ასე იყოს. მაგრამ თუ აქამდე არ შეგხვედრიათ, ალბათ არც მომაუაღში შეგხვდებით. ეს ნიშნავს, მის დაკარგვას ვერაფერი აგინაზლაურებთ. ეს ყოველივე, ვიკონტ, ან სიყვარულის ნიშნებია ან საერთოდ ასეთი ნიშნების აღმოჩენა საერთოდ არ შეძლებულა.

მერწმუნეთ, ვიკონტ, ახლა სიბრაზე არ მაღაპარაკებს. ჩემს თავს სიტყვა იივეცი იგი არ გავიკარო. ვინაიდან უკვე ვიცი, რა სახიფათო მახესაც წარმოადგენს. დამიჯერეთ, დავრჩეთ მხოლოდ მეგობრებად. მაღლობაც მითხარით, რომ ასე ვაქცაყურად ვიცავ თავს: დიახ, დიახ, ვაქცაყურად, რადგან იგი შიგადაშიგ ჭირდება ადამიანს იმ გზას არ დაადგეს, თვითონაც რომ უვარგისად თვლის.

ამიტომ თქვენს კითხვაზე, რა ისეთ მსხვერპლს მომთხოვდით, მე არ გამელოთ — მხოლოდ იმიტომ გიპასუხებთ, რომ დაგარწმუნოთ ჩემი აზრი გაიზიაროთ. განზრახ დავწერე, მომთხოვდით, რადგან ვიცი, ახლა მეტიმეტად მომთხოვნად ჩამთვლით. თუმცა იქნებ ასედაც სჯობდეს. და არათუ მეწყინება თქვენი უარი, მაღლიერიც დავრჩებით. უფრო მეტიც — ვის-ვის, და თქვენ წინაშე თავის მოკატუნება არც მმართებს. უარი — ვინ იცის — ჩემთვის იქნებ აუცილებელიც იყოს. მე მოგთხოვდით — რა სასტიკი ვარ, არა! — ეგ ქალი, ეგ იშვიათი და განსაცვიფრებელი ქალი თქვენთვის ყოვლად ჩვეულებრივ ქალად აქცეს, როგორც სინამდვილეში ბრძანდება. თავი რად უნდა მოვიტყუოთ! ხიბლი, სხვაში რომ ეპოულობთ, ჩვენშივეა, მშვენიერზე მშვენიერად მხოლოდ სიყვარული ქმნის საყვარულ არსებას. იქნებ განუხორციელებელიც იყოს ჩემი მოთხოვნა, მაგრამ თავი უნდა აიძულოთ ეს აღმითქვათ, შემფიცოთ კიდევ. ისე კი მართალი ვითხრათ, ლიტონ სიტყვებს არ დაუჯერდები, საქციელითაც უნდა დაზიდასტუროთ.



თუმცა ალბათ სხვა ახირებანიც გამოიჩინდება. ძალიან გინდათ პაწია ვოლანგი მსხვერპლად შემწიროთ, მე კი სულაც არა მსურს, პირიქით, მინდა კიდევ ეს არცთუ იოლი სამსახური ჩემს ახალ ბრძანებამდე არ შეწყვიტოთ. იქნებ იმიტომ, თქვენზე ჩემი ძალა ვაჩინო, იქნებ შეწყნარებისა და სამართლიანობის გრძნობის კარნახით არ მინდა სიამოვნება მოვაკლოთ და მარტოდუნ თქვენს გრძნობებზე ბრძანებლობით დავეკმაყოფილოდე. ასეა თუ ისე, მორჩილებას მოგთხოვნილობით, ჩემი მოთხოვნები კი ფრიალ სასტიკი იქნებოდა!

ისიც მართალია, მაშინ თავს მოვალედ შევრაცხდი მაღლობა შეთქვა ან სულაც დამეჯილდოვებინეთ, ეთქვათ, განშორების ვადის შემცირებით, როცა ჩემთვისაც იგი გაუსაძლისი გახდებოდა. ერთი სიტყვით, მე შეგხვდებოდით, ვიკონტ, შეგხვდებოდით, როგორც... როგორც ვინ? თუმცა ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ, მხოლოდ განუხორციელებელ გეგმებზე ვეაქვს ლაპარაკი და მარტო მე ერთს არ უნდა მახსოვდეს ეს.

იცით თუ არა, რომ ძალზე მაშფოთებს ჩემი პროცესის ამბავი? ბოლოს და ბოლოს ზუსტად ხომ უნდა გავარკვიო, რისი იმედით უნდა ვიყო. ჩემი ვექილები რაღაც კანონებს იმიზეზებენ, მეტადრე ვიღაც-ვიღაცათა ავტორიტეტებს, როგორც თავად ამბობენ. მაგრამ ეს ყოველივე მათსავით არც გონივრულად და არც სამართლიანად მიმაჩნია. ლამის ვინანო, მორიგებაზე რომ არ დავთანხმდი, ერთადერთი ნუგეშია, რომ პროკურირი მარჯვე ვინმეა, ვექილი ენამზიანი, მომჩივანი კი ლამაზი და მშვენიერი. თუ ამ სამამა რამემ ვერ გასჭრა. მაშასადამე, საქმის წარმოების წესი შესაცვლელია. თუმცა მაშინ ვინდა მიაგებს პატივს ძველ წესებს და ჩვეულებებს?

აქ ახლა ამ პროცესის ამბავი მაფოვნებს მხოლოდ. ბელროშის პროცესი დამთავრდა: საჩივარზე უარია ნათქვამი, ხარჯებიც დაფარული. უკვე გული წყდება, დღევანდელ მეჯლისზე რომ ვერ მოხვდება. აბა, აბა, რაზე იწყვეტს გულს კაცი, როცა საქმე არაფერი აქვს! პარიზს რომ დავბრუნდებით, სრულ თავისუფლებას მიეცემ. უნდა გავიღო ეს სამწუხარო მსხვერპლი. ნუგეშად ისდა მრჩება, ამას რომ სულგრძელობად ჩამითვლის.

მშვიდობით, ვიკონტ, ხშირად მომწერეთ ხოლმე. იქნებ თქვენმა თავშექცევის ამბებმა დროებით მაინც მომწყვიტოს ამდენ საზრუნავს.

...-ის კოშკიდან, 11 ნოემბერი 17...

### 135-ე წერილი

#### პრეზიდენტის ვეუილე 2-60 და ტურველი 2-6 და როზმონდს

მინდა მოგწეროთ, ოღონდ არ ვიცი, შევიძლებ კია. არადა, წინა წერილი ბელნიერების სიტყვების გამო ვერ დავამთავრე! ახლა კი ისე გამანადგურა უკიდურესმა სასოწარკვეთამ, ტანჯვის განცდის ძალა კი შემწევს, ოღონდ არა მისი გამოთქმის.

ვალმონს... ვალმონს აღარ ვუყვარვარ და არც არასოდეს ვყვარებივარ. იგი მატყუებს, იგი მღალატობს და შეურაცხმყოფს. თავს დამატყდა ყველანაირი უბედურება, ყველანაირი დამცირება, რაც ქვეყნად არსებობს, და ეს ყველაფერი მის გამო, მისი წყალობით!

არ გეგონოთ ეს მხოლოდ ეჭვებია, ეჭვები თავში როგორ მომივიდოდა!



მაგრამ ვაი რომ წამერთვა ბედნიერება ეჭვი არ მქონდეს. ყველაფერი ხომ ჩემი თვალთ ვიხილე — ნეტა რა უნდა თქვას თავის გასამართლებლად? თუმცა განა სულერთი არაა? არც კი დაიწყებს თავის მართლებას... მე უბედურო! რა ენადღლება შენი საყვედურები, შენი ცრემლები? ძალიანაც კარდება!..

დიახ, მან მართლაც გამწირა, მართლა მიღალატა... რა უნდა გასთან? სულმდაბალ ქმნილებასთან... თუმცა რას ვამბობ? რა უფლება მაქვს მას ზიზღით შევხედო და დავამცირო. ის ჩემზე ნაკლებ დამნაშავეა, ვინაიდან მისთვის არ უღალატნია. თურმე რა საშინელება ყოფილა ტანჯვა, სისღისის ქენჯნით გამძაფრებული! მაგრამ წერისას ტანჯვა-წამება უფრო გამძლიერდა. მშვიდობით, ჩემო მეგობარო, და თუმცა არა ვარ ღირსი თქვენი შებრალების, მაინც შემიბრალოთ, როცა ფიქრად გაივლებთ, რარივ ვიტანჯები.

გადავიკითხე ეს წერილი და მივხვდი, რომ იგი ვერაფერს ვერ აგისწიოთ. რა გაეწყობა, მხნეობა უნდა მოვიკრიბოთ იმ საჩარელი ამბის მოსაყოლოად, რაც გუშინ მოხდა. პარიზში დაბრუნების შემდეგ ეს პირველად იყო, შინ რომ არ უნდა მევახშმა. ვალმონმა ხუთ საათზე შემოიარა. ასე ნაზი არასოდეს ყოფილა! მაგრამნობინა, ჩემი სტუმრად წასვლა არც მაინცდამაინც სიამოვნებდა. თვითვე მიხვდებით, რომ წასვლა ძალიან გადავიფიქრე. ორი საათის შემდეგ კი სახეც და კილოც შეეცვალა. არ ვიცო, იქნებ ისეთი რაღაც წამომცდა, მას რომ არ მოეწონა. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიციხადა, ერთი საქმე დამაფიქრდა, იძულებული ვარ დაგტოვო, და წავიდა. ეს კია, ყოვლად ცოცხლად გამოხატა სინანული, სინანითა და სიწრფელით საუსე, როგორც მაშინ მერვენა.

მართლ რომ დავრჩი, ვიფიქრე, რაკილა ხელს არაფერი მიშლის, უფრო სწორი იქნება, მაცემულ სიტყვას თუ არ გავტეხ-მეთქი. ჩავიცვი და კარეტაში ჩავჯექი. საუბედუროდ, მეეტლემ ოპერის წინ მაშინ გამატარა, როცა იქიდან ხალხი უკვე გამოდიოდა და ჭედვა იყო. უცნობი ჩემგან ახლოს, ოთხიოდნაბიჯზე ვალმონის კარეტა დავიხახე. მყის გული ამიბგერდა, ოღონდაც მიშისგან არა. მინდოდა მხოლოდ ჩემი კარეტა რაც შეიძლება ძალიან წინ წასულიყო. მაგრამ მის კარეტას უკან დაბევა მოუხდა და ჩემსას გაუსწორდა. მაშინვე თავი გამოვყავ. წარმოიდგინეთ ჩემი გაოგნება, როცა მის გვერდით მსუბუქი ყოფაქცევით კარგად ცნობილი არსება დავიხახე! ალბათ მიხვდებით, რომ უმაღლეს უკან გადავიხარე. რაც ვნახე, ისიც კმაროდა ჩემი გულის დასაკოდავად. მაგრამ არ დაიჯერებთ და ეს არსება, ვისაც, როგორც ჩანს, ასე უსინდისოდ უამბო ჩემი ამბავი, კარეტის სარკმლიდან ჯიქურ მიმხერდა და ხმამაღლა, გამომწვევად კისკისებდა...

ამ ამბით განადგურებულმა მაინც მივაყვანიხე თავი იმ სახლთან, სადაც მიწვეული ვიყავ ვახშამზე. მაგრამ იქ დარჩენა ვეღარ შევძელი, ყოველ წამს მეგონა, სადაცაა გული წამივა-მეთქი. რაც მოთვარიო, ცრემლებს ვერ ვიკავებდი.

შინ დაბრუნებულმა ბ-ნ დე ვალმონს მაშინვე წერილი გავუგზავნე. ის სახლში არ აღმოჩნდა. ვიცოდი, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა ან ამ საშინელი ტანჯვისაგან უნდა მეხსნა თავი ან მთელი საცოცხლე გავწამებულიყავ. ამიტომ ხელახლა გავაგზავნე მსახური ამ წერილით და დავაბარე, ვალმონის დაბრუნებას დალოდებოდა. მსახური შუალამისას დაბრუნდა და მაუწყა, კარეტა ცარიელი მოვიდა და მეეტლემ თქვა, ბატონი მთელი ღამე შინ არ იქნებო. დილას გადავწყვიტე, სხვა რა გზა მქონდა, ვალმონისთვის ხელ-



მეორედ მეთხოვა ყველა ჩემი წერილის დაბრუნება და მეთხოვა ისიც, ჩემს სახლში ფეხი აღარ დაედგა. საამისოდ განკარგულებაც გავეცე, მაგრამ, ეტყობა, არც ყოფილა საჭირო: აგერ უკვე ნაშუადღევია, მაგრამ არც თვითონ გამოჩენილა და არც ბარათი გამოუგზავნია.

მეტს ველარაფერს დავამატებ, ჩემო ძვირფასო მეგობარო. უკვე ყველაფერი იცით, ჩემს გულსაც კარგად იცნობთ. მხოლოდ ერთადერთი ექვეყნე მსჯელობა დღემულებს, — დიდხანს აღარ მომიწევს თქვენისთანა მეგობრის გულს იტყუება.

პარიზი, 15 ნოემბერი 17...

### 186-ე წერილი

#### პრეზიდენტის ვეზულე ძ-ნი და ტურველი ვიკონტ და ვალმონს

გუშინდელი ამბის შემდეგ აღბათ მიხვდებით, ბატონო ჩემო, ჩემს სახლში ველარ მობრძანდებით. თუმცა არც თქვენ ისწრაფვით, მეგონი, ამისკენ! გწერთ არა მარტო იმიტომ, ჩემთან აღარ მობრძანდეთ, მსურს ჩემი წერილებიც დაბრუნდეთ, რომელთა დაწერა არც მშართებდა. თუკი ისინი ერთ დროს თქვენთვის რაღაცას ნიშნავდა, ვით საბუთი იმისა, თუ როგორ დამობრძანდეთ, ახლა როცა თქვენ უკვე ახელილი მიქვს, აღარაფრად უნდა გიღირდეთ, ვინაიდან გრძნობა, იქ გამოხატული, თქვენვე გააცამტვერეთ.

გამოტყუებით უნდა ვთქვა, ჩემგან დიდი შეცდომა იყო თქვენი ნდობა, რომელმაც ჩემამდე ამდენი ქალი შეიწირა. ამაში მხოლოდ ჩემს თავს ვამტყუებ. და მაინც, ვგონებ, არ ვიმსახურებდი თქვენგან გამასხარებასა და შერცხვენას. მეგონა, რაკი ყველაფერი შემოგწირეთ, რაკი თქვენი გულისთვის დაუკარგე როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის პატივისცემა, აღარ განმსჯიდით საზოგადოებაზე უფრო მეტად, რომელიც მაინც დიდად ანსხვავებს ქალს, ვინც საკუთარმა სისუსტემ იმსხვერპლა, იმ ქალისაგან, ვარყენილების გზას რომ საბოლოოდ დაადგა. აქ მხოლოდ თქვენს იმ დანაშაულთა შესახებ ვლაპარაკობ, ყველასგან და ყოველთვის რომ დაგმობილია. აღარას ვიტყვი დანაშაულზე სიყვარულის წინაშე, თქვენი გული ჩემსას მაინც ვერ მიუხვდება. მშვიდობით, ბატონო ჩემო.

პარიზი, 15 ნოემბერი 17...

### 187-ე წერილი

#### ვიკონტ და ვალმონსი პრეზიდენტის ვეზულე ძ-ნი და ტურველს

ეს წუთია მომიტანეს თქვენი წერილი, რომელმაც ისე შემძრა, ძალაც არ შემწვევს ვიპასუხოთ. თურმე რა საშინელი წარმოდგენა გქონიათ ჩემზე! მართალია, ცხოვრებაში ბევრი ისეთი დანაშაული ჩამიდენია, ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატივებ, გინდაც თქვენმა მოწყალე გულმა აპატიოს, მაგრამ რა-ზომ უცხო იყო ჩემთვის, რასაც ახლა მსაყვედურობთ. როგორ, ეს მე გამცილებთ, მე შეურაცხყოფთ, ვისიც თქვენდამი პატივისცემა სიყვარულზე არა-



ნაკლებ ძლიერია, ვინც სიამაყით მხოლოდ მაშინ აღივსო, როცა იგი თქვენს ღირსად სცანით? თქვენ შეგაცდინათ გარეგნულმა ვითარებებმა, ვიცი, მათ შეიძლება ჩემ წინააღმდეგ ემოქმედათ, მაგრამ ნუთუ გულმა არ ვიკარნახათ ამ შეცდომას შებრძოლებოდით? ნუთუ არ აღშფოთდით იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლება საბაბი გქონდეთ ჩემზე დაჩვილებისა? თქვენ კი დაიჯერეთ! მაშასადამე, არათუ ასე უხინდისოდ და უგულოდ შემრაცხეთ, ისიც ეფიქრეთ, რომ ჩემდამი თქვენს სიკეთეს ემსხვერბლეთ! ო, თუ თავს ეტყვიანად გრძნობთ სიყვარულის წყალობით, თურმე როგორ დავმდაბლებულვარ თქვენს თვალში!

დათრგუნული და გაწამებული ვაი რომ დროს ამაოდ ვკარგავ, რომელიც თქვენი მეხსიერებიდან მის აღმოფხვრას უნდა მოხმარებოდა. გამოგიტყდებით და, კიდევ ერთი მიზეზი მაჩერებდა. ვითომ საჭირო ვაი იმ შემთხვევაზე ვილაპარაკოთ, სულაც რომ მინდა დავივიწყო? საჭირო ვაი თქვენი ყურადღება — და ჩემი ცნობიერ შეცდომაზე შევაჩერო, მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლით რომ მინდა გამოვიხეილო, თუმცა მისი მიზეზი ჯერ კიდევ მთლად ვერ გამირკვევია და რომლის შოგონება მუდამ სამარცხვინო და დამამცირებელი იქნება ჩემთვის? და თუ საკუთარი თავის დადანაშაულებით კიდევ უფრო განგარისხებთ, ჯავრის ამოყრა ადვილად შეგიძლიათ: საკმარისია სინდისის ქეჯნის ამარა დამტოვოთ.

და მაინც — თუმცა ვინ დაიჯერებს? — თავიდათავა მიზეზი ამ შემთხვევისა ისევ და ისევ ის ყოლისშემძლე ხიბლია, თქვენ გვერდით რომ განვიცდი. სწორედ მან დამავეიწყა, რა გადაუღებელი საქმე მქონდა. თქვენგან დაგვიანებით წამოსული ელარ შევხვდი იმ კაცს, ვისაც ვეძებდი. მეგონა, ოპერაში მივუსწრებდი, მაგრამ ეს ცდაც ფუჭი გამოდგა. იქ ემილის შევხვდი. მას იმ დღეებიდან ვიცნობდი, როცა თქვენზე წარმოადგენაც არ მქონდა, როცა ჭეშმარიტ სიყვარულისა არა ვიცოდი რა. ემილის კარუტა არ ჰყავდა, მოხოვა, შინამდე მიმიყვანეო. თვატრიდან ორ ნაბიჯზე ცხოვრობს. ეს დიდად არაფრად ჩაშიგდია და დავთანხმდი, აი მაშინ შევხვდით ერთმანეთს და მყისვე მივხვდი, ამას დანაშაულად ჩაშითვლიდით.

თქვენი განაწყენების შიში იმდენად მძლავრობს ჩემზე, შეუმჩნეველი არ შეიძლება დარჩენილიყო და მართლაც არ დარჩა. გამოგიტყდებით და, ამან მაიძულა კიდევ ამ ქალბატონისთვის მეთქვა არ დაგნახებოდით. მაგრამ სიყვარულით ნაკარნახევმა ამ სიფრთხილემ სიყვარულისვე წინააღმდეგ ემოქმედა. ასეთ ქალებს ხომ მუდამ მიაჩნიათ, მათი უკანონო ძალა მაშინაა მტკიცე, თუ ბოროტად გამოიყენეს. ემილმაც ხელიდან არ გაუშვა ეს ბრწყინვალე შემთხვევა. რაც უფრო მეძალეობდა შეცბუნება, მით მეტად ცდილობდა ჩემს კარვტაში დაგენახათ. ხოლო ვიფიქრებ რომ კისკისებდა — რომლის გახსენებაზე ახლაც კი ვწითლდები, თუნდაც წუთითაც ამის მიზეზად მე ჩაგეთვალეთ — ალბათ იმიტომ, ასე საშინლად რომ ვიტანჯებოდი, ისევ და ისევ თქვენდამი სიყვარულის და მოწიწების გამო.

აქამდე ჩემი აზრით მე უფრო უბედური ვარ, ვიდრე დამნაშავე, ხოლო იმ საქციელთ, ერთადერთთ, რომელთაც ახსენებთ და რომელნიც ყველა საგან და ყოველთვის დაგმობილია — მათ გამო საყვედური არ მეკუთვნის. ოღონდაც ამაოდ დუმხართ იმ საქციელზე, სიყვარულის



წინააღმდეგ რომაა მიმართული. მე კი არ გავრუმდები. ამას მაიძულებს მეტი სმეტად საგულისხმო მოსაზრებანი.

ჩემი მხრივ ამ გაუგონარი საქციელით იმდენად ვარ შეცბუნებული და შერცხვენილი, მათი მოგონება უადრესად მაწუხებს და მტანჯავს. საკუთრივ დანაშაულის შეგრძნება იმზომ მთრგუნავს, მზად ვარ ახლავ დავისაჯო, ან და ისევ დროს დავაცალო, ვინემ ჩემი უსაზღვრო სინაზე და სინანული თქვენს პატივებს არ დაიმსახურებს. ან როგორ დავდუმდე, თუკი დარჩენილ სთქვენს მელს სწორედ თქვენთვის აქვს მნიშვნელობა, სწორედ თქვენს გრძნობებს შეეხება?

არ იფიქროთ, ვითომდა თავის გამართლებას და დანაშაულის დაფარვას ვცდილობ. არა, ჩემს დანაშაულს თვით მე ვაღიარებ! მაგრამ ვერც ახლა და ვერც ვერასდროს ვერ ვაღიარებ, ეს ჩემთვის დამამცირებელი შეცდომა სიყვარულის წინააღმდეგ ჩადენილ შეცდომად მოინათლოს. რა უნდა იყოს საერთო წამით დამაბრძოლებელ, მერე კი სირცხვილისა და სინანულის გრძნობით ამავსებულ ვნებასა და წმინდა სიყვარულს შორის, მხოლოდ სინაზით სავსე სულში რომ იბადება, მხოლოდ პატივისცემა რომ უმაგრებს მზარს და სრული ბედნიერების მინიჭება შეუძლია? ო, ასე ნუ დაამცირებთ სიყვარულს, რაც მთავარია, ნუ დაამცირებთ თავს, დაუკავშირებელს ერთმანეთს ნუ დაუკავშირებთ. დე მეტოქეობის ზნედაცემულ, სულმდაბალ არსებათ ეშინოდეთ, რომელთაც ეს მუდამ ემუქრებათ და უნებლიეთ თვითაც გრძნობენ ამას. დე ისინი გააწამოს ეჭვის გრძნობამ, ისევე დამამცირებელმა და ისევე უწყალომ. მაგრამ თქვენ უნდა ააცდითო მზერა ყოველივეს, რაც მას შებლაღავს, ღვთაებასავით წმინდამ და სპეტაკმა მასავით უნდა დასაჯოთ შეურაცხოფისათვის ისე, რომ გულს ახლოს არ გააკაროთ.

თუმცა რა სასჯელი უნდა მომავით იმაზე მძიმე, რასაც ახლა განვიცდი? რა შეედრება ჩემს სინანულს იმ საქციელის გამო, თქვენი რისხვა რომ გამოიწვია, ჩემს სასოწარკვეთას, გული რომ გატკინეთ, იმ დამთრგუნველ ფიქრს, თქვენი ღირსი რომ უკვე აღარ ვარ? თქვენ ჩემი დასჯის გზებს ეძიებთ, მე კი ნუგეშს ვთხოვთ არა იმიტომ, რომ დავიმსახურე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ზუცილებელია და თქვენ გარდა მას ვერაფერს მომანიჭებს.

მაგრამ თუ დაგავიწყდათ ჩემი და თქვენი სიყვარული, თუ ჩემი ბედნიერება თქვენთვის არაფრად ფასობს და გწადიათ სიცოცხლე სამუდამო ტანჯვად მიქციოთ — უფლება გაქვთ ჩამცეთ ლახვარი. მაგრამ თუ იქნებით შემწყნარე და გულისხმიერი, თუ გაიხსენებთ, რა სინაზე აკავშირებდა და აერთებდა ჩვენს გულებს, რა ძლიერი ლტოლვა სულისა, მუდამ და მუდამ განახლებული, და უფრო და უფრო მწველი, თუ გაიხსენებთ იმ ნეტარსა და ბედნიერ დღეებს, მხოლოდ სიყვარული რომ ანიჭებს, იქნებ თქვენი ძალა ამ ყოველივეს მკვდრეთით აღდგენას მოახმაროთ, ვინემ გაცამტვერებას? მეტი რა ვითხრათ კიდევ? მე ყველაფერი დავკარგე ჩემი მიზეზით. მაგრამ თქვენი კეთილი ნება და — ყველაფერი ისევ აღსდგება. გადაწყვეტა ახლა თქვენზეა. მხოლოდ ერთ სიტყვას დავამატებ. განა გუშინ არ შემომფიცეთ, თქვენი ბედნიერება თუ ჩემზეა დამოკიდებული, იგი უზრუნველყოფილი იგულვეთო! ო ნუთუ გამოუვალ და უსაშველო სასოწარკვეთაში ვნებავთ ახლა ჩამავდით?



ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მიუღწევე ქ-ნ და მირტიის

და მაინც ისევ ჩემსას ვიყინებ: მე შეყვარებული არ ვახსენებ. განა ჩემი ბრალია, თუ იძულებული ვარ ასეთად ვაჩინო თავი. დამთანხმდით და ჩამობრუნდით. თვით დარწმუნდებით, გულწრფელი ვაპირებ ვის გუშინ დაეპტკიცე, დღევანდელი კი გუშინდელს არ გამოვრცხნავს.

გუშინ მგრძობიარე უკარებასთან გახლდით. სხვა რამ საქმე მაინც არ მქონდა. პაწია ვოლანჯი თავისი მდგომარეობის მიუხედავად მთელი დამე ქ-ნ და ვ...-სთან მუჯლისზე უნდა წახულიყო, თუმცა სეზონი არ დაწყებულა. უსაქმოდ მყოფმა მოვიინდომე უფრო მეტ ხანს დავრჩენილიყავ და საამისოდ ტურფა უკარებას მსხვერპლი მოვთხოვე. თღონდაც თანხმობის სიამოვნება იმ ფიქრმა ჩამიშწარა, რომ მაინც ჯიუტად გჯერათ ჩემი გამოიჯნურება, ყოველ შემთხვევაში მუდამ ამას მაყვედრით. პოდა, ერთადერთი სურვილი მქონდა როგორც ჩემი, ისე თქვენი დარწმუნება, რომ ცილს ამაოდ მწამებთ.

ამიტომაც ფრიად გაბედული გადაწყვეტილება მივიღე. სულ უბრალო რაღაც მოვიძიებზე და ჩემი ტურფა უაღრესად გულდაწყვეტილი მივატოვე. იაუად კი არხეინად გავემართე ოპერისაკენ ემილისთან შესახვედრად. თვით დაგიმარტებთ, რომ ამ დილაბდე ვინემ დავშორდებოდით, ჩვენი სიამოვნებანი არა სინანულს არ აუძღვრევი.

თუმცა შეშფოთებისათვის საკმაო მიზეზი კი მქონდა, ასე არხეინად არ ვყოფილიყავი. მაშ იცოდეთ, მე და ჩემს კარეტაში მჯდარ ემილის ოთხი სახლი არ გაგვევლო, გორიზი ღვთის მხველის კარეტა გაგვისწორდა. გზა ჩაიჭედა და იგი ჩვენ გვერდით შვიდი-რვა წუთი იდგა. როგორც ჩახჩახა შუადღეს, ისე ვხედაუდით ერთმანეთს და ამას ვერც ერთი ვერა გზით ვერ ავიცდებდით.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ანაზღად მომაფიქრდა ემილისათვის შეთქვა, ეს ის ქალბატონია, ვისაც შენთვის კარგად ცნობილი წერილი მივწერე-შეთქი (აღბათ გახსოვთ ის ჩემი ოინი, როცა პიუპიტრად ემილი მყავდა)'. ცხადია, არ დაუიწყებია ეს ამბავი და მანამ არ მოიხვეწა, ვინემ გული არ იჯერა, მისი თქმით, ამ „ზეზურა კეთილზნეობის“ ჭკრეტით და, ბუნებით კისკისა, ისე უსირცხვილოდ კისკისებდა, კაცს მართლა მოთმინებიდან გამოიყვანდა. თუმცა არც ესაა ყველაფერი. იქნებ არ გჯერათ, რომ ექვნიანმა ტურფამ იმავე საღამოს მსახური გამომიგზავნა? მე შინ არ დავხვდი. მან მეორედაც გამოგზავნა მსახური და უბრძანა ჩემს მოსვლას დალოდებოდა. მე კი ემილისთან გადავწყვიტე დარჩენა. კარეტა შინ გავაბრუნე, შეუტლეს კი დავუბარე, დილას მომაკითხე-შეთქი. სიყვარულის შიკრიკი რომ დახვედრია, შეუტლეს პირდაპირ მიუხდია, ბატონი დილაბდე არ დაბრუნდებათ.

თქვენი აზრით ამ დაუსრულებელ ამბავს სინამდვილეში დღეს უნდა დასმოდა ჯვარი. მაგრამ თუ არ დავსვა, განა იმითომ, ჩემთვის ძვირფასი იყო, როგორც გვინათ, არა, მე იმას არ დავუშვებდი, ვინემ რომ მომატოვოს, და კიდევ — ეს მსხვერპლი თქვენთვის მიხლოდა შემომეწარა.

მაშასადამე, პასუხად იმ სასტიკი წერილისა ვრცელი და ფრიად მგრძობ-

1. იხ. 47-ე და 48-ე წერილები.



ბიარე უსტარი გავაშანშაღე. წვრილად ავუხსენი ყველაფერი, ხოლო მართალს რომ დამსგავსებოდა, სიყვარულიც მხარში ამოვიყენე. და კიდეც გასჭრა. ეს წუთია მუორე ბარათი მომიტანეს, თქმა რად უნდა, ისევე დაუნდობელი, თქმა რად უნდა, ისევე სამუდამო განშორების მაუწყებელი, ოღონდ უკვე სულ სხვა კილოსი. რაც მთავარია, ჩემი ხილვა არამც და არამც არ ნებავს. ეს მბაგი ოთხჯერაა გამეორებული და ფრიად მტკიცედ. ამან დამარწმუნა, რაღაც ნიშნად ვე უნდა ვხლებოდი. ეგერი უკვე გავაგზავნე შეკარის მოსათაფრებელი წუთის შემდეგ კი თავად მივდივარ — პატიებაზე თვით ვაიძულო ხელის მოწერა. რამეთუ მსგავსი დანაშაულის დროს გზა პატიებისა მხოლოდ ერთია და იგი შენგან პირად დასწრებას ითხოვს.

შშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო, გავრბივარ ამ დიდად მნიშვნელოვან საქმეზე.

პარიზი, 15 ნოემბერი 17...

### 199-ე წერილი

#### პრეზიდენტის მიუღწევე ძ-ნი ტურველი ძ-6 და როგორღღ

ო, როგორ ვაყვედრი ჩემს თავს, გულისხმერო ჩემო მეგობარო, ასე რომ ვიჩქარე და დაწვრილებით გამცნეთ ჩემი წუთიერი საწუნარი! ვინ იცის, როგორ განიცდით ახლა ჩემ გამო და როგორ დარდობთ, მე კი უკვე ბედნიერი ვარ. დიახ, დიახ, ყველაფერი დავიწყებულა და ყოველივე მიტევებული. მეტიც — ყოველივე აღდგენილი. დარდი და ჭმუნვა სიმშვიდემ და სიხარულმა შეცვალა. ო, გულო, როგორ გამოეხატო შენი სიხარული! ვალმონი დამნაშავე არაა. ან როგორ შეიძლება მასავით გიყვარდეს და დამნაშავე იყო. მას არ ჩაუდენია ის მძიმე, ჩემთვის შეურაცხყოფელი შეცოდებანი, გაცხარებული რომ ვაბრალე-ბდი. მხოლოდ ერთ რამეში დამჭირდა შეწყნარების გამოჩენა. თუმცა განა მე არ გამოვიჩინე ბევრ რამეში უსამართლობა, რისი გამოსყიდვაც მმართებს?

დაწვრილებით აღარ მოყვებები იმ ფაქტებსა და მიზეზებს, მას რომ ამართლ-ებს. იქნებ გონებას არც მაინცდამაინც დაეჯერებინა მათთვის: მხოლოდ გულს ძალუძს მათი აღქმა. მაგრამ თუ მაინც ჩემს სისუსტეს მიაწერთ ამას, თქვენივე სიტყვებს მოვიშველიებ. აკი თავად თქვით, მამაკაცთა არაერთგულეობა მუდამ როდია ერთგულების ღალატიო. ვიცო, როგორ არ ვიცო, რაოდენ შეურაცხოვს ჭეშმარიტ გრძნობიერებას ეს სხეობა, თუნდაც საზოგადოების მიერ დაკანონე-ბული. მაგრამ აქვს კი ჩემს გულს ნება დაინივლოს, როცა ვალ-მონი ასე წუხს და იტანჯება? მე თუ დავივიწყე მისი შეცოდება, არ გვეგონოთ, თავად პატიობს საკუთარ თავს ან სანუგეშოს რასმე ეძებდეს. არადა, ეს პატარა შეცოდება ჩემდამი რა დიდი სიყვარულისა და ბედნიერების მონიჭებით გამოისყიდა?

იქნებ მეტიმეტად ვარ ახლა საესე ბედნიერებით, ან იქნებ უფრო მეტად ვაფასებ ბედნიერებას მას შემდეგ, როცა მეგონა, დავკარგე-მეთქი. მაგრამ იმის კი ვიტყვი, თუ იმაზე მეტი ტანჯვის გადატანაზე მეყოფა ძალა, როგორიც



ახლა გადავიტანე, არა მგონია ვთქვა, ესდენ დიდი ბედნიერება მეტიმეტად ძვირად დამიჯდა-მეთქი. ო, ჩემო ნაზო დედა, გათათხეთ თქვენი უგუნური ასული, თავისი სულმოკლეობით რომ შეგაწუხათ, გათათხეთ იმისთვის, რომ მეტიმეტის კადნიერებით განსაჯა და ცილი შესწამა კაცს, ვისაც მუცელს და ყოველთვის უნდა აღმერთებდეს. თუმცა კი მისი უგუნურების მიუხედავად იცოდეთ, იგი ბედნიერია და კიდევ უფრო ბედნიერი იქნება, თუკი მის ბედნიერებას გაიზიარებთ.

ეროვნული  
ზინზინით

პარიზი, 15 ნოემბერი 17...

## 140-ე წერილი

### ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ და მერთის

კი მაგრამ, რად არ მწერთ პასუხს, ჩემო ტურფა მეგობარო? ჩემი ბოლო წერილი, მგონი, ამას იმსახურებდა. უკვე სამი დღის წინათ უნდა მიმედო, მე კი აქამდე ველი და ველი! იცით, რბილად რომ ვთქვა, ვჯავრობ კიდევ თქვენზე და აღარ მოგიყვებით ჩემს ყველაზე მნიშვნელოვან საქმეთა შესახებ. სიტყვასაც არ ვეტყვით, როგორ შედგა ჩვენი სრული შერიგება, საყვედურებისა და უნდობლობის ნაცვლად როგორ მავსებენ აღერსით, როგორ მებოდიშებიან ჩემს სიწმინდეში დაეჭვებისათვის. საერთოდაც აღარ მოგწერდით, თუ რომ ყოველად გაუთვალისწინებელი ამბავი არ მომხდარიყო. მაგრამ რაკილა ეს თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ასულს ეხება, ის კი ალბათ საჭიროდ არ მიიჩნევს ეს ამბავი გაუწყობთ — პირველ ხანებში მაინც — ამას ჩემს თავზე ვიღებ.

არ ვიცა, მიხვდით თუ არა, გარკვეულ მიზეზთა გამო ეს რამდენიმე დღეა ქ-ნ დე ტურველს აღარ ვხვდებივარ. რაკი ასეთი მიზეზი პაწია ვოლანეს არ მოუცია, მას უფრო ხშირად ეაკითხავდი. მეკარის თავაზიანობის წყალობით შესვლა არ გამჭირვებია. ისე რომ, მე და თქვენი საზრუნავი გოგონა მშვიდად და დინჯად ეატარებდით დროს. მაგრამ მიჩვევა თურმე უზრუნველსა ხდის ადამიანს! პირველ ხანებში სულ ვშიშობდით, სიფრთხილეს სულ ვიცავდით. ჩაკეტულ კართა მიღმაც შიშით ვკანკალებდით. მაგრამ გუშინ კი უგულისყურობამ ის შეგვამთხვია, რაზედაც ახლა მინდა გაუწყობთ. მე მხოლოდ შიში მაჭამა, პაწიას კი უფრო ძვირად დაუსვა.

როცა ვნებათა დელვის შემდეგ, როგორც ჯერ არს მოთენთილები ვისვენებდით, ანაზდად მოგვესმა, თითქოსდა ჩვენი ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო. მყის დაშნას ეტაცე ხელი, ჯერ ერთი საკუთარი თავის და მეორეც — თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფის დასაცავად. კარისკენ რომ გავქანდი, ვერავინ დავინახე, მაგრამ კარი კი მართლა ღია დამხვდა. სინათლე ჩამქრალი არ გვექონდა და ამიტომ დასაზვერად წავედი. თუმცა სულიერი ვერავინ აღმოვაჩინე. მაშინდა მომაგონდა, სიფრთხილე რომ არ გამოგვიჩენია, კარი ან ოდნავ მივხურეთ ან ცუდად დავკეტეთ და თავისთავად გაიღო.

ჩემს მფრთხალ მეგობართან რომ მოვბრუნდი, დავამშვიდებ-მეთქი, საწოლში აღარ დამიხვდა. არ ვიცა, საწოლსა თუ კედელშუა ჩაეარდა ან იქ დამალვას აპირებდა, ოღონდაც გულწასული და კრუნჩხვებშიორეული ეგდო. ალბათ



მახვლებით, როგორ დავიბნეოდი! თუმცა საწოლში მაინც ჩავაწვინე და კიდეც მოვასუღიერე. ეს კია, გადავარდნიხას დაშავდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

წელის ტკივილმა, მუცლის ჭვალეებმა თუ სხვა საეჭვო ნიშნებმა ცხადი გახადა, ჩემთვის, რა იყო მის თავს, მაგრამ ამის თქმამდე მიზეზიც ხომ უნდა მეშინო მისთვის, რაზედაც წარმოდგენა არ ჰქონდა. არ მეგულება მეორე ასეთი გოგო, მისებრ უბიწო გაგება შერჩენოდა და ამავე დროს უბიწო წიგნის დასაკარგავად ამდენი შრომა გაეწია! ო, ეს არსება ფიქტურაა და აწუხებს!

სამაგიეროდ სასოწარკვეთის გამოხატვაზე იმდენი დრო დაკარგა, ვიგრძენი, რაღაც უნდა მეღონა! ჰოდა, შევთანხმდით, რომ მე ახლავე მათ შინაურ ექიმთან და შინაურ დასტაქართან წავიდოდი, გავაფრთხილებდი და მათ მოსაყვანად ვინმეს გავუგზავნიდი, ამასთან ყოვლად საიდუმლოდ გავუმხელდი ყველაფერს. პაწია კი თავის მოახლეს დაუძახებდა და ექიმების მოსაყვანად გაგზავნიდა. ხოლო გაანდობდა თუ არა საქმის ვითარებას, თავად უნდა მოეფიქრებინა. რაც მთავარია, არამც და არამც ქ-ნი დე ვოლანჟი არ უნდა გაეღვიძებინათ, ვითომდა იმ ბუნებრივი მიზეზით, მის ასულს დედის შეწუხება არ უნდოდა.

სასწრაფოდ მოვაგვარე ორივე ვიზიტისა და საიდუმლოს განდობის ამბავი და შინ დავბრუნდი, საიდანაც აქამდე ფეხი არ გამადგამს. ეს კია, დასტაქარი — სხვათა შორის მას ადრეც ვიცნობდი — შუალამისას თავად შეახლა და ავადმყოფის ამბავი მაუწყა. თურმე არ შევმცდარვარ. ისიც მითხრა, თუ საქმე არ გართულდა, ოჯახში ვერაფერს შეიტყობენო. მოახლემ საიდუმლო იცის, ექიმმა ავადმყოფობას შესაფერისი სახელი გამოუჩინა. ისე რომ, როგორც სხვა მრავალი მსგავსი ამბავი, ესეც ასევე ჩაიფარცხება, თუ თავად არ დაგვჭირდა მისი გახმაურება.

მაგრამ მე და თქვენ თუ დავვრჩა სხვა საერთო ინტერესები? თქვენი ღუმილი ამაში კიდეც მათეკეებს, ალბათ იმედსაც გადავიწურავდი, თუ მათი შენარჩუნების სურვილი არ მიბიძგებდეს, ავად თუ კარგად იმედი არ გადავიწურო.

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო, და გეამბორებით, თუმცაღა მაინც ვბრახობ თქვენზე.

პარიზი, 21 დეკემბერი 17...

## 141-ე წერილი

### მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მერტივი ვიკონტ დე ვალმონს

ღმერთო ჩემო, ვიკონტ, როგორ მომაბეზრეთ თავი საყვედურებით! ნეტავ რაში განაღვლებთ ჩემი ღუმილი? ხომ არ გგონიათ, სათქმელი არაფერი მაქვს და იმიტომ ვდუმვარ? ნეტამც ასე იყოს საქმე! უბრალოდ, მიჭირს და მეძნელეობა ამაზე წერა!

თქვით სიმართლე, საკუთარ თავს იტყუებთ თუ ჩემი მოტყუება გნებავთ? თქვენი სიტყვები იმდენად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არ ვიცი, რომელი დავიჯერო? ან რისი გაგება გინდათ ჩემგან, როცა თვითონაც არ ვიცი, რა ვიფიქრო?

გატყობთ, დიდ დამსახურებად მიიჩნევთ სულ ბოლო სცენას, თქვენსა და პრეზიდენტის მეუღლეს შორის რომ გაიმართა, მაგრამ ამტკიცებს კი იგი თქვენს სიმართლეს ჩემის საპირისპიროდ? არა მგონია, თქვენთვის მეტყვა, იმდენად



გიყვართ ეგ ქალი, არამც და არამც არ უღალატებთ და თქვენთვის საამო და მარჯვე შემთხვევას ხელიდან გაუშვებთ-მეთქი. ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენთვის სულერთია, ვისთან მოიკლავთ სურვილს, იმ ქალმა რომ აღვიძრათ, არც მიკვირს, თუ სულიერი გაზრწნილების მეოხებით — ამას ვერავის წავართმევთ — ერთხელ სრულად მოფიქრებულად ჩაიდინეთ ის, რაიც ასჯერ მაინც ისე, სხვათა შორის ჩავიდენიათ. ვინ არ იცის, რომ საერთოდაც ახტან მხრებზე საზოგადოებაში და ამ წესს მისდევს არამზადიდან მოყოლებულნი მისი წესით და მოთავრებული? ვინც ამ წესს არ მისდევს, მეოცნებედ ნათლავენ, ამ ნაკლის გამო, რამდენადაც მახსოვს, თქვენთვის არასოდეს მისაყვედურია!

და მაინც მეგონა და ახლაც მეგონია, რომ პრეზიდენტის მეუღლე მართლა გიყვართ, იქნებ არც ისე ნახად და არც ისე წმინდად, მაგრამ გიყვართ ისე, როგორც გაღუპთ, ამიტომაც მიაწერთ იმ მშვენიერებასა და იმ თვისებებს, რომლებიც სინადვილეში არ გააჩნია, რომელთა გამოისობით ყველა დანარჩენ ქალთაგან განასხვავებთ. მე თუ მკითხავთ, სწორედ ასე უყვარს სულთანს თავისი საყვარელი მეუღლე; თუმცა ეს როდი უშლის ხელს მის თავს შიგადაშიგ ჰარამხანის ყოვლად ჩვეულებრივი მხევალი არჩიოს. დიახ, ეს სწორი შედარებაა, ვინაიდან აღმოსავლელ სულთანით ბუდამ ან ტირანი ხარო ან მონა ქალისა და არასოდეს მისი სატრფო თუ მეგობარი. ამიტომაც სრულიად დარწმუნებული ვარ, თქვენი ენებთა დელვის საგნისგან კვლავ მოწყალების მოსაპოვებლად იმზომ იმცირებდით თავს და ფეხქვეშ მტლად ეგებოდით, ვინემ თქვენი აზრით არ შეგინდეს, ხოლო სიხარულით ცაში აფრენილმა ამ დიადი შემთხვევის გამო მე არ მიმატოვეთ.

მაგრამ თუ თქვენს ბოლო წერილში მარტოდენ იმ ქალზე აღარ მესაუბრებით, აღბათ იმიტომ, არ გსურთ მესაუბროთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ამბავზე, რომ იმზომ საგულისხმოდ მიიჩნევთ მას, თითქოს დუმილით გინდათ მიჩქმალეთ. ხოლო როცა ასობით საბუთით დამამტკიცეთ, მე რომ სხვა ქალი მარჩიეთ, გულმშვიდად მეკითხებით, მე და თქვენ თუ დაგვრჩა საერთო ინტერესები? გაფრთხილდით, ვიკონტ, თუ გიპასუხებთ, ნათქვამს უკან აღარ წავიღებ. ისედაც ბევრი გითხარით. ისეც გაჩუმება მიჯობს.

ოღონდ ერთ ამბავს კი ვიამბობთ. მაგრამ იქნებ ვერ მოიცალოთ ან იქნებ გულისყური არ გეყოს. ჯეროვნად რომ აღიქვათ? რა გაეწყობა, ნება თქვენია, დიდი-დიდი ფუჭად ჩაიაროს ჩემმა მონაცოლმა.

ერთი ჩემი ნაცნობი კაცი დაუახლოვდა ქალს, ვინც მაინცდამაინც პატივს ვერ დებდა. შიგადაშიგ თვითონაც სვდებოდა, ამ ამბავს რომ ვნების მეტი არა მოჰქონდა და კიდევ რცხვენოდა, მაგრამ ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდა დაშორებოდა, არადა, მეგობრებთან სულ იკვებნიდა, თვისსუფლებას ვერავინ შემბობჭავსო, თუმცა ისიც მშვენივრად უწყოდა, რაც უფრო ფიცხად იცავ თავს ბრალდებისაგან, მით უფრო სასაცილო ხდება. ასე ბრეყვულად ცხოვრობდა და თან ასე გაიძახოდა: „რა ვქნა, რა ჩემი ბრალიაო“. ამ კაცს ერთი მეგობარი ქალი ჰყავდა. იგი ლამის აცდუნა სურვილმა, ეს რეტდასმული კაცი ერთხელ და სამუდამოდ ემხილებინა და ქვეყნის სასაცილოდ ექცია. დიდსულლოვნებამ მაინც სძლია ვერაგულ ზრახვას, ან იქნებ მიზეზი სხვა იყო, ეს კია, შეეცადა უკანასკნელი საშუალება ეხმარა. ჰოდა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წერილი გაუგზავნა, იქნებ მის სნებას რამე არგოსო. აი ეს წერილიც:



„ყველაფერი მოსაბეზრებელი ხდება, ჩემო ანგელოზო. ასე დაუკანონებია ბუნებას: რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.“

და თუ მომეჩვენება ის, რამაც მთელი ოთხი წელი გადამიყოლა, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.

თუ ჩემში იმდენივე სიყვარული იყო, რამდენიც შენში სიკეთე — რაიც/ ცოტა არაა — სუ გაიკვირებ: პირველი რომ მაშინ მოიშთო, როცა მეორე დაიწყო შრატა. რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.

თუ ეს რამდენამე ხანი გლალატობდი, უნდა გამოვტყდე, ამას შენი უწყალო სინაზე მაძიებდებდა. რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.

თუ ის ქალი, ვინც სიგიჟემდე მიყვარს, მთხოვს შენს გაწირვას, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია. ვიცი, ეს ჩინებულს საბაბია ფიცის გატეხვა შემწამო, მაგრამ თუ ბუნებამ მამაკაცი სიწრფელით დააჯილდოვა, ქალი კი — სიჯიუტით, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.

მერწმუნე, ჩემსავით საყვარელი გაიჩინე. ეს არათუ კარგი, შესანიშნავი რჩევაა, მაგრამ თუ არ მოგეწონა, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.

მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, სიხარულით დაგეუფლე და სინანულის გარეშე გტოვებ. თუმცა იქნებ კიდევაც დაგიბრუნდე. ასეთია ცხოვრება — რა ვქნა, რა ჩემი ბრალია.“

ახლა დრო აღარაა, ვიკონტ, გაამბოთ, რა გავლენა იქონია და რა შედეგი გამოიღო ამ ბოლო ცდამ. მაგრამ სხვა წერილში გაამბობთ. იქვე იქნება ჩემი ულტიმატუმიც თქვენს წინადადებაზე ჩვენი შეთანხმების განსახლებლად. მანამდე კი ამასღა გეტყვი: მშვიდობით...

პო, მართლა, მადლობას მოგახსენებთ დაწვრილებით ცნობებზე პაწია ვოლანუის თაობაზე. სწორედ მისწრება იქნება ჩვენი ჭორგაზეთისთვის, ქორწინების მეორე დღეს რომ გამოვა. ახლა კი მიიღეთ ჩემი სამძიმარი მუკვიდრის დაკარგვის გამო.

მშვიდობიან საღამოს გისურვებთ, ვიკონტ.

...ის კოშკიდან, 24 ნოემბერი 17...

## 142-ე წერილი

### ვიკონტ და ვალერიი მარკიზის მეუღლე ძ-ნ და მერტიის

არ ვიცი, ღმერთმანი, კარგად ვერ წავიკითხე თუ კარგად ვერ გავიგე, ჩემო ტურფა მეგობარო, ვერც თქვენი წერილი, ვერც იქ მივლილი ამბავი და ზედ დართული ეპისტოლარული ყაიდის ნიმუში. ამას კი გეტყვით, უკანასკნელი ესდენ ორიგინალური და შთამბეჭდავი მეჩვენა, ხელდახელ გადავწერე და ასევე ხელდახელ გავუგზავნე პრუზიდენტის ღვთაებრივ მეუღლეს. წუთიც არ დამიკარგავს — ესე ნაზი უსტარი გუშინ საღამოსვე ვაახლე. კარჩიე აღარ დამეფოვნებინა. ჯერ ერთი, შეპირებული ვიყავ გუშინ მიმეწერა, მეორეც — ვიფიქრე, ალბათ მთელი დამე არ ეყოფა თავის თავს ჩაუღრმავდეს და გაისაზრისოს ეს მნიშვნელოვანი ამბავი, თუნდაც რომ მეორედ მისაყვედუროთ ამ გამოთქმისთვის.

დღეს დილასვე ვაპირებდი ჩემი სატრფოს პასუხის გამოგზავნას თქვენთვის. მაგრამ ავერე შუადღე მოახლოვდა, პასუხი კი არ ჩანს. ხუთამდე



დავუცდი და, თუ ახალი არაფერი მამცნეს, თავად მივაკითხავ. პირველი საბიჯის გადადგმა ჭირს, მეტადრე თუ ყურადღების გამოჩენა გმართებს.

თვითონაც ხუდებით აღბათ, რარივ მეჩქარება იმ თქვენი ნაცნობის ამბის დასასრულის გაგება. მას ხომ რაღაც საშინელება შესწავლეს? აქაოდა, თუ დასჭირდა, ქალს ვერ გასწირავსო. მოეგება კია ჭკუას? ან / შეუნდობს კია მისი სულგრძელი მეგობარი ქალი?

ეროვნული

არანაკლებ მწადია თქვენი უღტიმატუმი სმელებს, თქვენივე ფრიად დიპლომატურ ენაზე შედგენილის! მეტადრე იმის გაგება მინდა, ჩემს უკანასკნელ საქციელში ნუტა თუ კიდევ გამოჩნრეკთ სიყვარულის ნიშნებს, თ, იქ ნამდვილად გამოჩნრეკთ, თანაც დიდი რაოდენობით! ოღონდაც საკითხავია, ვისადმი? არა, ტრაბახი არ მინდა. თქვენი სიკეთე ყველა ჩემი იმუდის წყაროა.....

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო. ამ წერილს თრ საათამდე არ დავბეჭდავ, მინდა ნანინანატრი პასუხიც მივაშატო.

ნაშუადღევის ორი საათი.

აქამდე არ მომსვლია პასუხი და ველარც დაველოდება — ვერც სიტყვას ვერ მივაშატებ, დრო აღარ მრჩება. ახლაც უარს მეტყვით სიყვარულის ნახ ამბორებზე?

პარიზი, 27 ნოემბერი 17...

143-ე წერილი

პრეზიდენტის ეუულლე ქ-ნი დე ტურველი ქ-ნი დე როზეონდს

ჩამოიფხრიწა ფარდა, რაზედაც ჩემი ცრუ ბედნიერების სურათი ეხატა. საბედისწერო სიმართლემ თვალები ამიხილა. წინ მხოლოდ სიკვდილი მეღის, რომელიც სულ ძალე მომაკითხავს და რომლის გზაც სირცხვილსა და სინანულს შორის გაღის. ვაყვები ამ გზას... და თუ სიცოცხლეს ის მომისწრაფებს, ტანჯვაც კი ჩემთვის ღხენად იქცევა. გიგზავნით ვუშინ მიღებულ წერილს, მას განმარტება არ სჭირდება, იგი თავად მეტყველებს. ახლა ჩივილის დრო აღარაა, ახლა ტანჯვის დრო დადგა. სიბრალული კი არადა, ახლა ძალა მჭირდება.

ეს ჩემი უკანასკნელი მშვიდობის თქმაა — გემშვიდობებით მხოლოდ თქვენ. ოღონდ ამას გთხოვთ — დაივიწყეთ ჩემი არსებობა. ნულარ ჩამთვლით ცოცხალთა შორის. მწუხარებას ერთი სჩვევია — მის საზღვარს მიღმა მეგობრობა ტანჯვას უფრო ამძაფრებს, მისგან ვერ კურნავს. უადამიანობაა სასიკვდილოდ დაჭრილს უმკურნალო. სასოწარკვეთის გარდა ამიერიდან ჩემთვის უცხოა ყველა სხვა გრძნობა. აღარ არსებობს არაფერი, ჩემ წინ მხოლოდ უკუნი, შავი ღამეა, სადაც უნდა დავასამარო ჩემი სირცხვილი და თავის მოჭრა, სადაც დავიტირებ ჩემს ცოდვებს, თუ კიდევ შევძელ ტირილი! ვინაიდან გუშინს აქეთ ცრემლი გამიშრა. ჩემს დამჭკნარ გულს იგი აღარ აქვს.

მშვიდობით და ნურც პასუხს მომწერთ. იმ უწყალო წერილზე დავიფიცე, არა წერილი აღარ მივიღო.

პარიზი, 27 ნოემბერი 17...



## 144-ე წერილი

## მიკონტ დე პალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტიის

გუშინ ნაშუადღევს სამ საათზე, ჩემო ტურფა მეგობარო, როცა მოთმინება გამიწყდა ცნობების მოლოდინში, მიტოვებულ ტურფას თვით ვეახლე, მიტხრეს, შინ არ ბრძანდებაო. ვიფიქრე, ალბათ არ სურს-მეთქი ჩემი მიღება. <sup>მთუმცა მრცხ</sup> გამკვირვებია და არც მწყენია. წაძოვედი იმ იმედით, ესოდენ ზრდელ ქალს ჩემი მისვლა მაინც აიძულებს რაღაც პასუხი გამომიგზავნოს-მეთქი. ამ პასუხს ისე ველოდი, ცხრა საათისთვის განზრახ შევიარე შინ, მაგრამ პასუხი არ დამხვედრია. ამ მოულოდნელი დუმილით გაკვირვებულმა ჩემი ეგერი გავაგზავნე ამბის შესატყობად და დავავალე გაეგო, ხომ არ მოკვდა ეს მგრძნობიარე არსება ან ხომ არ კვდება? ერთი სიტყვით, როცა ბოლოს და ბოლოს შინ დავბრუნდი, ამბავი დამხვედრა, ქ-ნი დე ტურველი დილის თერთმეტ საათზე თურმე მართლა გაემგზავრა მოახლის თანხლებით ...-ის მონასტერში, კარეტა კი სალაშოს შვიდ საათზე გამოაგზავნა უკან და დააბარა, შინ აღარ მელოდნო. რა თქმა უნდა, ეს ყოველად წესიერი საქციელია. მონასტერი ყველანაირ თავშესაფარზე უკეთესია ქერივი ქალისთვის. ხოლო თუ გაჯიქდა და ამ სანაქებო საქციელზე ხელი არ აიღო, ყოველივე იმას, რაც უკვე სიკეთე მიყო, გახმაურებასაც ზედ დავურთავ, რაიც ამ ამბავს უთუოდ მოჰყვება.

კიდევ გითხარით არც ისე დიდი ხნის წინათ, მაღალი საზოგადოების სცენაზე მხოლოდ და მხოლოდ ახალი შარავანდედით მოსილი წარგსდგები-მეთქი. აბა ახლა გამოყონ თავი მკაცრმა კრიტიკოსებმა, რომ მამრალეზდნენ, ოცნებებს აყვია და უბედური სიყვარულის წერა გახდაო, აბა ახლა დაიკვივნონ, უფრო სწრაფსა და უფრო ბრწყინვალე განშორებას თუ შეიძლებენ. არა — უფრო მეტიც შეიძლონ მანუგეშებლად მოგვევლინონ, გზა მათთვის გაკვალულია. ისე რომ, თუ გახედავენ ერთი ნაბიჯის გადადგმას მაინც იმ გზაზე, მე რომ ბოლომდე განველე, თუ ერთმა მათგანმა მცირედ წარმატებას მაინც მიაღწია, პირველობის პალმა მათთვის დამითმია. მაგრამ საკუთარი გამოცდილება ამცნობთ, თუ საქმეს გულდაგულ მოვკვიდე, ჩემგან დაშთენილ შთაბეჭდილებას ვერავინ წაშლის. ხოლო შთაბეჭდილება ისეთი იქნება, თუ ამ ქალის გვერდით ბედნიერი მეტოქე გამოძინდა, ჩემს ადრინდელ მიღწევებს არარად ჩავთვლი.

მისმა გადაწყვეტილებამ ჩემს თავმოყვარეობას დიდად ააშა. და მაინც მწყენს, რომ ძალა ეყო ასე შორს გამცლოდა, მაშასადამე, შეიძლებოდა ჩვენ შორის ზღუდე ჩემ მიერ არ აღმართულიყო! მაშასადამე, მე რომ ვისურვო კვლავაც დაახლოება, შესაძლოა თავად არ მოინდომოს? თუმცა რას ვამბობ? რომ შესაძლოა ამის სურვილი აღარც გაუჩნდეს? ჩვენი სიახლოვე ყველაზე დიდ ნეტარებად აღარ ჩათვალოს? და განა ეს სიყვარულია? და თქვენი აზრით, ჩემო ტურფა მეგობარო, ეს უნდა გადავყლაპო? განა ვერ შევიძლებ, მაგალითად, განა უკეთესი არ იქნებოდა ამ ქალს კვლავაც ვაფიქრებინო, რომ შერიგება შესაძლოა, მუდამაც სასურველი, ვინემ იმედი არ მომკვდარა? მე შემეძლო ეს მეცადა, ისე რომ დიდ რამედ არც ჩამეგდო და ამის კვალად თქვენში ეჭვები არ აღმეძრა. პირიქით! ეს იქნებოდა ჩვენ ორივეს მიერ ჩატარებული ცდა და, თუ ნაყოფს გამოიღებდა, კიდევ ერთი ზედმეტი საბაბი მექნებოდა მეორედ გამელო თქვენთვის მსხვერპლი, თითქოს რომ ასე გეამათ. ახლა კი, ჩემო ტურფა მეგობარო, ისლა დამრჩა, თქვენგან ჯილდო მივიღო. ერთადერთი, რაიც მწადია — მალე დაბრუნდეთ. დიას,



დაუბრუნდეთ თქვენს შეყვარებულს, თქვენს გასართობებს, თქვენს მეგობრებს და შემდგომ და შემდგომ თავგადასავლებს.

პაწია ვოლანჟის ამბავი ჩინებულად წარიმართა. როცა გუშინ მოუსვენრობამ ისე შემოიპყრო, ადვილზე ვეღარ გაუჩერდი, სხედასხვა დარბაზითა შემდეგ ქ-ნ დე ვოლანჟთან შევირბინე. თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პაწია უკვე სასტუმრო ოთახში დამხვდა. მართალია, ავადმყოფივით გამოწყობილი, მაგრამ გამოკეთებული და ამის წყალობით კიდევ უფრო ნორჩივით გამოიყურებოდა. ასეთ შემთხვევაში თქვენ, ქალები, ალბათ მოელი თვე შეზღონებზე ივთრავებდით. ისე რომ, გაუმარჯოს ნორჩ ასულებს! მართალი ვითხრათ, ამ ამბავმა დიასაც მომანდომა გამორკვევა, — მთლიანად გამოჯანმრთელდა თუ არა პაწია.

ისიც უნდა გაუწყოს, გოგონას ავადმყოფობამ კინალამ ჭკუაზე შეგვიშალა ჩვენი დანსენი — ჯერ დარღისა და მერე სიხარულისგან! მისი სესილი თურმე ავად ყოფილა! თავადაც მოგეხსენებათ, ასეთმა მწუხარებამ კაცს შეიძლება თავგზა დააკარგვინოს. დღეში სამჯერ მსახურს აგზავნიდა ამბის შესატყობად, დღე არ იყო, თავადაც არ გამოცხადებულყო. ბოლოს დედის გაუშანშალა მალაღმარდოვანი უსტარი და ნება სთხოვა მიელოცა მისთვის ესდენ ძვირფასი არსების გამოკეთება. ქ-ნმა ვოლანჟმა ნება დართო ამისა. ისე, რომ, ყმაწვილი იქ ძველებურად წამოჭიმული დამიხვდა, თღონდაც ისე ლალად არა, ჯერ ვერ გაბუდა.

ეს ყველაფერი, თავად მიაგზო დაწვრილებით, რადგან ერთად წამოკედით მათი სახლიდან და გზაში ავალაპარაკე. ვერც წარმოიდგენთ, რარიგ იმოქმედა მასზე ამ ვიზიტმა. ენა ვერ აღწერს მის სიხარულს, სურვილებსა და ალტაცებას. მოგეხსენებათ, როგორ მიყვარს ძლიერი განცდების ხილევა, ამიტომ სულმთლად დავახვიე თავბრუ, როცა შეეპირდი, მალე მოგიწყობთ-მეთქი მასთან უფრო ახლოს შეხვედრას.

ისედაც გადაწყვეტილი მაქვს, როგორც კი ცდას დავასრულებ, მართლა გადავულოცო გოგონა. რადგან ჩემი თავი მთლიანად თქვენ შინდა მოვიძღვნათ. და კიდევ—ღირდა განა ჩემს მოწაფედ გამეხადა თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფი, თუკი მართლდენ ქმრის მოტყუება მოუხდებოდა? ყველაზე დიდი მიღწევა — ეს საყვარლის მოტყუებაა, თანაც შენი პირველი საყვარლისა! რაეთუ ჩემს თავს ვერ ვუსაყვედურებ, რომ სიტყვა სიყვარული ვახსენე.

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო, დაბრუნდით რაც შეიძლება მალე, დატკბით იმ ძალით, რაიც ჩემზე გაქვთ, იმ ერთგულებით, მე რომ გამოგიხატავთ, და მონაგეთ ჯილღო, რაიც შეკუთვნის.

პარიზი, 28 ნოემბერი 17...

145-ე წერილი

მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მარტივი ვიკონტი და ვალმონს

არა, მართლა მიატოვეთ პრეზიდენტის მეუღლე? მართლა გაუგზავნეთ ის ჩემი შეთხზული წერილი? მართლაც საოცრად მომხიბლავი ვინმე ბრძანდებით, ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბეთ! გულწრფელად გეტყვით, ჩემს ყველა გამარჯვებაზე ეს გამარჯვება ყველაზე მეტად მააძებს. იქნებ იფიქროთ, რომ მეტისმეტად ვაფასებ ახლა იმ ქალს, ვისაც ადრე არ ვაფასებდი? სულაც არა. მე განა მასზე გავიმარჯვე, ეს თქვენზე გამარჯვება იყო. აი რა არის სასაცილო და მართლა საოცრად მოსახიბლი.

დიას, ვიკონტი, თქვენ გიყვარდათ ქ-ნი დე ტურველი. თქვენ ახლაც გიყვართ



იგი, გაგიჟებამდე გიყვართ. მაგრამ მე რომ თავშესაქცევად მაგ სიყვარულის გამო დავცინოდით, ვაჟკაცურად გასწირეთ იგი. თქვენ ათას ქალსაც კი გასწირავდით, ოღონდაც არავის დაეცინა თქვენთვის. აი სადამდე მიყვართ პატივმოყვარულებას! ლესაყვი მართალია, როცა ამბობს — იგი ბუნდნიერების მტერია.

კარგად კი გექნებოდათ საქმე, მარტო დაცინვა რომ მდომოდა თქვენზე! მაგრამ ხომ იცით, ტყუილები არ მწვევია. მე რომ მიგეყვანეთ სასოწარკვეთას, ან მონასტერში წახვლამდე, მაინც მზად ვიქნებოდი გამერისკა და გასწირვამდე დაგნებებოდი.

მაგრამ დანებებას ჩემგან — წმიდაწყლის სისუსტე დაერქმებოდა. რადგან ხრიკების გამოყენება რომ მსურებოდა, ვერ დათვლით, იმდენს გამოვწახავდი და ხავსებით დასაბუთებულთ! მე, მაგალითად, აღმაფრთოვანა, რა მარჯვედ თუ, პირიქით, არც ისე მარჯვედ მთავაზობთ — ნელ-ნელა და შეპარვით — უფლება მოგცეთ კვლავაც პრეზიდენტის მეუღლეს დაუახლოვდეთ. რა ჩინებული იქნებოდა, არა, განმორების დამსახურებაც შეგჩვენოდათ და დაუფლების მთელი ნეტარებაც არ მოგკლებოდათ. რაკი ამ მოჩვენებით მსხვერპლს თქვენთვის ფასი არ ექნებოდა, მთავაზობთ ამ მსხვერპლის მეორედ გაღებას, როცა კი მოგთხოვთ! მაშინ ღვთაებრივ უკარებას თავი კვლავაც თქვენი ვულის ერთადერთ მფლობელად ვგონებოდა, მე საამაყოდ დამჩნებოდა ბუნდნიერი მეტოქეობა. ორიენი მოტყუებული გამოვიდოდით, სამაგიეროდ თქვენ — კმაყოფილი. დანარჩენების ამბავი კი რაში განაღვლებო?

სამწუხაროა, ასე ნიჭიერად ადგენთ გეგმებს და ასე უნიჭოდ ანხორციელებთ. ერთმა დაუფიქრებელმა საქციელმა ხომ გადაულახავ ზღუდედ გიქციათ, რაიც ყველაზე მეტად გეწადათ.

როგორ! სიახლოვის განახლება გქონდათ გუნებაში და ჩემი შეთხზული წერილი კი გაუგზავნეთ! ალბათ მეც ფრიად უგერვილო ვინმედ ჩამთვალეთ! იცით, ვიკონტ, როცა ერთი ქალი მეორეს ვულში ღახვის გაერას უპირებს, იშვიათად თუ ყველაზე სუსტ ადგილს არ მოახვედროს. ეს იარა კი არ შუშდება. ამ ქალს რომ ვულში ღახვარი გაეუყარე, უფრო სწორად, თქვენი ხელით გაუუყარე, არ დაშვიწყებია, იგი რომ ჩემი მეტოქე იყო და წუთით მაინც მე მამჯობინეთ, მასზე მდაბლად ჩამთვალეთ. ხოლო თუ მიზანს ვერ მივადწიე, მზად ვარ ვადიარო ჩემი დანაშაული. ისე რომ, უარს არ ვამბობ ყველანაირად შეეცადოთ მის დაბრუნებას, მოგიწოდებთ კიდევ ამისკენ და გაპირდებით არ გაგიჯაურდეთ, თუ ბუღმა გაგიმართლათ. ამიტომაც იმხომ მშვიდად ვარ, აღარც მინდა ამაზე ფიქრი. სჯობს ისევ სხვა რამეზე ვილაპარაკო.

მაგალითად, როგორ გრძნობს თავს პატარა ვოლანტი. მანდ დაბრუნებისას ხომ დამახვედრებთ მასზე ზუსტ ცნობებს? ძალიან მინდა ყველაფერი ვიცოდე. მერე კი ნებას მოგცემთ თვით გადაწყვეტით, ვოვონა მის მიჯნურს გადაუღოცოთ თუ ხელმეორედ სცადოთ ვალმონების ახალი შტოს მამამთავარა გახდეთ უფრუროთა გვართ. იმდენად მართობს და მიქცევს ამაზე ფიქრი, თუმცაღა არ ჩვენის ნებას გაძლევთ, მაინც ვთხოვთ საბოლოოდ ნურას გადაწყვეტო, ვინემ ერთად არ მოვილაპარაკებთ. ცდა დიდხანს არ დაგჭირდებათ. მალე პარიზში ჩამოვალ, დღეს ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ეჭვი არ გქონდეთ, ჩემს ჩამოსვლას პირველი თქვენ შეიტყობთ.

მშვიდობით, ვიკონტ, მიუხედავად ჩემი ხრიკების, ჩხუბის და თქვენდამი საყვედურებისა ადრინდელივით ძალზე მიყვარხართ და ვაპირებ კიდევ ამის დამტკიცებას. ნახვამდის, ჩემო მეგობარო.

...კოშკიდან, 29 ნოემბერი 17...



მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მერტი შივალიე დანსენის

როგორც იქნა, მოვემზავრები აქედან და პარიზში სალამოსთვის ვიქნები. ადგილის შეცვლა მუდამ არეულობას იწვევს, ამიტომაც არაფრის მსჯელობა. მაგრამ თუ რამ სასწრაფო გნებავთ მაცნობოთ, ამ საერთო წესს მხოლოდ თქვენთვის დავარდევ: ამიტომაც ვთხოვთ ჩემი ჩამოსვლა არავის ამცნოთ. ვალმონმაც კი ამის თაობაზე არ უნდა იცოდეს.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩემთვის რომ ეთქვათ, ასე საოცრად მოგენდობოდით, გამეცინებოდა და სხვა არაფერი. მაგრამ თქვენმა მიმნდობლობამ მეც მიმნდობი გამხადა. უნებურად იფიქრებ კაცი, რაღაც იხიმანკლეთ და მაცდუნეთ კიდევ. ეს კი მოსაწონი არ იქნებოდა! თუმცა ცდუნება ახლა აღარ მაშინებს. თქვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმენი გელით! როცა სცენაზე მთავარი გმირი ქალი გამოდის, მესაიდუმლეს ყურადღებას არავინ აქცევს.

შაშასადამე, დროც კი ვერ გამონახეთ, ჩემთვის თქვენი ბოლო გამარჯვებათა ამბავი გემცნოთ. როცა სესილი ახლოს არ გეგულებოდათ, მთელი დღეები არ გყოფნიდათ თქვენი განცდების გადმოსაძლელად. მე რომ არ მომესმინა, ექოს შესჩივლებდით ალბათ. მერე კი, როცა აუად გახდა, მაინც პატივს მღებდით შიშისა და შფოთვის გასაზიარებლად, ვინმესთვის მაინც ხომ უნდა ვეთქვათ. ახლა კი, როცა, ვინც გიყვართ, პარიზში გახლავთ, როცა უკვე ჯანმრთელადაა, მით უმეტეს, რომ ხანდახან ნახულობთ კიდევ, ყველანი შეგიცვალათ და მეგობრები თქვენთვის უკვე აღარას ნიშნავს.

არა, ამისთვის არ გაგაკიცხავთ — ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ოცი წლისა ხართ. ვინ არ იცის, რომ ალკიბიადედან მოყოლებული და თქვენით დამთავრებული ყმაწვილკაცობის მეგობრობას მაშინ აქვს ფასი, როცა სადარღებელი გამოუჩნდება. ბედნიერება ზოგჯერ აკადნიერებთ, მაგრამ გულგახსნილთ არასოდეს ხდით. პოდა, სოკრატეს მსგავსად მეც ვიტყვოდი: „მიყვარს, როცა მეგობრები გასაჭირის ფაშს ჩემთან მორბიან“, თუმცა ფილოსოფოსის კვალობაზე უმათოდაც მშვენივრად ძლებდა, როცა არ აკითხავდნენ. ამ მხრივ მასავით ბრძენი არა ვარ და, როგორც სუსტ ქალს, გული დამწყვიტა თქვენმა დუმილმა.

არა, მომთხოვნელ ქალად ნუ შემრაცხავთ, სწორედ ეს თვისება მაკლდა მუდამ! გრძნობა, რომლის წყალობით ვამჩნევ ხოლმე ამ დანაკლისს, თავადვე მაძლევს ძალას მაშაცურად ავიტანო, თუკი ვიცი, ამის მიზეზი მეგობართა ბედნიერებაა. ამიტომაც იმედი მაქვს ხვალ სალამოთი მინახულებთ, თუკი სიყვარულმა მოგაცლევინათ და დრო დაგიტოვათ. ოღონდ გაკრძალავთ ჩემ გამო რაღაც მსხვერპლზე წახვიდეთ.

...კომპიდან, 29 ნოემბერი 17...

1. მარმონტელი, „შესაგონებელი ამბავი ალკიბიადეზე“.



## 147-ე წერილი

## ქ-ნი დე ვოლანში ქ-ნ დე როზმონდს

რა თქმა უნდა, ჩემსავით შეწუხდებით, ღირსეულო მეგობარო, როცა განიხილავთ ქ-ნ დე ტურველის ამბავს, გუშინდლიდან მოყოლებული ავად გახლავით, თანაც ისე უეცრად და ისე მძიმედ, უაღრესად შეშფოთებული ვარ.

დიდი სიცხე, თითქმის განუწყვეტელი გიჟური ბოდვა, საოცარი წყუქუნიანი ერაფერი რომ ვერ უკლავს — აი ამ სნების ნიშნები. ექიმები ამბობენ, წინასწარ თქმა არაფრის არ შეიძლებაო, მკურნალობა კი ძალზე გრძელდება. ავადმყოფი ექიმთა არა დახმარებაზე არ თანხმდება, სისხლის გამოშვებისასაც კი ძლივს გააკავებს. მეორედაც მოუხდათ ხელის შეხვევა, რადგან ბოდვისას სულ ცდილობს სახვევი მოივლიჯოს.

მეც თქვენსავით იგი სუსტი, მორიდებული და სათნო ქალი მეგონა. მაგრამ, წარმოიდგინეთ და, ახლა ოთხი კაციც ძლივს აკავებს, ყველანაირ დარიგებას ენით აუწერელ გაშმაგებამდე მიჰყავს! ვშიშობ, ეს მარტო ბოდვის ბრალი არ უნდა იყოს, ვაითუ მართლა შეიშალა.

ეს შიში გუშინწინდელმა ამბავმა უფრო გამძლიერა.

იმ დღეს თურმე მოახლის თანხლებით ჩამოსულა მონასტერში... მას ისე დახვდნენ, როგორც ყოველთვის. ის ხომ ამ მონასტერში იზრდებოდა და დროდადრო კიდევ მოდიოდა ხოლმე აქ. ყველას მშვიდად და ჯანმრთელად მოეჩვენა. ორიოდ საათის შემდეგ მოიკითხა თურმე ოთახი, სადაც პანსიონერად ყოფნის ხანს ცხოვრობდა, თავისუფალი იყო თუ არა. როცა უთხრეს, თავისუფალი გახლავითო, მისი ნახვის ნება ითხოვა. დედა წინამძღვარი და რამდენიმე მონაზონიც თან გაჰყოლია. აი მაშინ განუცხადებია, რომ ხელახლა სურს ამ ოთახში დარჩენა, რომ საერთოდ არ უნდა წასულიყო აქედან. და ესეც დაუმატებია, აქედან სიკვდილამდე არ გავალო — ეს მისი სიტყვებია.

ჯერ აღარ იცოდნენ, რა ეთქვით, მერე, ცოტა რომ გამოერკვნენ, უთქვამთ, რომ ის გათხოვილი ქალია და საგანგებო ნებართვის გარეშე ვერ დატოვებენ. არც ამ დასაბუთებამ, არც სხვა მტკიცებებმა არ გასჭრა. იმ წუთიდან მოყოლებული დაუჩქმებია, არათუ მონასტრიდან, ამ ოთახიდანაც არ მოიცვლიდა ფეხს. დიდი ბრძოლისა და ჭიდილის შემდეგ, ასე შვიდი საათისათვის, როგორც იყო დაეთანხმნენ ეს ღამე აქ გაეთია. მისი კარეტა და მსახურები შინ გააბრუნეს, ხოლო შემდეგ რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ, ამის გადაწყვეტა მეორე დღისთვის გადადეს.

როგორც მარწმუნებენ, იმ საღამოს არც გარეგნულად, არც საქციელთ უცნაურობა არაფერში დასტყობია, მშვიდად და გონივრულად იქცეოდა. ესაა, ოთხჯერ თუ ხუთჯერ ისე ღრმად წაუღია ფიქრებს, დალაპარაკებითაც ძლივს გამორკვიეს. ხოლო გამორკვეული ორივე ხელს შუბლზე რაც შეიძლება ძლიერად იჭერდა. იქ მყოფმა ერთმა მონაზონმა კიდევ ჰკითხა, თავი ხომ არ გტკივათო. პასუხის გაცემამდე ჯერ თურმე დიდხანს უცქირა ამის მკითხველს და ბოლოს თქვა: „სულ სხვა რამ მტკივა!“ ერთი წუთის შემდეგ კი ითხოვა, მარტო დამტოვეთ და შემდგომ აღარაფერი მკითხოთო.

ყველა გავიდა მისი მოახლის გარდა. საბედნიეროდ, მისთვის ოთახი არ მოინახა და ღამე იქ გაათია.

ამ მოახლის თქმით მის ქალბატონს ღამის თერთმეტ საათამდე საკმაოდ მშვიდად ეჭირა თავი. თერთმეტზე უთქვამს, დასაძინებლად დავწვებიო. მაგრამ



ბოლომდე არც გაუხდია, სწრაფად მოჰყვა თურმე ოთახში წინ და უკან ბოლთას და ხელების ქნევას. ჟიული თავად იყო მოწმე, რაც დღისით მოხდა, და ამიტომ ხმის ამოდება ვერ გაუბედა, მხოლოდ უსიტყვოდ აღეწებდა თავის თავის ქალბატონს მთელი ერთი საათი. ბოლოს ქ-ნმა დე ტურველმა ზედისგან ორჯერ დაუძახა. მოახლემ მიხვდა ვერ მოასწრო, იგი ხელებში ამ სიტყვებით ჩავსვენა: „მეტი აღარ შემიძლია“. მერე ლოგინში კი ჩააწვენიან ყველაფერს არაფრის დალევა არ ისურვა და არც უიშუესთვის საშველად დაძვრებულს მტყცა. მხოლოდ უთხრა, წყალი გვერდით დამიდვი და შენც დაწექით.

როგორც ჟიული ირწმუნება, ღამის ორ საათამდე ქალბატონს არც დაუნივლია და არც განძრუულა. მაგრამ დილის ხუთი საათისათვის თურმე ქალბატონის ხმამ გააღვიძა, რაღაცას ხმამაღლა, მკვახედ ღაპარაკობდა. ჟიულიმ ჰკითხა, ხომ არაფერი გნებავთო. პასუხი რომ ვერ მიიღო, სანთლით ხელში საწოლს მიადგა. ქ-მა დე ტურველმა იგი ვერ იცნო. თუმცა უეცრივე შეწყვიტა უაზრო ღაპარაკი და ფიცხად შეჰყვირა: „მარტო დამტოვეთ, სიბნელეში მამყოფეთ, მე ბნელში უნდა ვიყო“. მეც შევამჩნიე, გუშინ ამ სიტყვებს რა ხშირად იმეორებდა.

ჟიულიმ ამ ბრძანებით ისარგებლა და გარეთ გავიდა, რათა სხვებისთვის მოეხმო დასახმარებლად. მაგრამ ქ-ნმა დე ტურველმა გააფთრებით თქვა უარი დახმარებაზე. ეს გააფთრება მას აქეთ მალიმალ მოუელის ხოლმე.

მომხდარმა ამბებმა ისე დააბნია მთელი მონასტერი, დედა წინამძღვარმა გუშინ დილის შვიდ საათზე კაცი გამოძიგზავნა, რომ ჩავსულიყავი. ჯერ ისევ ბნელოდა. მაშინვე გავექანდი. როცა ჩემი მიხვდა ქ-ნ დე ტურველს აცნობეს, თითქოს გონს მოსულა და უთქვანს: „ჰო, ჰო, დე შემოვიდეს!“ მაგრამ მის საწოლს რომ მივეუახლოვდი, დამაშტერდა, ხელზე სწრაფად მიტაცა ხელი, მაგრად მომიჭირა და ხმამაღლა ქუშიად თქვა: „ვკვდები იმიტომ, რომ არ დაგიჯერეთ“. მერე თვალეებზე ხელი მიიფარა, შესძახა, მარტო დამტოვეთ, მარტო დამტოვეთო, და, ვინემ გონი არ დაკარგა, მხოლოდ ამას იმეორებდა.

რაც მიოხრა და რაც ბოდვისას წამოსცდა, მაფიქრებინებს, ეს მძიმე სნება კიდევ უფრო მძიმე მიზეზს უნდა გამოეწვია. მაგრამ პატივი დავლოთ ჩვენი მეგობრის საიდუმლოს და მხოლოდ ვუთანავრძნით მის მწუხარებას.

მთელმა გუშინდელმა დღემ ასე მშოფთვარედ გაიარა, ხან საშინელი შეტევები უვლიდა, ხან ისე მისუსტდებოდა, თითქოსდა საღათას ძილმა წაიღოთ. მხოლოდ ამ წუთებში ისვენებს თვითონაც და რამდენადმე ასვენებს სხვებსაც. მის სასთუმალს მხოლოდ საღამოს ათ საათზე მოვშორდი, ხვალ დილიდან კი მთელი დღე მასთან ვიქნები. ჩემს საცოდავ მეგობარს, რა თქმა უნდა, არ მივატოვებ, მაგრამ ასე ჯიუტად რომ უარსაა ყოველგვარ ზრუნვასა და დახმარებაზე, იმედს მიკარგავს, აღარ ვიცი, რა ვქნა და რა ვიღონო.

გივხაუნით წუხანდელ ბიულეტენს, ეს-ესაა მომიტანეს. თავადაც ნახავთ, სანუკეშო არაფერია. თადარიგს დავიჭერ, ისინი ყოველდღე გამოვიგზავნიან.

მშვიდობით, ჩემო დირსეულო მეგობარო, სნეულთან მიმეჩქარება, ჩემი ასული, ღვთის მადლით, უკვე სრულიად გამოკეთდა და პატივისცემით მოგიკითხავთ.



## შევალი დასმანი მარკიზის მშუღლე ქ-ს და მერტის

ო, თქვენ, ვინც ასე მიყვარხართ! ვისაც ასე ვაღმერთებ! ვინც ჩემი ბედნიერების თავწყარო გახდა! ვინც იგი სრული გახდა! ო, მგრძნობიარე მეგობარო, სინაზით საუბე საყვარელო, ხიბლს რად მიჩრდილავს გახსენება და ნაღველისა? ო, ჩემო ქალბატონო, გული საგულეს იქონიე, ამას მეგობარი გეუბნება! ო, მეგობარო, ბედნიერი იყავი მუდამ, ამაზე სატრფო გეშუდარება!

რამი ძღუბთ ბრალს და რად მსაყვედურობთ? ეს შეცდომა ალბათ მეტისმეტად მგრძნობიარე გულის ბრალია. გულას დაწყვეტა, რამაც იგი გამოიწვია, შეცოდებანი, რაც მბრალდება — მიჩვენებითი გახლავთ მხოლოდ. გული მკარნახობს, ჩვენ ორივე სიყვარულმა გვაცთუნა მარტო, არ შეგეშინდეს ამიერიდან მიენდო გრძნობას, შენით შთაბერვილს, არ შეგეშინდეს, თუ დაგწვა ცეცხლმა, შენითვე დანთებულმა. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ვუღებმა ჩვენმა გვიან გამოიღვიძეს, ეს მათი სიწმინდის დაკარგვას ნიშნავს? არა და არა. მხოლოდ ცდუნებას, მარად და მუდამ დაფიქრებით მომქმედს, შეუძლია თვისთა ნაბიჯთა თანაშეწობა, თავის საშუალებათა გაანგარიშება და ყველაფრის დროზე განჭვრეტა. მაგრამ ნამდვილ სიყვარულს არ სჩვევია ასეთი განსჯა და დაფიქრება. იგი ფიქრთაგან გრძნობებისკენ მიგვაქცევს მუდამ, ძალა მისი მით უფრო ძლიერია, როცა მას ვერ გრძნობ, საბნელეში და მდუმარებაში ისე გვბოჭავს და ქსელში გვახვევს, ვერც კი ვამჩნევთ. და არც მისი გაწყვეტა ძალგვიძს.

თუნდაც გუშინ, როცა ასე ამალელვა ცნობამ თქვენი დაბრუნებისა, როცა ასე უსაზომოდ აღმაფრთოვანა თქვენმა ხილვამ, მაინც მეგონა, თქვენკენ მიზიდავს, თქვენკენ მიხმობს მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობის მშვიდი გრძნობა. უკეთ, უტკბეს განცდებს შინდობილს მთელი არსებით, არც მანაღველებდა, რა იყო მათი მიზეზი და მათი წყარო. პოდა, ჩემსავით, ნაზო მეგობარო, შენც იგრძენი ყოვლისშემძლე ძალა ხიბლისა, ჩვენი სულები რომ აავსო ნეტარ სინაზით. ორთავემ მაშინდა შევიგრძენით, ერთმანეთი რომ გვიყვარს, რის სიყვარულის ღმერთის ნებით დამთვრალნი გამოვერკვიეთ.

მაგრამ სწორედ ეს გაგვაძარტლებს, ნაცვლად იმისა რომ თავი გავკიცხოთ. შენ არ გიდალატნია მეგობრობისთვის და არც მე მისარგებლია ბოროტად შენი ნდობით. მერე რა, რომ ამ გრძნობის თაობაზე თვით არაფერი ვიცოდით, მას მხოლოდ ოცნებად შევიგრძნობდით, თავად იგი არ შეგვიქმნია, მაგრამ ნუ ჩავიმწარებთ მას უსამართლო საყვედურებით, შევეცადოთ ერთმანეთის ნდობით და რწმენით იგი უფრო გავზარდოთ. ო, მეგობარო, ნეტამც იცოდეთ, ვით ასულმდგმულებს ჩემს გულს ამის იმედი! ამიერიდან განთავისუფლებული ყოველგვარი შიშისაგან შენ მოლიანად შესწირავ თავს ჩვენს სიყვარულს, გაიზიარებ ყველა ჩემს სურვილს, ჩემს აღტაცებას, ჩემს შმაგ გრძნობებს, სიყვარულით მთვრალ ჩემს სულს, ყოველი დღე ჩვენთვის ახალ-ახალი ნეტარების მომნიჭებლად გადაიქცევა. ო, მშვიდობით, ჩემო ღვთაება! ამ საღამოს გიხილავ ალბათ, მაგრამ ნეტა მარტო იქნები? ამის იმედი ვერ გამიბედავს. ო, ჩემზე მეტად ეს ალბათ არც გენდომება!



მ-60 და ვოლანში მ-6 და როზმონდს

გუშინ მთელი დღე იმედი მქონდა, ჩემო ღირსეულო მეგობარო, რომ ამ დღით უფრო საიმედო ცნობებს მოგაწვდიდით ჩვენი ძვირფასი სწეულის თაობაზე. მაგრამ ვაი რომ გუშინ საღამოდან ეს იმედი გამიქრამდა და სწეულის გარდა აღარაფერი დამრჩენია. ერთი შეხედვით დიანაც უბრალო, მაგრამ თვისი შედეგით ფრიად სასტიკმა ამბავმა ჩვენი სწეულის მდგომარეობა ადრინდელივით მძიმე გახადა, თუ კიდევ უფრო მძიმე არა.

ამ უეცარი ცვლილების მიზეზს ვერც ვავიგებდი, გუშინ რომ ჩვენი უბედური მეგობარი ყველაფერში არ გამომტყუბოდა. არ დაუმაღავს, რომ მისი უბედურებანი თქვენთვისაც ცნობილი გახლავთ. ამიტომ თავისუფლად შემიძლია გელაპარაკოთ მის საველად მდგომარეობაზე.

როცა გუშინ დილას მონასტერში მოვედი, მითხრეს, უკვე სამი საათია სწეულს სძინავს და სძინავს ისეთი ღრმა და მშვიდი ძილით, ლამის შემეშინდა კიდევ; საღათას ძილი ხომ არაა-მეთქი. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიღვიძა და თავადვე გადასწია ფარდები. მერმე ყველა თითქოს დაკვირვებით შეგვათვალიერა, მეც მიცნო. როცა წამოვდექი მასთან მისაახლოებლად, სახელით მომმართა და მთხოვა, ახლოს მივსულიყავი. შეკითხვა არც დამაცალა, პირველმა მკითხა: სად ვიმყოფები, ან რად შეყრილხართ ყველანი და ჩემს სახლში რად არა ვართ. ჯერ მეკონა, ისევ აბოდებს-მეთქი, მაგრამ ჩემი პასუხები კარგად ესმოდა, გონება უკვე დაბრუნებოდა, თუმც მუხსიერებაზე ამას ვერ ვიტყვი.

ძალზე დაწვრილებით გამომკითხა, რა იყო მის თავს მონასტერში, მაგრამ ის კი ვერ გაიხსენა, აქ როგორ მოხვდა. ზუსტად ვუამბე ყველაფერი, ოღონდ ის ამბები არ მიხსენებია, რაც მეტიმეტად შეაშინებდა. ჩემი მხრივ ვკითხე, თავს როგორ გრძნობდა. მითხრა, ამ წუთს არა მიშავს რა, მაგრამ ძილში კი საშინლად ვიტანჯებოდი, ამიტომ თავს დადღილად ვგრძნობო. მაშინ ვთხოვე დამშვიდებულიყო და აღარ ელაპარაკა, ფარდები კვლავაც ჩამოვუფარე, ოღონდაც ისე, რომ დამენახა, საწოლთან ჩამოვუჯექი. ამასობაში ბულიონი მოუტანეს და სიამოვნებითაც დალია.

ასე გაგრძელდა შუალამემდე. შიგადაშიგ ელაპარაკებოდა, მაღლობას მეუბნებოდა მისთვის ჩვეული მომხიბლობით. მერე ურიხანს იყუჩა და ბოლოს წაილაპარაკა: „პო, ახლა გამახსენდა, აქ რატომ მოვედი, — ერთი წუთის შემდეგ მწარედ შესძახა: — ო, მეგობარო, ჩემო მეგობარო, გამახსენდა ყველა ჩემი უბედურება! — როცა უფრო ახლოს მივიწიე, ხელი გამომართვა, თავზე მიიჭდო და შეჰყვირა: — ღმერთო მაღალო, რად არ მომკალი?! — სიტყვებზე მეტად მისმა გამომეტყველებამ ისე შემძრა, ხმის კანკალზეც შემატყო და თქვა: — გებრალეებით, არა? ო, რომ იცოდეთ!.. — მერე შეჩერდა და ეს დაატანა: — დე მარტო დაგვტოვონ და ყველაფერს გეტყვიო“.

უკვე გითხარით, მგონი, მიმხვდარი ვიყავ, რა უნდა გაენდო ჩემთვის. ამიტომ შემეშინდა, ამ გრძელი და სამწუხარო ამბის მოყოლამ ჩვენს მეგობარს არ ავნოს-მეთქი. იმ მიზეზით, მოსვენება რომ სჭირდებოდა, უარს ვუუბნებოდი მოსმენაზე. მაგრამ ისე დაჟინებით მთხოვდა, ბოლოს დავთანხმდი. როგორც კი მართონი დავრჩით, ყველაფერი მიაძმო, რაც თქვენ უკვე მოგეხსენებათ. ამიტომ მის აღსარებას აღარ ვავიშვებ.

ბოლოს კი იმ ამბავს, თუ რა დაუნდობლად გასწირეს იგი, ესეც დაამატა:



„დარწმუნებული ვიყავ, თავს არ ვიცოცხლებდი, საამისოდ გამბედაობაც მეყოფოდა, თუმცა ამ სირცხვილს და უბედურებას მაინც ვერ გადავიტან, ვერ გავუძლებ“. შევეცადე ეს მწუხარება, უკეთ, სასოწარკვეთა რწმენის მოშველიებით გამეფანტა — ეს ხომ ადრე ამდენს ნიშნავდა მისთვის. მაგრამ ძალა არ მეყო ასეთ ამაღლებულ თემაზე მელაპარაკა და შევთავაზე, მამა ანსელში მოვიყვანო მეთქი. ვიცოდი, რაოდენ სწამდა მისი, მართლაც მთელი სულითა და გულით და მეთანხმა. როგორც კი კაცი გაუგზავნეთ, მამა ანსელში მყისვე მოვიდა და დიდხანს დაპყრო სნეულთან და იქიდან გამოსულმა მითხრა, თუ ექიმები დამთანხმდებიან, არ ვაზიარებ, ხვალ ისევ შემოვივლიო.

ნაშუადღევს სამი საათიდან ხუთამდე ჩვენი მეგობარი მშვიდად იყო და ყველას ხელახლა მოგვეცა იმედი. საუბედუროდ, ხუთ საათზე წერილი მოუტანეს. პირველად უარი თქვა, წერილს არ წავიკითხავო, და არც ჩვენ დაგვიძალაბია. მაგრამ იმ წუთიდან აღვლევბა დაეტყო. მერე იკითხა, წერილი საიდანააო. მაგრამ მას ბეჭედი არ ერტყა. რომ იკითხა, ვინ მოიტანაო, არც ეს იცოდა არაეინ. ვისი სახელით მოიტანესო? მომტანს მეკარე დებისთვის ამაზე არაფერი უთქვამს. მერე ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი. მისმა არეულმა სიტყვებმა ისღა გვამცნო, ბოლვა კვლავაც განახლებოდა.

დროდადრო მაინც წყნარად იწვა. ბოლოს მოითხოვა, წერილი მაჩვენეთო. მაგრამ დახედა თუ არა, შეჰკვივლა: „ღმერთო მაღალო, ეს მისგანაა! — მერე მტკიცე, მაგრამ მოგუდული ხმით დააყოლა, — აქედან მომაშორეთ!“ მერე ბრძანა, ფარდები ჩამომიფარეთ და არავინ მომიახლოვდესო. მაგრამ მაშინვე იძულებული ვაეხდით მივსულიყავით. შეტვევა ადრინდელზე ძლიერი იყო, საშინლად იკრუნჩხებოდა. მთელი საღამო ხედიზედ უვლიდა კრუნჩხვები. დილის ბიულეტენმა მაცნობა, ღამესაც ასე მშფოთვარედ ჩაეელო. ერთი სიტყვით, ისეთ დღეშია, მიკვირს კიდევ, რით უღვას სული. რა დავიძალათ და, იმედი თითქმის აღარ დამრჩა.

ჩემი ფიქრით ეს ბედნავსი წერილი ბ-ნ დე ვალმონისგან უნდა იყოს. კი მაგრამ, რისი მოწერა გაბედა კიდევ? მაპატიეთ, ძვირფასო მეგობარო, არ მინდა მასზე ვილაპარაკო, მაგრამ გული მიკვდება, რა საცოდავად იღუპება აქამდე ბედნიერი და ბედნიერების ესოდენ ღირსი ქალი.

პარიზი, 2 დეკემბერი, 17...

## 150-ე წერილი

### შევალინ დანსენი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მარტიის

ბედნიერების მოლოდინში, შენ რომ გიხილავ, სიხარულსა მეგობრის, ნაზო მეგობარო, შენდამი წერილის წერა, რათა ფიქრები მაინც მოგიძღვნა და გავიქარო სინანული, ერთად რომ არ ვართ. დასტურ ბედნიერებაა ჩემთვის შენდამი ჩემი გრძნობების აღწერა, შენისა კი — მოგონება, რის მეოხებით დაკარგული დროც ათას სიხარულს მჩუქნის, ჩემი სიყვარულისთვის ძვირფასზე ძვირფასს. მაგრამ შენს სიტყვებს თუ დავუჯერებ, ჩემი წერილი რომც უკანასკნელი იყოს, შენგან პასუხს ვერ მივიღებ და შენივე თქმით შევწყვეტო კიდევ ამ სახიფათო და უსარგებლო გზას ურთიერთობისა. თუ ძალიან დაიჭინე, მეც დაგეთანხმები, რადგან შენი სურვილი განა არ კმარა მეც იგივე მოვისურვო? მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე ხომ მომცემ ნებას ამაზე კიდევ ვილაპარაკოთ?

სახიფათოს რაც შეეხება, თვით გადაწყვეტი: ვარაუდების ნიჭი არ მაქვს და



მხოლოდ ამას ვთხოვ, საკუთარ თავზე იზრუნო. ვინაიდან მშვიდად ვერც მე ვიქნები, თუ შენ სიმშვიდე არ გექნება. არა, იმას ვერ ვიტყვი, ჩვენ რომ ერთნი ვართ. ჩვენ ორივე — მხოლოდ შენა ხარ.

ხოლო უსარგებლოს რაც შეეხება, აქ ერთი აზრი უნდა გქონდეს, ხოლო იუ არ გვაქვს, მხოლოდ იმიტომ, ერთმანეთს ვერ გავუგებთ და ვერ ავუხსენით.

ეროვნული

თქმა რად უნდა, თუ თავისუფლად ვხვდებით ერთმანეთს, რა საჭიროა, განა იმაზე მეტს რას გეტყვის, რასაც ასჯერ უკეთ გავრძნობინებს ერთი სიტყვა, ერთი შეხედვა, თუნდაც დუმილი? ეს იმზომ სწორად მიმაჩნია, რომ როცა მიიხარით, ერთმანეთს აღარ მივწერთო, გულს კი მომხვდა, მაგრამ მომხვდა ნაზად, არ დამკოდა. ასე მაგალითად, როცა მინდა იქ გაიქცო, სადაც გული გიძგერს და მხვდება ლენტი ან მარმაში, უბრალოდ, განზე გავწევე ხოლმე, ეს ხელს როდი მიშლის.

მაგრამ მერმე ჩვენ დავშორდით. როგორც კი თვალს მიეფარე, წერილზე ფიქრმა არ მომასვენა. ნუთუ კაცმა ესეც უნდა მოიკლოს? — ვუთხარი ჩემს თავს. ნუთუ როცა ერთად არ ვართ, სათქმელი ვითომ ერთმანეთისთვის არაფერი გვაქვს? ვთქვათ და, ჩვენდა საბუნდნიეროდ, მთელი დღე ერთად გავატარეთ, ნუთუ ნეტარებას დრო უნდა წავართვათ საუბრისათვის? დიახ, ნეტარებას, ჩემო ნაზო მეგობარო. მაგრამ რამდენ ხანსაც არ უნდა ვიყოთ ერთად, მაინც ხომ გვიწევს დაშორება, მაინც ხომ ვრჩებით მარტონი! აი მაშინაა შენთვის ძვირფასი წერილი, თუნდაც არ გადაიკითხო, თუნდაც მხოლოდ უცქირო... დიახ, დიახ, მხოლოდ უცქირო, არ წაიკითხო, ისევე როგორც დამით შენი სურათის შეხებითაც კი, ასე მგონია, სიხარულით ავივსებოდი.

მე ვთქვი, სურათის-მეთქი! მაგრამ წერილიც ხომ სულის სურათია, ოღონდაც სურათით ცივი არა, არც მისებრ უძრავი, რაც სიყვარულს არ სჩვევია. იგი ასახავს ყველა მოძრაობას ჩვენი სულისა — ხან გაცხიხივლებულს, ხან ნეტარებით, ხან სიმშვიდით სავსეს... მე ხომ ასე მეძვირფასება შენი გრძნობები, ნუთუ აღნიკვეთ მათი აღბეჭდვის შესაძლებლობას?

ნუთუ გჯერა, რომ ჩემთვის წერილის მოწერა არასოდეს არ მოგიხდება? როცა მარტოდ ყოფნისას გულს შენსას რაღაც გაახარებს ან დაადონებს, ან სულს შენსას სიხარულის განცდა აავსებს ან წამიერად დარდი აიტანს, ნუთუ არ მოგიხდება მეგობარს გაუხილო, რამ გჯახარა ანდა რამ დაგადონა? ნუთუ დამალავ და ყველა გრძნობას მას არ გაუხიარებ? ნუთუ დაუშვებ მარტომ იხეტიალის შენგან მოშორებულმა და ფიქრებში ჩაფლულმა? ჩემო მეგობარო... ჩემო ნაზო მეგობარო! საბოლოო სიტყვა თავად უნდა თქვა. მე მხოლოდ საკითხის განხილვა მსურდა და არა შენი გადარწმუნება. მე მხოლოდ დავისაბუთე და მინდა დავიჯერო, რომ ჩემი მუდარა მაინც ყველაფერს გადასწონის. მაგრამ თუ მაინც შენსას არ გადათქვამ, შევეცდები გულისტკენა დავძლიო, შევეცდები გუნებაში წარმოვთქვა ის სიტყვები, რასაც მომწერდი. თუმცა მათ ჩემზე უკეთ იტყოდი. არადა, რარიგ მუამებოდა შენგან მათი მოსმენა!

მშვიდობით, ჩემო წარმტაცო მეგობარო. უკვე მოახლოვდა ის საათი, როს უნდა გნახო, ახლა მალე უნდა დაგტოვო, რათა უფრო მალე გიხილო.

პარიზი, 3 დეკემბერი, 17...



## 151-ე მხარე

## პიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე ძ-ნ და მერთვის

არა მგონია, მართლა ისე ბრწყინვალედ მოვლიდეთ, თვალი ამბათ და დაბარწმუნ-  
 ნით, ვითომდა დანსენი რაღაც გაუგებარი შემთხვევის გამოუჩვენებელი  
 თან მარტო აღმოჩნდა, მე რომ მოვედი! ცხადია, თქვენმა სახემ, ესდგენიერების  
 ღმა თვალთმაქცობაში, მშვენივრად შესძლო აღუშფოთებელი სიმშვიდე გამო-  
 ეხატა. ცხადია, ერთი სიტყვითაც, თავი არ გაგვიციათ, როგორც აღელვებისა თუ  
 სინანულის ხანს ყველას გეჩვენია. ცხადია, საკუთარი მზერა ისე დიდებულად  
 გემორჩილებათ, მოახერხებდით კაცს ისევე ვერწმუნა თქვენი, როგორც გაეგო.  
 ისე რომ, არათუ ეჭვი გამიუღვებდა, წამითაც არ დაფიქრებოდი, მესამე  
 პირის შემოსწრება ძალზე გეწყინათ. ოღონდაც ესდენ ბრწყინვალე ნი-  
 ჭი ამოდ რომ არ დაშთენილიყო, რომ სასურველი შედეგი გამოეღო, უპირვე-  
 ლესად თქვენი გამოუცდელი საყვარელი კარგად უნდა გამოგეწაფათ.

რაკილა თავს იღეთ უწლოვანთა სწავლა-განათლება, ისიც ასწავლეთ  
 თქვენს აღსაზრდელებს, წაოხუნჯება ნუ გააწითლებთ და ნუ დააბნევთ, ასე  
 ფიცხად ნუ უარყოფენ იმას, რისგანაც სხვა ქალებზე ლაპარაკისას ესდენ უნდი-  
 ლად იცავენ ხოლმე თავს. ისიც ასწავლეთ, დინჯად როგორ მოუსმინონ, როცა  
 მათ საყვარლებს ხოტბას ასხამენ და საჭიროდ არ მიიჩნიონ მოქმელს წასუ-  
 ლისას მადლობა გადაუხადონ. ხოლო თუ თქვენგან არ ეკრძალებათ საზოგადო-  
 ებაში თვალი არ მოგაშორეთ, დე ჯერ იმაში გაიწაფონ, მათმა მზერამ თქვენი  
 სიახლოვე არ გაამჟღავნოს, რაიც ხშირად მხოლოდ სიყვარულის მზერა ჰგო-  
 ნიათ. ან მაშინ შეგიძლიათ ნება დართოთ საზოგადოებაში ერთად იყოთ, მაშინ  
 აღარ შეგეშინდებათ თავიანთი საქციელით მასწავლებელს რაიმე ავნონ. მეც  
 სისარულით ხელს შეგიწყობთ სახელის მოხვეჭაში და პირობას გაძლევთ შევა-  
 დინო და გამოვაქვეყნო სასწავლო პროგრამები ამ ახალი კოლეჯისა. მაგრამ  
 გამოგიტყდებით და, ის კი მიკვირს, რამ მოგაფიქრათ სწორედ მე მიგეჩნიეთ  
 მიწაფულ. ო, ჯავრი უკვე ამოყრილი შექნებოდა, სხვა ქალებზე რომ იყოს ლაპა-  
 რაკი! ო, რა სიამოვნებას მომანიჭებდა ჯავრის ამოყრა! და რაზომ გადააჭარ-  
 ბებდა იგი იმ სიამოვნებას, რომლის წართმევაც ჩემთვის უნდოდათ! დიახ,  
 დიახ, მხოლოდ თქვენი გულისთვის ვამჯობინებდი შერიგებას და არა შურის-  
 გებას, არ გეგონოთ, წამით მაინც რომ შევეყოყმანდე, წამით მაინც ეჭვმა შე-  
 მიპეროს.

პარიზში უკვე ოთხი დღეა ხართ, ოთხი დღეა ხვდებით დანსენის და მხო-  
 ლოდ მას იღებთ. დღესაც დაკეტილი დამხვდა კარი, მაგრამ მეკარემ ვერ შე-  
 იძლო თქვენებრ სიმტკიცე გამოეჩინა და ჩემთვის ხელი შეეშალა თქვენთან  
 შემოსადწევად. არადა, თავად მწერდით, იცოდეთ, პირველს თქვენ გაუწყებთ  
 ჩვენს ჩამოსვლასო. ოღონდ რა დღეს, ეს არ მაცნობეთ, თუმცა გამოძგზავრების  
 წინა დღეს მწერდით. უარყოფთ ამას თუ თავის მართლებას შეეცდებით?  
 ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ მოახერხებთ. და მაინც ჯერჯერობით  
 თავს ვიკავებ! შეგიძლიათ ეს თქვენს ძალას და გავლენას მიაწერთი ჩემზე,  
 მაგრამ გირჩევთ კი იკმართოთ მათი გამოცდა და ბოროტად აღარ გამოიყენოთ.  
 ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ქალბატონო, თქვენთვის ეს სიტყვები სა-  
 კმარისი უნდა იყოს.

ხვალ მთელი დღე შინ არ ვიქნებიო, ასე ბრძანეთ, ხომ? დე ასე იყოს,



მაგრამ იქნებით თუ არ იქნებით, უთუოდ გამოვარკვევ. საღამოს ხომ მაინც შინ დაბრუნდებით, დახავებას კი იმდენ ხანს მოუუნდებით, შეიძლება კიდევ შენოგვათუნდეს. ისე რომ, შემატყობინეთ, თქვენს სახლში თუ იქ აღსრულდება ჩვენი ურთიერთ და მრავალგზისი მოსახანებელი მსახურება. ოღონდაც ძანამდე დანსენის ამბავს უნდა დაესვას ჯვარი. დანსენიზე ფიქრი თქვენი ახირებული წარმოსახვის ბრალია. და ვერც ვიქცვიანებ ამ თქვენი ფანტაზიას ნაბოდვარზე. ეს კი უნდა იცოდეთ, რაც ახლა მხოლოდ შეიძლება აშკარა უპირატესობის მინიჭებად შეირაცხოს. მე კი ასეთი დამცირების დირსად თავი არ მიმჩნია და არც ველი ამას თქვენგან.

იმასაც ვამედლოვნებ, რომ არცთუ დიდ მსხვერპლად მიიჩნევთ ამას. მაგრამ კიდევ რომც მიიჩნით, განა ბრწყინვალე მაგალთი თვით არ მოგეცით? ქალი გრძნობებით და მშვენებით სავსე, ქალი, ვინც მხოლოდ ჩემით სულდგმულობდა, ვინც იქნებ ამ წუთს სიყვარულისა და სასოწარკვეთის გამო კვდება, ვით შეიძლება შეუდაროს ნორჩ მოწაფეს, ვისაც იქნებ არც მიმზიდველობა აქვია და არც ჭკუა, მაგრამ ვერც გამოცდილებით და ვერც თავშეკავებით ვერ დაიკვეხნის!

მშვიდობით, ქალბატონო. აღარას ვეტყვით თქვენლაში ჩემი გრძნობების თაობაზე. ახლა მხოლოდ ის შემიძლია, ჩემი გულის კუნჭულებში არ ჩავიხედო. ველი თქვენს პასუხს. ხოლო როცა მის წერას შეუდგებით, ჯერ დაფიქრდით, კარგად დაფიქრდით, რაც უფრო ადვილად შეიძლება ეს შეურაცხყოფა დამაფიწყოთ, მით წარუშლელად შთამებეჭდება გულში უარი ან გადავადება.

პარიზი, 3 დეკემბერი 17...

## 152-ე წერილი

### პარიზის მეუღლე ძ-ნი და მერტივი ჰიკონტი და ვალმონს

ფრთხილად, ვიკონტი, უნდა დამინდოთ ესდენ გაუბედავი და მოკრძალებული ქალი! ვით გაუძლო თქვენს რისხვას, ვით არ დამორგუნოს თქვენი შურისძიების შიშმა? მეტადრე თუ რაიმე ხრიკს მომაწყობთ — თავადაც კარგად მოგეხსენებათ — ვერ შევიძლებ სამაგიერო გადაგიხადოთ. რამდენიც და რაც არ უნდა საჯაროდ განვაცხადო, მაინც ძველებურად უშფოთველად და დიდებულად იცხოვრებთ. ან რისი უნდა შეგეშინდეთ? გაქცევაც რომ მოგიხდეთ, თუკი მოასწრებთ, საზღვარგარეთაც არანაკლებ კარგად იგრძნობთ თავს, ვინემ აქ! ყოველ შემთხვევაში ვის კარზეც არ მოეწვობით, თუ საფრანგეთის მეფის კარმა არ შეგაწუხათ, თქვენთვის ეს მხოლოდ გამარჯვებათა ასპარეზის შეცვლა იქნება. ახლა როცა ზნეობრივი მოსაზრებებით შევეცადე თქვენთვის სიმშვიდე შემენარჩუნებინა, ისევ ჩვენს საქმეს მივხედით.

თუ იცით, ვიკონტი, რად არ გავთხოვდი მეორედ? განა იმიტომ, ხელსაყრელი პარტიები არ შემომძლევია, მხოლოდ იმიტომ, არავის ჰქონოდა უფლება ჩემს სურვილებს წინ აღდგომოდა. რა თქმა უნდა, ყოველთვის შემემძლო ჩემი გამეტანა, მაგრამ ისიც კი შემაწუხებდა, ვისმე რომ ჩემთვის ამის გამო ესაყვედურა. ვალმონის მოტყუება რომც დამცირებოდა, ეს ჩემდა სასიამოვნოდ უნდა ჩამედინა და არა აუცილებლობის გამო. უცებ კი ასეთ წერილს მიგზავნით, ქმარი რომ მისწერდა ცოლს! იქ მხოლოდ ჩემს ცოდვებზეა ლაპარაკი და თქვენს



ღმობიერებაზე. შეიძლება კი იმის წინაშე იყო დამხამავე, ვის წინაშეც არა მოკლულობა არ გაკისრია? მართლა არ შეხმის!

აბა თვითონ განსაჯეთ, რაზეა ლაპარაკი? ჩემთან დანსენის შეესწარით და არ მოგაწონათ? კარგად მეყოლეთ! მაგრამ რა დაასკვნით აქედან? ეს ან შენთვის ხვევით მოხდა, როგორც ვითხარით, ან ჩემივე ნებით, რაიც არ შეიძლება. პირველ შემთხვევაში თქვენი წერილი სამართლიანი არ გახლავთ, მეორეში კი სახაცილოა. ისე რომ, ღირდა ვითომ მისი დაწერა? მაგრამ იქვეა დაწერილი ანობა კი განსჯას აროდეს ემორჩილება.

მოკლედ, თქვენ ან გყავთ მეტოქე ან არ გყავთ. თუ გყავთ, ისე უნდა მოექცეთ, თქვენს თავს არავინ არჩიონ. თუ არ გყავთ, მაშინაც ისეთი მოქცევა გმართებთ, მეტოქე აღარ გაგიჩნდეთ. ორივე შემთხვევაში ერთნაირად უნდა მოიქცეთ. მაშ რატომ უნდა გაიწვალეთ თავი, რაც მთავარია, მე მაწვალეთ? განა გადაუჩვივთ ყველაზე მომხიბლავ მოთაყვანედ მიიჩნეოდეთ? განა თქვენი საკუთარი თავის რწმენა დაკარგეთ? არა, ვიკონტ, კარგად არ გცნობიათ თავი. თუშტა არა, ასე არაა. თქვენი აზრით მე ამდენ გარჯად არ ვღირვარ. ჩემი წყალობა ისე არ გჭირდებათ, როგორც საკუთარი ძალის ცხადყოფა. მართლა უმაღური ვინმე ფიფილხართ. აბა უყურეთ, მგონი, გრძნობები მეტრისმეტად მომერია. კიდევ ცოტაც და — ეს წერილი ფრიად ნაზი გამოვა. მაგრამ ამას არ იმსახურებთ.

არც იმას იმსახურებთ, თქვენ წინაშე თავი ვიძარათლო. ეჭვების საზღაურად კი — მათ შენარჩუნებას ვისურვებდით. ამიტომაც არც პარიზში ჩემს დაბრუნებაზე და არც დანსენის ვიზიტზე არაფერს ვეჭვებთ. ხომ დიდ გარჯად დაგიჯდათ ყოველივე ამის გარკვევა? მერედა, რა გაიგეთ? გულით და სულით ვისურვებთ, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მოგანიჭოთ ამ ამბავმა, ჩემი სიამოვნებისთვის მას ხელი არ შეუშლია. მხოლოდ ეს შემიძლია გიპასუხოთ თქვენს მუქარით სავსე წერილზე. მან ვერ დაიმსახურა ჩემი მოწონება. ამიტომაც სულაც არა ვარ გუნებაზე თქვენი მოთხოვნა დააკმაყოფილო.

ისე კი მართლა გილაღატებდით, კარი, რომ ისეთისთვის გამელო, რადაც ახლა თავი აჩინეთ. ეს არ იქნებოდა ძველ საყვარელთან დაბრუნება, ამას უფრო ნაკლებ ღირსეულთან დაახლოება დაერქმეოდა. არადა, იმდენად კარგად მახსოვს პირველი, თავს ვერ მოვიტყუებდი. მე რომ მიყვარდა, ის ვალდონი ხიბლით სავსე გახლდათ. ვიტყვი კიდევ, მასზე უფრო ღირსი სიყვარულისა კაცი არ შემხვედრია. თ, გემუდარებით, ვიკონტ, თუ სადმე ნახოთ, უთუოდ მოგვყარეთ. მისთვის კარი მუდამ ღია შექნება.

ოდონდაც გაფრთხილებთ, არამც და არამც არც დღეს და არც ხვალ არ შეწვიოს. მისმა შენეკმა რამდენადმე ავნო. აჩქარებამ ვაითუ შემატდინოს. ან იქნებ ეს ორი დღე დანსენისთვის მაქვს აღთქმული? თქვენმა წერილმა შემაგონა, თურმე არ ვიყვართ, მიცემულ სიტყვას როცა ვღალატობთ. ხომ ხვდავთ, ვიკონტ, დაცლა მოგუწევს.

მაგრამ თქვენთვის განა სულერთი არაა? ისედაც შესანიშნავად მოახერხებთ თქვენს მეტოქეზე შური იძიოთ. იმაზე უარესს განა რას უზამთ, რაც თქვენ უყავით მის სატრფოს. ბოლოს და ბოლოს ვინ განახსვავა ერთი ქალი მეორისაგან? ეს ხომ თქვენივე წესია. ის ქალიც კი, ესდენ გრძნობებით და მშვენივრებით სავსე, ვინც მხოლოდ თქვენით სულმდგმულედა, ვინც იქნებ ამ წუთს სიყვარულისა და საწარკვეთის გამო კვდება — ისიც კი მსხვერპლად შესწირეთ პირველსავე ჟინსა და ახირებას, იმის შიშს, ვაითუ წამითაც დაცინვის სამიზნე გახდეთ. და კიდევ გსურთ თქვენი მერიდებოდეს! იცით, სამართლიანი არ ბრძანდებით.



მშვიდობით, ვიკონტ, გახდით კვლავაც ღირსი სიყვარულისა... მართლა, მართლა, ჩემი ყველაზე დიდი სურვილია კვლავაც მომხიბლავ ვინმედ შეგრაჯხოთ. და როცა ამას ვირწმუნებ, გეფიცებით, მაშინ საქმიანად დაგამტკიცებთ. დაშეთანხმეთ, მეტი სმეტად ღმობიერიც ვარ.

პარიზი, 4 დეკემბერი 17...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

153-ე წერილი

ვიკონტ და ვალმონი პარკიზის მშუღლე ქ-ნ და მერტიის

დაუყოვნებლივ გიგზაენით პასუხს. შევეცდები რაც შეიძლება ნათელი ვიყო. თუმცა ეს თქვენთან არც ისე ადვილია, რადგან არა და არ გსურთ გამიგოთ.

სულაც არ გახლდათ საჭირო ესდენი სიტყვამრავლობა იმის ნათელსაყოფად, თუკი ორივეს ხელთა გვაქვს ყველაფერი ერთიმეორის დასადუბად, ორივემ ერთმანეთი ერთნაირად უნდა დავინდოთ. მაგრამ გარდა ერთმანეთის დადუბვის ხელაღებული ცდილა—და კიდევ მასზე უფრო გონივრული გადაწყვეტილების, შეგკავშირდეთ როგორც ადრე, თუ უფრო მეტად არა, და განვაახლოთ ჩვენი ძველი სიახლოვე — გარდა ამ ორისა სხვაც ბევრი შიიძებნება. ამიტომ სულაც არ იყო სასაცილო ამის თქმა და არც ახლა გახლავთ სასაცილო გამეორება, რომ მე ან თქვენი საყვარელი ან მტერი უნდა ვიყო.

კარგად მესმის, რომ ასეთი არჩევანი არც მაინცდამაინც გეპიტნავენათ, რომ უფრო გიყვართ ყველაფრის გაჭიანურება, რომ არასოდეს გიყვარდათ „პოს“ ან „არას“ პირდაპირ თქმა. მაგრამ დიახაც უნდა მიმხვდარიყავით, რომ არ შემეძლო ამ ვიწრო წრიდან თქვენი გაშვება თქვენი მზრივ მოტყუების შიშით. ისიც უნდა გეგულისხმათ, რომ ამას არც მოუითმენდი. ახლა გადაწყვეტაც და არჩევანიც თქვენზეა. მხოლოდ მსურს გარკვევით ვიცოდე ყველაფერი.

ოღონდ გაფროხილებთ, თავგზას ვერ ამიბნევთ მოსწრებული თუ არამოსწრებული შედარებებით და ვერც პირფერობით, რითაც გეწადათ თქვენი უარის შელაძახება — მოკლედ, დადგა დრო გულწრფელნი ვიყოთ. სიაშოვნებით მოგცემთ მაგალითს და ვაცხადებ, მე მშვიდობასა და შეკავშირებას ვარჩევ. ხოლო თუ ორივეს გაწყვეტა მომიწევს, ვგონებ, ამის უფლებაც მაქვს და შესაძლებლობაც.

ისიც უნდა დავამატო, თქვენგან რაიმე დაბრკოლების შექმნას ომის გამოცხადებად მივიჩნევ. ხომ ხედავთ, პასუხს, რომელსაც ვითხოვ, არც სიტყვამრავლობა და არც მაღალფარდოვნება სჭირდება. ორი სიტყვაც საკმარისია,

პარიზი, 4 დეკემბერი 17...

ქ-ნ და მერტიის პასუხი, მიწერილი იმავმ წერილის ბოლოს:

ღე იყოს ომი!

154-ე წერილი

ქ-ნი და ვოლანევი ქ-ნ და როზმონდს

ჩემზე უკეთ, ძვირფასო მეგობარო, ალბათ ბიულეტენი, უფრო გამცნობთ ჩვენი სწეულის მდგომარეობას. მე მხოლოდ მასზე ზრუნვას ვუნდები. მარტოდენ მაშინ ვიცდი მოსაწერად, როცა კიდევ სხვა რაღაც ხდება. და მართლაც რაღაც მოხდა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი. ბ-ნ ღე ვალმონისგან წერილი მივიღე,



თურმე მოხასიათებია მესაიდუმლედ გამიხადოს, ასე განსაჯეთ, შუაშავლადაც კი მასა და ქ-ნ დე ტურველს შორის. წერილს მასაც უგზავნის, ჩემსაზე დართულს. ერთი დაუბრუნე, მეორეზე ვუპასუხე. ამ უკანასკნელს თქვენ გიგზავნით, ვფიქრობ და, მგონი, თქვენც ასე მიიჩნევთ, რომ არც მსურდა და არც შემდეგლი ამის შესრულება, რასაც ის მოხივდა. მაგრამ რომც მდომებოდა, ჩვენი უბედური მეგობარი ვერც შეიძლებდა ჩემი ნათქვამის გაგებას — მას განუწყვეტლად ვეძებოდა. მაგრამ რას იტყვიან ბ-ნ დე ვალმონის ასეთ სასოწარკვეთაზე? უპასუხებია თქვენს ვლისა — დაუჯერება თუ არა ან იქნება ბოლომდე გვიპირებს ყველას მოტყუებას? ხოლო თუ მართლა გულწრფელია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვისი ბედი თვით გამოჭედა. ვფიქრობ, ჩემი პასუხი არც მაინცდამაინც მოეწონება, მაგრამ გამოგიტყდებით და — რაც უფრო მეტად ვეცნობი ამ ბედნავს ისტორიას, მით მეტად მამხედრებს მისი დამნაშავის წინააღმდეგ.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ისევ უნდა დაუბრუნდე ჩემს სამწუხარო მოვალეობას, რასაც უფრო სამწუხაროს ხდის იმედი რომ ასე ცოტა მაქვს. თავადაც იცით, რას ვგრძნობ თქვენდამი.

პარიზი, 5 დეკემბერი 17...

## 155-ე წერილი

### ვიკონტ დე ვალმონი შვეალიე დანსენის

ორჯერ შემოვიარეთ, ძვირფასო შვეალიე, მაგრამ კაცი რომ მიჯნურიდან ქალების მუსუსად გადაიქცევა, ბუნებრივია, ვეღარ დაიჭერ. თუმცა თქვენმა კამერდინერმა მოთხრა, საღამოთი დაბრუნდება და თქვენზე დამაბარა, დამელოდოსო. რაკი ყველა თქვენს გეგმას ნახიარები ვარ, მცის მივხვდი, მხოლოდ წუთით შემოივლიდით, რათა საკადრისად მორთულიყავით, და მაშინვე გაქცეოდით ახალ და ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ღმერთმა ხელი მოვიმართოს-მეთქი, მეტი რა შეთქმის. მაგრამ დღეს აქნებ ცოუხებას სძლიოთ და გეზი იცვალთ. თქვენი საქმეებისა მხოლოდ ნახევარია თქვენთვის ცნობილი, მეორე ნახევარსაც რომ შეიტყობთ, მერე თვითვე გადაწყვეტთ, როგორ მოექცეთ, იქნებ მოიცლით ჩემი წერილის წასაკითხად. იგი არ მოგწყვეტთ ნეტარებათ, პირიქით, მისი მიზანი მხოლოდ ერთია — შესაძლებლობა მოგცეთ არჩევანისა.

თქვენ რომ მთლიანად მომნდობოდით, ჩემთვის რომ გაგემხილათ საიდუმლოთა ის ნაწილი, რომელთა გამოცნობა ჩემს ვუმანს ანდეთ, წინასწარ რომ მცოდნოდა ყველაფერი, უფრო მოქნილად ვიმოქმედებდი და ახლა შეზღუდულად აღარ იგრძნობდით თავს. მაგრამ რაც იყო, იყო. რა გზაც არ უნდა აირჩიოთ, თქვენ გარდა ის კიდევ ერთ ვინმესაც გააბედნიერებს.

ამაღამ ხომ პაემანი გაქვთ დანიშნული? იმ ქალთან, ვისაც აღმერთებთ, არა? თუმც თქვენს ასაკში რომელ ქალს არ აღმერთებენ, მით უმეტეს პირველი კვირის გაყოლებაზე? საოცარი პატარა სახლი, მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის განკუთვნილი, სადაც ნეტარებას უფრო დაამშ-

1. შემდგომ მიმოწერაში ვერაფერს მივაკვლიეთ, ამ ეჭვს რომ დაადასტურებდა. ამიტომ დე ვალმონის წერილის ამოღება მართებულად მივიჩნიეთ.



ვენებს თავისუფლებისა და იღუმალების შეგრძნება. ყველაფერი უკვე მოგვარებულია, თქვენ იქ გელიან—და თქვენც სული კბილით გიჭირავთ იქ გაფრენამდე! ეს ამბავი ორივემ ვიცით, თუმცა ამაზე ჩემთან სიტყვა არ დაგცდენათ. ახლა კი იმას გამცნობთ, რაც არ იცით და რაც უნდა იცოდეთ.

პარიზში ჩემი დაბრუნების დღიდან რა არ ვიღონე, მდებარეულ დე კოლანუთან თქვენი შეხვედრები მომეწყო. ეს თვით შეგბიძგებდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას თქვენმა პასუხებმა, შეიძლება ითქვას, სიტყვებამაც დამარწმუნა, რომ თქვენდა საბუნდოვროდ ვიღწვოდი. ამ ძნელ საქმეს როცა მართო შევუდექი, წარმატების დიდი იმედი არ მქონდა, მხოლოდ ნიჟარაგი შევაძახე, დანარჩენში კი თქვენი სატრფოს თავგამოდებას მივენდე. რაც ჩემმა გამოცდილებამ ვერ შესძლო, მას სიყვარულმა შეაძლებინა. ერთი სიტყვით, თქვენდა სამწუხაროდ, მან საამისო გზები მონახა. „უკვე ორი დღეა, — მითხრა ამ საღამოს, — ყველა დაბრკოლება გადალახულია“. ამგვარად თქვენი ბედნიერება ახლა თქვენზე ჰკიდია.

მთელი ორი დღე ნატრობდა ეს პირადად ეუწყა თქვენთვის. ისე რომ, დედის არყოფნის მიუხედავად თქვენ მივიღებდნენ, თქვენ კი არა და არ გამოჩნდით. არ დაგიძლავთ და, ესე ნორჩი არსება, მგონი, ცოტა განაწყენებულია თქვენი უგულისყურობით. ბოლოს ისიც მოახერხა, მასთან შემეღწია და პირობა ჩამოერთმია, რაც შეიძლება სასწრაფოდ გადმომეცა თქვენთვის აქ დართული მისი წერილი. მისი გაფაციცების მიხედვით — სანაძლეოს ჩამოვალ — ამ საღამოს შეხვედრაზე თუ არ ეწეროს. ასეა თუ ისე, რაკი პატიოსნება და მეგობრობა დავიფიცე, ამ ნაზ უსტარს დღესვე გადმოგცემთ. არ მსურს და არც შემიძლია სიტყვა გავტეხო.

ახლა კი, ყმაწვილო, ნეტავ რას მოიმოქმედებთ? არჩევანი თქვენზე-ან სიკეკლუცე ან სიყვარული, ან ნეტარება ან ბედნიერება. რომელს აირჩევთ? იმ დანსუნის რომ ველაპარაკებოდე, ვისაც ამ სამი თვის წინ ან თუნდაც ერთი კვირის წინ ვიცნობდი, არც ვიეჭვებდი, ვის აირჩევდა. მაგრამ დანსუნის ახლა ქალები ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ, დანსუნის ახლა თავგადასავლები მოწყურებია და, როგორც ამ შემთხვევაში ხდება, ასე ვთქვათ, ბოროტ სულად ქცეულა. გადასწონის კი მფრთხალი, მოკრძალებული ასულის ხიბლი, სილამაზის, უმანკოების და სიყვარულის გარდა რომ სხვა არაფერი გააჩნია, ყოვლად გამოცდილი ქალის ხიბლს?

მე რაც შემეხება, ძვირფასო მეგობარო, თქვენი ახალი წესების მიუხედავად—და გარკვეულად ჩემისაც—ვითარება, ეფიქრობ, ნორჩ სატრფოს ამარჩევინებდა. ჯერ ერთი, აქ ერთი ქალით მეტი იქნება, შემდეგ სიახლის ხიბლი, დაბოლოს, თუ არ მოწყვეტთ ამდენი ზრუნვისა და გარჯის ნაყოფს, ამის შესაძლებლობას სამუდამოდ დაკარგავთ. რამეთუ ამ შემთხვევაში მას მართლაც დაკარგავთ, სხვა შემთხვევა კი შეიძლება აღარც მოგეცეთ, მეტადრე თუ ქალის სისუსტის პირველ გამოვლენაზეა ლაპარაკი, მსგავს ვითარებაში საკმარისია წუთით სიბრაზემ აიტანოს, ან ვინმეზე იეჭვიანოს ან კიდევ სულ უბრალო სხვა რამ მიზეზით უბრწყინვალესი გამარჯვება ჩაგეშალოთ. როს კდემამოსილებას ჩაძირვა ემუქრება, იგი ხავსაც კი ეჭიდება. და თუ გადარჩა, მახვში იოლად ვეღარ გააბამ.

მეორე მხარესთან კი, პირიქით, სარისკო რა გაქვთ? დიდი-დიდი მცირედი უთანხმოება, რომელსაც, თუ ცოტა თავს შეიწუხებთ, ადვილად დასძლევთ და შერიგების ყველა სიამოვნებასაც ეზიარებით. განა შეწყნარების მეტი სხვა



რა გზა რჩება ქალს, ერთხელ დანებებულს? გორიზობით რას მოიგებს? დაკარგავს მხოლოდ ნეტარებას ყოვლად ფუჭად და უსარგებლოდ.

მაგრამ თუ ისევ სიყვარულს არჩევთ — როგორც მგონია და როგორც ალბათ ვინც იცნობს გიკარნახებთ — ჩემი აზრით სჯობს წინასწარ არ გააფრთხილოთ, ვერ გეახლებითო, დაე გელოდნენ: თუ რაიმეს მოიმიზეზებთ, შესაძლოა შემოწმება მოიწადინონ, — ქალების ცნობისმოყვარეობა და სიჯიუტეობა სენებათ — და ყველაფერი გამოარკვიონ. ეს ყოველივე, თავადაც იცით, სულ ახლახან საკუთარ თავზე ვიწვნიე. მაგრამ თუ მეორე მხარეს იმედს არ დაუკარგავთ, იმედს მხარში პატიუმოყვარეობა ამოუდგება და მის დაკარგვამდე კარგა ხანი გაივლის. ამასობაში შემოწმებაც შეუძლებელი გახდება. მეორე დღეს კი რაღაც მოიმიზეზეთ — ვითომ ავად გახდით, თუნდაც ვითომ კვდებოდით, ან კიდევ სხვა, არანაკლებ სასოწარმკვეთი — და ყველაფერი მოგვარდება.

ოღონდაც გთხოვთ არჩევანი შემატყობინოთ. არადინტერესებული პირის კვალბაზე მას მუდამ სწორად მივიჩნევ. მშვიდობით, ჩემი მეგობარო.

მხოლოდ ერთს კი დავამატებდი: ძალზე ვწუხვარ ქ-ნ დე ტურველზე, მასთან განშორებამ სასო გარდამიკვეთა. ჩემი სიცოცხლის ნახევარს გაუიღებდი, რათა მეორე ნახევარი მისთვის მიმეძღვნა. ო, დამიჯერეთ, ბედნიერებას მხოლოდ სიყვარული გვანიჭებს ხოლმე.

პარიზი, 5 დეკემბერი 17...

## 156-ე წერილი

### სახილი ვოლანში შვეალინე დანსენის

(წინა წერილს დართული)

კი მაგრამ, რატომ ვეღარ გხედავთ, ჩემო საყვარელო მეგობარო, როცა ასე მწადია თქვენი ნახვა? იქნებ უკვე ისე აღარ გსურთ, როგორადაც მე? აი ახლა კი მართლა მომერია ნალველი, უფრო მეტად, ვინემ როცა დაშორებულნი ვიყავით. ადრე სხვების გამო ვიყავ უბედური, ახლა თქვენ გამო. ამიტომაც უფრო მტკივა გული.

უკვე რამდენიმე დღეა დედა სულ არაა სახლში — ეს თქვენ მშვენიერად იცით — და იმედი მქონდა ამ შემთხვევით ნაბოძები თავისუფლებით ისარგებლებდით. არადა, ჩემზე არც ფიქრობთ. ო, რა უბედური ვარ! ირწმუნებოდით კი, ჩვენ ორში მე უფრო ნაკლებ მიყვარდით! ასედაც ვიცოდი, სულაც პირიქით იყო. ჩემს სანახავად რომ მოსულიყავით, მნახავდით კიდევ, მე ხომ თქვენსავით არა ვარ, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორმე ერთად ვიყოთ. არცა ხართ ღირსი ვითხრათ, საამისოდ რა გავაკეთე და რა ვიღონე. მაგრამ ისე ძალიან მიყვარხართ და ისე ძალიან მიხლოდა თქვენი ნახვა, არ შემიძლია არ გაგიმხილოთ. ამის შემდეგ კი დავრწმუნდები, მართლა გიყვარვართ თუ არა.

შევეცადე მეკარე გადმოგებირებინა ჩვენს მხარეს. შემპირდა, ყოველ თქვენს მოსვლაზე ისე მოიქცევა, ვითომ ვერ დაგინახათ. მას შეგვიძლია ვენდოთ — ძალზე პატიოსანი კაცია. მაშასადამე, ახლა უნდა ვეცადოთ, არავინ მოგკრათ თვალი ჩვენთან, ეს კი ადვილია, თუკი საღამოს მოხვალთ. მაშინ საშიში აღა-



რაც ვინმეს შეეფეთოთ. მაგალითად, რაც დედა ყოველდღე სახლიდან შიდას, მუ-  
დამ თერთმეტზე წვება ხოლმე. ისე რომ, დრო საკმარისად გვექნება.

მეკარემ მითხრა, თუ ამ დროს მოხვალთ, კარის მაგივრად სარკმელზე უნ-  
და დაუკაკუნოთ და მაშინვე პასუხს გაგცემთ. შემდეგ თვითონ მოძებნით გვერ-  
დითა კიბეს, ხოლო რაკი სანთელს ვერ იქონიებთ, ჩემი ოთახის კარს შევა-  
ღებ, ცოტაზე მაინც გაგინათებთ გზას. ფრთხილად იყავით, არ იხმაუროთ, მე-  
ტადრე დედის ოთახის პატარა კარის წინ. ჩემი მოაზრება ისეა, რომ ისე  
საფრთხილო აღარაა — შემპირდა, არ გავიღვიძებო. ისიც ძალიან კარგი გოგოა!  
წასვლითაც იმავე გზით წახვალთ. ახლა ვნახოთ, მოხვალთ თუ არა.

ღმერთო ჩემო, ნეტა რად მიცემს ასე გული, როცა წერილს გწერთ! რა-  
ღაც უბედურება ხომ არ მელის, ან იქნებ თქვენი ნახვის იმედმა ამოღელვა?  
ამას კი ვგრძნობ: ასე ძალიან არასოდეს მევარებიხართ და ასე ძალიან არასო-  
დეს მდომებია თქვენთვის ამის თქმა, ისე რომ, მოდით, ჩემო მეგობარო, ჩემო  
საყვარელო მეგობარო, რათა ასჯერ მაინც გაგიმეორეთ, როგორ მიევარხართ,  
როგორ გაღმერთებთ, რომ თქვენ გარდა არავის არასოდეს არ შევიყვარებ.

მე მოვახერხე და ბ-ნ დე ვალმონს შევატყობინე, რაღაც რომ მაქვს მის-  
თვის სათქმელი. იგი ისეთი კარგი მეგობარია, ხვალ უთუოდ მოვა და ვთხოვ  
ჩემი წერილი გადმოგცეთ. მაშ ხვალ საღამოს ველით. თქვენც აუცილებლად  
მოხვალთ, თუკი არ გსურთ თქვენი სესილი გაიტანჯოს.

მშვიდობით, საყვარელო მეგობარო, მთელი სულით და გულით გკოცნით.

პარიზი, 4 დეკემბერი 17...

## 157-ე წერილი

### შევალიე დანსენი ვიკონტ და ვალგონს

ეჭვიც არ შეიტანოთ, ძვირფასო მეგობარო, არც ჩემს გრძნობებში და  
არც საქციელში. ჩემმა სესილმა ისურვა და მისი სურვილი არ შევასრულო?  
მხოლოდ ის მიევარს, ის ერთი მიევარს ჭეშმარიტი სიყვარულით. მე მაჯა-  
დლებს მისი სინაზე, მისი სიწრფელე, რასაც ჩემმა სისუსტემ ერთხანს მო-  
მწვივია, მაგრამ რასაც ვერაფერი ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს. ჩემდა შეუგ-  
ნებლად, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვა ამბებმა კი გამიტაცა, მაგრამ უტკბი-  
ლეს სიამეთა ფაშსაც მისი მოგონება სულს მიმფოთებდა. ჩემი გული ალბათ  
არც არასდროს ყოფილა ესდენ სავსე მისადმი გრძნობით, ვით ამ წუთებში,  
როს ვლაღატობდი. მაგრამ დავინდოთ სესილი, დავინდოთ მისი ნაზი გული,  
დავუმალოთ ჩემი შეცოდებანი — არა იმიტომ, რომ მოვატყუოთ, მხოლოდ იმი-  
ტომ, გული არ ვატკინოთ. ამქვეყნად ყველაზე უფრო მისი ბედნიერება მინ-  
და. ჩემს თავს არასდროს ვაპატივებდი, ჩემ გამო ერთი ცრემლიც რომ დაეღვა-  
რა.

ვიცი, თქვენი წაქილიკება იმის თაობაზე, რასაც ჩემს ახალ წესებს ეძა-  
ხით, მართლა დავიმსახურე, მაგრამ გარწმუნებთ, ამ წუთას ეს არ არის მთა-  
ვარი ჩემთვის. ხვალღიდან კიდევ დაგიმტკიცებთ ამას. მე ვეახლები  
ჩემს შეცოდებათა მიზეზს, თავადაც რომ ჩემსავით შეცდა, მო-  
ვიანებ მის წინაშე და ვეტყვი: „ჩემს გულში რომ წაიკითხოთ, იგი სავსეა  
თქვენდამი მეგობრობის უნაზეს გრძნობით. ხოლო როცა მეგობრობას ნდობა



ერწყმება, იგი საოცრად ემსგავსება სიყვარულს!.. ჩვენ ორივე შეეცდით, მაგრამ შემცდარსაც ვერაგობას ვერვინ დამწამებს“. მე ვიცნობ ჩემს მეგობარს: იგი ისევე გულმართალია, როგორც გულმოწყალე. იგი დამეთანხმება, იგი შემინდობს. თავის თავს ხშირად კიდევ საყვედურობდა, მეგობრობას ვულვარულად მეთისმეტი სიფაქიზე და წესიერება მის სიყვარულს ხშირად აფრთხობდა. ჩემზე მეტად გაბრძნობილი შიშს კიდევ გამიძლიერებს, რომლის უჩვეულებაც ასე კადნიერად ვცდილობდი ხოლმე. მისი წყალობით იქნება, უკეთესად ვიქნები ვხდები, როგორც თქვენი — ბედნიერი თუ ვიქნები. ო, მეგობარო, გაიზიარეთ ჩემი მადლიერება. ბედნიერებას რომ თქვენ უნდა გიმაძღვრებო, ამის გამო კიდევ უფრო მეტად ფასობს ჩემთვის.

მშვიდობით, ძვირფასო ვიკონტ. მიუხედავად ესდენ ჭარბი სიხარულისა გულს ძალზე მხვდება თქვენი ტანჯვა და განცდა, მე ვიზიარებ მათ. რად არ შეშწევს ძალა რამე გიშველით? ნუთუ ქ-ნი დე ტურველი ესდენ სასტიკია? თუმცა ამბობენ, ძალზე ავადააო. ღმერთო, როგორ მებრალებით! დე დაუბრუნოს განგებამ განსჯა, ჯანმრთელობა და შეწყნარება, დე მოგანიჭოთ ბედნიერება! მეგობარი ვისურვებთ ამას. ვიმედოვნებ, რომ ყოველივეს სიყვარული შეასხამს ხორცს.

კიდევ და კიდევ მინდა რომ გესაუბროთ, მაგრამ დრო აღარ ითმენს, ვინ იცის, სესილი უკვე მელის.

პარიზი, 5 დეკემბერი 17....

### 158-ე წერილი

ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ და მერთის

(შიართვეს გაღვიძებისას)

გასიამოვნათ თუ არა წუხანდელმა ღამემ, ქალბატონო? ან იქნებ ცოტაოდენ დაგლალათ კიდევ? დამეთანხმებით, დანსენი მართლაც მომზიბლავია! სასწაულებს ახდენს პირდაპირ! ხომ მართალია, მისგან ამას არც მოელოდით? არა, უნდა ვაღიარო, ასეთი მეტოქე დასტურ იმსახურებს, მე რომ მსხვერპლად შემწიროთ. ხუმრობის გარეშე, შესანიშნავი თვისებები აქვს! რაოდენი სიყვარული, ერთგულება, სიფაქიზე! ო, თუკი ოდესმე სესალივით შეგიყვარათ, მეტოქისა არც უნდა შეგეშინდეთ: ეს მან წუხელდამ დაგიმტკიცათ. იქნებ ვინმე სხვა ქალმა იმარჯვოს და კეკლუცობით წამით წაგართვით მისი თავი, ყმაწვილკაცებს ხომ გაძალიანება არ შეუძლიათ, როცა მოხერხებულად აცთუნებენ. თავადაც ალბათ დარწმუნდებით, საყვარელი არსების ერთი სიტყვაც საკმარისია, გრძნობათა მცდარობა გაგვიფანტოს. ისე რომ, სრული ბედნიერებისთვის ისღა გაკლიათ, ასეთ არსებად იქცეთ.

თუმცა ამ ამბავში თქვენ არ შეეცდებით. მეტისმეტად გამჭრიახი ბრძანდებით, ასეთი საფრთხე რომ შეგექმნათ. მაგრამ ჩემმა მეგობრობამ, ისეთივე წრფელმა როგორც ჩემი, ისე თქვენი მხრივ, მაიძულა წუხელ თქვენთვის გამოცდა მომეწყო. ეს არც ისე ძნელი გახლდათ და ნაყოფი კიდევ გაძლიერდა. თუმცა სამადლობლად არც კი ღირს. არცთუ დიდად გამჭირვებია.

და მართლაც რა დამიჯდა? პატარა მსხვერპლის გაღება და ცოტაოდენი სამარჯვე. მე დავთანხმდი ყმაწვილკაცისთვის გამეყო მისი სატრფო. ბოლოსა



და ბოლოს მას ჩემზე მეტი უფლება ჰქონდა, ჩემთვის კი სულერთი გახლდათ! ამ ნორჩ არსებას წერილი მე ვუკარნახე, დროის დაზოგვის მიზნით, ეს დრო კი უფრო საამურო ამბებს მოვახმარეთ. ხოლო ჩემი დანართი ბევრს არაფერს შეიცავს: მხოლოდ რამდენიმე მეგობრული მოსაზრებაა, რათა გამოუცდელ მიჯნურს დაეხმაროს არჩევანში. თუმცა მართალი რომ ვთქვა, არც დასჭირებია — წუთითაც არ შეყოყმანებულა.

ერეკლე

თანაც იმზომ ალაღმართალი ვინმეა, განზრახულია ჩემს დასახლოებას და ყველაფერი გაუწყობს. დარწმუნებული ვარ დიდად ისიამოვნებთ! გამოძიება, ასე ვეტყვი: „ჩემს გულში წაიკითხეთ“-ო. ვვინებ, კარგად მიხვდებით, რამდენად უშველის ეს საქმეს. იმედი მაქვს, მის გულში რომ წაიკითხავთ ყოველივეს, რასაც თვით მოინდომებს, წაიკითხავთ იმასაც, რაზომ არასაიმედონი ბრძანდებიან ნორჩი საყვარლები, და იმასაც, რომ ჩემი მეგობრობა გვერდით ჩემს მტრობას.

მშვიდობით, მოშავალ საამურო შეხვედრამდე.

პარიზი, 6 დეკემბერი 17...

159-ე წერილი

მარკიზის ეპულა ქ-ნი და მერტივი ვიკონტ და ვალეონს

არ მომწონს, როცა ბილწ საქციელს ბილწი ხუმრობა მოსდევს: ეს არც ჩემს გემოვნებას ესადაგება და არც ჩვევებს. თუ ვინმეთი უკმაყოფილო ვარ, კი არ ვამასხარებ, შურს ვიძიებ. ეს კი ბევრად უკეთესია. რარიგ ნასიამოვნებაც არ უნდა იყოს ამ წუთებში, არ დაივიწყოთ, ეს პირველად არ გახლავთ, როცა საკუთარ თავს გამარჯვებას წინასწარ ულოცავთ და ტაშსაც უკრავთ — თანაც მარტო თქვენ, თუმცა იგი იმ წუთშივე გეცლებათ ხელიდან. მშვიდობით.

პარიზი, 6 დეკემბერი 17...

160-ე წერილი

ქ-ნი და პოლანგი ქ-ნი და როზმონდს

ამ წერილს ჩვენი საბრალლო მეგობრის ოთახიდან ვწერთ. მდგომარეობა თითქმის იგივეა. დღეს ოთხი ექიმის კონსილიუმი უნდა შედგეს. მოგეხსენებათ, ეს უფრო საშიში მდგომარეობის მაუწყებელია, ვინემ საიმედოსი.

თუმცა გუშინდამ თითქოს გონზე მოსულა. ამ დილით მოახლემ მითხრა, შუაღამე იქნებოდა, როცა ქალბატონს უთხოვია, ჩემთან მარტო დარჩიო, და კარგა გრძელი წერილი უკარნახებია. უიულიმ დაუმატა, ვინემ ამ წერილს დაბეჭდავდა, ქ-ნი დე ტურველს ისევ ბოღვა დაეწყო და ამიტომ არ იცის, წერილი ვის გაუგზავნოს. ჯერ გამიკვირდა, წერილის შინაარსმა როგორ ვერ მიახვედრა-მეთქი, მაგრამ პასუხად მითხრა, მეშინია, რამე არ ავურიო, თანაც ქალბატონმა მიბრძანა, სასწრაფოდ გაგზავნეო. მაშინ გავბედე და კონვერტი გავხსენი. შიგ ბარათი იდო, რომელსაც ახლა გიგზავნით და რომელშიც არ წერია, ვის გვგზავნება, ვინაიდან საკმაოდ ბევრისკენაა მიმართული. თუმცა მა-



ინც მგონია, ჩვენი საბრალო მეგობარი ჯერ ვალძონს სწერდა, მაგრამ თავისდა შეუმჩნეველად ფიქრები აერია. ასეა თუ ისე, ამ წერილის გაგზავნა არავისთან არ შეიძლება. თქვენ იმიტომ გიგზავნით, უკეთ რომ გაიგოთ, რა ფიქრები აშფოთებდა ჩვენს სხეულს, ვინც ჩემი მონაცვლი გამცნობდათ. თუ ასე აღე-  
 ლვებულები და აფორიაქებული იქნება, არაფრის იმედი არა მაქვს. სხეულს რა  
 გაჩუქნავს, როცა სული ასე შფოთავს.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო, <sup>ეროვნული</sup> ~~ქვეყნული~~ ~~ქვეყნული~~  
 ასე შორსა ხართ ამ სამწუხარო სურათისაგან და ჩემსავით სულ თვალწინ არ  
 გიღვათ.

პარიზი, 6 დეკემბერი 17...

## 161-ე წერილი

### პრეზიდენტის მიუღწეველი დე ტურველი ... დევი

(მის მიერ მოახლისთვის ნაკარნახევი)

დაუნდობელი და ბოროტო სული, ნუთუ აღარ მოიშლი ჩემს დევნას? აღ-  
 არ გვეო, რაც მტანჯე, თავი მომჭერი და წამბილწე? საფლავშიაც არ გინდა  
 მომასვენო? ნუთუ ამ ბნელ სავანეშიაც, სადაც სირცხვილმა თავი დამამარ-  
 ხინა, არ უნდა მქონდეს მოსვენება? არა, შეწყალებას არ ვითხოვ, ამის ღირ-  
 სი არა ვარ, მაგრამ გაუსაძლისს ნუ გამიხდი ტანჯვას, ჩემს ძალებს ნუ აღე-  
 მატება იგი. დე ისევ ვეწამო, თღონდ მიხსენი დაკარგულ სიხარულზე მოგონე-  
 ბათგან. ხომ წამართვი ისინი, ნულა აღმიდგენ თვალწინ ამ სავალალო სურა-  
 თებს. მე უცოდველი ვიყავ, მე მშვიდად ვიყავ. შენ გნახე — და დავკარგე სულის  
 სინსუიდე. ვისმინე შენი სიტყვები — და ცოდვილად ვიქეცე. შენ, ვის  
 განოც ასე შევცოდე, განა გაქვს ნება ასე დამსაჯო?

სად, სად არიან ჩემი მეგობრები? ჩემი უბედურება მათ ძრწოლვას ჰგვრით,  
 ვერც ერთს ვერ გაუბედავს ჩემთან მოახლოება. დათრგუნულს დახმარების  
 ზელს არავინ მიწვდის, ვკვდები და არავინ მტირის. ნუგეშს არავინ მაძლევს.  
 სიბრალული შიშით ქვაკლება დამნაშავის მშთანქმელ უფსკრულთან. სინანუ-  
 ლი გულს უფლეთს მას, მისი გოდება არავის ესმის!

შენ კი, ვინც შეგარცხვინე, ვისაც თავი მოგჭერი, ვისი ჩემდამი პატივი-  
 სცემა სატანჯველს უფრო მიძლიერებს, ვისაც ერთადერთს გაქვს უფლება შე-  
 რი იძიო, რად ხარ ასე შორს? ჩამოდი და დამსაჯე ღალატისათვის, მომაგე,  
 რა სასჯელიც დავიმსახურე. მზად ვიყავ მორჩილად ამეტანა შენი შურისძიება,  
 მაგრამ ძალა არ მეყო მეთქვა შენთვის შენი შერცხვენა, არა იმიტომ, რომ და-  
 მემალა ჩემი ცოდვები, — მხოლოდ და მხოლოდ შენა პატივისცემის გამო. დე  
 ამ წერილმა მაინც გათხრას, თუ როგორ ვნანობ. ზეცამ შენ მხარი დავიჭირა,  
 შურს იძიებს შენი თავმოჭრისათვის, რაზედაც შენ არაფერი იცოდი. სწო-  
 რედ მან დამიბა ენა, არ მათქმევინა არაფერი. შეშინდა, ცოდვა არ მაპატიო,  
 რისთვისაც ჩემი დასჯა უნდოდა. ნება არ მომცა შენს შემწყნარე კალთას შევ-  
 ფარებოდი, რათა არ დაგერღვია მისი სამართლიანი განაჩენი.

მისმა უწყალო შურისძიებამ სწორედ იმ კაცის ხელში ჩამაგდო, ვინაც  
 დამღუპა, ვისი წყალობითაც ვიტანჯები, ვისგანაც მინდა გაქცევა და ვერ  
 ვაქცეულვარ, ვინც ფეხდაფეხ დამდევს და არ მასვენებს. მაგრამ თავის თავს რო-



გორ აღარ ჰგავს! მის თვალებში მხოლოდ ზიზღი და სიძულვილია, პირზე კიცხვა და საყვედური აკურია. მკლავებს მხვევს მხოლოდ იმიტომ, ნაწილ-ნაწილ გამგლიჯოს. ვინ მიხსნის მის ბარბაროსულ მძევინვარებისაგან?

აი, აი ის!.. არ შევმცდარვარ, ისევ მას ვხედავ. ო, საყვარელო მეგობარო, მომეხვიე, ჩამიკარ გულში და დამძალე. ჰოი, რა დამღუბველმა ცრუ შეცდო-მამ ამიბა თვალი, რომ ვერ გიცანი? ჰოი, უშენოდ როგორ გეწყობოდი! ერთ-მანეთს ნულარ დავშორდებით, ნურასოდეს ნუ დავშორდებით! მომეც შეძლება ამოვისუნთქო. გესმის კი, როგორ მიძგერს გული? არა, ეს შიში არ გეგონოს, ეს სიყვარულის ტკბილი განცდაა. თავს რად მარიდებ, რათა ნაზად მოგეაღერსო? მომაპყარ შენი ტკბილი მხერა! მაგრამ ეგ რა ბორკილებაა, რომელთა გაწყვე-ტა გინდა? სასჯელის მაგ იარაღს რისთვის ამზადებ? სახე ასე ვინ შეგიცვა-ლა? რას სჩადი? თავი დამანებე, ქალი ვცახცახებ! ღმერთო, კვლავ ის ურჩხუ-ლი გამომეცხადა!

ნუ, ნუ მიმატოვებთ, მეგობრებო! ხომ თქვენ მიჩვევით მისგან გაქცევას — მაშ დამეხმარეთ, რომ შევებრძოლო. თქვენ, თქვენ კი, უფრო შემწყვალენო, რომ მპირდებოდით ტანჯვის შემსუბუქებას, რად არ მიახლოვდებით! სად ხართ ერთავე? თუ ჩემი ნახვის ნებას არ გაძლევენ, წერილზე მაინც მიპასუხეთ, რომ ვიცოდე, კვლავაც გიყვარვართ.

თავი მანებე, მომწყდი, უწყვალე! ასე რამ გაგააფთრა? იქნებ გეშინია, სინაზის გრძნობა გულში არ შემეპაროს? შენ ტანჯვას მიორკეცებ, შენს თავს მაძულებ. თურმე რა წამებაა სიძულვილი! როგორ გიჭამს გულს, საიდანაც იგი იფრქვევა! რისთვის მაწვალებთ? კიდევ რისი თქმა გინდათ? განა თვით არ გახადეთ შეუძლებლად, რომ მოვისმინოთ და გიპასუხოთ? ჩემგან ნუ ელით ნულარაფერს. მშვიდობით, ბატონო ჩემო.

პარიზი, 5 დეკემბერი 17...

## 162-ე წერილი

### შევალიე დანსენი ვიკონტ და ვალმონს

ჩემთვის ცნობილი გახდა, მოწყვალეო ხელმწიფე, თუ როგორ მომექეცით. ისიც ვიცო, რა უმსგავსოდაც მომატყუეთ, არც ეს იკმარეთ, ხმამაღლა ტრაბახობთ კიდევ ამით. ვნახე ის წერილი, სადაც თვით აღიარებთ საკუთარ ორგულობას, გამოგიტყდებით, ამან საოცრად დამიკოდა გული. სი-რცხვილი მიტანს, რომ მევე შეგიწყვეთ ხელი, ასე ბოროტად გესარგებლათ ჩემი ბრმა ნდობით. თუმცა არ მშურს ამ თქვენი სამარცხვინო უპირატესობის, მხოლოდ მინდა ვიცოდე, ეს უპირატესობა ვითომ ყველაფერში გექნებათ ჩემ-ზე? იმედია, ამას მაშინ გავარკვევ, თუ ინებებთ და ხვალ მობრძანდებით რვიდან ცხრა საათამდე სოფელ სენ-მანდეს მახლობლად ვენსენის ტყის კარიბჭესთან. მე ვიზრუნებ ყოველივე აუცილებელი დაგვხვდეს იმ ახსნა-განმარტებათა მი-საღებად, რაიც კიდევ დაგვრჩენია.

შევალიე დანსენი.

პარიზი, 6 დეკემბერი 17...



## 168-ე წერილი

## ბ-ნი ბერტრანი ე-ს დე როზმონდს



უღრმესი მწუხარებით ვასრულებ ჩემს სავალალო მოვალეობას და გაუწყობთ თქვენთვის დიდად დამთრგუნველ ამბავს. ნება მიბოძეთ თანხმდეთ მოგიწოდოთ, თუ რაოდენი მორჩილება გვმართებს განგების ნებნის მიხედვით, რომლის წყალობით ხშირად აღტაცებაში მოგიყვანიათ ყველა და რომელიც გვაძლევს ძალას გადავიტანოთ უბედურებანი, ჩვენი ცხოვრების მჭიმუნვარე გზა რომ მოუყენია.

თქვენი ბატონი ძმისწული (ღმერთო, რად დამაკისრე ასეთ პატივდებულ ქალბატონს გული მწარედ ვატკინო), თქვენი ბატონი ძმისწული, საუბედუროდ, ამ დილას ბატონ შევალე დანსენისთან დუელში დაიღუპა. მე არაფერი ვიცი მათი ჩხუბის მიზეზის თაობაზე, მაგრამ იმ ბარათის მიხედვით, ბატონი ვიკონტის ჯიბეში რომ აღმოვაჩინე და პატივი მაქვს გადმოგიგზავნოთ, თავად არ უნდა ბრძანდებოდეს ამ ჩხუბის მოთავე. არადა, სწორედ მას ხვდა წილად დაღუპულიყო!

ბატონი ვიკონტის სახლში გახლდით და მის დაბრუნებას ველოდებოდი, როცა ის მოიყვანეს. ალბათ წარმოიდგინეთ, რა თავზარი დამეცემოდა იმის დანახვაზე, სისხლით მოთხვრილი ბატონი ვიკონტი ორ მსახურს რომ მოჰყავდა. ორი ღრმა ჭრილობა მიეღო დაშნისგან და დასუსტებული ჩანდა. ბატონი დანსენიც აქვე იყო და ტიროდა კიდეც, რა თქმა უნდა, უნდა ეტირა მაგრამ ტირილი რას გიშველის, როცა გამოუსწორებელი ბოროტება ჩაიღინე?

რაც შემეხება მე, მართალია, ერთი პატარა კაცი ვარ, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ყველაფერი გადმოვუღავე, რასაც ვფიქრობდი. მაშინ კი ბატონმა ვიკონტმა ჭეშმარიტი სულის სიდიადე გამოიჩინა. მიბრძანა, გაჩუმდიო, ხელი მოჰკიდა თავის მკვლელს ჩემი მეგობარიო, თქვა, აკოცა და ყველას გასაგონად გამოაცხადა: „გიბრძანებთ ამ ბატონს ყველანი იმ პატივით მოექცეთ, რასაც კეთილშობილი და ქველი კაცი იმსახურებს“. ამასთან, ჩემი თანდასწრებით ქაღალდების კარგა მოზრდილი დასტა გადასცა. შიგ რა იყო, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ ბატონი ვიკონტისთვის ისინი დიდად მნიშვნელოვანი გახლდათ. შემდეგ ისურვა მასთან წუთით მარტო დარჩენა. იმწამსვე კაცი ვავგზავნე სულიერი თუ ამქვეყნიური დახმარების მოსაყვანად, მაგრამ ვაი რომ მიაი მდგომარეობა საბედისწერო გამოდგა. ნახევარი საათი არ იყო გასული, ბატონმა ვიკონტმა გონება დაკარგა. წესის აგება ძლივსლა მოასწრეს, რომ სულიც დალია.

ა

ღმერთო დიდებულო! როცა მისი დაბადებისას იგი ხელში ავიყვანე, ვით დიდებული ოჯახის უძვირფასესი ბურჯი და საყრდენი, რას ვიფიქრებდი, თუ ჩემსავე ხელში დაღუვდა სულს და ჩემივე დასატირებელი იქნებოდა. ასე უღროდ და უკუღმართად დაღუპული?! ჩემდა უნებურად მდის და მდის ისევ ცრემლები, მაპატიეთ, ქალბატონო, რომ ვბედავ და ჩემს მწუხარე ცრემლებს თქვენსას ვუერთებ, მაგრამ რა წოდებისაც არ უნდა იყოს კაცი, გული და გრძნობა ყველას ერთნაირი გვაქვს. სწორედაც უმაღური ვინმე ვიქნებოდი, თუ ჩემს ბატონს არ ვიტყვებდი, ჩემდამი ასე კეთილს და ასეთი ნდობით სავსეს.

ხვალ გამოსვენების შემდეგ ყველაფერს დავბეჭდავ. ამ მხრივ მთლიანად



ჩემი იმედი იქონიეთ. ალბათ მოგეხსენებათ, ქალბატონო, რომ ამ სავალალო ამბის შედეგად თქვენი ანდერძი გაუქმებულად ჩაითვლება და ახალი შემკვიდრის არჩევა მოგიწევთ. თუ რამეში შემეძლება გამოგადგეთ, გთხოვთ ინებოთ და ძაუწყოთ თქვენი განკარგულებანი, ყოველნაირად შევეცდები ზუსტად აღვასრულო ისინი. ვშთები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და მონა-მორჩილი... ა. შ. და ა. შ.

ეროვნული  
ბიზნეს-სტრუქტურა.

პარიზი, 7 დეკემბერი 17...

164-ე წერილი

ქ-ნი და როზმონდი ბ-ნ ბერტრანს

ეს წუთია მივიღე თქვენი წერილი, ძვირფასო ბატონო ბერტრან, რომელმაც მამცნო ის თავზარდამცემი ამბავი, რისი მსხვერპლიც ჩემი ძმისწული გახდა. დიახ, მე მოგცემთ განკარგულებებს. ისინი და მხოლოდ ისინი მაიძულებენ ჩემი მოულოდნელი მწუხარების ხანს კიდევ სხვა რამეზე ვიფიქრო.

ბ-ნ დანსენის ბარათი, თქვენ რომ გადმოგიგზავნეთ, ყველაზე სარწმუნო საბუთია იმისა, დუელის თაოსანი რომ თვითონ იყო. ამიტომ ჩემი სურვილია დაუყოვნებლივ საჩივარი შეიტანოთ ჩემი სახელით. თავის მტერსა და მკვლელს ჩემმა ძმისწულმა რომ შეუწოდო და აპატიო, ეს მისი ჩვეული დიდსულოვნების გამოვლენა იყო. მაგრამ კაცთმოყვარეობა და სარწმუნოება მავალებს მისი სიკვდილისათვის შურისგება ვითხოვო. არა კანონი არ იქნება მეტიმეტად ხასტიკი ამ ბარბაროსული გადმონაშთის წინააღმდეგ, ჩვენს ზნესა და ჩვევას რომ ბილწავს, და არა მგონია მსგავს შემთხვევაში ვინმემ მოგვიწოდოს, შეურაცხყოფა უნდა მიუტევოთო. ამიტომაც იმედი მაქვს, თქვენთვის ჩვეული სიბეჯითით მოეკიდებით ამ საქმეს.

უპირველესად უნდა ეახლოთ ბ-ნ პრეზიდენტ...-ს და ჩემი სახელით მოელაპარაკოთ. თავად არ მივწერ, რადგან მთელი არსებით უნდა მივნებდე მწუხარებას და გლოვას. მოუბოდიშეთ ჩემ მავიერ და ეს წერილი წააკითხეთ.

მშვიდობით, ძვირფასო ბატონო ბერტრან, გიწონებთ და მადლობას გიხდით გულითადი გრძნობებისათვის და მიგულვით თქვენი ერთგული ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

....ის კოშკიდან, 8 დეკემბერი 17...

165-ე წერილი

ქ-ნი და ვოლანში ქ-ნი და როზმონდს

ალბათ უკვე გამცნეს, ჩემო ღირსეულო და ძვირფასო მეგობარო, თუ ვინ დაკარგეთ. ვიცი, რა ნაზად გიყვარდათ ბატონი დე ვალმონი და გულწრფელად ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. ამიტომ მიჭირს თქვენს გულისტკივილს კიდევ ახალი საწუხარი მივამატო. ვაი, რომ ჩვენი უბედური მეგობრის დატირებაც მოგიხდებოთ. იგი გუშინ საღამოს თერთმეტ საათზე წავიდა ჩვენგან. ბედისწერის დაუნდობელმა ნებამ, მას რომ განუწყვეტლივ ფეხდა-







მთხოვა როცა მოკვდებოდა, მაშინვე თქვენთვის გადმოგზავნა.<sup>1</sup> მერე მღელვარედ მელაპარაკა თქვენზე, მისდამი თქვენს სიკეთეზე, თუმცა ლაპარაკს ძლიერს ახერხებდა.

ოთხი საათისთვის მამა ანსელმიც მობრძანდა. მთელი საათი დაჰყო მარტომ მასთან. როცა შევედით, პირზე ნათელი და სიმშვიდე გადაჰფენოდა, მამა ანსელმს კი, ეტყობა, ბევრი ეტირა. იგი დარჩა წესის შესრულებად. ეს მუდამ ამაღლებული და ჭმუნვით სავსე სურათი გახლავთ, ახლა კი მით უფრო ამაღლებული და მჭმუნვარე, როცა სნეული ასე მშვიდი, მორჩილი ჩანდა, მის გვერდით კი დარბაისული მოძღვარი ასე ღრმად დამწუხრებული. მას ღვარად სდიოდა ცრემლი. ყველანი გულშეძრულნი ვიყავით, მარტოოდენ იმას არ გადმოვარდნია ერთი ცრემლიც კი, ვისაც იქ მყოფნი დავტიროდით.

ღღის დანარჩენი ნაწილი ლოცვებში გავატარეთ, როგორც ასეთ ღროს წესია ხოლმე. შევწყვეტდით მხოლოდ მაშინ, როცა სნეული მეტიმეტად მისუსტდებოდა, ეს კი ხშირ-ხშირად ხდებოდა. საღამოს თერთმეტისათვის ისე მეჩვენა, თითქოს უფრო დამძიმდა და უფრო მეტად წუხდა. ხელი გავწიე, მის ხელს რომ შეხებოდა. მაინც შეიძლო ჩემი ხელი აეღო და გულზე დაეღო. მისი გულის ძგერა ვეღარ ვიგრძენი. ჩვენს უბედურ მეგობარს სული იმ წამს დაელია.

გახსოვთ, ძვირფასო მეგობარო, ამ ბოლოზე პარიზს რომ ჩამობრძანდით — ერთი წელიც არ იქნება გასული — და იმ ადამიანებზე ვსაუბრობდით, რომელთა ბედნიერება ასე ურყევი გვეგონა, მეტადრე იმ ქალისა, ვის უბედურებასა და სიკვდილს ახლა დავტიროთ. ო, რაოდენი სიკეთე, რაოდენი დიდებული თვისება და ხიბლი გააჩნდა! სათნო, თვინიერი ხასიათი, მისთვის საყვარელი და მისი მალმურთებელი ქმარი, ხალხი, მის ირგვლივ რომ იმყოფებოდა, მას რომ მოსწონდა და თვითონაც რომ ამშვენებდა, არ აკლდა არც სილამაზე, არც სიმდიდრე, არც ახალგაზრდობა — ამდენი სიკეთე კი ერთმა გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა წყალს გაატანა! ჰოი, განგების ძალავ! რა თქმა უნდა, ჩვენგან პატივი ეგების შენს ნებასა და განჩინებას, მაგრამ რაოდენ გაუგებარია ზოგჯერ ისინი ჩვენთვის! თუმცა სჯობს დავდუმდე და ჩემი მწუხარებით კიდევ უფრო არ დაგამწუხროთ.

ახლა კი უნდა დაგტიოვთ, ჩემს ასულთან უნდა წავიდე — ცოტა ვერ არის კარგად. თავისი ორი ნაცნობის დაღუპვა ამ დილას რომ გაიგო, ცუდად იგრძნო თავი და ლოგინში ჩავაწვინე, იმედია, ეს უქვეიფობა მალე გაუვლის. ამ ნორჩ ასაკში ჩვეულები არ არიან ხოლმე უბედურ ამბებს, ამიტომაც უფრო მძაფრად განიცდიან, ცხადია, მოსაწონი თვისებაა ესდენ მწვავე განცდანი, მაგრამ ყველაფერი, რასაც ვხედავთ, განა არ ჩავვაგონებს, მათ რომ უნდა ვუფრთხოდე! მშვიდობით, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო.

პარიზი, 9 დეკემბერი 17..

1. იმ კოლოფში გახლდათ ყველა წერილი, ბ-ნ დე ვალმონთან მის დამოკიდებულებას ნათელს რომ ჰყენდა.



## 166-ე ვერილი

## ბ-ნი ბერტრანი ქ-ნ დე როზმონდს

მოწყალეო ხელმწიფევე!

შევასრულე რა თქვენი განკარგულებანი, რომელთა ბრძანებაც ჩემთვის ინებეთ, პატივი მქონდა ბატონ პრეზიდენტ...-ს შევხვედროდი, ვაცნობოდი თქვენს წერილის შინაარსი, თან გავაფრთხილე, რომ თქვენი სურვილისდა მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ მისი რჩევის თანახმად ვიმოქმედებდი. ამ პატივცემულმა მაგისტრმა დამავალა თქვენს ყურადსაღებად გადმომეცა, რომ საჩივრის შეტანა ბატონ დანსენიზე, როგორც განსაზღვრული გაქვთ, ჩრდილს მიაყენებდა თქვენს ძმისწულსაც და სასამართლოს დადგენილება უცვილობლად მის ღირსებასაც შელახავდა, რაიც ცხადია, ფრიად სამწუხარო იქნებოდა. მისი აზრით, მართებულ არს არ გადაიდგას არა ნაბიჯი, ხოლო თუ მაინც გადაიდგა, მართოდენ იმ მიზნით, არამც და არამც არ იქნას დაშვებული, სასამართლოს ინსტანციებში შეიტყონ რამე ისედაც გახმაურებულ ამ საქმის თაობაზე.

ეს შენიშვნები უაღრესად გონივრული მეჩვენა. ისე რომ გადავწყვიტე თქვენს შემდგომ განკარგულებებს დაველოდო.

ნება მომეცით გთხოვოთ, ქალბატონო, ერთი სიტყვით მაინც მაცნობოთ თქვენი ჯანმრთელობის თაობაზე, რამეთუ ძალზე ვშიშობ, ამდენმა სამწუხარო ამბავმა არა გავნოთ რა იმედია, მეტისმეტ კადნიერებად არ ჩამითვლით ამ თხოვნას, თქვენდამი ჩემი ერთგულებისა და სიბეჯითის დასტურს.

პარიზი, 10 დეკემბერი 17...

## 167-ე ვერილი

## უცნობი პიროვნება შევალნი დანსენის

მოწყალეო ხელმწიფევე!

პატივი მაქვს გაგაფრთხილოთ, დღეს დილას სასამართლო პალატაში ბატონ სამეფო მოხელეთა შორის საუბარი იყო იმ საქმის თაობაზე, რამდენიმე დღის წინ რომ მოხდა თქვენსა და ბატონ დე ვალმონს შორის. გახლავთ საშიშროება პროკურატურამ აღძრას საქმე თქვენ წინააღმდეგ. ვფიქრობ ამ გაფრთხილების შემდეგ გამოიყენებთ თქვენს გავლენიან ნაცნობებს ამ ამბის დამლუპველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ხოლო თუ ამას ვერ შესძლებთ, უზრუნველყოფთ საკუთარ უსაფრთხოებას.

თუ ნებას დამრთავთ, მინდა გირჩიოთ, სჯობს რამდენიმე ხანს მაინც მოერიდოთ საზოგადოებაში ხშირად გამოჩენას, როგორც ამ ბოლო ხანს სჩადიოდით. თუმცაღა მიღებულა მსგავს საქმეთ შემწყნარე თვალთ შეხედონ, მაგრამ კანონსაც პატივი უნდა მივაგოთ.

ასეთი სიფრთხილე მით მეტად გმართებთ, რომ ჩემამდე მოადწია ცნობამ, ვინმე ქალბატონი როზმონდი, როგორც ამბობენ ბატონი დე ვალმონის მამიდა, თქვენზე აპირებს საჩივრის შეტანას. ამ შემთხვევაში კი პროკურატურა იძულებული გახდება საქმეს მსვლელობა მისცეს. იქნებ უფრო გონივრული იყოს მოგეხერხებინათ ამ ქალბატონთან მოლაპარაკება.



პირად მიზეზთა გამო არ შემიძლია ამ წერილს გვარი მივაწერო. და თუმც არ იცით, ვისგან გახლავთ გამოგზავნილი, ვფიქრობ, დააფასებთ იმ კრძნობებს, რომელთაც ის მიკარნახეს.

მაქვს პატივი და ა. შ.

პარიზი, 10 დეკემბერი 17...  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

168-ე წერილი

ქ-ნი და ვოლანჟი ქ-ნ და როზმონდს

აქ მეტად უსიამო და უცნაური ხმები დაირხა, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო, ქ-ნ დე მერტეიზე. ცხადია, არ მჯერა და თავს დავედებ ეს ყველაფერი უმსგავსო ცილისწამებანია, მაგრამ კარგად ვიცი, რარიგ მყარად იდგამს ხოლმე ფესვებს სიძარტლეს მოკლებული ცილი და ჭორი, რა ძნელად ქარწყლდება მათ მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება. ამიტომაც უაღრესად მამოფოთებს ეს ხმები, რაოდენ ადვილი გასაფანტიც არ უნდა იყოს, და ვფიქრობ, სჯობს თავის დროზე მოიშოთ, ვინემ კიდევ უფრო არ გავრცელებულა. ამ უმსგავსოებათა თაობაზე, ახლა რომ საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა, მხოლოდ და მხოლოდ გუშინ გვიანდამ გავიგე. ამ დილას კი, როცა ქ-ნ დე მერტეისთან მსახური გავგზავნე, აღმოჩნდა, რომ ორი დღით წასულა სოფელში და ვერც ვერავინ მითხრა, ვისთან გაემგზავრა. მისი მეორე მოახლე რომ დავიბარე, მარტო ეს თქვა, ქალბატონმა ბრძანა, უახლოეს ხუთშაბათს დაებრუნდებით შინ დარჩენილ მსახურთაგან ამაზე მეტი არავინ იცის. თავადაც ვერ მომიფიქრებია, ვისთან უნდა იმყოფებოდეს, რამდენადაც ვიცი, მისი ნაცნობებიდან ასე გვიანობამდე სოფელში არავინ რჩება.

ასეა თუ ისე, იმედი მაქვს, რომ მის დაბრუნებამდე თქვენ შეგიძლიათ რაღაც ნათელი მოჰფინოთ ამ ამბებს მისდა სასიკეთოდ. რაშეთუ ეს მითქმა-მოთქმა იმ ვითარებას ეფუძნება, რომლის დროსაც ბატონი დე ვალმონი დაიღუპა. ისინი კი თქვენთვის, ვგონებ, ცნობილი უნდა იყოს. თქვენთვის ძნელი ალბათ არ იქნება მათი ნათელყოფა, რაზედაც, ვით მოწყალეობას, ისე გემუდარებით. აი რა ხმებს ავრცელებენ, უკეთ, ჯერჯერობით ჩურჩულებენ, მაგრამ, ცხადია, სულ მალე ხმამაღლა დაიწყებენ ლაპარაკს.

ამბობენ, ბატონ დე ვალმონსა და შვეალიე დანსენის შორის ჩხუბი ქალბატონ დე მერტეის გამო მოხდაო. იგი ორივეს ატყუებდაო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მეტოქენი ჯერ ერთმანეთს შებმიან, მხოლოდ ამის შემდეგ გაურკვევიათ საქმის ვითარებანი, ერთმანეთს გულწრფელად შერიგებიან, ხოლო შვეალიე დანსენისთვის რომ საბოლოოდ აეხილა თვალები ქალბატონ დე მერტეიზე და თავიც სრულიად გაემართლებინა, ბატონ დე ვალმონს თავის ნათქვამის დასამტკიცებლად უამრავი წერილი გადაუცია მისთვის. მათ ერთმანეთში განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონიათ, სადაც ქალბატონი დე მერტეი ყოველად უტიფრად ჰყვება თურმე თავის სასიკანდალო ისტორიებს.

იმასაც უმატებენ, აღმფოთებული დანსენი პირველად თურმე ყველას აკითხებდა ამ წერილებს, ისინი ახლა მთელ პარიზში ხელიდან ხელში გადადი-



სო. ყველაზე მეტად ორ წერილზეა ლაპარაკი: ერთში თავის ცხოვრების ამბავსა და თავისი ცხოვრების წესებზე ჰყვება ისე უმხგავსოდ, მეტი რომ არ შეიძლებაო, მეორე კი მთლიანად ამართლებს ბ-ნ დე პრევანსო. ხომ გახსოვთ მისი ისტორია. წერილიდან მტკიცდება, თურმე ბ-ნი დე პრევანი მხოლოდ ამკარა აშკიბას დაყოლია ქ-ნ დე მერტეის მხრიდან და პაუზანზეც წინასწარ ყოფილან შეთანხმებულნი. საბედნიეროდ, საკმაოდ დიდი საფუძველი მაქვს ყველა ეს გრულ და უგვანოდ მივიჩნიო. პირველ ყოვლისა ორივემ ვიცით, ბ-ნი დე ვალმონი სულაც არ იყო გატაცებული ქ-ნ დე მერტეით, ისიც დანამდვილებით ვიცი, არც ბ-ნ დანსენის ჰქონია რაიმე გრძნობა მის მიმართ. ისე რომ, ჩემთვის ცხადია, იგი არ შეიძლება ყოფილიყო ჩხუბის საბაბი და არც მისი წაქეზებელი. არც ის მესმის, ქ-ნი დე მერტეი რად უნდა შეთანხმებოდა ბ-ნ დე პრევანს იმ სცენის გასათამაშებლად, უთუოდ უსიამოვნო და უდავოდ სახიფათოც რომ იქნებოდა ქ-ნ დე მერტეისთვის მისი გახმაურების შემდეგ. თანაც დაუძინებელ მტრად გაიხდიდა ისეთ კაცს, ნაწილობრივ რომ იცოდა მისი საიდუმლო და იმხანად საკმაოდ ბევრი მომხრეც ჰყავდა. თუმცა ისიც სანიშნია, რომ კაციშვილს არ აუმაღლებია ხმა ბ-ნ დე პრევანის დასაცავად და ვერც თვითონ გაბუღა აღშფოთების გამოთქმა.

აი ეს მოსაზრებანი ეჭვსაც კი მიძრავს, ბ-ნი დე პრევანი ხომ არ გახლავთ ამ გაურცხლებული მითქმა-მოთქმის წყარო. იქნებ სიძულვილმა და შურისგების სურვილმა უკარნახა და ჩააგონა ეს, რაკი თავი დაღუპულად მიიჩნია, პოდა, ინგლოვებს ამ გზით ეჭვები გააღვიძოს და საზოგადოების ყურადღება სულაც მეორე მხრისკენ მიმართოს. მაგრამ საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს ბორიტი ხმები, უპირველეს ყოვლისა ისინი უნდა მოიშთოს. შისდათავადაც კი შეწყდება, თუკი გამოირკვევა — და ალბათ ასეც იქნება — ბატონი დე ვალმონი და ბატონი დანსენი ამ ბედუკულმართი დუელის შედეგ ერთმანეთს არ გასაუბრებიან და ერთს მეორისთვის არა წერილები არ გადაუცია.

იმხომ მოუთმენლად მინდოდა ყოველივე ამის სასწრაფოდ შემოწმება, დღეს დილას დანსენის კაცი გავუგზავნე, მაგრამ იგი პარიზში არ ყოფილა. მისმა მსახურებმა ჩემს ლაქიას უთხრეს, მიღებული რჩევის კვალობაზე წუხელვე გაემგზავრა და მისი ადგილსამყოფელი საიდუმლო გახლავთო. როგორც ჩანს, თავისი ნამოქმედარის შედეგებს უფრთხის. ამიტომ მხოლოდ თქვენგან შემიძლია, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო, დაწვრილებით გავიგო, რაც მიინტერესებს და რაც ქ-ნ დე მერტეისთვის შესაძლოა აუცილებელი გამოდგეს. ისევ და ისევ გთხოვთ რაც შეიძლება მალე მაცნობით ყველაფერი.

ჩემი ასულის უქეიფობა საშიში არ აღმოჩნდა. იგი გიმოწმებთ თავის პატივისცემას.

პარიზი, 11 დეკემბერი 17...



შევალიე დანსენი ქ-ნ დე როზმონდს



მოწყალეო ხელმწიფავ!

ჩემი ეს საქციელი ეგების ძალზე უცნაუროდ გეჩვენებოდა მაგრამ ვინემ განმსჯიდეთ, ჯერ მომისმინეთ, კადნიერებად დაგვამწიფებდა ჩუ ჩამითვლით, რაიც მხოლოდ პატივისცემამ და ნდობამ შთამაგონა. მე არ ვუმაღლავ ჩემს თავს, რა დიდად დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე. ამ დანაშაულს მთელი სიცოცხლე ვერც ვაპატიებდი ჩემს თავს, წამითაც რომ მეფიქრა, მისი აცდენა შეუძლებლო. და თუმცა თავს ვერაფერს ვერ ვუსაყვედურებ, მაინც ძალზე ვწუხვარ და წრფელი გულით მიხდა დავამატო, უღრმეს წუხილს განვიცდი, ესდენი მწუხარება რომ მოგაყენეთ. ჩემი განტდები რომ ირწმუნოთ, საკმარისია თავს საკადრისი მიაგოთ და ისიც გულისხმად ჰყოთ, მიუხედავად იმისა არ მაქვს პატივი მცნობდეთ, სამაგიეროდ მე თავად გიცნობთ.

იმ დროს, როცა ასე მტანჯავს და ლოდად მაწევს ავბედით გარემოებათა მთელი სიმძიმე, მიზეზი თქვენი მწუხარებისა და ჩემი უბედურების, მე მარწმუნებენ, შურისძიების ფიქრით აღესილს თურმე გნებავთ საამისოდ კანონთა სასტიკ ძალას მიმართოთ.

ნება მიბოძეთ მიგანიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში მწუხარებით დაბრმავებული ვერ ამჩნევთ, რაოდენ მჭიდროდ გახლავთ გადახლართული ჩემი ინტერესები ბ-ნ დე ვალმონის ინტერესებთან. ჩემი დასჯით ჩრდილი მასაც ადგება. თქვენგან დახმარებას უფრო მოველი, ვინემ დაბრკოლებას, ის კი ალბათ დამჭირდება, როცა შევეცდები ეს ბედუკუღმართი ამბავი სამუდამოდ დასამარდეს და აღარავინ გაიხსენოს.

ოცონდაც ეს დახმარება, თანამზრახველობისას რომ იძულებულს ხდის ადამიანს დამნაშავესა თუ უდანაშაულოს ერთნირად დაუჭიროს მხარი, მე არ მაკმაყოფილებს: როცა უარს ვაბმობ ჩემი მომჩივანი ბრძანდებოდეთ, მე გთხოვთ, მე მსურს იყოთ ჩემი მსაჯული! ვისი მოწიწებაც გვაქვს, მისი პატივისცემა ჩვენთვის მუდამ ძვირად ფასობს, ამიტომ არ დავთანხმდები იგი ისე დავკარგო, თავი არ დავიცვა, თავის დაცვა კი, ვგონებ, ნამდვილად შემიძლია.

და მართლაც, თუ დამეთანხმებით, რომ საზღაურის მიგება დასაშვებია და მოვალენიც ვართ ის აღვასრულოთ, თუკი მეგობრობის, სიყვარულის, რაც მთავარია, ურთიერთობის ღალატის მსხვერპლნი ვხდებით, თქვენთვის დამნაშავე აღარ ვიქნები. სიტყვაზე ნუ დამიჯერებთ, მხოლოდ ეს წერილები წაიკითხეთ, მე რომ გიგზავნით, თუკი მხნეობა არ გამტყუნებთ მათი კითხვისას. აქ წარმოდგენილი უამრავი წერილის დედანი ალბათ ამტკიცებს სხვა წერილთა ასლების უტყუარობას, პატივი რომ მაქვს გადმოგიგზავნოთ. თანაც ეს წერილები ასეთივე სახით მივიღე ბ-ნი დე ვალმონისგან, მე მათთვის არ-

1. ამ მიმოწერით, კიდევ იმ წერილებით, რომლებიც ქ-ნ დე ტურველის გარდაცვალების შემდგომ ქ-ნმა დე ვოლანჟმა ქ-ნ დე როზმონდს გადაუგზავნა, ნამდვილი კრებული შედგა. მათი დედნები ქ-ნ დე როზმონდის შემკვიდრებთან ინახება.



აფერი მიმიტყებია. მხოლოდ ორი წერილი გამოვაკელი, რათა ყველასთვის ცნობილი გამეხადა.

ერთი მჭირდებოდა როგორც ჩემი, ისე ბ-ნი დე ვალმონის მხრიდან შურის საძიებლად, რაზედაც ორივეს ერთნაირად გვექონდა უფლება და რაიც მან ანდერძად დამიტოვა. გარდა ამისა ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა მოთელი საზოგადოების წინაშე შემხილა ქ-ნ დე მერტეისთანა საშიში ქალი, ერთადერთი ჭეშმარიტი მიზეზი — როგორც თვით დარწმუნდებით — ყოველივე ჩემსა და ბ-ნ დე ვალმონს შორის მოხდა.

მეორე წერილის გახმაურება კი სამართლიანობის გრძნობამ მაიძულა ბ-ნ დე პრევანის მიმართ. მე მას არცთუ კარგად ვიცნობდი, მაგრამ დიანაც არ დაუმსახურებია არც ის სასტიკი განაჩენი და არც ის სასჯელი საზოგადოების მხრიდან, რის გამოც აქამდე იტანჯება და რისგანაც თავის დაცვის არა საშუალება არ გააჩნია.

ამიტომაც ამ ორი წერილის მხოლოდ ასლს იხილავთ, მისი დედნები კი ვალად მიმაჩნია ჩემთან შევინახო. რაც შეეხება დანარჩენებს, ჩემი აზრით უფრო საიმედო ხელს ვერც ჩავაბარებდი. მე შემეძლო ამ არქივის განადგურება, მაგრამ არ ვიკადრებდი მის ბოროტად გამოყენებას. ეს წერილები რომ მოგანდეთ, მწამს ისევე დიდი სამსახური გავუწიე დაინტერესებულ პირთ, როგორც მათთვის რომ გადამეცა. გარდა ამისა ისე აღარ შერცხვებათ, როგორც შერცხვებოდით, მე რომ გადამეცა და ამით მეუწყებინა, ის ამბები, ყველასგან დაძალვა რომ ენდომებოდით, ჩემთვისაც ცნობილი იყო.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ ეს მიმოწერა მხოლოდ ნაწილია გაცილებით დიდი კრებულისა, საიდანაც ბ-ნმა დე ვალმონმა ის ამოიღო. ლუქს რომ ახსნით, უთუოდ ნახავთ წარწერას, მე რომ ჩემი თვალით ვნახე: „მარკიზის მეუღლე ქ-ნ მერტეისა და ბ-ნ დე ვალმონის ღია ანგარიში“. აღბათ კეთილგონიერება ვიკარნახებთ, როგორ მოიქცეთ ამ შემთხვევაში.

ვმთები, ქალბატონო, თქვენი პატივისმცემელი და ა. შ.

P. S. მე გაგაფრთხილეს და ამასთან მეგობრებმაც მირჩიეს, რამდენიმე ხნით პარიზი დამეტოვებინა. ჩემი ადგილსამყოფელი არავინ იცის, მაგრამ თქვენ კი უნდა იცოდეთ. უკეთუ ღირსს გამხდით პასუხისა, გთხოვთ საკომანდოროში ბ-ნ კომანდორ...-ის მისამართზე გამომიგზავნოთ. სწორედ მისგან მექვს პატივი ახლა გწერდეთ.

პარიზი, 12 დეკემბერი 17...

## 170-ე წერილი

### ქ-ნი დე ვოლანჟი ქ-ნ დე როზმონდს

მოულოდნელობას მოულოდნელობა და მწუხარებას მწუხარება მოხდევს ჩემთვის, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო. მხოლოდ დედას შეუძლია წარმოიდგინოს, რა გამოვიარე და რა განვიცადე გუშინ დილას. მართალია, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, იმის შიში უკვე აღარ მაქვს, მაგრამ მაინც ძალზე აღელვებული ვარ და არც ვიცი, როდის ექნება ყველაფერს დასასრული.

გუშინ, დილის ათი საათისთვის ჩემი ასული რომ აღარ გამოჩნდა, გოცნებულმა მოახლე გავუგზავნე გამოსარკვევად, ასე რატომ დააგვიანა. ერთი წუთის შემდეგ შეშინებული მობრუნდა და კიდევ უფრო შემაშინა, როცა მი-



თხრა, თქვენი ასული თავის ოთახში ვერ ვნახე და არც მის მოახლეს დახვედრია იქ დილაადრიაანო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავკარდებოდი! მყის ვუხმე ყველა ჩემს მსახურს, პირველ ყოელისა მეკარეს. ყველანი იფიცებოდნენ, არაფერი ვიცითო და მომხდარზე ვერაფერს მოგახსენებთო. სასწრაფოდ წავვდი ჩემი ასულის ოთახში. იქ ისეთი არეულობა დამხვდა, მიუხედი, მხოლოდ ამ დილას უნდა წასულიყო, სხვა მისანიშნებელიც არაფერი ვნახე. დაუათვალაიერე მისი კარადები, სეკრეტერის უჯრებსაც ყველაფერი კრავის ადგილზე იყო, ყველა მისი კაბა იქ დამხვდა გარდა ერთისა, რომლითაც ალბათ წავიდა. არც იმ ცოტადენი ფულისთვის უხლია ხელი, რომელიც ჰქონდა.

მან მხოლოდ გუშინ შეიტყო, რა ხმებიც დაირხა ქ-ნ დე მერტეის თაობაზე. ისე უყვარდა ეს ქალი, მთელი დღე ტირილში გაატარა. რაკი გამახსენდა, ქ-ნ დე მერტეის სოფელში გამგზავრების ამბავი რომ არ იცოდა, ვიფიქრე, იქნებ თავისი მეგობრის ნახვა გადაწყვიტა და ქარაფშუტული მიაპიტობით მასთან მარტო გაემართა-მეთქი. მაგრამ რომ აღარ და აღარ დაბრუნდა, კვლავ შიშმა ამიტანა, შფოთი წამისწამ მიძლიერდებოდა, გაურკვეველობა გულს მიწუხებდა, არადა, ვერც ვამბებდა ვისმესთვის რაზე მეკითხა, ვაითუ მისი საქციელი ყველას გაეგო, რომლის დამალვა, ვინ იცის, შემდეგში კიდეც დამჭირდებოდა. არა, ჩემს სიცოცხლეში ასე არ გავწამებულვარ!

მხოლოდ ნაშუადღევის შემდეგ, ასე ორი საათისთვის ზუდიზედ მივიღე ორი წერილი: ერთი ჩემი ასულის, მეორე ...ის მონასტრის დედა წინამძღვრისაგან. ჩემი ასული მწერდა, რომ ეშინოდა უარი არ მეთქვა მის მოწოდებაზე. მონაზვნად აღკვეცილიყო და ამიტომ ვერ გაბედა ჩემთვის ამის თქმა, შემდეგ დიდ ბოდიშებს მიხდიდა, ჩემს დაუკითხავად რომ გადაწყვიტა ეს ამბავი და იმასაც დასძენდა, უთუოდ მოუწონებდი, მიხეზი რომ მცოდნოდა, რომლის თაობაზეც მოხოვდა არაფერი მეკითხა.

დედა წინამძღვარი კი მაუწყებდა, რაკილა ყმაწვილი ქალი მარტო ჩამოვიდა, თავდაპირველად არაფრით არ უნდოდა მისი მიღება. მაგრამ ამბავი რომ გამოკითხა და გაიგო, ვინც იყო, გადაწყვიტა ჩემი ასულისათვის თავშესაფარი მიეცა, რითაც დიდ სამსახურს გამიწვედა და იძულებულს არ გახდიდა გზა გაეგრძელებინა. ეს კი ჩემს ასულს, როგორც ჩანს, მტკიცედ გადაწყვიტა. ცხადია, უკეთუ მის დაბრუნებას მოვითხოვდი, იგი დააბრუნებდა, მაგრამ დედა წინამძღვრის კვალბაზე კი მირჩევდა, ამ მოწოდებას, მისი აზრით ურყევს, არ შეეწინააღმდეგებოდი. მწერდა იმასაც, ეს ამბავი უფრო ადრე მხოლოდ იმიტომ არ შემატყობინა, რომ ძალზე გაუჭირდა ჩემი ასული დაუთანხმებინა ჩემთვის მოეწერა, ვინაიდან არამც და არამც არ უნდოდა ვისმეს ცოდნოდა მისი თავშესაფარი. ო, რა სასტიკი და დაუნდობელი რამაა შვილების უგუნურება!

მყის გავემგზავრე მონასტერში. ველაპარაკე დედა წინამძღვარს და ვუთხარი, ჩემი ასულის ნახვა მინდა-მეთქი. უხალისოდ, აკანკალებული მოვიდა. სულ ცრემლებად იღვრებოდა, ერთადერთი, რაც ვაოქმევიანე, იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ მონასტერში იქნებოდა ბედნიერი. რა შექნა, დაერთე დარჩენის ლება, ოღონდაც არა მორჩილად, როგორც თავად უნდოდა. ვფიქრობ, ქ-ნი დე ტურველისა და ბ-ნ დე ვალმონის სიკვდილმა მეტისმეტად ააღელვა, ის ხომ ჯერ ნორჩია. დიდ პატივსა ვცემ მონაზვნობას, და მაინც გამტანჯველი და გაუსაძლისი იქნება ჩემთვის იმის ნახვა, როგორ აღიკვეცება ჩემი ასული. ჩვენ ისედაც ბევრი მოვალეობა გვაკისრია და, ვკონებ, სულაც არ გვჭირდება



ახლის ტვირთვა. მეტადრე რომ ასეთ ნორჩ ასაკში ვის შეუძლია გამოიცნოს, რა უნდა და რა შეეფერება.

კიდევ უფრო მაცბუნებს ის ამბავი, რომ ბ-ნი დე ფერკური სადაცაა ჩამობრუნდება. ნუთუ უნდა ჩაიშალოს ესდენ ხელსაყრელი ქორწინება? როგორ უნდა შეუქმნა ბედნიერი ცხოვრება შვილებს, თუ საკმარისი არაა არც მცნო მოწადინება და არც ძალისხმევა? დამდეთ სიკეთე და მომწერეთ, ჩემს ადვოლტზე როგორ მოიქცეოდით. აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. რა საშინელია ყოფილა სხვათა ბედის გადაწყვეტა. ამ შემთხვევაში ერთნაირად უუფროთნი როგორც მსაჯულის სისატიკეს, ისე დედობრივი სისუსტის გამოჩენას.

სულ ვაყვედრი ჩემს თავს, ისედაც დამწუხრებულს ჩემს საწუხარსაც რომ გიმატებთ და გულს გიწყალებთ ამით. მაგრამ ვიცი თქვენი გულის ამბავი, ვიცი, ყველაზე დიდი ნუგეში თქვენთვის სხვების დანუგეშებაა.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო, მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს ჩემს ორივე კითხვაზე.

პარიზი, 18 დეკემბერი 17...

### 171-ე წერილი

#### ქ-60 დე როზმონდი შავალიე დანსენის

იმ ამბების შემდეგ, თქვენ რომ მაცნობეთ, სხვა რა დამრჩენია ტირილისა და ღუმილის გარდა, ბატონო ჩემო. ამქვეყნად სიცოცხლე აღარ გინდა ასეთი შემზარავი ამბების გაგების შემდეგ. შეგრცხვება კიდევ ქალობა, როცა ხედავ, რომ შეიძლება ქალი ესდენ გახრწნილი იყოს.

მე პირადად მთელი გულით გეთანხმებით ღუმილსა და დავიწყებას მივცე ყოველივე, რაც ამ სამწუხარო ამბებს მოგვაგონებს და შესაძლოა რაღაც შედეგებიც მოჰყვეს. ვისურვებდით კიდევ, საწყენი სხვა აღარაფერი შეგხვედროდეთ გარდა იმისა, რაიც ასეა გადახლართული იმ სავალალო უპირატესობაზე, ჩემს ძმისწულზე რომ იქონიეთ. და თუმცა იგი მართალი არ გახლდათ, უნდა ვაღიარო, მის დაკარგვას ვერასოდეს ვერ მოვიხელებ. ეს ჩემი მოულოდნელი დარდი და მწუხარება ერთადერთი შურისგება იქნება თქვენ მიმართ, რის ნებასაც ჩემს თავს მივცემ. რაზომ დიდია ისინი — ამას საკუთარი გული ვიკარნახებთ.

ნუ გეწყინებათ ჩემი ხნის ქალისაგან, თუ ერთ მოსაზრებას გამოვთქვამ, თქვენს ასაკში რომ ჩვეულებრივ არასოდეს უფიქრდებიან: რომ გვესმოდეს, სად შეიძლება ვპოვოთ ჭეშმარიტი ბედნიერება, ღუთის და ადამიანთა დადგენილ კანონებს მიღმა მას არასდროს დავუწყებდით ძებნას.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხალისით და კეთილსინდისიერად შევინახავ იმ წერილებს, თქვენ რომ მომანდეთ. მაგრამ ერთს კი გთხოვთ, მომეცით ნება ისინი არავის არ გადავცე და არც თქვენ დაგიბრუნოთ — თუკი თავის გასამართლებლად არ დაგჭირდათ. ვიმედოვნებ, ამ თხოვნაზე უარს არ მეტყვით. რადგან თქვენთვის ახლა უკვე გასაგებია, რა ხშირად გვინანია, სამართლიანდაც რომ მიგვიგია საზღაური.

ოღონდაც კიდევ ერთი რამ უნდა გთხოვოთ. მწამს, რომ თქვენებრ სულგრძელი და მგრძნობიარე ადამიანისთვის ჭეშმარიტად ღირსეული საქციელი



იქნებოდა, მადმუაზელ დე ვოლანჟის წერილებიც გამოვეგზავნათ ჩემთვის, თქვენთან რომ ინახება და თქვენთვის უკვე საჭირო აღარ გახლავთ. ვიცი, ეს ნორჩი არსება თქვენ წინაშე დიდად დამნაშავეა, მაგრამ არა მგონია, თუნდაც საკუთარი პატივისცემის გამო ინებოთ მისი დასჯა და თავის მოჭრა, ვინც ასე გიყვარდათ. საჭიროდ მიმაჩნია დავამატო, თუ შვალთ არ იმსახურებს გულისხმიერებას, დედას მიაგეთ იგი, ამ ფრიად დარბაისელ ქალს, ვის წინაშეც არცთუ უცოდველი ბრძანდებით. ვინაიდან რაც გრძნობთ თქვენ და ვამტკიცოთ გრძნობათა სიფაქიზე, ვინც პირველა შეეცდება ჯერ გაურყვნიელი და გამოუცდელი გულის ცთუნებას, იგი პირველი დამნაშავეა მისი გახრწნისა და მთელი სიცოცხლე პასუხიც უნდა აგოს ამ გულის შეცდომებისათვის.

ნუ გაგიკვირდებათ ასეთი სიმკაცრე ჩემგან: სწორედ ეს მოწმობს თქვენდამი ჩემს პატივისცემას, კიდევ მეტ უფლებას მოიპოვებთ მასზე, თუ ჩემს თხოვნას დაეთანხმებით და არაფერს დაიშურებთ ეს საიდუმლო არ გახმაურდეს. ეს არც თქვენთვის იქნება სასიკეთო და თქვენ მიერ დაკოდელ დედის გულსაც სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს. ერთი სიტყვით, მე გთხოვთ, ბატონო ჩემო, ეს სამსახური გაუწიოთ ჩემს მეგობარს. ხოლო თუ უარს მეტყვით ამ ნუგეშზე, არ დაგავიწყდეთ, ეს ერთადერთი ნუგეშია, რომელიც თქვენ დამიტოვებთ.

პატივი მაქვს... და ა. შ.

...-ის კოშკიდან, 15 დეკემბერი 17...

172-ე წერილი

ქ-50 დე როზმონდი ქ-6 დე ვოლანჟს

პარიზიდან რომ გამომეთხოვა ცნობები ქ-6 დე მერტეიზე, როგორც მთხოვეთ, ჯერაც არ მექნებოდა ისინი, ხოლო თუ მივიღებდი, გაურკვეველი და გაუგებარი აღმოჩნდებოდა ახლა კი ისეთი ცნობები მომაწოდეს, რომელთაც არ ველოდი და არც შეიძლება მოლოდინი მქონოდა. არადა, ჩვენდა სავალალოდ, მეტისმეტად უტყუარნი არიან. ო, ჩემო მეგობარო! როგორ მოგატყუათ იმ ქალმა!

მე გულს მირევს დაწვრილებით მათი გარჩევა. ეს დახვავება ყველანაირი სისაძაგლისა და უმსგავსოების. მაგრამ რა მითქმა-მოთქმაც არ უნდა იყოს მათ არგვლივ, მერწმუნეთ, სინამდვილესთან მაინც შორს იქნება მგონი, საკმაოდ კარგად მიცნობთ, ძვირფასო მეგობარო, სიტყვაზე მენდოთ და დამტკიცება არ მომთხოვოთ. იმას კი გეტყვით, ისინი უამრავია და ყველა ჩემს ხელთაა ახლა.

ჩემდა დიდად სამწუხაროდ, კიდევ ერთიც უნდა გთხოვოთ: ნუ მაიძულებთ დავისაბუთოთ, მადმუაზელ დე ვოლანჟის თაობაზე რასაც გირჩევთ — არ შეეწინააღმდეგოთ მის მოწოდებასა და სურვილს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ადამიანი მონაზუნად აღიკვეცოს, თუ საამისო მოწოდება არა აქვს. მაგრამ ზოგჯერ ეს დიდი ბედნიერებაც კია. თქვენმა ასულმა ხომ თავად გითხრათ, ამ მისწრაფების გამომწვევი მიზეზები რომ გცოდნოდათ, აღარც გამკიცხავდით. ჩვენს გრძნობათა შთამაგონებელმა ჩვენს აფორიაქებულ გონებაზე უკეთ



უწყის, რა უფრო საჭიროა ყოველი ჩვენგანისათვის. რაც მის სასტიკ განჩინებად მიგვაჩნია, მხოლოდ და მხოლოდ მისი გულმოწყალების გამოვლენაა ჩვენდამი.

ერთი სიტყვით, ჩემი აზრია — ვიცი, მან შეიძლება გული გატკინდეს, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, გულდაგულ მაქვს მოფიქრებული — ჩემი აზრია, რასაც მადნუაზელ დე ვოლანჟმა მონასტერი არჩია, უნდა დატოვოთ იქნა და მონასტერი წინ აღუდგეთ, მხარშიაც ამოუდგეთ. მის გადაწყვეტილების განხორციელებას დე კი უყოფმანოდ თქვათ უარი იმ ქორწინებაზე, ჩაფიქრებული რომ გქონდათ.

მეგობრობის ამ სამწუხარო ვალის მოხდის შემდეგ, თუმცა ვერაფრით დაგანუგეშეთ, კიდევ ერთ წყალობას გთხოვთ, ჩემო მეგობარო: ნურაფერს მკითხავთ ამ სავალალო ამბებზე. მივცეთ ისინი დავიწყებას — მათ ეს დაიმსახურეს — ნულა ვეძიებთ ფუჭსა და მწარე განმარტებებს, დავემორჩილოთ ღვთის ნებას და გვწამდეს მისი განჩინების სიბრძნე მაშინაც კი, როცა არ ძალგვიძს მისი გაგება. მშვიდობით, ჩემო მეგობარო.

.....ის კოშკიდან, 15 დეკემბერი 17...

### 173-ე წერილი

#### ქ-ნი დე ვოლანჟი ქ-ნ დე როზმონდს

ო, ჩემო მეგობარო, იდუმალების რა შემზარავ საფარველში ხვევთ ჩემი ასულის ბედს, როგორც ჩანს, გეშინიათ კიდევ იგი არ გადავხადო! განა ისეთს რას მალავს იგი, უფრო მეტად რომ მომიკლას გული, ვინემ ეჭვებმა, მისგან აღძრულმა? რაც უფრო მეტად ვიხსენებ თქვენს მეგობრულ გრძნობებს, მით მეტად ვეწამები. გუშინდლიდან მოყოლებული ოცჯერ მაინც დავაპირე ამ საშინელი ეჭვების გასაქარწყლებლად მეთხოვა თქვენთვის დაუფარავად და შეურბილებლად გაგემხილათ ჩემთვის ყველაფერი, არადა, თქვენი თხოვნა რომ მაგონდებოდა, ნურაფერს მკითხავთო, შიშისგან მსცახცახებდა. ბოლოს ერთი რამ გადავწყვიტე, ცოტა იმედს რომ მაძლევს და მეგობრული გრძნობაც არ გათქმევინებთ ალბათ უარს. უნდა მიპასუხოთ, დაახლოებით მაინც თუ გამოვიცანი, რა შეგეძლოთ გეამბნათ ჩემთვის. ნუ შეგეშინდებათ მითხრათ ის, რისი გაგებაც დედის შემწყნარე გულს ძალუძს და რისი გამოსწორებაც ჯერ კიდევ გვიან არაა. მაგრამ თუ ჩემმა უბედურებებმა ამ საწყაულს გადააჭარბა, მაშინ თქვენი ერთადერთი პასუხი დე დუმილი იყოს. აი, რა გავარკვიე, აი რასაც ვშიშობ და რასაც ვეჭვობ.

ჩემი ასული, ასე ვთქვათ, შევალე დანსენით გახლდათ გატაცებული. როგორც მაუწყეს, თურმე წერილებს იღებდა მისგან და თავადიც სწერდა. მეგონა, შევძელი და ხელი შევუშალე, ამ მცდარ ბავშვურ გატაცებას საშიში შედეგი არ მოჰყოლოდა. მაგრამ ახლა ყველაფრით დაშინებული ვეჭვობ, სიფხიზლემ მიმტყუნა და ჩემმა შეცდენილმა ასულმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა.

რადაც-რადაც გარემოებათა გახსენება ამ ეჭვებს მიმტკიცებს. როგორც გამცნეთ. ბ-ნ დე ვალმონის თავზე დამტყდარი უბედურების გაგებაზე ჩემი ასული ცუდად გახდა. ვინ იცის, გულთან ასე ახლოს მიტომაც მიიტანა, რომ საფრთხე ბ-ნ შევალისავე მოელოდა ამ დუელის დროს. ქ-ნ დე მერტიეზე ხმების გამო რომ ამდენი იტირა და ეს მეგობრულ თანაგრძნობას მივწაწერე, სუ-



ლაც შეიძლება ეჭვიანობისა თუ გულიწკეწის ბრალი იყო, სატრომ რომ უღალატა. მისი უკანასკნელი გადაწყვეტილება შესაძლოა ამითაც აიხსნას. აკი აღმაიანებით აღშფოთებულს ხშირად ღვთის მსახურება მიგვაჩნია ჩვენს მოწოდებად. ისე რომ, თუ ვივარაუდებთ, ეს ამბავი რომ სწორედ ასე იყო და ეს თქვენ გაიგეთ, რა თქმა უნდა, საკმაო მიზეზად მიიჩნევდით ამ მკაცრი რჩევის მოსაცემად.

მაგრამ ასეც რომ იყოს, ჩემი ასულის მკაცრად განსჯისას თავს მაინც მოვალედ ჩავთვლიდი ყველაფერი მულონა მას დასახსნელად იმ საფრთხისაგან, დაუფიქრებლად არჩეულ მოწოდებას რომ მოსდევს. თუ ბატონ დანსენის კიდევ შერჩა პატიოსნება, უარი არ უნდა თქვას თვითვე გამოასწოროს თავისი დანაშაული და თავიდან აგვაცილოს ის უბედურება, რომლის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ თავად გახლავთ. ბოლოს და ბოლოს ჩემს ასულზე დაქორწინება, ვუფიქრობ, ხელსაყრელიც უნდა იყოს მისი და მისი ოჯახისთვის და ალბათ კმაყოფილებიც უნდა დარჩნენ.

ამ იმედითღა ვსულდგმულობ, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო. თუ შეძლებთ, სასწრაფოდ დამიდასტურეთ. ხომ იცით, რა მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს და რა საშინელი ლახვარი იქნება თქვენი დუმილი!

ის იყო წერილი უნდა დამებუჭდა, ერთმა ნაცნობმა შემომიარა ხანახავად. მანვე მიაგმო, რა საშინელი სცენა გაუმართეს თურმე ქ-ნ დე მერტვის. მე კი არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. აკი ეს ბოლო დღეები არავის შევხვედრივარ. აი რა მომიყვა მისმა მხილველმა.

სოფლიდან გუშინწინ ხუთშაბათს დაბრუნებულ ქ-ნ დე მერტვის უბრძანებია იტალიურ კომედიაში წაყვანათ, სადაც თავისი ლოკა ჰქონდა. იქ მარტო მჯდარა. ვკონებ, უნდა გაკვირებოდა, მთელი საღამო მამაკაცთაგან რომ არავის შეუკითხავს მისთვის. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჩვეულებისამებრ ფოიეში გავიდა, რომელიც უკვე ხალხით იყო სავსე. ერთ დივანზე თავისუფალი ადგილი შეუმჩნევია და დამჯდარა. იქ მჯდომი მანდილოსნები, თათქოს პირშეკრულები, უმაღლესი წამომდგარან და სრულიად მარტო დაუტოვებიათ. საყოველთაო აღშფოთების ესდენ ხაზგასმულ გამოხატვას მამაკაცებიც მოწონებით შეხვედრიან. დრტკინვა თანდათან გაძლიერდა და, როგორც ამბობენ, სტვენაც დართვია.

თითქოსდა დამცირების ფილის მთლიანად ასავსებად ფოიეში, საუბედუროდ, იმავე წუთს ბ-ნი დე პრევანი შემოსულა. იმ ამბის შემდეგ იგი ხომ არსად გამოჩენილა. მის დანახვაზე ქალებიც და კაცებიც მყის ირგვლივ დახვევიან მისასალმებლად. იქ მყოფმა საზოგადოებამ, ასე ვთქვათ, წრე შეკრა და იგი ქ-ნ დე მერტვის წინ დაუყენა. ირწმუნებიან, მას წარბიც არ შეუხრიაო — ისე იჯდა, ვითომც ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის. თუმცა ეს, მგონი, გადაჭარბებული ნათქვამი უნდა იყოს. ასეა თუ ისე, ვინემ მისი კარეტის მოსვლა არ მოახსენეს, ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში იმყოფებოდა. გასვლისას სტვენამ და შეურაცხმყოფელმა შეძახილებმა იმატა. რა საშინელებაა, ასეთი ნათესავი რომ გყავს. იმავე საღამოს იქ მყოფმა ოფიცრებმა დიდი გულითადობით მიიღეს თავის წრეში ბ-ნი დე პრევანი. ალბათ ძალე წოდებასა და თანამდებობას დაუბრუნებენ. ამ ამბის მთხრობელმა ისიც მამცნო, რომ მეორე დღის საღამოს ქ-ნ დე მერტვის თურმე დიდი სიცხე მისცა. ჯერ ეგონათ, იმ საში-



ნელი ვითარების შედეგიაო. მაგრამ წუხელ გაირკვა, თურმე ყვაილი შეყრია, თანაც ძალზე მიძიმე სახით. ეფიქრობ, სჯობს კიდევ არ გადარჩეს. იმასაც ამბობენ, მთელი ეს ისტორია შესაძლოა სავალალო გამოდგეს მისი პროცესისათვის, ამ მოკლე ხანში რომ უნდა შედგეს. რომ მოიგოს, მათი წყალობაა საჭირო, ვისზედაც ესაა დამოკიდებული.

მშვიდობით, ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო. როგორც შეხვედრის შემდეგ როტნი კი ისჯებიან, მაგრამ მათ უბედურ მსხვერპლთათვის ნუგეშობაა.

პარიზი, 18 დეკემბერი 17...

### 174-ე წერილი

#### შევალიე დანსენი ქ-ნ დე როზმონდს

ცაბდუ მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, თქმა რად უნდა, უარს არაფერზე გეტყვი, რაც შემძლია და რასაც თქვენთვის ესდენი მნიშვნელობა აქვს. მადმუაზელ დე ვოლანჟის ყველა წერილი იმ პაკეტშია, პატივი რომ მაქვს ახლა გადმოგიგზავნოთ. წაიკითხავთ და გაოცდებით, ვით შეიძლება ვრთ არსებაში ასე შეირწყას ესდენი მიაშიტობა და ესდენი სივერაგე. სწორედ ამან განმაცვიფრა, როცა უკანასკნელად გადავიკითხე ეს წერილები.

მაგრამ შეიძლება კი დიდზე დიდმა რისხვამ და აღშფოთებამ არ აგიტანოს, როცა გაიხსენებ, რარიგ უმსგავს სიამოვნებას განიცდიდა და რარიგ ცდილობდა ქალბატონი დე მერტეი ბოროტად ესარგებლა ამ მიაშიტობითა და უმანკოებით?

არა, მე აღარ მიყვარს იგი. აღარაფერი დამრჩა იმ გრძნობიდან, ასე რომ შეიძლება. იგი არ მაიძულებს გამართლება ვეძიო მადმუაზელ დე ვოლანჟისთვის. და მაინც ასეთი გამოუცდელი გული, ასეთი რბილი და დამყოლი ხასიათი ბოროტების გზაზე უფრო იოლად განა სიკეთისას არ დაადგებოდა? განა რომელი ნორჩი ასული, ვინც მასაჟით მონასტრიდან ეს-ესაა გამოიყვანეს, ვინც ცხოვრებისა არაფერი იცის, ვისაც არა გამოცდილება არა აქვს, საზოგადოებაში ფეხის შედგმისას სიკეთისა თუ ბოროტებისა არა გაეგება რა, — განა

რომელი ნორჩი არსება, ვიმეორებ, უკეთ დაიცავდა თავს ამ ბილწ ხრიკებისაგან? შეწყნარების გამოსაჩენად განა არ კმარა გაიფიქრო, ჩვენგან დამოუკიდებელ რამდენ გარემოებას ეხელქეუთება საბუღისწერო არჩევანი — წმინდად შევინახავთ თუ გავხრწნით ჩვენს გრძნობებს? თქვენ სწორად შეაფასეთ ჩემი საქციელი — მადმუაზელ დე ვოლანჟის შეცოდებანი, გული რომ ასე დამიკოდა, სულაც არ შთამინერგავს მისი დასჯის სურვილს. ისიც კმარა, უარი რომ ვთქვი მის სიყვარულზე, შეძულებას კი ვერ შევიძლებდი!

დიდი ფიქრი არ მჭირდებოდა, საიდუმლოდ შემენახა თუ არა ყოველივე, რაც მას ავნებდა. თუ თქვენი აზრით რამდენადმე შევაყოვნე, რაც მთხოვეთ, იმის ასრულება, მიზეზს არ დაგიმაღლათ: პირველ ყოვლისა დარწმუნება მინდოდა, ამ ბედუკულმართ ამბავს ჩემთვის სამძიმო შედეგები ხომ არ მოჰყვებოდა. ასე რომ ვცდილობდი თქვენი შეწყნარების დამსახურებას და მეგონა კიდევ, ამაზე რაღაც უფლება მქონდა, მაინც მეშინოდა, ამ დათმობით ისე არ გამოსულიყო, თითქოსდა თქვენი მოსყიდვა მსურდა მაგრამ მწამდა რა ჩემი ზრახვების სიწმინდე, რა დაგიმალოთ და, ამაყმა სურვილმა ამიტანა, არც თქვენ დაუტყუებელიყავით ამაში. იმედია, მაპატიებთ ამ გადაჭარბებულ პატივ-



მოყვარეობას. მიზეზი თქვენდამი მოწინებაა და ისიც, რაოდენ ვაფასებ თქვენს ჩემდამი პატივისცემას.

იგივე გრძნობა მაიძულებს უკანასკნელი წყალობა ვთხოვოთ — სიკეთე დამღვთ და მაცნობეთ, როგორ გკონიათ, ბოლომდე მოვიხადე თუ არა ჩემი ვალი ამ ბედუკულმართ ამბავში, მე რომ მხვდა წილად? ამ მხრით თუ დამამშვიდებთ, აღვასრულებ კიდევ, რაც გადავწყვიტე. ძალტაზე გავემგზავრები. იმ სიხარულით მივცემ აღთქმას უფალს. ეს მომწყვეტს ქვეყნაგორებიან, რომელმაც ნორჩი ასაკის მიუხედავად ამდენი ტანჯვა მარგუნა. იქ წმინდად დავიცავ ჩემს აღთქმას. იქ, იმ უცხო ცის ქვეშ შევეცდები სამუდამოდ დავივიწყო ზვავად მომსკდარი ბოროტებანი, რომელთა გახსენება სულს წამიბილწავს და ბნელით მოიცავს.

ვმთვები თქვენი ღრმად პატივისცემელი და უმორჩილესი ა. შ. და ა. შ.

პარიზი, 14 იანვარი 17..

### 175-ე წერილი

#### ქ-60 დე ვოლანში ქ-6 დე როზმონდს

მგონი, გადაწყდა ბოლოს და ბოლოს ქ-6 დე მერტეის ბუდი, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო. გადაწყდა ისე, მისი მოსისხლე მტრებიც არა მარტო აღშფოთებას განიცდიან, ამ ქალმა რომ დაიმსახურა, ეცოდებათ კიდევ; ვინაიდან არ შეიძლება კაცმა არ შეიცოდოს. მართალი ვიყავ, როცა ვთქვი: ერჩივნა არ გადარჩენილიყო-მეთქი. მორჩენით კი მორჩა, მაგრამ სენმა თურმე საშინლად დაამახინჯა და ცალი თვალითაც დააბრმავა. მე იგი არ მინახავს, ოღონდ ამბობენ საფრთხობელად იქცაო.

ხომ იცით, რა მწარე ენა აქვს მარკიზ დე...-ს მეუღლეს, გუშინ მასზე ლაპარაკისას ასე უთქვამს: ეს ქალი თითქოს უკულმა გადმოატრიალეს და რაც სულში ჰქონდა, ახლა სახეზე აწერიან, სამწუხაროდ, ეს მარჯვე ნათქვამად ჩაუთვალეს: მის ყველა უბედურებას და დანაშაულს კიდევ ერთი უბედურებაც დაემატა. გუშინწინ მისი საქმე სასამართლოზე გაიჩინა და იგი პირწმინდად წააგო, ხარჯები თუ სხვა გასავალი — ყველაფერი უწლოვან მემკვიდრეთა სასარგებლოდ გადაწყდა. ისე რომ, ქონების ის მცირედი ნაწილი, რომელზედაც საჩივარი არ იყო აღძრული, ხარჯებში გაიქვითა.

როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, მყის გაემზადა თურმე და, თუმცა მთლიანად გამოკეთებული არ იყო, ღამით საფოსტო კარუტით გაემგზავრა სრულიად მარტო. მისი მსახურები დღეს ჰყვებიოდნენ, რომ არც ერთმა მათგანმა არ ისურვა მისი თანხლება. ამბობენ, პოლანდიაში წავიდაო.

ამ გამგზავრებამ კიდევ უფრო მეტი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვინემ სხვა დანარჩენმა. თან წაუღია თავისი ბრილიანტები, ძალზე დიდი თანხა რომ ღირდა და მისი ქმრის მემკვიდრეობას უნდა დაბრუნებოდა, კიდევ ვერცხლეული, ძვირფასეულობა — ერთი სიტყვით, რისი წაღებაც შეიძლო. დარჩა მხოლოდ ვალები 50000 ლივრის რაოდენობით. ეს სრული გაკოტრება გახლავთ.

მისი ნათესაობა ზვად საოჯახო საბჭოზე იკრიბება მევალებთან მოსალაპარაკებლად. მართალია, მისი ძალზე შორეული ნათესავი ვარ, მაგრამ მეც



შეუთავაზე, მონაწილეობას მივიღებ-მეთქი. თუმცა ამ კრებას ვერ დავესწრები კიდევ უფრო სამწუხარო ცერემონიის გამო. ხვალ ჩემც ასული მონაზვნად უნდა აღიკვეცოს. იმედია, არ დაგავიწყდათ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ერთადერთი მიზეზი იმისა, იძულებული რომ გავხდი ეს დიდი მსხვერპლი გამეღი, — თქვენი ღუმილია ჩემი ბოლო წერილის პასუხად.

ორიოდე კვირის წინ ბ-ნმა დანსენიმ პარიზი დატოვა. ამბობენ, მალტაზე, აპირებს გამგზავრებას და იქ დარჩენასო. იქნებ კიდევ არაა გვიან, იქნებ კიდევ შეიძლება მისი შეჩერება?... ო, ჩემო, მეგობარო!.. ნუთუ ასე დამნაშავეა ჩემი ასული?.. ცხადია, დედას შეუნდობთ და აპატიებთ, ესდენ რომ უძძიმს ირწმუნოს მისთანა საშინელება.

ეს რამდენიმე ხანია ბედისწერის ავბედითობამ იძალა ჩემზე, ლახვარს ლახვარზე არ მაკლებს, გასწირა ჩემთვის ყველაზე საყვარელი არსებანი. ჩემი ასული და ჩემი მეგობარი!

განა შეიძლება არ შეგადრწუნოს იმ ფიქრმა, რამდენი უბედურების მოტანა შეუძლია ერთ სახიფათო კავშირს! ან რამდენ უბედურებას აიცდენდა კაცი, მეტი გონიერება რომ გამოეჩინა! რომელი ქალი არ გაიქცეოდა მაცთურის პირველსავე სიტყვებზე! ან რომელ დედას არ შეაშინებდა, მისი ასული რომ სხვას ენდობოდა, სხვას უშლიდა გულს და არა მას! მაგრამ ეს დაგვიანებული მოსაზრებანი მხოლოდ მაშინ მოვდის თავში, როცა უკვე მოსახდენი მოხდება. და ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე აღიარებული ჭეშმარიტებათაგანი არ გამოიყენება ცხოვრებაში, მას ჩვენი მერყევ ჩვევათა ქარაშოტი წალეკავს ხოლმე.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო. მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა ახლა, რაოდენ უმწეო და უსუსურია ჩვენი გონება განსაედგლის ასაცილებლად და კიდევ უფრო უმწეო და უსუსური ნუგეშის საცემად!

პარიზი, 14 იანვარი 17...

1. კერძო ხასიათის მიზეზები და მოსაზრებანი, რომელთა პატივისცემას ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ მუდამ, იძულებულს გვხდის აქ შევჩერდეთ.

ამჟამად ჩვენ არ ძალგვიძს მკითხველს გავაცნოთ მადიუაზელ დე ვოლანჯის შემდგომი თავგადასავალი, არც ის საშინელი ამბები, ქ-ნ დე მურტიის უბედურებათა ფიალა რომ აღავსო და საბოლოოდ მიაგო დამსახურებული სასჯელი.

იქნებ როდესმე კი შევიძლოთ ამ ნაშრომის შევსება, მაგრამ ამის თაობაზე კერა ვალდებულებას ვერ ვიკისრებთ. თუმცა კიდევ რომ შევიძლოთ, მოვალედ მივიჩნევთ თავს ჯერ მკითხველ საზოგადოებას დავეკითხოთ, ისურვებს თუ არა სამას, მას რომ ჩვენსავით ჭაფუძველი არ გააჩნია მსგავსი თხზულებით დაინტერესდეს.

გამოცემლის შენიშვნა.





მაღვნიბა ტართვილი და ებრაელი ხალხების  
მეგობრობის 26-ე საუკუნის წიგნი  
სიგლინიტეკა

მთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ნელი საყვარელიძე

მთელი ერთი საათი იყო, რაც მათი ფიატი ფოგიას ერთფეროვან, მწვანე ვაკეზე მიქროდა. მძლოლმა, რომელიც წინ მარტო იჯდა და აქამდე კრინტიც არ დაუძრავს, რაღაცა თქვა. აპელო წინ წაიხარა და ჰკითხა: რა თქვიო. „აგერ ისაა სანტ ანჯელოს მთა“. აპელომ თავი დახარა და სარკმლიდან გაიხედა, მერე კი მკლავზე მოქარა მის გვერდით მძინარე თანამგზავრს. ბერნსტაინმა, თითქოს ტკბილი სიზმარი შეაწყვეტინესო, უკმაყოფილოდ გაახილა თვალი. „აგერ, იმ მთაზეა ის ქალაქი,“ — უთხრა აპელომ. ბერნსტაინი საბოლოოდ გამოფხიზლდა და ისიც ფანჯრისკენ გადაიხარა. მცირე ხანს ასე გაჰყურებდნენ მთაზე სასაცილოდ წამოსკუპებულ პაწია ქალაქს, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდებოდათ. აგერ, უკვე მთელი თვე იყო, რაც ამ ქვეყანაში მოგზაურობდნენ და ასეთ სასაცილო სანახაობას არსად წასწყდომიან. ქალაქი პატარა დედაბერს მოგაგონებდათ, ქურდების შიშით მაღალი სახლის სახურავზე რომ ამძვრალიყო. ნახევარი მილი კიდევ იარეს სარკესავით მოსწორებულ ვაკეზე, რომ უცებ მათ თვალწინ პირდაპირ ვაკიდან ამოიზარდა მაღალი მთა, რომელიც დაკუთხული სვეტივით ზეატყორცნილიყო და მხოლოდ წვეროში ვიწროვდებოდა. იქ კი, წვეროზე, პაწია ქალაქის სილუეტი მოჩანდა, რომელიც ხან ღრუბლის ქულებში იკარგებოდა და ხანაც წამით ისევ გამოკრთებოდა, როგორც ზღვის კბილზე აღმართული შორეული შუქურა. მთის პიტალო კალთებზე ამ მანძილიდან არც გზა მოჩანდა და არც რამე ბილიკი.

— ამ ქალაქის ამშენებელს რაღაცის ძალიან შინებია, — თქვა ბერნსტაინმა და პალტო კარგად შემოიხვია ტანზე. — ნეტავ როგორ აღიან იქ, ან აღიან კია საერთოდ?

აპელომ იტალიურად ჰკითხა მძლოლს, რა იციო ამ ქალაქის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ისიც მხოლოდ ერთხელ ყოფილა იქ ადრე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის იქაური იყო — ლუცერადან, და სხვაც არავინ შეხვედრია იქ ნამყოფი. თქვენვე დარწმუნდებით, რომ იმ გზაზე არავინ მიდი-მოდისო, ჩაიცინა მძლოლმა.

— აი, ნახავთ, როგორ დაფრთხებიან ჯორები მანქანის დანახვაზე და როგორ გამოცვივდება კარში დიდი და პატარა ჩვენს სანახავად. ქვეყანას მოწყვეტილი არიან და ერთი დედ-მამის შვილებივითა ცხოვრობენ. წარმოდგენა არა აქვთ, რა ხდება ქვეყანაზე, — გაიცინა მძლოლმა.

— რაო, რა თქვა? — იკითხა ბერნსტაინმა.

მძლოლი წითური ბიჭი იყო, აბზეკილ ცხვირიანი და ცისფერ თვალები,



მთა კი მეზღვაურივითა ჰქონდა შეკრეჭილი. ეს მისი საკუთარი ფიატი იყო და თუმცა მანქანაში ჩაჯდომამდე ისე ლაპარაკობდა, როგორც ყველა იტალიელი, მიუხედავად თუ არა საჭეს და მოისვა თუ არა უკან ორი ამერიკელი ყველაფერს, რაც კი მანქანის ფანჯრიდან გამოჩნდებოდა, დაცინვა და გაქრიაკება დაუწყო. აქედომ მძღოლის ნათქვამი უთარგმნა მეგობარს და მერე ისევ მძღოლს დაეკითხა, რამდენ ხანში ავალთო იქ.

— ასე, ორმოცდახუთ წუთში, — თქვა იტალიელმა — აღმართის მხარეს განუმარტა მან.

მგზავრები უკან გადაწვენენ და უხმოდ გაჰყურებდნენ მთას, რომელიც ახლა სულ ახლოს იყო. ამ მანძილიდან უკვე კარგად ჩანდა მისი თეთრი, ფხვიერი კირით დაფარული ფერდობები. მთის ზედაპირი ისე იყო დანაოჭებული, თითქოს ოდესღაც უშველებელი ურო დაურტყამთ და საგანგებოდ დაუჭყლეტათო. დაიწყო აღმართი. გზა წვეტიან წარაფებში გადაიდა.

— ეს გზა რომაულია, — განაცხადა მძღოლმა, იცოდა, როგორ ხიბლავდა ამერიკელებს ყველაფერი რომაული, — მანქანა კი მხოლოდ და მხოლოდ მილანურია, — გაიხუმრა მან და აქედოსაც გაეცინა მის ოზუნჯობაზე.

კირის მტვერი უხვად შემოდის მანქანის ფანჯრებში. სიმაღლე უკვე, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო განცდას იწვევდა. ზამბარასავით დახვეული გზა, თავისი ერთიანად დაკბილული ნაპირებით სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. კარებებს ზრიალი გაჰქონდა, საჯდომიც ისე მოირყა, რომ ცოტაც და ძირს ჩაცვივდებოდნენ. თეთრი კირი კარგა სქლად დასდებოდათ სამოსსა და პირისახეზე. ორივეს ხველა აუტყდა.

— ღვთის გულისათვის, ახლა მაინც ამიხსენი, რა ჯანდაბა გვრჯის, რომ ამ მტვრისა და ცარცის კორიანტელში მივძვრებით! — თქვა ბერნსტაინმა, როცა ხველებამ გადაუარა. აქედომ გადაიხარხარა და ხუმრობით მჯილი წაჰკრა მეგობარს.

— ოღონდ, ტყუილები არ იყოს! — გააფრთხილა ბერნსტაინმა.

— ბიცოლაჩემის სანახავად მივდივართ! — თქვა აქედომ სერიოზულად.

— შენ, მგონი, სულ გადახვედი ჰკუიდან. ეს რა წინაპართა სიყვარული ავიტყდა? რაც აქ ჩამოვედით, შენი ნათესავების ძეგლის მეტი არაფერი გაგიკეთებია.

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა ასეთი? ძლივს ჩამოვალწიე და აბა, როგორ არ მოვიხახულო ყველა ის კუთხე-კუნჭული, სადაც ოდესღაც ჩემს სისხლსა და ხორცს უცხოვრია? თვითონ განსაჯე, აი, იქ, მაღლა, ტაძრის აკლდამაში. ორი ჩემი წინაპარია დაკრძალული, თანაც მეთორმეტე საუკუნეში!

— მაშ, აქედან იყო ის ორი ბერი?

— სწორედ აქედან. ორი ძმა, გვარად აქედო. ამბობენ, სწორედ იმათ ააშენეს ეს ტაძარი. მერე იცი, რა სახელგანთქმული ტაძარია! იმასაც ამბობენ, რომ ერთხელ წმინდა მიქაელი მოვლენია მლოცველებს ამ ტაძარში.

— არ ვიცი ღმერთმანი, კიდევ ვინმე თუ მოიძებნება ამ ქვეყანაზე შენ გარდა, ამდენი სახელოვანი წინაპარი რომ ჰყოლოდეს გვარში, ის კი ვიცი, რომ მთლად ჰკუაზე შეგშალა ამ ამბავმა.

— დავუშვათ, მაგრამ აი, შენ, მაგალითად, ნუთუ არავითარი გრძნობა არა გაქვს შენი წინაპრების მიმართ? ნუთუ არასოდეს გქონია სურვილი წახვიდე ავსტრიაში, თუ რა ქვეყანაა, საიდანაც ხარ და მახო ის ადგილები, სადაც შე-



ნი პაპისპაპა ცხოვრობდა? მოძებნო თუნდაც ერთი შენი სისხლისა და გვარის კაცი, ან რამე ამღავარი მოიმოქმედო?

ბერნსტაინმა პასუხი დააყოვნა. თვითონაც უჭირდა თავის გრძნობებში გარკვევა. იმასაც ეჭვობდა, მგონი, სწორედ შური მალაპარაკებს, როცა ასე ვგეხლავო მეგობარს. ამას წინათაც, სასამართლოს შენობაში რომ მოხედნენ, სადაც საპატრიო ადგილზე გამოეკიდათ აპელოს პაპისა და პაპისპაპის, ამერიკელი სახელმწიფო მოსამართლის პორტრეტები, ან თუნდაც ლუცერნის აპელოთა გვარი იშვიათი პატივით იხსენიებოდა და სადაც მისი მეგობარი ვინი მხოლოდ იმიტომ მიიღეს ასეთი ამბით, რომ გვარად აპელო იყო, ყველგან, სადაც კი მოხედებოდნენ, გრძნობდა, რომ თვითონ საოცრად ეულია და ზედმეტი ამ ქვეყანაზე. თავდაპირველად ისე ეცინებოდა მეგობრის განცდებზე, როგორც ბავშვის ახირებაზე გაუცინება კაცს, მაგრამ თანდათან, რაც მეტი იყო ასეთი შეხვედრა და რაც უფრო იმატა იმ ექიმ, აპელოთა გვარი რომ გამოსცემდა, იგრძნო, რომ მისი მეგობარიც ამ გვარის ხანგრძლივი ისტორიის ერთი ფურცელია და რომ მისი რაღაცა ნაწილი მაინც დარჩება ცოცხალი მას შერეც კი, როცა მიწას მიაბარებენ.

— ევროპაში არავინ არ უნდა მყავდეს, ყოველ შემთხვევაში, არავინ მეგულება. ვინ გააჩერებდა აქამდე, ვინდაც რომ ყოფილიყო ვინმე, ახლა ალბათ მისი სახსენებელიც აღარ არის.

— იმიტომაც არ გესმის ჩემი.

— როდის გითხარი, არ შესმის-მეთქი? — თქვა ბერნსტაინმა და გაიღიმა.

ნეტავ კი შეეძლოს გამოთქვას, რაც აწუხებს. რატომ მასაც არ შეუძლია ვინის მსგავსად მეგობარს გული გადაუშალოს და მძიმე ფიქრების ტვირთიდან დაიხსნას თავი. ორივე მღუშარედ გაჭყურებდა ქვევით გადაშლილ მინდვრებს.

კირის მტვერს მთლად თეთრად შეეღება აპელოს შავი წარბები. ბერნსტაინს წუთით კიდევაც მოეჩვენა, რომ ძალზე დაემგვანენ ერთმანეთს. მართლაც, ორივე ექვსი ფუტის სიმაღლისა იყო, ბეჭვანიერი და შავგვრემანი. ბერნსტაინი მეგობართან შედარებით უფრო ტანხმელი იყო და გრძელი კიდურების გამო უფრო აწოწილი ჩანდა, აპელო კი ჩაფსკვნილი იყო და ბეჭებში ოდნავ მოხრილი, თითქოს თავისი სიმაღლე ერცხვინებო. თვალები კი სრულიად განსხვავებული ჰქონდათ: აპელოს — მოგრძო, ჩინური ჭრილის, შავი, წყლიანი და, ქალების აზრით, თავბრუდამხვევი; ბერნსტაინს — ძალზე თავისებური, მუდამ სადაც შორს, მოსაუბრის მიღმა მზირალი. თვალებში ყურებას თავს არიდებდა მუდამ, ან განზე იხედებოდა ან მიწას ჩასცქეროდა. გამოსხედვა ფრთხილი ჰქონდა და დაძაბული, მაგრამ აშკარად სათნო და უწყინარი.

თავადაც არ იცოდნენ, რატომ მოსწონდათ ასე ერთიმეორე. თუმცა საამისო მიზეზი ბევრი რამ შეიძლება ყოფილიყო. შესაძლოა, თითოეულმა მეორეში თავისი სრული ანტიპოდი შეიცნო და მეგობრის ხასიათის იმ მხარემ მიიზიდა, რაც საკუთრივ თვითონ სრულიად არ გააჩნდა. დინჯი მეგობრის წყალობით აპელოს რამდენადმე დაუცხრა მისთვის ჩვეული ზედმეტი აღტკინება და მგრძობელობა, ბერნსტაინს კი ვინის გვერდით მარტოობისა და ეულად ყოფნის სურვილი და ჩვევა აშკარად უნელდებოდა, თუმცა ამ მოგზაურობის დღეებში სწორედ მეგობრის გვერდით ყოფნამ ბევრი სიმწარეც განაცდევინა და სიამოვნებაც.

მანქანამ ის იყო უკან მოიტოვა კიდევ ერთი სახიფათო მოსახვევი, რომელიც მაშინვე გაუჩინარდა ღრუბლებში, რომ შათ თვალწინ ქალაქის მთავარი



ქუჩა გადაიშალა. ირგვლივ არაკაცი არ ჩანდა. მძლოლი მართალი გამოდგა: გზადაგზა, მწვანით დაფარულ მიწის პატარა ნაგლეჯებზე ჯორები ბალახობდნენ. და მანქანის დანახვაზე დამფრთხალი განზე ვარბოდნენ. აქაიქ გრძელმათრახიან და გრძელუღვაშა მწყემსებსაც მოჰკრებს თვალს, უხმოდ რომ იდგნენ და ასეთ მიყრუებულში მცხოვრები კაცისათვის დამახასიათებელი ეჭვითა და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ. აქაიქ ქუჩის ში, ძეხორციელი არ ჩანდა. აღმართი გათავდა და მანქანა ვაკეზე გადმოვიდა. ლის დახამხამებაში უამრავი ხალხი გამოეფინა ქუჩაში. გამობოდნენ სახლებიდან და გზადაგზა იცვამდნენ ტანზე: ვინ ჟილეტს, ვინ ქურთუკს. საოცრად ჩამოჰკავდნენ ერთიმეორეს და ირლანდიელებს უფრო მოგაგონებდნენ, ვიდრე იტალიელებს.

მგზავრები გადმოვიდნენ მანქანიდან და სახურავზე დამაგრებულ ბარგს დაუწყეს შემოწმება. მძლოლი კი გარს უვლიდა მანქანას და ათვალთვლებდა, ხომ არაფერი დაუშავდაო. ორიოდ წუთში აპელო უკვე შინაურივით ემასლაათებოდა იქაურებს, ისინიც სათითაოდ ეკითხებოდნენ, ამ სიშორეზე რამ ჩამოვიყვანათ, რაზე ხომ არა გაქვთ გასაყიდი ან რამის ყიდვა ხომ არ გინდათო. აპელომ როგორც იქნა გააგებინა, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნათესავის სანახავად იყო ჩამოსული.

ქალის გვარი იქ მყოფ მამაკაცებში არავის ეცნო (ქალები კარში არც კი გამოსულან და სახლის ფანჯრებიდან ქურდულად იჭვრიტებოდნენ). ბოლოს კი ერთი მოხუცი, ბაწრის სანდლები რომ ეცვა და რატომღაც მოთხილამურის ნაქსოვი ქუდი ეხურა, წინ წამოვიდა და თქვა, მე ვიცი, ვინც არის, გამოძევებითო. ახალმოსულნიც ასამდე ცნობისმოყვარე კაცის თანხლებით გაჰყვნენ უკან.

— როგორ მოხდა, რომ არავინ იცნობს? — იკითხა ბერნსტაინმა.

— ქვრივია, ალბათ სულ შინა ზის, მისი ხნის ხალხი კარგა ხანია პატრონს ჩაბარდა. მაგისი ქმარი უკანასკნელი აპელო იყო ამ ქალაქში. როგორც ჩანს, ქალებს აქ ნაკლებად იცნობენ და ამ მოხუცმაც მხოლოდ იმიტომ იცის იმისი ვინაობა, რომ ალბათ ადრე ბიძაჩემს იცნობდა.

ქალაქში ძლიერი ქარი ქროდა და გამალებით ხვეტავდა თეთრად გადაპენტალ ქვაფენილს. მზე ცივი ლიმონივით ეკიდა კრიალა, ცისფერ ცაზე და ღრუბლის თეთრი ქულები ისე დაბლა დაშვებულიყვნენ, გეგონებოდათ, ხომალდის თეთრი იალქნები დაცურავენო ქუჩებში. ამ სანახაობით მოხიბლული ორი ამერიკელი მძიმე ნაბიჯით მიჰყვებოდა ქალაქის ქუჩას. ბოლოს, ორსართულიან სახლს მიადგნენ, შევიდნენ ბნელ დერეფანში და კარზე დააკაკუნეს. მათი მეგზური მორიდებით ქუჩაში გაჩერდა.

ოთახიდან კარგა ხანს ჩამიჩუმე არ ისმოდა. მერე რაღაცა ფხაკუნე მოისმა, თათქოს თაგვი გამოძვრაო სოროდან. მიაყურადა და კვლავ აფხაკუნდა. აპელომ ხელმეორედ დააკაკუნა. საკეტმა დაიჩხაკუნა და კარი ოდნავ გაიღო. ფერმკთალმა, პატარა ტანის ქალმა, არცთუ მაინცდამაინც ხნიერმა, თავი გამოჰყო. შეშფოთებული ჩანდა.

— ჰა? — იკითხა მან.

— მე აპელო ვარ, ვინცენტ გეორგიო.

— ჰა? — გაიმეორა ქალმა.

— აპელო ვარ. ვინცენტ გეორგიო.

ქალმა კარს ხელი შეუშვა და გზა მისცა მოსულებს. აპელომ შინაურულად გაუღიმა და ოთახში შევიდა. ბერნსტაინიც შეჰყვა და კარი მიხურა. ფანჯარაში უხვად იღვრებოდა მზის სინათლე, მაგრამ ოთახში მაინც ისე ციოდა,



როგორც ქვის აკლამაში. ქალი პირდაღებული მისჩერებოდა მოსულებს, ხე-  
ლები ისე აღებყრო ზევით, თითქოს ლოცულობსო. გვეგონებოდათ, ცოტაც და  
მუხლებზე დაემხობათ. მოულოდნელობისგან მეტყველების უნარი წართმეოდა.  
ვინი მიუახლოვდა, ხელი გადახვია გაძვილტყავებულ მხრებზე და სკამზე ჩა-  
მოსვა. სტუმრებიც ჩამოსხდნენ.

აქლო შეუდგა ახსნას, თუ საიდან ენათესავებოდნენ ერთიმეორეს, ახსე-  
ნებდა ვიღაც-ვიღაცებს, რომელთაგან ზოგი კარგა ხნის შემდეგ წავიდა და ზო-  
გის სახელიც პირველად ესმოდა მოხუცს. ქალმაც, როგორც იქნა, ენა ამოიდ-  
გა, მაგრამ ისეთი მღელვარებით ლაპარაკობდა, რომ ვინიმ ერთი სიტყვაც ვერ  
გაიგო. უეცრად ფეხზე წამოიჭრა მასპინძელი და ოთახიდან გაუარდა.

— როგორც ჩანს, მოჩვენება ეგონივარ, — თქვა ვინიმ, — ბიძაჩემმა მითხ-  
რა, ოცდახუთი წელია ნათესავებიდან არავინ უნახავსო. ალბათ არც ეგონა,  
რომ სადმე კიდევ არსებობდნენ აქელოები.

მოხუცმა ღვინის ბოთლი შემოიტანა, რომელშიც ორი თითის დაღებაზე  
ესხა რაღაცა. ბერნსტაინისთვის არც შეუხედავს, ვინის გაუწოდა დასაღვეად.  
აქელომ დალია. დაძმარებული ღვინო იყო. მოხუცს ახლა გული ამოუვდა, გა-  
მალებით იმშრალებდა ცრემლებს და უახროდ მისჩერებოდა ვინის. წამოიწყებ-  
და სათქმელს და ვერ ამთავრებდა. აქელოც, რამდენი არ ჩაეკითხა, მაინც ვერ  
მიუხუდა რას ამბობდა. ქალი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა და ბოლოს ისეთი  
გამალებით მოჰყვა სირბილს კუთხიდან კუთხეში, რომ ვინიმ ხელი სტაცა და  
კვლავ ძალით დასვა სკამზე.

— მოჩვენება ხომ არ გგონივართ? ამერიკიდან ჩამოვედი. — აქელოს მეტი  
ალარაფერი უთქვამს. ქალის შეშფოთებული, აფორიაქებული გამომეტყველე-  
ბა მოწმობდა, რომ მოჩვენება არ ეგონა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ  
მოხდა, რომ მაშინ, როცა მისი არსებობა ლუცერაშიც არავის გახსენებია,  
ამერიკაში გაახსენდათ, იმ ამერიკაში, რომელიც მისი წარმოდგენით მიუწვდო-  
მელი, საოცნებო ქვეყანა იყო. შეუძლებელი იყო მასთან საუბრის გაგრძელება.

სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ.

ქალი, რომელსაც ამ წუთამდე ერთი ვასაგები სიტყვაც არ უთქვამს,  
კვლავ ალაპარაკდა. ამჯერად ამკარი იყო, რომ ლოცაუდა აქელოს. ეტყობა,  
გულზე მოეშვა, წასასვლელად გამზადებული რომ დაინახა. გაოგნებული იყო  
სიხარულით, მაგრამ, როგორც ჩანს, ცალკე აქელოს მოსვლით გაღვიძებულმა  
მოგონებებმა და ცალკე მასპინძლის მოვალეობამ, რაც სტუმრის გულაბილი  
მიღებით უნდა გამოეხატა, შეაწუხა და ააფორიაქა საბრალო.

მეგობრები ახლა ტაძრისკენ გაეშურნენ. ბერნსტაინი სდუმდა. მოხუცის  
აღელვებამ, რაც ასე აშკარა იყო და ასე გულწრფელი, ცოტა არ იყოს, გული  
აუჩუყა და ახლა გაოგნებული უყურებდა აქელოს, რომელიც კმაყოფილებით  
იღიმებოდა და არც არაფერი უკვირდა, თითქოს ქალის საქციელი სრულიად  
ბუნებრივი და კანონზომიერი ყოფილიყოს. ბერნსტაინს ბუნდოვნად ახსოვდა,  
როგორ ესტუმრა ბავშვობაში ბრინქსში მცხოვრებ დეიდას, რომელიც ადრე  
არასოდეს ენახა. გაახსენდა, როგორ გამალებით ტენიდა საჭმელს პირში კე-  
თილი დეიდა და ლოყებგამოტენილი თვითონაც როგორ ნაძალადევად უღიმო-  
და, თეფშიდან რომ თავს აიღებდა. მაგრამ იმ შეხვედრაში ამდაგვარი არაფერი  
იყო. არაფერი ამდაგვარი არ მოხდებოდა ახლაც, მოსახვევში რომ გამოჩენი-  
ლიყო ვინმე ღუდაკაცი და ეთქვა, შენი სისხლი და ხორცი ვართ. ალბათ გულ-  
გრილად ჩაუვლიდა გვერდზე. თუმცა, ვერც იმას იტყოდა, რომ სრულიად გულ-



გრილად იყო თავისი რჯულის ხალხის მიმართ და თავი გამოჩენულად მიაჩნდა ტაძარში შევიდნენ.

— ალბათ, ძალზე მოკლე ფეხვებზე გავიზარდე, — გაიფიქრა ბერნსტაინმა და დაცინვით გახედა ვინის, რომელიც ამ დროს კილაც მღვდელს ეკითხებოდა, სად არისო აპელთა საფლავეები.

ტაძრის აკლდამაში ჩავიდნენ, სადაც ქვის იატაკს ნახევრად ფერხულად დასველებული კედლების გაყოლებით და მიხვეულ-მოხვეულ ტალანებში, ანი გასასვლელებით უნდა გასულიყავი, მრავლად იყო უძველესი საფლავეები, რომლებზეც ეამთასვლას ისე უღმობლად წაეშალა წარწერები, რომ ათი სანთლის შუქზეც ვერაფერს ამოიკითხაულა კაცი. მღვდელს ბუნდოვნად ახსოვდა კილაც აპელის საფლავეი, მაგრამ ზუსტად ვერ ამბობდა, სად იყო ვინი, მღვდლის მიცემული სანთლით, საფლავეიდან საფლავეზე გადადიოდა, მაგრამ ამოდ. ბერნსტაინი შესასვლელში გაჩერდა, თავდახრილი იდგა თალის ქვეშ. აპელო კი, ჩვეულებრივზე უფრო მეტად მოხრილი ბეჭებში, თავიდან მოხუც ბერს დაშვანებოდა და ამ ათასწლოვან სიბნელეში ფანატისკოსი ანტიკვარით ჟინმორეული გამალებით ეძებდა საკუთარი გვარის კვალს ქვაზე ამოტვიფრულ წარწერებზე. ვერაფერს მიაგნო. ფეხები მთლად დაუსველდათ. ნახევარი საათის შერე, როგორც იქნა გამოვიდნენ სინათლეზე და ძლივს მოიგერიეს სიცივით გაღურჯებული ბიჭები, საფოსტო ბარათებს რომ ყიდდნენ ნაირ-ნაირი რელიგიური სურათებით, რომლებსაც ქარი წარამარა ხელიდან სტაცებდათ.

— დარწმუნებული ვარ, მანდ არის სადღაც, — აპელო აგზნებული ლაპარაკობდა, — მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ პირადად შენ დიდი ენთუზიაზმით მოეკიდე ამ ჩვენს ექსპედიციას.

— შენ გინდა ფილტვების ანთება ავიკიდო ამ დასაკარგავეში? — უთხრა ბერნსტაინმა.

ვიწრო ქუჩას გაყვნიენ. ჩაუარეს მალაზიებს, რომელთა წინ თავდაყირა ჩამოეკიდათ გატყავებული ბატკნები. ისე ვერ გაივლიდი, მათ ვაფინხებულ ფეხებს არ გაშოსდებოდი. ბერნსტაინმა ხუმრობით ხელიც კი ჩამოართვა ერთ-ერთს. ისე გახალისდა, რომ ასეთი კომიკური სცენაც კი წარმოიდგინა: აგერ, ვითომ ქალაქის რომელიღაც საპატისო წარმომადგენელი გამოვიდა, რომ შეეგებოს ვინცენსტ გეორგიო აპელის, ხელს უწვდის ჩამოსართმევად, მაგრამ აპელის მისი ხელის ნაცვლად ბატკნის ფეხი შერჩება ხელში. ო, რა კომიკური სცენა იქნებოდა ფილმისათვის, ხითხითებდა ბერნსტაინი, ჩარლი ჩაპლინიც კი მოკვდებოდაო სიცილით ამის ნახვაზე.

ქუჩა უფსკრულთან მთავრდებოდა და თითქოს პირდაპირ უერთდებოდა უკიდევანო ცაბ. აქ გაჩერდნენ და ზემოდან გადახედეს შიდამოს.

— ალბათ ერთი დროს ჩემი წინაპრები ცხენებზე ამხედრებულნი დაჰქროდნენ ამ ადგილებში, — წამოიწყა ვინამ.

— ალბათ, — თქვა ბერნსტაინმა, რომელსაც უმაღლესად გაუხედა მეგობრის დაცინვის ხალხის, როგორც კი წარმოიდგინა ცხენზე ამხედრებული, იარაღ-ასხმული რაინდი. კვლავ მარტოობის გრძნობა შემოაწვა გულს. ისეთივე მარტოსული და ეუღლია, როგორც ეს გვერდებჩამორეცხილი კირის ქარაფა, რომელზეც დგას მის გვარში რაინდები არასოდეს ყოფილან.

გაიხსენა, რა იცოდა მამამისისგან მათი ქალაქის შესახებ სადღაც ევროპაში. ნამდვილი წყლის კასრი იყოთ, იტყოდა ხოლმე მამამისი, ქალაქში ერთი გიჟი დაბორიადლობდაო ქუჩებში, ერთი ბარონიც ცხოვრობდაო. აი, სულ ეს



იცოდა თავის ქალაქზე. სხვა არაფერი, სრულიად არაფერი. მერე კი ამერიკელებში გადაეწერნენ. არც ამაში ეყარა რაღაც. არასოდეს არ მოხვლია აზრად, რომ კაცს აძლენი წინაპარი შეიძლება ჰყავდეს და ასე ღრმად ჰქონდეს გაღმურული ფესვები, რისი მოწმეც შეიქნა ამ ერთი საათის წინ ვინის ხათესავის სახლში. ნაძვლილი წყლის კასრი, ვიღაც გიჟი, ბარონის სასახლე... რა საერთო აქვს ამას ყველაფერს პირადად მასთან? იგრძნო, რაღაც რაღაცა გულში. უთუოდ იგივე გრძნობა ეუფლება ბავშვს, რატომ უამრავად იგრძნობს, რომ მისი მშობელი ის არაა, ვინც გაზარდა, რომ იგი ამ მყუდრო სახლში ქუჩიდან შემოვიდა, ცივი და ჭუჭყიანი ქუჩიდან.

მოშივებულებმა რესტორანს დაუწყეს ძებნა. რესტორანი ქალაქის მეორე ბოლოში იყო, პირდაპირ უფსკრულის პირას იდგა. შიგნით, უშველებელ ოთახში, ოცამდე მაგიდა იყო ჩამწკრივებული და ფართო ფანჯარა დაბლა ვაკვს გადაჰყურებდა. მაგიდას მიუსხდნენ. ოთახში კაცის ჭაჭანება არ იყო და ძალზე ციოდა. ქარი გამალებით აწყდებოდა კარ-ფანჯარას. ფანჯრის სიმაღლეზე ნელ-ნელა, უშფოთველად დაცურაუდნენ თეთრი ღრუბლები.

სამზარეულოდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ეტყობა, რესტორანის პატრონის ქალიშვილი იყო. ვინიმ ის იყო საჭმელი შეუკვეთა, რომ კარი გაიღო და ქუჩიდან ვიღაც კაცი შემოვიდა. ბერნსტაინმა, შეავლო თუ არა თვალი შემოსულს, რატომღაც ეცნო, თუმცა, კაცმა არ იცის, სად შეიძლება ენახა ადრე. სიცილიელს წააგავდა, მთვარესავით მრგვალი, შავ-შავი პირისახე, მალაღობი ყვრიმალეები და განიერი ყბები ჰქონდა. ბერნსტაინმა წუთით გამოლაპარაკებაც კი დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ იტალიურად ორ სიტყვას ვერ აბამდა და გულში გაეცინა. აპელოსაც უთხრა, მეცნობაო, და ახლა იმანაც შეათვალღერა ახალმოსული. კაცმა მაშინვე იგრძნო მათი დაჟინებული მზერა, დიმილი აუთამაშდა სახეზე და მიესალმა:

— Buon Giorno!

— Buon Giorno! — გაეპასუხა ბერნსტაინი (ასე ოთხი მაგიდა აშორებდათ ერთიმეორეს) და ისევ ვინის მიუბრუნდა:

— მაინც რატომ მეცნობა ასე ძალიან?

— არ ვიცი, ეშმაკმა დალაზვროს, — თქვა ვინიმ, რომელსაც, ცოტა არ იყოს, ესიამოვნა მეგობრის ასეთი გამოცოცხლება.

თვალს არ აცილებდნენ კაცს, რომელიც საკმაოდ შინაურულად გრძნობდა აქ თავს; მან თავისი ფუთა გვერდით მაგიდაზე დადო და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. ქურქი ერთ სკამზე დაკიდა, ქუდი — მეორეზე, ჟილეტი — მესამეზე, გვეგონება, თანამესუფრეებად გაიხადაო. შუახნის კაცი იყო, დაბალი და ჩასკვნილი. ძალზე უცნაურად იყო ჩაცმული: შავი ქურთუკი ეცვა, ისეთი, როგორსაც აქაურები ატარებდნენ, ოღონდ საშინლად დაღეჭილი, მთლად დამტვერილი ყავისფერი შარვალი — გლეხის შარვალივით სქელი და ტოტებგანიერი, და გამძლე, უხეში, სასაცილოდ ცხვირაბზეკილი ფეხსაცმელი. თავზე შავი, ფართო ფარფლებიანი ქუდი ეხურა, რაც ასე უცხო იყო ამ მხარეში, სადაც კაცები მართო კეპებს ატარებდნენ, ყელზეც ჰალსტუხი ჰქონდა ჩამობმული. სანამ ჰალსტუხს შეიხსნიდა, ხელები გულდაგულ გაიწმინდა. ჰალსტუხი ყვითელი აბრეშუმისა იყო, ლურჯ ხოლებიანი. აქ არ უნდა ყოფილიყო ნაყიდი, ამ მხარეში ჰალსტუხს მის მეტი ალბათ არც არავინ ატარებდა. ხოლო მისი თვალე-



ბის გამომეტყველება არც გლეხის უნდო გამოხედვას მოგაგონებდათ და არც აქაურების დაჟინებულ, ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერას.

ქალი გამოვიდა და ამერიკელებს ორ თეფშზე გაწყობილი შემწვარი პატკინის ხორცი გამოუტანა. უცნობი დაინტერესდა, რას ჭამენო, და თვალი მზერს სუფრისკენ გააპარა. ბერნსტაინმა ზიზღით დახედა თითქმის უმ ხორცს და თქვა:

— ბეწვი აგდია.

ვინიმ უკან მოიხმო ქალი, რომელიც უკვე ახალმოსულთან მისულიყო, და ბეწვი უჩვენა.

— ეგ ხომ პატკინის ბეწვია, — გულუბრყვილოდ განუმარტა მან. გასაგებიაო, თქვეს მეგობრებმა და ისე მოიმარჯვეს დანა-ჩანგალი, თითქოს მართლაც აპირებდნენ ამ უმი ხორცის ჭამას.

— განა არ იცით, სენიორ, რომ დღევანდელ დღეს ხორცს არ ჭამენ? — თქვა უცნობმა. უღვაშეში იღიმებოდა და ვერ გაიგებდი, გაბრაზებით ამბობდა ამას თუ ხუმრობით.

— რატომ? — იკითხა ვინიმ.

— დღეს პარასკევია, სენიორ! — უპასუხა კაცმა და კვლავ გაუღიმა.

— მართალია, — თქვა ვინიმ, წინასწარვე იცოდა, რომ ასეთ პასუხს მიიღებდა.

— მე თევზი მომიტანე, — უთხრა უცნობმა ქალს და მერე შინაურულად გამოჰკითხა დედამისის ამბავი, რომელიც, როგორც ჩანს, ავადმყოფობდა იმხანად.

ბერნსტაინი თვალს ვერ აცილებდა უცნობს. ხორცისთვის პირი არ დაუკარებია, მხოლოდ პურსა ჭამდა. კვლავ მოეძალა უცნაური სურვილი მისულიყო და გამოლაპარაკებოდა მას. თავი სიზმარში ეგონა. ყველაფერი ირგვლივ, ეს ქალაქი, ქუჩებში მოცურავე ღრუბლები, კრიალა ჰაერი — კალუცინაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. იგი იცნობდა ამ კაცს! დარწმუნებული იყო, რომ იცნობდა, თანაც აშკარა იყო, რომ რაღაცა დაუჯერებელი აეხირებინა. ასე იყო, თუ ისე, რატომღაც ეგონა, რომ თუკი მართლაც გაბედავდა და გამოელაპარაკებოდა, აუცილებლად გააგებინებდა და თავადაც გაუგებდა, თუნდაც იტალიურად. ამერიკიდან წამოსვლის შემდეგ პირველად ახლავდა იგრძნო, რომ მოგზაურობა და მოგზაურის როლში ყოფნა არცთუ უსიამოვნო რამაა. ამ წუთს ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ, ვინისა არ იყოს, თვითონაც შინ იყო. თითქოს იცოდა კიდევ, რა ხდება აი იქ, სამზარეულოში, როგორი სახე ჰქონდა მზარეულს და რომელ ღვრსმანზე ეკიდა მისი გაქონილი წინსაფარი.

— რა გემართება? — ჰკითხა აპელომ.

— რად მეკითხები?

— რატომ მისჩერებიხარ ასე?

— მინდა დაველაპარაკო.

— დაულაპარაკე მერე, ვინ გიშლის? — გაეცინა აპელოს.

— იტალიური რომ არ ვიცი.

— მე მოგეხმარები. რა გინდა ჰკითხო?

— იცი... — დაიწყო ბერნსტაინმა და გაჩერდა.

— რა? — ჰკითხა აპელომ და თავი ახლოს მიუტანა.

— არაფერი... რაც გინდა ის ჰკითხე, აბა, მიდი!

ვინიმ, რომელსაც აშკარად სიამოვნებდა მეგობრის ასეთი გამოცოცხლება,



გახედა უცნობს. უცნობი გულდაგულ აცლიდა ფხებს თევზს და მადიანად შეექცეოდა.

— Scusi, signor! — დაიწყო მან.

კაცმა თავი ასწია.

— მე იტალიელი ვარ, ამერიკიდან ჩამოვედი. მინდა ცოტა გაგესაუბროთ. აქ არავის ვიცნობ.

კაცმა, რომელიც ორთავ ყბით ილუკმებოდა, გაიღიმა და რატომღაც თავისი ქურთუკი უახლოეს სკამზე გადმოკიდა.

— აქაური ხართ?

— ხო, შორიდან არა ვარ.

— როგორ არის აქ საქმეები?

— ეხ, ცუდად, მუდამ ასე ცუდად იყო.

— რა საქმიანობას ეწვევით, თუ საიდუმლო არაა?

კაცმა უკანასკნელი ლუკმა ჩაყლაპა, ღეინო დააყოლა, წამოდგა და პალსტუხი გაიხასკვა. მერე მეორე მაგიდისკენ გადაინაცვლა, სადაც მისი ფუთა იდო. მძიმედ და ფრთხილად ადგამდა ფეხს, თითქოს ყოველ ნაბიჯსა ზოგავსო.

— ტანსაცმლითა ვვაჭრობ, — თქვა მან, ფუთა თავის მაგიდაზე გადმოდო და გახსნას შეუდგა.

— ტანსაცმელს ყიდის თურმე, — აუხსნა ვინიმ ბერნსტაინს.

ბერნსტაინს სახე აელეწა. სად უნახავს ნეტა ეს განიერი ზურგი, აი, სწორედ ასე წახრილი ბოლჩაზე? ხარბად მისჩერებოდა მის ხელებს, რომლებიც ამ დროს ბოლჩას ხსნიდნენ. კაცი ზურგით იდგა მათკენ და ბერნსტაინი მხოლოდ მისი მარცხენა თვალის კუთხეს ხედავდა. უცნობმა ქალაქი შემოხსნა ქსოვილის რულონს, მაგიდაზე გაშალა და ისე გულდაგულ გააუთოვა ხელით და ისე კობტად დაკეცა, თითქოს ეს ყავისფერი ქალაქი რამე ძვირფასი ტყავი ყოფილიყოს, რომლის უხეშად დაკეცვა მართლაც დიდი ცოდვა იქნებოდა.

ქალმა უშველებელი მრგვალი პური გამოუტანა სამზარეულოდან. ორი ფუტის დიამეტრი ექნებოდა. კაცმა ჩამოართვა და პირდაპირ ქსოვილის რულონზე დადო. ბერნსტაინს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. კაცმა დაკეცილი ქალაქი შემოდან დააფარა, რულონს ღამაზად გადაუჭირა კანაფი და ბოლჩა გულდაგულ გაშონასკვა.

ბერნსტაინს სიცილი წასკდა. შუების სიცილი. ვინიმ გაოცებით შეხედა. მასაც ღიმილი უთამაშებდა სახეზე და მზად იყო გაეზიარებინა მეგობრის მხიარულება, ოღონდ ვერაფერს მიმხვდარიყო.

ბერნსტაინმა შუებით ამოისუნთქა. კმაყოფილი ჩანდა, რომ როგორც იქნა ამოხსნა საიდუმლო.

— ეგ კაცი ებრაელია, ვინი!

ვინიმ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი უცნობს.

— რაზე ატყობ?

— იმაზე, თუ როგორ გამოსკვნა ბოლჩა. ზუსტად ასე ნასკვავდა ხოლმე მამაჩემი, ასე ნასკვავდა პაპაჩემიც. მთელი ჩვენი ისტორია ხომ ბოლჩების შეკვრა და გაქცევაა. არავის ისე არ ეხერხება ბოლჩის შეკვრა, როგორც ებრაელს. ეგ კაცი ებრაელია. თუ ვინდა სახელი ჰკითხე.

ახლა ვინიც დაინტერესდა.

1. მაპატიეთ, სენიორ (იტალ.).



— სენიორ! — მიმართა მან უცნობს და მის ხმაში ისეთი სითბო გამოკრთა, რომლითაც მხოლოდ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს ელაპარაკებოდა ხოლმე. უცნობმა გამოკვანძული ბოლოები გულდაგულ დაამაგრა და ღიმილით გამოხედა.

— რა გქვიათ, სენიორ?

— რა მქვია? მაირო დი ბენედეტო.

— მაირო დი ბენედეტო. რა თქმა უნდა! — წამოიძახა ვინიმ, — მაირო დი ბენედეტო, რისი, ვინ იცის, ეგებ სულაც მოსე.

— უთხარი, რომ ებრაელი ვარ, — სთხოვა ბერნსტაინმა. თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა.

— ჩემი მეგობარი ებრაელია, — უთხრა ვინიმ უცნობს, რომელსაც უკვე მხარზე შეეგდო თავისი ფუთა.

— ხო? — დაბნულად იკითხა კაცმა, აშკარად ვერ გაიგო რას ეუბნებოდნენ. გაოცებული შეჰყურებდა, თავაზიანად უღიმოდა და ამოდ ცდილობდა ამოეხსნა ამ ორი ამერიკელის ასეთი გამოცოცხლების მიზეზი.

— Iudeo, ჩემი ამხანაგი Iudeo!

— Iudeo, — დაბნულად გაიმეორა უცნობმა. უთუოდ რაღე ოხუნჯობა ეგონა და ელოდა როდის განუმარტავდნენ. ვინიც დააბნია უცნობის გაოგნებულმა გამომეტყველებამ.

— Iudeo, ბიბლიის ხალხი, — განუმარტა მან.

— აა... ვიცი! — წამოიძახა უცნობმა, გახარებულმა, რომ უმეცრებას ვერ დასწამებდნენ. — Ebreo, — შეუსწორა მან. თავაზიანად დაუკრა თავი ბერნსტაინს, თუმცა კვლავ დაბნული ჩანდა და ვერ გაეგო, ამას რატომ ეუბნებოდნენ.

— გააგებინე, ბოლოს და ბოლოს? — იკითხა ბერნსტაინმა.

— გავაგებინე, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არ ესმის, რა გვინდა. სენიორ! — კვლავ უცნობს მიუბრუნდა, — ჩამოჯექით ჩვენთან, ერთი-ორი ჭიქა გადაუკრათ.

— არა, გმადლობთ, — თავაზიანად უპასუხა კაცმა, — მზის ჩასვლამდე შინ უნდა ვიყო. ისედაც ცოტა შემაგვიანდა.

ვინიმ მეგობარს უთარგმნა მისი ნათქვამი და ბერნსტაინმა სთხოვა ეკითხა, თუ რატომ უნდა მისულიყო შინ მზის ჩასვლამდე.

კაცი, როგორც ჩანს, არასოდეს დაფიქრებულა ამ საკითხზე. მხრები აიჩეჩა, გაიცინა და თქვა:

— თვითონაც არ ვიცი. მთელი ჩემი სიცოცხლე პარასკევობით სადილობამდე ვბრუნდები შინ და მუდამ ვცდილობ მზის ჩასვლას დავასწრო. ალბათ ჩვევია... მამაჩემიც ასე იყო. იცით, მამაჩემიც ადრე ამ მხარეში დადიოდა სავაჭროდ და მეც, ჯერ სულ ბავშვი, თან დაყვავდი. ის კი უფრო ადრე მამამისს დაჰყვებოდა. ამ მხარეში უხსოვარი დროიდან დადის ჩემი გვარის ხალხი. მამაჩემიც მუდამ მზის ჩასვლამდე ბრუნდებოდა შინ პარასკევობით. რა ვიცი, ალბათ ასე იყო თავიდანვე დაწესებული ჩვენს ოჯახში.

— ებრაელთა შაბათი პარასკევს იწყება მზის ჩასვლისას, — თქვა ბერნსტაინმა, როცა ვინიმ მისი ნათქვამი უთარგმნა. — ხედავ? საშაბათო პურიც რომ მიაქვს შინ. ეგ კაცი ებრაელია. ეჭვი არ არის, აბა, ჰკითხე!

— მისმინეთ, სენიორ! — მიმართა ვინიმ ღიმილით. — ჩემს მეგობარს უნდა გაიგოს, თქვენც ებრაელი ხომ არა ხართ.

— მე? — გაიკვირვა უცნობმა და თითქოს ესიამოვნა კიდევ, რომ რაღაც ასეთი ეგზოტიკური მიაწერეს.



— ამერიკელი კი არა, ებრაელი, — განუმარტა ვინიმ, როცა შეამჩნია, რომ უცნობმა მუშტრის თვალი შეავლო ბერნსტაინს.

კაცმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. თან თითქოს ებოდინებოდა, რომ მოლოდინი ვერ გაუმართლა. წასასვლელად გამზადებული, ცოცხალი არ იყო, ფეხს ითრევდა. ეტყობა, დანატრებული იყო ხალხთან საუბარს და ახვადვილად არ ეთმობოდა.

ეროვნული  
მანქანა

— კათოლიკეები არიან ეგ ებრაელები? — იკითხა მანქანის მძღველი.

— შეკითხება, კათოლიკეები ხომ არ არიან ებრაელებიო, — უთხრა ვინიმ მეგობარს. ბერნსტაინი სკამის ზურგზე გადაწვა და გაოცებული მიაჩერდა უცნობს. ვინიმ განუმარტა კაცს, რომ ებრაელები არასოდეს ყოფილან კათოლიკეები. უცნობი მცირე ხანს კიდევ დაყოვნდა, დაკვირვებით მისჩერებოდა ბერნსტაინს, თითქოს ცდილობდა გაეგო ბოლოს და ბოლოს ამ უცნაური საუბრის აზრი, მაგრამ გაახსენდა, რომ ის მისია, რომელიც შესასრულებელი ჰქონდა, მეტხანს და რჩენის უფლებას არ აძლევდა, გულთბილად გამოეთხოვა ამერიკელებს და სამზარეულოს კარი შეაღო.

— გმადლობთ! — შესძახა ქალს, — ეს თქვენი ცხელ-ცხელი პური ზურგზე სათბურივით მექნება, სანამ ქვევით ჩავალ.

მერე ქუჩაში გამაჟღერებელი კარი გამოაღო, კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი მეგობრებს და მზით გაკაშკაშებულ, ქარიან ქუჩას დაუყვა.

მალე ამერიკელებიც გაემართნენ იმ ადგილისკენ, სადაც მანქანა დატოვეს. გზად სხვა არაფერზე ულაპარაკიათ, თუ არა ისევ იმ უცნობზე. ბერნსტაინმაც კიდევ ერთხელ გაიხსენა, თუ როგორ იცოდა მამამისმა ბოლჩის გამოკერა.

— შესაძლოა, თვითონაც არ უწყის, რომ ებრაელია, მაგრამ როგორ შეიძლება არასოდეს გაეგოს ვინ და რანი არიან ებრაელები! — საზღვარი არ ჰქონდა ბერნსტაინის გაოცებას.

— არც ეგაა გასაკვირი. გახსოვს, რა იკითხა დეიდაჩემმა ლუცერაში? ქრისტე თუ სწამსო, შენზე მკითხა, და თან ნუ დაგავიწყდება, რომ დეიდაჩემი სკოლის მასწავლებელია. ხომ ხედავ, არაფერზე წარმოდგენა არა აქვთ. კიდევაც თუ გაუგიათ ებრაელთა არსებობა, ალბათ ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა ჰგონიათ. ერთ იტალიელს ვიცნობდი, რომელსაც ყველა ზანგი ებრაელი ეგონა და თუ სადმე თეთრკანიან ებრაელს გადააწყვდებოდა, ამბობდა, რჯულგამოცვლილი ქრისტიანიო.

— კი, მაგრამ მისი სახელი...

— „ბენუდეტო“ მართლაც იტალიური გვარია. „მალო“ კი — არასოდეს გამოგია. შეიძლება რამე ძველი სახელიც იყოს.

— ებრაული სახელი თუა, ნუთუ არასდროს დაფიქრებულა, რომ...

— სახელს რა მნიშვნელობა აქვს. ნიუ-იორკში სალვატორე ვისაც ერქვა, სემი დაირქვა. იტალიელებს განსაკუთრებით უყვართ სახელების გადაკეთება. ამდენად, სახელის მიხედვით ძნელია მსჯელობა. „ვინჩენცო“, მაგალითად, უბრალოდ „ენცო“-ა ხოლმე, ან „ვინი“, ან სულაც „ჩიკო“. ეგ „მალო“, ეშმაკმა უწყის, რა სახელიდან წარმოსდგება. მაგრამ ეგ კაცი მართლაც ებრაელი უნდა იყოს. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ თავადაც არ იცის. ხომ შეატყვევ, რა საგონებელში ჩავარდა?

— ღმერთო ჩემო, თანაც საშაბათო პურიც რომ მიჰქონდა შინ! — გაახსენდა ბერნსტაინს და გადაიხარხარა.



უკვე მანქანასთან მისულიყვნენ. ბერნსტაინმა სახელურს ხელი წაავლო, მაგრამ კარი არ გაუღია, ისე უთხრა ვინის:

— ჯერ აღრეა, თუ გინდა, დავბრუნდეთ იმ ტაძარში და კიდევ შევეცადოთ, ვეგების ვიპოვოთ ის შენი ბებრუხანები.

ვინის გაელღმა და უცებ ორთავეს სიცილი წასკდა. ვინიმ მხარზე ხელი დაკრა შეგობარს, მერე მკლავებში ჩაავლო ხელები და ღონივრად შეაჯახუნა.

— დალაზვროს ეშმაკმა, — იცინოდა ვინი, — მგონი, შენც ნელ-ნელა გაგიტაცა ამ მოგზაურობამ, ჰა? რას იტყვი?

ფეხაჩქარებით გასწიეს ტაძრისკენ, გზაში წარამარა ისევ იმ უცნობზე იწყებდნენ ლაპარაკს.

— ებრაელი იყო, რა თქმა უნდა, ებრაელი იყო! — წამოიძახებდა დროდადრო ბერნსტაინი. — თანაც უბრალოდ ებრაელი კი არა, ორთოდოქსი ებრაელი! რა უცნაურია, რა უცნაურია!

— ატყობ, რომ შენს თავს აღარა ჰგავხარ? — ჰკითხა ვინიმ.

— რატომ ვითომ?

— არ ვიცი.

— იცი, რა გითხრა, — თქვა ბერნსტაინმა ხმადაბლა, რადგან უკვე ტაძარში იყვნენ შესული და აკლდამის კიბეზე ჩადიოდნენ. — სასაცილოა ალბათ, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შინ ვიყო. ვერც კი მითქვამს რატომ.

ფრთხილად მიაბიჯებდნენ, რომ წყლის გუბებში ფეხი არ დასველებოდათ. მღვდლის ძეხნაში კარგა ხანს იბორიადეს ბნელ ტალანებში. ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნეს, კიდევ ერთხელ გამოართვეს სანთელი და ვინი, სანთლით ხელში, სიღრმისკენ წავიდა.

ბერნსტაინი იქვე დარჩა. ირგვლივ კედლებზე წყალი მოწვეთავდა. უკან განიერი ძველთაძველი კიბე ჩანდა, მილიონობით ფეხისგან მთლად გადაცვეთილი და ამოჭმული საფეხურებით. ნესტოებიდან ორთქლი გამოსდიოდა. ვერაფერს ხედავდა ირგვლივ, გარდა ვინის უშველებელი ჩრდილისა, კედელზე რომ გაფენილიყო. ისე ბნელოდა და ციოდა, როგორც ჯოჯოხეთის ჯურღმულებში. შორიდან ვინის ნაბიჯების ექო ესმოდა, დროდადრო მინელდებოდა ეს ხმა და მცირე ხნით სიჩუმე ისადგურებდა ირგვლივ, მერე კი ისევ შემოესმოდა ხოლმე.

ბერნსტაინი გაქვავებულივით იდგა. კვლავ უჩვეულო აღგზნება იგრძნო. ფიქრი კვლავ იმ სათნოდ მოღიშარი უცნობისკენ ეწევა, ბაჯბაჯათ რომ დასდგომია გზას, რომელიც უხსოვარ დროში გაუკვალა პაპისპაპამ, იმ უსახელო მგზავრისკენ, პარასკევ საღამოს რომ მიიჩქარის შინ საშაბათო პურით ილღიაში და კვირა დღით კათოლიკურ ეკლესიაში ლოცულობს მუხლმოყრილი. რა მწარე ირონიაა! — ფიქრობს, მაგრამ რატომღაც გული გაუგებარი სიხარულით ევსება. ახარებს კი უთუოდ ის, რომ ისტორიით ასე დაუნდობლად გასრესილი, უჩუმრად მაინც ფუთფუთებს სადღაც მისი რჯულის კაცი, რწმენაშემოძარცული და შეჩვენებული, ამ კათოლიკურ ქვეყანაში უჩუმრად ეზიდება შინ საშაბათო პურს. ეს კი უტყვი, ქვასავით უტყვი საბუთია იმისა, რომ სადღაც, ოდესღაც იმ კაცსაც ჰქონია წარსული. მისი წარსული ხომ ჩემი წარსულიცაა, ფიქრობს ბერნსტაინი და თან ვერ გაუგია, რატომ შეიძინა ყოველივე ამან ასეთი მნიშვნელობა ახლა, ამწუთას, მაშინ, როცა თავად არც არავითარი რწმენა ჰქონდა ოდესმე და არც წარსულში გადგმულ ფესვებზე უოცნებია.

აკლდამის ვიწრო ტალანში ვინის ზორბა ტანი გამოჩნდა. სანთელი გამალეებით აკიაფდა ორპირ ქარზე. ახლა კი უთუოდ შეძლებს თვალი თვალში გაუყა-



როს მეგობარს. გაქრა უთანაბრობის ის მომქანცველი გრძნობა, რაც მუდამ იყო მათ შორის, გაქრა უხერხულობაც, ხელ-ფეხს აღარაფერი უბორკავს, ახლა იგი მეგობრის სწორი და ტოლია. შეჰყურებდა მისკენ მომავალ აპეტოს და ახლად მიხვდა, რომ მთელი სიცოცხლე გაუმართლებელ სირცხვილსა და უხერხულობაში უცხოვრია.

— ვიპოვე, როგორც იქნა! იქ არის, დაბლა, — ტალანისკენ მიჰქრდა ხელს კინი და ბავშვივით იცინოდა.

— მომილოცავს! — წამოიძახა ბერნსტაინმა. — ძალიან მიხარია!

წელში მოხრილნი მიდიოდნენ დაბალჭერიან ტალანში და უკნიდან საკუთარი ხმების ექო ეწეოდნენ.

ვინიმ იგრძნო, რომ მეგობარმა გულწრფელად გაიზიარა მისი სიხარული, და გაიფიქრა, ეს ექსპედიცია მართოდენ სულელური და უაზრო ახირება არ იყო. სანთელი ასწია, რომ მეგობრის სახე უკეთ დაენახა. გაუცინა, ხელი წაავლო მაჯაში და ასე ხელჩაკიდებული ამოარბენინა კიბეზე. ბერნსტაინს ჳირივით სძულდა, როცა ასე ბავშვივით ან ინვალიდევით ჩაკიდებდნენ ხელს, მაგრამ უცნაურია, რომ ამწუთას, აქ, სიბნელეში მეგობრის ხელს ასეთი უსიამოვნო ასოციაცია აღარ გამოუწვევია.

დაუყვანენ ქუჩას, რომელიც ტაძრიდან ქალაქისაკენ მიემართებოდა. ირგვლივ კაცის ჳაჭანება არ იყო. ჰაერში დამწვარი ნახშირისა და ზეთუნის ზეთის სუნით ტრიალებდა. ცაზე უკვე აციმციმებულიყო ორიოდე ფერმკრთალი ვარსკვლავი. მაღაზიები დაეკეტათ. ბერნსტაინი კვლავ მაორო დე ბენედეტოზე ფიქრობდა, ფეხაჩქარებით რომ მიძუნძულებდა მიხვეულ-მოხვეულ კლდოვან გზაზე, რათა მზის ჩასვლამდე შინ მისვლა მოესწრო.







### წიგანთშეშ

სოხუმში 1992 წლის ხავერდოვანი ზაფხული იდგა, როდესაც შორეული პოლანდიიდან ვეებერთელა ბანდეროლით ეს ლექსები და როტერდამის „საერთაშორისო პოეზიის ფესტივალის“ დირექტორის ბ-ნ მარტინ მოოის ბარათი მივიღე, რომელშიც იგი მთხოვდა, შეთარგმნა „ჩვენი საერთო მეგობრის“ გენადი აიგის ლექსები და თუ მათი გამოქვეყნების შესაძლებლობა მექნებოდა, ორი ეგზემპლარი გამეგზავნა... მათთან.

რამდენიმე დღეში ქართულ-აფხაზური „კონფლიქტი“ დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ ლექსების ავტორთან კარგა ხნის მეგობრობა მაკავშირებდა, მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ნამდვილად არ მცხელოდა, თუნდაც იმის გამო, რომ ჩემი სიყმაწვილის პოეტურ ცაზე („შეხედე რა ცაა“ – გალაკტიონი) „უფროსი ძმის“ ვერტმფრენი – „კროკოდილი“ ღმუოდა, რომელსაც უსირცხვილოდ გაწითლებულ შუბლზე სამ როსავით უძველესი „დივიდე ეტ იმპერა“ („გათიშე და იბატონე“) ეწერა...

სოხუმში გაურკვეველობამ და შიშმა მოიცვა. ქართველი და აფხაზი პოეტები უკვე არ ვხვდებოდით ერთმანეთს „დიოსკურიაში“, „ამრაში“, „ჩერნომორეცში“, „პროხლადაში“ თუ სხვაგან და არ ვპატივებდით ფინჯან ყავაზე, რადგანაც ყველას ჩვენი საფიქრალი გვქონდა. ფილოსოფიური, ნათელი გონება ერთს გვეუბნებოდა, სიხელი – მეორეს... აფხაზეთის ცა და ქიწია ხალვადორ დალის გივანტურ ტილოს – „სამოქალაქო ომის წინათგრძნობა“ – დაემსგავსა და ამ შიშის მომგვრელ, შემამრწუნებელ ქაოსში შეუძლებელი იყო ფიქრი ამაღლებულზე, მშვენიერებაზე, განდევილი ბერივით სენაკში დაფუდება, განმარტოება, ლექსიკონების კირკიტი და წმ. იერონიმის (მთარგმნელთა მფარველი) ხატის ძიება ცაზე, რომელიც დიდხა თუ პატარას ავად გვიმზერდა...

როტერდამის „საერთაშორისო პოეზიის ფესტივალი“ 1970 წლიდან ტარდება და იქიდან მიღებული ლიტერატურით (ანთოლოგია, პროსპექტები, ფირფიტები) თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, რომ ძალზე პოპულარულია ცნობილი პოეტების წრეში. გეოგრაფიულადაც ვრცელი და მრავალფეროვანია. სხვადასხვა წლებში მონაწილეობდნენ გილვიკი, ივ ბონფუა, ჟან ტარდიე, მიშელ დეგი და ჟან ორიზო (საფრანგეთი), ედუარდო ხანგვინეტი და ნანნი ბალესტრინი (იტალია), ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, პიტერ ჰუხელი და ოსკარ პასტიორი (გერმანია), რობერტ ლოუელი, ალენ გინზბერგი, გრეგორი კორხო, ელიზაბეთ ბიშოპი, ჯონ აშბერი, რობერტ ბლაი და დენიზა ლევერტოვი (აშშ), ჩესლავ მილოში, თადეუს რუჟევიჩი და ზბიგნეჟ ჰერბერტი (პოლონეთი), იოსებ



ბროდსკი, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი, იუნა მორიცი, გენადი აიგი და ვიაჩესლავ კუპრიანოვი (რუსეთი), რაფაელ ალბერტი (ესპანეთი), ტომას ვენცლოვა (ლიტვა), ოქტავიო პასი (მექსიკა) და სხვ.

„კონფლიქტი“ გაჭიანურდა. გასაგები მიზეზების გამო არ შეიძლება ლექსების თარგმნის (განსაკუთრებით კი — პუბლიკაციის!) განწყობილება-ხურვილი, რაც უბრალოდ ვაცნობე ცნობილი ფესტივალის პატივცემულ დირექტორს, რადგანაც „როდესაც წარბაზნები ქუხან...“ მთარგმნელებიც დუმან...

გენადი აიგისთან ძველი მეგობრობის ნათელს ვერ ვუღალატე და ლექსები მოგვიანებით ვთარგმნე — უკვე ზუგდიდში — „ლტოლვილის“ თუ „დროებით გადაადგილებულის“ სტატუსით ხელდამშვენებულმა...

### პოეტის ბიოგრაფიული შტრიხები

დაიბადა 1934 წელს სოფ. შაიმურზინოში (ჩუვაშეთი). მისი ნამდვილი გვარია ლისინი და ე. წ. ორენოვან პოეტად ითვლება, თუმცა ბორის პასტერნაკთან გაცნობის შემდეგ (1956 წლის მაისი) და მისი ლოცვა-კურთხევით ძირითადად წერს რუსულ ენაზე, ხოლო ჩუვაშურად თარგმნის მისთვის ძვირფას და საყვარელ პოეტებს... რამდენიმე წლის წინათ თარგმნა და გამოსცა ფრანგული, პოლონური და უნგრული პოეზიის ანთოლოგიები.

45 წელი ცხოვრობს მოსკოვში, სადაც ბოლო ხანებში, როგორც იქნა „დააფასეს“ და გამოუცეს ორი პოეტური კრებული. საზღვარგარეთ დასტამბულია უამრავი წიგნი და წერილი, მათ შორის იაპონიაშიც... მიღებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო პრემია: პოლ დეფეის სახელობისა (საფრანგეთის აკადემია), პეტრარკასი (გერმანია) და ა. შ.

მე ხელთა მაქვს გამოჩენილი გერმანელი პოეტის, გერმანიის ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტის კარლ კროლოვის, საფრანგეთის „უკვდავთა“ წევრი პოეტის პიერ ეშმანიუელის, ბრიტანეთის აკადემიის წევრის პიტერ ფრანსის, პროფესორების ჯერალდ იანჩიკის (აშშ) და ფელიქს ფილიპ ინგოლდის (შვეიცარია) და კიდევ სხვათა აზრები, შეხედულებები და ესეები გენადი აიგის საოცრად ორიგინალურ პოეზიაზე, მაგრამ მათი ციტირებით თავს არ შევაწყენ გულისხმიერ ქართულ მკითხველს, რომელიც ისედაც მშვენივრად გრძნობს, ხედავს და აღიქვამს უძველესი თუ უახლესი პოეზიის ფრუანტელის-მომგვრელ სილამაზეს, ფერწერისა და ბგერწერის განუმეორებლობას დროსა და სივრცეში.

დასასრულს ერთ პარალელს გავავლებდი: საუკუნის დასაწყისში „ცისფერ-ყანწელებმა“ თარგმნეს და სავარდო-სამაისო ქუთაისში გამოსცეს სტეფან მაღარამეს ლექსების კრებული, როგორც ახალი — სიმბოლისტური პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის სავიზიტო ბარათი ქართულ პოეზიაში...

დმერთმა ქნას, რომ საუკუნის მიწურულს თარგმნილმა „ვოლგისპირელმა მაღარამემაც“ (ფრანგი პოეტისა და რეჟისორის ანტუან ვიტეზის აზრია) გაიკვალოს ბილიკი თუ გზა ქართველი მკითხველის გულისკენ, დაუღალავად ეძიოს და დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი ქართული მთარგმნელობითი თუ თარგმნილი პოეზიის ცის კაბადონზე...

ა კ ა, პო ე ტ ი ი გ ი!



გ ზ ა

როცა არავის არ ვუყვარვართ  
ვიწყებთ  
შეყვარებას დედებისა

როცა არავინ არ გვწერს ბარათებს  
ვიხსენებთ  
ძველთაძველ მეგობრებს

და სიტყვებს წარმოვთქვამთ მხოლოდ იმიტომ  
რომ მდუმარება გვზარავს  
მოძრაობა კი სახიფათოა

ბოლოს კი — შემთხვევით და მოუვლელ პარკებში  
ვჭირით საბრალო საყვირებისგან  
უბადრუკი ორკესტრებისა



1959

თ ო ვ ლ ი

ახლო თოვლისგან  
ყვავილები ფანჯრის რაფაზე უცნაურია.

შენ გამიღიმე, თუნდ იმის გამო,  
რემ მე არ ვამბობ სიტყვებს,  
რომლებსაც აწი ვერ გაუიგებ.  
ყველაფერი, რაც შემიძლია შენ რომ გითხრა:

სკამი, თოვლი, წამწამები, ლამპა.

და ხელები ჩემი  
უბრალოა და შორეული,

ხოლო ფანჯრის ჩარჩოები  
თითქოსდა თეთრი ქაღალდიდან გამოჭრილია,

იქ კი, მათ მიღმა  
ფარანთა ახლოს  
ციბრუტივით ტრიალებს თოვლი

სწორედ რომ ჩვენი ბავშვობიდან.

კვლავ იტრიალებს, სანამ მიწაზე  
შენ ვიხსენებენ და საუბრობენ შენთან.



ხოლო ეს თეთრი ფანტელები ოდესღაც სადღაც  
 მე დაეინახე ცხადლივ,  
 მერე თვალები დავხუჭე, და არ შემიძლია მათი გახელა,  
 და წრიალებენ თეთრი წინწკლები,



და შეჩერება მათი  
 უკვე არ შემიძლია.

1960

### ხმაურობენ არყები

ვ. კორსუნსკის

და თავად მე — მოშრიალე ვარ:  
 „შესაძლოა რომ ღმერთი...“ —

ჩურჩული არყის ხეებში წვება:  
 „მოკვდა...“ —

და ჩვენ ვართ  
 რღვევა — გაგრძელებული? —

კი მაგრამ და  
 რატომაც არა? —

განმარტოებით და ფუჭად გაიფანტება ფერფლი... —

(არყის ხეების ჩურჩული...  
 ჩვენ ყველანი ვშარიშურობთ ამ სამყაროში...) —

და ხელახლა  
 მკვდრეთით აღსდგება?... —  
 ...არც კი სტკივა:

ვით სამუდამოდ... —

ხმაური — როგორც ამის შესახებ! —

(თითქოსდა მიტოვებული — ხმაური შემოდგომისა).

1975

\* დაცულია დედნის პუნქტუაცია (მთარგმნ. შენიშვნა).



ცოტა

ბედნიერება — „ცოტა“  
და ნეტარება — „ცოტა“:

ო ეს ჩურჩული: ვით ქარი — მზისგან:

პური — ცოტა... და დღის სინათლე... —

და ხმა — ჩქამი ადამიანთა  
როგორც საკვები — სიკვდილისთვის გამზადებულის... —

რათა მშვიდად ვხვდებოდეთ მას  
თითქოს ყველანი ყოველთვის ვართ ნებისმიერი ზღურბლის  
წინაშე —

ძმურ ტანჯვაში... —

ჰოი ჩვენი თავისუფლება!.. — სულიერი ნათების სხივი!

უბრალო:  
„ცოტა“

1975

მეგობარი ჩემი — ხე — ფანჯრიდან

ო სიბერეს ვნატრობ და სიმართლევს  
ცივს შეუპოვარს! —  
ოღონდ კი — უცებ!.. — მყის — ამაღამ — ბოლომდე!  
აი ამგვარ სიცივეს და სიმართლევს  
როგორიც აქვს ამ ხეს  
უბრალო (თუმცა თვალში გეცემა მაინც რჩება შეუმჩნეველი)  
დაუპყრობელი — ვერავის მიერ! — შეუმჩნეველობა  
გაყინულობა ღირსება და განცალკევება  
და უთანაზიარობა (ო ღმერთო! როგორი  
წარმოუდგენელია — აქ — უთანაზიარობა)

1976







ველი – რუსეთი: გამოთხოვა

მალე ესეც კი გაიგეს.  
დ. რ.



ბოლო სამშობლო რომ გიყვარდეს – მე ვერ მხედავდე  
ანაზღუულად აღაპარაკდა  
და გაცოცხლდა ქვეყანაზე უფრო დიდი და უზარმაზარი  
ნესტიანი – ჩანაქცევებში: გოდება სულისა –

მკერდში იბინდებოდა და იზრდებოდა: როგორც ოდესღაც – სივრცე  
სადაც ბოლქვ-ბოლქვად ადიოდა ვით მტკიცებანი სამებისა –

(როგორც ამათი  
ასვლა  
ვარსკვლავთა  
შენ აიტანე: ჰოი როგორ იზრდებოდი შენ – სიზმრით!) –

აღაპარაკდა ღამეში (და სიტყვაც არაა – უსიტყვოდ):

თბლობისა – ოღონდ: ნისლი – როგორც პეშვი! –

რათა იქცე სინათლედ – თვალად გუნდად – გალობად – მუხნარად  
და მზით გოდებდე (რადგანაც – უსულოდ რჩები) –

მა ველად – იყო – ვინმე არის თუ არაა – თავისუფლად თავისუფალი


1980

ველი და ანა

უკანასკნელში  
(როგორ დიდხანს გრძელდება იგი)  
მბრწყინავ – მცირეთა სახილველად – ცეცხლში-ვით-სისხლ-ში-გაფუჭებულში  
(ხატით რიახანის მხარისა)  
უკანასკნელი  
იწვის  
(წამდაუწუმ ვხედავ  
რკინას სამუშაოსი  
და ზურგს  
თითქოს კოცონში  
გარშემორტყმულს  
ყვირილის ალყით  
თითქოს სხვა ვარ და ენა)  
აჰა გიზგიზებს  
უკანასკნელი  
და უძველესი – ადამიანი



(და უკვე  
 ველარ დააბრმავებენ  
 ჩემს მხედველობას-მზერას-თვალებს):  
 ვის და რად უნდა — ეს ცენტრი-ბედი? — მნათობს უფრო და უფრო შატარა ნათება  
 აქვს, ვინემ კისერზე ან ლოყებზე დამწვარ-დაბზგულ ტანჯვა-წამებას —  
 სიმკრთალით უფრო შორს არის ვინემ ნებისმიერი ცეცხლმომკრიაზანულა  
 ძველი ველი? მაგრამ  
 ველი გარდაიცვალა  
 და სად არის ნეტავ ახლა  
 დაუვიწყარი ანა  
 სინათლე ალექსეევნა  
 სადღაა — ყველა ეინი-ვნება-ღუმელი შენი? — კი შესაძლოა ცნობილი არა-  
 მზიური შუქი — სითუთრე რაც უფრო თუთრია ვინემ რუსეთის ნამქერებს  
 სულ უფრო ბჟუტავს დანახშირებით  
 ამ ველზე უკვე არავისთვის არ შრიალებს ასე საჭირო  
 შენი დიდი ხნის ჩურჩულით?.. — ჩვენ ამნაირი სილამაზით  
 ვერ ვიხსნებოდით! — გაოცებანი იყო — მხოლოდ ცეცხლის ენები — დაღუპვა  
 მდუმარება — ირგვლივ-ვით-ველით  
 ცეცხლმომკიდებულ შიშის!.. — და უსულობა  
 დამწიფდა — ცეცხლის!.. — და ჩაიკეტა დავიწყების მთლიანობაში უშველებლობა:  
 გარეშე ქარის გამოვლენისა — ცარიელი  
 ველი — ველების



1981

კიდევ ერთი სიმღერა ჩემთვის

მე მძინავს სადღაც  
 კარგა ხანია უკვეყნოდ არის ეს ადგილი სადაც მე ახლა  
 ხოლო ნუგეში — სადღაც თოვლქვეშ აწყვია შეშა  
 ქარბუქი იმ დროიდან და  
 რა საჭიროა და მე  
 ახლა მეგობრობა — სახელოებით ყინულშია  
 და ღხვება ხეზე სისხლი — ჩემი — სიზმარი:  
 როგორც სიმღერის წამოწყება! ვირწევი ჩემი ჩრდილივით  
 ტკივილით როგორც ჰაერში  
 ნაღველში იმ ბოძების-გამო-ამ-სამყაროში-ანუ-ჰანნასი  
 არაფრისმაქნის სიმღერად ვქანაობ  
 ველში ქარბუქში ფანტელებში — არსებათა  
 გახეთქილი შუბლით  
 ამ სამყაროში სიმღერით! — უფლისთვის  
 თოვლქვეშ  
 მე ვარჩევ  
 შეშას

1982



პოპონასა და სხვათა შესახებ

საღამო  
ხალხ ვარდები

უბედურება ადამიანთა სულაც არაა უზარმაზარი და სახელიც მეტად დაბინდულია  
„დედა წაუიდა“ ამბობს იგი და თითქოს ითხოვს  
დალევას — „ჰა სად?“ — იმეორებს „წაუიდა“ (არის სათამაშოები და არის  
ასეთი მარტივი ცნება)



ეს უცარი გოგონა (უბრალოდ — უკან დამბრუნებელი არავინაა) — და ღვება  
(თითქოს ნიადაგ წლები გადიან და ისევ წლები)

უქარო საღამო — ო ვარდები  
აქ წყენაც არის თანაც იმგვარი თითქოს იგი არც კი არის — მაგრამ ამასთანავე  
ვარდები თუმცა ჩვენდა თავად არაფერსაც არ წარმოვადვენთ  
ვიდაც სულ მოდის ფანჯარასთან და ისე უკრავს ვიოლინოზე  
თითქოს ჩვენ ვღირვართ

რომ ამოღებით — ამოვღებით — ჩამორთმევით დაკავებულნი ვიყოთ  
აქ ღრეებს შორის — ვარდიც კი მსურდა პატარა

მაგრამ უკვე პატარა არაფერია  
რომ დავრჩე მე რაღაც სადა-უბრალოსთან — და ვიოლინოზე  
უცნაურად-ამკარად უკრავს მუდამ მოდის  
რომ დაიხიოს ფანჯრიდან ისე

თითქოს არ ჰყავდეს ლანდი: და თითქოს წყენა მომეტებულად იცის  
რომ მასესხოს უზიანოდ!..... — და არ დაივიწყოს

უქარო საღამო  
როგორც უბრალო გაგება ბავშვისა  
აზრობრივ-წვრილმანების გარეშე: უბრალო

1983

თეთრი ყვავილები სამშობლოს განაპირას

ლიტველი მწერლის  
ბალის სტრუოვას ხსოვნას

მიდიოდნენ  
შემდეგ კიდევ უჩინარდებოდნენ — — — — — სულ უფრო — შორს  
— — — — — და აქ

აგრეთვე არვის შეემლო ენახა  
რომ რაღაც მოხდა: უკვე ველარ დაბრუნდებიან  
და მარტოოდენ დიდი ხნის წინათ  
ფერმიხდილი — გაშეშებული იმ შორეულ დრო-ი-დან-ქალი  
(ეს

მუდამ ხდება  
ვათუნებისას)  
იფიქრებს: სარკმლისკენ გაწვდილი ხელებით — აქ იქნება  
ანგულოზურად — მკვდარ მინაზე  
მხოლოდ ნიშნები თითუბისგან გამოიმდინარე — კაშკაშა — — — — — (იგივე  
სიგრილე სი-გრილე)



აი აგერ

სულ ერთია

მიდიან უფრო და უფრო შორს: თუმცა აჩრდილთა გარეშე — ბორცვები  
შემობრუნდებიან-გაიშლებიან — — — — — ველებით შემდეგ აჩვენებენ  
რომ—ისი—ნი

კარგა ხანია უკვე არც არიან\*

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

1984

ტყის გვერდით

პა

როგორც იქნა ვუახლოვდები მაგრამ იქ არავინაა არც არასოდეს ყოფილა  
მხოლოდ ვერცხლი

ძველი გრძნობისა — თავისუფალი სითბოთი აწ საჭიროა შუბლით და მხრებით

ეს მსუბუქი

ველი — ცაში ციხლით რომ მიიწვართება

ო

ეს სული სიმართლისა ვითომც ციმციმი სიმორცხვისა

სუფევს ირგვლივ

და შეთეთრდა უკვე გვერდით თავისუფალი

სისუფთავე კი იქმნება — უბრალოდ: თვით სისუფთავით

ველი

გახსნილა

(კვლავაც

როგორც ველი ცისტვის)

და მით ასხივოსნებს — თავის თავში ცას

რა

სხვის შესახებ? აკი გამჭოლ გადიოდა ბრწყინვა-ციმციმი

რათა — გვეყარებოდა უსაზღვროდ

ვითომც ანგელოზი ვინმე — ყველგან — ჩემი დაუბრკოლებლობა

და მით მე ვქმნიდი

უბიწოების ალაგს;

— რამდენიც არ ყოფილიყო ქარი ოღნავ ბნელ წასვლათა და სიცოცხლეთა

ეს უფლის სიმშვიდეზე უფრო რე მშვიდია!

იქ

სიჩუმეში

მტრედისფერია

1984

\* ავტორის შენიშვნა: ტირეთა რიგი, ამ ლექსში რომ გვხვდება, გამოიხატება ხმამაღლა კითხვისას, მათი რიცხვის შესაბამისად, თანაბარ-მონოტონური კაკუნით.



ტაპრიდან გამოსვლისას

იშტვან საბოლჩის

ხოლო მარცხნივ — მათხოვრული — შენივ ხელი — როგორც ყრმისა  
სახარება: ო ბრწყინვა — არავისთვის:



კნინობა — შემოვლით — ცოცხალის! —

და მაწანწალად — გულგრილი სახარებით იღებს — პატივით შემოსავს —  
ვალერსება ბაღღურად — ფერებით:

გულთბილი ქარი უგულთბილესი:  
უკაცურობის ბედნიერების სიდიადით! —  
ო გულმოწყალება...

1985

ძილი — რღვევა

ხოლო მძინარე ქალბატონი ძილ-ბურანიდან  
ისჯრის — თავებით და ხელებით  
საკუთარ ნაფლეთ-ნავლუჯებს — ვაჟიშვილების სახით:

ო ძილი — რღვევა — გაპობა:

უსიცოცხლოთა რიცხვზე... —

და ქალს — ვეება-უშველებელს — მთვლემარ წიალით  
კარგა ხნის ღრო აქვს — არ გაიღვიძოს:

— მე მასში უცებ წავიშლები — სხვანაირი წარმოიშობა: დე გრძელდებოდეს! —

ხოლო შერხვეის მუსიკაა ვეებერთელა:

მა მწიფს შორს და სიგანეზე ხოლო ამზადებს-შეამზადებს  
ჩისი ცარიელი სიმძლავრით  
ბანგში ზეძლიერ ადვილს:

(მე — ნამსხვრევეებიდან — სიჩუმეა) —  
სადაც იქნებ — გამოღვიძებას არა აქვს აზრი

1985

ამა ღლის ყაყაროები

ხოლო არა მდუმარება არამედ უბრალოდ თითქოს  
როცა მოწყენით ვპასუხობთ სევდას:

„ჩვენ ვერ ვშველით სილამაზე ვერ გადაარჩენს



თანაც ყოველ შემთხვევაში ჩვენი არაა არამსგავსია  
ჩვენ ბავშვები ვართ — შეიძლება წყენინება — ასეთები ვართ  
ჩვენ არ ვაჩერებთ მშვენიერი ვართ ჩვენებურად  
მაგრამ უძლურნი — მარტოოდენ სამოსელი უხილავისა  
ვით რაღაც ვადა



შენ კი ეძიე განკურნება იქ  
რაც ჩვენ არ ვიცით

— გააღწევს თუ არა ჩვენში? ჩვენ უბრალოდ ვართ თვინიერება  
თქვენ კი — ქმედითი ძალა ჩვენ ვიფურჩქნებით  
მხოლოდ ხელის მიკარებით  
სხვა ნელი მწყალობელი ძალის ოდნავ შეხებით  
და ესეც ხომ მარტოოდენ საათები და დღეებია  
როგორ გალობს ბუღბული  
ბავშვმა

არა იცის რა მამოძრავებელ სიმძლავრისა  
მაგრამ ჭკნება ისე რომ — დაყვავილებას ჩვენც მოვათავებთ  
თითქოს არცაა გალობა — ხოლო ძალა კვლავ უძრავია  
შემოწმებით“ მაგრამ არა მარადი ქროლა არამედ ვითომ  
ნაღველი — წაბორძიკების უძლურ წრეში: ასე ველს ზემოთ  
ინისლებიან — მსგავსებანი

1985

### ტყეები — უკან

ნისლში

კაშკაში სამშობლოსი

კუნძულებად დარჩა მარგალიტებად დარჩა

ხოლო ტყეები რომლებამდეც

მე ვერასდროს ვერ მივაღწიე —

— მე რაღაცა ბავშვური მახსოვს: ან სამხრეები თუ იყო მათზე ამობურცული —  
თეთრად მოჩანდნენ ველებისკენ დაქანებულად

ან იქნებ იგი ჩივილად გაჩნდა

ანაზღეულად — უძლურდებოდა მოძრაობა: უფრო ჩქარა მწუხარებაში

ვინემ სამზერი — იქ ტყის პირას

მიუწვდომელის —

(იყო იმგვარიც — მე ვხედავდი ისე ახლოს

მალე კი

იყო მხოლოდღა ქარი —

მსუბუქად — როგორც ქარში — ვსწავლობდი

უკვე აღვიღი გასაგებია რომ დაბრუნება არ მოხდება) —

ნათელ ველთა — გზაჯვარედინთა სინათლეში

გვეჩვენებოდა — რომ ბავშვები ბალახებს შორის იღვიძებდნენ.



და ვალობა ეძებდა სიტყვას — სადღაც გვერდით  
თითქოს  
იქიდან გვეჩვენებოდა —

ნისლში ციმციმი სამყაროსი  
ზარგალიტებად დარჩა კუნძულებად დარჩა:

რაც უფრო მეტად მტკივნეულია ვინემ ცხოვრებაში — ციმციმი

1985



## სოფელი

თუ ეს სიზმარია, მაშინ მან, როგორც ჩანს,  
მოიცვა მთელი სამყარო.

ივო ანდრიჩი

უამრავ თოვლში შენ თითქოს ხარ ურიცხვი ჭრილობა! —

და მე მატარებელში ვარ უფსკრული — შავი  
და ერთადერთი

შენ კი სოფელი შენ — ანთიხარ გონებაში — ხოლო ზადი

იქ — თავის თავთან — მეწამულია:

ვეფაში კი — ნატეხებია ყინულისა

ანუ შორეულ მესერიის: შენ კრთომით

იწვი — მე ტამბურში ვარ — ხოლო შენ თოვლში —

და ჩემი წაბორძიკებანი

უკვე დაბინდულ გონებაში — ჩამოხნეკილი ხორგებისგან —

თითქოს ხელები — ყავარჯნებია

სამოსის — მსგავსი

ნაფლეთებით: ნუგეში — ყინული:

— „აღარაა არაფერი“ ახლა ჩემი — ხანდაზმულია უსასრულობა ქვეყნისა! —

(ერთხელ ჩემს მიერ

ძალზე უბრალოდ იყო დასაფლავებული

სულ უბრალოდ

ბაღში მტკივანი სახელწოდებით ხალხი) —

წვრილმანებისთვის ველები და მთვარის

ნაჩრეტი — ვით ვოლგა ცისა — ედინება

თითქოს წვრილმანთა ცაში:

— რათა დამთავრდეს გონების წაკითხვით! —

ხალვა — ველი თუმც უბადრუკია

კარგა ხანია ჩემთვის არავითარი ურიცხვი

1986



## სხვა სიმღერა

ბავშვები — ბავშვებთან,  
 მსახიობები — მსახიობებთან,  
 ჯიგიტებს — წრე აქვთ თავიანთი,  
 მოხუცები — მოხუცებთან.



ყვაილები — ყვაილებთან,  
 ხუროები — ხუროებთან,  
 ფრინველებს — გუნდი ჰყავთ თავიანთი,  
 მგლები — მგლებთან.

პოეტო, შენ — ყველასთან ხარ:  
 შენ ბავშვი ხარ — ბავშვთან,  
 ყველაფერს ხლართავს პოეზია:  
 შენ ღრუბელი ხარ — ღრუბელთან.

შენ ვარსკვლავი ხარ — ვარსკვლავებთან,  
 იყავ ფრინველი — ფრინველებთან,  
 მაგრამ არასდროს არ იქცევი მგლად,  
 ტრამალის მგლებთან არ იძუნძულებ.

იყავ საუკუნოდ — ასეთი:  
 იყავ მოხუცი — მოხუცებთან,  
 დაე, შენს გონებაში საუბრობდნენ  
 მკვდრები — ცოცხლებთან.







თარგმნა დიდი მკვლევარი ივანე

### ნობელის დღეები

1933 წლის ცხრა ნოემბერი... ბებერი, კეთილი პროვანსი, ბებერი, კეთილი გრასი, ქალაქი, სადაც ჩემი ცხოვრების ათი წელი ფეხმოუცვლელად გაატარე... გვიანი შემოდგომის მშვიდი, მყუდრო, უღიმღამო დღე...

ამგვარი დღეები სამუშაოდ არასოდეს განმაწყობს. მიუხედავად ამისა, როგორც ყოველთვის, ახლაც საწერ მაგიდასთან ვზივარ. ნასაუზმევს ისევ ვუბრუნდები მაგიდას, მაგრამ ფანჯრიდან ვხედავ, საცაა გაწვიმდება და ვგრძნობ — არა, არ შემძლია მუშაობა. დღეს სინემაში დღის წარმოდგენაა — სჯობს სინემაში წავიდე.

გორაკიდან, სადაც „ბელედერი“ დგას, ქალაქში ვეშვები, გავცქერი შორეულ კანს, ზღვას, რომელიც ძლივს მოჩანს ასეთ დღეებში, ნისლით შებურულ ესტერელის ქედს და საკუთარ თავს ამ ფიქრებში ვიჭერ:

„იქ, სადაც, ევროპის მეორე ბოლოში, იქნებ სწორედ ახლა წყდება ჩემი ბედი...“

მაგრამ სინემაში ისევ მავიწყდება სტოკჰოლმი.

ანტრაქტის შემდეგ, როცა რაღაც სისულელე — ეგრეთ წოდებული „ბემბი“ იწყება, ეკრანს განსაკუთრებული ინტერესით შევყურებ: თამაშობს კისაკუპრინა, ალექსანდრ ივანიჩის ქალიშვილი. და აი სიბნელეში ჩემ გვერდით რაღაც ჩუმი ხმაური ისმის, მერე ვიღაც ხელის ფანარს ანთებს, ვიღაც მხარში ხელს მკიდებს და გახარებული ხმადაბლა მეუბნება:

— სტოკჰოლმიდან რეკავენ...

და უცებ მთელი ჩემი წარსული ცხოვრება სადაც ინთქმება.

საკმაოდ სწრაფად მივაბიჯებ შინისაკენ, მაგრამ გარდა სინანულისა, კისას თამაშს ბოლომდე ვერ ვუყურე-მეთქი, გარდა გულგრილი უნდობლობისა ამას მიმართ, რაც ესაა შემატყობინეს, არაფერს ვგრძნობ. თუმცა რატომ არ მჯეროდეს, როცა შორიდანვე ვხედავ, როგორ არის გაბღვრილებული მუღამ მშვიდი, ამ დროისათვის მუღამ ნახევრად ჩაბნელებული, გრასის ფერდობზე შეფენილ ზეთის ხეთა უდაბურ ბალებში მიკარგული ჩემი სახლი და გული სევდათ მეკუმშება...

რაღაც ახალი იწყება ჩემს ცხოვრებაში.

მთელი ის საღამო „ბელედერში“ ტელეფონის ზარი არ წყდება. რეკავენ ევროპის ყველა დედაქალაქიდან; რეკავენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, შორიდან რაღაცას ჩამძახიან, კარზე განუწყვეტლივ რეკავენ ფოს-



ტალიონები, რომელთაც ახალი და ახალი ტელეგრაფები მოაქვთ მსოფლიოს ლამის ყოველი ქვეყნიდან, გარდა რუსეთისა! კარი ვაჟაკურად უმკლავდება ათასი ჯურის მომსვლელს, ფოტოგრაფებისა და ჟურნალისტების იერიშებს... სტუმართა რიცხვი სულ უფრო მატულობს, ისე რომ, სახეებსაც ვეღარ ვარჩევდებოდავ, ხელს მართმევენ, რაღაცას მიმეორებენ, ფოტოგრაფები მაგნიუმის კამკამა შუქს შივ თვალებში მანათებენ, ჟურნალისტები უწყინარ აცლიან, კითხვას კითხვაზე მაყრიან:

- დიდი ხანია, რაც რუსეთი მიატოვეთ?
- ოციანი წლების დასაწყისიდან ემიგრაციაში ვარ.
- რუსეთში დაბრუნებას ხომ არ ფიქრობთ?
- ღმერთო ჩემო, აბა როგორ შემიძლია ახლა იქ დაბრუნება!
- მართალია თუ არა, რომ თქვენ პირველი რუსი მწერალი ხართ, ვისაც ნობელის პრემია მიენიჭა?
- მართალია თუ არა, რომ იგი ოდესღაც ლევ ტოლსტოის შესთავაზეს, და რომ მან უარი თქვა ამაზე?
- არა, არ არის მართალი. პრემიას არასოდეს სთავაზობენ, პრემიის მინიჭება ფარულად ხდება.
- გქონდათ თუ არა რაიმე კავშირი ან ნაცნობობა შვედეთის აკადემიასთან?
- არასოდეს და არავითარი.
- სახელდობრ, რომელი ნაწარმოებისათვის მოგენიჭათ პრემია?
- მე მგონი, ყველა, ჩემი ნაწარმოებისათვის.
- ელოდით ამ პრემიას?
- ვიცოდი, დიდი ხანია კანდიდატებს შორის ვიყავი, რომ ჩემი კანდიდატურა არაერთხელ ყოფილა დასახელებული, წამიკითხავს ჩემი ნაწარმოებების თაობაზე გამოთქმული მრავალი შეფასება, ისეთი ცნობილი სკანდინავიელი კრიტიკოსებისა, როგორცაა book, osterring agress და მქონდა, რა გაგებული შვედეთის აკადემიასთან მათი ურთიერთობის შესახებ, ვვარაუდობდი, რომ ისინი კეთილად იქნებოდნენ ჩემს მიმართ განწყობილნი, თუმცა, ცხადია, ამაში დარწმუნებული არ ვიყავი.
- ჩვეულებრივ, როდის ხდება ნობელის პრემიის გაცემა?
- ყოველწლიურად, ერთსა და იმავე დროს - ათ დეკემბერს.
- თქვენც ალბათ ამ დროისათვის გაემგზავრებით სტოკჰოლმში?
- შეიძლება ცოტა ადრეც - მინდა, რაც შეიძლება მალე განვიცადო შორეული მგზავრობის სიამოვნება. ჩემი ემიგრაციული უფლებების და იმ სიძნელის გამო, რომელიც ჩვენ, ემიგრანტებს ვიზის აღებისას გვხვდება, მთელი ცამეტი წელიწადია ფეხი არ მომიცვლია აქედან. მხოლოდ ინგლისში ვიყავი ერთხელ. სწორედ ამ უფლების აყრა იყო ჩემთვის ყველაზე მძიმე და ძნელი ასატანი, მე ხომ ადრე სულ ვმოგზაურობდი.
- სკანდინავიის ქვეყნებში თუ ყოფილხართ?
- არა, არასოდეს. ვიმეორებთ, სად და რამდენი არ მიმოგზაურია, მაგრამ, სულ აღმოსავლეთითა და სამხრეთით. ჩრდილოეთს მომავლისათვის ვინახავდი...

ასე მოულოდნელად წამიღო იმ მოხეტქილმა ნიაღვარმა, რომელმაც ჩემი ყოფა ნამდვილ სიგიჟედ აქცია - დიდიდან საღამომოდე წუთით არა მქონდა მოსვენება. გარდა იმისა, რაც ჩვეულებრივ ყოველწლიურად ხდება თვითიული



ლაურეატის ირგვლივ, ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, იმის გამო, რომ იმ უცნაურ რუსეთს წარმოვადგენდი, რომელიც ახლა მთელი დედამიწის ზურგზე იყო გაბნეული, სხვა ლაურეატებისაგან სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ვიყავი — სტოკჰოლმის გადაწყვეტილება ყოველმხრივ დამცირებული, შეურაცხყოფილი, დათრგუნული ამ რუსეთისათვის ტეშმარიტურ/ოვნულ მოვლენად იქცა...

ეროვნული

ოთხი დეკემბრის ღამეს მე უკვე შორსა ვარ პარიზიდან. წინა დღეებში სის პირველი კლასის ვაგონი... ცალკე კუპე... რამდენიმე წელია ამგვარ ამბებთან დაკავშირებული განცდა არ მქონია. შუალაძე კარგა ხნის გადასული იყო, გერმანიაში რომ შევედით. ერთთავად მატარებლის ბოლო ვაგონის ბაქანზე ვდგავარ და ვაგონის ქვემოდან მოჩანჩქერე, მოვარის მკრთალ შუქზე უკან-უკან მსრბოლავ, თოვლით შავთეთრად გადაჭრელებულ ვაკე ადგილებსა და თეთრად ჩამოთოვლილ ხეებს გავცქერო — იმას, რაც ასე ძალიან ჰგავს და რაც ასე ძალიან მაგონებს რუსეთს.

დილით უკვე ჰანოვერში ჩავდივართ. თვალს ვახელ, ფარდას ვწევ — ფანჯარა ვინულითაა დაფარული, ყინვა ადევს რელსებსაც. ბაქანზე ბეწვის ქუდებსა და ქურქებში გამოწყობილი ხალხი ირუვა — რამდენი ხანია ეს ყველაფერი არ მინახავს. რამდენი ხანია... და რა ცოცხლად შემომინახავს იგი გულში!

საღამოს ჩვენი ვაგონი გემ „გუსტავ მეხუთეზე“ გადაჰყავთ, გემი ნელა მიუყვება ზღვას შვეციის ნაპირებისაკენ. ისევ ინტერვიუ, ისევ მაგნიუმის ფეთქებადი ნათება... შვეციაში ფოტოგრაფები და ჟურნალისტები ღამის ალყაში აქცევენ ჩვენს ვაგონს... მხოლოდ გვიან ღამეს ვრჩები, როგორც იქნა, მარტო. ფანჯრებს იქით მრუმე სიშავე და ქათქათა სითეთრეა — თეთრი, ძალიან, თოვლი და თოვლში ამოქოჩრილი უკიდუგანო ტყე. და ეს ყოველივე თბილ, გაღულუნებულ კუპესთან ერთად ოდესღაც ნიკოლაევსკის გზაზე გატარებულ ღამეებს მაგონებს.

ლაურეატებზე პრემიის გადაცემა ყოველწლიურად ათ დეკემბერს, ზუსტად საღამოს ექვს საათზე იწყება.

იმ დღეს საძინებლის კარზე ადრინადა გაისმა კაკუნი — ნაბრძანებია, არა შეგვიანეს ცხრის ნახევარზე გამაღვიძონ. სწრაფად ვდგები და უმაღლეს მახსენდება — დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა... ჯერ დილის რვა საათია, ეს-ესაა ჩრდილოური გარიჟრაჟი იწყება. არხის ნაპირას ჯერ ისევ ანთია ფანჯრები, იგი კარგად მოჩანს ჩემი ფანჯრიდან... ჩემ წინაა სტოკჰოლმის ის ნაწილიც, რომელიც სანაპიროს გასწვრივ, ფერდობზეა შეფენილი — თავისი კოშკებით, უკლესიებითა და სასახლეებით. იგი რაღაცით ისევე ძალიან ჰგავს პეტერბურგს და ისევე ზღაპრულად ღამაზია, როგორც ის გამთენიის და მზის ჩასვლის უამს. მაგრამ დღეს ჩემი დღე ადრე უნდა დავიწყო — ათი დეკემბერი აღფრულ ნობელის გარდაცვალების დღეა, დილიდანვე ცილინდრში უნდა გამოვეწყო, ქალაქგარეთ, სასაფლაოზე წავიდე, სადაც გვირგვინით უნდა შევამკო როგორც მისი — აღფრულ ნობელის, ასევე მისი მმისშვილის, — არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ემანუილ ნობელის საფლავები. გუშინ ღამის სამ საათზე დავწექი. ახლა ვიცმევდი და ვგრძნობდი, როგორი მოშვებული და მოღუნებული ვიყავი. მაგრამ, ცხელი, მაგარი ყავა, კრიალა, თოშჩამღვარი დილა, ფიქრი იმ არაჩვეულებრივ ცერემონიაზე, რომელიც დღეს საღამოს მეღის, ფრთებს მასხამს და ძალასა და ენერგიას მშატებს...



ოფიციალური მოსაწვევები ლაურეატებს რამოდენიმე დღით ადრე ეგზავნებათ. იგი იმ სიზუსტის შესაბამისადაა შედგენილი, რომლითაც ყოველგვარი შეედური რიტუალი გამოირჩევა:

„ბატონო ლაურეატებო, გთხოვთ, მობრძანდეთ ნობელის პრემიის მისაღებად 1933 წლის 10 დეკემბერს, საკონცერტო დარბაზში, არაუგვიანეს დღის ოთხი საათისა და ორმოცი წუთისა. მისი უდიდებულესობა, <sup>სვეცის</sup> მეფის სახლელისა და მთელი სამეფო კარის თანხლებით, <sup>დარბაზში</sup> მობრძანდება ზუსტად ხუთ საათზე, რათა დაესწროს ზეიმს და თვითუღს პირადად გადასცეს კუთვნილი პრემია, რის შემდეგაც დარბაზი ჩაკეტება და დაიწყება ზეიმი“.

დაგვიანება ან მისვლა დანიშნულ დროზე თუნდაც ერთი წუთით ადრე, შეედურ წვეულებაზე სრულიად მიუღებელია. ამიტომაც, იმის შიშით, ერთი ც ვნახოთ, უცებ პერანგის საკინძი დამეკარგოს, როგორც ეს ხშირად ხდება-მეთქი, ჩაცმას ლამის დღის სამი საათიდან ვიწყებ.

ხუთის ნახევარზე უკვე სახლიდან გავდივართ. ლაურეატების საპატივსაცემოდ, აგრეთვე მოახლოებული ქრისტეშობისა და ახალი წლის აღსანიშნავად, ქალაქი განსაკუთრებულად არის გაჩირაღდებული. უზარმაზარი „მუსიკალური სასახლისაკენ“, სადაც ყოველწლიურად ხდება პრემიების გადაცემა, მანქანების ისეთი უსასრულო ნაკადი მიედინება, რომ ჩვენი მძლოლი, ბანჯგვლიან ბეწვის ქუდში გამოწყობილი ახალგაზრდა გოლიათი, გზას დიდი გაჭირვებით მიიკვლევს და მხოლოდ ის გვშველის, რომ ერთმანეთის მიყოლებით ლაურეატების კორტეჟის დანახვაზე პოლიციელი ყველა სხვა მანქანას აჩერებს.

ჩვენ, ლაურეატები, „მუსიკალურ სასახლეში“ ხალხთან ერთად შევდივართ, მაგრამ ვესტიბიულში უმაღლ დანარჩენებთან გვატალკავენ და საგანგებო შესასვლელით სადღაც შევყავართ, ისე რომ, იმას, რაც ესტრადაზე ჩვენს გამოჩენამდე დარბაზში ხდება, მხოლოდ სხვებისაგან ვიგებთ.

უზარმაზარი დარბაზი მართლაც გასაოცარია თავისი სიმაღლითა და სიდიდით. იგი ახლა ერთიანად ყვავილებითაა მორთული და ხალხით გაჭვდილი — ასობით მარგალიტითა და ბრილიანტით დამშვენებული, საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი ბანოვანით, ასობით ნაირფერადი ლენტითა თუ საზეიმო ატრიბუტით მკრდრდამშვენებული, ჟურაკში გამოწყობილი მამაკაცით. ხუთსათი წუთი უკლია. შვეციის მთელი მინისტრთა კაბინეტი, დიპლომატიური კორპუსი, შვეციის აკადემია, ნობელის პრემიის კომიტეტის წევრები და მთელი ეს მოპატიჟებული ხალხი უკვე ადგილებზე სხედან. ყველა გაჩუმებულია, დარბაზში ჩამიჩუმე არ ისმის. ზუსტად ხუთ საათზე ესტრადიდან ჰეროლადები ფანფარებით იუწყებიან მონარქის მობრძანებას. ფანფარების ხმას ჰიმნის უმშვენიერესი მელოდია ცვლის. იგი თითქოს სადღაც ზემოდან იღვრება, და ტახტის მემკვიდრესა და სამეფო სახლის სხვა დანარჩენ წევრებთან ერთად-შემოდის მონარქი, უკან ამაღლა და სასახლის კარი მოჰყვება. ჩვენ, ოთხი ლაურეატი, ამ დროს ჯერ ისევ იმ პატარა დარბაზში ვართ, რომელიც ესტრადის უკანა შესასვლელს აკრავს.

დადგა ჩვენი გასვლის დროც. ესტრადაზე ცვლავ ფანფარები ახმაურდა და შვეციის აკადემიკოსების კვალდაკვალ, რომლებმაც უნდა წარგვადგინონ და რეფერატები წაიკითხონ ჩვენ შესახებ, ესტრადაზე შევდივართ. პრემიების დარიგების შემდეგ, ბანკეტზე, მე პირველმა უნდა წარმოვთქვა სიტყვა. ახლა



კი, რიტუალის თანახმად, ბოლო ბოლო გავდივარ ესტრადაზე. გავყავარ პიერ გალსტრემს, შვეციის აკადემიის მუდმივ მდივანს. გაოცებული ვარ დარბაზის მორთულობითა და ხალხმრავლობით, და კიდევ იმით, რომ ესტრადაზე შემოსული ლაურეატების საღამოზე ფეხზე დგება არა მარტო დარბაზი, არამედ მონარქიც, მთელი თავისი სასახლის კართითა და სახლვეულით.

უშველებელია თავად ესტრადაც. იგი პაწაწა, ვარდისფერ ტრესანდ შექმნილი ვილებშია ჩაფლული. მარჯვნივ აკადემიკოსების სავარძლები დგას, მარცხნივ — პირველი რიგის ოთხი სავარძელი ლაურეატებისთვის არის განკუთვნილი. კედლებიდან შვეციის ეროვნული დროშებია საზეიმოდ გადმოკიდებული. სხვა დროს ესტრადას, როგორც წესი, იმ ქვეყნების დროშები ამშვენებს, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებიც ლაურეატები არიან. მაგრამ რომელი დროშა მაქვს პირადად მე — ემიგრანტს? და აა, იმის გამო, რომ შეუძლებელია ჩემთვის საბჭოთა დროშის გამოფენა, ზეიმის მონაწილენი იძულებულნი არიან, მხოლოდ შვეციის დროშები გამოკიდონ. დამეთანხმეთ, კეთილშობილი საქციელია!

ზეიმს ხსნის ნობელის ფონდის თავმჯდომარე, ესალმება მეფესა და ლაურეატებს და სიტყვას აძლევს მომხსენებელს, რომელიც მთლიანად ალფრედ ნობელის ხსოვნას და დაბადებიდან ამ წელიწადს შესრულებული ასი წლის-თავის იუბილესადმია მიძღვნილი. ამას მოსდევს მოხსენებები, რომლებშიაც თვითეული ლაურეატი და მისი შემოქმედებაა დახასიათებული. ყოველი მოხსენების შემდეგ მომხსენებელი ლაურეატს სთხოვს, ჩავიდეს ესტრადიდან და უშუალოდ მეფის ხელიდან მიიღოს ნობელის პრემიის დიპლომის საქაღალდე და ბუდეში ჩადებული დიდი ოქროს მედალი, რომლის ერთ მხარეს ალფრედ ნობელის, ხოლო მეორე მხარეს ლაურეატის გამოსახულებაა ამოტვიფრული. ანტრაქტებში ბეთჰოვენისა და გრიგის მუსიკას უკრავენ.

გრიგი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიტორია და მეც განსაკუთრებულა სიამოვნებით ვისმენ მის მუსიკას პიერ გალსტრემის მიერ ჩემ შესახებ წარმოთქმული მოხსენების წინ.

ყველაზე მეტად ბოლო წუთებია ჩემთვის ამაღელვებელი — გალსტრემის სიტყვა არა მარტო მშვენიერი, ჭეშმარიტად გულითადიცაა. დასასრულ, მოხდენილი ცერემონიულობით იგი ფრანგულად მომმართავს:

— ივან ალექსეევიჩ ბუნინ, ჩაბრძანდით დარბაზში და მისი უდიდებულესობის ხელით მიიღეთ შვეციის აკადემიის მიერ მონიჭებული 1933 წლის ნობელის ლიტერატურული პრემია. დარბაზში ჩამომდგარ სიჩუმეში ნელა ვჭრი ესტრადას, კიბეზე ნელა ვეშვები და ჩემ შესახვედრად წამომდგარი მეფისაკენ მივდივარ. ერთბაშად ფეხზე ამდგარმა დარბაზმა სუნთქვა შეიკრა, რათა კარგად გაიგოს, რას მეტყვის და რას ვუპასუხებ მე მას. მეფე განსაკუთრებულად მოწყალე, გულმხურვალე ხელის ჩამორთმევით მესალმება ჩემი სახელით ესალმება მთელ რუსულ ლიტერატურასაც. ხელმწიფის წინაშე თავს მდაბლად ეხრი და ფრანგულად ვპასუხობ:

— თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, მიიღოთ მოწყალება და მიიღოთ ჩემი უღრმესი და მოკრძალებული მადლობა.

ჩემი სიტყვები ტაშის გრიალში იძირება.

პრემიის საზეიმო გადაცემის მეორე დღეს ლაურეატების პატივსაცემად მეფე სასახლეში სადილს მართავს, ათი დეკემბრის საღამოს კი ნობელის კომიტეტის ბანკეტზე გვიწვევენ.



ბანკეტს კრონპრინცი — ტახტის მემკვიდრე ხელმძღვანელობს.

— ჩვენი მისვლისას ამჯერადაც ყველანი უკვე იქ არიან — აკადემიის უკლებლივ ყველა წევრი, მეფის მთელი სახლგეული, მთელი სასახლის კარი, დიპლომატიური კორპუსი, სტოკჰოლმის ლიტერატურულ-მხატვრული სამყარო და ყველა სხვა მოწვეული სტუმარი.

მაგიდასთან პირველნი მიდიან კრონპრინცი და ჩემი მეუღლე, რომელიც შემდეგშიც სულ მის გვერდით ზის მაგიდის ცენტრში.

მე პრინცესა ინგრიდის — ამჟამად დანიის დედოფლის გვერდით ვზივარ, მეფის ძმის, უფლისწული ევგენის პირდაპირ (უნდა ითქვას, რომ იგი შვედეთის ერთ-ერთი ცნობილი მხატვარია). სუფრაზე პირველ სიტყვას, რომელიც ალფრედ ნობელის ხსოვნას ეძღვნება, წამოთქვამს ტახტის მემკვიდრე — იგი ბრწყინვალედ ლაპარაკობს.

პრინცი სიტყვას ადგილიდან ამბობს, ჩვენ — ასევე არაჩვეულებრივად დიდი დარბაზის სიღრმეში მოწყობილი ძველი შვედური სტილის საგანგებო ტრიბუნიდან. რადიომიმღები ჩვენს სიტყვებს მთელ ევროპას გადასცემს.

აი, იმ სიტყვის ზუსტი ტექსტი, რომელიც მე იქ ფრანგულად წარმოვთქვი:

„ცხრა ნოემბერს, შორეულ შორეთში, პროვანსის ძველთაძველ ქალაქში, ღარიბულ სოფლურ სახლში, ტელეფონმა შვეციის აკადემიის გადაწყვეტილება მაცნობა. მე ალბათ გულწრფელი არ ვიქნები თუ ვიტყვი (როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე), რომ ეს იყო ის, რამაც მთელ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა-მეთქი. შესანიშნავია დიდი ფილოსოფოსის სიტყვები, როდესაც ამბობს, გრძნობა სიხარულისა, რაც არ უნდა დიდი და ძლიერი იყოს, არაფერია მწუხარების ასეთივე გრძნობასთანო. სრულიადაც არ მსურს, სევდის თუნდაც იოტისოდენა ჩრდილი მივაყენო ამ ზეიმს, რომელიც სამუდამოდ წარუმღელ მოგონებად დარჩება ჩემს გულში, მაგრამ მე მაინც ნებას მივცემ ჩემს თავს და ვიტყვი — მწუხარება, რომელიც უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე განვიცადე, გაცილებით აღემატება ამ სიხარულს. არა ეს არ იყო პირადი მწუხარება — სრულიადაც არა! მაგრამ, შემოიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ყველაზე დიდი კმაყოფილება, რაც კი მთელი ჩემი მწერლური ცხოვრების მანძილზე განმიცდია, როგორც მწერალს, მომანიჭა თანამედროვე ტექნიკის ამ პატარა სასწაულმა, სტოკჰოლმიდან გრასში დარეკილმა ტელეფონის ამ ზარმა. თქვენი დიდი თანამემამულის — ალფრედ ნობელის მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემია, მწერლის უმაღლესი დაგვირგვინებაა! პატივმოყვარეობა თითქმის ყოველი ადამიანისათვის, ყოველი ავტორისათვის არის დამახასიათებელი და მეც უდიდესი სიამოვნებით ამივსო გული ესოდენ კომპეტენტური და მიუდგომელი მსაჯულების მიერ მონიჭებულმა ამ ჯილდომ. მაგრამ, მხოლოდ საკუთარ თავზე როდი ვფიქრობდი ცხრა დეკემბერს! არა, ეს მეტიმეტად მიუტევებელი ეგოიზმი იქნებოდა ჩემი მხრივ. განვიცდიდი რა უდიდეს მღელვარებას პირველი მილოცვებისა და პირველ მისალოცი ტელეგრამებისაგან, დამის მღუმარებასა და მარტოობაში ვფიქრობდი შვედეთის აკადემიის მოქმედებაზე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე. ნობელის პრემიის დაარსებიდან იგი თქვენ პირველად მიანიჭეთ დევნილს, რამეთუ ვინ ვარ მე, თუ არა დევნილი, ფრანგი ხალხის სტუმართმოყვარეობას შეფარებული, რომელთა მიმართაც მუდამ დიდად მაღლიერი ვიქნები. ბატონო აკადემიის წევრებო, თავი დაეანებოთ ჩემს თავს და ჩემს



წარმოებებს და ნება მომეცით, ვითხრათ, თუ რაოდენ მშვენიერია თქვენი ეს მოქმედება. ეჭვი არ არის, ამ მაგიდას უსხედან ყოველგვარი შეხედულების, ყოველგვარი ფილოსოფიური მრწამსის ადამიანები. მაგრამ არსებობს რაღაც ერთი, რომელიც ჩვენ ყველას გვაერთიანებს — თავისუფლება აზრისა და სიბედისისა, ის, რითაც ჩვენ ცივილიზაციისაგან ვართ დავალებულნი. ეს თავისუფლება განსაკუთრებით მწერლისათვის არის აუცილებელი — ეს მისთვის დოგმატია, აქსიომაა. თქვენმა ყესტმა, ბატონო აკადემიის წევრებო, კიდევ დამტკიცა, რომ თავისუფლებისადმი სიყვარული ნამდვილი ეროვნული კულტია შედეგში...

და ბოლოს — ჩემი ამ პატარა სიტყვის დასასრულ, მინდა კიდევ ორიოდ სიტყვაც ვითხრათ. მხოლოდ დღევანდელი დღით როდი ვაფასებ ისე დიდად თქვენს სამეფო სახლს, თქვენს ლიტერატურას. ხელოვნებისა და ლიტერატურის სიყვარული ყოველთვის წარმოადგენდა შვეციის სამეფო კარის ტრადიციას, ისევე როგორც თქვენი კეთილშობილური ხალხისათვის. სახელოვანი მეომრის მიერ ფუძედადებული შვედების დინასტია, ერთ-ერთი სახელოვანი დინასტიაა მთელ მსოფლიოში. დაე, მისმა უდიდებულესობამ — რაინდი ხალხის რაინდმა ხელმწიფემ ნება დამართოს უცხოქვეყნელ თავისუფალ მწერალს, რომელიც თავისი ყურადღების ღირსად ჩათვალა შვეციის აკადემიამ, გამოეხატო მისადმი ჩემი უდიდესი მოკრძალება და გულითადი გრძნობები.

**ველბა**

1.

გესმის, რა საწყალობლად კივის თოლია ზღვის თავზე?

ნისლიან შორეთს უერთდება წყლის ბინდისფერი ზედაპირი დასავლეთისაკენ, ნისლიან შორეთში იკარგება ჩრდილოეთით მისი კლდოვანი ნაპირი. სუსხიანი ქარი ქრის, ცივა... აჭავლებული წყლის შრიალი ხან მიწდება, ხან ქარდაკრული ფიჭვნარივით აჩურჩულდება და თოლიას კივილთან ერთად ზღვის ნაპირებს შეეფინება... ხედავ თოლიას? ქარს აყოლილი, ქარისაგან შეცივებული მოქნილ ფრთებზე როგორ ირწევა, ეული და მიუსაფარი რძისფერ ნისლში როგორ ფარფატებს...

ამ პირქუს ზღვაზე, მის უკაცრიელ კუნძულებსა და სანაპიროზე მუდამ უქმური ტაროსია, ცა იღრუბლება, იქუშება, ცა დილიდანვე კოპებს იკრავს, მითუმეტეს, ახლა უკვე შემოდგომაა, ჩრდილოეთში კი შემოდგომა უფრო ცრიატი, კიდევ უფრო პირქუსი და სევდიანია. ზღვა მრისხანედ გაიფოფრება, გარკინისფრდება, გაშლილი და თვალშეუდგამი ნისლოვან სივრცეს შეერევა დასავლეთისკენ, დასავლეთიდან ქარი კვლავ უკან გამორეკავს ტალღაზე, თოლიას კივილს წამოიღებს, შორს სივრცეებს გამოატარებს.

კრი... — საცოდავად კივის თოლია და ეს კივილი გულსაკლავად გაისმის ქარში...

დღეს დილას იგი ზღვას მოუსვენრად დასტრიალებდა, წყალკვეთის თავზე მოწყენილი დაფარფატებდა. ზღვა ბობოქრობდა, ღორღსა და ქვიშას იტაცებდა, ღრუბლებს სტოვებდა, ხორხოშელა თოვლის შრიალით წვრილ შხეფებად იფანტებოდა, სანაპიროდან, როგორც სარკიდან, ისევ ზღვაში ჩაიქცეოდა, ზღვიდან წამოსულ ახალ ტალღას შეიშველებდა და შორს, შორს, სადღაც, მძი-



მე ლოდებს შეემსხვრეოდა... თოლია კი ცაში აწვდილ ტალღებს შორის გაიქროლებდა, წყლის ოღროხოლო ზედაპირზე მოტივიტივეს ახალი ტალღა დაეწეოდა, მრუდე ქოჩორზე მოიქცეოდა, თეთრი ქაფით ფრთამოხატული ფარფაც-ფარფატით აიჭრებოდა... ქარი არწევდა, ტალღებს ზემოთ ნება-ნება აქანავებდა... აი, ცრიატი დღე მიილია, ბინდისფერი მწუხრი ჩამოწვა... აი, დადლილი, ქარს მინდობილი თეთრი თოლია მდორედ მიიწვეს, ნაცრისფერ ნისლში იცრიცება, თვალს ეფარება... გესმის, როგორ სწავლობდა კივის თოლია, რა მწარე და რა ტკბილია მისი გოდება? აი, ბინდში ძლივსდა ირჩევა, ბნელ ღამეში ნელ-ნელა უჩინარდება. ქარი თანდათან ძლიერდება, ქაფის ჭაღარა დაღალები სულ უფრო ხშირად იწეწება ღამეული ზღვის ზედაპირზე... ზღვა ბობოქრობს, ხარი მატულობს, ცინულივით ცივი ქარი მალლა მიიწვეს, დიდრონ ტალღებს შეჭიდებული ზღვის სუნით და წყლის შხეფებით ჰაერს აჯერებს.

— კრი... — ხაცოდავად კივის თოლია, შორს, შორს, ზღვიდან აღწევს მისი კვილი.

... ყური დაშიგდე, ამ ხმაურში, ამ ბობოქარი ზღვის ხმაურში, მე მოგიყვები ერთ ლეგენდას, ჩრდილოეთის ერთ ძველსა და ღამაზ ლეგენდას...

2.

ეს იყო უხსოვარ დროს...

ჩრდილოეთის ცივი ზღვის ნაპირას ცხოვრობდა ახალგაზრდა და ძლიერი ველგა. დასავლეთით იყო ზღვა, აღმოსავლეთით პორიზონტს მიკრული ქვიშიანი ნაპირი. ველგა არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთით, არ ყოფილა არც დედა, არც მამა, არც უფროსი და სნეგარი... ველგამ არ იცოდა რა იყო აღმოსავლეთით — ველგამ იცოდა მხოლოდ ზღვა...

ამ ზღვის პირას ჩაიარა მისმა მხიარულმა ბავშვობამ. ზამთრობით, როცა ზღვის ნაპირი თეთრი თოვლით იყო დაფარული, როდესაც ზღვას სიღურჯე მხოლოდ ცის კიდურთანაღ შერჩენოდა, თბილ გერმაში გახვეულს ეძინა ველგას, დაბალი, ბნელით მოცული ქოხის კერიაზე კი მუდამ ცეცხლი ღულუნებდა. ზაფხულობით, როცა თბილი ზღვაური ქროდა, როცა ზღვაში ჩუმად შრიალებდნენ ტალღები, ველგა ხოჭოებისა და სუსხურის კვერცხებს დაეძებდა ქვიშიაში ან ნაპირისაკენ წამოსული ზვირთების შესახვედრად გარბოდა, წაწვებოდა სილაზე პირადმა და ზურგზე დგაფუნით გადაუვლიდა ტალღები. ასე ატარებდა ზაფხულის გრძელ დღეებს ველგა, ველგას გვერდით იყვნენ ირვალდი და სნეგარიც.

ტანსრული სნეგარი ერთთავად მღეროდა და კისკისებდა, მაგრამ არც ველგასავით წკრიალა ხმა ჰქონდა, ვერც ბობოქარ ტალღებს შეებმებოდა ველგასავით... მხოლოდ ირვალდი თუ შეედრებოდა ველგას. და აი ერთხელ ველგამ უთხრა: — ნეტავი ჩემი ძმა იყო, ირვალდი... რატომ შენსავით საყვარელი ძმა არა მყავს, მაშინ ასე მოსაწყენი ხომ არ იქნებოდა ზამთრის ეს გრძელი და უფერული დღეები უშენოდ.

ირვალდმა კი მხოლოდ გაიღიმა და წყალს მიეცა:

— შეხედე, შეხედე, ღორიხვი!

და აი, ისინი ქარივით გაედევნენ ერთმანეთს... მათი ზარივით ხმა ხან ზღვისპირა მღვიმეებს აგუგუუნებს, ხან სანაპიროზე აყუდებულ ლოდებს ასკლე-



ბა... ხან იქით მიქრიან, სადაც კლდეებს შორის აზავთებული ზღვის ბლანტა წყალი სიბ ქვაზე მოჩქრიალე ნაკადულებად იფანტება, ხან ბობოქარ ტალღებს გაეთამაშებიან, ზვირთებს გაეჯიბრებიან.

ნეტავ ასე სწრაფად რატომ ჩაირბინა ველგას მხიარულმა ბავშვობამ? აი, უკვე თოთხმეტი წლისაა ველგა, უკვე თექვსმეტი წლისაა ირვალდი. ახლა იგი დღედაღამ ზღვაშია, დღედაღამ სათევზაოდაა. სამაგიეროდ, რატომ იმეორებს იმ, რა სიხარულია ირვალდის ზღვიდან დაბრუნება!

— ძვირფასო ირვალდ, როცა აქ არ მეგულები, მინდა სულ ვიტვირო და ვიტვირო, მაგრამ ზღვიდან დაბრუნებულს რომ დაგინახავ, გული კვლავ სიცილით და სიხარულით მევსება!

მაგრამ სნეგარიც უკვე გაიზარდა და ირვალდმა თანდათან დაივიწყა ველგა, ახლა იგი უფრო ხშირად და ხშირად არის სნეგარის გვერდით, ზის და მხიარულ სახეში შესციცინებს. ველგა შორიახლოს უტრიალებს, არ უნდა, დის თანდასწრებით რაიმე უთხრას, მაგრამ როგორც კი ირვალდი სანაპიროზე თავისი სახლის გზას დაადგება, წამოეწევა და კარის ზღურბლამდე მიაცილებს:

— ძვირფასო ირვალდ, რატომ იჯექი ასე დიდხანს სნეგართან?... გულს დარდით ასე რატომ მიკლავ?

იმ დღიდან ველგას წკრიალა, ცრემლნარევი სიმღერა მთელ სანაპიროს ეფინება. მხოლოდ მეგობარი ქალიშვილების დანახვაზე თუ მიწყდება მისი ეს სვედიანი სიმღერა — მათ დანახვაზე თავს ამაყად ახწევს, სახე ცივი და მიუკარებელი გაუხდება.

ველგას მშობლიური ქოხი ქვიშით მოფენილ, კლდოვან სანაპიროზე მეთევზეთა სოფლის განაპირას დგას, ზღვის მოქცევისას ტალღები ქოხის ზღურბლამდე აღწევს.

თუ ამ დროს ქარიშხალია, თუ ძლიერი ქარი უბერავს, წყალი სუსხურის ნაწლავებგადაკრულ ფანჯრებს ეხეთქება, შეშინებული სნეგარი სიმღერას შეწყვეტს, ხელსაქმეს მიატოვებს და ფანჯარას ელდანაკრავივით მოსცილდება. ველგას მოხუცი დედაც ქარის ზუზუნს შეშინებული მიუგდებს ყურს და ჩუმად ლოცულობს. მხოლოდ ველგას არ აშინებს ქარიშხალი, იგი თამამად გადმოაბიჯებს სველ ზღურბლზე, მამას მხარში ამოუდგება და ქარსა და ქარაშოტზე მასთან ერთად ბადეს ახვევს, ყინულივით ცივი წყალი შიშველ კანკებზე ეალერსება, ფეხებშუა დიამწვანე ზღვის ბალახი ღორწოსავით აებლანდება. ველგა ზღვის ბალახს ფეხით გაგლეჯს, ძლიერი მკერდით ნოტიო და ცინცხალ ჰაერს დრმად ჩაისუნთქავს, მოვარდნილ ზღვაურს შუბლს მიაგებებს, ქარი ქერა თმას აუწეწავს. დგას წყალში ასე ტანაყრილი, სახეთამამი, დგას და ზღვისფერი, გაძჭრიახი თვალებით სადაც სივრცეში იმზირება. მაგრამ იქ მხოლოდ წმინდა პეტრეს ჩიტები დაფრინავენ, საწყალობელი წივილ-კივილით ზღვას გუნდ-გუნდად დასტრიალებენ, მთავრეხილივით ჰაერში აჭრილ დიდრონ ზვირთებზე ფრთებგამლილი კივიკი არბიან.

აღარ იცინის ველგა, მუშაობის დროს ხმაშეწყობილი აღარ მღერის სნეგართან ერთად... ჭირვეული და მწუხარეაო — მხარი უქციეს დაქალებმა. მაგრამ, აბა, ვის ენახა დღემდე იგი მწუხარე და ჭირვეული, ახლად აფრენილი ჩიტვიით გაბედული გული ჰქონდა ველგას, ცასა და მიწას შეჰხაროდა, ზღვას და ქარიშხალს, თავის ლაღსა და უღრუბლო, სიყმაწვილეს. მხოლოდ ირვალდის გარეშე თუ მოიწყენდა ხანდახან, მას ხომ ერთი სული



ჰქონდა, როდის მოუყვებოდა ირვალდს, რა ბედნიერი იყო ველგა, რა ბედნიერება იყო სიცოცხლე და ცხოვრება ამქვეყნად!

მაგრამ აგერ რა ხანია, ირვალდი ზღვაშია, ველგა კი დღეობდა ამ სანაპიროზე და ერთთავედ ზღვას გასცქერის — უნდა გასძახოს, ტალღებს ხმა გადააწვდინოს, რომ იგი უკვე დაღალა ირვალდის ლოდინმა, რომ არა, არ უნდა უყვარდეს ირვალდის სნეგარი, რამეთუ ~~სიცოცხლეც ვერ წარმოუღვენია ირვალდის გარეშე.~~

და როცა თბილმა ზღვაურმა დასავლეთიდან დაბერა, როცა მზემ დაიწია, ველგა სნეგართან მივიდა:

— ძვირფასო სნეგარ, გინდა მოგიყვე, რა ნაზი და ალერსიანია ზაფხულის ნიავე, რა ამო, რა სასიამოვნო სურნელი უდის ზღვას, როგორი სევდითა და მწუხარებით არის სავსე ჩემი გული, როდესაც ირვალდს ვერა ვხედავ.

— არა, — უპასუხა ქობის ზღურბლზე არხეინად მოკალათებულმა სნეგარმა.

ველგა სნეგარს გაეცალა, ზღვის ნაპირას ჩამოჯდა და საღამოს ბინდბუნდში დიდხანს, დიდხანს უსმინა წყლის შხრიალს, ზაფხულის ზღვასავით თბილი ცრემლი დაბალუპით სცვიოდა ხელებზე...

...ირვალდის დანახვაზე ველგამ სიხარულით იკიელა, ირვალდმა კი მხოლოდ გაიცინა და ნაკიდან ბაღეების გადმოტანა უბრძანა. მთელი საღამო თავაუღებლად იშრომა ირვალდის მხარდამხარ, მერე როცა ფერგამკრთალი მთვარე ზღვას თავზე წამოადგა, დაღლილი ველგა ცარიელ ნავში ჩაჯდა და მთვარეს შეჰკვნესა:

— იცა, როგორ გელოდი, ირვალდ, როგორ ველგავდი, როგორ მიწყვალდებოდა გული შენს ლოდინში და როგორი შვებით ამოვისუნთქე, თვალი რომ მოგკარი.

ირვალდი კი იჯდა და მთვარეს შეჰკურებდა. შერცხვა ველგას, პასუხი რომ ვერ მიიღო, თვალები დახარა და წყნარად ჰკითხა:

— გესმის, რას გეუბნები, ირვალდ?

— მესმის, — თქვა ირვალდმა...

მაშინ თავი კიდევ უფრო ძირს დახარა ველგამ და ჩურჩულით წარმოთქვა:

— შენს სახლში წამიყვანე, ირვალდ! სულ შენ გვერდით ვიქნები, შენთვის ვიმღერებ, შენ მხარდამხარ ვიმუშავებ, ზღვაშიაც შენთან ერთად წამოვალ, რომ იცოდე, რა ბედნიერებაა შენ გვერდით ცხოვრება და სიცოცხლე, ირვალდ!

— ჩვენ ერთად არასოდეს ვიცხოვრებთ... — იყო შეუვალი ირვალდის პასუხი, — ხვალ კვლავ ზღვაში უნდა გავიდე, ზღვიდან რომ დავბრუნდები, მოუკიდებ ხელს სნეგარს და მთელ ზამთარს ერთად გავატარებთ, ზაფხულში კი ორი სუსხურივით ზღვაში ერთად შეეცურავთ.

— მე? — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ველგამ და იგრძნო, გული როგორ შეუქანდა, — მერედა, მე მარტო უნდა დავრჩე?

— პო... — თქვა ირვალდმა.

ველგა თვალის დახამხამებაში სანაპიროზე ახტა, სწრაფი ნაბიჯით ზღვის ნაპირ-ნაპირ გასწია. თვალს რომ მიეფარა, ნაცრისფერ ლოდზე პირქვე დაემხო, თავისი გულისტკივილი მთვარეს შეჰკლადა და მწარედ აქვითინდა.



გესმის, როგორ დაძრწის ქარი უკუნეთ სიბნელეში? როგორი ავი და პირქუშია დღეს ჩრდილოეთის ზღვა?

მეორე დღეს კი ზღვაზე უკვე ნამდვილი შემოდგომა იდგა. ცივი ქარი ქროდა, ნაცრისფერ ნისლში გახვეული ზღვა ბღვინავდა. ველგა წამოვიდა, ზღვაში ჯიქურ შეიჭრა, ცივ ტალღებს შეერია, მაგრამ ზღვა კიდევ უფრო აზავთდა, მთასავით აგორებული ტალღა გრიალით წამოვიდა და კვლავ ნაპირზე გამოტყორცნა.

— ზღვას ჩემი სიკვდილი არ უნდა... — ჩუმად ჩაილაპარაკა ველგამ, — მაშასადამე, ჯერ ირვალდი უნდა მოვკლა...

ველგამ ჩუმად შეალო მშობლიური ქობის კარი. მკაცრ, ცრემლმუქ-მწრალ სახეზე მშვიდი ნათელი მოჭყენოდა, მშვიდად იმზირებოდნენ მისი ზღვისფერი თვალები, თუმცა გული კვლავ მწუხარებით ჰქონდა სავსე.

— სნეგარ, წავიდა ირვალდი?

— ჰო, ... — თქვა სნეგარმა.

— როდის, როდის დაბრუნდება ირვალდი, სნეგარ?

— თოვლ-ჭყაბი რომ წამოვა, ზღვა რომ ჩამუქდება...

ველგა მიბრუნდა, ერთი თევზი შეჭამა, მერე კარის ზღურბლთან ჩამოჯდა და ქარს სახე მიუშვირა. მწუხარედ წარბშეკრული მთელ დღეს ფეხმოუცვლელად იჯდა კარწინ, მინ რომ შევიდა, შუალაძე უკვე კარგახნის გადასული იყო... მრავალი დღე და მრავალი ღამე გაატარა ველგამ ირვალდის მოლოდინში, ვიდრე თოვლ-ჭყაბი არ წამოვიდა, ვიდრე პირველმა თოვლმა მიწა არ გაათეთრა.

„ესე იგი, საცაა ირვალდი დაბრუნდება, — ფიქრობდა ველგა და მის გულში წყენა და ხალველი ერთმანეთს ერთვოდა, — მაშასადამე, ჯერ ირვალდი უნდა მოვკლა, მერე კი მეც მალე განვიხვენი საფლავში...“

მაგრამ დღე დღეს მისდევს, ირვალდი კი არა და არ ბრუნდება.

აი, უკვე მოსალამოვდა, ცა მწუხრისფერმა მოიცვა. ველგა ერთ ადგილას ვეღარ ისვენებს, წამლაუწუმ წამოდგება, აღელვებული გასცქერის ზღვას. აი, ჩაბნელებული ქობიდან ველგას მოხუცი მამა გამოდის, ქარი გრძელსა და ჭედარა თმას უშლის, უწიწავს.

— ველგა, შვილო ჩემო, შენი მშობლიური ქობა ასე რატომ მოიძულე? საცაა აებედითი გრივალი დაიწყება, კაცის გულს მარტოობისა და მიუსაფრობის სევდა მოიცავს. ადექი, შვილო, კედლებს საბჯენი შეუყენოთ, სელაქს ტყავის სახურავი ქვით გავამაგროთ, მერე კი ამ ბნელ ღამესა და ავტაროსს საკუთარ ჭერქვეშ შევეფართო.

ნახმა სიტყვებმა გული მოუღბო ველგას, მოხუცი მამა შეებრადა, ირვალდისა და საკუთარი თავის ცოდვით აივსო, ბერიკაცს მხარში ამოუდგა, საქმეში ხელი წააშველა, გაავებული ქარი კი ქროდა, ჰაერს წყლის წერილი შხეფით ავსებდა. შეშინდა ველგა, კარი შეალო, თავი სასწრაფოდ ქობს შეაფარა და აიღამის სიბნელეში თვალწინ ირვალდი წარმოუდგა, გაახსენდა, კარგა ხნის წინათ ჯერ ისევ ყმაწვილი ირვალდი ამ ქობში ღამის გასათევად როგორ დარჩა, ველგამ საკუთარი ხელით ღოვინი როგორ დაუგო, მასპინძლობის წესის თანახმად ძილის წინ ღაწვზე აკოცა და ჭაბუკის სიყვარული გულს კიდევ უფრო ძალუმად შემოენთო. შეებრადა სიყრმის მეგობარი, დაავიწყდა სიკვდილს რომ უქადდა, საწოლიდან სასწრაფოდ წამოხტა, ქარის გრიალს მია-



ყურა და თითქოს ირვალდის ძახილი ჩაესმა. შემკრთალსა და შეშინებულს მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იწვა და ზღვის ხმაურს უსმენდა.

დილით ზღვა თანდათან დამშვიდდა, ჰაერში ზამთრის სუსხი დატრიალდა. ის იყო ველგა წამოდგა, დილის სინათლისათვის ქოხის კარი უნდა გამოეღო, რომ ზღურბლზე სნეგარმა გადმოაბიჯა.

— ველგა, — თქვა სნეგარმა, — ქარიშხალმა ირვალდი <sup>ცინულოვანი</sup> ზღვის კუნძულზე გაიტაცა, — ნავი დაუმსხვრია, ახლა იგი <sup>მარტოდმარტო</sup> ზღვაში და შიმშილითა და სიცივით სიკვდილი ემუქრება.

— ვინ, ვინ გითხრა, სნეგარ?!

— ეს-ეს არის ჩარნასთან ვიყავი, — სნეგარმა სახეზე ხელები აიფარა და უმწეოდ ატირდა...

— სნეგარ... — უნდოდა ნაზად მოჰფერებოდა ველგა, მაგრამ წარბები მკაცრად შეჰყარა და ქოხის კარი ღონივრად გამოაღო...

4.

ველგა სწრაფად მიაბიჯებდა ჩრდილოეთისაკენ ზღვის ნაპირ-ნაპირ. ჩარნას თბილი, ცეცხლის ალით განათებული ქოხის კარი რომ შეაღო, გარეთ უკვე ზამთრის ცივი და ბნელი საღამო იდგა.

— ო, გულმისანო, — შეემუდარა ველგა, — მასწავლე, როგორ წავიდე ირვალდთან.

— იჩქარე! — თქვა ჩარნამ, — ორი ღლე და ორი ღამე ზღვაში უნდა იცურო, მესამე ღლეს გამთენიისას თუ ვერ მიასწარი, დაიღუპება... მაგრამ გსმენია კი ოღესმე ცინულოვანი ზღვის უკაცრიელ კუნძულთა შესახებ? იქ ახლაც ისეთივე სევდის აღმპერული უდაბურებაა, როგორც სამყაროს შექმნის პირველ ღლეს.

ამ სიტყვებზე გული წყლიდან ამოყვანილი თევზივით აუფართქალდა ველგას:

— შემობრალე, ჩარნა! მწარე და გულსაკლავია სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ თუ ეს გარდაუვალია, თქვი, რა მომელის?

— ორი ღლე და ორი ღამე მარტოდმარტო იქნება უკაცრიელ ზღვაში, შიშსა და მწუხარებაში გაატარებ ორ ღლესა და ორ ღამეს, მაგრამ კუნძულზე ფეხს შეადგამ თუ არა, თოლიად იქცევი და ირვალდი ვერასოდეს გაიგებს, ასე უდროოდ ვისთვის დაიღუპე.

სახეზე პირველი თოვლის ფერი დაედო ველგას, თვალებში კი სიხარულის ნაპერწკალი გაუკრთა:

— მივდივარ, ჩარნა! — თქვა ველგამ.

— იჩქარე! — თქვა ჩარნამ.

ველგა სველ ქვიშაზე შავად ჩაბნელებული, აბობოქრებული ზღვისკენ გარბის, ზღვიდან ცივი ქარი უბურავს, უნდა იყვიროს, დასა და მოხუცებულ მამას ხმა მიაწვდინოს, უნდა პატიება სთხოვოს, მაგრამ, აი, ნავი ზღვის ნაპირს გაავეებული ეხეთქება, ტალღები ბურთივით ათამაშებს. ველგა სასწრაფოდ ნაეში ჩახტება და დასავლეთისაკენ შეაბრუნებს — ცის დასაღიერს დაფიონის მეწამული ზოლი გადაჰკვრია, დგას ველგა ტალღებზე მოტორ-



ტანუ პატარა ნავში, ყინულოვანი ზღვიდან მონაბერი ცივი ქარი სახეში ურტყამს, თვალებიდან მწარე ცრემლი სცვივა, ქარი სიბნელეში თეთრ ტანისამოსს უფრიალებს.

5.



როგორც იქნა, ინათა, აი, ველგა უდაბურ, ქვიშრობ კუნძულს მისი მხარე... მია, ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ არის, არის მხოლოდ ცივი, ნაცრისფერი ზღვა და ყრუ ნაცრისფერი კუნძული... დრო და დრო ზღვის წყალი თუ გაეშაბება უკაცრიელი კუნძულის ქვიშიან ნაპირს და ზედ თეთრ ღრუბლებს დატოვებს. ხანდახან წვრილ, მაღალ ფეხებზე შემდგარი დალღა ტალღას გაეკიდება, საკვების საძებნელად წყლისაგან გამორიყულ ნიჟარებში იქექება.

აი, ყინულოვანი ზღვაც დაიწყო, ველგამ მთელი დღე და ღამე იცურა, ირგვლივ კი ისევ გაშლილი, უკიდევანო წყალია, სადღაც, ქვეყნის დასალიერში წყალი პორიზონტს ეკვრის და ცისფერ სივრცეში იკარგება. აღამიანებისაგან შორს, აქ, ამ უკაცრიელ, კლდოვან კუნძულებზე მხოლოდ გარეული ფრინველები ირევიან, ციცაბო კლდეები თუ კლდის ძირები მათი ბუდეებითაა მოყვნილი. უხეში ბუმბულით შემოსილი თეთრი ფრინველი მიწას თეთრი თოვლივით დაჰფენია, ცაში თოვლის თეთრი ფანტელებივით ტრიალებენ.

მწუხრი უკვე გადასული იყო, ველგამ ყველაზე დიდ კუნძულს რომ ჩაუარა.

კუნძულს ნაცრისფერ სუდარასავით დაჰფენოდა ფრინველის გამხმარი სკინტლი, გერმა და ბუმბული. ჩიტები გრძელ რიგებად ჩამწკრივებულნი იყვნენ ფრიალო კლდეებსა და კლდის ქიმებზე, ქვემოთ მოძვრო ფრინველებს დაეხედებინათ, კლდის თავზე კი იდგნენ და მშვიდად თვლემდნენ უშველებელ შავზურგა, თვალბპრიალა და სქელკისურა, მახინჯნისკარტიანი, თეთრგულისპირა უშველებელი ფრინველები.

აი, უკვე მოსაღამოვდა, თანდათან ცას ბინდი წამოვირია და ქარსა და სტიქიასთან ჭიდლიში დაღლილმა ველგამ სულის მოსათქმელად ნაეი ნაპირთან მიაცურა. ათასობით ფრინველი ხმაურით აიშალა კლდეებიდან, ველგას თავს ზემოთ ირავო შეკრა და გახარებული ყივილი ატეხა. თოვლივით გათეთრებულმა ველგამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ისევ ნავში ჩახტა.

აი, მესამე დღეც მიიწურა... აი, ნაცრისფერ ბინდბუნდში კაცის თვალსაწიერზე უშველებელი პიტალო კლდე ლანდივით აიშართა. სიჩუმეა, მხოლოდ ტალღების გაავეებული გუგუნნი და ნისლში მორიალე მტაცებელ ფრინველთა კივილი ახმაურებს ყრუ, უკაცრიელ გარემოს. აი, შორს, კლდის ძირას ველგამ შიმშილსა და სიცვიისაგან ძალაგამოცლილი, ცოცხალ-მკვდარი, ზღვის ქაფავით უფერული ირვალდი დაღანდა.

— ირვალდი! — იყვირა ველგამ.

უნდა მოასწროს, უნდა უთხრას, უნდა გააგებინოს, რომ ისევ ძველებურად უყვარს, უყვარს, როგორც იმ შორეული ბავშვობის დღეებში უყვარდა. მაგრამ მიწაზე ფეხიც არ დაედგა, ჰაერში ფრთებს თვით თოლიად გამოეკიდა მისი მუდარით სავსე ხმა თოლიას საწყალობელ კივილად გაისმა. კივილზე ირ-



ვალდი გამოფხიზლდა, ყურში მეგობრის ხმა ჩაესმა და თვალი რომ გაახილა, ჰაერში კივილით აფრენილი თეთრი თოლია დაინახა...

აი, ირვალდმა ნავი აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნა... თოლია დიდხანს, დიდხანს მიაცილებდა ირვალდს გაშლილ ზღვაში, მაგრამ როდესაც ირვალდი თვალს მიეფარა, ქარს აყოლილი, საბრალო და მიუსაფარი ჰაერში თეთრ ფრთებზე აქანავდა, გულიდან საწყალობელი კივილი აღმოებდა...  
...გესმის, როგორ საწყალობლად კივის თოლია!

ილა

შობის დღეები იდგა. „ბოლშოვ მოსკოვსკოეში“ თიხნი ვსაუზმობდით — სამი ძველი მეგობარი და ვინმე გეორგ ივანოვიჩი.

დღესასწაულების გამო რესტორანში სიცარიელე და სიცივე სუფევდა. ნატრისფერი შუქით განათებული ძველი დარბაზი გავიარეთ, ახალი დარბაზის კარებში გავჩერდით და ადგილის ასარჩევად ქათქათა სუფრაგადაფარებული მაგიდები შევათვალიერეთ. გაპრიალელებულმა, მეტისმეტად თავაზიანმა გამრიგემ შორეულ კუთხეში ნახევარწრედ დივანთან მღვარ მაგიდაზე მოკრძალებით მიგვითითა და ჩვენც მაშინვე იმ მაგიდისაკენ წავედით.

— ბატონებო, — თქვა ჯმუხმა, ძარღვმაგარმა კომპოზიტორმა და დივანზე მოხვავდა, — ბატონებო, მიხდა თქვენც გავიმასპინძლეთ და მეც ერთი გვარიანად ვიქეიფო... აბა, გაგვიშალეთ ნატვრის სუფრა, თან რაც შეიძლება ბარაქიანი და უხვი! კარგად მოგეხსენებათ ჩემი მეფური ჩვევები და ხელგამლილობა, — უთხრა რესტორნის მსახურს კომპოზიტორმა და თავისი ფართო, გლეხური სახე მიაპყრო.

— მოგეხსენება კი არა, დროა ზეპირადაც ვიცოდეთ, — უპასუხა წვერშევერცხლილმა ხანშიშესულმა ჭკვიანმა მსახურმა და თავშეკავებული დიმილით კომპოზიტორს წინ საფერფლე დაუდგა, — მშვიდად ბრძანდებოდეთ, პაველ ნიკოლაევიჩ, არ შეგარცხვენთ...

და, არ გაუგლო ერთ წუთსაც, რომ ჩვენს წინ სირჩები, ფუფერები, ნაირ-ნაირი ფერის არყით სავსე ბოთლები, ჩრდილოური ვარდისფერი ორაგული, მუქი ხორცისფერი ზურგიელი, ყინულის ნატეხებზე დაწყობილი გახსნილნიფარებიანი კერძი, ჩესტერის ნარინჯისფერი კვადრატე, პაიუსის ზიზილალის შავად მბზინავი ბელტი თუ ყინულისაგან დაცვარული შამპანურის თეთრი გოვზა — ერთი სიტყვით, ნაირ-ნაირი ხორაგით დამძიმებული სუფრა იყო გაშლილი... სმა წიწაკის ნაყენით დავიწყეთ. კომპოზიტორს უყვარდა, თავად რომ ასხამდა სასმელს — სამი სირჩა დაასხა და ხუმრობით ჩამარცვლა:

— უგანათლებულესო გეორგ ივანოვიჩ, გნებავთ, თქვენც დაგისხათ?

გეორგი ივანოვიჩს, რომლის ერთადერთსა და უცნაურ საქმიანობას ცნობილ მწერლებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან მეგობრობა წარმოადგენდა და მეტისმეტად წყნარი, მუდამ კარგ გუნებაზე მყოფი კაცი იყო, სახეზე ნაზმი სიწითლემ გადაჰკრა (იგი მუდამ წითლდებოდა, ვიდრე რაიმეს იტყოდა) და როგორღაც დარდიმანდულად უპასუხა:

— ძალიან, ძალიან, უცოდვილესო პაველ ნიკოლაევიჩ!

კომპოზიტორმა კიქა გეორგ ივანოვიჩსაც შეუვსო, თავისი ქიჭა ყველას



მსუბუქად მოგვიჭახუნა, — ღმერთმა ინებოსო! — ამ სიტყვებით არაყი პირში გადაუძახა, უღვაშს ერთი გაუბერა და საუზმეს შეუდგა. სმა-ჭამა კარგახანს გავაგრძელეთ. ის იყო, უზა შევუკვეთეთ, გავაბოლეთ და ძველ დარბაზში წახალ, სვედიანად ამღერდა მუსიკალური მანქანა, რომ დივანის ზურგზე გადაწოლილმა კომპოზიტორმა პაპიროსი მოქაჩა, თავისი ჩვეულებისამებრ მკერდში ჰაერი ჩაიგუბა და დაიწყო:

— ძვირფასო მეგობრებო, მიუხედავად ჩემი სტომაქის საუცხოო განწყობისა, დღეს მე მოწყენილი გახლავართ, ხოლო მოწყენილი ვარ იმიტომ, რომ გავიღვიძე თუ არა, ერთი ჩემი მეგობრის — როგორც შემდეგ გაირკვა, პირწაგარდნილი სახედრის — თავს გადახდენილი, ზუსტად ერთი წლის წინ, შობის ბიორე დღეს მომხდარი პატარა ამბავი გამახსენდა...

— ამბავი იქნებ მართლაც პატარაა, მაგრამ ეჭვი არ არის, ამურულია, თქვა გეორგი ივანოვიჩმა თავისი ქალწულებრივი ღიმილით.

კომპოზიტორმა ცერად გადახედა:

— ამურულიო? ეჰ, გეორგი ივანოვიჩ, გეორგი ივანოვიჩ, მაგ თქვენი ბაწიერებისა და უმოწყალო ტვინის გამო ნეტავი, რა პასუხი უნდა გასცეთ განკითხვის ჟამს?... რაც არის, არის, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — თქვა მან, წარბები აწია, მომღერალ მანქანას აჰყვა — „le veux un tresor qui les contient tous, je veux la jeunesse!“ — და ისევ ჩვენ მოგვიტრიალდა:

— აი ეს ამბავიც, ჩემო მეგობრებო! ცხრა შთასა და ცხრა ზღვას იქით, ერთ სამეფოში, ერთ ბატონის სახლში დაიარებოდა მისი ცოლის კურსეული ამხანაგი, ჯერ სრულიად ნორჩი ქალწული, ისეთი სადა და ისეთი საყვარელი, რომ ბატონი სულ იდათი, ანუ უბრალოდ, სახელით მიმართავდა — „და და იდა, ხეირიანად მისი მამის სახელიც არ იცოდა. იცოდა მხოლოდ ის, რომ წესიერი, მაგრამ ხელმოკლე ოჯახიდან იყო, — ერთ დროს ძალიან ცნობილი დირიჟორის ოჯახიდან — ცხოვრობდა მშობლებთან და, როგორც წესია, ელოდებოდა, საქმრო როდის გამოუჩნდებოდა...

არ ვიცი, რა სიტყვებით, როგორ აგიწვროთ ეს იდა? ბატონი, მართალია, მეტისმეტად კეთილად იყო ქალიშვილის მიმართ განწყობილი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, თითქმის არავითარ ყურადღებას არ იჩენდა. დაინახავდა თუ არა — „აა, იდა, ძვირფასო, გამარჯობათ, გამარჯობათ, გულითა და სულით მოხარული გახლავართ!“ ქალიშვილი კი პასუხად ერთს გაიღვიძებდა, ცხვირსახოცს მუფთაში შეინახავდა, თავისი ნათელი, ქალწულებრივი თვალებით (ოდნავ უაზროდაც კი) შეხედავდა და — მაშა შინააო? — ჰკითხავდა. „მობრძანდით, გთაყვებოდა, მობრძანდით!“ — შეიპატოვებდა ბატონი, „შეიძლება, შევიდე მაშასთან?“ იტყოდა, სასადილო ოთახს მშვიდად, აუღელვებლად გაივლიდა და მაშას კარზე დააკაკუნებდა: „მაშა, შეიძლება შემოვიდე?“... ისეთი სასიამოვნო და ჭკურტულა ხმა ჰქონდა, შიგ გულში გეწვდებოდა. ახლა სხვა დანარჩენსაც არ იტყვი? ახალგაზრდული სიქორფე, სიჯანსაღე, ცივი, სუსხიანი ჰაერიდან ოთახში შემოსული ქალიშვილის კეთილსურნელება... თან მაღალი, ტანწერწეტა, არაჩვეულებრივად ბუნებრივი მიხრა-მოხრა და ჰარმონიულობა... სახეც როგორიღაც განსაკუთრებული ჰქონდა — ერთი შეხედვით თითქოს სრულიად ჩვეულებრივი, მაგრამ, დააცქერდებოდი და თვალს ვეღარ მოწყვეტდი:

1. მსურს ვფლობდე საგანძურს, რომელიც ყველაფერს იტევს, მსურს ახალგაზრდობა!“ (ფრანგ.).



სახის ტონი თბილი, თანაბარი, სიცოცხლით სავსე იისფერი, ხალისიანი თვალები...

დიახ, შეხვალავდი და თვალს ველარ მოწყვეტდი. ის ბოთე, ის რეგენი, ანუ ამ ჩვენი ამბის გმირი კი, ეშმაკმა დაღახვროს მისი რაჯი, მხოლოდ შეხვალავდა ხბოსავით აღტაცდებოდა — აჰ, იდა, იდა, თქვენ თქვენი ფასი არ იცითო, ქალიშვილის საბასუხო, საყვარელ, მაგრამ როგორც უფროდლებო დიმილს თვალს შეავლებდა, დააღებდა თავს თავისი კაბინეტისკენ და ისევ შეუდგებოდა იმ თავის სულელურ, ეგრეთწოდებულ შემოქმედებით საქმიანობას. ასე გადიოდა დრო. ეს ჩვენი ბატონი კი ერთხელაც არ დაფიქრებულა სერიოზულად იდაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც არ შეუმჩნევია, ერთ მშვენიერ დღესაც როგორ გაქრა იგი. თვალსა და ხელს შუა. გადიოდა დრო, იდა კი არა და არ ჩანდა. ისიც ვერ მოიფიქრა, ცოლისთვის ეკითხა, ნეტავი ეს ჩვენი იდა სად არის, სად დაიკარგაო? გაახსენდებოდა ხანდახან და იგრძნობდა, რომ რაღაც ძალიან აკლდა, წარმოიდგენდა იმ ტკბილ ნეტარებას, მისი გულში ჩაკვრით რომ შეიძლებოდა განეცადა, გონებაში წარმოიდგენდა მისი სახის ფერსა და იის თვალებს, მის მშვენიერ ხელებს, მის ინგლისურ ქვედა კაბას, ერთს მოიწყენდა და მაშინვე მიავიწყდებოდა... ასე გაიარა ერთმა წელმა... და აი ერთხელაც დასავლეთით წასვლა მოუწია...

მართალია შობის დღეები იდგა, მაგრამ წასვლა გარდაუვალი იყო. გამოემშვიდობა თავისი ოჯახის წევრებს, მიუჯდა ფეხმარდ ბელაურს და გზას გაუღვა. ის დღე იარა, ის ღამეც იარა და ბოლოს, როგორც იქნა, ერთ დიდ საკვანძო სადგურს მიაღვა, სადაც იგი მეორე მატარებელში უნდა გადამჯდარიყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ სადგურში კარგა დაგვიანებით ჩავიდა და მატარებელი პლატფორმაზე გაჩერებულაც არ იყო, რომ ვაგონიდან გადმოხტა და — აჰა და ამ მიმართულების სწრაფი მატარებელი ჯერ ხომ არ წასულაო, — პირველსავე შემხვედრ მებარგულს საყულოში სწვდა. „ეს-ესაა ვავიდა, თქვენ ხომ მთელი ნახევარი საათით ინებეთ დაგვიანება“, — უპასუხა მებარგულმა და თავაზიანად გაუღიმა. „როგორ თუ ვინებე, შე არამზადავ, ხუმრობ თუ რა? ახლა რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ციმბირში, კატორღაში, საჯალათო კუნძუზე უნდა ვიკრას კაცმა თავი!“ — „შეგცოდე, ბატონო, შეგცოდე, მაგრამ ხომ ვაგიგონიათ, მონანიებული ცოდვა არცოდვიათ, თქვენო ბრწყინევალებავე, სამგზავრო მატარებელს უნდა დაელოდოთ...“ რა უნდა ექნა, წახარა ამ ჩვენმა თადარიგებმა მგზავრმა თავი და სადგურისაკენ წაჩანჩალდა...

სადგური მეტად ხალხმრავალი, თბილი და მყუდრო აღმოჩნდა. დიდიდან დაღამებამდე იმ დღეს საშინელი ქარბუქი ქროდა, ამიტომაც რკინიგზის სადგურში ყველაფერი აირ-დაირია, განრიგი ვილას ახსოვდა, საკვანძო სადგურები სულ ხალხით იყო გაჭვდილი, საითაც არ გაიხვდავდი, სულ ბარგით იყო სავსე. სასაუზმეებს არც დღე კეტავდნენ და არც ღამე, დღედაღამ სამოვარის შიშინი ისმოდა, დღედაღამ საჭმლის სუნი ტრიალებდა, რაც, მოგეხსენებათ, იმ ქარბუქსა და სიცივეში არცთუ ისე ურიგო რამ გახლდათ. გარდა ამისა, ეს სადგური დიდი და მდიდრულიც იყო, ისე რომ, აქ მთელი ერთი დღე-ღამეც რომ მჯდარიყო, არც თუ ისე დიდი უბედურება იქნებოდა. წავალ, ცოტას მოეწესრიგდები, ერთს მამაპაპურად დავნაყრდები ერთს გემრიელად დავლევ კიდევაცო, — სიამოვნებით გაიფიქრა მგზავრების მოსაცდელ დარბაზში შესვლისას და მაშინვე თავისი გადაწყვეტილების აღსრულებას შეუდგა. პი-



რი მოიპარსა, დაიბანა, სუფთა პერანგი ჩაიცვა, თხუთმეტიოდუ წუთის შემდეგ სპარფარეშოდან მთელი ოცი წლით გაახალგაზრდაებული გამოვიდა და პირდაპირ ბუფეტისაკენ გასწია. ჯერ ერთი ჭიქა დალია, მერე მეორე, სასმელს ჯერღვე ხელი დააყოლა, მერე ებრაულად შემზადებული ქარიყლაპიაც მიირთვა, ის არის, კიდევ ერთი ჭიქაც უნდა დაეღია, რომ უცებ ზურგსუკან საოცრად ნაცნობი და ამქვეყნად ყველაზე უმშვენიერესი ხმა შემოესმა, რა კმა უნდა, „ფიცხლად“ შემობრუნდა და, როგორ გგონიათ, ვინ წარმოუდგა თვალწინ? ვინ და იდა!

სიხარულისაგან ჩვენს ბატონს ენა ისე ჩაუვარდა, ერთი სიტყვის წარმოთქმაც ვერ შეძლო, იდგა და, ახალი ბაკის კართან მიგდებული ცხვარივით, პირდაღებული შეჰყურებდა. მას კი, — აი, რას ნიშნავს ქალი, მეგობრობო! — თვალის არ დაუხამხამებია, თუმცა შეუძლებელია მასაც არ გაჰკვირვებოდა. სახეზე მართალია რაღაც სიხარულის მაგვარი კი აღებუჭდა, მაგრამ სიმშვიდე მართლაც გასაოცარი შეინარჩუნა: „ძვირფასო, აქ საიდან გაჩნდით, რა ბედმა გადმოგაგდოთ? აი სასიამოვნო შეხვედრაც ამას ჰქვია!“ ქალს თვალებზე ეტყობა, მართლაც ამბობს, მაგრამ მეტიმეტად უბრალოდ და... სრულიად არა იმ მანერით, ოდესღაც რომ სჩვეოდა. რაც მთავარია... ოღნავ დამცინავდაც. ეს ჩვენი ბატონი კი კიდევ იმითაც გახლდათ შეცბუნებული, რომ იდა ისე იყო შეცვლილი, ვეღარც კი იცნობდი — ისე იყო გაფურჩქნული, როგორც ანკარა წყლით სავსე ბროლის ლარნაკში უმშვენიერესი ყვავილი. ჩაცმულიც შესაბამისად გახლდათ — ეცვა ძალზე ელეგანტურად, ეხურა მეტად კოკეტური, ჯოჯოხეთურად ძვირად ღირებული ზამთრის ქუდი, მხრებზე ათასმანეთიანი სიასამურის წამოსასხამი ჰქონდა მოხურული... როდესაც ბატონმა თვალისმოძჭრელი ბეჭდებით მოოჭვილ ხელზე მორცხვად და უხერხულად აკოცა, ქალმა შლაპიანი თავი ოღნავ გადაიქნია და დაუდევრად უთხრა: „ო, მართლა! იცნობდეთ, ეს ჩემი მეუღლეა.“ ამ სიტყვებზე იმავე წუთს ქალის უკნიდან მოკრძალებით, მაგრამ სამხედროთათვის ჩვეული მოხდენილობით ჯერ სულ ახალგაზრდა სტუდენტი ბატონის წინ წარსდგა.

— აი თავხედი! — წამოიძახა გეორგი ივანოვიჩმა, — ერთი ვიღაც ჩვეულგებრივი სტუდენტი, არა?

— საქმეც სწორედ ის გახლდათ, ძვირფასო გეორგი ივანოვიჩ, ჩვეულებრივი კი არა, ეს იყო სრულიად არაჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი — თქვა კომპოზიტორმა სევდიანი ღიმილით, — ალბათ მთელ თავის სიცოცხლეში ჩვენს ბატონს, რომ იტყვიან, ასეთი კეთილშობილი, საუცხოო, ჭაბუკური, მარმარილოსავით სახე არასოდეს უნახა. ეცვა ის ღია ნაცრისფერი წმინდა მუდის ქურთუკი, რომელსაც მხოლოდ ყველაზე დიდი ფრანტები იცვამდნენ, მოხდენილ ტორსზე მჭიდროდ, ლამაზად მომდგარი პაჭანიკებიანი შარვალი, პრუსიულის მაგვარი მუქი მწვანე ქუდი და თავის ბეწვმოვლებული ნიკოლოზისებური დიდებული ფარაჯა. თან ყველაფერ ამასთან იყო არაჩვეულებრივად სამპათიური და თავიც მეტად თავმდაბლად ეჭირა. როდესაც იდამ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვარი დაასახელა, ვაჟმა თეთრი ნატის ხელთათმანში გამოკვართული ხელით ქუდი სწრაფად მოიხადა და ქუდიდან, ცხადია, წითელი მუარის სარჩულმა იელვა, მერე მეორე, არაჩვეულებრივად ნატიფი, თეთრ-მოცისფრო ხელიდან ხელთათმანი სწრაფად წაიძრო, ქუსლი ქუსლს შემოკრა და პატარა, საგულდაგულოდ დავარცხნილი თავი დახარა. „აი ხათაბალა!“ — კიდევ უფრო გაოცებულმა გაიფიქრა ჩვენმა გმირმა, იდას დაბნეულად



ერთხელ კიდევ შეხვდა და იმ გამოხედვით, რომლითაც იდამ სტუდენტი შეათვალიერა, უმაღლესი მიხვდა, რომ ეს ქალი ნამდვილი დედოფალი, ხოლო ეს ახალგაზრდა ვაჟი ამ ქალის მონა და მორჩილი იყო, ოღონდ არა უბრალო, არამედ კაცი, რომელიც თავის მონობას უდიდესი სიმამრებით, ის კი არა, სიამაფითაც კი ატარებს. „დიდად... დიდად მოხარულა ვარ თქვენი გაცნობისა! — მთელი სულითა და გულით წარმოთქვა ჩვენმა ახალგაზრდა მონამ და ლალი, სასიამოვნო ღიმილით წელში გაიმართა: — მე თქვენი დიდი ხნის თაყვანისმცემელი ვახლავარ, ვინაიდან ბევრი, ძალზე ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ იდასაგან“. ამ სიტყვებით ერთხელ კიდევ მცობრულად შეხვდა და ის იყო უნდა გაეგრძელებინა ამ შემთხვევისათვის შესაფერისი საუბარი, რომ იდამ მოულოდნელად შეაჩერა: „კმარა, პატრიკ, ნუ მაწითლებ, — უთხრა აჩქარებით და ახლა ჩვენს ბატონს მიუბრუნდა: — ძვირფასო, მე ხომ თქვენ მთელი ათასი წელია არ მინახიხართ! მინდა გესაუბროთ და გესაუბროთ დაუუსრულებლად, მაგრამ არ მინდა, ჩვენს საუბარს ესეც ესწრებოდეს, ჩვენი მოგონებები მისთვის საინტერესო არ არის, მოიწყენს და თავს უხერხულად აგრძნობს, ამიტომაც წამოღოთ პლატფორმაზე გავისეირნოთ“... და ამ სიტყვებით ქალმა ჩვენს მეგობარს ხელკავი გამოსდევ. ერთხანს პლატფორმაზე ისეირნეს, მაგრამ მალე პლატფორმიდან ღამის ერთ კილომეტრზედაც კი აღმოჩნდნენ, იქ, სადაც თოვლი ჯერ ისევ მუხლებამდე იდო და სადაც ქალმა კაცს სიყვარული აუხსნა...

— სიყვარული?! — ვიკითხეთ ყველამ ერთად.

პასუხის ნაცვლად კომპოზიტორმა პაერი ღრმად ჩაისუნთქა, გაიბერა, მხრებში აიწურა, მერე თვალები დახარა, ზანტად წამოიწია, ვერცხლის გოუზში ჩაყრილი, მოჩხრიალე ყინულის ნატეხებიდან შამპანურის ბოთლი ამოიღო და ყველაზე დიდ ფუფერში დაისხა. დაწვებზე ცეცხლი ეკიდა, მოკლე კისერი გასწითლებოდა. წელში მოხრილმა ღვინო ბოლომდე გამოცალა და უხერხულობა რომ დაეფარა, მომღერალ მანქანას სიმღერა ააყოლა: *laisse-moi, laisse-moi contempler ton visage!* მაგრამ სიმღერა მაშინვე შეწყვიტა, თავისი კიდევ უფრო დაწვრილებული თვალები ჯიქურ მოგვაპყრო და გვითხრა:

— დიახ, დიახ, სიყვარული... და ეს ახსნა, საუბედუროდ, ნამდვილი და სრულიად სერიოზული იყო. სისულელეა, სიგიჟეა, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია? კი, რა თქმა უნდა, მაგრამ — ფაქტია! დიახ, ზუსტად ისე იყო, როგორც ეს-ესაა მოგახსენეთ: პლატფორმაზე რომ მისეირნობდნენ, ქალმა მოჩვენებითი ხალისით დაუწყო ამბების გამოკითხვა: მაშა როგორ არის, ჩვენი მოსკოველი ნაცნობები როგორ არიან, მოსკოვში ახალი რა არისო, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ბოლოს უთხრა, რომ მეორე წელია გათხოვილია, რომ ისა და მისი ქმარი მთელი ამ ხნის განმავლობაში ხან პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ხან საზღვარგარეთ, ხანაც ვიტებსკთან — თავიანთ მამულში... ის ჩვენი ბატონი კი მიჰყვებოდა მღუმარედ, აჩქარებული ნაბიჯით და გრძნობდა, რომ საქმე რაღაც სხვანაირად იყო. მისჩერებოდა უხვად დაზვიანული ქათქათა თოვლის ნამქერს, რომელსაც მთლიანად წაელეკა პლატფორმაც, გზებიც. შუნობის სახურავებიცა და ღიანდაგებზე გაჩერებული წითელი და მწვანე ვაგონებიც, შეჰყურებდა თუთრად მოქათქათე თოვლს და გულათრთოლებულს

1. ნება მომეცი, დავტკბე შენი სახის ცქერით! (ფრანგ.).



მხოლოდ ერთი რამ უტრიალებდა გონებაში — ის, რომ მთელი ამ წლების მანძილზე მას თურმე იდა, სწორედ აი ეს იდა უყვარდა გაგიჟებით. და აი, თქვენ შევიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდა ამის შემდეგ — ამის შემდეგ მოხდა ის, რომ რომელიღაც ყველაზე მოშორებულ გვერდითა პლატფორმაზე იდა რაღაც ყუთებთან მივიდა, ერთ-ერთ ყუთიდან მუფთით თოვლი გადაფერთხა, ზედ ჩამოვდა, თავისი ოდნავ გაფითრებული სახე და იისფერი თვალები მი- აყრო და ჭკუისშემლაძდე მოულოდნელად, სულმოუთქმელად უთხრა: ახლა და კი, ძვირფასო, კიდევ ერთ შეკითხვაზეც მაპასუხეთ: იცოდით ან ახლა იცით თუ არა, რომ მე მთელი ხუთი წელიწადი მიყვარდით და დღემდე ისევ მიყვარხართ?”

მუსიკალური მანქანა, რომელიც აქამდე შორიდან რაღაცას ყრუდ, გაურკვეველად ბურღუნებდა, უცებ ჰეროიკულად, საზეიმოდ, მრისხანედ აგუგუნდა. კომპოზიტორი ერთხანს დუმდა, მერე როგორღაც გაოგნებულმა შემოგვხვდა და ჩუმიად ჩაილაპარაკა:

— პო, ასე... ზუსტად ასე მითხრა... ახლა კი ნება მომეცით, გკითხოთ, როგორ უნდა გამოხატო კაცმა ეს სცენა ამ სულელური სიტყვებით? აბა რა შემიძლია გითხრათ, იმ განსაკუთრებულად თეთრი, ქარბუქის შემდგომი ქათათა თოვლით გამუქებულ ზეაწეულ სახეზე, მისი სახის ამ თოვლივით მიბჭრალ ენით უთქმელ უნატიფეს ფერზე — იმ ახალგაზრდა მშვენიერ ქალზე, გზადაგზა თოვლით დაჯვრებულ ჰაერს რომ ისუნთქავს, მერე უცებ სიყვარულში გიტყდება და თავის ამ განდობაზე შენგანაც პასუხს ელის? იის თვალუბა-მეთქი, არა? არა, ჩემო მეგობრებო, მის თვალებს სახელსაც ვერ დავარქმევ! ანდა მისი ის ოდნავ გაპობილი ბაგე? მისი გამომეტყველება? გამომეტყველება მისი თვალების, მისი ბაგის, ერთად აღებული მთელი მისი სახისა? თუნდაც მისი გრძელი, სიასამურის მუფთა, რომელშიც ხელები ჰქონდა შემალული, ანდა ლურჯ-მწვანე კუბოკრული შოტლანდიური ქსოვილის ქვედა კაბაში გამოკვეთილი მუხლები? დმერთო ჩემო, განა შეიძლება სიტყვით მი- ახლოებით მაინც ყოველივე ეს აღწერო? რაც მთავარია... რაც ყველაზე მთავარია — რა უნდა უთხრა, რა პასუხი უნდა გასცე ამ ნდობით სავსე, ფერწასულ, სირცხვილისაგან შეცვლილ, პასუხის მომლოდინე სახეს?

ჰოდა, იმიტომ რომ არც ჩვენ ვიცოდით, რა გვეთქვა, რა პასუხი გავვეცა ყველა ამ კითხვაზე, ვისხედით განუძებულები და ჩვენი მეგობრის გაბრწყინებულ თვალებსა და გავარვარებულ სახეს გაოგნებული შევეყურებდით. რაც შეეხება პასუხს, პასუხი თვითონვე გასცა თავისთავს:

— არაფერი, სრულიად არაფერი! არის წუთები, როცა ერთი სიტყვის წარმოთქმა, ხმის ამოდებაც კი შეუძლებელია. და აი, საბედნიეროდ, ჩვენი მოგზაურის სასახელოდ, მას მართლაც არაფერი უთქვამს. ქალი კი მიხვდა მისი ამ გაქვავების, მისი ამ დამუნჯების მიზეზს, შეიგრძნო და დაინახა მისი სახე — ერთხანს შეიცადა. ხმა არ ამოუღია, სიტყვა არ დაუძრავს, არაფრით დაურღვევია ის უცნაური შემზარავი მდუმარება, მის ამ თავზარდამცემ შეკითხვას რომ მოჰყვა, მერე წამოდგა, თბილი, სურნელოვანი მუფთიდან ხელი გამოიღო, კისერზე მოხვია და ისე ნაზად, ისე მხურვალედ აკოცა, რომელიც კაცს არა თუ კუბოს კარამდე, საფლავშიაც არ დაავიწყდება. დიახ, ერთი აკოცა და... წა-



ვიდა. ამით დამთავრდა, დიახ, ამით დამთავრდა, ჩემო მეგობრებო, მთელი ის ამბავი... ეჰ, რაც იყო, იყო... — თქვა ერთბაშად კილიშეცვლილმა კომპოზიტორმა და ხმამაღლა, მოჩვენებითი მხიარულებით დასძინა: — მოდი, ამ შემთხვევის გამო ერთი მაგრაღ, კისრის წაწვეტამდე დავლიოთ! დავლიოთ იმის გამო, ვისაც ვუყვარდით, ვინც ვერ დავაფასეთ, ვისაც ჩვენ, რეგენებმა, სათანადო პატივი ვერ მივაგეთ, ვისთანაც ბედნიური და ნეტარნი ვიყავით, ვისაც მართალია დავშორდით, ცხოვრებაში და სამუდამოდ დავშორდით. შევრამ ბოლომდე ამქვეყნად ყველაზე დიდი, საუკუნო კავშირით შეკავშირებულნი დავრჩით! ახლა კი ერთ რამეზე შევთანხმდეთ — იმას, ვინც ნათქვამს თუნდაც ერთ სიტყვას დაუმატებს, აი ამ შამპანურის ბოთლს ზედ თავზე გადავამტვრევ! — მოსამსახურენო! — გასძახა მერე მთელ დარბაზს, — უხა მოგვიტანეთ, უხა და ხერესი, მთელი ერთი კასრი ხერესი, რათა შიგ ამ ჩემი რქებიანად წავყვირავდე!

იმ დღეს სუფრიდან ღამის თერთმეტ საათზე ავიშალეთ. სტერლნში წავედით და დილა ალიონზე ბლინები მივირთვით. მერე წითელსახურავიან ბოთლებში ჩამოსხმული ყველაზე უბრალო არაყი მოვითხოვეთ და კაი გემრიელად გამოვუთვერით. მოკლედ, აუტანლად, ამაზრზენად ვიქცეოდით — ვსვამდით, ვყვიროდით, ის კი არა, ბუქნასაც კი ვუვლიდით. კომპოზიტორი ჩუმად, მძვინვარედ, აღტყინებით ცეკვავდა, ცეკვავდა მსუბუქად, მისი ტანისათვის სრულიად შეუფერებლად... „ტროიკით“ შინისაკენ რომ მივქროდით, უკვე კარგად გათენებული იყო, იდგა ვარდისფერი, სუსხიანი დილა. ვნების მონასტერს რომ ჩავუქროლეთ, სახურავების თავზე ცივი, წითელი მზე ამობდღვრივდა. სამრეკლოებიდან ზარების ამაღელვებელი, დიდებული რეკვა გაისმა და თომჩაზდგარ, ყინვაში გახვეულ მოსკოვს გადაუარა. კომპოზიტორმა უცებ თავიდან შლაპა მოიძრო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უზარმაზარ მოედანს ცრემლმორეული ხმით გასძახა:

— მზეო ჩემო! საყვარელო ჩემო! ვაშაა!

ზღვისპირა ალპები. 1925.

### კორნელ ელაბინის საქმე

შემზარავი ამბავია — უცნაური, საიდუმლოებით მოცული და ამოუხსნელი... ერთის მხრივ თითქოს სრულიად უმნიშვნელო, მეორეს მხრივ, მსგავსად ვულგარული რომანისა, როგორც ეძახდნენ კიდევაც ჩვენს ქალაქში, მეტად რთული, ისე რომ შეიძლებოდა საუცხოო მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელადაც გამოგვეყენებინა... დამცველმა ეს სამართლიანად აღნიშნა სასამართლოზე.

— ამ საქმეში, — თქვა მან თავისი სიტყვის დასაწყისში, — საკამათო თითქოს არაფერი უნდა იყოს ჩემსა და ბრალმდებელს შორის, ვინაიდან განსას-



ჯელმა თავად აღიარა თავისი დანაშაული. დარბაზში მჯდომი თვითეული აღ-  
 აშანიც ხომ იმას ფიქრობს, არც მის მიერ ჩადენილი დანაშაული და არც მისი  
 მსხვერპლის პიროვნებაც, რომელიც განსასჯელმა ამ ქალისავე ნება-ასურვილით  
 გაუპატიურა, მაინცდამაინც დიდ ფიქრსა და ტვინის ჭყლეტას არ საჭიროებს  
 თავისი უბრალოებისა და ჩვეულებრივობის გამო? მაგრამ, ყოველივე ეს ასე  
 არ არის, იგი მხოლოდ გარეგნულად, ერთი შეხედვით ჩანს ასე — მიხვნი გან-  
 სჯისა და კამათისათვის საკმარისზე მეტია... მოკლედ უამრავი რამაა, რაზედაც  
 შეიძლება იმსჯელო და იკამათო კაცმა.

და შემდეგ:

დაუშვათ, ჩემი მიზანი მხოლოდ განსასჯელის შეწყნარებაა. ამისათვის  
 შეწყველო ბევრი არ შელაპარაკა. კანონმდებელი არ მიუთითებს, სახელდობრ,  
 რით უნდა იხელმძღვანელოს მსგავს შემთხვევაში მოსამართლემ. იგი დიდ სი-  
 ვრცეს ტოვებს მისი მიხვედრილობის, სინდისისა და გამჭრიახობისათვის, რომ-  
 ლის მიხედვითაც კანონის ფარგლებში მან თვითონვე უნდა შეაჩვიოს ესა თუ  
 ის ფორმა. და აი, მეც შევეცდებოდი, ხუმოქმედება მომეხდინა მოსამართლის  
 მიხვედრილობისა და სინდისზე, შევეცდებოდი წინა პლანზე გამომეტანა ყვე-  
 ლა ის საუკეთესო, რაც განსასჯელს გააჩნია და რაც შეამსუბუქებდა მის და-  
 ნაშაულს. შევეცდებოდი, გამეღვიძებინა მოსამართლეთა გულეში კეთილი  
 გრძნობები და ამას სულ უფრო მეტი დაჟინებით მოვიმოქმედებდი: იგი ხომ  
 მხოლოდ ერთს — შეგნებულ ბოროტ ნებელობას უარყოფს თავის საქციელში.  
 მიუხედავად ამისა, ალბათ თვით ამ შემთხვევაშიც ვერ გავექცეოდი ბრალმდ-  
 ბელთან კამათს, რომელმაც დამნაშავე, არც მეტი, არც ნაკლები, „პირწაეარ-  
 დნილ მკვლელად“ მონათლა. ყოველი საქმე ასედაც შეიძლება იქნეს აღქმუ-  
 ლი და ისედაც, ის შეიძლება ასედაც გააშუქო და ისედაც, თვითეულმა კა-  
 ცნა შეიძლება თავისებურად აღიქვას ესა თუ ის — ასედაც და ისედაც. მაინც,  
 როგორ გვესახება პირადად ჩვენ ეს საქმე? იმის გამო, რომ ერთი შეხედვით,  
 თითქოს არ არის არც ერთი შტრიხი, არც ერთი დეტალი, რომელზედაც ჩვენ  
 და ბრალმდებელი ერთნაირი შეხედულების ვიქნებოდით, რომლის გადმოცე-  
 მასა და გაშუქებას შეთანხმებულად შევძლებდით, იძულებული ვარ, ყოველ  
 წუთში ვიძახო — ყველაფერი ასეა და ყველაფერი ასე არ არის-მეთქი. ყვე-  
 ლაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ საქმის არსი სწორედ „ყველაფერი ასე არ  
 არისში“ მდგომარეობს.

მართლაც, შემზარავად დაიწყო ეს ამბავი.

იღვა გასული წლის ცხრამეტი ივნისის დილაალიონი — ეს-ესაა მეექვსე  
 საათი იწყებოდა, ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის როტმისტრის — ლიხარე-  
 ვის ზაფხულის ახლად ამოწვერილი მზის სხივებით განათებულ სასადილო  
 ოთახში კი უკვე ცხელოდა. მიუხედავად იმისა, როტმისტრს ბინა ქალაქგა-  
 რეთ განლაგებულ ჰუსართა ყაზარმების ერთ-ერთ კორპუსში ჰქონდა, აქ მაინც  
 სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. და აი, ამ სიწყნარესა და, რაც მთავარია,  
 ახალგაზრდობის გამო, როტმისტრს ფეხგაუნძრევლად ეძინა. მაგიდაზე ლი-  
 ქორის ბოთლები და ნახევრად შესმული ყაეის ფინჯნები ელაგა. მეზობლად,  
 სასტუმრო ოთახში, კიდევ ერთი ოფიცერი — შტაბ-როტმისტრი გრაფი კო-  
 შიცი იწვა, ხოლო იქით, კაბინეტში, კორნეტ სვესკის ეძინა. ერთი სიტყვით,  
 სრულიად ჩვეულებრივი დილა და ჩვეულებრივი სურათი გახლდათ მაგრამ ისე  
 როგორც ყოველთვის, როცა სრულიად ჩვეულებრივ ვითარებაში ხდება რაღაც  
 სრულიად უჩვეულო, მით უფრო თავზარდამცემი, გასაოცარი და თითქმის



დაუჯერებელი იყო ის, რაც ცხრაშეტი ივნისის დილას როტმისტრ ლიხარევის ბინაში მოხდა. გამოენიის სამარისებურ მდუმარებაში კარზე უცებ ზარმა დაიწვრიალა. დენშიკმა წინკარის კართან ფეხშიშველმა ფეხაკრეფით მიიბინა და კარი გააღო, რომ იმავე წუთს განზრახ ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა:

— შინ არის?

მერე ისეთივე ხმაურით, ჩექმების მოურიღებელი ბრაზბრუხითა და დეზების წკარუნით სტუმარმა სასადილოს კარი კუთხამდე გახსნა და ოთახში შევიდა. ხმაურზე ჯერ ისევ ძილბურანში მყოფმა როტმისტრმა თავი გაოცებულმა წამოყო. მის წინ მისი პოლკელი ამხანაგი — გამხდარი, ქერა, სახედაჭორფლილი, წვრილკანჭება ახალგაზრდა კაცი — კორნეტი ელაგინი იდგა, ძალზე კოხტად, საუცხოოდ გამოწყობილი, რაც, როგორც თვითონვე იცოდა თქმა, მის ყველაზე სუსტ მხარეს წარმოადგენდა. კორნეტმა ზაფხულის ფარაჯა სასწრაფოდ გაიძრო, იქვე სკამზე მიაგდო და ხმამაღლა წარმოთქვა: „აი, ჩემი სამხრეები!“ მერე მოპირდაპირე კედელთან მდგარ დივანთან მივიდა, ჩაჯდა, ზურგით მივერდნო და ხელები თავქვეშ ამოიწყო.

— მოიცა, მოიცა, — ჩაიბურღლუნა როტმისტრმა, რომელიც გაოცებისაგან თვალღებგაფართოებული მისჩერებოდა, — საიდან მოდიხარ, ან რა მოხდა, რა ჩაიდინე?

— მანია მოვკალი, — თქვა ელაგინმა.

— მთურალი ხომ არა ხარ? ვინ მანია, რა მანია?!

— მსახიობი მანია ოსიფოენა სოსნოვსკაია.

როტმისტრი დივანზე წამოჯდა:

— შენ რა, ხუმრობ?

— ვაი, რომ, სამწუხაროდ, ანდა იქნებ საბედნიეროდაც — არა.

— რომელი ხარ მანდ? რა იყო, რა მოხდა — გამოსძახა სასტუმრო ოთახიდან გრაფმა.

ელაგინი გაიზმორა, კარს ფეხი მსუბუქად წაჰკრა და შეაღო.

— რას ღრიალებ! მე ვარ, ელაგინი ვარ, მანიას რევოლვერი ვესროლე.

— რა? — თქვა გრაფმა, წუთით იყუჩა და უცებ ახარხარდა. — აჰ, აი თურმე რა! ეშმაკსაც წაუღიხარ! ამჯერად გეპატიუება... კიდევ კარგი, გამაღვიძე. წუხელაც სამ საათამდე ვიქეიფეთ.

— გეფიცები, მართლა მოვკალი, — დაყინებით გაიმეორა ელაგინმა.

— ტყუი, ძმაო ტყუი — იყვირა სახლის პატრონმაც და წინდები აიღო, — რაიმე ისეთი ხომ არ მოხდა-მეთქი, ლამის მართლა შემეშინდა. ეფრემ, ჩაი მოგვიტანე!

ელაგინმა შარვლის ჯიბიდან რაღაც პატარა გასაღები ამოიღო. მხარს უკან მიგიდაზე ისროლა და თქვა:

— წადით, თქვენი თვალით ნახეთ...

სასამართლოზე პროკურორმა ბევრი ილაპარაკა ელაგინის დრამის ზოგიერთი სცენის ცინიზმსა და შემზარაობაზე და ამ სცენასაც არაერთხელ გაუსვა ხაზი დაბეჯითებით. ის კი დაავიწყდა, როტმისტრმა ლიხარევმა მხოლოდ პირველ წუთებში რომ ვერ შეამჩნია ელაგინის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზებუნებრივი“ ფერმიხდილობა თუ მისი თვალების როგორიღაც „არაადამიანური“ გამომეტყველება, ხოლო შემდეგ „გაოცებული დარჩა ერთი-თავ და მეორითაც“...



2.

ასე და ამგვარად, აი რა მოხდა გასული წლის ცხრამეტ ივნისს, დილას.

ნახევარ საათსაც არ გაევილო, რომ გრაფი კომიცი და კორნეტი სვეტიცხოვე იმ სახლის სადარბაზოს წინ იდგნენ, სადაც სოსნოვსკაია ცხოვრობდა — ახლა ისინი უკვე ხუმრობის ხასიათზე აღარ იყვნენ.

გზაში ისე ჩქარობდნენ, მეეტლეს ლამის სული ამოხადეს, მასულები კი ღია ეტლიდან სულ თავპირისმტკრევით გადმოცვივდნენ — გასაღებს კარში სჩრიდნენ და თან დაჟინებით რეკავდნენ, მაგრამ ვერც გასაღებს არგებდნენ და არც კარს შიგნიდან ისმოდა რაიმე ჩამჩხუმი. ბოლოს მოთმინებად-კარგულებმა მეეზოვეს დაუწყვეს ძებნა. მეეზოვე უკანა შესასვლელი კარიდან მაშინვე სამზარეულოში შეეარდა და უკან რომ დაბრუნდა — მოსამსახურემ ასე თქვა, სოსნოვსკაიას წუხელ ღამე შინ არ გაუთენებია, ახალი შემოსალამო-ვებული იყო, სახლიდან რომ გავიდა, ხელში რაღაც შეხვეული ეჭირათ, —

მოახსენათ. გრაფი და კორნეტი საგონებელში ჩაცვივდნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს მეფიქრიანებულებმა მხრები აიჩეხეს, ეტლში ჩასხდნენ, მეეზოვე გვერდით მოისვენეს და ნაწილისაკენ გასწიეს. ნაწილში რომ მივიდნენ, როტმისტრ ლიხარევს დაურქვეს. როტმისტრმა ცოფიანივით იყვირა ყურმილში.

— ამ იდიოტს, რომელსაც მზად ვარ, ერთი მაგრად ვუღრიალო, დაავიწყ-და ეთქვა, სოსნოვსკაიას ბინაში კი არა, მათ სასიყვარულო ბუნავში — სტა-როგრაფსკაიას თოთხმეტ ნომერში რომ უნდა მისულიყავით! გესმით, სტაროგრაფსკაიას თოთხმეტში! ეს რაღაც პარიზული გარსონიერივითაა, შესასვლელი პირდაპირ ქუჩიდან აქვს...

მათ მაშინვე სტაროგრაფსკაიას ქუჩისაკენ გასწიეს.

მეეზოვე კოფოზე დაჯდა, საპოლიციო უბნის უფროსი ეტლში ოფიცრების წინ მოპირდაპირე მხარეს მოთავსდა. იჯდა თავისთვის დინჯად, თავშეკა-ვებულად. სიცხით გათანგული ქუჩები ხალხითა და ხმაურით იყო სავსე. აბა, როგორ წარმოიდგენდი, ამ მზით გაჩახჩახებულ, ხალისიან დილას სადღაც ვიღაც მკვდარი იწვებოდა და ეს საშკა ელაგინის ნამოქმედარი იქნებოდა. ეს აზრი გონებას გიბნევდა და ჩიხში გამწყვდევდა. რისთვის, როგორ, რატომ მოკლა? ეს ყველაფერი სრულიად გაუგებარი იყო, ყველა ეს კითხვა უპასუ-ხოდ რჩებოდა.

ბოლოს, როდესაც სტაროგრაფის ქუჩაზე ძველი, უღიმღამო ორსართუ-ლიანი სახლის წინ გაჩერდნენ, გრაფიცა და კორნეტიც, როგორც შემდეგ თვითონვე ამბობდნენ, ისე იყვნენ დამფრთხალები, „აღარაფრის თა-ვი აღარ ჰქონდათ“. ნუთუ ეს ყველაფერი აქ, ამ სახლში მოხდა, ნუთუ ასე გარდაუვალი იყო ამ საშინელების ხილვა? თან მაინც ასე მოუთმენლად გული აქეთ რატომ მოვიწევდა, ასე რატომ გინდოდა, გე-ნახა? სამაგიეროდ უბნის რწმუნებულმა იგრძნო თავი ერთბაშად მხნედ და დაუჯერებლად.

— თუ შეიძლება, გასაღები მომეცით, — თქვა მან გულგრილად. ამ სიტყ-ვებზე ოფიცრებმა გასაღები ისე სასწრაფოდ, ისე მორჩილად და მოწინებით გადასცეს, როგორც ამას ალბათ მეეზოვეც არ იზამდა.

სახლს შუაში ჭიშკარი ქონდა. ჭიშკარს იქით პატარა ეზო და არაბუნე-ბრივად ხასხასა, მწვანედ შემოსილი მომცრო ხე მოჩანდა. ფოთოლთა ეს არა-



ბუნებრივი სიმწვანე იქნებ ქვის ჩაშაყებული კედლების ფონზეც იყო ასეთი- ის იღუმალებით მოცული კარი, რომლის გაღებასაც ცდილობდნენ და რომელიც პირდაპირ ქუჩაში გამოდიოდა, სწორედ ამ ჭიშკრის მარჯვნივ მდებარეობდა. კუშტად შუბლშეკრულმა უბნის რწმუნებულმა კარს გასაღები მოარგო და შეხსნა. გრაფისა და კორნეტის თვალწინ რაღაც ჩაბნელებულ დერეფნის მაგვარი გამოჩნდა. ოთახის სიღრმეში ორ საეარძელს შუა მდგარ პატარა მაგიდაზე ხილისა და ნანადირევი ხორცის ნარჩენებით სვესვე თუფლები ელაგა. კიდევ უფრო სევდის მომგვრელი იყო ის, რაც ბინაში ღრმად შესულებს წარმოუდგათ თვალწინ. დერეფნის მარჯვენა კედელზე მეზობელ ოთახში გასასვლელი პატარა კარი აღმოჩნდა. ასევე სრულიად ჩაბნელებულ ოთახს საძარისებურ შუქს ჰფენდა ჭერში ჩამოკიდებული შავი აბრეშუმის დიდი ქოლგის ქვეშ მიმაგრებული ოპალის პატარა ფარანი. ყრუ, უფანჯრო კედლებზე რაღაც შავი ქსოვილი იყო გაჭიმული. აქაც, ისევე როგორც წინა ოთახის სიღრმეში დიდი და დაბალი თურქული დივანი იდგა. დივანზე პერანგის ამარა ესვენა მკერდზე თავჩამოვლებული, იშვიათი სილამაზის სრულიად ახალგაზრდა ქალი. თვალები ნახევრად ღიად ჰქონდა დარჩენილი, ბაგე ოდნავ გაპოხილი, კიდურები დაჭიმული, ფეხები ოდნავ გან-განზე გაწეული — იწვა და თეთრად შემოქაითქათებდა სიბნელიდან.

ოთახში შესულნი წამით შიშისა და გაოცებისაგან ადვილზე გახევდნენ.

3.

მიცვალებულის სილამაზე მართლაც რომ ენით აუწერელი იყო, იგი ყოველმხრივ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც, მაგალითად, ახალგაზრდა მხატვრები უყენებენ თავისთავს იდეალური ქალის გამოსახატავად. ამ ქალს ყველაფერი ჰქონდა, თუ რამ ჯერ არს — შესანიშნავი აღნაგობა, სხეულის საუცხოო ტონი, ჩამოქანდაკებული ფეხები, ბავშვურ, გულუბრყვილო ბავგთა სიტურფე, პატარა, სწორნაკვთებიანი სახე თუ საუცხოო თმა... მაგრამ ეს ყველაფერი უკვე მკვდარი იყო... მისი ეს სილამაზე სიკვდილს კიდევ უფრო თავზარდამცემს ხდიდა. თმა ისე ლამაზად ჰქონდა დავარცხნილი, საშეჯლისოდ გამზადებული გვეგონებოდა. თავი დივანის ამალღებულ სასთუმალზე ედო, რის გამოც ნიკაპი ოდნავ მკერდს ეხებოდა და მის უმოძრაო, ნახევრად ღიად დარჩენილ თვალებსა და მთელ სახეს შეფიქრიალებულ იერს აძლევდა. ყოველივე ამას უცნაურ შუქს ჰფენდა ოპალის პატარა ფარანი, რომელიც მიცვალებულის თავს ზემოთ ჭერში ჩამოკიდებული, რომელიღაც მტაცებელი ფრინველის მსგავსი უხარმაზარი შავი ქოლგის ფსკერზე იყო მიმაგრებული.

ამ სურათმა თვით პოლიციის უბნის რწმუნებულებს კი შესძრა. ამის შემდეგ ისინი გაუბედავად და კრძალვით შეუდგნენ ქალის უფრო დაწვრილებით დათვალიერებას.

მშვენიერი შიშველი მკლავები მიცვალებულს სხეულის ჩასწვრივ ჰქონდა ჩაჭიმული. ღამის პერანგის მაქმანზე ელაგინის ორი სავიზიტო ბარათი, ხოლო ფერხთით ჰუსარის ხმალი იყო, რომელიც მისი ქალური სიშიშველის გვერდით საოცრად მოუხეშავი ჩანდა. იქნებ სისხლის რაიმე ნაკვალევი აჩნიაო, — გაიფიქრა გრაფმა და ხმლის ქარქაშიდან ამოძრობა დააპირა, მაგრამ უბნის რწმუნებულმა ამ უკანონო და უაზრო ქმედების უფლება არ მისცა.

— პო, რა/თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ჯერ ხელის ხლება არ შეიძლება



მე ის მათებს, სისხლის ნაკვალევსა და რაიმე ძალადობის ნიშანს ვერსად ვხედავ. როგორც ჩანს, მოწამლული უნდა იყოს.

— იქონიეთ მოთმინება, — უთხრა დამრიგებლური კილოთი უბნის რწმუნებულმა, — აი, მოკლენ გამომძიებელი და ექიმი და ვნახოთ... ისე, თითქოს ჰკავს მოწამლულს.

მოწამლულს კი მართლაც ჰკავდა, ვინაიდან, სისხლის ერთი წვეთიც არსად იყო — არც იატაკზე, არც დივანზე, არც სხეულსა და არც მიცვალებულის პერანგზე-დივანს ვკერდით, სავარძულზე, ქალის პანტალონი და პენუარი იყო, ნათქვამ ცისფერი ბლუზა, ძალიან ძვირფასი ქსოვილის ქვედა კაბა და ნაცრისფერი აბრეშუმის მანტო... ეს ყველაფერი დაუდევრად იყო მიყრილი და არც ამ ტანსაცმელს აჩნდა სისხლის რაიმე ნაკვალევი. აზრს მოწამლის შესახებ ისიც განამტკიცებდა, რაც დივანს ზემოთ, კედლის შვერილზე აღმოჩნდა — შამპანურის ბოთლებსა და საცობებს, ქალის თმის სარჭებს, ხელნაწერი ქაღალდის ნაგლეჯებს შორის იდგა ლუდის ნარჩენებიანი ჭიქა და თეთრიარლიყიანი წამლის პატარა, შუშა, ავბედითი წარწერით:

მაგრამ, ზუსტად იმ წუთებში, როდესაც პოლიციის უბნის რწმუნებულმა, გრაფი და კორნეტი ამ ლათინურ სიტყვებს რიგრიგობით ჩაჰკირკიტებდნენ, ქუჩიდან მოახლოებული ეკიპაჟის ზმაური მოისმა — ეკიპაჟში ექიმი და გამომძიებელი ისხდნენ. და, აი, სულ რაღაც ორიოდ წუთში მათ უკვე იცოდნენ, რომ ელაგინი მართლაც ამბობდა და რომ სოსნოვსკაია მართლაც რევოლუერით იყო მკვდარი. მართალია, ღამის პერანგს სისხლის ნაკვალევი არსად აჩნდა, მაგრამ, გულის მიდამოში, პერანგის ქვეშ ქალს მეწამული ლაქა და ამ ლაქის შუაგულში კანშემომწვარი პატარა მრგვალი ჭრილობა აღმოაჩნდა, საიდანაც ჯერ ისევ ჟონავდა მუქი მეწამული ხსნელი. და თუ არაფერი ისვრებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჭრილობა დაჭმუჭნული ცხვირსახოციით იყო დაცული...

კიდევ რა დაადგინა სამედიცინო ექსპერტიზამ? არც თუ ისე ბევრი რამ — ის, რომ მიცვალებულს მარჯვენა ფელტვში ტუბერკულოზის ნიშნები აღმოაჩნდა; რომ ტყვია მიბჯნით ჰქონდა ნასროლი და რომ იგი სროლისთანავე გარდაიცვალა, თუმცა გასროლის შემდეგ ქალმა მაინც მოახსრო ერთი მოკლე ფრაზის წარმოთქმა რომ მკვლელსა და მოკლულს შორის არავითარი ბრძოლა და წინააღმდეგობა არ ყოფილა; რომ ქალი სვამდა შამპანურს და ლუდთან ერთად მცირედენი რაოდენობის (ცხადია არა სასიკვდილო) ოპიუმიც მიიღო; და ბოლოს ის, რომ ამ საბედისწერო ღამეს ჰქონდა სქესობრივი კავშირი მამაკაცთან...


მაგრამ რისთვის, რის გამო მოკლა ამ კაცმა ეს ქალი? ამ კითხვის პასუხად ელაგინი დაჟინებით იმეორებდა: იმიტომ, რომ ორივენი — ისიცა და სოსნოვსკაიაც „ტრაგიკულ მდგომარეობაში“ იყვნენ, რომ ისინი ამ მდგომარეობიდან ვერავითარ გამოსავალს ვერ ხედავდნენ, გარდა სიკვდილისა, რომ სოსნოვსკაიას სიკვდილით მან მხოლოდ იმ ქალის ბრძანება შეასრულა. თუმცა ამას თითქმის სრულიად ეწინააღმდეგებოდა გარდაცვლილის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი ბარათი. ქალს ხომ გულზე მისი ხელით პოლიონურად შევსებული (და საკმაოდ უწიგნურადაც) ორი სავიზიტო ბარათი უნახეს, რომელთაგან ერთ-ერთში ეწერა:

— გენერალ კონოვნიცინს, თეატრის მმართველობის თავმჯდომარეს. მეგობარო ჩემო! მადლობელი ვარ მთელი ამ რამოდენიმე წლის მანძილზე შე-



ნი ასეთი კეთილშობილური მეგობრობისათვის... ვიგზავნი უკანასკნელ სა-  
ლამს და გთხოვ, ფული, რომელიც ჩემი ბოლო გამოსვლებისათვის მეკუთვ-  
ნის, დედაჩემს გადასცე...

— მეორეში კი —

— მე რომ მომკლა, ეს კაცი სამართლიანად მოიქცა... საბოლოო, უბედუ-  
რი დედაჩემი! შენდობას არ გთხოვ, რამეთუ ჩემი სიკვდილი ჩემი ნება სურ-  
ვილით არ ხდება... დედა, ჩვენ ისევ ვნახავთ ერთმანეთს... ...  
ში... ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ბოლო საათებია...

ასეთივე სავიზიტო ბარათებზე იყო დაწერილი სოსნოვსკაიას სხვა სი-  
კვდილისწინა წერილებიც, რომელიც შემდეგ საგულდაგულოდ დაეხიათ და ნა-  
ხევები კედლის შვერილზე დაეყარათ. ნაკუნ-ნაკუნად ქცეული წერილები რომ  
დააწებეს, ასეთი რამ ამოიკითხეს:

— ეს კაცი თავისა და ჩემს სიკვდილს მოითხოვს... ცოცხალი აქედან აღ-  
ბათ ვეღარ გავაღ...

— ასე და ამგვარად, ჩემი აღსასრულის უამიც დადგა... ღმერთო, მიშვე-  
ლე... ახლა ყველა ჩემი ფიქრი, მთელი ჩემი გონება წმინდა ხელოვნებას და  
დედაჩემს ეკუთვნის.

— ჩემ წინ უფსკრულია!.. ეს კაცი ჩემი ბედისწერაა!.. ღმერთო, მიშველე,  
გადამარჩინე!..

და ბოლოს ყველაზე უცნაური და ამოუცნობელი:

Quand même pour toujours...

ყველა ის ბარათი და ისიც, რომელიც მიცვალებულს ხელუხლებლად  
ელთ მკერდზე ასევე კედლის შვერილზე დაყრილი ნაგლეჯებიც, თითქოს  
სრულიად ეწინააღმდეგებოდა ელაგინის მტკიცებას. მაგრამ მხოლოდ „თით-  
ქოს“. რატომ არ იყო დახეული სოსნოვსკაიას გულზე დადებული ის ორი სა-  
ვიზიტო ბარათიც, რომელთაგან ერთ-ერთზე ელაგინისათვის ესოდენ საბუდი-  
სწერო სიტყვები — ჩემი სიკვდილი ჩემი ნება-სურვილით არ ხდებაო, — ეწე-  
რა? ელაგინმა არა თუ დახია და ნაგლეჯები თან წაიღო, არამედ თვითონ და-  
აწყო (ვინაიდან, თუ არა თვითონ, სხვას აბა ვის შეეძლო ამის გაკეთება?)  
ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. იქნებ სინქარეში დახევა ვერ მოასწრო? სინ-  
ქარეში, ცხადია, შეიძლება დავიწყებოდა კიდევაც, მაგრამ როგორ მოხდა, სი-  
ნქარეში თავისთვის ესოდენ სახიფათო ბარათები მიცვალებულის გულზე, ყვე-  
ლაზე გამოსაჩენ ადგილას რომ დააწყო? ანდა ვითომ ჩქარობდა კი? რა თქმა  
უნდა, არა, არ ჩქარობდა! ჯერ მიცვალებული მოიყვანა სრულ წესრიგში, პე-  
რანგი გაუსწორა, კრილობაში ცხვირსახოცი ჩაუდო, მერე თვითონაც ჩაიც-  
ვა, გამოეწყო და მოწესრიგდა... დიახ, პროკურორი ამ შემთხვევაში მართალი  
იყო — აჩქარებითა და ფაცაფუცით აქ არაფერი გაკეთებულა.

4.

პროკურორი ამბობდა:

— არსებობს ორი სახის დანაშაული. პირველი — შემთხვევითი, როდესაც  
ბოროტმოქმედება უბედურ გარემოებათა დამთხვევისა და გაღიზიანების ნაყო-  
ფია და მეცნიერულად მას „ხანმოკლე შემთხვევა“ ეწოდება. მეორე — ბო-

1 და მაინც სამუდამოდ... (ფრანგ.)



როტმოქმედება, რომლის დროსაც დანაშაული წინასწარი ბოროტი განზრახვით ხდება. ამ სახის ბოროტმოქმედების ჩამდენსა დაბადებით საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მტრები, სისხლის სამართლის დამნაშავე მკვლელები არიან. მაინც რომელი სახის დამნაშავეებს უნდა მივაკუთვნოთ კაცს რომელიც ახლა ჩვენ წინ, განსასჯელის სკამზე ზის? რა თქმა უნდა, მკვლელს სახის. იგი, ეჭვი არ არის, სისხლის სამართლის დამნაშავე მკვლელია. დანაშაული მხოლოდ იმ მიზეზით ჩაიდინა, რომ უსაქმური და აღზრდასთან დაკავშირებული ცხოვრებისგან მხეცად იყო ქცეული...

ეს ტირადა მეტიმეტად უცნაური გახლდათ (თუმცა კი გამოხატავდა მთელი ქალაქის საზოგადოებრივ აზრს ელაგინის შესახებ), მით უფრო უცნაური, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სასამართლო პროცესის მსვლელობისას ან ხელზე დაერდნობილი იჯდა, ან სახეზე ხელემაფარებული და ყველა ვიოხვას წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როგორცაც გულისშემძვრელი მოკრძალებითა და სევდით პასუხობდა. მაგრამ ამავე დროს პროკურორი თითქოს მართალიც იყო — განსასჯელის სკამზე იჯდა არამც და არამც ჩვეულებრივი, „ხანმოკლე შეშლილობისაგან“ გონებაარეული დამნაშავე.

პროკურორმა ორი კითხვა დასვა: პირველი — მოხდა თუ არა დანაშაული აფექტის ანუ გაღიზიანებულ მდგომარეობაში და მეორე — ამან ხომ არ შეუწყო ხელი უნებლიე მკვლელობას? მაგრამ ორივე ამ კითხვას თვითონვე გასცა დაჯერებული პასუხი.

— არა, — თქვა მან პირველი შეკითხვის პასუხად, — ყოველგვარ აფექტზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია, თუნდაც იმიტომ, რომ აფექტი რამოდენიმე საათს არასოდეს გრძელდება. ან კი რას შეიძლება გამოეწვიოს ელაგინში ეს აფექტი?

მეორის გადასაწყვეტად პროკურორმა ათასგვარა წვრილმანი შეკითხვა დაუსვა თავისთავს, მაგრამ თავისი პასუხებით უმაღლეს თავადვე აქარწყლებდა საკუთარ ვარაუდს, ის კი არა, ზოგჯერ დასცინოდა კიდევაც:

იქნებ ჩვეულებრივზე მეტი დაღია ელაგინმა იმ საბედისწერო დღეს? არა, ნართალია საერთოდ ბევრს სვამდა, მაგრამ იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტი არ დაუღევია.

— არის თუ არა, ან იყო თუ არა განსასჯელი ჯანმრთელი? ვუერთდები იმ ეჭმების აზრს, რომლებმაც გამოიკვლიეს და რომელთა აზრითაც, იგი იყო და არის სრულიად ჯანმრთელი. მაგრამ ეს არის კაცი, რომელიც იოტისოდენადაც არ არის მიჩვეული საკუთარი თავის მოთოკვას.

— იქნებ აფექტი იმით იყო გამოწვეული, მასა და მის საყვარელ ქალს შორის ქორწინება შეუძლებელი რომ ხლებოდა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ მას ნამდვილად უყვარდა ეს ქალი. არა, ვინაიდან დანაშაულებით ვიცით, რომ განსასჯელს არასოდეს უზრუნია, არავითარი დამწყვეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რათა ეს ქორწინება შემდგარიყო.

და შემდეგ:

— იქნებ იგი სოსნოვსკაიას საზღვარგარეთ მოსალოდნელმა გამგზავრებამ მოიყვანა აფექტში? არა, იმიტომ, რომ მან უკვე დიდი ხანია იცოდა მისი ამ გამგზავრების შესახებ.

— მაშინ იქნებ სოსნოვსკაიასთან მოსალოდნელი განხეთქილება იყო აფექტის მიზეზი, განხეთქილება, რომელიც ქალის გამგზავრებით იქნებოდა გამოწვეული? არა, არა და არა! ვინაიდან ამ გამგზავრების შესახებ მათ ადრეც არა-



ერთხელ ჰქონიათ საუბარი. თუ ასეა, მაშ რა იყო, ბოლოსა და ბოლოს, ამ მკვლელობის მიზეზი? სიკვდილზე გამუდმებული საუბრები? ოთახების უცნაური მორიულობა, მისი, ასე ვთქვათ, საცდური, მისი, ისე როგორც მთელი ამ ავადმყოფური, შემზარავი ღამის სიმძიმე? მაგრამ სიკვდილზე საუბრები შეუძლებელია ელაგინისათვის ახალი ამბავი ყოფილიყო — ასეთი საუბრები მასა და მის სატრფოს შორის განუწყვეტლივ ხდებოდა და, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ყელშიც ჰქონდა ამოსული. რაც შეეხება საცდურს, მასზე, უბრალოდ, სიტყვილოც კია ლაპარაკი — იგი ხომ სრულიად პროზაული ნივთებით იყო განზავებული: ვახშმით, მაგიდაზე გაშლილი საჭმლის ნარჩენებით, ბოთლებით და ბოდიშს ვიხდი, თვით ღამის ჭურჭლითაც კი...

ელაგინი ჭამდა, სვამდა, იკმაყოფილებდა თავის ბუნებრივ მოთხოვნილებებს, ვადიოდა მეორე ოთახში ღვინისა თუ ფანქრის სათლელი დანისათვის.

— რაც შეეხება იმას, იყო თუ არა მის მიერ ჩადენილი მკვლელობა მიცვალებულის ნების აღსრულება, ამაზე დიდი და ხანგრძლივი მსჯელობა არ დაგვჭირდება, ამ საკითხის გადასაჭრელად ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი მხრივ ელაგინის დაუსაბუთებელი, ლიტონი მტკიცება, თითქოს სოსნოვსკაია თავად სთხოვდა, ზოგჯერ, ხოლო მეორეს მხრივ, მისთვის სრულიად საბედისწერო სოსნოვსკაიას პარათი — ჩემი სიკვდილი ჩემი ნება-სურვილით არ ხდებოდა.

5

პროკურორს მრავალ წერილმანში შეიძლებოდა შევკამათებოდით. „განსასჯელი სრულიად ჯანმრთელი კაცია“... ამბობს იგი, მაგრამ, სად არის საზღვარი ჯანმრთელობას, ნორმალურობას და არანორმალურობას შორის? „არავითარი გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რათა ეს ქორწინება შემდგარიყო“... კი ბატონო, მაგრამ, არ გადადგა ეს ნაბიჯი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი სრულიად დარწმუნებული იყო მის უაზრობაში. მეორეც — ნუთუ სიყვარული და ქორწინება ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ამით ელაგინი დამშვიდდებოდა და გადაჭრიდა თავისი სიყვარულის დრამას? განა ცნობილი არ არის, რომ ყოველგვარ ძლიერსა და, საერთოდ, არც თუ მთლად ჩვეულებრივ სიყვარულს, ერთი ასეთი უცნაური თვისება აქვს — იგი გაურბის, თავს არიდებს ქორწინებას?

მაგრამ ეს ყოველივე, როგორც უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ წერილმანია. დანარჩენ შემთხვევაში პროკურორი მართალი იყო — მკვლელობა არ მომხდარა აფექტის შედეგად.

იგი ამბობდა:

— სამედიცინო ექსპერტიზა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ელაგინი არათუ აფექტის მდგომარეობაში, პირიქით, „უფრო“ მშვიდადაც იყო. მე კი ვამტკიცებ — მხოლოდ მშვიდად კი არა, გასაოცრად მშვიდადაც კი. ამაში ჩვენ გვარწმუნებს იმ დალაგებული ოთახის დათვალიერება, სადაც დანაშაული მოხდა და სადაც ელაგინი დანაშაულის ჩადენის შემდეგაც კარგა დიდხანს დარჩა. ასეთივეა მოწყმე იაროშენკოს ჩვენებაც — მან თავისი თვლით ნახა, რა მშვიდად გამოვიდა ელაგინი სტაროგრაძსკაიაზე მდებარე ბინიდან და რა აუჩქარებლად, საგულდაგულოდ დაკეტა კარი გასაღებით. და ბოლოს, ელაგინის საქციელი როტმისტრ ლინარევთან. მაგალითად, რა უთხრა ელაგინმა სეესკის, რომელიც დაბეჯითებით სთხოვდა, „ჭკუაზე მოსულიყო“, გაეხსენებინა, სოსნოვსკაიამ თვითონ ხომ არ ცხროდა, თვითონ ხომ არ მოიკლა თავი: რაზედაც ელაგინმა უპასუხა: — არა,



მათ, ყველაფერი შესანიშნავად მახსოვს და, დაწვრილებით აღწერა, რევოლუციური როგორ ესროლა. მოწმე ბუღბერგი შეძრწუნებულიც კი იყო თავისი ამ აღსარების შემდეგ ელაგინი რა მშვიდად, აუღელვებლად შეექცეოდა ჩაის. ვერც მოწმე ფოხტი ფარაუდა — იმედი მაქვს დღეს მეცადინეობიდან გამათავისუფლებთო... და ეს იმდენად შემზარავი, იმდენად თავზარდამცემი იყო — კორნეილა სუსკიმ თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა. — თქვა ფოხტმა. თუმცა ეჭვი წუფილი როდესაც ელაგინმაც იტირა — ეს მაშინ, როტმისტრი პოლკის მეთაურად ჩაირიქა დაბრუნდა, რომელთანაც ელაგინის შესახებ ბრძანების თაობაზე იყო. ელაგინმა დახარევს და ფოხტს სახეში შეხედა და უმაღლესად მიხედა, რომ უკვე ოფიცერი აღარ იყო. დიახ, მხოლოდ მაშინ ატირდა ელაგინი, როცა ამ ამბავს მიხედა. — დაამთავრა თავისი სიტყვა პროკურორმა, — დიახ, მხოლოდ მაშინ!

ცხადია, მეტად უცნაური იყო მისი ეს ბოლო ფრაზაც. ვისთვის არ არის ცნობილი, თუ რაოდენ ხშირად ხდება მსგავსი უცაბედი გამოფხიზლება სიმწრით გაოგნებული ადამიანისა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, შემთხვევით თვალში წონვედრილი რაღაცის გამო, რომელიც უცებ მთელ მის განვლილ, ბედნიერ ცხოვრებას და ახლანდელი მდგომარეობის უიმედობას გაახსენებს? ხოლო ელაგინს ეს ყოველივე გაახსენა არა რაღაც უმნიშვნელო, შემთხვევითმა ამბავმა — ის ხომ ღამის დაიბადა ოფიცრად, ვინაიდან მისი წინაპრების მთელი ათი თაობა ოფიცრები იყვნენ. და აი, უცებ აღმოჩნდა, რომ ის უკვე ოფიცერი აღარ არის და აღარ არის იმით, რომ აღარც ის ადამიანია ცოცხალი, რომელიც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა და რომ მის ამ სასწაულებრივ სიკვდილში თავად ედო ბრალი!

სხვათა შორის, ესეც მხოლოდ წერილშია. მთავარი ისაა, რომ არავითარ „ხანმოკლე შემოღობა“ არ ყოფილა. მაშ რა მოხდა? პროკურორი გამოტყდა, რომ ამ ბნელ საქმეში ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც ელაგინისა და სოსნოვსკაიას ხასიათებზე გვექნება მსჯელობა და როდესაც მათ ურთიერთობას გავარკვევთო, ხოლო შემდეგ მტკიცედ დასაბანა:

— შეხვდა ორი პიროვნება, რომელთაც სრულიად არაფერი ჰქონდათ საერთო...

მაგრამ, მართლა ასე იყო? იყო მართლა ეს ასე?

ელაგინის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მე ვიტყვოდი იმას, რომ იგი ოცდამეორე წლის ყმაწვილი კაცი იყო და რომ ადამიანის ცხოვრებაში ეს არის ყველაზე საბედისწერო ასაკი, ყველაზე საშინელი ხანა, მთელი მისი მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელი, როდესაც, როგორც წესი, ხდება ის, რასაც სამედიცინო ენაზე სქესობრივი მომწიფება ეწოდება; ხანა, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში შემოდის პირველი სიყვარული, რომელიც მუდამ პოეტურად, საერთოდ კი ყოველთვის ქარაფშუტულად განიხილება. კარგად არის ცნობილი, რომ პირველ სიყვარულს ხშირად თან დრამატიზმი და ტრაგიზმი ახლავს, მაგრამ სრულიად არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ადამიანებს ამ ასაკში გაცილებით ღრმა, გაცილებით რთული განცდები აქვთ, ვიდრე ის ტანჯვა და მღელვარებაა, რომელსაც, ჩვეულებრივ, საყვარელი არსების თაყვანისცემას უწოდებენ. ამ



დროს თავადაც არ იციან, ისე განიცდიან სხეულის საოცარ აყვავებას, მტანჯველ აღმოჩენას — სქესის პირველ მესას და აი, მე რომ ელაგინის დამცველი ვყოფილიყავი, მოსამართლეს ვთხოვდი, მისი ასაკისათვის ყურადღება სწორედ ამ თვალთახედვით მიექცია, და კიდევ იმისათვის, რომ ჩვენს წინ იჯდა კაცი, სრულიად გამორჩეული ამ მხრივ. „ახალგაზრდა ჰუსარი, შმაგი დარდიმანდი“, — ამბობს პროკურორი, იმეორებს რა საერთო აზრს და თავისი ნათქვამის სისწორის დასტურად მოჰყავს ერთერთი მოწმის — მსახიობ <sup>ქრისტეშვილი</sup> სიტყვები ამის შესახებ, თუ ერთხელაც ელაგინი როგორ მივიდა დღისით-მზისით თეატრში, როდესაც მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ, მის დანახვაზე სოსნოვსკაია უცებ ლისოვსკის ზურგს როგორ ამოეფარა და აჩქარებით როგორ უთხრა: დამნალე, რა, ბიძია, დამმალე, არ დამინახოსო! მე მართლაც ჩამოვეფარე, ღვინით გაჟღენთილი ეს ჰუსარი კი უცებ ერთ ადგილას გაშეშდა — დგას აქეთ-იქით ფეხებგადგმული და გაოგნებული იყურება — ვერ გაუგია, რა იქნა, სად გაუჩინარდა ეს სოსნოვსკაია!“

კაცი მართლაც ჭკუაზე აღარ არის, შეშლილი და გადარეულია, ოღონდ საკითხავია, რისგანაა ასე შეშლილი და გადარეული? ნუთუ მართლა „უსაქმური და აღვირახსნილი ცხოვრებისაგან“?

ელაგინს, მდიდარი და დიდგვაროვანი ოჯახის შვილს, დედა, შეტად ეგზალტირებული ბუნების ქალი, ძალზე ადრე გარდაეცვალა, მკაცრი, სასტიკი მამისაგან კი, უპირველეს ყოვლისა, ის შიში აშორებდა, რომელშიც გაიზარდა და დაეაუკაცდა. პროკურორმა თამამად (ყოველგვარი მორიდებისა და გულშემატკივრობის გარეშე) დახატა ელაგინის არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ ფიზიკური ხატიც და დასძინა:

— ასეთი გახლდათ, ბატონებო, ჰუსარის თვალწარმტაც ტანსაცმელში გამოწყობილი ჩვენი გმირი. მაგრამ, აბა, შეხედეთ ახლა, როდესაც უკვე აღარაფერი ამშვენებს და აღარაფერი აღამაზებს! თქვენ წინაშეა დაბალი, მხრებში ნიხრილი, პატარა, უღვაშგამოხუნებული არაფრის მოქმელი სახის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ თავისი შაეი სურთუკით სულაც არაფრით მოგვაგონებს ოტელოს, ესე იგი, პიროვნება, ჩემის აზრით, მკვეთრად გამოხატული დეგენერაციული თვისებებით და ზოგიერთ შემთხვევაში უკიდურესად ლაჩარიც, მაგალითად, მამასთან დამოკიდებულებაში. იგი მხოლოდ მაშინაა გაბედული და ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული, როდესაც მამის მზერას არ გრძნობს და, საერთოდ, დარწმუნებულია, რომ არავინ დასჯის...

რას იზამ, ამ უკმეხ მკაცრ დახასიათებაში ბევრი რამ იყო მართალი. მაგრამ პირადად მე, მის ამ სიტყვებს რომ ვუსმენდი, ჯერ ერთი, ვერ გავიგე, როგორ შეიძლებოდა ასე ზერულედ მოჰკიდებოდი ყოველივე იმ მეტად რთულსა და ტრაგიკულს, რითაც ხშირად გამოირჩევიან მემკვიდრეობითობის ეს მკვეთრად მატარებელი ადამიანები, მეორეც — მიუხედავად ყველაფრისა, მე ძალზე მცირე სიმართლეს ვხედავდი მის იმ სიმართლეში. დიახ, ელაგინი თრთოდა მამის წინაშე, მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო შიშის თრთოლვა და სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მშიშარა კაცი იყო, განსაკუთრებით მშობლების წინაშე, განსაკუთრებით იმ ადამიანისათვის, რომელშიც გასამძაგებულად იგრძნობა მთელი ის მემკვიდრეობა, რომელიც მას მამა-პაპისა და მთელ თავის წინაპრებთან აკავშირებდა. დიახ, ელაგინის გარეგნობა არ არის ჰუსარის კლასიკური გარეგნობა, მაგრამ მე ესეც მისი ბუნების განსაკუთრებულობის დასტურად მიმაჩნია: აბა დაკვირვებით შეხედეთ-მოიჭი, — ვეტყვოდი პროკურორს, — ამ ქერა, მხრებ-



ში მოხრილ, თხელკანჭება კაცს და თქვენ ალბათ შეგეშინდებათ, როდესაც დაინახავთ, რადგან შორს დგას ეს წვრილ, მწვანეთვალეა ჭორფლიანი სახე არაფრისმთქმელობასა და უმნიშვნელოვანებისაგან და შემდეგ — დააკვირდით, ყურადღება მიაქციეთ მის დეგენერაციულ ძალას: მკვლელობის დღეს იგი — ცხადია, დიდიდანვე — სამხედრო ვარჯიშზე იყო და, მიუხედავად იმისა, საუბრეზე ექვსი სირჩა არაფი, ერთი ბოთლი შამპანური, ორი ჭიქა კონიაკი ჰქონდა და დეული, სიმთვრალისა თითქმის არაფერი შესტყობია!

ცხადია, დიდიდანვე — სამხედრო ვარჯიშზე იყო და, მიუხედავად იმისა, საუბრეზე ექვსი სირჩა არაფი, ერთი ბოთლი შამპანური, ორი ჭიქა კონიაკი ჰქონდა და დეული, სიმთვრალისა თითქმის არაფერი შესტყობია!

საზოგადოების დაბალ წარმოდგენას ელაგინზე მრავალი მისი თანაპოლკელი ამხანაგის ჩვენებაც ეწინააღმდეგებოდა — ყველანი მას საუკეთესოდ იხსენიებდნენ. აი, როგორი შეხედულებისა იყო, მაგალითად, ესკადრონის მეთაური: — მას შემდეგ, რაც პოლკის წევრი გახდა, ელაგინმა შესანიშნავად გამოავლინა თავი ოფიცრებს შორის, იგი მუდამ კეთილი, მზრუნველი და სამართლიანი იყო დაბალი ჩინის ოფიცრებთან. მხოლოდ ერთი თვისებით — გაუწონასწორებელი ხასიათით გამოირჩეოდა და ესეც მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მხიარული განწყობიდან უცებ მელანქოლიაში გადავარდებოდა. ერთ წუთს სიტყვაპრაველი და ხალისიანად მოსაუბრე, უცებ დადუმდებოდა, ლაღსა და თავდაჯერებულს ერთბაშად თავისი თავის, თავისი ღირსებებისა და თავისი ბედისადმი სრული ურწმუნოება ეუფლებოდა...

ასეთივე გახლდათ როტმისტრ ლიხარევის აზრიც:

— ელაგინი ყოველთვის კეთილი და საუკეთესო ამხანაგი იყო, ოღონდ ცოტა უცნაურობებიც სჭირდა — ხან მეტად მოკრძალებული, მორცხვი და გულჩახვეული იყო, ხან კი ნამდვილი თავზეხელაღებული დარდიმანი. როდესაც ჩვენთან სოსნოვსკაიას მკვლელობის შესატყობინებლად მოვიდა და სევსკი და კოშიცა სტაროგრადის ქუჩაზე გაიქცნენ, ხან გულამოსკვნით ტიროდა, ხან გესლიანად, გადარეულივით ხარხარებდა. ხოლო როდესაც დააპატიმრეს და ციხეში მიჰყავდათ, შმაგი ღიმილით რჩევას გვეკითხებოდა, სამოქალაქო ტანსაცმელი რომელ მკერავს შევაკერინო...

გრაფი კოშიცა:

— ელაგინი, საერთოდ, ნაზი, მხიარული კაცი იყო, ნერვიული, შთაბეჭდილებიანი. ხანდახან ბავშვურად აღტაცებულოც კი. თეატრსა და მუსიკაზე შეყვარებული, მუსიკას ზოგჯერ ცრემლებამდეც კი მიჰყავდა. თვითონაც მუსიკის დიდი ნიჭი ჰქონდა — ის ხომ თითქმის ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა!..

დაახლოებით იგივე თქვენს დანარჩენმა მოწმეებმაც:

— დიდი გატაცების კაცია, მაგრამ, ასე გგონია, სულ რაღაცას ელოდება, რაღაც ნამდვილსა და განსაკუთრებულს...

— ამხანაგურ წვეულებებში არაჩვეულრივად მხიარული და როგორღაც საყვარლად მომაბეზრებელიც კი იყო, შამპანურს ყოველთვის ყველაზე მეტს მოატანიებდა და, ვინც მოხვდებოდა, ყველას უმასპინძლდებოდა... მას შემდეგ, რაც სოსნოვსკაიას დაუკავშირდა, რომლის სიყვარულსაც ასე გულმოდგინედ მალავდა, სრულიად შეიცვალა — ხშირად სევდიანი და დაფიქრებული დადიოდა. ამბობდა, აუცილებლად თავი უნდა მოვიკლაო...

ასეთია იმ ადამიანთა ცნობები ელაგინის შესახებ, რომელთაც მასთან ახ-



ლო ურთიერთობა ჰქონდათ. სასამართლოზე ვიჯექი და ვფიქრობდი, ნეტავი საიდან მოიტანა პროკურორმა მისი პორტრეტის დასახატად ესოდენ შავი საღებავები-მეთქი? ანდა იქნებ რაიმე სხვა ცნობები ჰქონდა მის შესახებ? არა, არაუითარი სხვა ცნობები მას არ გააჩნდა. რჩებოდა მხოლოდ ვარაუდი, რომ იმ შავი საღებავებისადმი იგი განაწყო საერთო წარმოდგენამ „თქონის ახალგაზრდობაზე“ და იმან, რაც სასამართლოს განკარგულებაში არსებული, ელაგინის მიერ თავისი მეგობრისადმი კომინოვში შემწერული ერთადერთი წერილიდან შეიტყო. ამ წერილში ელაგინი სრულიად მოურიდებლად ლაპარაკობს თავისთავსა და ცხოვრებაზე:

— მე, ძმაო, იქამდე მივედი, რომ ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილი გავხდი — ყველაფერი... ყველაფერი სულერთია ახლა ჩემთვის... დღეს კარგად ვარ, ჰოდა, მადლობა ღმერთს, მიმიფურთხებია, ხვალ როგორ და რა იქნება. დაე, ხვალემ იზრუნოს ხვალისა. ისეთი სახელი, ისეთი რეპუტაცია მოვიხვეჭე, უკეთესი რომ არ გინდა — ყველას პირველ ლოთად და პამპულად მივაჩნივარ მთელ ქალაქში...

ასეთი თვითშეფასება თითქოს ეხამებოდა პროკურორის მჭევრმეტყველებას: — „ტკბობისათვის ცხოველურ ბრძოლაში ელაგინმა ქალი, რომელმაც ყველაფერი მისცა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოაჭენა და არა მარტო სიცოცხლე წაართვა, არამედ ქრისტიანული დაკრძალვის უკანასკნელი პატივიც კი მოუსპო...“ მაგრამ ეხამებოდა კი ნამდვილად? რა თქმა უნდა, არა! წერილიდან პროკურორმა მხოლოდ რამოდენიმე სტრიქონი აიღო, მადლიანობაში კი წერილი ასეთი გახლდათ:

— ძვირფასო სერგეი, მივიღე შენი წერილი და, მართალია, მოგვიანებით გაასუხობ, მაგრამ, რას იზამ... ამ წერილს რომ დახედავ, ალბათ გაიფიქრებ — აი ნაჯღაზნიც ამას ჰქვია, გეგონება, სამელნეში ბუზი ჩავარდნილა და მელნეში ამოსვრილს ამ ქალაქზე უცოცავსო!..

რა გაეწყო, ხელნაწერი, როგორც იტყვიან, სარკე თუ არა, გუნებ-განწყობას ანარეკლი მაინცაა. მე, ჩემო ძმაო, როგორც ვიყავი, ისევ ისეთი მცონარა და არაფრის მაქნისი ვარ, უფრო მეტიც, — უარესი. წელიწადნახევრის დამოუკიდებელმა ცხოვრებამ და კიდევ სხვა ათასმა რამემაც, თავისი დელი დამასვა. არის, ძმაო, რაღაც, რასაც თვით სოლომონ ბრძენიც ვერ გამოხატავს სიტყვით! ჰოდა, ნუ გავიკვირდება, ერთ მშვენიერ დღესაც თუ გაიგებ, რომ შუბლში ტყვია კიხალე. მე, ძმაო, იქამდე მივედი, ისეთი გულგრილი გავხდი, ყველაფერი... ყველაფერი სულერთია ჩემთვის! დღეს კარგად ვარ, ჰოდა, მადლობა ღმერთს! მიმიფურთხებია, ხვალ როგორ და რა იქნება. დაე, ხვალემ იზრუნოს ხვალისა. ისეთი სახელი, ისეთი რეპუტაცია მოვიხვეჭე, უკეთესი რომ არ გინდა — ყველას პირველ ლოთად და პამპულად მივაჩნივარ მთელ ქალაქში. თან, არ ვიცი, დაიჯერებ თუ არა — ხანდახან სულში ისეთ ძაღას, ისეთ ტანჯვასა და სწრაფვას ვგრძნობ ყოველივე კარგის, ამაღლებულის და კიდევ, ღმერთმა უწყის, რისადმი რომ პირდაპირ გული მეფლითება. შენ მეტყვი, ესეც ისევ სიჭაბუკის ბრალიაო, მაგრამ თუ ასეა, რატომ სხვა ჩემი ტოლებიც არ გრძნობენ რაიმე ამდაგვარს? ვერ წარმოიდგენ, როგორი ნერვიული გავხდი, ხანდახან წამოვხტები შუალამისას ზამთრის ქარბუქსა და სიცივეში, მოვაჯდები ბედაურს და დავკრივარ ქალაქის ქუჩებში, ისე რომ, შენ წარმოიდგინე, თვით ქალაქის პოლიციელებსაც კი ვანცვიფრებ, ადამიანებს, რომლებიც ისე არიან ყველაფერს მიჩვეულები, ვერაფრით გააკვირვებ. და,



ხომ არ გეონია, ამ დროს არათუ მთვრალი, ოდნავ ნასვამი მაინც ვიყო. მინდა რაღაც მოუხელთებელი ჰანგი დავიჭირო, რომელიც მგონია, რომ სადღაც უკვე მომისმენია, მაგრამ — ამაოდ! რა გაეწყობა, შენ ერთს მაინც უნდა გამოვიტყდე, ჩემო ძმაო, რომ შეყვარებული ვარ... და ის ქალი, რომელიც შემიყვარდა, სრულიად... სრულიად არ ჰგავს იმ ქალებს, რომლებიც საუბარსა ქალაქი... ეჰ, რაც არის არის ძალიან გთხოვ, მომწერე, იცი შენ ჩემი მისამართი.. გახსოვს, როგორ ამბობდი — რუსეთი, კორნეტ ელაგინსაო...  
 გასაოცარია, განა შეიძლება, თუნდაც ამ ერთი... ერთადერთი წერილის წაკითხვის შემდეგაც კი ვინმეს ეთქვა — შეხვდა ორი პიროვნება, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო?

8.

სოსნოვსკაია ნამდვილი წმინდა სისხლის პოლონელი იყო, ელაგინზე უფროსი — ოცდარვა წლის. მაშამ, წერილმა ჩინოვნიკმა სიცოცხლე თვითმკვლელობით მაშინ დაამთავრა, როდესაც გოგონა ჯერ მხოლოდ სამი წლისა იყო. დედამ კარგა ხანს იარა ქვრივად, მერე გათხოვდა და ისევ ვიღაც ჩინოვნიკს გაჰყვა, მაგრამ მალე ისევ დაქვრივდა. როგორც ხედავთ, სოსნოვსკაია სრულიად ჩვეულებრივი, საშუალო ოჯახიდანაა, ამიტომაც მიკვირს, საიდანა აქვს ეს უცნაური, ყველასაგან განსხვავებული სულიერი თვისებები, ან ეს დიდი გატაცება სცენისადმი, რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ძალიან ადრე აღმოაჩნდა. ვფიქრობ, ამაში არც ოჯახი და არც ის კერძო პანსიონი, სადაც იგი სწავლობდა, არაფერ შუაშია. ისე კი, უნდა ითქვას, რომ მართლაც ჩინებულად სწავლობდა და კითხვითაც ბევრს კითხულობდა თავისუფალ დროს. კითხვისას ხშირად ამოიწერდა კიდევაც იმ აზრებსა და გამონათქვამებს, რომელიც მოსწონდა და, ცხადია, როგორც ყოველთვის ხედავდა მსგავს შემთხვევაში, იმ აზრებს საკუთარ თავს უკავშირებდა. ზოგჯერ შენიშვნებსაც აკეთებდა. წერდა რაღაც დღიურის მსგავსსაც, ოღონდ, თუ შეიძლება დღიური ეწოდოს ქალაქის იმ ნაგლეჯებს, რომელსაც ხშირად მთელი თვეობით არ ეკარებოდა და რომელზედაც გადმომაფრქვევდა ხოლმე ცხოვრებაზე თავის ოცნებასა თუ შეხედულებებს, ხანაც, უბრალოდ, მრეცხავის, მკერავის თუ სხვა ანგვარ ანგარიშებს იწერდა. მაინც რა აინტერესებდა, რას იწერდა წიგნებიდან? აი, რას:

„პირველი დიდი ბედნიერება ისაა, სულ არ დაიბადო, მეორე — რაც შეიძლება მალე დაუბრუნდე არყოფნას!“ შესანიშნავი აზრია!

„ო, რა მოსაწყენია ეს წუთისოფელი, რა მომაკვდინებლად მოსაწყენი, სული ჩემი სულ რაღაც არაჩვეულებრივისაკენ ისწრაფვის“...

„ადამიანებისათვის მხოლოდ ის ტანჯვაა გასაგები, რომლის გამო შეიძლება სიცოცხლესაც კი გამოესაღმო“. მიუსე.

„არა, არასოდეს გავთხოვდებიო; — ამას ყველა ამბობს, მე კი, ღმერთსა და სიკვდილს ვფიცავ, ნამდვილად არასოდეს გავთხოვდები...“

„სიყვარული ან სიკვდილი... მაგრამ სად არის ის კაცი, ვისაც მთელი სულითა და გულით შევიყვარებდი? არა, არ არის და არც შეიძლება იყოს! სიკვდილით კი, აბა, როგორ მოვკვდე, როცა ასე გიჟურად მიყვარს სიცოცხლე?“

„სიყვარულზე შემზარავი, მიმზიდველი და ამოუცნობი არც ცაშია არაფერი, არც მიწაზე...“



„დედა ამბობს, ფულისათვის გათხოვდი, ფულიან კაცს გაყვეო. ეს მე... შე უნდა გაეთხოვდე ფულისათვის? რაოდენ არამიწიერი სიტყვა სიყვარული, რაოდენ ჯოჯოხეთური და რაოდენ მშვენიერი, თუმცა მე არასოდეს მყვარებია!“

„ადამიანად ყოფნა არ ღირს, არც ანგელოზად — ანგელოზებიც ხომ აღსდგნენ ღმერთის წინააღმდეგ! ან ღმერთი უნდა იყო, ან არაფერი“. კრასინსკი.

„ვის შეუძლია დაიკვებოს, იმ ქალის სულში შევადგინო? შეუძლია მისი სიცოცხლის ძალა ხომ იმისკენაა მიმართული, რაც შეიძლება ღრმად დამალოს თავისი სული“. მიუსე.

პანსიონის დამთავრებისთანავე სოსნოვსკაიამ დედას განუცხადა, გადაწყვეტილი მაქვს მთელა ჩემი სიცოცხლე ხელოვნებას შევწირო. დედას, გულმოწყალე კათოლიკე ქალს, თავიდან იმის გაგონებაც არ სურდა, ოდესმე მისი ქალიშვილი მსახიობი გამხდარიყო, მაგრამ ქალიშვილი ხომ იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვისაც შეეძლო, დამორჩილებოდა ვინმეს (ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი). მან ხომ დედას ადრევე ჩაუჭედა გონებაში, ჩემი სიცოცხლე, სიცოცხლე მარია სოსნოვსკაიასი არ შეიძლება ჩვეულებრივი და დიდებას მოკლებული იყოსო.

თვრამეტი წლისა იყო, ღვოვში რომ ჩავიდა და ჩასვლისთანავე თავისი ოცნება განახორციელა — სცენაზეც ადვილად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ავიდა და მოკლე ხანში ყველასაგან გამორჩეულიც გახდა. მალე ხალხშიაც გაითქვა სახელი და თეატრალურ საზოგადოებაშიც ისეთი სერიოზული აღიარება ჰპოვა, რომ სამსახურის დაწყების სამი წლის თავზე ჩვენი ქალაქიდან მოწვევა მიიღო. მაგრამ თავის ბლოკნოტში იგი ისეთივე ჩანაწერებს აკეთებდა როგორც ადრე:

„ყველა იმ ქალის შესახებ ლაპარაკობს, მის გამო ტირის და იცინის, მაგრამ იცნობს კი ვინმე, როგორც ჯერ არს?“ მიუსე.

„დედა რომ არა, ალბათ თავს მოვიკლავდი. ეს აზრი თავიდან არ ამომდის...“

„როდესაც ქალაქგარეთ მივდივარ, როდესაც ცას შევყურებ, ასეთ მშვენიერსა და უძიროს, ვერ გამიგია, რა ხდება ჩემს გულში — მინდა ვიყვირო, ვიმღერო, ლექსები ვთქვა, მინდა ვიტვირო... მინდა შევაყვარო და მოვკვდე...“

— შე ჩემთვის მშვენიერ სიკვდილს შევარჩევ. ერთ პატარა ბინას ვიქირავებ და ვუბრძანებ, მთელ კედელზე შევი ძაძა გააკრან. კედელს იქით მუსიკა დაუკრავს, მე კი ვიწვები უბრალო თეთრ კაბაში გამოწყობილი, მირიად ყვავილებს შორის და ამ ყვავილების სურნელით მოვკვდები. ო, რა მშვენიერია, რა საუცხოო!“

და შემდეგ:

„ყველას... ყველას ჩემი სხეული უნდა და არა ჩემი სული...“

„მე რომ მდიდარი ვიყო, მთელ ქვეყნიერებას შემოვივლიდი და ყველგან... ყველგან ვილაცას შევიყვარებდი...“

„იცის კი ადამიანმა, რა სურს და რას ესწრაფვის? დარწმუნებულია კი იმაში, რაზედაც ფიქრობს?“ კრასინსკი.

და ბოლოს:



— არამზადა!

მაინც ვინ იყო ის „არამზადა“, რომელმაც ჩაიდინა ის, რაც არც ისე ძნელი გამოსაცნობია? ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი იყო, და რომ არ შეიძლება იყო. „უკვე ღვოვშივე, — თქვა მოწმე ზაუზემ, სოსნოსკაიას ღვოველმა თანამშრომელმა — სცენაზე გასასვლელად იგი კი არ იცვამდა, უფრო იხდიდა, ყველა თავის ნაცნობსა და თავიანთსმცემელს სიფრთხილად პენუარში ჩაცმული ხვდებოდა, საიდანაც შიშველი კანკები მოუხდებოდა, წვივების სილამაზეს ყველა... ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები... რა გიკვირო, ჩემია, სხვისი ხომ არ არისო, — იტყოდა და მუხლისთავებს მოიშიშვლებდა. თან სულ იმას გიმტკიცებდა, სულ იმას გეფიცებოდა, ხშირად მწარედ აცრემლებულიც კი — არავინ, არავინ არ არის ჩემი სიყვარულის ღირსი, ჩემი ერთადერთი იმელი და გამოსავალი სიკვდილიაო...“

და აი, ერთხელაც გამოეცხადა ის ვიღაც „არამზადა“, ვისთანაც შემდეგ კონსტანტინეპოლში, ვენეციასა და პარიზში იმოგზაურა და ვისთან ერთადაც კრაკოვსა და ბერლინშიც ხშირად იყო. და ეს „ვიღაც“ გახლდათ ერთი უმდიდრესი გალიციელი მეძამულე, რომლის შესახებაც ილაპარაკა მოწმე ვოლსკიმ, პიროვნებამ, რომელიც სოსნოსკაიას ბავშვობიდან იცნობდა:

— მე მას მუდამ დაბალი ზნეობის ქალად ვთვლიდი. არც თავის დაჭერა იცოდა, როგორც ეს მსახიობსა და ჩვენი კუთხის ქალს შეუფერებოდა. მხოლოდ ფული უყვარდა, ფული და კაცები... პირდაპირ გასაოცარია, როგორ მიჰყიდა ჯერ სულ პატარა გოგონამ თავისი სხეული იმ ბებერ გალიციელ კერატს!

სწორედ ამ ბებერი გალიციელი „კერატის“ შესახებ შესჩიოდა სოსნოსკაია ელაგინს სიკვდილის წინ:

— სულ მარტო ვიზრდებოდი, ყურადღების მომქცევი არავინ მყავდა. ყველასთვის, ყველასთვის უცხო ვიყავი ოჯახშიც და მოელ ქვეყნიერებაზეც... მოლად უმწიკვლოს, მიმნდობსა და გულუბრყვილოს ერთი ქალი მრყვნიდა — დურთმა დასწყევლოს იმისი ჯიში და გასაგისი! ღვოვში რომ ჩამოვედი, იქაც ერთ კაცს მამასავით მივენდე, გულწრფელად, მოელა გულითა და სულით შენიყვარდა, ის კი ისეთი ნაძირალა და არამზადა აღმოჩნდა, ყოველ მის გახსენებაზე თავზარი მეცემა! იმან მიმაჩვია ჰამიშსა და ღვინოს, იმას დაყვავდი კონსტანტინეპოლში, სადაც მოელი ჰარამზანა ჰქონდა მოწვობილი. იწვა თავის იმ ჰარამზანაში და შეჰყურებდა თავის შიშველ მონა ქალებს. მეც ხშირად მაიძულებდა, შიშველ-ტიტველს მეულო მის წინაშე... ო, ის ნაძირალა, ის გათახსირებული, ის არამზადა!..

9.

სოსნოსკაია მალე მოელი ჩვენი ქალაქის მოღვატეთა სალაპარაკო გახდა.

— ჯერ ისევ ღვოვში ყოფნისას, — თქვა მოწმე მეშკოვმა, — ვის აღარ სთავაზობდა, მასთან ერთად მომკვდარიყო ერთ დამეს, სულ იმას ჩიოდა, ნეტავი ასეთი გული მაპოვნინა, სიყვარული შეეძლოსო. იგი ძალიან დაჟინებით ეძებდა ამ მოსიყვარულე გულს. თან იმას ამბობდა, ჩემი მოავარი მიზანი ის არის, ვაცოცხლო და დავტკბე ამ ცხოვრებით. მამაკაცს ქალი მეჭამნიკესავით უნდა ექცეოდეს, ჭაშნიკი ყველა ღვინოს უნდა გაუსინჯოს, დათრობით კი არც ერთით



არ უნდა დათვრესო... და იქცეოდა კიდევაც მეჭაშნიკესავით, — ამბობდა მე-  
შკოვი, — არ ვიცი, ყველა ღვინო გასინჯა თუ არა, მაგრამ უამრავი მამაკაცი  
ეხვია. სხვათა შორის ამას იქნებ იმიტომაც სჩადიოდა, თავის ირგვლივ ხმაუ-  
რი აეჭება, ხალხი აელაპარაკებინა, თეატრისათვის კლაკიორები შეეძინა.  
ხშირად იტყოდა ხოლმე, ფული მხოლოდ ხელის ჭუჭყია, მართალია, ხარბი,  
ხანდახან უკანასკნელი მეშჩანივით ძუნწი და გუმეტარე, მაგრამ ფულზე  
მაინცდამაინც დიდად არ ვგვიყვები, მთავარი სახეობაა და მისი მტრებია, სხვა  
დანარჩენი თავისით მოვაო. სიკვდილზეც მე მკონი, მხოლოდ იმიტომ ლაპა-  
რაკობდა, ხალხი აელაპარაკებინა თავის თავზე...

ჩვენ ქალაქშიც იმას აგრძელებდა, რასაც ლვოვში. აქაც თითქმის ისეთი-  
ვე ჩანაწერებს აკეთებდა:

„ღმერთო, რა მოწყენილობაა, რა წამებაა! რა იქნება, მიწისძვრა ან  
მზის დაბნელება მაინც მოხდეს“

„ერთ საღამოს როგორღაც სასაფლაოზე წავედი — ო, რა მშვენიერი იყო  
იქ ყველაფერი! ასე მეგონა... არა, არ შემიძლია მე იმ განცდის გადმოცემა...  
შინდოდა, მთელ დღეს იქ დავრჩენილიყავი, ლექსები შეკითხა და ღონემიხდი-  
ლობისაგან მოვმკვდარიყავი... მეორე დღეს ისე ვითამაშე, როგორც არას-  
დროს“.

და ისევ:

„გუშინ საღამოს ათ საათზე სასაფლაოზე ვიყავი. რა მძიმე საყურებელი  
იყო აქ ყველაფერი! მთვარის მკრთალ შუქში გახვეულიყო მიცვალებულთა  
თავთით აღმართული ჯვრები და საფლავის ლოდები. ასე მეგონა, ათასობით  
მიცვალებული მეხვია გარს... მე კი თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, ისეთი  
გახარებული ვიყავი.“

ხოლო როდესაც ელაგინი გაიცნო და ერთხელაც წიხგან შეიტყო, პოლკში  
ვახნიისტრი გარდაიცვალაო, სთხოვა, იმ სამლოცველოში წამიყვანე, სადაც  
მიცვალებული ასვენიაო. ხოლო შემდეგ ასეთი რამ ჩაწერა: მთვარის შუქზე  
სამლოცველომაც და მიცვალებულმაც ჩემზე „შემაძრწუნებლად აღმაფრთო-  
ვანებელი“ შთაბეჭდილება მოახდინაო.

სახელისა და ყურადღების მიქცევის წყურვილმა იმ დროისათვის იგი  
ლამის სიგიჟემდე მიიყვანა. დიახ, ქალი მართლაც საოცრად ლამაზი იყო.  
მისი სილამაზე, მართალია, არც ისე ორიგინალური გახლდათ, მაგრამ ჰქო-  
ნდა რაღაც განსაკუთრებული, სხვათაგან გამორჩეული, რაღაც იშვიათი, გა-  
მაოგნებელი ხიბლი. ერთდროულად იყო საოცრად მიამიტი, გულუბრყვილო,  
განსაცვიფრებლად უმანკო და ამევე დროს ჰქონდა რაღაცნაირი მტაცებლური  
სიცბიერე, ერთდროულად ანცი და ოინბაზიც იყო და მომაჯადოებლად უშუ-  
ალო და გულწრფელიც: აბა შეხედეთ მის სურათებს, ყურადღება მიამტციეთ  
მის მზერას, მისთვის ჩვეულ ოდნავ აღმაცერ გამოხედვას, მუდამ ოდნავ გაპო-  
ბილ ბაგეს, სევდიან, უფრო კი საოცრად საყვარელ, მომხმობ, თითქოს რა-  
ღაც საიდუმლოზე, მანკიერზე მიმთანხმებელ, რაღაცის აღმთქმელ მზერას...  
და შეეძლო კიდევაც თავისი ამ სილამაზის გამოყენება. სცენიდან თავვანის-  
მცემელთა გულებს იპყრობდა არა მხოლოდ ცრემლით და სიცილით, არა მხო-  
ლოდ იმით, რომ ჰქონდა მთელი თავისი მომხიბვლელობის საოცარი გამობრ-  
წყინების უნარი, ჰქონდა წკრიალა ხმა, მკვირცხლი, მშვენიერი მიხრა-მოხრა,  
არამედ იმითაც, რომ ხშირად ისეთ როლებში გამოდიოდა, სადაც თავისი  
უმშვენიერესი სხეულის წარმოჩენა შეეძლო. შინაც, თავის უამრავ სტუმარს,



დნოსვლურ თუ ბერძნულ საუცხოო, მაცდუნებელ სამოსში გამოწყობილი ხელებოდა, ერთი თავისი ოთახი, როგორც თვითონ ამბობდა საგანგებოდ თვითმკვლელობისათვის ჰქონდა მოწყობილი, სადაც უამრავ რევოლვერს, ხანჯალს, ნამგლისებურ თუ ჭანჭიკისებურ ხმალსა და ათასნაირი საწამლავეთ სავსე პაწაწა ქილას ინახავდა. სიკვდილზე ლაპარაკი მისი საუბრის ერთ-ერთი ყველაზე სიყვარული თემა იყო. თავის მოკვლის ათასგვარ ხერხზე რომ ლაპარაკობდნენ, უცნებო მზერით მოიღებდა კედლიდან დატენილ რევოლვერს, ჩაბმავს შეაყენებდა, დატყუებული მხარეებზე მიიღებდა და დაიძახებდა—ეს ჩემი სტუმარი ახლავე მუხლისთავეებზე თუ არ დაეცემა და შიშველ ტერფებს არ დამიკოცნის, ამ აბს ჩაველაპავო და ამას ისე ამბობდა შიშისაგან სტუმარს ფერფური მიხდიოდა და მისი სახლიდან კიდევ უფრო მოჯადოებული გამოდიოდა, შემდეგ კი მთელ ქალაქს ისეთ ამაღელვებელ ხმებს მოჰფენდა, ასე რომ ეწადა ქალს.

— სოსნოვსკაია თავს ისეთს არასოდეს აჩვენებდა, როგორც სინამდვილეში იყო, — თქვა სასამართლოზე მოწმე ზალესკიმ, რომელიც ძალიან დიდხანს და ძალიან ახლოს იცნობდა მას. — სულ თამაშობდა, სულ ცდილობდა, გაეღიზიანებინა ვიღაც. შეეძლო თავისი ნაზი, იდუმალეობით სავსე გამოხედვით, თავისი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით, უმწყო ბავშვის სევდიანი ოხვრით ადამიანი სიგიჟემდე მიეყვანა — იგი მართლაც უდიდესი ოსტატი იყო ამისა და ზუსტად ასე ექცეოდა ელანგინსაც — ჯერ აანთებდა, ააგიზგიზებდა, მერე კი უცებ ცივ წყალს გადაახხამდა... მართლა უნდოდა თუ არა სიკვდილი? კი მაგრამ, მას ხომ მთელი გატაცებით უყვარდა სიცოცხლე და ასე სასწაულებრივად ეშინოდა სიკვდილისა. ის ხომ ასეთი მხარული და ხალისიანი იყო! მახსოვს, ელაგინმა ერთხელ თეთრი დათვის ტყავი გამოუგზავნა, სწორედ ამ დროს უამრავი სტუმარი ჰყავდა, მაგრამ საჩუქარმა ისე გაახარა, ტყავი იატაკზე გაშალა და ჩირადაც არაუინ ჩაუგდია, ზედ კოტრიალი დაიწყო, თან სულ მაღაყებს გადადიოდა, ისეთ რამეებს აკეთებდა, ყველაზე საუკეთესო აკრობატსაც რომ შეშურდებოდა... საოცრად მომხიბვლელი ქალი იყო.

სხვათა შორის, იმავე ზელსკიმ ისიც თქვა, ზოგჯერ გამოუვალ სევდასა და სასოწარკვეთაში ჩაუარდებოდა ხოლმეო. სასამართლოზე ექიმმა სეროშვსკიმაც, რომელიც ათი წელია იცნობდა და რომელიც მას ღვოვში წასვლამდე მკურნალობდა (ეს ის პერიოდია, როცა ის-ისაა ეწყებოდა ჭლექი), დადასტურა, რომ უკანასკნელ ხანს იგი საშინლად იტანჯებოდა ნერვული მოშლილობით, მეხსიერების დაქვეითებითა და პალუცინაციებით, იმდენად, რომ მას უკვე ქალის გონებრივი შესაძლებლობებიც კი აეჭვებდა. სწორედ ამის გამო მკურნალობდა ექიმი შუმახერი, რომელსაც სულ არწმუნებდა, ჩემი სიკვდილით არ მოვკვდებით (და რომელსაც ერთხელ შოპენჰაუერის ტომი სთხოვა, „ძალიან ყურადღებით წაიკითხა და, რაც ყველაზე გასაკვირია, (როგორც შემდეგში გამოირკვა, შესანიშნავადაც გაიგო“). ხოლო ექიმმა ნედელსკიმ ასეა ჩვენება მისცა:

— უცნაური ქალი იყო! სტუმრები რომ ჰყავდა, უმეტეს შემთხვევაში ზედმეტად მზიარულობდა, კოკეტობდა, მაგრამ ზოგჯერ უცებ დადუმდებოდა, თვალებს გადაატრიალებდა და თავს მაგიდაზე ჩამოდებდა... ზოგჯერ კი ისე გადაირეოდა, მაგიდაზე თუ რამ იდგა, ყველაფერს იატაკზე ყრიდა... ამ დროს სასწრაფოდ უნდა გეთქვა — აბა კიდევ, კიდევო და ისიც მაშინვე გაჩერდებოდა.

და აი, ამ „უცნაურსა და მომხიბვლელ ქალს“ ბოლოს და ბოლოს კორნეტი ალექსანდრ მიხაილოვიჩ ელაგინი შეხვდა.



მაინც როგორ მოხდა მათი ეს შეხვედრა? როგორ დაუახლოვდნენ, რა გრძნობა გააჩნდათ ერთმანეთის მიმართ, როგორი იყო მათი ურთიერთობა? ამის თაობაზე თავად ელაგინი ორჯერ ელაპარაკა პროკურორს — პირველად მკვლელობიდან რამოდენიმე საათის შემდეგ, მეორედ — დაკითხვისას, მესამე თვის თავზე და ამჯერადაც დაკითხვისას.

— დიახ, — თქვა მან, — მე დამნაშავე ვარ სოსნოვსკაიას სიკვდილში, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ნებითა და სურვილით მოხდა...

გავიცანი წელიწადნახევრის წინ, თეატრის სალაროსთან, გამაცნო პორუნიკმა ბუდბერგმა. მე იგი მაშინვე მთელი სულითა და გულით შევიყვარე და შეგონა, ისიც იზიარებდა ჩემს გრძნობას, მაგრამ ყოველთვის არ ვიყავი ამაში დარწმუნებული. თუმცა ზოგჯერ ისიც მეჩვენებოდა, რომ მას უფრო მეტად ვუყვარდი, ვიდრე მე. ის ხომ მუდამ თავიანთსმცემლობით იყო გარშემორტყმული, კეკლუცობდა, ანცობდა, ნე ამ დროს აუტანელი ეჭვიანობა მტანჯავდა. მაგრამ ჩვენი ტრაგედიის მიზეზი ეს არ იყო, არამედ სულ სხვა, რომლის სიტყვით გამოხატვა და სახელის დარქმევა არ ძალმიძს... ასეა თუ ისე, ვფიციკავ, მე იგი ეჭვიანობის გამო არ მომიკლავს...

როგორც უკვე მოვახსენეთ, მე იგი გასული წლის თებერვალში გავიცანი, თეატრში სალაროების გვერდით. მალე ვესტუმრე კიდევაც, მაგრამ ოქტომბრამდე მხოლოდ თვეში ორჯერ თუ შევუვლიდი, ისიც მხოლოდ დღისით.

ოქტომბრის თვე იყო, სიყვარულში რომ გამოუუტყდა და მან მე კოცნის უფლება მომცა. ამ აბიდან ერთი კვირის შემდეგ ჩემს ამხანაგთან — ვოლოშინთან ერთად სავახშმოდ ქალაქგარეთ რესტორანში წავედით, საიდანაც მხოლოდ ორნი — მე და ის დავბრუნდით და, მართალია, მზიარული, ალერსიანი და ოდნავ შემთვრალი იყო, მე მაინც ისეთ მოკრძალებას ვგრძნობდი მის წინაშე, ხელზე კოცნისაც კი მეშინოდა.

ერთხელაც პუშკინის თხზულებები მთხოვა. „ეკვიპტური ღამეები“ რომ წაიკითხა — თქვენ გასწირავდით სიცოცხლეს საყვარელ ქალთან გატარებული ერთი ღამის გამო, — მკითხა. მე კი სიტყვის დამთავრებაც არ ვაცადე, დიახ, რა თქმა უნდა-მეთქი, — დაუყოვნებლივ ვუპასუხე, რაზედაც მან მხოლოდ უცნაურად გამიღიმა. უკვე ძალიან ვიყავი შეყვარებული და ამკარად ვგრძნობდი, რომ ეს ჩემთვის საბედისწერო სიყვარული იყო. როდესაც ცოტა უფრო დაუახლოვდი. უკვე ვბედავდი და სულ უფრო ხშირად ველაპარაკებოდი ჩემს სიყვარულზე, ვუუბნებოდი, რომ დაღუპული. ადამიანი ვიყავი თუნდაც იმის გამო, რომ მამაჩემი არასოდეს მომცემდა მასზე დაქორწინების უფლებას, ხოლო ქორწინების გარეშე ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან მას, როგორც მსახიობს, ამკარა არაკანონიერ კავშირს რუს ოფიცერთან პოლონეთის საზოგადოება არასოდეს აპატიებდა. ისიც ასევე უჩიოდა თავის ბედსა და თავის უცნაურ სულიერ განწყობას. ჩემს განდობას, ჩემს უსიტყვო კითხვას კი — ვუყვარვარ თუ არა — სულ თავს არიდებდა. ცოტაოდენ იმედს მხოლოდ მისი ეს მორჩილება, მისი ინტიმურობა თუ მინერგავდა...

მერე და მერე, ამ წლის იანვრიდან, მე უკვე ყოველ დღე დავიწყე მასთან სიარული. თეატრსა და სახლში თაიგულებს ვუგზავნიდი, საჩუქრებს ვჩუქნიდი... ვაჩუქე ორი მანდოლინა, თეთრი დათვის ტყავი, ბრილიანტის თელეებიანი სამაჯური და ბეჭედი, გადაწყვეტილი მქონდა, მეჩუქებინა გულსა-



ბნევი, რომელსაც თავის ქალის ფორმა ექნებოდა, ვინაიდან პირდაპირ ჭკუას კარგავდა სიკვდილის ემბლემაზე. არაერთხელ უთქვამს, რომ ჩემგან სწორედ გულსაბნევი უნდოდა საჩუქრად და რომ მას უსათუოდ ასეთი ფრანგული წარწერა უნდა ჰქონებოდა: „Quand même pour toujours!“

ამა წლის ოცდაექვს მარტს ვახშამზე დამპატიჟა და სწორედ მაშინ დასწრებდა პირველად... ეს იმ ოთახში მოხდა, რომელსაც იგი იაპონურს ეძახდა. ამ ოთახში ხდებოდა ჩვენი შემდგომი შეხვედრებიც. ვივანშემებდნენ კუნძურს, მოსაძინებელს მაშინვე დასაძინებლად უშვებდა. მერე თავისი საძინებელის გასაღებიც მომცა, რომლის გარეთა კარი პირდაპირ კიბეზე გადიოდა... ოცდაექვსი მარტის სამახსოვროდ საქორწინო რგოლები შევუკვეთეთ, ბეჭდებზე ჩვენი ინიციალები და ჩვენი დაახლოების თარიღი იყო ამოტვიფრული...

ქალაქგარეთ ერთ-ერთი ჩვენი გასეირნების დროს, ეკლესიაში ჯვარზე მარადიული სიყვარული შევფიცე და ვუთხარი, რომ ღმერთის წინაშე იგი ჩემი ცოლი, ჩემი მეუღლეა და რომ სამარის კარამდე არასოდეს ვულაღატებდი. ის კი იდგა გაჩუმებული, სევდიანი და ფიქრით მოცული. ბოლოს მტკიცედ მითხრა: „მეც, მეც მიყვარხარ. „Quand même pour toujours!“

ერთხელაც, მარტის დასაწყისში, როდესაც მე და ის ერთად ვვახშმობდით, ოპიუმის ფხვნილი ამოიღო და — რა ადვილია, არა, სიკვდილი! საკმარისია სულ ცოტა ჩაყარო და მორჩა, ყველაფერი დამთავრებული იქნებაო! მართლაც, ფხვნილი შამპანურში ჩაყარა და, ის იყო, ბოკალი პირთან უნდა მიეტანა, რომ თვალის დახამხამებაში სასმელი ხელიდან გამოვტაცე, ღვინო ბუხარში შევასხი და ჭიქა შპორზე მივიმსხვრიე. „გუშინ ტრაგედიის ნაცვლად კომედია გამოვივიდა!“ — მითხრა მეორე დღეს და დასძინა: „მაშ რა ვქნა, ვერც მე გამიბედავს და ვერც შენ ბედავ... პირდაპირ სამარცხვინოა!..“

იმ დღიდან ჩვენ უკვე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს — საღამოობით შენა მიღება აღარ შემიძლიათ, — მითხრა, რატომ? რატომ-მეთქი? ვერაფერი გამეგო და საოცრად ვიტანჯებოდი. გარდა ამისა სრულიად შეიცვალა ჩემს მიმართ, ცივი და დამცინავი გახდა, ზოგჯერ ისე შემხვდებოდა, თითქოს წესიერად არც კი ვიცნობდით ერთმანეთს. აბუჩად მაგდებდა, ხასიათის სისუსტეს მსაყვედურობდა... და აი, ერთ დღესაც ისევ თავდაყირა დადგა ყველაფერი. გავისეირნოთო, — ხშირად შემომივლიდა, კურკური და ლაქუცი დამიწყო. არ ვიცი, შეიძლება ეს იმის ბრალი იყო, რომ მეც გულგრილად, თავდაჭერილად დავუწყე მოქცევა... ბოლოს მითხრა, ჩვენი შეხვედრებისათვის ცალკე ბინა იქირავე, ოღონდ სადმე მიყრუებულ ქუჩაზე. ძველ, პირქუშ, უფანჯრებო სახლში და ისე მოაწყვე, როგორც მე გიბრძანებო... ხოლო როგორ იყო ის ბინა მოწყობილი, ეს თქვენ უკვე იცით...

და აი, თექვსმეტ ივნისს დღის ოთხ საათზე მასთან შევიარე, ვუთხარი, ოთახი უკვე მზადაა-მეთქი და ერთი გასაღები გადავეცი. ამაზე მან გაიღიმა და გასაღები უკან გამომიწოდა — ამის შესახებ მერე ვილაპარაკოთ. ამ დროს ზარმა დაიწკრიალა და ოთახში ვიღაც შკლიარევიჩი შემოვიდა. გასაღები უმაღლ კიბეში ჩავიდე და რაღაც უმნიშვნელო ამბებზე დავიწყე ლაპარაკი. „ორშაბათს მოდიო“, — უთხრა შკლიარევიჩს ზმამაღლა, როდესაც მე და ის ოთახიდან გავდიოდით, მე კი ჩუმად წამჩურჩულა: „ხვალ ოთხ საათზე აქ იყავი“...

თან ეს ისე მითხრა, ლამის წავიქეცი, თავს რეტი დამესხა...

მეორე დღეს ზუსტად ოთხ საათზე მივედი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი იყო ჩემი გაოცება, მოახლემ კარი რომ გამიღო და გამომიცხადა — სოსნოვს-



კაიას თქვენი მიღება არ შეუძლიათ და წერილი გამოიძიოდა! მწერდა, თავს ცუდად ვგრძნობ, დედასთან მივდივარ აგარაკზე, ახლა უკვე გვიანაა... გადარეული პირველსავე საკონდიტროში შევედი და სამიხელი წერილი მივწერე. ვთხოვდი, აეხსნა, რას გულისხმობდა, გვიანააო, რომ მწერდა წერილი შიკრიკს გავატანე, მაგრამ შინ არ დამიხვდაო, — შიკრიკმა წერილი უკანვე მომიტანა. მაშინ გადავწყვიტე, ალბათ სამუდამოდ უნდა ჩემთან კავშირის გაწყვეტა-მეთქი და შინ დაბრუნებულმა მეორე წერილში მწერდი, რომ ეს ყველაფერი მისთვის მხოლოდ თამაში იყო და ვთხოვდი, ჩემი ნიშნობის ბეჭედი დაებრუნებინა — შენ ეს სამასხაროდ გაქვს ქცეული, ჩემთვის კი ყველაფერზე ძვირფასია, თუ რამ ცხოვრებაში გამაჩნია, ეს ბეჭედი ჩემთან ერთად უნდა დაიმარხოს-მეთქი. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებული იყო, რომ სიკვდილის მეტი ამქვეყნად აღარაფერი დამრჩენოდა. წერილთან ერთად მე მას თავისი პორტრეტი, ყველა მისი წერილი და ნივთი დაუბრუნე — ხელთათმანები იყო, თმის სარტყები თუ შლაპა... მალე დენშჩიკი დაბრუნდა — სახლში არ დამიხვდა, წერილი და ამანათი მეზობელთან დავტოვეო, — მითხრა.

საღამოს ცირკში წავედი, იქ შეთხვევით შკლიარევიჩს შევხვდი და ორივემ ერთად შამპანური დავლიეთ. უცებ შკლიარევიჩი მეუბნება: „ვხედავ, ძალიან იტანჯები, რაც მთავარია, ამ ტანჯვის მიზეზიც კარგად ვიცი, მაგრამ დამიჯერე, ის ნამდვილად არ არის ამის ღირსი. ჩვენ ყველამ გამოვიარეთ ეგ ამბავი, ყველა ერთნაირად გაგეცბრიყვა და გაგვაცურა“... კინაღამ ხმალი არ დავაძვრე და თავი არ წავაცალე, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, არა თუ მსგავსი არაფერი გამიკეთებია, საუბარიც არ შემიწყვეტილებია, ის კი არა, გუნებაში მიხაროდა კიდევაც — ისე მინდოდა ვინმესგან თანაგრძნობა მეგრძნო, უკვე იმასაც აღარ დაგიღვევდი, ეს ვინმე თუნდაც შკლიარევიჩი ყოფილიყო. არ ვიცი, რა მოხდა, რა დამემართა — მართალია პასუხად არაფერი მითქვამს, სოსნოვსკაიას სახელიც არ დამტდენია, მაგრამ მოვკიდე შკლიარევიჩს ხელი და სტაროგრადსკაიზე წავიყვანე, ის ბინა ვაჩვენე, რომელსაც ასეთი რუღუნებით ვაწყობდი ჩვენი შეხვედრებისათვის, თუმცა კი ძალიან ვიტანჯებოდი და მრცხვენოდა, ასე რომ გამატუტუცეს და გამაცურაკეს...

იქიდან მეეტლე ნოვოიაროვსკისაკენ გავუყენე. ჟინჯლავდა. მეეტლეს ცხენები კი არ მიჰყავდა, მიაფრენდა. მე კი ეს წვიმა და ეს მოციმციმე სინათლეებიც კი შიშსა და ტკივილს მეგვირდა. რესტორნიდან ღამის პირველ საათზე შკლიარევიჩთან ერთად დავბრუნდი და, ის იყო, უკვე ვიხდიდი, რომ დენშჩიკმა წერილი გადმომცა — სოსნოვსკაია ქუჩაში შელიდებოდა და მთხოვდა, დაუყოვნებლივ ჩაესულიყავი. იგი კარეტით მოსამსახურესთან ერთად იყო მოსული. გული ისე გამიხეთქე, მართო წამოსვლისა შემეშინდა, მოსამსახურე წამოვიყვანეო, — მითხრა. დენშჩიკს ვუბრძანე, მოსამსახურე სახლში გაეცილებინა, მე კი მის გვერდით კარეტაში ჩავჯექი და ორივენი სტაროგრადსკაიაზე წავედი. გზაში სულ საყვედურით ვაყვებდი — შენ მხოლოდ გასართობად გინდივარ, მხოლოდ მეთამაშები და მეტი არაფერი-მეთქი. ის კი იჯდა გაჩუმებული, წინ იფურცებოდა და დროდადრო ცრემლს იწმენდდა, თუმცა გარეგნულად სრულიად დამშვიდებული ჩანდა. ვინაიდან მისი განწყობილება, როგორც წესი, მეც გადამედებოდა ხოლმე, თანდათან დავმშვიდდი. შინ რომ მივედი, ერთბაშად გამხიარულდა, ძალიან მოეწონა ბინა. მისი ხელი ხელში ავიღე, საყვედურების გამო ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, თავისი



ის სურათი დაებრუნებინა, გაბრაზებულმა უკან რომ გაუგზავნე... ჩვენ ხომ  
 ხშირად ვჩხუბობდით. თუმცა, როგორც წესი ბოლოს მუდამ მე ვკრძობდი  
 თავს დამნაშავედ და ყოველთვის მე ვთხოვდი პატიებას. ღამის სამი საათი  
 იყო, სახლში რომ წავიყვანე. გზაში ისევ გამწვავდა ჩვენი საუბრი. როგორ-  
 დაც ისე იჯდა და წინ ისე იყურებოდა, რომ მე მის სახეს ვერ ვხედავდი,  
 კრძობდი მხოლოდ მისი სუნამოს სურნელს და მისი ყინულოვანი  
 ყვირი, ბრაზით ხავსე ხმა მესმოდა: „აბა რა კაცი ხარ, ხასიათის უნადავო...“  
 არ გაგჩნია, როცა მინდა, მაშინ გაგაცოფებ, და როცა მინდა, მაშინ გაგამხი-  
 არულვ. კაცი რომ ვიყო, ასეთ ქალს ნაჭერ-ნაჭერ ავჭრიდი... სულ ნაკუნ-  
 ნაკუნად ვაქცევდი, ავკუნწავდი... თუ ასეა, უკან წაიღე ეგ შენი ბეჭედი-მეთქი,  
 — ვუყვირე გაბრაზებულმა და ამ სიტყვებით ბეჭედი ძალად წამოვაცვი თითზე.  
 უცებ შემოტრიალდა, მორცხვად გაიღიმა და მითხრა, ხვალ მოდიო. არავითარ  
 შეთხვევაში-მეთქი, — ვუპასუხე, რაზედაც მოკრძალებით, როგორღაც უხერხუ-  
 ლად დამიწყო ხვეწნა: „ძალიან გთხოვ, მოდი, უსათუოდ მოდი სტაროგრადსკა-  
 იაზე...“ ხილო შემდეგ მტკიცედ დასძინა: „არა, გეხვეწები, გემუდარები, აუცი-  
 ლებლად მოდი, მალე საზღვარგარეთ უნდა წავიდე, მინდა, უკანასკნელად გნა-  
 ხო, რაც მთავარია, მინდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ გითხრა... — და  
 ისევ ატირდა: — საოცარია, მიყვარხარ, თავს მოვიკლავ, უშენოდ სიცოცხლე  
 არ შემიძლია, ის კი არ ვინდა, უკანასკნელად ერთხელ კიდევ მნახო... თუ  
 ასეა, ხვალ შეგატყობინებენ, რომელ საათზე ვიქნები თავისუფალი-მეთქი. ამ  
 პასუხს რომ ვაძლევდი, ვცდილობდი, რაც შეიძლება თავშეკავებული ყოფი-  
 ლიყავი. მისი სადარბაზოს წინ წვიმაში ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით,  
 სიყვარულისა და სიბრაღისგან ღამის გული გამხეთქოდა. სახლში დაბრუ-  
 ნებულს შინ მძვინვარე შკლიარევიჩი დამიხვდა, რაზედაც ძალზე გაკვირვებუ-  
 ლი და გულამღვრეული დავრჩი.

ორშაბათ დილას, თვრამეტ ივნისს ბარათი გაუგზავნე. ვწერდი, რომ  
 თორმეტი საათის შემდეგ თავისუფალი ვიყავი, რაზედაც — ექვს საათზე სტარო-  
 გრადსკაიაზე ვიქნებო, — მიპასუხა.

11.

სოსნოვსკაიას მოახლემ — ანტონინა კოვანკომ და მზარეულმა ქალმა —  
 ვანდა ლინევიჩმა ასეთი ჩვენება მისცეს: შაბათს, თექვსმეტ რიცხვში სოსნოვს-  
 კაიამ შუბლზე შეჭრილი თმის დასახუჭუჭებლად სპირტქურა აანთო, დაბნულს  
 ასანთი თავის თხელ პენუარზე დაუვარდა და აღმა რომ იფეთქა, სოსნოვსკაიამ  
 გაგიყვებულმა იკივლა, ტანზე პენუარს იგლეჯდა, ცდილობდა როგორმე გაეძ-  
 რო, ისეთი შეშინებული იყო, მაშინვე ლოგინში ჩაწვა და ექიმთან კაცი აფ-  
 რინა, თან სულ იმას იმეორებდა, აი, ნახავთ, ამას რაღაც დიდი უბედურება  
 მოჰყვებაო...

საბრალო, საყვარელი ქალი! პენუართან დაკავშირებული ეს ამბავი და  
 მისი ის ბავშვური შიში ძალზე მაღელვებს და გულს მიკლავს. ეს ნაწყვეტ-  
 ნაწყვეტი ამბები ჩემს თვალში უცნაურად გრავს და ნათელს ჰფენს იმ ურთიე-  
 რთსაწინააღმდეგო ამბებს, რაც მის სიცოცხლეშიც ვენსმოდა და ახლა, მისი  
 გარდაცვალების შემდეგაც გვესმის სასამართლოზე. რაც მთავარია, მე ეს  
 მეხმარება სოსნოვსკაიას სახის მთელი სიცოცხლით შეცნობაში, რომელიც,  
 მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რასაც გამუდმებით იჩენდნენ მის მიმართ,



მიუხედავად იმ დიდი სურვილისა, გაეგოთ და გამოეცნოთ იგი, მიუხედავად იმ გაუთავებელი ლაპარაკისა, რომელსაც ბოლო არ ჰქონდა მთელი ამ ერთი წლის მანძილზე, თითქმის ვერავინ შეიცნო.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: განსაცვიფრებლად უბადრუკია ადამიანური განსჯა და ლოგიკა! ახლაც მოხდა იგივე, რაც მაშინ, როცა ადამიანები სრულიად უმნიშვნელო მოვლენის გარჩევას იწყებენ, როცა უყურებენ მაგრამ ვერ ხედავენ, უსმენენ მაგრამ ვერ იგებენ განა საჭირო იყო გუნტყუთქუქელაგინის, გნებავთ სოსნოვსკაიას პიროვნების ასეთი, თითქმის საგანგებო გაყალბება, ანდა იმისა, რაც მათ შორის ხდებოდა (მაშინ როდესაც ასე აშკარა და თვალნათელი იყო ყველაფერი). თითქოს ყველამ პირი შეკრა, სხვა არაფერზე ელაპარაკათ, გარდა უბადრუკობისა. მათთვის რომ გვეითხათ, ვითომ რა იყო აქ ტვინის საჭყლეტი: ვაჟი ეჭვიანი, ლოთი, დარღიზანდი ჰუსარი, ქალი — მსახიობი, თავის უთავბოლო, უზნეო ცხოვრებაში ჩაფლული...

— ცალკე კაბინა, ღვინო, ქალები, აყალმაყალი და დებოში, — ამბობდნენ ვაჟის შესახებ, — ყოველგვარ ამაღლებულ გრძნობებს მის გულში ხმლის ელარუნი ახშობდაო...

ამაღლებული გრძნობები, ღვინო, მერედა, რა შეიძლება იყოს ღვინო ისეთი ადამიანისათვის, როგორიც ელაგინია? „ზოგჯერ სულში ისეთ ძალას, ისეთ ტანჯვას ისეთ სწრაფეას ვგრძნობ ყოველივე კარვის, ამაღლებულის და კიდევ, ღმერთმა უწყის რისადმი, ლაშის გული მეფულითება... მინდა რაღაც მოუხელთებელ ჰანგს მივწუდე, ჰანგს, რომელიც თითქოს სადღაც მომისმენია, მაგრამ, ამაო... „აი ნასვამი კი ლაღად, თავისუფლად სუნთქავს, ნასვამზე ის მოუხელთებელი მელოდიაც უფრო ახლოს და მკაფიოდ ჩაესმის. მერედა, რა ვუყვით, თუ სიმთვრალეც, მუსიკაცა და სიყვარულიც, ბოლოს და ბოლოს, ცრუა და ამაო, და რომ მხოლოდ აძლიერებს თავისი სიმძაფრითა და და მეტი-სმეტობით ცხოვრების, სამყაროს აღქმას?

— ამ ქალს ეს კაცი არ უყვარდა, — ამბობდნენ სოსნოვსკაიას შესახებ, — მხოლოდ ეშინოდა მისი, ის ხომ სულ თავის მოკვლით ემუქრებოდა, ესე იგი, თავისი სიკვდილით არა მხოლოდ დაამძიმებდა მის სულს, არამედ საშინელი სკანდალის გამირაღაც აქცევდა. იყვნენ მოწმეები, რომელთა სიტყვითაც, ქალი ვაჟის მიმართ „რადაცნაირ ზიზღსაც კი“ განიცდიდა. მაგრამ ხომ მაინც მასთან იყო, ხომ მაინც ეკუთვნოდა მას? მერედა, რას ცვლის ეს? რა მნიშვნელობა აქვს, ვის ეკუთვნოდა ამას თუ იმას? მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ელაგინმა მოისურვა, დრამად ექცია ერთი იმ მრავალრიცხოვანი სასიყვარულო კომედიათაგანი, რომელსაც ქალი გამუდმებით თამაშობდაო...

და კიდევ:

— ქალი შეძრწუნებული იყო იმ აუტანელი, უზომო ეჭვიანობის გამო, რომელსაც სულ უფრო მეტად და მეტად ამჟღავნებდა ვაჟი მის მიმართ. ერთხელ ელაგინი სოსნოვსკაიასთან სტუმრად იყო, არტისტი სტრაკუნი ეწვიათ. ელაგინი, მართალია, გაჩუმებული იჯდა, მაგრამ, ეჭვიანობისაგან სახეზე ფერი აღარ ედო. უცებ წამოხტა და მეზობელ ოთახში გავარდა. იმავე წუთს ქალიც უკან გაჰყვა, ელაგინის ხელში რევოლვერი რომ დაინახა, მუხლებზე დაეცა და ხვეწნა დაუწყო. ამგვარი სცენები ალბათ არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა, აბა რა არის იმაში გაუგებარი, ყოველივე ამის შემდეგ ქალი თუ







რადღოდ ასეთ ქალთა ხელმისაწვდომობის გამო? რა თქმა უნდა არა, ათასჯერ და ათიათასჯერ არა! არა თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი მამაკაცები ძალიან კარგად გრძნობენ კიდევაც და ხელავენ კიდევაც, რადღოდ მტანჯველი, ზოგჯერ ჭეშმარიტად თავზარდამცემი და მომაკვდინებელია ანგვარ ქალთან კავშირი. ისინი ამას გრძნობენ, ხელავენ, იციან და მაინც ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ქალებისაკენ მიისწრაფვიან — მიისწრაფვიან ტანჯვასა და სეკსუალისაკენაც კი! რატომ?

ბიზლიჩიძე

ცხადია, ქალი მხოლოდ კომუდიას თამაშობდა, როდესაც თავის იმ სიკვდილის წინა ბარათებს წერდა. იგი თვითონვე შთააგონებდა თავის თავს, თითქოს მართლაც დადგა მისი აღსასრულის უამი. მის, უნდა ითქვას, იმ მეტისმეტად ბანალურ, გულუბრყვილო დღიურებში იოტისოდენაც კი არაფერია ისეთი, რაც გააქარწყლებდა ამ აზრს, არც არავითარი სასაფლაოზე სიარული ყოფილა როდისმე...

დიახ, მისი დღიურების გულუბრყვილობას და სასაფლაოზე სეირნობის თეატრალურობას არავინ უარყოფს, სხვათა შორის, ისე როგორც იმას, რომ გადაკრულად იგი მარია ბაშკიციევასთან თავის მსგავსებაზე მიანიშნებდა. მაგრამ რატომ მაინცაღამაინც ასეთი დღიურების წერა არჩია? რატომ სურდა მაინცაღამაინც ასეთ ქალებს ჰგვანებოდა? მას ხომ ყველაფერი უხვად ჰქონდა — სილამაზეც, ახალგაზრდობაც, დიდებაც, ფულიც, უამრავი თავჯანსმცემელიც და ყოველივე ამას იგი დიდი ვნებითა და გატაცებით ეწაფებოდა? და მაინც, რატომ იყო მისი ცხოვრება სავსე გაუთავებელი ტანჯვით, „ძალღუმადური“ ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლის დაუოკებელი სურვილით? რატომ? რატომღა იმიტომ რომ ყოველივე ეს სათამაშოდ გაიხადა. რატომ მაინცაღამაინც ეს გაიხადა სათამაშოდ და არა რაიმე სხვა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს მეტისმეტად ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა იმ ქალებს შორის, რომელთაც, როგორც თვითონვე აღნაშნავენ, ხელოვნებას მიუძღვნეს თავიანთი სიცოცხლე? მაგრამ, რატომ არის ეს მათთვის ესოდენ ჩვეულებრივი, რატომ?

12.

კვირა დილას, რვა საათზე სოსნოვსკაიას საძინებლიდან ზარის წკრილი გაისმა — უკვე გაღვიძებოდა და მოახლეს ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე უხმობდა. მოახლემ სინით ფინჯანი შოკოლადი შეუტანა და ფარდები გაწია. სოსნოვსკაია ლოგინზე იჯდა, როგორც სჩვეოდა, შუბლქვემოდან დაფიქრებული და ოდნავ ბავუგაპობილი მოახლეს თვალს აბნეული აღუენებდა. ბოლოს უთხრა:

— იცი, ტანია, გუშინ ექიმი წავიდა თუ არა, მაშინვე ჩამეძინა. ოი, დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო მარიამ! რომ იცოდე, როგორ შემეშინდა. მაგრამ ექიმი რომ დავინახე, მაშინვე დავმშვიდდი. შუალამისას უცებ გამეღვიძა, ლოგინში მუხლებზე წამოვჯექი და მთელი ერთი საათი ვილოცე... აბა, წარმოიდგინე, რა შესახედავი ვიქნებოდი კანდამწვარი, თვალუბნარეტილი და ტუჩუბდაბერილი! ჩემი შეხედვაც კი ადამიანს ალბათ გულს გაუხუთქავდა! მთელ სახეს ბამბით დამიფარავდნენ...

შოკოლადისათვის კარგა ხანს ხელი არ უხლია, იჯდა და რადეცას ფიქრობდა. მერე შოკოლადი დაღია, იბანაუა, თმაგაშლილი აბანოს ხალათში თავის პატარა საწერ მაგიდას მიუჯდა და შავჩარჩომოვლებულ ქალღღზე რამო-



დენიმე წერილი დაწერა (ეს სამგლოვიარო ქალაქები უკვე კარგა დიდი ხნის წინ ჰქონდა შეკვეთილი). მერე ჩაიცვა, ისაუბრა და დედასთან ავარაკზე გაემგზავრა. იქიდან რომ დაბრუნდა მხახიობს სტრაკუნთან ერთად, რომელიც მუდამ „თავისიანად“ მიაჩნდა, უკვე ღამის თორმეტი საათი იყო.

— ორივენი ძალზე კარგ ხასიათზე მოვიდნენ, — ყვებოდა მოახლე, — მე მათ წინკარში დაეხვდი, მაშინვე გვერდზე გავიხმე და ის წერილი და ჩივილები გადავეცი, რომელიც მისი არყოფნისას ელაგინმა მოიტანა. „ახლავა, სტრაკუნე, სტრაკუნმა არ დაინახოს“, — წამჩურჩულა ყურში სოსნოვსკაიამ. მერე წერილი სახწრაფოდ გახსნა და სახეზე ფერი წაუვიდა, დაიბნა, უკვე ყურადღება აღარ მიუქცევია, სასტუმრო ოთახში სტრაკუნი რომ იჯდა და იფიქრა: „ღვთის გულისათვის, ახლავუ ეტლის მოსაყვანად გაიქვცი!“ მართლაც, მაშინვე გავიქვცი და უკან რომ დავბრუნდი, ის უკვე სადარბაზოში მელოდებოდა. რაც ძალი და ღონე გვქონდა, მივაჭუნებდით ცხენებს. მთელი გზა პირჯვარს იწერდა და იმეორებდა: ოი, დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო მარიამ! ოღონდაც ცოცხალი დაბიხედეს, ოღონდ ცოცხალი დაბიხედესო!

ორშაბათ დილიდანვე მდინარეზე წავიდა საბანაოდ. სადილად სტრაკუნი და ინგლისელი ეწვივნენ (ეს ინგლისელი ქალი თითქმის ყოველდღე დადიოდა, მასთან ინგლისურში სამეცადინოდ, თუმცა კი თითქმის არასოდეს უმეცადინებია). სადილის შემდეგ ინგლისელი წავიდა, ხოლო სტრაკუნი დაახლოებით საათნახევარი კიდევ დარჩა — დივანზე იწვა და თავი ქალბატონის მუხლებზე ედო, რომელსაც „ტანზე მხოლოდ კაპოტი ეცვა, ხოლო შიშველი ფეხები იაპონურ ქოშებში ჰქონდა წაყოფილი“. ბოლოს სტრაკუნიც წავიდა. წასვლის წინ სოსნოვსკაიამ სთხოვა, დღეს ღამის ათი საათისთვის“ მოდიო.

— მეტიხმეტად ხშირი მოსვლა ხომ არ გამოძივა? — უთხრა სიცილით სტრაკუნმა, თან ჯობს ეძებდა წინკარში.

— ო, არა, გეთაყვა, — უპასუხა სოსნოვსკაიამ. — ოღონდ შინ თუ არ ვიქენი, შენ, ლუსია, ნუ გაბრახდები, კარგი?

ამის შემდეგ დიდხანს წვავდა ბუხარში რაღაც წერილებსა და ქალაქებს. თან სულ დიდხანს და მოახლეს ეხუმრებოდა:

— რახან მე არ დავიწვი, ახლა ყველაფერს დავწვავ! ისე, სჯობდა მე დავწვაროყავი! ოღონდ, მთლიანად... ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა: — „ვანდას უთხარი, ვახშამი ათი საათისათვის გაამზადოს. ახლა კი მიუდივარ.“

მეექვსე საათი იყო დაწყებული, სახლიდან რომ გავიდა, „ხელში რაღაც ქალაქში გახვეული რევოლუერის მაგვარი ეჭირა“.

სტაროგრიდსკაიასაკენ მიმავალმა გზად მკერავ ლეშჩინსკაიასთან შეიარა, რომელსაც მისი პენუარი უნდა შეეკეთებინა, შაბათს ხანძრის დროს რომ ეცვა. ლეშჩინსკაიას თქმით, იგი „მშვენიერ, მხიარულ გუნებაზე იყო — პენუარა მოვუწესრიგე, სახლიდან წამოღებულ ფუთასთან ერთად გავუხვიე, ის კი ისევ დიდხანს იჯდა სახელთსნოში მკერავ გოგოებთან და წამდაუწუმ იმეორებდა — ოი, ღვთისმშობელო, როგორ დავიგვიანე, უკვე წასვლის დროა, ჩემო პატარა ანგელოზებო!“ — თუმცა ადგილიდან ფეხსაც არ იცვლიდა. ბოლოს ერთბაშად წამოდგა და ოხვრით, მაგრამ როგორღაც მხიარულად წარმოთქვა:

— მშვიდობით, პანო ლეშჩინსკაია... მშვიდობით, ჩემო დაიკოებო, ჩემო ანგელოზებო, გმადლობთ, ცოტა ხომ ვილაქლაქეთ! რომ იცოდეთ, როგორ



მსიამოვნებს თქვენთან ერთად ყოფნა და ლაქლაქი, თორემ, აღარ შემიძლია, სულ კაცები და კაცები!..

ზღურბლიდან თავი ერთხელ კიდევ დაგვიქნია და გავიდა.

რისთვის წაიღო თან ეს რევოლვერი? ეს რევოლვერი, მართალია, ელაგინისა იყო, მაგრამ არ ატანდა, უშინოდა, ელაგინს თავი არ მოუკლა. „და აი გადაწყვიტა ახლა პატრონისათვის დაებრუნებინა, ვინაიდან რევოლვერზე დღეში დიდი ხნით საზღვარგარეთ აპირებდა წახვლას“, — ~~უკვე მისივე მხარეა და დასძინა:~~

— ასე გაემგზავრა საბედისწერო შეხვედრაზე, თუმცა ის, რომ ეს შეხვედრა მისთვის საბედისწერო იქნებოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა. შვიდ საათზე იგი უკვე სტაროგრადსკაიას 14-ში, ბინა № 1-ში იყო, რომლის კარიც საღამოს შვიდ საათზე რომ ჩაიკეტა, გაღებით მხოლოდ ცხრამეტი ივნისის დილით გაიღო, რა მოხდა იქ იმ ღამეს? ამის შესახებ, გარდა ელაგინისა, ვერავინ გვეტყვის ვერაფერს.

13.

და აი, ჩვენ ყველამ, ხალხით სავსე მთელმა სასამართლო დარბაზმა მოვისმინეთ საბრალმდებლო ოქმის ის ფურცლები, რომლის ჩვენს გონებაში აღდგენა საჭიროდ ჩათვალა პროკურორმა და რომელიც ელაგინის ამ მონაცლით მთავრდებოდა:

— ორშაბათს, თურამეტ ივნისს, მე მას ბარათი გავუგზავნე, ვწერდი, დილის თორმეტი საათისათვის თავისუფალი ვიქნები-მეთქი, რაზედაც — ექვს საათზე სტაროგრადსკაიაზე მოდიო, — მიპასუხა.

ექვსს რომ თხუტმეტი წუთი აკლდა, მე უკვე სტაროგრადსკაიაზე ვიყავი, თან საუზმე, ორი ბოთლი შამპანური, ორი ბოთლი ლუდი, ორი ჭიქა და ოდუკოლონი გავიყოლე. მაგრამ კარგა დიდხანს მომიწია ლოდინი — რომ მოვიდა, უკვე შვიდი საათი იყო.

შემოვიდა თუ არა, დაბნეულმა მაკოცა, მეორე ოთახში გავიდა, ფუთა დივანზე დააგდო და — გადი, უნდა გავიხადო, — ფრანგულად მითხრა, მართლაც, გავედი და იქაც ისევ დიდხანს ვიჯექი მარტო. სრულიად ფხიზელი და საშინლად დათრგუნული ვიყავი. როგორღაც ვგრძნობდი, ყველაფერი დამთავრებული იყო, უფრო სწორად, ყველაფერი დასასრულს უახლოვდებოდა... სხვათა შორის, გარემოც როგორღაც აუტანელი იყო: ვიჯექი ანთებული სინათლის შუქზე; მაშინ როდესაც ვიცოდი და ვგრძნობდი, რომ ამ ყრუ, ბნელ პირქუში ოთახის კედლებს გარეთ ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო და ჯერ ისევ კაშკაშა მზე ანათებდა... ის კიდევ დიდხანს არ შემხმიანებია, არ ვიცი, რას აკეთებდა. კარს იქით სამარისებური სიჩუმე იდგა. ბოლოს — შემოდი, ახლა უკვე შეიძლება... — დამიძახა.

იგი დივანზე ფეხშიშველა, პენუარის ამარა იწვა და შუბლქვემოდან ფარანს მღუმარედ შეპყურებდა. ის ფუთა, მოსვლისას ხელში რომ ეჭირა, ახლა იქვე გახსნილი იდო და თვალი ჩემს რევოლვერს მოჰკარი. ეს რიდასთვის მოიტანე-მეთქი? — ვკითხე, რაზედაც კარგა მოგვიანებით მიპასუხა: „არაფრის-



თვის, ისე მე ხომ მივემგზავრები... ჯობია, აქ იყოს, აქ შეინახე, სახლში არ წაიღო..." უცებ საშინელმა აზრმა გამიელვა — არა, ეს ტყუილად არ მოუტანია-მეთქი, მაგრამ აღარაფერი მითქვამს...

ის ცივი, ნაძალადევი საუბარიც, რომელიც ამის შემდეგ ჩვენს შორის გაიმართა, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ჩემთვის ჩუმად საშინლად კლელავდი — მინდოდა, რაღაც მომეფიქრებინა, ველოდი, აი, გონებას მოვიკრებ, და ბოლოს და ბოლოს რაღაც მნიშვნელოვანს, გადაწყვეტილს ვგვრძნობდი, ეს შეიძლება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ყოფილიყო, ან, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით დავცილებულიყავით ერთმანეთს, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ვგრძნობდი, რომ სრულიად უსუსური ვიყავი. თუ გინდა, მოწიეო, — მითხრა. მაგრამ შენ რომ არ გიყვარს-მეთქი? ახლა ჩემთვის სულერთიაო, — და მოხოვა, შამპანური მიმეწოდებინა... მისმა თხოვნამ ისე გამახარა, თითქოს მხოლოდ ამაში იყო მთელი ჩვენი ხსნა და გამოსავალი. რამოდენიმე წუთში მთელი ბოთლი დავცალეთ. მე მის გვერდით დავჯექი და ხელზე კოცნა დავუწვე, ვუთხარი, ვერ გადავიტან შენ წასვლას-მეთქი. ის კი თმას მიჩეჩავდა და დაბნეული, ამბობდა: „ჰო, ჰო... ნუთუ არ შეიძლება შენი ცოლი ვიყო... ყველა და ყველაფერა ჩვენ წინააღმდეგაა, მხოლოდ ღმერთი თუა ჩვენს მხარეს... მე შენი სული მიყვარს, შენი ფანტაზია... არ ვიცი, რის თქმა სურდა ამ ბოლო სიტყვით. ჭერში ქოლგას ავხედე და ვუთხარი: „შეხედე, ჩვენ აქ თითქოს აკლდამაში ვართ, თან ისეთი სიწყნარეა...“ „პასუხად მან მხოლოდ სევდიანად გაიღიმა... ათი საათი იქნებოდა, მშიაო, — მითხრა და ორივენი წინა ოთახში გავვედით. მაგრამ თითქმის არაფერი უჭამია, არც მე — უფრო ვსვამდით. უცებ ჩემს მიერ მოტანილ საუზმეს შეხედა და წამოიძახა: „სულელო, შენ კიდევ ამდენი იყიდე! იცოდე, აღარ გაბედო მეორედ ამდენი საჭმლის ყიდვა!“ მეორედ როდისღა იქნება-მეთქი, — ვკითხე. მან როგორღაც საშინლად შემომხედა, თავი ჩაქინდრა და თვალები გადაატრიალა. „იესო ქრისტე, ღვთისმშობლო მარიამ! — წაიჩურჩულა თავისთვის, — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ოი, როგორ მსურხარ! მოდი, ჩქარა მოდი!“

ცოტა ხნის შემდეგ საათს შევხედე — ღამის მეორე საათი იწყებოდა. ოი, რა გვიანია, ახლავე შინ უნდა წავიდეთ, მაგრამ არც კი წამოუწევია, ისე დასძინა: „ვგრძნობ, რაც შეიძლება მალე უნდა წავიდე აქედან, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძრულვარ... ვიცი, ამ ოთახიდან ცოცხალი ვეღარ გავალ... შენ ჩემი ბედისწერა ხარ, ჩემი განგება, ღვთის ნება...“ ვერც ეს ბოლო სიტყვები გავიგე, იქნებ რაღაც ისეთის თქმა უნდოდა, მერე რომ დაწერა — ჩემი ნება-სურვილით არ ვკვდებიო? თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ფრაზით მას ჩემ წინაშე თავისი უმწეობის გამოხატვა სურდა? მე კი მგონია, ამით მას სხვა რამის თქმა უნდოდა: რომ ჩვენი, ჩემი და მისი უიღბლო შეხვედრა — ბედისწერა, ღვთის ნება იყო, რომ იგი თავისი ნება-სურვილით კი არა ღვთის ნებით კვდებოდა. მართალი გითხრათ, მაშინ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მისი ამ სიტყვებისათვის, დიდი ხანია უკვე მიჩვეული ვიყავი მის უცნაურ ხასიათს. მერე უცებ — ფანქარი თუ გაქვსო, — მკითხა. მე კიდევ უფრო გავვოცდი, ფანქარი რაღაში სჭირდება-მეთქი, — გავიფიქრე მაგრამ ფანქარი უბის წიგნაკში მედო და მაშინვე გავუწოდე. ახლა ჩემი სავიზიტო ბარათი მომთხოვა. ბარათზე რაღაცის წერა რომ დაიწყო — იცი რა, ჩემს სავიზიტო ბარათზე რომ წერ, უხერხულია-მეთქი, — ვუთხარი. ჩემთვის რაღაც შენიშვნებს ვიწერ, ცოტა ხანს მატადე, რაღაცაზე ვფიქრობ, იქნებ ცოტა ჩავთვლიმო კიდევაცო. მერე ნაწერით გავ-



სებული ბარათი გულზე დაიდო დათვალეები მილულა. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ პირდაპირ გავშეშდი. ასე გაიარა არანაკლებ ნახევარმა საათმა. უცებ თვალი გაახილა და ცივად მითხრა: „ჰო, მართლა დამავიწყდა... მოვედი, რომ შენი ბეჭედი დაგიბრუნო, გუშინ აკი შენ თვითონ გინდოდა, ყველაფერი დამთავრებულიყო“. ამ სიტყვებით საწოლიდან წამოიწია და ბეჭედი კედლის შვერილზე დააგდო. „არა, მე შენ არ გიყვარვარ! — თქვა თითქმის ყვირილით. — არ, მესმის, როგორ შეგიძლია, ასე მშვიდად მიყურებდე! ხომ ხედავ, ქალი ვარ და გამბედაობა არ მყოფნის. მე სიკვდილის კი არა, ტანჯვის მეშინია, მაგრამ ხომ შეგიძლია, ერთი გასროლით ჯერ მე მომკლა, მერე კი შენ თვითონაც მოიკლა თავი“. და აი, ერთხელ კიდევ მთელი თავზარდამცემი სიცხადით შევიგრძენი, თუ როდენ მძიმე და უსაშველო იყო ჩვენი მდგომარეობა. და რომ ბოლოსა და ბოლოს, როგორმე ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვსულიყავით. მაგრამ ის, რომ მე იგი მომეკლა? არა, ვგრძნობდი, რომ ამას ვერასოდეს შევძლებდი. მე უფრო სხვა განცდა მქონდა, სწორედ ჩემთვის დაღვა გადამწყვეტი წუთები-მეთქი ვფიქრობდი. რევოლვერი ავიღე და ჩახმახი შევაყენე, „როგორ შენ? მართლმად შენ?“ — საშინლად იკივლა და წამოხტა. — არა, იესო ქრისტეს გეფიცები, არა, არავითარ შემთხვევაში!“ — ამ სიტყვებით რევოლვერი ხელიდან გამომტაცა და...

და ისევ ჩამოწვა მტანჯველი სიჩუმე. მე ვიჯექი, ის გაუნძრევლად იწვა, მერე უცებ თავისთვის პოლონურ ენაზე რაღაც ჩაიბუტბუტა და — ჩემი ბეჭედი მომეცით, — ახლა მე მომიბრუნდა. ბეჭედი რომ მივაწოდე — შენიცო — მითხრა. სასწრაფოდ ეს სურვილიც შევუსრულე. თავისი ბეჭედი თითზე წამოიცვა, მიბრძანა, მეც ჩემი ბეჭედი გამეკეთებინა და ჩუმად ჩაილაპარაკა: „მე შენ ყოველთვის მიყვარდი, ახლაც ძალიან მიყვარხარ... ვიცი, გადაგრიე, ტკუიდან გადაგიყვანე, დაგტანჯე, მაგრამ რას იზამ, ასეთი ხასიათი მაქვს, ასეთია ჩვენი ბედისწერა... ახლა აი ეს ჩემი ქვედა კაბა მომეცი და ლუდი მომიტანე...“ კაბა მივაწოდე და ლუდის შემოსატანად მეორე ოთახში გავედი. უკან რომ დავბრუნდი, გვერდით ობიუმის შუშა ედგა. „მომისმინე, — მითხრა მან მტკიცედ, — კმარა, გვეყოფა ეს კომედია. შენ შეგიძლია, იცოცხლო ჩემ გარეშე?“ არა-მეთქი, — ვუპასუხე. „დიახ, — თქვა მან, — მე წავიღე შენი სული, ჩემთანაა მთელი შენი აზრები. თქვი, შეგიძლია, უყოფმანოდ მოიკლა თავი? თუ ასეა, მეც შენთან ერთად წამიყვანე, არც მე შემიძლია უშენოდ სიცოცხლე. ხოლო როცა სიცოცხლეს გამომასალმებ, შენც იმ შეგნებით მოკვდები, რომ ბოლოსა და ბოლოს მე უკვე შენ გეკუთვნი... შენი ვარ სულით ხორცამდე... საუკუნოდ... ახლა კი მომისმინე — მოისმინე ჩემი ცხოვრების ამბავი...“ ამის შემდეგ ისევ დაწვა, წუთით იყურა, ცოტა დამშვიდდა და ბავშვობიდან მოყოლებული მთელი თავისი ცხოვრების ამბავი წყნარად, აუჩქარებლად მომიყვა, მაგრამ მე თითქმის არაფერი მახსოვს მისი ამ მონაყოლიდან.

14.

არც ის მახსოვს, რომელმა ჩვენთაგანმა დაიწყო პირველად წერა... ფანქარი შუაზე გავტეხე... ვწერდით ჩუმად, ხმისამოუღებლად. მე მგონი, პირველ რიგში მამაჩემის წერილი დავწერე... მეკითხებით, მაშინ როდესაც ერთხელაც არ მითხოვია თანხმობა მასთან დაქორწინების შესახებ, რატომ ვსაყვედურობ მამაჩემს, ჩემი ბედნიერება არ გინდოდა-მეთქი? არ ვიცი... ალბათ იმიტომ, რომ



ვატოდი, სულერთია, მაინც არ დამთანხმდებოდა ამ ქორწინებაზე... მერე თანაპოლკელებთან გამოსამშვიდობებელი წერილი დავწერე. კიდეც... კიდეც ვის მივწერე? პოლკის მეთაურს, ვახოვდი, წესიერად დავესაფლავებინე. ესე იგი, დარწმუნებული იყავი, რომ თავს მოიკლავდი? რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი... მაშინ, როგორ მოხდა, რომ ასე მოვიქეცი? არ ვიცი.

ისიც მახსოვს, ნელა წერდა, სვენებ-სვენებით, ხანდახან ჩერდებოდა და ფიქრობდა. დაწერდა ერთ სიტყვას და გახედავდა კედელს... მოდან... წერილები თვითონ დახია და არა მე. წერდა, ხედა და საღაც მოხვდებოდა, ყრიდა. მე მგონი, ადამიანი საფლავშიც არ იქნება ისეთი თავზარდაცემული, როგორც მე ვიყავი მაშინ, როცა ამ არაეისტვის საჭირო წერილებს ვწერდით იმ გვიან ღამით, იმ სიჩუმეში, აი იმ ფარნის ქვეშ... წერილები მისი სურვილი იყო, მე კი იმ დამეს უსიტყვოდ ვემორჩილებოდი ყველაფერში, მისი სიცოცხლის თვით უკანასკნელ წუთამდეც კი...

უცებ მეუბნება: „კმარა... რახან გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა აღვასრულოთ... დაგვლოცე, დედაო ღვთისაჲ, ღვთისმშობელო მარიაჲ!“ მერე — ლუდი მომაწოდეთ, — მითხრა ჭიქაში ლუდი დავსხი, ლოგინზე წამოიწია, ერთი მწიკვი ფზნილი ჭიქაში უყოყმანოდ ჩაყარა, ნახევარზე მეტი დალია და მიბრძანა, დანარჩენი მე დამელია. ლუდი რომ დავლიე, აფორიაქებულმა ხელში ხელი ჩამავლო და ხვეწნა დამიწყო: ახლა კი მომკალი! თუ მართლა გიყვარვარ, მომკალი!

სახელდობრ, როგორ გავაკეთე ეს? მე მგონი, მარცხენა ხელი მოვხვიე — პო, რა თქმა უნდა, მარცხენა ხელი მოვხვიე და გულში ჩავიკარი. მისი ის სიტყვები ახლაც ყურებში მიდგას: „მშვიდობით, მშვიდობით... თუმცა, არა, გამარჯობა!.. ახლა უკვე სამუდამოდ... აქ თუ ვერ შევძელით, მაშინ იქ, ზეცაში, ზევით მაინც.“ გულში რომ ვიკრავდი, თითი რევორვერის ჩახმახზე მქონდა დადებული... მახსოვს, მთელი სხეულით როგორ ვკანკალებდი... მერე როგორღაც ჩემდაუნებურად გამოვკარი ჩახმახას თითი... მან მხოლოდ ამის თქმა და მოასწრო პოლონურად: „ალექსანრ, ჩემო საყვარელო!“

რომელი საათი იყო? მე მგონი, სამი... რას ვაკეთებდი ის ორი საათი. ამის შემდეგ? მთელი საათი მოვუნდი, ვიდრე ლიხარევთან მივიდოდი. დანარჩენ დროს კი ჯერ ერთხანს მის გვერდით ვიჯექი, მერე ავდექი და რატომღაც ყველაფერი წესრიგში მოვიყვანე...

მე რატომ აღარ მოვიკალი თავი? როგორღაც სულ გადამავიწყდა, როცა ვნახე, ცოცხალი აღარ იყო, ამქვეყნად აღარაფერი აღარ გამხსენებია, ვიჯექი და თვალს ვედარ ვაცილებდი. მერე გონება არეულმა ჯერ მისი, მერე კი ოთახის მოწესრიგება დავიწყე... როგორ შემეძლო მისთვის მიცემული სიტყვისთვის მელაღატა — შენს შემდეგ მეც თავს მოვიკლავ-მეთქი? არ ვიცი. რაღაც აუტანელი გულგრილობა დამეუფლა, ახლა ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის, აღარაფერი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ცოცხალი ვიქნებოდი თუ მკვდარი. იმას კი ვერასოდეს შევურიგდები, ჯალათიაო, ჩემზე რომ ფიქრობენ. არა, არა და არა! მე შეიძლება დამნაშავე ვიყო ადამიანის მიერ დაწერილი კანონის წინაშე, დამნაშავე ვიყო ღმერთის წინაშე, მაგრამ მის წინაშე — არასოდეს!



მეოცე უმშვენიერესი

— სიკვდილო, სად არის შენი ნესტარ-საწერტელი? გავიხსენოთ, რა უთხრა მხეზე უმშვენიერესმა სატრფოს თვისას, ოდეს წარსდგა მის წინაშე ზუსტად იმ დამეს, ცხედარი მისი საფლავს რომ მიაბარეს: „ნუ გოდებ ჩემს გამო, რამეთუ გარდაცვალების შემდეგ მარადიულობას ეზარუნებოდი ჩემი, უზესთაესის ნათელში აღიხვნა წამწამნი ჩემი, მე რომ მკვდრის სსმარადისოდ დაიხუჭა ჩემი სიკვდილის სარეცელზე“...

— უფლის დაბადებიდან ათას სამას ოცდამეოცე წელს, დევნილებაში მყოფი სინიორ ფრანჩესკო, სხვა მრავალ წმინდა საფლავს შედგომილთა შორის, პროვანსის ქალაქ ავინიონში ჩაეიდა. და აი, ამ ამბიდან ერთი წლის თავზე მოხდა, ის, რომ თავისი კაბუკური ცხოვრების გზაზე იგი შემოხვდა დონა ლაურას, შეეტრფო უდიდესი სიყვარულით და ბეატრიჩესა და მსოფლიოს უმშვენიერეს ქალთა დასს აზიარა. იმ წელიწადს, აპრილის თვის მეექვსე დღეს, ვნების კვირის პარასკევს, სინიორ ფრანჩესკო ავინიონის სენ-კლერის ეკლესიაში დილის წირვას ესწრებოდა. როდესაც წირვა დათავრდა, როდესაც იგი ეკლესიიდან მოედანზე გამოვიდა, იღვა და ეზოში გამოშლილ ხალხს ათვალიერებდა, თვალი მოჰკრა რაინდი ოდიბურის ასულს — დონა ლაურას, სინიორ უგოს ნორჩ მუუდღეს, რომლის ღირსეული, მაგრამ ლიტონი ხატება, ვაი რომ არ შემოუნახავს ჩვენთვის შთამომავლობას.

პირველად თვალი მაშინ ჰკიდა, როდესაც ქალი ეკლესიის პორტალში გამოჩნდა.

— მაშინ ვაჟი თავისი სიცოცხლის ოცდამესამე გაზაფხულს ითვლიდა, ხოლო ის ბანოვანი — მეოცე გაზაფხულს. და თუ ვაჟი ახალგაზრდული წლების ყოველგვარი სილამაზით იყო შემკული, ჰქონდა მგზნებარე გული და კეთილშობილი სისხლი, იმ ქალის ყმაწვილური მშვენიერება შეგეძლო ზეციურ მშვენებას შეგედარებინა, ნეტარ არს, ვინც იგი სიცოცხლეში იხილა! ნოდოდა ებანოზივით შავწამწადახრილი, და ოდეს აღახვნა თვალნი, მისმა მზიურმა მზერამ სამუდამოდ განგმირა ვაჟის გული.

იმ აპრილის ის მეექვსე დღე ღრუბლით მოქურთხებული და წვიმიანი იყო, ერთ-ერთი იმ დღეთაგანი, როგორც მრავლად იცის ავინიონში აღრიან გაზაფხულზე. იყო ის დრო და ის ჟამი, რომელსაც ახლა ძველთაძველს ვუწოდებთ და რომელშიც ყველაფერი მშვენიერი გვეჩვენება — გაზაფხულის აუდრიანი დღეებიც, ქარისა და წვიმისაგან კედლებჩაშავებული, ქვითკირით ნაგები ქალაქებიც, ეკლესიებიც, ტალახიანი ვიწრო ქუჩებიცა და შუა ქუჩაში მოლაშლაძე ადამიანებიც; მათი ყოფით, ცხოვრებით, მათი საქმეებითა და გრძნობებით.

— იყო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარცმის ჟამი, ოდეს მწუხარებისაგან თავად მზეც კი ძაძით იმოსება.

თავისი უსაყვარლესი წიგნის — ვირგილიუსის ფურცლებზე, რომლებსაც სინიორ ფრანჩესკო არასოდეს იშორებდა და რომელიც მუდამ სასთუმალქვეშ ედო, ეს სიტყვები მიაწერა სიბერის ჟამს:

— ლაურა, დიდებული თავისი ღირსებებითა და ჩემგან ნაქები პირველად თვალთა ჩემთა ჩემი სიცოცხლის ადრეულ ხანაში იხილეს. ეს მოხდა ქრისტეს დაბადებიდან ათას სამას ოცდამეოცე წელს, აპრილის თვის მეექვსე დღეს, ავინიონში... იმავე ავინიონში, იმავე აპრილის თვეში, იმავე მეექვსე



დღეს, იმავე პირველ საათზე, ათას სამას ორმოცდარვა წელს სამუდამოდ ჩაქრა წმინდა ხანთელი მისი სიცოცხლისა, იმ დროს, როდესაც შემთხვევით ვერონაში ვიყავი და, ვაი რომ სრულიად არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მხოლოდ პარმში მომისწრო ამ საბედისწერო ამბავმა, იმავე საათს სამას ორმოცდარვა წელს, მაისის თვის მეცხრამეტე დღეს, გამოენიხას. მისი უბიწო, მშვენიერი სხეული მიწას მიადარეს ძმები მენორიტების უფლებს ხააში მის გარდაცვალების დღესავე, ჟამს მიმწუხრებისას. ხოლმე სხეული მისი სული, ეჭვი არ მეპარება, კვლავ ზეცას დაუბრუნდა, თავის სივანესა და მარადიულ სამყოფელს. რათა უკეთესად შემოვიჩინხო ხსოვნა ამ საათისა, რათა მცირეოდენი მწარე შვება მაინც ვიგრძნო, მინდა ჩავწერო ეს ამბავი წიგნში, რომელიც ასე ხშირადაა ჩემთა თვალთა წინაშე. მინდა მუდამ მახსოვდეს, რომ ამიერიდან ველარაფერი მანუგეშებს, ველარაფერი გაათბობს და გაახალისებს ჩემს გულს ამ ქვეყანაზე. დროა, დაეტოვო მისი ბაბილონი, რამეთუ, ვიგონებ რა ურვით, ცრუ იმედებითა და სევდით განვლილ ჩემს ცხოვრებას, ღვთის შეწყენით, ეს ჩემთვის ძნელი ამბავი არ იქნება...

წერენ, რომ ახალგაზრდობაში ფრანჩესკო ძლიერი და მარჯვე ვაჟკაცი იყო, ჰქონდა პატარა, მრგვალი, მკვრივად აღნაგვი თავი, საშუალო ზომის თხელი, ნატიფი ცხვირი, სახის რბილი, გამოკვეთილი თვალი, ოდნავ მოწითალო, მაგრამ ნაზი, ჯანსაღი სახის ფერი, შავი თმა, წაბლისფერი თვალეზი და ფიცხი, მგზნებარე გამოხედვა, რომ იმ დროისათვის იგი უკვე ცნობილი იყო თავისი დიდი ტალანტით, ჭკუით, ცოდნის სიმდიდრითა და დაუღალავი შრომისმოყვარეობით. შეპყრობილი იყო იმ უმაგალითო სიყვარულით, რამაც ასე სამარადჟამოდ უკვდავყო მისი სახელი. მიუხედავად ამისა, ცხოვრობდა თავისი საუკუნის ცხოვრებით, უშურველად გასცემდა თავის გენიას, განდიდრჩეოდა ადამიანებისადმი კეთილგანწყობით, მოშხიბვლელი ქცევითა და საუბრის უბრწყინვალესი მანერით...

ავინიონის პორტრეტზე იგი უკვე მოწიფულობის ხანაშია: — კაპიტოლიუმის დაფნის გვირგვინი, რომლთაც შეამკეს, როგორც საუკუნის უდიდესი ადამიანი, კეთილშობილური ფლორენციული პროფილი, ჭკუა-გონებით, სიცოცხლით სავსე გამოხედვა...

სიბერეში იგი წერდა:

— ახლა მე აღარაფერზე ვფიქრობ... ვფიქრობ მხოლოდ იმ ბანოვანზე, რომელიც უკვე მაჩქარებს, მიხმობს და მეძახის ზეცაში!

თუმცა ერთ თავის მეგობართან მიწერილ წერილში იგი ამასაც წერს:

— მინდა სიკვდილმა წიგნით ხელში, ანდა — თუ ეს ღმერთსაც სთნავს — უმჯობესია, ცრემლსა და ლოცვაში მომისწროს... გისურვებ ჯანის სიმრთელეს, კეთილდღეობას, იყავი ბედნიერი და მხნე, როგორც ეს ვაჟკაცს შეეფერება!

ამ წერილის დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1374 წლის ოც ივნისს, თავისი დაბადების დღეს, იგი მაგიდას უჯდა და მუშაობდა, რომ „უცებ წინ წაიხარა და თავი ნაწერზე ჩამოუვარდა“.

ის დღე, რა დღესაც მათ პირველად იხილეს ერთმანეთი, იმ ქალისთვისაც ასევე საბედისწერო აღმოჩნდა:

— მისი გულიც ვნებითა და სინაზით იყო სავსე, მაგრამ ო, რაოდენ ურყევი იყო მისი მოვალეობის გრძნობა, მისი პატიოსნება, ღმერთის რწმენა და ღვთის კანონებისადმი მორჩილება!



— მეუფე ჩემი და მბრძანებელი ჩემი! გვერდით რომ ჩამიარა, ვიჯექი მარტოდმარტო მისი სიყვარულით აღსავსე და მასზე ფიქრებში ჩაფლული. შერე მისასაღმებლად წამოვდექი და გაფითრებულმა მორჩილად დავხარე თავი მის წინაშე. მან კი რამოდენიმე აღერსიანი სიტყვა მითხრა და გზა განაგრძო.

ოცდაერთი წელიწადი ასხამდა ხოტბას ლაურას მიწვევას. ხოლო მეოთხედი საუკუნე მის ზეციურ ხატებას. გამოთვლილი ჰქონდა მთელი თავის სიცოცხლეში სულ რაღაც ერთი წელიწადი თუ ხვდებოდა და მუდამ — „უმალღესი სისატიკით შემოსილს“. მიუხედავად ამისა კიდევ ამასაც იგონებს:

— ერთხელ ისიც გაფითრდა, მასაც დაედო სახეზე მკვდრისფერი.. ეს იყო ჩემი გამგზავრების წუთებში, თავისი ღვთაებრივი სახე მდუმარედ დახარა და მისი ეს მდუმარება თითქოს ამბობდა: — „რატომ, რატომ მტოვებს ჩემი ერთგული მეგობარი“?

ჩვეულებრივი მომაკვდავივით ფრანჩესკოც ხარობდა და მწუხარებდა. არც ქალის სიყვარული აკლდა, სიყვარული ჩვეულებრივი და წარმავალი, რომელიც ხელს სულაც არ უშლიდა იმ სხვა, „მარადიულსა და უკვდავ სიყვარულს“. ჰყავდა ორი შვილი... შვილები ლაურასაც ჰყავდა, ერთგული და ღირსეული მეუღლეც იყო, „მაგრამ იმ მეორის სიყვარულისათვის მთელი სიცოცხლე იმ ქვეყნიური თავისუფლების მოლოდინში გალია...“

1348 წელს რამოდენიმე კვირაში შავმა ჭირმა სამოცი ათასი ავინიონელი იმსხვერპლა. შავმა ჭირმა იმსხვერპლა ის ბანოვანიც. ბნელი ღამე იყო, ტკაცატკუცით აბრიალებული ფისის მაშხალების შუქზე მხოლოდ თვალების ადგილას ამოჭრილ ბალახონებში გახვეულმა ადამიანებმა იგი იმ ადგილას დაკრძალეს, სიკვდილამდე საში დღის წინ ანდერძად რომ დატოვა. მისმა სულმა, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოიპოვა ნანატრი თავისუფლება იმ სხვა სიყვარულისათვის და სიკვდილის პირველსავე დღეს მასთან პირველ პაემანზე მივიდა.

— იმ ღამეს, იმ ავბედითი დღის შემდგომ ღამეს, როდესაც ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი ჩაესვენა, ან უფრო ზუსტად, როდესაც მან კვლავ გაიბრწყინა ზეცაში, როცა თავისი ზეციური, ისეთივე განსაცვიფრებელი სილამაზით გაციისკროვნებული, როგორიც მისი მიწიერი სილამაზე იყო, უძვირფასესი აღმოსავლური აღმასებით მოგვირგვინებული წარსდგა ჩემ წინაშე, ნაზი ოხვრით ხელი გამომიწოდა, ჩემთვის ესოდენ და ასე დიდხანს სანატრული და მითხრა: იცანი... ქალი, რომელმაც სამუდამოდ გადაგიჭრა გზა შეხვედრის პირველსავე დღეს. შეიტყვე, რომ ზემთაგონებული სულისთვის სიკვდილი მხოლოდ საპყრობილედან განსვლაა და რომ სიკვდილი მხოლოდ მას ამინებს, ვისაც ბედნიერება უბადრუკ დედამიწაზე ეგულება...

პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება პეტრარკას კუთვნილი პლინიუსის მანუსკრიპტი. მანუსკრიპტების ერთ-ერთ ფურცელზე არის მისი ხელით შესრულებული ნახატი, რომელზედაც გამოსახულია ვოკლეზის ხეობა, კლდე, საიდანაც ჩანჩქერი გადმოიქეფს, კლდის თავზე აღმართული სამლოცველო და კლდის ძირას ნისკარტში თევზგაჩრილი ყანჩა. ნახატის ქვეშ მისი ხელით შესრულებული ლათინური წარწერა აქვს: „ჩემი ალპებს იქით განმარტობა“.

ამ ხეობაში, ავინიონიდან არც თუ ისე მოშორებით, იყო მისი მოკრძალებული მამულიც.



ნეტავი სად ცხოვრობდა ოდესღაც იმ მტვრიან, ახლა ესოდენ მიყრუებულსა და ბებერ ავინიონში ლაურა? ამბობენ, თითქოს იგი ახლანდელი მერიის მამდებარე პატარა ქუჩა ღორიზე ცხოვრობდა, დაკრძალული იყო ძმები მენიტორების ეკლესიის რომელიღაც კაპელაში, მაგრამ არავინ იცის რომელში? მართალია, ეკლესია საუკუნენახევრის წინ, რევოლუციის დროს დაუნგრევიათ, მაგრამ ცნობილია, რომ ეკლესიაში იყო ორი კაპელა — წმინდა ჯვრისა და წმინდა ანასი. მაინც სად, რომელში იყო ამ ორიდან მისი აკლდამა? — ვერ ვიცი. ბენ, თითქოს იგი მისი მამამთილის — სინიორ დე სადეს მიერ აგებულ წმინდა ანას კაპელაში განისვენებდა, ამიტომაც 1533 წელს ავინიონში გავლით მყოფმა მეფე ფრანცისკ პირველმა ბრძანა, გაეხსნათ თითქმის უკვე დაზარეული აკლდამა, რომელშიც ადგილობრივ მოქალაქეთა ვარაუდით, ლაურას ნეშტი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. სამარხში მართლაც აღმოჩნდა ძვლები, მაგრამ იყო კი ეს ძვლები ნამდვილად ლაურასი? — აკლდამაზე წარწერილი გვარისა და სახელის ამოკითხვა უკვე სრულიად შეუძლებელი იყო.

### სტეპა

სალამო ხანს ჩერნისაკენ მიმავალ ახალგაზრდა სოვდაგარს — კრასილშჩიკოვს გზად თავსხმა წვიმამ და ჭექა-ქუხილმა მოუსწრო.

იჯდა ხიფთანის საყვლოაწეული, თვალვებამდე კარტუზჩამოფხატული, საიდანაც ნაკადებად მოედინებოდა წყალი და მსუბუქ ოთხთვალა ეტლს სწრაფად მიარბენინებდა, ძალად ჩექმებში გამოწყობილი ფეხები წინა ღერძისათვის მიებჯინა, გათოშილი ხელებით თასმის სველ, გალიბულ სადავეს ქაჩავდა და ისედაც აფიცებულ ცხენს კიდევ უფრო აჩქარებდა. ენაგადმოვლებული ყავისფერი პონტერი სირბილით, ფეხდაფეხ მისდევდა ტალახში ამოვლებულ წინა ბორბალს, რომელიც წუმპეს აქეთ-იქით შადრევანივით ასხამდა.

ეტლი ჯერ შარავხის გასწვრივ, შავმიწანიადაგზე ზოლივით გავლებულ ნაურმალს მოჰყვებოდა, მერე კი, როცა გზა ერთიანად რუხ, ბუშტებდაყრილ ნიაღვრად იქცა, შარავხაზე გადავიდა და წვრილ ღორღზე ბორბლები აარახრა. ამ თქემისა და თავსხმა წვიმისაგან, რომელსაც ქორფა კიტრისა და ფოსფორის სურნელი სდიოდა, აღარც ცა ჩანდა, აღარც ირგვლივ გაშლილი მინდვრები. ღრუბლის უზარმაზარ კედელს, თითქოს ცასა და დედამიწას აღსასრული უნდა აუწყოსო, დატოტვილი ელვა ცეცხლივით გაჰკვეთდა, მისი მოშიშინე კუდი კრასილშჩიკოვს თავს ზემოთ ტკაცატკაცით გადაურბენდა და ისეთი ძალით იჭექებდა, თითქოს საცაა ქვეყნიერება უნდა დაიქცესო. ყოველ დაჭექებაზე ცხენი ყურებს დაცქვეტდა და მთელი ტანით კრთოდა, ძალდი ადგილს დამფრთხალი მოსწყდებოდა და ხტუნვა-ხტუნვით გარბოდა... კრასილშჩიკოვი მოსკოვში ცხოვრობდა, მოსკოვშივე დაამთავრა უნივერსიტეტი, მაგრამ ზაფხულობით თავის მდიდრული აგარაკის კვლობაზე გაწყობილ ტულის მამულში რომ ჩავიდოდა, თავი გლეხობიდან გამოსული მემამულე-სოვდაგარივით ეჭირა, სვამდა ლაფიტს, პაპიროსი ოქროს პორტსიგარაში ეწყო, ეცვა გაპოხილი ტყავის ჩექმები, გვერდზე შესაკრავი საყელოიანი ხალათი და ხიფთანი, ამყობდა თავისი რუსული ნირითა და ყაიდიტა და ახლა, ამ თავსხმა წვიმასა და ჭექა-ქუხილში, წვიმის ვინუღივით ცივი წყალი ცხვირსა და ქუდის ჩარდახიდან ღვარივით რომ ჩამოსდიოდა გრძნობდა, მთელი სხეული სოფლის ცხოვრების ხალისით, ენერ-







სიხუმე და სიცარიელე დაუხვდა, ხვატჩამდგარ სიბნელეში მხოლოდ ჭერზე იმსხდარი ბუზების უხალისო ბზუილი ისმოდა.

— ამოწყდნენ თუ რა! — თქვა კრასილშნიკოვმა ხმაშაღლა, რომ იმავე წუთს სიბნელეში ტახტიდან ჩამოცურებული სტეპას, სახლის პატრონის ქალიშვილის თითქმის ბავშვური, საამური ხმა მოესმა:

— აჰ, ეს თქვენ ხართ, ვასლ ლიკსეიჩ? მე კი აი, მარტო ვარ ~~ქვემოთ~~ მამილომ გააგლო, თვითონ კიდევ მოჯამაგირეები წაიყვანა და საქმეზე ქალაქში წაბრძანდა, დღეს ალბათ არ დაბრუნდება... ჭეჭა-ქუხილმა ისე შემაშინა, ლამის სული გამძვრა, თან მომესმა, რომ ვიღაც მოვიდა და მაშინ ხომ მოლაღ გამისკდა გული... გამარჯობათ, მაპატიეთ, ვასილ ლიკსეიჩ.

კრასილშნიკოვმა ასანთს გაჰკრა და გოგონას შავვრემან სახეზე მიანათა:

— აი შე დოყლაპია! მეც ქალაქში მიუდევარ, მაგრამ, ხედავ, რა ამინდია! ვიფიქრე, ცოტას შევიცდი-მეთქი და აქვთ შემოვუხვიე... შენ კი გეგონა, ყაჩაღები მომიცვიდნენო.

ასანთი თანდათან მიიღია, მაგარმ სტეპას შემკრთალი, მოღიმარე სახე, მარჯნის ყელსაბაში და ყვითელი ჩითის კაბის ქვეშ ამოზიდული პატარა მკერდი ჯერ ისევ ილანდებოდა... იგი ლამის ორჯერ დაბალი იყო კრასილშნიკოვზე და ჯერ ისევ პატარა გოგონას ჰგავდა.

— ახლავე ლამპას ავანთებ, — ჩაილაპარაკა ვაჟის დაჟინებული მზერით კიდევ უფრო შემკრთალმა გოგომ და ფეხის წვერებზე შემდგარმა ლამპის დაჭილული თუნუქის წრედიდან შუშა ამოიღო.

კრასილშნიკოვი ასანთს უკიდებდა, თან სტეპას დაჭიბულ, წინ წახრილ ტანს თვალს არ აცილებდა.

— მოიცა, არ გინდა, — თქვა მან ანაზღად, ასანთის ღერი გადააგლო და წელზე ხელები მოხვია, — ერთ წუთს ჩემკენ შემობრუნდი...

გოგომ მხარს ზემოთ შიშით გადმოხედა, მკლავები ჩამოუშვა, მისკენ შეტრიალდა და კაცმა თავისკენ რომ მიიზიდა, არ გაჯიუტებულა, შეშინებულმა თავი უკან გადააგლო და გაინაბა. საღამოს ბინდბუნდში კაცმა თვალებში ჯიქურ ჩახედა და გაიციინა:

— შეგეშინდა?

— ვასილ ლიკსეიჩ... — ჩაიბურტყუნა გოგომ ვედრებით და ხელიდან დასხლტომას შეეცადა.

— მოიცა!.. განა არ მოგწონვარ? ხომ ვიცი, ყოველთვის გიხაროდა ჩემი მოსვლა.

— თქვენზე უკეთესი ქვეყანაზე არც არავინ არის... — ჩაილაპარაკა სტეპამ წყნარად და გულმხურვალებ.

— აი ხომ ხედავ...

ვაჟი ტუჩებში ჰკოცნიდა და ხელს ქვევით-ქვევით მიაცურებდა.

— ვასილ ლიკსეიჩ... ღვთის გულისათვის... დაგავიწყდათ, თქვენი ცხენი ისევ პარშალის ქვეშ რომაა? აი საცაა მამილოც დაბრუნდება... აჰ, არა, არ გინდა...

ნახევარი საათის შემდეგ კრასილშნიკოვი ქოხიდან გამოვიდა, ცხენი ჩარდახში შეიყვანა, აღვირი აჰყარა, ეზოს შუაგულში მდგარი საზიდრიდან ახლად მოთიბული სველი ბალახი დაუყარა, მოკრიალებულ ცაზე მშვიდად მოციმციმე ვარსკვლავებს ახედა და ქოხში შებრუნდა. მღუმარებაში ჩაფლული ქოხის ჩახუთულ სიბნელეში ჯერ ისევ შორეული ციალი აღწევდა. იწვა გოგონა



ტახტზე მობლუნძული, მკერდში თავჩარგული, მწარედ ნამტირალევი, მომხდარი საშინელების, მოულოდნელობისა და აღტაცებისაგან გაოგნებული. მერე ვაჟმა მლაშე ცრემლით მონამულ ლოყაზე აკოცა, პირაღმა გაიშხლართა და თავი მხარზე დაადებინა. პაპიროსს აბოლებდა და მარცხენა ხელს თმაზე უსვამდა დაბნეული... მერე გოგოს უცებ ჩაეძინა, ვაჟი კი სიბნელეს მისჩერებოდა და კმაყოფილი იდიმებოდა: „მზარეული მამილომ გააგდო უფიქროს კიდე მოჯამაგირეები წაიყვანა და საქმეზე ქალაქში წაბრძანდა. მუჟაფირი შენი წაბრძანდა! იმ თავისი რუხ ხიფთანიანი და თოვლივით თეთრწვერა ისეთი ცქციტი, ხმელ-ხმელი, ცქაფი ბურიკაცია, ყველაფერს მიხედება... ჯერაც ისეთი შავი, ხშირი წარბები, ცოცხალი თვალები აქვს, თუ მთვრალია, იმდენს ლაპარაკობს... აი, გამოპარებით კი მართლაც ვერაფერს გამოაპარებ, ისიც კი იცის, შენ გულში რა ხდება...“

მანამდე იწვა ასე თვალებგახელილი და უძილო, ვიდრე ქოხის ჭერსა და იატაკს შუა ჩაწოლილი წყვდიადი არ შეთხელდა. მერე ფანჯრიდან აღმოსაულეთის მწვანედ არიბირაბებულ ცას გახედა. უკვე გარკვევით არჩევდა მაგიდის ზემოთ, კუთხეში ჩამოკიდებულ, საეკლესიო სამოსით შემოსილ წმინდანის დიდხატს, სალოცავად შემართულ მის ხელს და მტკიცე, ძრისხანე გამოხედვას. მერე გოგოს დახედა — გოგო იწვა და ისე ღრმად ეძინა, აღარაფრის ბაიბურში აღარ იყო. საბრალო, საყვარელი გოგონა!..

ბოლოს, როცა ქოხი დღის სინათლემ გაანათა, როცა კედელს იქით მამლები აყვლდნენ და ვაჟმა ასადგომად წამოიწია, გოგო წამოხტა, მკერდგადაღედილმა და თმაგაჩეჩილმა მუხლებზე წამოიჩოქა და ვაჟს გაოგნებული, განცვიფრებით თვალები მიაპყრო.

— სტეპა, — უთხრა ვაჟმა მორიდებით, — ჩემი წასვლის დროა.

— უკვე მიდიხართ? — ჩაიბუტბუტა დაბნეულმა სტეპამ.

მერე უცებ გონს მოეგო და ხელგადაჯვარედინებით მკერდში მჯილი იქრა:

— სად, სად მიდიხართ? უთქვენოდ მე აქ როგორ უნდა ვიყო?

— სტეპა, მე ისევ მალე ჩამოვალ.

— მაშინ მამილო ხომ შინ იქნება, როგორ უნდა გნახოთ? ტყეში, შარას იქით დაგხვდებოდით, მაგრამ, აბა, სახლიდან როგორ გამოვიდეთ?

ვაჟმა კბილი კბილს დააჭირა, გოგონა გულაღმა გადააწვინა, გოგომ მკლავები უღონოდ აქეთ-იქით გადაყარა და ტკბილად, სასოწარკვეთით წამოიკივლა: „აჰ!“

მერე სურთუქსა და კარტუზში გამოწყობლი ვაჟი მათრახით ხელში ტახტის წინ, ცის კიდეზე ახლად ამოწვერილი მზისაკენ ზურგშებრუნებული იდგა. გოგო კი მუხლისთავეებზე წამომჯდარიყო და მწარედ, ბავშვივით პირდაფეხილი ქვითინებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

— ვასილ ლიკსეიჩ... ღვთის გულისათვის... ცოლად წამიყვანეთ! სულ თქვენი მონა და მორჩილი ვიქნები, თქვენი სახლის კართან დავიძინებ — ვთხოვთ, გემუდარებით... ისედაც წამოვიდოდი, მაგრამ, აბა, ასე ვინ გამიშვებს!.. ვასილ ლიკსეიჩ...

— კმარა! — მკაცრად შეაწყვეტინა კრასილშჩიკოვმა, — ამ დღეებში ჩამოვალ და მამამენს ვეტყვი, რომ ცოლად უნდა წაგიყვანო, ხომ გესმის?

გოგონა ფეხებზე ჩაჯდა, ქვითინი უმაღლ შეწყვიტა და ცრემლით მონამული, გასხვივოსნებული, ფართოდ გახელილი თვალები გაოგნებულმა შეაფეთა:



- მართლა?
- რა თქმა უნდა.
- ნათლილებას უკვე მეთექვსმეტეში გადავდექი, - სწრაფად ჩაილაპარაკა ხტებამ.
- აი, ხომ ხედავ, ესე იგი, ექვს თვეში შეგვიძლია ჯვარიც დაწვიწვიროთ... შინ მივიდა თუ არა, ვაჟი ბარგის ჩალაგებას შეუდგა, საღამოს ეტლით რკინიგზისაკენ გასწია და, არ გაველოთ ორ დღეს, რომ იგი უკვე კინსლერის სკოლაში იყო.

1938 წ. 5 ნოემბერი.

### რუსია

ღამის თერთმეტ საათზე სწრაფი მატარებელი მოსკოვი-სევასტოპოლი პატარა სადგურ პოდოლსკთან გაჩერდა. იდგა და მეორე ხაზზე რომელიღაც მატარებლის ჩამოდგომას ელოდა. პირველი კლასის ვაგონის მინაჩამოწეულ ფანჯარას მამაკაცი და მანდილოსანი მოადგნენ. ღიანდაგზე კონდუქტორი გადმოდინდა, ძირს დაშვებულ ხელში წითელი ფარანი ეჭირა.

- ხომ ვერ მეტყვი, რატომ ვდგავართ: - ჩასძახა მანდილოსანმა.

- შემხვედრი სწრაფი მატარებელი იგვიანებს, - თქვა კონდუქტორმა და გზა განაგრძო.

სადგურზე სიბნელე და მოწყენილობა სუფევდა. კარგა ხანია დაბინდდა, დასავლეთით, შავად ჩაბინდულ ტყიან მინდორს გადაღმა კი ჯერ ისევე მოსკოვიური ზაფხულის გრძელი დაფიონების უსიცოცხლო შუქი იდგა. ფანჯარაში ტბიდან სინესტისა და სინედლის სურნული ქროდა. ირგვლივ გამეფებულ მღუპარებას ღაღღის გაბმული, უმწიფარი წრიპინი არღვევდა.

ფანჯარას დაყრდნობილ კაცს ქალი მხარზე ჩამოყვრდნო.

- ოდესღაც, არდადეგების დროს ამ მხარეში ეცხოვრობდი, - თქვა კაცმა, - ერთ სააგარაკო მამულში, აქედან ასე, ხუთიოდ კილომეტრზე, რეპეტიტორად ვმუშაობდი. მოსაწყენი ადგილი იყო, მეჩხერი ტყის, კაჭკაჭების, უამრავი კოლოსა და ჭრიჭინობლის მეტს ეერაფერს ნახავდი - არავითარი ხედი, მთელი ძამული რომ შემოგველო, მხოლოდ მეზონინიდან თუ დატკბებოდი პორიზონტის ცქერით. სახლი, რა თქმა უნდა, რუსული აგარაკის ყაიდაზე იყო აგებული და მეტისმეტად ხელმიშვებული, მამულის პატრონები - გალატაკებულები. სახლს გვერდით რაღაც ბაღის მაგვარი ეკრა, ბაღს იქით ღუმფარებითა და ღელქაშით მოფენილი, არ ვიცი, ტბა, არ ვიცი, ჭაობი ჩანდა, რომლის ჭანჭყობ ნაპირზე გამუდმებით იდგა ბრტყელძირიანი პატარა ნავი.

- და რა თქმა უნდა, იყო მოწყენილი მოაგარაკე ქალწული, რომელსაც იმ ნავით იმ ტბაზე ასეირნებდი.

- ჰო, ყველაფერი ისე იყო, როგორც ჯერ არს. მხოლოდ ქალწული არ იყო სულაც მოწყენილი... უფრო ღამ-ღამობით ვასეირნებდი - ძალზე პოეტურადაც კი გამოდიოდა, დასავლეთით ცა მთელ ღამეს მომწვანოდ მჭვირვალეზდა. პორიზონტს კი, აი იქ, ისე როგორც ახლა, სულ რაღაც მკრთალი, უსიცოცხლო შუქი ეფინა. ნავში ნიჩაბი ერთის მეტი არ აღმოჩნდა, ისიც უხეირო, ბარივით... ნიჩაბს ვიჟივით ვუსვამდი - ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. მოპირდაპირე ნაპირი, აი იმ მეჩხერი ტყის ადგილას სულ ჩაბნელებული იყო,







— თვითონ?

კაცმა ერთხანს იყუჩა და მერე ცივად უპასუხა:

— ალბათ იმასაც ასევე ვგონა. ახლა კი წავიდეთ, დავიძინოთ, დღეს ბაღიან დავიღალე.

— ო, რა კარგია! მაშ, ასე რატომ დამაინტერესე? ორი სიტყვით მაინც მომიყევი, როგორ ან რით დამთავრდაა თქვენი რომანი?

— არაფრით. წამოვედი და მორჩა.

— მერედა, რატომ არ ითხოვე?

— ალბათ წინასწარ ვგრძნობდი, შენ რომ უნდა შეგხვედროდი.

— არა, მართლა, სერიოზულად გეკითხები.

— რატომ და იმიტომ, რომ მე ტყვია დავიხალე, იმან კი ხანჯელი ჩაივა გულში...

მერე ხელ-პირი დაიბანეს, კბილები გაიხეხეს, კუბეში შექმნილ სივიწროვეში ტანსაცმელი გაიხადეს და მგზავრისათვის ჩვეული ნეტარებით ახლად გახამებულ ტილოს თეთრგადაკრულ ლოგანში ჩაწვენენ.


კარის მოღურჯო-ლილისფერი საჭვრეტელი მღუმარედ გადმოსცქეროდა სიბნელეს. ქალს მაშინვე ჩაეძინა, კაცს კი არ ეძინა, იწვა, სიგარეტს ეწეოდა და ის წარსული ზაფხული ახსენებოდა.

ქალიშვილის სხეულზე უამრავი პაწაწინა შავი ხალი ჰქონდა და ეს კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას აძლევდა. იმის გამო, რომ, მუდამ უქუსლო, რბილი ფეხსაცელი ეცვა, სიარულის დროს ყვითელი სარაფნის ქვეშ მთელი სხეული უღელავდა. ფართო ფარფარა სარაფანი შხვართ, ქალწულებრივ სხეულზე ლაღად, თავისუფლად ადგა. ერთხელ წვიმაში ფეხები დაუსველდა და ბაღიდან პირდაპირ სასტუმრო ოთახში შემოირბინა. ვაჟმა მაშინვე ფეხსაცმლის გახდა დაუწყო — ხდიდა და თან სველ, ვიწრო ტერფებზე კოცნიდა. მთელ თავის სიცოცხლეში ამგვარი ბედნიერება არასოდეს განეცადა. აივნის ღია კარს იქით გრილ, სურნელოვან წვიმას შხაბაშხუპი გაჰქონდა. ნასადილევს ჩაბნელებულ სახლში ყველას ეძინა. უცებ შავი, ცეცხლივით წითელობილიანი მამალი სწორედ მაშინ შემოვარდა. როცა არც სიფრთხილე ახსოვდათ, არც მორიდება. მეტალისებურად მბზინვარე, კუდმოშწვანო მამალი კი იმის დანახვაზე, შეშინებულები დიენიდან როგორ წამოხტნენ, თიქოს თავისი მოწიწება და თავაზიანობა უნდა აჩვენოს, წელში მოკაკული და კუდჩამოშვებული ოთახიდან ფხაკაფხუკით ისევ წვიმაში გაეარდა...

თავიდან ქალიშვილი ჯერ შორიდან აცქერებოდა, მაგრამ ვაჟი თუ როდისმე გამოეღაპარაკებოდა, სახე წითლად აუფერადდებოდა და დამცინავად რაღაცას ჩაიბურღლუნებდა. მაგიდასთან ხშირად წაჰკებენდა კიდევაც, ხმამაღლა ეტყოდა მამამისს:

— ტყუილად ნუ სთავაზობ, მამა, მაგას ხორცი არ უყვარს, სხვათა შორის, არც ბურაჩის შეჭამადი უყვარს, არც ატრია, არც მაწონს აგდებს რამედ, ხაჭოც ხომ ეზიზღება და ეზიზღება...

დიღდიღობით ვაჟი ბიჭუნას ამეცადინებდა, ქალიშვილი საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. დღის პირველ საათზე, სადილის შემდეგ ქალიშვილი თავის ოთახში — მეზონინზე, ანდა, წვიმიანი ამინდი თუ არ იღვა, ბაღში მიდიოდა, სადაც არყის ხის ძირში მოღებრტი ჰქონდა გაწყობილი — თან კოლოებს იგურიებდა და თან ნატურიდან ხატავდა. მერე აივანზე დაიწყო გამოსვლა, სადაც ნასადილევს ვაჟმა ლერწმის მოღრეცილ სავარძელში იცოდა წიგ-





ნით ხელში ჯდომა. დადგებოდა ზურგზე ხელებშემოწყობილი და უცნაური ღიმილით მისჩერებოდა.

— შეიძლება გკითხოთ, ასეთ რა დიდ სიბრძნეს შტუდირებთ?

— საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას ვკითხულობ.

— ოი, ღმერთო ჩემო! წარმოდგენა არ მქონდა, სახლში რევოლუციონერი თუ გვყავდა.

— ხატვა რატომ მიატოვეთ?

— ცოტაც და, სულ თავს დავანებებ. დავრწმუნდი, რომ უნიჭო ვარ.

— მაშინ მაჩვენეთ თქვენი ნახატები.

— თქვენ ფიქრობთ, რომ გაგეგებათ, რაიმე მხატვრობისა?

— ზედმეტად პატივმოყვარე ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, მაქვს ეგ ცოდვა...

და აი, ერთხელაც ქალიშვილმა ვაჟს ტბაზე სეირნობა შესთავაზა:

— ამ ჩვენს ტროპიკულ მხარეში, მგონი, ჩაიარა წვიმიანმა ამინდებმა მოდი, გავერთოთ. მართალია, ეს ჩვენი ნუშა ნავი დამპალია და ფსკერი დახვრეტილი აქვს, მაგრამ მე და პეტიაშ მთელი ნახვრეტები ლელქაშით ამოვქოლეთ...

ცხელი დღე იდგა, მზე მცხუნვარედ აჭერდა. სანაპიროზე უხვად წამოსული, ყვითელი ბაიებით გადაჭრელებული ბალახი ჩახურებული იყო, ბალახებზე უამრავი ღია მწვანე ფარვანა დაფარფატებდა.

ვაჟი უკვე მიჩვეული იყო ქალიშვილის დამცინავ კილოს:

— როგორც იქნა, შემომხედეთ მოწყალის თვალით, — უთხრა და ნავს მიუახლოვდა.

— თქვენ კი, როგორც იქნა, მიხვდით, რომ პასუხი უნდა გამცეთ! — თქვა ქალიშვილმა მკვირცხლად და ნავში ჩახტა. ხმაურზე დამფრთხალი ბაყაყებიც ტყაპატყუპით ჩაცვიფდნენ წყალში. უცებ ქალიშვილმა იკივლა, კაბის კალთაზე ხელი იტაცა, მუხლამდე აქაჩა და ფეხები ააბაკუნა:

— ანკარა! ანკარა!

ვაჟის თვალწინ შავტუხა, მბზინვარე შიშველმა წვივებმა გაიფლვა. ნავის ცხვირზე ნიჩაბს ხელი დაავლო, ფსკერზე აკლაკნილ ანკარას დაჭკრა, მერე ნიჩბით აიღო და შორს წყალში ისროლა.

ქალიშვილს სახეზე ინდუსური სიყვითლე გადაჰკრავდა, ხალები ჩამუქებოდა. თმა და თვალები თითქოს კიდევ უფრო შავი უჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, შუბით ამოისუნთქა:

— ო, რა საშინელებაა! შინ და გარეთ ყველგან ამ საზიზღარი ანკარებით არის სავსე... პეტიაშ კი, ხომ წარმოგიდგენიათ, ხელშიც კი აჭყავს!

პირველი შემთხვევა იყო, ვაჟს ასე უბრალოდ, შინაურულად რომ მიმართაუდა, პირველი შემთხვევა იყო, ერთმანეთს ასე პირდაპირ რომ შეჭყურებდნენ თალებში.

— როგორი გულადი ხართ! ეს რა ოსტატურად სთხლიშეთ თავში!

ბოლოს სრულიად დამშვიდდა, გაიღიმა, ნავის ცხვირიდან კიჩოზე გადავიდა და ხალისიანად ჩაჯდა. ვაჟი განცვიფრებული იყო ქალიშვილის შისისაგან შემკრთალი სახის მშვენიერებით და — ჯერ სულ ბავშვიაო, — ფიქრობდა სინაზით აღვსილი. მაგრამ, ვითომც არაფერი, გულგრილი სახე მიიღო, ჩაფიქრებულმა ნავში რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა, ნიჩბით ლამბმოღებულ ფსკერს დააწვა, ნავი ცხვირით წინისაკენ შეატრიალა მწვანე ლუმფა-



რებსა და აყვავებულ ლელქაშებზე, რომელთა ფართო, მრგვალი ფოთლები ხალიჩასავით გადაჰყუნოდა ირგვლივ ყველაფერს, წყალქვეშა მცენარეებმო-რეულ წყალში შეათრია, მერხის შუა დაჯდა და ნიჩაბს მოუსვა.

— რა კარგია, არა? — თქვა ქალიშვილმა.

— ძალიან! — ვაჟმა თავიდან კარტუზი მოიძრო და ქალიშვილისაკენ შეტრიალდა: — ჰქენით სიკეთე, მანდ სადმე თქვენ გვერდით დადეთ, თორემ ჩამივარდება ამ ძირგახვრეტილ ნაეში, რომელიც, დიდ ბოდიშს კრწხდის მანდ რამ, წურბელებით არის სავსე.

ქალიშვილმა ქუდი გამოართვა და მუხლებზე დაიდო.

— ნეტავი რას წუხდებით, დაადეთ აგერ მანდ სადმე.

ქალიშვილმა კი ქუდი მკერდზე მიიკრა და უთხრა:

— პირიქით, ძალიანაც გავუფრთხილდები.

ვაჟს გული კვლავ ნაზად შეუთრთოლდა, მაგრამ წედანდელივით ახლაც გულგრილად შეტრიალდა და ლელქაშებსა და ღუმფარებს შორის აბზინებულ წყალს ნიჩაბი კიდევ უფრო გამალებით მოუსვა.

სახესა და ხელებზე კოლოები კბენდნენ, ირგვლივ ყველაფერი ვერცხლისფრად ლიცლიცებდა — ცინცხალი ჰაერი, მზის ხვატჩამდგარი ნათელი, ლელქაშისა და ღუმფარის კუნძულებს შორის წყლის ველობებში ნაზად მკრთო-მარე ქათქათა, თეთრად შეგრუხული ღრუბლები. წყალი ყველგან ისე თავთ-ხელი იყო, წყალმცენარეებით მოფენილი ფსკერიც კი ჩანდა, მაგრამ ეს ვერაფერს აკლებდა იმ უძირო სიღრმეს, რომელშიც ღრუბლით აჭრელებული ზეცის ანარეკლი იძირებოდა. უცებ ქალიშვილმა ისევ შეჰკივლა — კიჩოდან ხელი წყალში გადაეყო და ღუმფარის ღეროს ისე ქაჩავდა, ვაჟს რომ არ ემა-რჯვა, დროზე არ წამომხტარიყო და იღლიებით არ დაეჭირა, ნავიცა და თვი-თომნაც წყალში ამოპირქვაუდებოდნენ. ქალიშვილმა გადაიკისკისა, ზურგით კიჩოზე გადაწვა და წყალი თვალებში აწუწა. მაშინ ვაჟმა იგი კვლავ მკლავებში მოიმწყვდია და ისე რომ თავადაც ვერ მიხვდა, მოკისკისე ტუჩებზე დაეკონა. ქალიშვილმაც უმაღ მკლავები კისერზე შემოაჭდო და ლოყაზე უხე-რხულად აკოცა...

ამის შემდეგ ისინი ყოველ ღამე მიდიოდნენ ტბაზე სასეირნოდ. მეორე დღეს ნასადილევს ქალიშვილმა ვაჟი ბაღში გაიხმო და ჰკითხა:

— გიყვარვარ?

— შეხვედრის პირველი დღიდანვე! — უპასუხა ვაჟმა მხურვალედ, წინა დღის კოცნა გონებიდან არ შორდებოდა.

— მეც, — თქვა ქალიშვილმა, — არა, თავიდან ვერ გიტანდი, ასე მეგონა, ვერ მამჩნევდი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ამაღამ, ყველა რომ დაიძინებს, ისევ იმ ადგილას მოდი და დამელოდე, თლ-ონდ რაც შეიძლება ფრთხილად გამოდი სახლიდან, დედა ყოველ ჩემ ნაბიჯს უთვალთვალებს, ყველაფერზე ეჭვიანობს.

იმ ღამეს ქალიშვილი ტბაზე პლედით ხელში მოვიდა. სიხარულისაგან ვაჟი ისე იყო დაბნეული, მხოლოდ ამის კითხვალა მოახერხა:

— ეს პლედი რაღად გინდა?

— რა სულელი ხარ! ხომ შეგვეცოცა... ჰა, ახლა დაჯექი და რაც შეიძლე-ბა მოუსვი ნიჩბებს იმ ნაპირისაკენ...

მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ. ტბის მეორე ნაპირზე, ტყეს რომ მიუახ-ლოვდნენ, ქალიშვილმა უთხრა:



— ესეც ასე. ახლა კი ჩემთან მოდი. პლედი სადაა? აჰ, თურმე მე არ ვზივარ ზედ! მცოცა. ეგ პლედი მომახურე და დაჯექი. აი ასე... არა, მოიცა. გუშინ ჩვენ როგორღაც სულელურად ვკოცნიდით. ახლა ჯერ მე გაკოცებ ოღონდ ნელა, შენ კი მომეხვიე... მაგრად მომეხვიე...

სარაფანის ქვეშ ქალიშვილს მხოლოდ გარეპერანვი ეცვა. იგი ვაჟს ნაზად, ოღნავ ვხებოდა ტუჩის კუთხეში. გონებაარეულმა, კეჭმეხუ ქალიშვილი, რომელიც უკვე გაშმაგებით იკრავდა გულში, კინოზე ვეღარწიწიქქქ

იგი ერთხანს ღონემიხდილი ესეენა, მერე წამოიწია და ბედნიერი ღიმილით უთხრა:

— აი ჩვენ უკვე ცოლ-ქმარი ვართ. დედა ამბობს, ვერ გადავიტან შენს გათხოვებასო, მაგრამ ახლა ამის გახსენებაც არ მინდა... იცი, უნდა ვიპანაო... ძალიან მიყვარს ღამით ბანაობა...

ტანსაცმელი თავზე გადაიძრო და მისმა გრძელმა, შხვართმა სხეულმა ღამის სიბნელეში თეთრად გაიელვა, მერე ხელები ასწია, ყოველგვარი მორიდების გარეშე წამოზიდული მკერდი და ილიის შავი ღრმულები გამოაჩინა, ნაწნავი თავზე შემოიხვია, ვაჟს სწრაფად აკოცა, წყალში ვგრევე გადაეშვა, თავი აიღვრა და ფეხების ჭყაპაჭყუპით გაცურა.

მერე ვაჟმა სწრაფად ჩააცვა და პლედი შემოახვია. ღამის სიბნელეში ზღაპრულად მშვენიერი იყო მისი შავი თვალები და თავზე შემოხვეული შავი მსხვილი ნაწნავი.

ვაჟი მიკარებას ვეღარ ბედავდა, უსაზღვრო ბედნიერებით აღსავსეს სიტყვის წარმოთქმის თავიც აღარ ჰქონდა, მხოლოდ ხელებსღა უკოცნიდა. ცინათელებით აქა-იქ აბჟუტებულ სანაპირო ტყის წყვდიადში თითქოს ვიღაც იდგა და ჩუმად უსმენდათ. უცებ რაღაცამ გაიფაჩუნა. ქალიშვილმა თავი ასწია და მიაყურადა:

— მოიცა, მოიცა!

— ნუ გეშინია, ალაბათ ბაყაყი მიცოცავს წყლიდან სანაპიროზე, ან ზღარბია ტეში...

— იქნებ არჩვია?

— არჩვი? რა არჩვი?

— რა ვიცი... აბა, წარმოიდგინე — დგას ტყეში არჩვი და გიყურებს... ისეთი ბედნიერი ვარ, მინდა სულ სისულელები ვიყებო!

და ვაჟი ქალიშვილს კვლავ ხელზე დაეკონა, ზოგჯერ გრილ მკერდზე ისე ჰკოცნის, როგორც რაღაც წმიდათაწმინდას. კრთოდა და კრთოდა შავად ჩაბინდული ტანდაბალი ტყის გადაღმა, წყლის თეთრად განფენილ ზედაპირზე არეკლილი მკრთალი, მწვანედ მორიალე ათინათი. ნიახურივით მძაფრი სურნელი სდიოდა წყლს პირას ამოჯეჯილებულ ცვრიან ბალახს, იღუმალად, გულისგამაწვრილებლად ბზუოდნენ უჩინო კოლოები. ჩუმი ტკაცანით დაფრინავდნენ ნავისა და წყლის თავზე ძილგამკრთალი ჭრიჭინობლები. სადღაც რაღაც ფუთფუთებდა, მიძვრებოდა, ბალახს აშრიალებდა...

ერთი კვირის თავზე მოულოდნელი განშორებით ელდანაკრავი ვაჟი უგვანოდ, შერცხვენილი და გაწბილებული გააგდეს სახლიდან:

ერთხელაც ნასადილევს სასტუმრო ოთახში ისხდნენ და თავითავს მოღებულები „ნივას“ ძველ ნომრებს ათვალთვრებდნენ.

— ისევ გიყვარვარ? — ჩუმად ჰკითხა ვაჟმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამ ეურნალის მეტი არაფერი ახსოვდა.

— სულელო, სულელო! — ჩურჩულებდა ქალიშვილი.



უცებ მსუბუქი ნაბიჯის ხმა გაისმა და ზღურბლზე შავი აბრეშუმის დასრესილ ხალათსა და ტარსიკონის ძველ ფეხსაცმელში გამოწყობილი მისი ჭკუაშექანებული დედა წამოიშართა. შავი თვალები აეის მომასწავებლად უელავდა, ოთახში ისე შემოიჭრა, თითქოს სცენაზე და იკვილა:

— ყველაფერი გავიგე! ვგრძნობდი და სულ გითვალთვალებდით. აი, შე/ არამზადავ! ამ გოგოს შენ ვერასოდეს ეღირსები!



მერე გრძელსახელოიანი ხელი შემართა და ძველებური პისტოლეტი რომლითაც პეტია ბელურებს აფრთხობდა, გამაყრუებლად ისროლა. ვაჟი კვამლში გახვეულ ქალს ეცა, ხელი დაუჭირა, მაგრამ ქალი ხელიდან დაუსხლტა, პისტოლეტი ჯერ შუბლში ჩაართვა, წარბი გაუხეთქა, მერე ზედ მიაგდო და სროლასა და კვილზე სახლში ატეხილი ჩოჩქოლის ხმა რომ გაიგო, ჩატეტილ ტუჩებზე ქაფმომდგარმა კიდევ უფრო თეატრალურად იკვილა:

— ვიდრე პირში სული მიღვას, შენ ამას ვერ ეღირსები! გაქცევას თუ მოინდომებთ, სახლიდან ფეხს გააღვამთ თუ არა, ან თავს ჩამოვიხრჩობ, ან სახურავიდან გადმოვხტები! ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან, შე არამზადავ! მარია ვიქტოროვნა, აირჩიეთ — ან შე, ან ის!

ქალიშვილმა ძლივს ჩაილულულა:

— თქვენ, დედა, თქვენ...

კაცი გამოფხიზლდა, გონს მოეგო. სიბნელიდან კვლავ დაჟინებით, იდუმალ მისჩერებოდა კარის მოღურჯო-ლილისფერი საჭურეტელი. მატარებელი კვლავ დაჟინებით, ვაგონების რწვეა-რწვევით მიქროდა. უკვე სადღაც შორს დარჩა ის პატარა, სევდიანი სადგური. სადღაც ოცი წლის გადაღმიდან უხმანებოდა ის წარაფი, ის ჭაობი, ის დუმფარები თუ წეროები... დიან, წეროები, რამეთუ ყველაფერი უცნაური იყო იმ განსაცვიფრებელ ზაფხულში, უცნაური იყო დროდადრო ჭაობის პირას საიდანღაც მოფრენილი წეროების ის წყვილიც, მხოლოდ ქალიშვილს რომ არ უფრთხოდნენ და მხოლოდ მას რომ უშვებდნენ თავის სიახლოვეს — მოიდრეკდნენ თავის გრძელ, ნატიფ კისრებს და მკაცრი, მაგრამ კეთილგანწყობილი ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ ზევიდან, როდესაც იგი თავისი ჭრელი ქალამნებით ჩუმად, ფეხაკრეფით მიირბენდა, ჩაცუცქდებოდა მათ წინ, გადააფრიალებდა ტბისპირა ნოტიო, თბილ ბალახებზე თავის ყვითელ სარაფანს და ბავშვური სულწასულობით ვიწრო რგოლებად შემოფარგლულ, შუშასავით პრიალა, მშვენიერსა და მრისხანე შავ გუგებში მისჩერებოდა. ვაჟი შორიდან უცქეროდა ღურბინდით. იგი გარკვევით ხედავდა წეროების არა მხოლოდ პატარა, ლაპლაპა თავებს, არამედ ძველვან ნესტოებსაც კი, მათ მაგარ, დიდ ნისკარტებს, რომლის ერთი ჩანისკარტებაც საკმარისი იყო, რათა ანკარა სიცოცხლეს გამოსალმებოდა. მოკლე, კუდფუმფულა ტანი ხშირი, ნაცრისფერი ბუმბულით ჰქონდათ დაფარული, ქერცლიანი, უზომოდ მაღალი, ჯოხებივით ფეხები ერთს მთლად შავი, ხოლო მეორეს — მომწვანო ჰქონდა. იდგნენ ზოგჯერ მთელი საათობით ცალ ფეხზე შემდგარნი, ერთ ადგილზე გაქვავენულები. მერე უცებ შეფთქრიალდებოდნენ ანაზღად უგონო-უმიზეზოდ და გამლიდნენ თავის უზარმაზარ ფრთებს.

დააბიჯებდნენ მიწაზე მყარად, ნება-ნება, მწყობრად და ერთთავად თავებს აქანავებდნენ... ქალიშვილი წეროებს მიუახლოვდებოდა თუ არა, ვაჟი რატომღაც ველარც ველარაფერზე ფიქრობდა, ველარც ვერაფერს ხედავდა, გარდა



მისი გაფარფარებული სარაფანისა, რომლის ქვეშაც უმაღლესი ქალიშვილის შავკერემან, შხვართ, მოქნეულ ტანს წარმოიდგენდა და ერთბაშად მომღვალსა და მოთენთილს ხურვებაშეყრილივით შეაკანკალებდა. და აი მათი ერთად ყოფნის ბოლო დღე — სასტუმრო ოთახში დივანზე გვერდიგვერდ სხედან და „ნივას“ ათვლიერებენ. ქალიშვილს ახლაც, ისე როგორც მაშინ, ვაჟის კარტუზი აქვს გულში ჩახუტებული, სიხარულით გაბრწყინებული მზესავით თვალებით ვაჟს თვალებში მისჩერებოდა და ეუბნებოდა:

— ისე მიყვარხარ, აი ამ ქედის — შენი თავის, მაგ შენი საძაგელი ოდეკალონის სუნიც კი ჩემთვის ახლა ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად!

კურსკთან ვაგონ-რესტორანში, ნასაუზმევს კონიაკიან ყავას რომ მიირთმევდა, ცოლმა უთხრა:

— ამდენს რატომ სვამ? ეს, მე მგონი, უკვე მეხუთე ტიქაა. რაო, ისევ იმ შენ ყვითელსარაფნიან ქალწულზე ხომ არ სევდიანობ?

— ვხევდიანობ, დიახ, ვხევდიანობ, — უპასუხა კაცმა და უსიამოდ ჩაიცინა:

- აგარაკელი ქალწული... Amata nobis quantum amabitus nulla!
- ლათინურია? მერედა, რას ნიშნავს?
- ამის ცოდნა შენთვის საჭირო არ არის.
- რა უხეში ხარ, — თქვა ქალმა, დაუდევრად დაამოქნარა და მზით განათებულ ფანჯარაში ყურება დაიწყო.

1940. 77. IX.

ჰენრიხი

ერთ ზღაპრულ, ბაღებში იისფერ ჭირხლოდებულ, სუსხიან საღამოს კასატკინი გლებოვს ვიწრო, მაღალი მარხილით ტვერის ქუჩაზე სასტუმრო ლოსკუტნაიასაკენ მიაქროლებდა. გზად ღვინისა და ხილისათვის ელისევეთან შეიარეს. მოსკოვის თავზე ცა ჯერ ისევ განათებული იყო, მოკრიალებულსა და გამჭვირვალეს დასაუღეთით როგორღაც მწვანე ფერი გადაჰკრავდა. შორს, გაშლილ სივრცეში, სამრეკლოთა კენწეროები კრთოდა, ძირს, დედაშიწაზე კი უკვე ბინდი წვებოდა, თოშჩამდგარ, მტრედისფერ თხელ ნისლში ნაზად ციმციმებდა ეს-ესაა ახლახანს ანთებული ფანრები.

სასტუმროს შესასვლელთან გლებოვმა მგლის ტყავის ფეხთსათბური გადაიძრო და მხრებჩამოთოვლილ კასატკინს უბრძანა:

- ერთი საათის მერე მოდი. ბრესტის სადგურში წამიყვანე.
- შესძის, ბატონო, — უპასუხა კასატკინმა, — ესე იგი, საზღვარგარეთ მიბრძანდებით?
- ჰო, საზღვარგარეთ მიუდივარ.

კასატკინმა მარხილის ჭრიელ-ჭრიალით კანჭმაღალი, ბებერი, ჩორთით მავალი ცხენი უხეშად შეატრიალა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია:

- თუ გული გულობს...
- ... სასტუმროს დიდი, ოდნავ ხელმიშვებული კესტიბიული, ფართო ლიფტი და ჭრელთვალება, ჟანგისფრად დაჭორფლილი პატარა ბიჭი ვასია, რომელიც თავის პაწია მუნდირში გამოწყობილი ღვას და მორჩილად ელოდება, ზოზინ-ზოზინით ლიფტი ზევით როდი ავა. გლებოვმა გულში უცებ სინანული იგრძნო,

1. სატრფო ჩენი, რომლის დარად არასოდეს აღარავინ გვეყვარება (ლათ.).



დაეხანა, ყოველივე ამ დიდი ხნის ნაცნობსა და შეჩვეულს რომ ტოვებდა. „კაც-  
მა რომ თქვას, რა შინდა, რისთვის მივდივარ?“ — გაიფიქრა გუნებაში და თავისი თავი  
სარკეში შეათვალიერა: ახალგაზრდა, მხნე, ხმელ-ხმელი და ჯიშისანი თვალები  
უბრწყინავს, უხდება ლამაზ ულვაშზე მოდებული თრთვილი, აცვია ძალიან  
კარგად და მსუბუქად... ნიცაში ახლა შესანიშნავია, ჰენრიხი კი ჩინებული ამ-  
ხანაგო... რაც მთავარია, ასე ჰგონია, იქ სადღაც გაცილებით კარგად უნდა უნდა  
ერად იქნება, ვიღაცას შეხვდება, გაერთობა, გაჩერდება გზად სადმე სასტუმროში  
ში, სადაც, ღმერთმა უწყის, ვინ ცხოვრობდა მანამდე, რა ეკიდა და რა იყო ამ  
გარდერობში, ანდა ვისი იყო ღამის მაგიდაში ჩატოვებული თმის სარჭი. მერე  
მაღდება ვენის საზღვარს და-ისევე დათვრება საუცხოო ჰაერის, ყავისა და ლუ-  
დის სურნელით, თოვლიან ზემერლინში ისევე გააოცებს მზით განათებული ვა-  
გონ-რესტორნის მაგიდებზე ჩამწკრივებული იტალიური და ავსტრიული ღვინო-  
ების ნაირ-ნაირ იარლიყთა სიმრავლე, მხარს ვერ აუქცევს ევროპელი ქალებ-  
ბისა და მამაკაცების სახეებსა და ტანსაცმელს, რომლითაც ასე გაჭედულია სა-  
უზმის დროს ვაგონ-რესტორანი... მერე ღამე, იტალია... დილა ალიონზე, ზღვის  
დასწვრივ, ნიცისაკენ მიმავალ ბნელ, მსუბუქნისლჩაწოლილ გვირაბებში გრუ-  
ხუნით ჩაქროლება, კუბეს ჭერზე მკრთალად მკრთომარე ნათურები, პატარა ყუ-  
რე და თაკარა სიცხეში მინაბული პატარ-პატარა სადგურები... ამ ფიქრებში  
გართულმა გლებოვმა ვერც კი გაიგო, ლოსკუტნაიას ხალებით მოგებული თბი-  
ლი დერეფანი აჩქარებული ნაბიჯით როგორ გაიარა.

ნომერშიც თბილოდა. ფანჯრებიდან მაღალი, გამჭვირვალე ზეცა იმ-  
ზირებოდა, ირგვლივ ჯერ ისევე დაფიონის შუქი იდგა. ბარგი უკვე ჩალაგებული,  
ჩემოდნები უკვე გამზადებული ჰქონდა. და გლებოვმა გულში კვლავ როგორი-  
ღაც სევდა იგრძნო — შეენანა ამ შეჩვეული ოთახის, თოვლით გადათეთრებული  
ძიული ამ ზამთრის მოსკოვის მიტოვება, მიტოვება ლისა და ნადიასი.

ნადია საცაა გამოსამშვიდობებლად მოირბენდა. გლებოვმა ის-ის იყო ღვი-  
ნო და ხილი ჩემოდანში ჩააწყო, პალტო და ქუდი მრგვალ მაგიდასთან მღვარ დი-  
ვანზე მიყარა, რომ კარზე აჩქარებული კაკუნი გაისმა. კარის გახსნა ძლივს მო-  
ასწრო, ნადია კი უკვე კისერზე ეხვეოდა — ერთიანად გათოშილი, ნაზად სურ-  
ნელოვანი, ციყვის ტყავის ქურქსა და ქუდში გამოწყობილი, თავისი თექესმეტი  
წლის კვალობაზე მეტისმეტად ქორფა და ცინცხალი, სიცვიისაგან ავარდისფე-  
რებული პატარა სახით და მწვანე, შუქიანი თვალებით.

- მიდიხარ?
- მივდივარ, ნადია...
- ქალიშვილმა ამოიოხრა, ქურქი შეიხსნა და სავარძელში ჩაეშვა.
- იცი, მაღლობა ღმერთს, წუხელი ავად გაუხდი... აჰ, რომ იცოდე, როგორ  
მანდოდა, სადგურში გამეცილებინე. რატომ არ მაძლევ უფლებას;
- ნადიუშა, ხომ იცი, ეს შეუძლებელია, მე ხომ შენთვის სრულიად უცხო,  
უცნობი ადამიანები გამაცილებენ, თავს მართო და ზედმეტად იგრძნობ...
- ახლა შენთან წამოსვლა რომ შემძლებოდა, სიცოცხლესაც არ დავიშუ-  
რებდი.
- როგორ გგონია, ნადია, მეც ასე არა ვარ? მაგრამ შენ იცი, რომ ეს შეუძ-  
ლებელია...

გლებოვი ქალიშვილს სავარძელში გვერდით მიუჯდა და თეთრ, თბილ ყე-  
ღზე რომ ჰკოცნიდა, დაწვზე მისი ცრემლი იგრძნო.

- ნადიუშა, აბა რა არის ეს, რას ჰგავს?



გოგონამ თავი ასწია და ნაძალადევად გაიღიმა:

— არა, მეტს აღარ ვიზამ... არ მინდა, სხვა ქალებივით თავი მოვაბეზრო, შენხომ პოეტი ხარ, თავისუფლება გჭირდება.

— ჭკვიანი გოგო ხარ, — უთხრა მისი სერიოზულობით, მისი ბავშვური პროფილით, კრიალა, ვარდისფრად ანთებული ღაწვებით, ოდნავ გაპოზილი ბავით, კითხვის ნიშნით სავსე, აპრეზილწამწამებიანი, უმანკო, უკრემლო, უმწიფარი თვალებით აღფრთოვანებულმა გლებოვმა. — შენ ხომ სხვა ქალებს არ ჰგავ ხარ, შენც პოეტი ხარ, ნადია.

ნადიამ იატაკზე ფეხი დააბაკუნა:

— ჩემთან სხვა ქალებზე საუბარი არ გაბედო!

და თვალებშიბნედილმა, ბეწვისა და თავისი თბილი სუნთქვის ღამუნით ყურში ჩუმად წასჩურჩულა:

— მხოლოდ ერთი წუთით... დღეს კიდევ შეიძლება...

ცივ, უკუნეთი წყვდიადით მოცულ ღამეს ბრესტის სადგურის სადარბაზოდან დაღერილი სინათლე ანათებდა. მებარგულის უკან სწრაფი ნაბიჯით მიმავალმა გლებოვმა შუა სადგურში უცებ ლის მოჰკრა თვალი — თხელს, მაღალს, შავ ზეთის ხილივით მბზინვარე კრაველის სწორ ქურქსა და დიდ, შავ ბერეტში გამოწყობილს. ღაწვების დასწერივ თმის შავი დაღაღები ჩამოშლოდა, ხელები შავი კრაველისავე მუფთაში ჰქონდა შეყოფილი. იღვა და თავისი დიდებული შავი თვალებით გაბრაზებული მისჩერებოდა.

— აი შე არამზადა, მიდიხარ, არა? — უთხრა გულგრილად, ხელკავი გაუკეთა და მაღალყელიანი ნაცრისფერი ფეხსაცმლის ბაკაბუკით მებარგულს მასთან ერთად უკან გაჰყვა. — მოიცა, მოიცა, ნახე როგორ იხანო, ჩემისთანას სხვას ვედარავის ნახავ, იმ შენი შტერი პოეტესას ანაბარა დარჩები.

— ის შტერი ჯერ სულ ბავშვია, ლი, არ გრცხვენია, ღმერთმა არ იცის, რა სისულელეებზე არ ფიქრობ.

— გაჩუმდი, სულელი ხომ არ გკონივარ, ეს „ღმერთმა არ იცის რა“ თუ მართლა ასეა, იცოდე, გოგირდის მუავას გადაგასხამ.

ელექტრობურთულებით მკრთალად განათებულ, წასავლელად გამზადებულ მატარებლის თავზე კაუჩუკის სუნიანი, ცხლად მოშიშინე ნაცრისფერი ოხმივარი დიოდა. სხვებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო კლასის ვაგონი ყვითლად იყო შეფიცრული და ამ წითელი ხალებით მოგებულ, ნატვიფრ ტყავადაკრულ, პრიალა კედლების ვაგონს შიგნით უკვე საზღვარგარეთი იყო. უნიფორმაში ჩაცმულმა ყავისფერ ქურთუკიანმა პოლისელმა გამცილებელმა პატარა, ჩახუთული კუპეს კარი რომ გააღო, მაგიდაზე მდგარი წითელი აბრეშუმის აბაჟურიანი ღამპით ნაზად განათებულ კუპეში ლოგინი უკვე დაგებული იყო.

— რა ბედნიერი ხარ, — თქვა ლიმ, — ხედავ, საკუთარი საჭირო ოთახიც გქონია... აგერ აქ გვერდით ვილაა? ვინმე აშარი ქალი ხომ არ აგემზავრა?

და ამ სატყვეებით მეზობელ კუპეს ჯაჯგური დაუწყო:

— არა, დაკეტილი ყოფილა... აბა ბედნიერ მგზავრობას ვისურვებ! კა, სწრაფად, სწრაფად მაკოცე, საცაა მესამე ზარსაც დარეკავენ.

მუფთიდან თეთრი, მოცისფრო, არაჩვეულებრივად ნატიფი, გრძელ, წამახულფრჩხილებიანი ხელი ამოიღო და სხეულის კლაკნითა და თვალების არნახული ელვარებით კისერზე მოეხვია — ლოყებსა და ტუჩებში ჰკბენდა, ჰკოცნიდა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— საზიზღარო, ისე მიყვარხარ, პირდაპირ გეთაყვანები!



გაშავებული ფანჯრის გარეთ ცაცხლოვანი აღქაჯებივით მიქროდნენ და მიქროდნენ მსხვილი, ნარინჯისფერი ნაქერწყლები. დროდადრო მატარებლის შუქით განათებული, თეთრად დათოვლილი ფერდობები და შავად ჩაბინდული ნაძვის ტყის ტევრები გაკრთებოდა, თავიანთი უმოდრაობით პირქუში, უცნაურად, დამეული ცხოვრების იღუმალებაში გარინდული. გლებოვმა მაგიდის ქენი გავარჯარებული საცაცხლოური დაკეტა, გათოშილ მინებზე სქელი ფარდები ჩამოუშვა და პირსაბანის გვერდით კუპეს კარზე რომ დააკაგუნა, კარი გაღვნილ ქუჩაში სიცილით ჰენრიხი შეშოვიდა — ძალაღა, ტანწერეწტა, ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი. მოწითალო-ლომისფერი თმა ბერძნულ ყაიდაზე ჰქონდა დაეარცხნილი, ჰქონდა ინგლისელივით ნაზი, ნატიფნაკვთებიანი ვიწრო სახე და ქარვისფერ-მოყავისფრო ცოცხალი თვალები.

— რა ქენი, გამოემშვიდობე? ყველაფერი შესწოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მომეწონა, ლამის კარი რომ შემომძინვრია და სულ აშარი მეძახა.

— რაო, ეჭვიანობას ხომ არ იწყებ, ჰენრიხ?

— კი არ ვიწყებ, ვაგრძელებ. ასეთი საშიში რომ არ იყოს, დიდი ხანია ამ ქალის სრულ გადაყენებას მოგთხოვდი.

— საქმეც სწორად ისაა, რომ ძალიან საშიშია, აბა ერთი სცადე და უცებ ჩამოიშორე! გარდა ამისა, მე ხომ შენს ავსტრიელსაც ვითმენ და იმასაც, ხვალ-ხვევით მასთან რომ უნდა გაათენო, ღამე.

— არა, მასთან ლამის გათევას არ ვაპირებ. შენ ეს შესანიშნავად იცი. უპირველესყოვლისა, იმისთვის მივდივარ, მინდა თავიდან მოვიშორო.

— შეგეძლო ეგ აშბავი წერილით მოგეგვარებინა, პირდაპირ ჩემთან წამოსულიყავი.

ქალმა ამოიოხრა და დაჯდა, უმშვენნიერესი თითებით თმას ოდნავ შეეხო, შეისწორა და ვერცხლის ბალთიანი, ნაცრისფერი ნატის ფეხსაცმელში გამოწყობილი ფეხი ფეხზე გადაიღო:

— არა, ჩემო მეგობარო, მინდა ისე დავცილდე, მასთან მუშაობის გაგრძელება შემეძლოს. ანგარიშიანი კაცია, მშვიდობიან მოლაპარაკებაზე უარს არ იტყვის. აბა ვის მოძებნის ისეთს, რომელიც ჩემსავით მოამარაგებს მის ჟურნალს მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრების ნაირ-ნაირი სკანდალური ამბებით, ვინ უთარგმნის და ვინ მოამარაგებს გენიალური ნოველებით? დღეს თხუთმეტი რიცხვია, ესე იგი, ნიცაში შენ თვრამეტში იქნები, მე — არა უგვიანეს ოცსაან ოცდაერთში. საერთოდ კი, კმარა ამაზე ლაპარაკი, მე და შენ ხომ, უპირველეს ყოვლისა, კარგი მეგობრები ვართ.

— მეგობრები... — თქვა გლებოვმა და ქალის ნატიფი, ვარდისფრად დაწვეშეფაკლული სახე სიყვარულით შეათვალიერა, — რა თქმა უნდა, ჰენრიხ, შენზე უკეთესი მეგობარი არც არასდროს მეყოლება. მხოლოდ შენთან ვგრძნობ თავს ლაღად და თავისუფლად, შემძლია ყველაფერზე ისე გესაუბრო, როგორც ნამდვილ მეგობარს, მაგრამ, იცი, უბედურება რა არის? სულ უფრო მეტად და მეტად მიყვარდები.

— თუ ასეა, გუშინ საღამოს სად იყავი?

— გუშინ საღამოს? სად და, სახლში.

— მერედა, ვისთან ერთად იყავი? კარგი, რაც არის, არის, ღმერთმა ხელი მოვიმართოს. წუხელ თურმე „სტერლნში“ გნახეს, რაღაც დიდ კომპანიასთან ერთად ყოფილხარ — ცალკე კაბინაში, ბოშებთან. აი ეს კი ნამდვილად ცუდი ტონია — სტუპები, გრუშები, მათი ავისმომასწავებელი, საბედისწერო თვალები...



— მაშინ ვენელ ლოთებზე რაღას იტყვი, მაგალითად, პშიბიშვესკიზე?

— ისინი, ჩემო მეგობარო, შემთხვევითი ხალხია, მე მათათან არაფერი მესაქმება. აი ის ქალი კი, აი ის მაშაა თუ ვიღაც, მართლა ისეთი კარგია, როგორც ამბობენ?

— არც ბოშებია ჩემი საქმე, ჰენრიხ, არც მე მესაქმება მათთან არაფერი, რაც შეეხება მაშას...

— ჰო, როგორია?

— არა, თქვენ გადაჭრით ეჭვიანი ხდებით, ელენა ჰენრიხოვნა. აბა რა უნდა ავიწეროთ, ბოშა ქალი არ გინახავთ თუ რა? ძალიან გამხდარი, თითქმის ულამაზოც კია, აქვს კუბრივით შავი, სწორი თმა, საკმაოდ უხეში, ყავისფერი სახე, უაზრო, მოლურჯო გუგები, ბრტყელი მუცელი... ცხენივით ლავიწებზე ყვითელი, მსხვილი მძივები აქვს ჩამოპორწიალებული და, ამ ყველაფერს, სხვათაშორის, ძალიან უხდება გრძელი, ოქროსფერი, უფრო სწორად, ხახვის კანისფერი კაბა... იცი, ძველებური მძიმე აბრეშუმის შალს ხელში რომ აიკრფვს და კაბის კალთებქვემოდან ტუფლებში გამოწყობილ პატარა ფეხებსა და ვერცხლის გრძელ საყურეებს ააცეკვებს, სიკვდილი მოგიხდება... ახლა კი გეყოფა, ჰენრიხ, წავიდეთ, ვისადილოთ.

ქალი წამოდგა და ოდნავი დიმილით თქვა:

— წავიდეთ... ნამდვილად გამოუსწორებელი კაცი ხარ, ჩემო მეგობარო, რას იზამ, რასაც ღმერთი მოგვცემს, მაღლობელი უნდა ვიყოთ. ნახე, რა კარგია აქაურობა — ეს ორი კარგი, შესანიშნავი ოთახი...

— ჰოდა, ერთი სრულიად ზედმეტია...

ქალმა თმაზე ორენბურგული ნაქსოვი თავსაბური მოიხვია, კაცმა სამგზავრო ქუდი დაიხურა და რწევა-რწევით ორივენი ვაგონების გრძელ გვირაბს დაუყვნენ.

ქალი ადრე წამოვიდა. გლებოვი ერთხანს მარტოდმარტო იჯდა და ეწეოდა. თბილ კუბეში რომ შევიდა, ნამდვილი ოჯახური ბედნიერება იგრძნო — ქალს საბნის კუთხე გადაეწია, მისი ღამის საცვლები ლოგინზე დაეწყო, მაგიდაზე ღვინო და მსხლით სავსე კალათი დაედგა, ზვითონ კი იდგა ღამისპერანგის ამარა პირსაბანის თავზე ჩამოკიდებული სარკის წინ, შიშველი ფეხები ღამის ყარსალშემოვლებულ ქოშებში წაეყო, ტუჩებით თმის სარჭი ეჭირა, სავსე მკერდწამოწეულს შიშველი მკლავები თავთან მიეტანა და თმას ისწორებდა. საოცრად ვიწრო წელი და სავსე თემოები ჰქონდა, თხელი, ჩამოქანდაკებული წვივები. კაცი დიდხანს ჰკოცნიდა ფეხზე მდგარს, მერე ლოგინზე ჩამოსხდნენ და რეინული ღვინის სმა დაიწყეს, თან ისევ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს ღვინისაგან შეგრილებული ბაგეებით.

— მერედა, ღი? — თქვა ქალმა, — მერედა, მაშა?

იწვა გლებოვი იმ ღამეს ბინდით მოცულ კუბეში და სევდნარევი ხუმრობით ამბობდა:

— ეჰ, ჰენრიხ, რომ იცოდე როგორ მიყვარს მატარებლის ვაგონში გატარებული ასეთი ღამეები, დარწეული ვაგონის ეს სიბნელე, შტორებს იქით მოკიაფე სადგურის ღამპიონები და თქვენ —

და ეს „არს“ არის რაღაც ენით აუწერელი, რაღაც ღვთაებრივი და ამავე დროს ეშმაკეული. ხოლო როცა ვწერ ამის შესახებ, როდესაც ვცდილობ წარმოვსახო იგი, ურცხვობასა და მდაბალ ზრახვებში მდებენ ბრალს... უნამუსო ფლიდი, ბილწი სულის ადამიანები... ერთ ძველთაძველ წიგნში კარგადაა ნათქვამი: მთხზველს სრული უფლება აქვს, იყოს ისეთივე გაბედული სიყვარულის



სიტყვიერ გამოხატვაში, როგორც მხატვრები და მოქანდაკეები იყვნენ ყოველ  
 ქამს. მხოლოდ ფლიდი, უნამუსო ადამიანები ხედავენ სისამაგლეს თვით მშვე-  
 ნაერებაშიც კიო...

— როგორც ყველა კაპას ქალს, ლისაც ალბათ პატარა, წამახავილებული  
 მკერდი აქვს ხომ აქეთ-იქით გაბზვილი? — ჰკითხა ჰენრიხმა.

— ჰო.

— თავქარიანი და შტერია?

— არა... ვერ გეტყვი... არ ვიცი... ხანდახან თითქოს ძალიან ჭკვიანი, გო-  
 ნაერი, სადა, გულუბრყვილო და მხიარულია, სიტყვა დამთავრებული არა გაქვს,  
 რომ ყველაფერს ძირისძირობამდე სწელება. ზოგჯერ კი ისეთ მაღალფარდოვან,  
 უზამსსა და უკულმართ რაღაცას წამოროშავს, ვზივარ და დაბნეული, იდიოტი-  
 ვით გამოთავყვანებული ვუსმენ... ისე, მართალი გითხრა, ძალიან მომაბეზრე  
 თავი იმ შენი ლითი.

— თავი მოგაბეზრე იმიტომ, რომ აღარ მინდა ამხანაგი ვიყო.

— აღარც მე... მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნები — მისწერე იმ ვენელ არამ-  
 ზადას, რომ უკან დაბრუნების შემდეგ ნახავ, რომ ახლა შეუძლოდ ხარ, რომ  
 ინფლუენციის გამო ნიცაში დასვენება გესაჭიროება და ჩვენც დაცილება არ  
 მოგვიწევს, ერთად წავალთ, ოღონდ არა ნიცაში, არამედ სადმე იტალიაში...

— ნიცაში რატომ არა?

— არ ვიცი... რატომღაც გადავისურვილე... მთაქარია, ერთად წავალთ!

— ძვირფასო, ჩვენ ხომ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე. თანაც, რატომ მაინცადა-  
 მაინც იტალია? აკი მარწმუნებდი, იტალიას ველარ ვიტანო?

— ჰო, მართალია, ვინაიდან ამ ჩვენი მოესთეუტო რეგვნების გამო, უკვე  
 ყელში მაქვს ამოსული. „ფლორენციაში მხოლოდ და მხოლოდ მიყვარს ტრენჩე-  
 ნტო...“ მაშინ როცა ბელეგოში დაიბადა და ფლორენციაში, მთელი თავისი სი-  
 ცოცხლის მანძილზე, სულ რაღაც ერთი კვირა თუა ნამყოფი... ტრენჩენტო,  
 კვადროჩენტო... და აი მეც შევიძულე ყველა ეს ფრა ანყელიკო, გირლიანდა-  
 იო, ტრენჩენტო თუ კვადროჩენტო!.. შენ წარმოიდგინე, თვით ბეატრიჩე და სა-  
 ხეგამოციებული დანტეც კი, თავისი იმ საღიაცო ჩაჩითა თუ დაფნის გვირგვი-  
 ნით... რა უშავს, იტალიის მაგივრად ტიროლში ან შვეიცარიაში წავიდეთ, ცად  
 აყუდებულ, თოვლით აქა-იქ გადათეთრებულ, გრანტის დემონებს შორის მომ-  
 წყვდეულ ერთ პატარა, რიყის ქვით ნაგებ სოფელში... მძაფრი, ნესტიანი ჰაე-  
 რი, რკალისებური ქვითკირის ხიდის ახლომახლო თავმოყრილი უცნაური, ცი-  
 ცაბოსახურავებიანი ქოხები, ხიდის ქვეშ რძისფრად აქაფებული, ხმაურით მო-  
 ჩუხჩუხე მომწვანო მდინარე, ერთმანეთის გვერდიგვერდ ხელა, მდორედ მოზო-  
 ზინე ცხვრის ფარა და ზანზალაკების გაბზული წკრიალი... იქვე აფთიაქი და  
 ნალაზია, საოცრად თბილი, პატარა ატელიე, კარს ზემოთ ჩამოკიდებული, თით-  
 ქოს საგანგებოდ გამოთლილი ირმის ქორბუდა რქები... ერთი სიტყვით, ხეობა,  
 სადაც მრავალი ათასი წლის განმავლობაში იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, მრავ-  
 ელდებოდნენ და იხოცებოდნენ მთელ სამყაროს მოწყვეტილი მთის ის გულ-  
 ზვიადი ადამიანები, გრანტის მთებს შორის, საუკუნედან საუკუნემდე, თავს  
 გოლიათი მკვდარი თეთრი ანგელოზივით, მარად თოვლით თავშემოსილი მთის  
 მწვერვალები რომ გადმოჰყურებთ. თან არ იტყვი, რა გოგოები არიან, ჰენრიხ!  
 შეკრული, მკერივი, წითელლოყება, შავ კორსეტებსა და შალის წითელ წინ-  
 დებსში გამოკვართულები...

— ო, რა ხართ, ეს პოეტები! — თქვა ალერსიანად ქალმა და ჭაამთქნარა.





— სულ გოგოები და გოგოები... არა, სოფელში 'ცივა, ძვირფასო. გარდა ამისა, კმარა გოგოების გაგონებაც აღარ მიხდა!

საღამოს, ვარშაეაში, ვენის ვაგზალზე რომ გადადიოდნენ, ფართო ეტლის კოფოზე მჯდარ მეეტლეს ნესტით გაელენილი ცივი ქარი სცემდა, კანტიკუნტად წამოსულ წვიმის მსხვილ წვეთებს ნაოჭებით დაღარულ სახეში აყრიდა, ლიტვურ უღვაშებს უწეწავდა. იგი გაბრაზებით ერეკებოდა ეტლში შებზულ წვილ ცხენს ქუჩებში, რომელიც პროვინციული ქალაქის ქუჩებს უფრო ჰგავდა.

გამთენიისას გლებოვმა შტორები ასწია და თხელი თოვლით გადათეთრებულ ვაკობს გახედა ვაკობზე აქა-იქ ავურის პატარა, წითელი სახლები იყო გაბნეული. მაშინ ისინი დიდხანს იდგნენ იმ დიდ სადგურში, სადაც რუსეთის შემდეგ ყველაფერი პატარა ეჩვენებოდათ — გაჩერებული ვაგონები, ვიწრო ლიანდაგები, საფარნე რკინის ბოძები თუ ყოველ ნაბიჯზე შავად მზირალი, გორა-გორა დაყრილი ქვანახშირი. ორთქმავლის დეპოდან ლიანდაგებზე მაღალ კონუსის ძირიან კეპსა და თაგვისფერ-მოციხფრო ფარაჯაში ჩაცმული ტანდაბალი, თოფიანი ჯარისკაცი გადმოდიოდა. ფანჯრებს ქვემოთ, ფიცარნაგზე, ვილაც აწოწილი კაცი ბოლთას სცემდა. ტანთ კურდღლის ბეწვმოვლებული, კუბოკრული ქურთუკი ემოსა, ეხურა მწვანე, უკან ჭრელბუმბულგაჩრილი ტიროლური შლაპა. ამასობაში ჰენრიხმაც გაიღვიძა და ჩურჩულით სთხოვა, ფარდები ჩამოეშვა. გლებოვმა ფარდები დაუშვა, ქალს თბილ ლოგინში შეუწვა, ქალმა მხარზე თავი დაადო და ატირდა.

— რაო, ჰენრიხ, რა იყო, რა მოგივიდა? — უთხრა კაცმა.

— არ ვიცი, ძვირფასო, — უპასუხა ქალმა წყნარად. — დილდილობით რატომღაც ხშირად ვტირი. გამეღვიძება და უცებ შემეცოდება საკუთარი თავი... აი გაიელის რამოდენიმე საათი, შენ წახვალ, მე კი აქ მარტო დავრჩები, შევალ კაფეში და ჩემს ავსტრიელს დავუწყებ ლოდინს... მერე საღამო... ისევ კაფე და ისევ უნგრული ორკესტრი, ისევ სულისშემძნუთველი ვიოლინოები...

— დიახ, დიახ... და გამკივანი ციმბალები... ჰოდა, მეც იმიტომ გუუბნები, გაუშვი ჯანდაბაში ის შენი ავსტრიელი და წავიდეთ ჩვენი გზით.

— არა, ძვირფასო, არ შეიძლება. იმას რომ ვეჩხუბო, რილათ უნდა ვიცხოვრო, რით უნდა ვიარსებო? მაგრამ, შენ თავს ვფიცავარ, ჩვენ შორის არაფერი იქნება. იცი, სულ ბოლოს ვენიდან რომ მოვდიოდი, ჩვენ უკვე გავარკვიეთ, როგორც იტყვიან, ჩვენი ურთიერთობა — ღამით, ქუჩაში, აირის ფარნის ქვეშ. ვერ წარმოიდგენ, როგორი სიძულვილი ჰქონდა თვალებში. აირისა და ბრაზისაგან სახეზე მწვანე, ხეთისხილის ფერი დასდებოდა... რაც მთავარია, განა შემიძლია, ახლა, შენ შემდეგ, ამ კუბეში გატარებული ღამის შემდეგ, რომელმაც ასე დაგვაახლოვა ერთმანეთს, სხვა კაცზე ვიფიქრო?...

— შენ ამას მართალს ამბობ, ჰენრიხ?

ქალმა მკლავები მოხვია, გულში ჩაიკრა და ისე მაგრად აკოცა, კაცს სუნთქვა შეეკრა.

— ჰენრიხ, ვერა გცნობ.

— შენ კი არა, მეც ვერ ვცნობ ჩემს თავს... მაგრამ, მოდი, მოდი ჩემთან.

— მოიცა.

— არა, ახლავე, ამწუთასვე!

— მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვი — ზუსტად მითხარი, როდის გამოხვალ ვენიდან?



— დღესვე, დღეს საღამოსვე..

მატარებელი დაიძრა, კარებწინ ხალიჩაზე რბილად, დეზების წკარუნით დაბიჯებდნენ, წინ და უკან მიმოდიოდნენ მესაზღვრეები .

იყო ვენის ვაგზალიც: ყავის, აირის და ლუდის სუნიც, წავიდა ჰენრიც, ლამაზად გამოწყობილი, სევდიანად მოლიმარე, წავიდა დელიკატურ ჯაგლაგმებ-  
 პული ღია ლანდოთი, მაღალ კოფოზე შემომჯდარ, პელერინასა და ფლანდრში გამოწყობილ, ცხვირგაწითლებულ მეეტლესთან ერთად. რაღაცა...  
 ეტლემ ცხენს საფარი მოხადა, როცა ცხენმა თავისი არისტოკრატიული, გრძე-  
 ლი, მოქნილი ფეხები ადგილზე ააბაკუნა, როდესაც მეეტლემ მას ომახიანად  
 შეუძახა და მათრახი გადაუქნია, მოკლედ კუდმოჭდილი, ცერად თავმიდრეკილი  
 ცხენი ადგილიდან დაიძრა და ყვითლად შეღებილ ტრამვაის ჭენებ-ჭენებით მი-  
 ჰყვა... იყო ზემერინგიც და მთის შუადღის საზღვარგარეთული უქმი, საზვიამო  
 განწყობაც... ვაგონ-რესტორნის მზემოცხუნებული მარცხენა ფანჯარაც; ყვავი-  
 ლის თაიგულიც, ფანჯარასთან თვალისმოშტრელად თეთრ, ქათქათა სუფრაგა-  
 დაფარებულ მაგიდაზე აპოლინარისი და წითელი ღვინო „ფესლაუც“, იყო ზამ-  
 თრის ალიონის ცივ სილურჯედ ჩრდილჩაწოლილი უფსკრულის თავზე, ფლა-  
 ტე-ფლატე კლაკნით მიმავალი მატარებლიდან იქვე, ხელისგაწვდენაზე, ინდი-  
 ვოსფერ სამოთხისებურ ზეცაში აღმართულ, კამკამა, თოვლის სადღესასწაულო  
 სამოსმოსილ მწვერვალთა თვალისმოშტრელი სიკაშკაშეც. იყო სუსხიანი, პირ-  
 ჟულქმნილი უბიწოებით აღსავსე, სევდიანად მიმქრალი ლურჯი მიმწუხრი, მწუ-  
 ხრში მწვანედ ჩაბინდული ნაძვები და ახალნათოვი ქათქათა თოვლით გადათეთ-  
 რებული რომელიღაც უღელტეხილი. მერე ხანგრძლივი გაჩერება მთის ბნელ  
 ვაწროებში, იტალიის საზღვარზე, დანტეს შავი ჯოჯობეთის მაგვარ მთებს შო-  
 რის და წითელი, უცნაურად გიზგიზა, კვამლიანი ცეცხლი შავად პირდაღებუ-  
 ლი გვირაბის შესასვლელთან. მერე ირგვლივ ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა  
 და ეს ახალი უკვე აღარაფრით ჰგავდა იმას, რაც იყო: ძველი, ვარდისფერ-  
 გაქუცული იტალიური ვაგზალი, მამლაყინწასებური ყოყონობა, სადგურის  
 ნცველ კოჭდაბალ ჯარისკაცთა კასკებში გარჭობილი მამლის ჭრელი ბუმბულე-  
 ბი და ბუფეტის მაგივრად ერთადერთი პატარა ბიჭი, მატარებლის გასწვრივ ზა-  
 რმაცად რომ მიაგორებდა საზიდარას, რომელზედაც მხოლოდ ფორთოხლები და  
 ფიასკები ელაგა. მერე მატარებლის ლაღი სრბოლა ქვევით, სულ ქვევით და  
 ჩაბნელებულ ღია ფანჯარაში შორს, სადღაც, საყვარელი იტალიის მოალურსე  
 სინათლეებით განათებული ლომბარდის დაბლობიდან სულ უფრო ნაზად, რბი-  
 ლად, აღერსიანად მქროლავი ქარი... და აი, მეორე დღეს, ასაღამოვებულზე,  
 ის უკვე ნიცის ვაგზალზეა, ირგვლივ გაგანია ზაფხულის დღე და პლატფორმებ-  
 ზე სეზონისათვის ჩვეული ხალხმრავლობაა...

ლურჯად ჩამოწოლილ მიმწუხრში, დასავლეთით, ფერფლისფერი აჩრდი-  
 ლივით მიმდნარი ანტიბის კონცხამდე, გაჭიმულ სანაპიროზე, აღმასის სხმუ-  
 ლისებრ მოციმციმე სინათლეებით გარემოსილ ოტელში იდგა გლებოვი თავისი  
 თთახის აივანზე ფრაკის ამარა და ფიქრობდა... ფიქრობდა, რომ მოსკოვში ახ-  
 ლა ოცი გრადუსი ყინვა იყო, რომ სადაცაა კარზე მოაკაკუნებდნენ და ჰენრი-  
 ხის ტელეგრამას მოუტანდნენ. იჯდა რესტორანში, გაჩაზჩაზებულ ჭალის ქვეშ,  
 უამრავი ფრაკისა და საღამოს კაბების სივიწროვეში და ელოდა... ელოდა, რომ  
 საცაა წელამდე ცისფერ ქურთუქსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი ბი-  
 ჭუნა დიდის მოწიწებით მიუახლოვდებოდა და სინზე დადებულ ტელეგრამას



მიართმევდა. იჯდა და წყალწყალა წვნიანს დაბნეული შეეძებოდა, ნება-ნება წრუპავდა წითელ ბორდოს და ელოდა... სვამდა ყავას, ეწეოდა სიგარეტს ვესტიბიულში და ელოდა... ელოდა სულ უფრო მღელვარედ და განცვიფრებულად — ვერ გაეგო, რა სჭირდა, რა ემართებოდა, საიდან მოდიოდა ეს განცდა, რომლის მსგავსიც კი, ადრეული სიყრმის შემდეგ, არასოდეს არაფერი განეცადა. ტელეგრამა კი არა და არ ჩანდა. გამოაჩათებდა და გასრილდებოდა ლიფტი ზევით-ქვევით, წინ და უკან დაქროდნენ პაპიროსის, სიგარეტისა და ზხალი გაზეთების დამტარებელი პატარა ბიჭები, ესტრადიდან სიმებიანსი ორკესტრის ხმა არ წყდებოდა, ტელეგრამა კი არა და არ ჩანდა. უკვე თერთმეტი საათი იყო, ვენის მატარებელს იგი დილის თერთმეტ საათზე უნდა მოეტანა. კაცმა ყავას ხუთი ჭიქა კონიაკი დააყოლა და დაღლილ-დაქანცული ლიფტით თავის ნომერში რომ შედიოდა, ფორმაში გამოწყობილ ბიჭს ბრაზიანად გადახედა და გაიფიქრა: „ო, რა მამაძაღლი ვინმე გაიზრდება ეს გაქნილი, ქლესა მონურად მორჩილი, უკვე თავითფეხებამდე წამხდარი ყმაწვილი! ნეტავი ვინ მოუგონა ამ პატარა ბიჭებს ეს რაღაც სულელური, ცისფერ თუ ყავისფერ სამხრებ-კანტებანი ქუდები და ქურთუკები!“

დილითაც ამოდ ელოდა ტელეგრამას. მერე დარუკა და ფრაკში გამოწყობილმა ახალგაზრდა, ნუკრისთვალემა ლამაზმა იტალიელმა ლაქიამ ყავა შემოუტანა: „Pas de lettres, monsieur Pas de télégrammes!“ მერე ერთხანს აივნის ღია კართან იდგა, გაჰყურებდა ზღვის სანაპიროს, სანაპიროზე მოსეირნე ბლომა ხალხს და მზისა და ოქროს ნემსებად მოზიმზიმე ზღვისაგან თვალებმოჭუტული, სადღაც აივნის ქვემოდან წამოსული იტალიური ხალისიანი სიმღერით მოხიბლული ფიქრობდა:

— ჯანდაბას, რაც არის არის, ყველაფერი გასაგებია...

მერე მონტე კარლოში წავიდა, დიდხანს ითამაშა, ორასი ფრანკი წააგო და, დრო რომ გაეყვანა, ეტლით მთელი სამი საათი ისეირნა. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ... შუუ... ჩაესმოდა მათრაზის ხმამაღალი ტლაშუნი ღა ცხენების ფლოქვების ბაკიბუკი.

— Pas de télégrammes, monsieur! — ისევ მხიარულად გაიკრიჭა პორტიემ.

სადილზე წასავლელად ჩუმად, უხალისოდ რომ იცვამდა, გუნებაში კვლავ იმას ფიქრობდა, ახლა უცებ კარი რომ გაიღოს, აჩქარებული ნაბიჯით ჰენრიხი აღელვებული რომ შემოვიდეს, თან გზადაგზა ამიხსნას, ტელეგრამა რატომ ვერ გამომიგზავნა და გუშინ რა მიზეზით ვერ ჩამოვიდა, მე ალბათ მოვკვდებოდი სიხარულისა და ბედნიერებისაგანო!

ნასადილევს დიდხანს იარა ქუჩაში ხალხის ტალღას აყოლილმა, დიდხანს ისეირნა თბილ, სასიამოვნო ჰაერზე, დიდხანს ისუნთქა ერთკაპიკიანი იტალიური სიგარის მოტკბო სუნი, მერე კუბრივით ჩამავებული ზღვის სანაპიროზე ჩავიდა, დიდხანს, დიდხანს უმზირა ფარლულივით გაბმულ მის შავ ხვეულებს, სევდიანად რომ იკარგებოდა სადღაც მარჯვნივ, შორს, სივრცეში... მერე ბარში შევიდა და სვა და სვა — ხან კონიაკი, ხან ჯინი და ხანაც ვისკი. ოტელში ცირცივით გაფითრებული დაბრუნდა თეთრ პალსტუხსა, თეთრ ფილეტსა და ცილინდრში გამოწყობილი. მედიდურად, დაუდევრად მიუახლოვდა პორტიეს და ბაგეჩატეტიკილმა ჩაიბურღლუნა:

— Pas de télégrammes?

1. არ არის წერილი ბატონო, არც ტელეგრამა. (ფრანგ.)



პორტიემ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერს ხვდებო და ხალისიანად უბახუხა:

- Pas de télégrammes, monsieur!

ისეთი მოვრალი იყო, მხოლოდ ცილინდრის, პალტოსა და ფრაკის გახდა მოახერხა, ლოგინზე გულადმა დაეცა და თავბრუდახვეული მაშინვე უძიროდ მოციმციმე ვარსკვლავებით მოთივრებულ წყვილადში გადაეშვა.

მესამე დღეს, ნასაუზმევს ერთი კარგად გამოიძინა და როდესაც გახიზნა, მოელ თავის ამ უბადრუკ, სამარცხვინო საქციელს მტკიცე, ფხიზელი თვალით შეხედა. ჩაიოთახში მოითხოვა, გარდერობიდან ყველაფერი გამოიღო და ჩემოდნების ჩალაგება დაიწყო, ცდილობდა ჰენრიხსა და თავის უაზრო, წამხდარ, ჩაფუშულ მოგზაურობაზე არ ეფიქრა. მოსაღამოებულზე ვესტიბიულში ჩავიდა, ანგარიში მოითხოვა, მშვიდი ნაბიჯით კუკუსაკენ გასწია და ღამის მატარებელზე ვენეციის გავლით მოსკოვის ბილეთი აიღო. „ერთ დღეს ვენეციაში დავრჩები, ღამის სამ საათზე კი, ყოველგვარი გაჩერების გარეშე ჰაიდა შინისაკენ! თავს პირდაპირ ლოსკუტნაიაში ამოვყოფ... ნეტავ როგორია ის ავსტრიელი? პორტრეტსა და ჰენრიხის ნათქვამს თუ დავუჯერებ, ახოვანია და ძარღვმაგარი, გვერდზე მოქცეული შლაპიდან მტკიცე, პირქუში, რა თქმა უნდა არაგულწრფელი თვალები შემოგფურებს... მაგრამ, აბა, რა აზრი აქვს ახლა ამ ახე ფიქრს! ისე კი, ვინ იცის, ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს!.. ზვალ ვენეციაში ვიქნები. ისევ გიტარა, ისევ ოტელის ქვეშოთ, სანაპიროდან წამოსული ქუჩის მომღერლების სიმღერა, ისევ ის ძონძებში გახვეული ბერიკაცი, გასულ წელს ვიღაც თვალეზიზიზიანა, ბროლის საყურეებმოზიმშიმე, ზეთისხილისფერ თმაში მიმოზას ყვავილგარჭობილ სიცილიელ გოგონას გონდოლაში შესვლას რომ ეხმარებოდა... ისევ არხში ჩამდგარი, აყროლებული წყლის სუნი. შიგნიდან შავად გალაქული, ცხვირზე ველურად დაკბილულ ჩუგლუგწამოცმული გონდოლა, მისი ნელი რწევა და კიჩოზე წამომართული ახალგაზრდა, ვიწრო წელზე წითელ შარფგაკრული, მუდამ ერთნაირად წინ წახრილი, გრძელ ნიჩაბზე დაყრდნობილი და კლასიკურად უკან მარცხენა ფეხგადგმული მეგონდოლე,

საღამოვდებოდა, წყნარად ირწეოდა მიმწუხრის ფერგამკრთალი ზღვა, ოპალივით ელაჟდა მისი მომწვანო, სარკისებური ზედაპირი. დასაუღუთით, ანტიბის კონცხს გადაღმა, ბინდდაკრულ კვამლისფერ ზეცას პატარა, ფორთოხალივით დამცრობილი მზის დისკო ანათებდა. ზვალინდელი ცუდი ამინდის განცდით, საბრალისად კიოდნენ ზღვის თავზე მორიალე თოლიები. გლებოვი დიდხანს გაჰყურებდა ზღვას, ყრუ, უიმედო სევდით გულდამძიმებული. მერე ერთბაშად გამოფხიზლდა და მხნე ნაბიჯით ოტელისაკენ გასწია. „lournaux étrangers!“ — დაიძახა მისკენ სირბილით მომავალმა გაზეთის გამყიდველმა და არ გაჩერებულა, ეგრევე ხელში „ნოვოე ვრემია“ შეაჩეჩა. გლებოვი სკამზე ჩამოჯდა, დაფიონის მკრთალ შუქზე გაზეთი დაბნეულად გაშალა და ჯერ ისევ საღებავ შეუმშრალ გვერდებს თვალიერება დაუწყო. და აი თითქოს მაგნიუმის აფეთქებით დაყრუებული, თვალის სინათლეწართმეული უცებ წამოხტა:

„ვენა. 17 დეკემბერი. დღეს, რესტორან „Franzensring“-ში ცნობილმა ავსტრიელმა მწერალმა — არტურ შპიგლერმა რევოლვერის გასროლით მოკლა არა ერთი თანამედროვე ავსტრიული და გერმანული ნოველის მთარგმნელი, „ჰენრიხის“ ფსევდონიმით მომუშავე რუსი ჟურნალისტი ქალი.“



ქაპანდი



თარგმნა მარგარიტა როზაშიძემ

დუდა სუშილას ლამის ჩვევად ექცა შვილებზე ლაპარაკი. ერთს ღრმად ამო-  
იოხრებდა და ტკივილნარევი სიამაყით იტყოდა ხოლმე:

— ღვთის წყალობით, თორმეტი ვაჟი გავაჩინე.

განცვიფრებული ქალები ჯერ ერთმანეთს გადახედავდნენ, მერე რომელიმე  
მათგანი, სხვებზე უფრო გაბედული, მოუკრიდებლად მიახლიდა:

— თორმეტი ვაჟიო?! შენ ხომ მხოლოდ ორი გყავს, დედილო?

— ჰო, შვილო, აქ ორნი არიან, ისე კი, კიდევა მყავს ოთხი ვაჟიშვილი.

— ოჰო, საშოვარზე არიან, ხომ?

— აბა კი, საშოვარზე!..

— როგორ, არაფერს გიგზავნიან?

— როგორ არა, ულოდე! წავიდნენ და არავინ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ,  
არაფერი ვიცი მათ შესახებ.

— ჰოი, ღმერთო, შვილებიც ასეთი უნდა! — აღმოხდებოდათ ქალებს.

— მათი მისამართები მაინც თუ იცი?

დუდა სუშილა, ჩვეულებრივ, ნაღვლიანად უპასუხებდა:

— საიდან უნდა ვიცოდე, თუკი წერილს არ მწერენ? ოთხივე ისე დავკარგე,  
თითქოს არცა მყოლოდნენ.

— დანარჩენები?

— უფალმა მიიბარა.

— უი!

— ეგრეა... ახლა ორილა შემრჩა. კუშალაც უფროსი ძმების კვალს ადვას —  
ოთხჯერ სცადა შინიდან გაქცევა. როგორ ვეხვეწე, ვწყვლე კიდეც, ვერხუბე  
კიდეც... ჰოდა, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, გადაიფიქრა.

ქალს ყველამ ურჩია:

— დედილო, ადექი და დააქორწინე! კაცებს უყვართ ოჯახური სიბბო. რაც  
ეს გვიანი ქორწინებები შემოვიდა მოდამი, მშობლები ველარაფერს აგონე-  
ბენ შვილებს.

ასე ფიქრობდა დუდა სუშილაც. მისი ოთხივე ვაჟი ისე გადაიხვეწა, დედამ  
ერთი წესიერად დალაპარაკებაც კი ვერ მოახერხა მათთან. ამიტომაც ახლა კუ-  
შალასთვის საცოლის ძებნას მთელი მონღოლებით შეუდგა. ნახა კიდეც ერთი  
თეთრი სახის გოგონა და არჩევანი მასზე შეაჩერა. მოილაპარაკეს და ქორწილის  
დღეც დანიშნეს. კუშალას არაფრით გამოუმეღავნებია უკმაყოფილება. პირიქით,  
ერთგვარი სიამოვნებითაც კი ჩაერთო საქორწილო მზადებაში. უსახლეროდ ბე-  
დნიერი სუშილა ქმარს ეუბნებოდა:

— ღმერთი გულმოწყალეა, ამ ბედნიერ დღეს მოგვასწრო. არაფერს დავი-  
შურებ იმისთვის, რომ კუშალას სანაქებო ქორწილი გადავუხადო.



ცოლის სიტყვებზე ბატონ ჩანდრასენს გაეღიმა:

— განა დაგიშალე რამე?

ბატონი ჩანდრასენი საზოგადოების საშუალო ფენიდან იყო. დიდი ადამიანები უმთავრესად სწორედ ამ ფენიდან გამოდიან, თუმცა ბელმოკლეობის გამო ცხოვრებაში დასახულ მიზანს ხშირად ვერ აღწევენ, ხელმოცარულნი ეჩვენებიან თავიანთ მდგომარეობას და სიცოცხლეს უფერულად ატარებენ. და მაინც სწორედ საშუალო ფენაა სარბიელი ბრძოლისა, ფიქრისა და ოცნებისა. ბატონი ჩანდრასენიც საკმაოდ მეოცნებე გახლდათ, მისმა ვაჟიშვილებმა კი გადაწყვიტეს ოცნებებისთვის ფრთები შეესხათ, თავიანთი სახლის ოთხი კედლისათვის თავი დაეღწიათ და უკიდევანო სამყაროში გასულიყვნენ, მამა, რა თქმა უნდა, წუხდა, შვილები რომ ტოვებდნენ მშობლიურ კერას, მაგრამ ამ ტკივილს ვაჟკაცურად იტანდა.

გულახდილად რომ ითქვას, ბატონ ჩანდრასენსაც ძალიან უნდოდა შვილისთვის ისეთი მდიდრული ქორწილი გადაეხადა, ხალხს კარგა ხანს დაამახსოვრობოდა — ეს ხომ პირველი ქორწილი იყო მათ ოჯახში და ამიტომაც მან ძვირად ღირებული ინგლისური ორკესტრიც კი გამოიწერა. ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, ფრთები ფართოდ გაეშალათ. შეიძლება სიუხვით გამორჩეული სუფრა ვერ გაშალონ, მაგრამ რაც არის და რასაც კიდევ გააკეთებენ, მდიდარსაც კი შეშურდება: ნაირ-ნაირი ნუგბარი თუ საუზმეული, ასე გასინჯეთ, ერბოც კი ჰქონდათ, რომელიც ბატონმა ჩანდრასენმა სოფელ-სოფელ ჩაშოვლით შეაგროვა. ასე ამბობდა: ან სულ არ უნდა იფიქრო ქორწილზე, ან ისეთი უნდა გადაიხადო, ხალხს დიდხანს დაამახსოვრდესო.

დაღვა ქორწილის დღე. თითქმის ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ ბოსტნეულია უნდა მოეხარშათ და ღვეზელი გამოეცხოთ. ირიჟრაჟა. ეზოში მზარეულები აფუსფუსდნენ. სახლიდან ისმოდა როგორ ნაყავდნენ ქურქუმის ფესვებს. ბატონი ჩანდრასენი აჩქარებდა:

— ხალხო, გაინძერიოთ! მიეხმარეთ ერთმანეთს, დროზე დაჭერით ბოსტნეული!

მეტისმეტად აფორიაქებულმა დედა სუშილამ ქმარს გასძახა:

— კუშალას დაუძახე, მოვიდეს, ქურქუმის დანაყვაში მომეხმაროს!

— კიდევ დიდხანს მოუნდებიან?

— კუშალა თუ მალე მოვა, ყველაფერიც მოესწრება.

— სად არის კუშალა?

— შგონი, აქ იყო...

— კუშალა! ალბათ იქ...

ატყდა ერთი აურხაური, ეძახდნენ, მაგრამ კუშალა არსად ჩანდა, ბოლოს გაირკვა, ჯერ კიდევ წინა დამით სადღაც წასულიყო. საწოლზე დაგდებული ბართიცი ნახეს. დედა მაშინვე მიხვდა — კუშალაც თავისი ძმების კვალს გაჰყვა. გაშრა, ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია. აქეთ-იქიდან მაინც მოისმოდა:

— მოძებნეთ სადმე!

ბატონმა ჩანდრასენმა წყნარად ჩაილაპარაკა:

— არ გინდათ.


— რატომ?

1. ქურქუმი — იგივე ზარდანი, ეთეროვანი ზეთების შემცველი ტროპიკული მცენარე, ყვითელყვავილებიანი.



— ძალით ვერავის დააბამთ, არაფერი გამოვივით, სამუდამოდ დაკარგავთ.

ხალხს საქციელი წაუხდა. მამა კი თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, განაგრძობდა:

— შევცდი, მისი სახლში დატოვება რომ გადავწყვიტე. უნდა შეიქცვა: შენც წადი, შვილო, ნახე ქვეყანა! ასე თუ ისე, მე ჩემი ვალი მთავრდება. გაგზარდე, შეძლებისდაგვარად თვალის ავიხილე, დაგანახე ცხოვრების წესი. 

დედა სუშილას გული მოუვიდა:

— ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შენი შვილია!

დედის ცრემლებით დასრულდა მათი კამათი. დასრულდაო რომ ვთქვათ, მთლად მართალი არ იქნება, რადგან ოჯახში კიდევ დარჩა უმცროსი შვილი, თხუთმეტი წლის სუშილი,<sup>1</sup> მშობლების ბოლო იმედი, ვაშლივით ლოყებდაჟდა, სანდომიენი და ღიმილიანი ბიჭი. მაგრამ ქორწილის დღეს გაცივდა და მაღალი სიცხე მისცა. ქორწილის სამზადისით გართულმა მშობლებმა ყურადღება არ მიაქციეს. ახლა კი, როცა კუშალამ თავს უშველა და ტკბილეულსა და ბოსტნეულზე ლაპარაკი ერთბაშად შეწყდა, დედამ მთელი გულსყური სუშილს მიაპყრო. ბიჭს სახეზე აღმური ასდიოდა, თვალებს ვერ ახელდა.

თავზარდაცემული დედა ექიმს შეევედრა:

— ექიმო, წაიღეთ ყველაფერი, თუკი რამე მახადია, ოღონდ შვილი გადავირჩინეთ.

— ნუ გეშინიათ, გაცივებულა, მეტი არაფერი, მალე გამოკეთდება, — დაამშვიდა ექიმმა ქალი.

— გამოკეთდება? — ეკითხებოდა დედა.

— რა თქმა უნდა.

— როდის?

— შვიდ-რვა დღეში.

რვამ კი არა, იმის შემდეგ მთელმა ოცდარვა დღემ განვლო და სიცხე არა და არ იწევდა დაბლა. თუმცა ერთხელ ციებამ თითქოს გაუარა, მაგრამ მესამე დღეს ისევ საშინლად შეაძაგდა. დედა ცრემლად იღვრებოდა, დროდადრო მწუხარებისგან გონებას კარგავდა. ექიმი ღვთისნიერი კაცი იყო. კარგად ესმოდა დედის წუხილი და თანაგრძნობით ეუბნებოდა:

— ისეთი ვერაგია ეს ციება, შეიძლება სამ თვესაც გასტანოს. ვერავითარი წამალი ვერ უშველის, ავადმყოფს საგულდაგულოდ თუ არ მოუვლით, არ უნდა გააცივოთ.

— ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც თქვენ მეუბნებით, ექიმო.

— ჰოდა, კვლავაცა ისე მოიქეცით. ავადმყოფობამ უკვე იბრუნა პირი, ახლა ეცადეთ, გამხიარულდეთ, გამოიკეთოთ გუნება და ბიჭიც გაამხნევოთ. მე მესმის, რომ ეს ყველაფერი ძალიან ძნელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შვილისთვის ყველაფერს შეძლებთ. კიდევ სამი-ოთხი დღე გაიჭირვეთ და...

ექიმის სიტყვა გამართლდა. მეხუთე დღეს ყმაწვილს ციებამ გაუარა. გამოკეთდა. დედა სახარულით ფეხზე აღარ იდგა და მამაც დამშვიდდა. სუშილმა ჯერ კიდევ ავადმყოფობის დროს მამას სიტყვა ჩამოართვა, გამოკეთდებოდა თუ არა, მაშინვე კოლეჯში გაუშვებდნენ.

სუშილმა მამას პირობა გაახსენა:

1. დედას ჰქვია სუშილა, შვილს — სუშილი (მთარგმნ.).







— შენ ბრწყინვალედ ჩააბარე მისაღები გამოცდები. დირექტორმა მითხრა, ადვილად და მალე დაეწევას სხვებს.

— მთავარია რწმენა, ის საოცარი ძალით აღავსებს ადამიანს, — დიდის ამბით წარმოთქვა ექიმმა. — მე მინახავს, რწმენა როგორ აძლევდა ძალას სრულიად უიმედო ავადმყოფსაც კი.

რწმენა გამოჯანმრთელებისა სუშილისთვის მანათობედ, ვერსკვლავად იქცა. ყველა, ვინც კი თვალს ადევნებდა ყმაწვილის მღვთმარეულებს, ხედავდა, რა არაჩვეულებრივი სისწრაფით იკურნებოდა იგი. ის ერთთავად ჯიუტად იმეორებდა:

— მე წავალ კოლეჯში და ექიმი გავხდები.

— ექიმი რომ გახდები, მერე სად წახვალ? — ერთხელ როგორღაც ჰკითხა დედა.

— დავბრუნდები და აქ ვიცხოვრებ, დედა.

— აქ, ჩვენს სოფელში?

— რა თქმა უნდა, ირგვლივ ამდენი სოფელია. ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განა შეიძლება ქვეყნის პროგრესზე ლაპარაკი?!

დედა მოულოდნელობისგან შეცბა.

— ქვეყანაზე ზრუნვას ის გირჩევენია, შენს თავს მიხედო.

— მე თვითონ ვარ ქვეყანა! — დიმილით წარმოთქვა სუშილმა.

— ვისგან ისწავლე ასეთი ლაპარაკი? — გაოცდა დედა.

— შენგან.

— ჩემგან?

— ჰო, შენ ხომ დედაჩემი ხარ.

დედას სიამოვნებისგან სახე გაებადრა, მაგრამ ამავე დროს მოუსვენრობაც დაეტყო.

ხშირად მარტოდმყოფი სუშილა ასე ფიქრობდა: „ესენი ხომ ჩემი შვილები არიან, ე. ი. მათ ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მაშ, რატომ არ მესმის ამათი? როგორ შეიძლებოდა, ჩემგან ესწავლათ ეს ყველაფერი? და თუ მართლაც ჩემგან ისწავლეს, რატომ მტოვებენ, რად გამირბიან? ნუთუ სუშილიც წავა? ნუთუ სუშილი... ჩემი ნაბოლარა შვილი, ჩემი უკანასკნელი ნუგეში...“ — დედა იტანჯებოდა, მაგრამ ამავე დროს რაღაც შინაგანი ხმა თითქოს ამშვიდებდა: არა, სუშილი სხვაა. ის არაფერს მიძალავს... დიახ, ის ყველაფერს პირდაპირ ამბობს. მაგრამ ისიც რომ იმავეს იმეორებს: „ქვეყანა, ადამიანი, მოვალეობა...“ და ვინ იცის, კიდევ რას არა...

დედას მთელი დამე თვალი არ მოუხუჭავს, დიდხანს ფიქრობდა... დილით ერთიანად საბანში გახვეული შვილი რომ დაინახა, შეშინებულმა დაუძახა:

— სუშილ!

პასუხი არ იყო. შეშფოთებულმა სუშილამ საბნის ქვეშ შეჰყო ხელი. თითქოს გავარვარებულ რკინას შეეხო, ისე დაეწვა ხელი, აკანკალებულმა დედამ წაიღულღულა:

— სუშილ... სუ-შილ...

სუშილი გამოურკვა და დასუსტებულმა ძლივს ჰკითხა:

— რა იყო, დედა?

— როგორა ხარ, შვილო?

— მაციებს და მკერდიც მტკივა. დამით ძალიან ციოდა.

— მკერდი გტკივა? — ელდა ეცა დედას. მაშინვე ქმრისკენ გაქანდა, — სუშილს სიცხე აქვს, მკერდიც მაწუხებსო.



მეხის გავარდნასავით იყო ეს სიტყვები, მამისათვის, უცებ ვერ გამოერკვა:

- რაო?
- სიცხე!..
- სიცხე? ვისა აქვს?

დედას აღარ ეცალა ახსნა-განმარტებისთვის:

- ახლავე წადი ექიმთან! სუშოლს მაღალი სიცხე აქვს და მკერდში წყურვილია.



ხებს.

ექიმი მაშინვე მოვიდა. გასინჯა აუადმყოფი და განაცხადა:

- პნევმონიაა.
  - პნევმონია? - ამოიოხრა მამამ.
  - პნევმონია? - თითქოს ყურებს არ დაუჯერაო, ისე თქვა დედამ.
- ერთხანს ყველა დუმდა. მერე ექიმმა უკმაყოფილოდ თქვა:
- ნუთუ არ შეგიძლიათ, რომ წესიერად მოუაროთ? ისევ გაცივდა!
- დედამ ცრემლნარევი ხმით უპასუხა:
- ექიმო, ღამით რამდენჯერმე ვღებუ და საბანს ვაფარებ.
  - წამალს ვინ ასმევს?
  - მე ვასმევ.
  - როგორც გითხარით, იმ წესითა და რიგით?
  - ჰკითხვთ სუშოლს, ჩემი თუ არ გჯერათ.

ექიმმა გაოცების ნიშნად ხელები გაშალა:

- არაფერი მესმის. აუადმყოფი მოიკეთებს, მოიხედავს და ისევ ცუდად არის... პენიცილინს გავუკეთებ.

რამდენიმე დღეს ექიმი ყოველ ოთხ საათში უკეთებდა ნემსს. უბედური დედა აუადმყოფს ერთი წუთითაც არ შორდებოდა. მის სასთუმალთან ათენ-ალამებდა. ისე თავგამოდებით უვლიდა, რომ ყველა განცვიფრებული იყო. მეზობლები ამბობდნენ:

- სხვა რა გზა აქვს, უნდა მოუაროს, თორემ... აკი ყველა შვილმა მიატოვა და ეს ერთადერთილა შერჩა.

- მაგისტვის სიცოცხლესაც გაწირავს.

- ჰოდა, კიდევ წირავს.

- ამას წინათ რომ დაიბადა, ნეტავ მაშინ ისეთი რა შესცოდა ამ უბედურმა?

- რა შუაშია ცოდვა? უბრალოდ, ახალგაზრდობა შეიცვალა. ასე ამბობენ, ვაჟიშვილი, მშობლებს კი არა, ქვეყანას ეკუთვნისო.

- სწორედ ეგ არის მთავარი. კარგი იქნებოდა, გვეკითხა: ვინ გავზარდა, ვინ დაგავაჟვაცა? დედამ თუ ქვეყანამ? ბოლოს და ბოლოს, საფენ ჩვრებს ვინ გირეცხავდა, დედა თუ ქვეყანა?

ამ საუბარში ქალიშვილებიც ჩაერივნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ქალაქში რომ ცხოვრობდა და ნასწავლიც იყო, თამამად თქვა:

1. ინდუსების რელიგიურ წარმოდგენათა მიხედვით, გარდაცვლილი ადამიანის სული გადაინაცვლებს ჩვილი ბავშვის სხეულში, რომელიც ეს-ეს არის იბადება. ახალშობილის სულს ერთიანად დააწვება ის ცოდვა-მაღლი, რაც კი გარდაცვლილს სიცოცხლეში ჩაუდენია. მაგალითად: მომთმენი, კეთილშობილი, შრომისმოყვარე ღარიბი შეიძლება შემდეგში მეფის ოჯახის წევრად დაიბადოს, ხოლო ცუდი ადამიანი - საზიზღარ ჭიად. ამგვარად, ადამიანის ყოველი შემდგომი დაბადება შედეგია წინათ განვლილი ცხოვრებისა.



— ბევრის მტკიცებას არ მოვეყვები, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ადამიანი ნამდვილად თავისი ქვეყნისთვის ცოცხლობს.

ქალიშვილის ეს სიტყვები მაშინვე აიტაცა ყველამ და, შინ ოუ გარეთ, მთელი სოფლის სალაპარაკო გახდა.

სუშილმა კვლავ მოიხედა, მეზობლებისთვის კი ისევ გაუგებარი დარჩა: მაინც რა კავშირში იყო ერთმანეთთან ქვეყანა და ადამიანი? ბოლოს ექიმმა სუშილის მამას როგორღაც უთხრა:

— ამჯერად მთელი გულისყურით უნდა მოუაროთ სუშილს. თუ ერთხელ კიდევ გაცივდა... — ექიმმა არ დაამთავრა სიტყვა. ბატონი ჩანდრასენი ისედაც მიუხვდა სათქმელს.

— ვიცი, ექიმო, ვიცი.

— ახლა ყველაზე საშიში ის არის, ავადმყოფობა არ შეუბრუნდეს.

— დიახ, ჩვენ ყველაფერი გაუითვალისწინეთ და გადაეწყვიტეთ: ღამით მის სასთუმალთან რიგრიგობით გავათენოთ. ამისთვის მისი დეიდაშვილი გოგონაც კი ჩამოვიყვანეთ.

ექიმი ერთხანს დუმდა, მერე უცებ ჩაილაპარაკა:

— რამდენიმე დღეს მეც დავრჩები თქვენთან.

— თქვენ?

— დიახ, მე.

ბატონი ჩანდრასენი აღელდა.

— ექიმო, ისედაც ბევრი გააკეთეთ ჩვენთვის! თქვენი წყალობით, სუშილი აგერ უკვე მერამდენედ გადარჩა სიკვდილს. ახლა კიდევ...

— არაფერია, მინდა, ავადმყოფს დავაკვირდე, — გააწყვეტინა ექიმმა სიტყვა.

— კარგით.

— მაგრამ ისე, რომ ყმაწვილმა არ დამინახოს.

— ესე იგი?

— მე ვიქნები თქვენს ოთახში. თქვენ კი, თუ შეიძლება, ამის შესახებ არავის უთხრაოთ, ცოლსაც კი.

მამა გაოგნებული იყო, მაგრამ ამავე დროს ნასიამოვნებიც — ექიმი ასეთ დიდ ყურადღებას რომ იჩენდა მისი შვილისადმი. სახლში, შესვლისას მამამ ძლივს შეიკავა თავი, რომ ყოველივე ცოლისთვის არ გაენდო.

— დღეს ექიმმა თქვა... — დაიწყო, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი.

— რა თქვა ექიმმა?..

— ასე თქვა... ისაო... დღეს სოფელში უნდა წავიდეთ, ღამით დავბრუნდები და შემოვივლით, სუშილს დავხედავო, — თან აღტაცებით დაუმატა: — რა კარგი ადამიანია ეს ჩვენი ექიმი!

— ჰო, ჩვენი ღმერთია, — მაშინვე დაეთანხმა ცოლი, — ღამის გადაჭყვეს ჩვენს შვილს.

ქალმა ეს მთელი გულწრფელობით თქვა. ცოლ-ქმარი დიდხანს ლაპარაკობდა კარგ ადამიანებზე. დაღამდა. მოვიდა ექიმი, სუშილი გასინჯა, გაამხნევა, გაეხუმრა კიდევ და აუხსნა, რომელი წამალი რა დროს უნდა დაეღია... მერე წავიდა. მაგრამ თავის სახლში კი არა, გვერდით ოთახში გავიდა, ბატონი ჩანდრასენი და მისი ცოლი სუშილთან დარჩნენ. როცა ყმაწვილს ჩაეძინა, დედამ სანთელი აანთო. მკრთალი შუქი დამამშვიდებლად მოქმედებდა ავადმყოფზე. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ჩანდრასენი წამოდგა.



— როცა ძილი მოგერევა, დაძიძახე, — უთხრა ცოლს და თავის ოთახში გავიდა.

სიჩუმემ თანდათან დაისადგურა. სუშილის საწოლთან მჯდომ დედას ქუთუთოები დაუმძიმდა, თვალები ეხუჭებოდა. გვერდით ოთახში კი ექიმი ფხიზლობდა. ხან დაჯდებოდა, ხან ოთახში ბოლთასა სცემდა, ხანაც ფანჯრიდან მძინარე ბავშვს უჭვრეტდა. ბატონი ჩანდრასენი ექიმს ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს:

ადევნებდა  
ექიმს  
თვალს

— ექიმო, ხედავთ რამეს?

— ნუ ღელავთ, — ღიმილით ეპასუხებოდა ექიმი და კვლავ ისადგურებდა სიჩუმე. დროდადრო ხველება ისმოდა, ნაბიჯების ხმაც, სადღაც შორს ტურა ჩხაოდა, მერე ისევ ისადგურებდა სიჩუმე. ამ დროს მხოლოდ ექიმის ფეხის ხმა და ძაღლის ყეფა ისმოდა, კედლის საათი ორს უჩვენებდა. უცებ ექიმი დაიძაბა. მან ბატონი ჩანდრასენი გააღვიძა.

— გაჩუმდით, კრინტი არ დაძრათ, მოძყევით!

— რა მოხდა?

— გაჩუმდით!

მომცრო ფანჯრიდან სანთლის მკრთალ შუქზე მოჩვენებასავით რაღაც შენიშნეს. მოჩვენება ნელა მიუახლოვდა სუშილის საწოლს, რამდენიმე წუთს უხმოდ იდგა, მერე ისე დაიხარა, თითქოს ავადმყოფს აკოცაო და უცებ ერთიანად გადახადა საბანი. სუშილი შეიშმუნა, დაახველა და სიცივისგან მთლად მოიკუნტა. მოჩვენებამ მაგიდიდან წაშლის შუშა აიღო და ვარცლში გადაუძახა.

— შეხედეთ! — ექიმის ხმა იდუმალებით აღსავსედ აჟღერდა.

ბატონი ჩანდრასენი გახეუდა:

— კი მაგრამ, ეს ხომ დედამისია?!

— დიახ, დედამისია, შევიდეთ!

— კი მაგრამ, ექიმო...

— შევიდეთ-მეთქი!

ექიმი დაწინაურდა, ავადმყოფის ოთახის კარი სწრაფად შეაღო და შევიდა. მოჩვენება შემობრუნდა და ექიმის დანახვაზე უცებ ალუღლულდა:

— თქვენ? თქვენ?.. — მერე უკან დაიხია, რაღაცას წაშოედო და დაეცა. ბატონი ჩანდრასენი მივარდა ცოლს, ექიმმა ფანჯარა მიხურა და სუშილს საბანი დაახურა.

ქალი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, თითქოს ბოდავსო.

— სუშილი გამოკეთდება... კოლეჯში წავა... ექიმი გახდება... ეღარ დაბრუნდება... თავისი ძმებივით გადაიკარგება... არა, არა, მას არა აქვს უფლება წავიდეს... მას არა აქვს უფლება მიმატოვოს...

ქალი დადუმდა. მამამ და ექიმმა ერთმანეთს გადახედეს. აკანკალებულმა ჩანდრასენმა ძლივს ამოღერდა...

— ექიმო...

— ასეც ვიცოდი, — ნალვლიანად შენიშნა ექიმმა.

— დედის სიყვარული დამღუბველი აღმოჩნდა შელისთვის, ექიმო...

— ეს სიყვარული არ არის, ეს ეგოიზმია, — თქვა ექიმმა მკაცრად.

მამას აღარაფერი უთქვამს. ქალის ხმაც თანდათან მინეღდა, ბოლოს ჩურჩულიდა ისმოდა.

სუშილს კი მშვიდი, უშფოთველი ძილით ეძინა.







## ნუგზარ ბაყაივი

### მ ი მ ო ი ხ ე ღ ე

არ ვიცოდი, თუ გიყვარდი ასე,  
 ასე ძლიერ,  
 ასე უსაშველოდ.  
 არ ვიცოდი, არ ვიცოდი ფასი  
 სიყვარულის, —  
 დედისა და შვილის.  
 არ ვიცოდი, თუ რაძღენი ღამე  
 გაათიე ჩემს აკვანთან ლოცვით,  
 არ ვიცოდი, დედი, ბევრი რამე,  
 მაგრამ ახლა ბევრი რამე ვიცი.  
 არ ვიცოდი, არა, ასე ნაზად,  
 ასე ძლიერ თუ მიყვარდი, დედი,  
 ახლა ვხვდები, რომ ამ ქვეყანაზე  
 არაფერს მყავს შენზე უკეთესი.  
 ნათელი და თბილი არის ბინა,  
 შემოდგომის ოქროს ფერი ადევს...  
 იმ აკვანში შენს შვილიშვილს ძინავს,  
 იმ აკვანში, —  
 მე რომ გამოძახარდე,  
 გამოხედე ამ ქვეყანას ისევ:  
 დაინახე შვილიშვილი შენი!..  
 შენთა თვალთა შუქმა მოგიზგიზემ  
 ააყვავა გაზაფხული ჩემი...

### რ ო მ ა ნ ს ი

ო, გაზაფხულის ქარო,  
 ო, ქარო გაზაფხულის,  
 ანცო და მოუსვენარო,  
 მშურს, ძალიან მშურს შენი, —  
 რადგან შენ ერთს გაქვს უფლება  
 შემოეხვიო წელზე,  
 შემოეხვიო ყელზე და  
 თმა აუწეწო მას.

მხოლოდ შენა გაქვს უფლება  
 ჩაუფროთხილდე უბეში,  
 ბაგეზე დაეკონო,  
 აუფრილო კაბა და  
 მასთან იცეკვო ლაღად.  
 ო, გაზაფხულის ქარო,  
 ო, ქარო გაზაფხულის,  
 ანცო და მოუსვენარო,  
 მშურს, ძალიან მშურს შენი.  
 ტოტზე შემოჯდა მტრედი,  
 ღამაში ყვავილები  
 მოუტანია მტრედს.  
 ო, რომ შემეძლოს მტრედივით  
 ფრენა, დაკრეფდი ყვავილებს,  
 ცხრა მთას გადაღმა დაკრეფდი  
 და მოვუტანდი მას.  
 ო, გაზაფხულის ქარო,  
 ო, ქარო გაზაფხულის,  
 ნეტა შენსავით თავლადი,  
 ნეტა შენსავით თამაში,  
 ნეტა შენსავით თავხედი  
 და გაბედული ვიყო...

### ფერილი მშობლიურ აულში

უნდა დავსახლდე მშობელ აულში  
 იქ, საიდანაც იგი იწყება.  
 ხეთა შრიალში, დელის ხმაურში  
 უნდა მივეცე თავდავიწყებას.  
 სადაც მზე მზეს ჰგავს და ზეცა ზეცას,  
 სადაც ბრდღვიანებს ვარდი ველური,  
 სადაც მდინარე კალაპოტს ლეწავს  
 და კლდენი ცამდე ამოწვერილან.  
 უნდა დავსახლდე მშობელ აულში,  
 სადაც ცხოვრობდა მამა მშობელი.  
 ნერგი ჩავყარო, წყალი მიუღებო,



ცეცხლი დავაგზნო ჩაუქრობელი,  
 ჩემი ბავშვობის ნაფეხურები  
 ქარმა და წვიმამ წაშალოს ლამის,  
 მწვანე კორდიდან რომ იფურება,  
 საფლავი არის მშობელი მამის.  
 თმის ქარ-ცეცხლი... რამდენი მახსოვს  
 ვაჟკაცი, მართლაც, რკინის მკვნეტელი,  
 საღვანისვენებით, ბიჭებო, ახლა,  
 ან საფლავებში როგორ ეტევიო...  
 მრისხანე წლები... მომსკდარი შვაავად  
 სასხლი და ცრემლი გაუგონარი,  
 რამდენმა ქალმა ჩაიცვა შავი  
 და კიდევ უფრო გაშავედა ღამე,  
 აქ ჩემს აულში, დიდი ხანია  
 სინათლე სუფევს ალალი გულის,  
 ყველა მათგანი ჩემიანია,  
 ჩემი სასხლია და ჩემი რჯული.  
 არ უნდა ბევრი ჩიჩინი ამას, —  
 აქაა ჩემი ნამდვილი კერა.  
 სადაც კი ვნახავ ქალიშვილს ლამაზს,  
 ჩემს აულიდან მეგონია ყველა.  
 აქ მეგულება, რაზედაც ვწერდი,  
 ჩემი ფიქრი და ჩემი სიმღერა,  
 სადაც კი ვნახე ჭადარა დედა,  
 ამ აულიდან მეგონა ყველა.  
 აქ უნდა ვზნა და აქ უნდა ვთესო,

ყური დაუვადო წინაპრის ქახილს,  
 ამაზე კარგი და უკეთესი  
 არ მეგულება ამქვეყნად ხალხი.  
 გულს აწი სევდას არ გავაკარებ,  
 მორჩა, გათავდა, აურა დავუშვი...  
 აქ დარწმუნა ჩემი აკვანი, *ქრქქნუწქქ*  
 აქ დავსახლდები, აქ, ჩემს *მტტტტტტტტტტტ*



\* \* \*

არ მსურს სიბერე, თუნდაც ოდესმე...  
 ჩანჩქერის ხმა თუ ვერ გავიგონე,  
 მინდვრის სიმღერა თუ არ მომესმა, —  
 როგორღა დავწერ ლექსის სტრიქონებს.  
 არ მსურს სიბერე, თუნდაც ოდესმე...  
 თუ ველარ ვზიდე ჩემი ნაბადი,  
 შენმა ღიმილმა თუ ვერ მომნუსხა,  
 „მიყვარხარო“, მთებს თუ ვერ

შევლადადე.

არ მსურს სიბერე, თუნდაც ოდესმე...  
 მტერს და მოყვარეს თუ ვერ დავხვდები,  
 ცრემლი, სიცილი თუკი მომბეზრდა  
 და ღამეს მთებში ვერ გავანათებ,  
 როცა სამშობლოს გაუჭირდება,  
 მტრის სასხლით გული თუ არ ვიჯერე, —  
 მაშინ სიცოცხლე რისთვის მჭირდება!  
 არა, ოდესმეც არ მსურს სიბერე...

**რეკავ ასაევი**

**ლეგენდარული ნუშის ხე**

სევასტოპოლი და საპუნ-გორა!  
 ზღვა ახლა წყნარი და მოლიცლიცე...  
 ღმერთო, რამდენი ცეცხლი და ბრძოლა  
 გამოიარა ამ ზღვამ და მიწამ.  
 აღწეროს იგი, არ ძალუძს ენას,  
 თუმცა არც ვცდილობ, ვიგონებ  
 მხოლოდ, —  
 ტყვიების წვიმას,  
 ბომბების სტვენას  
 და ჯოჯოხეთურ სიკვდილის ქოროს.  
 სევასტოპოლი და მალახოვის  
 ყორღანი... როკავს სიკვდილი ქარში.  
 მალალო ღმერთო,

შენ უწყი მხოლოდ,  
 როგორ გადარჩა ნუშის ხე მაშინ?  
 ტოტებდამწვარი და დამსხვრეული  
 დვას იგი, თითქოს ღმერთს ევედრება,  
 „ღმერთო მალალო, ძალა მძლეველი  
 გარდმოავლინე შურისძიებად!“  
 ეხ, ნუშის ხეო,  
 ღმერთმა კი არა,  
 იმ ჯარისკაცმა გიშეულა მაშინ,  
 ვინც მამაცურად გამოიარა  
 ცეცხლის დელგმაში,  
 ტყვიების ქარში.



მაგრამ რა არის ის შავი ლაქა,  
ყაყაჩოებს რომ ახნიათ ახლაც?  
მტრის შავი სისხლის წვეთები არი, —  
ვერ ჩამორეცხავს წვიმა და ქარი.  
ხოლო ლამაზი ამ ნუშის ხეზე

ხე არ მინახავს...  
რომ მქონდეს ნება  
მე მივაბნევი ნამეხარ მკერდზე  
სევასტოპოლის დაცვისთვის, —  
მედალს!...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## კოსტა ხათაბუროვი

### სატირალი კუკლები

სამღერად ყელს მოვიღვრებ  
ყველას მივუზღავ საკადრისს,  
თუნდაც ეს ჩემი სიმღერა  
დამთავრდეს დაკა-დაკათი:  
მღვენს და ფულს რომ არ თაკილობ  
რომ წამოგზრდია მუცელი,  
შენი რეცეპტი, აქიმო,  
ავადმყოფს რამეს თუ შველის?  
რომ დადიხარ და ფაცურობ,  
მსაჯულო, ბერს რომ ახურებ,  
ერთი მითხარი კაცურად,  
სიმართლეს მართლა მსახურებ?  
დადიხარ კარით კარამდე,  
ამბობ, არ მყავსო ბადალი,  
ხალხი სარკმლიდან გადადის,  
— უსტა, კარები სად არი?  
სანიტარს ვინ რას გაუგებს,  
ყნოსვაც დაკარგა, ნამუსიც,  
რა კაცის ყნოსვა გაუძლებს  
ბაზრის ნაგავს და ნამუსრევს?  
ახლა საწყობთან მივედით,  
მაგრამ ტყუილად ვირჯებით,  
სახლში გაზიდა ყოველი.  
შემშლით დაწყდნენ ვირთხები.

წერე და წერე აზრები,  
კანცელარიის მწერალო,  
ის მაინც არ გაბრაზდება,  
იძახის „ჰარიჰარალოს“.  
სადღაც დუქანი ჰქონია,  
ქონება თავზე გადასდის,  
მადით ნამდვილი ღორია,  
სიფათით ნაღდი ხვადავი.  
ათასჯერ მყავხარ ნანახი,  
მუდამ მაგ ძაღლთან სეირნობ,  
ვთქვათ და შვილები არა გვყავს,  
ქმარიც არა გვყავს, კნეინა?  
ფილანთროპია ვითომდა  
მოძმის სიყვარულს გვასწავლის...  
გლახაკმა ხურდა ითხოვა, —  
კინალამ მოკლა საწყალი.  
ხომ ვიცით კაცის ბუნება:  
არვის არ უყვარს მზილება,  
„ჭკვიანი“ დამემღვრება,  
„სულელს“ კი გაეცინება.  
არ ვგავარ წერას ატანილს,  
თუმც თანახმა ვარ მაგაზეც, —  
თუკი ყოველი მათგანი  
დავაბი თავის ბაგაზე.

## ნაფი ჯუსოითი

\* \* \*

კაცს გული აქვს! — ხალხი ამბობს,  
მე კი ვამბობ — უსიმღეროდ  
რაა გული! არ ივარგებს  
თუ არ წუხს და თუ არ ღელავს,  
გულის სიღრმეს ვინ ჩაწვდება —  
თუა ნაღდი კაცის გული,

სიტყვებია გულის ფრთები  
გრძნობით გადაბრწყინებული.  
თუ სიყალბე არ ეღერს ხმაში,  
თუა სიტყვა ნაღდი კაცის, —  
გული მღერის მხოლოდ მაშინ,  
გული მაშინ ფრინავს ცაში.



\* \* \*

წინაპრებო, მშვიდობით! მეძახის  
 მომავალი,  
 გზები შორზე შორია და მიზანი ნათელი,  
 თუკი რამე შევქელი თქვენმა  
 შთამომავალმა, —  
 თქვენს გარდახდილ ბრძოლებს და  
 სახელს შევემატები.  
 ჩვენი სინდის-ნამუსის მსაჯულებო,  
 მშვიდობით!  
 თქვენით მადვას მამულის და კაცობის  
 უღელი,  
 თქვენი ტანჯვა-წამება, დღენი  
 უამინდობის  
 როცა გამახსენდება, —  
 მწუხარე ხმით ვუძღერი.  
 ბევრი ტანჯვა გადამხდა  
 და ბევრი მწუხარება,  
 დიახ, მიჭირს,  
 რამეთუ ღამე არის ისეთი,  
 წინაპრებო, აღარ ხართ  
 და ვერ დამეხმარებით,  
 თავად უნდა ვიომო დიდი  
 მომავლისათვის.  
 წინაპრებო, მშვიდობით!  
 თქვენს განვლილ გზას დიდება!

მე ჩემს გზას გავუყვები რწმენითა  
 და ჯაფითა  
 და თუ ამ ტვირთის ზიდვა  
 მაინც გამიჭირდება —  
 მაშინ, დასახმარებლად,  
 ისევ თქვენ მოგაკითხავთ.



სათქმელი  
 ერეკლესული  
 ბიზლიძის

სათქმელი... თუმცა სადღაა იგი, —  
 ჯერ უთქმელ სათქმელს ამაოდ ვძებნით.  
 ნუთუ სათქმელმა წესით და რიგით  
 ვეღარ აიგო თავისთვის ძველი?  
 სათქმელი! — ისე დამძიმდა მიწა  
 სიტყვების ჯარით, ტორტმანებს  
 თითქმის.

მთელი სამყარო სათქმელად იქცა,  
 სიტყვების ჯარი იბრძვის და იბრძვის.  
 სათქმელი ბევრჯერ უთქმელად ითქვა,  
 ბევრჯერ ნათქვამი — უთქმელად დარჩა, —  
 დროთა ჯაჭვს სისხლით აერთებს  
 სიტყვა  
 და სიტყვა სათქმელს უსინჯავს მაჯას.  
 სათქმელი, როგორც გამოზაფხულის  
 მწვანე ბალახი, ედება ველებს...  
 როგორ გაუძლოს ამ სათქმელს გულმა,  
 სიხარულის და ტკივილის მერე?!...

### სიტყვის სევდა

მშობლიური ოსეთის წიგნიერი ბიჭები  
 როცა შევიკრიბებით, ფიქრებს მივეძალებით, —  
 ხმამაღალი ჰანგივით სული გადაიშლება,  
 აღსავსე სიხარულით, სევდით და მწუხარებით,  
 სევდასა და სიხარულს ამქვეყნად რა გამოლევს,  
 სევდაც და სიხარულიც ვაწერია სახეზე,  
 დილას ღალად ხვდებიან მთები ჩემი მამულის  
 და ოცნება მომავალ სიმღერისთვის გვაქეზებს.  
 როცა შევიკრიბებით, ხშირად როცა ვკამათობთ,  
 როცა, როგორც იტყვიან, თავი ჩვენად გვეგულვის,  
 ვნატრობთ: სიტყვამ ოსურმა დაე, მარად ანათოს,  
 იყოს უკვდავებასთან მარად სახელდებული.  
 მომავალს ველოდებით, როგორც ღამაზ სიმღერას,  
 თუმცა ვფიქრობთ, —  
 ვაითუ ხმები ვერ მივაწვდინოთ,  
 სიმშვიდეს და განცხრომას, დასტურ, ვერ შევიფერებთ,  
 ყველა დღე და საათი უნდა გავანაწილოთ,



ჩემს მეგობრებს არ ვაქვებ,  
 ითქვას უნდა მართალი,  
 რომ თავს არა ზოგავდნენ,  
 მშვიდად არ უცხოვრიათ,  
 ხალხი იყო ყოველთვის მათი ფიქრის სათავე,  
 თუკი ვინმე იბრძოდა,  
 იმათაც უბრძოლიათ.



მომავალი ბევრ რამეს გადასინჯავს უთუოდ,  
 ბევრი აღზევებული, ალბათ გაირიყება,  
 მაგრამ ვინც კი ალაღად მამულს ღამე უთია,  
 მომავლისთვის საჭირო მხოლოდ იგი იქნება.  
 ჩვენი რთული დროება  
 ათას რამეს გვპირდება,  
 თუკი ამას ვერ ხედავ —  
 სიცოცხლეს რა ფასი აქვს,  
 მეწყერსაც წაუღია კაცის ყალბი დიდება,  
 სევდა და მწუხარება  
 თუ კაცს არ გააჩნია.

მომავალო, იცოდე:  
 დროსთან არ ვდიდგულობდით,  
 არასდროს გვიცხოვრია  
 გულმშვიდად და ნებივრად,  
 ზოგჯერ ისე გვიჭირდა, —  
 პურის ფულს ვსესხულობდით,  
 მაგრამ კაცურ კაცობას  
 არვის დავსესხებოვართ.

## გაფიქრი

### მშობლიური მხარე

მშობლიური მხარე,  
 ახოვანი მთები...  
 ზეცა მოკამკამე —  
 ჯიხვებს მოაქვს რქებით.  
 ჩანჩქერების ხარხარს,  
 კლდეთა სოუელ უბეს,  
 ფერდობებზე ნახირს  
 და მეწამულ ღრუბლებს,  
 და ტყის ველურ თაფლით

მოოქროვილ ტატნობს —  
 გაზაფხულის მძაფრი  
 სურნელება ათრობს.  
 მშობლიური მხარეც,  
 ამაყ შვილთა დედაც,  
 ვინ თქვა, მცირე არი  
 შენი მთა და ბარი,  
 მე შენს მთებზე მდგარი  
 მთელ მსოფლიოს ვხედავ.



ილია ჯავახიანი

ოსური ფოლკლორის მიხედვით



სირდონის სიმართლე

ნართი სირდონი იყო ჭკვიანი,  
 ბრძენი და ქველი, მართალი ცამდე.  
 სირდონის სიტყვა ნაპერწკლიანი  
 ხმალივით ჭრიდა სიცრუის ბადეს.  
 ერთხელ სირდონმა საკრებულოში  
 წაიღო ხარის ვევა ტყავი,  
 დინჯად გადისვა ხელი ულვაშზე  
 და ხალხს მიმართა: „აბა მითხარით,  
 ამოისხამდით ქალამანს რამდენს,  
 საქალამნედ რომ მოეცათ თქვენთვის?  
 ნუ აჩქარდებით, დაფიქრდით, სცადეთ,  
 ბრძენი იქნება, ვინც ზუსტად მეტყვის!“  
 დაუწყეს სინჯვა, გამართეს დიდი  
 ბჭობა, „სიბრძნის“ ქვაბს მოხადეს ხუფი.  
 ერთმა თქვა—„რვაო“, მეორემ—„შვიდი“,  
 მესამემ — „ექვსი“, მეოთხემ — „ხუთი“,  
 მეხუთემ ტყავი გაზომა დინჯად,  
 „ოთხი გამოვა!“ — სიტყვა თქვა  
 „ბრძნული“,

მეექვსემ ტყავი სინჯა და სინჯა:  
 „სამი გამოვა, ღმერთი და რჯული!“  
 ხოვმა ხარის ტყავს ხელიც არ ახლო,  
 ხოვს მთლად გაუწყრა ხატიც და  
 ღმერთიც:

„რის ქალამანი, გაგიჟდით, ხალხნო?!  
 არ გამოდნება მაგისგან ერთიც!“  
 მაშინ სირდონმა მოუხმო გლეხებს.  
 ტყავი გამალა: „შედექით, მოდით!“  
 ტყავზე ცამეტი მოთავსდა ფეხი  
 და კიდევ დარჩა ორიოდ გოჯი.  
 ადგა, პირჯვარი გადაისახა,  
 ალაპარაკდა სირდონი ბრძენი:  
 „ხომ ხედავთ, როგორ გატყუებთ,  
 ხალხო,

ევ უმეცარი თვალი და ხელი?!  
 მუდამ გახსოვდეთ ანდერძი ჩემი:  
 უმეცარ ხალხთან არა ღირს ბჭობა,  
 ბრძენს უნდა ჰყავდეს გამგონე ბრძენი  
 და უნდა ჰქონდეს სიმართლის ფასი.  
 დაკარგულია, ჩალადაც არ ღირს,

ტვინის მაგივრად ქონი აქვთ თავში  
 და სიბრძნე მათთვის ყველა მხედრისა.  
 გახსოვდეთ: ქვეყნად უნდა იპოვოს  
 მხოლოდ სიცხადით, მხოლოდ  
 სინათლით! —

ეს ორი ფრთაა, ადამიანებს  
 რომ მიაქროლებს და გზას გვინათებს!“

ბალადა გმირსა და გმირობაზე

იყო ვაჟკაცი განთქმული  
 სიმამაცით და გონებით,  
 იმუდი ყველა ჩაგრულის,  
 ღარიბის, არასმქონების!..  
 თავს ევლებოდა სამშობლოს,  
 იდგა ვით ციხე ქვითკირის,  
 სიმღერად და თამაშობად  
 მიაჩნდა მტერთან ჭიდილი!..  
 მისი პირბასრი მახვილი  
 მტრებს უმოწყალოდ ხოცავდა.  
 შორს გაუვარდა სახელი,  
 ყველა მის სახელს ღოცავდა!..  
 მაგრამ ბოროტს არ ეძინა  
 ეშმაკის განკარგულებით  
 და გმირი რომ გაეწირა,  
 მოიხმო ავი სულები!..

არ მისცეს გმირს გასაქანი:  
 ხალხში სიცრუეს თესავდნენ,  
 ლაყბობითა და ქაქანით  
 ჭაბუკი ღამის შეშალეს!..  
 რამდენი რამ დააბრალებს,  
 რა არ თქვეს, რა არ იკადრეს!..  
 ადგა ჭაბუკი საბრალს,  
 უდაბნოს გადაიკარგა!..  
 იფიქრა: „აწ ხომ გადავრჩი,  
 მარტოდმარტო ვარ სრულებით.  
 აქ მაინც ვერ მომავნებენ  
 ბოროტი ავი სულები!“  
 მაგრამ ეშმაკის მსტოვრები  
 თითქოს მიწიდან ამოპვრნენ,  
 გმირი დაღლილი ბრძოლებით,  
 ახლა ამგვარად დამოძღვრეს:



„გმირი კი არა, ყოფილხარ  
 ლაჩარი, ცრუ და მკვეხარა,  
 აქ მარტოდ რას დაშობილხარ,  
 რად განდგომიხარ ქვეყანას?!  
 ახლა სჭირდება სამშობლოს  
 შენი ჭკუა და მარჯვენა,  
 ვაი, შენ ლაჩრად ნაშობო,  
 ვაი შენს ქვეყნად გაჩენას!“  
 გაოცდა ფრიად ვაჟკაცი,  
 წამოდგა, თავი ასწია.  
 მახვილი ააკაშკაშა  
 და სამშობლოსკენ გასწია!...  
 მიხედით, რისი თქმაც ენება  
 ხალხს ამ ბაღადის პირითა:  
 ჭორი და ავი ენები  
 ნუ გაგტეხს, თუკი გმირი ხარ!  
 და ემსახურე ქვეყანას  
 გულით სამარის კარამდი!  
 სიცრუეს არ გაეკარო,  
 ვაჟკაცად დარჩი მარადის!

### კოსტა ხმთაგუროვის მტრები

ძლიერთა ამა ქვეყნის  
 პურის ჭამა აქვთ დიდი,  
 ისმის თავადთა კეხნა,  
 ხორხოცი ისმის მდიდრის.  
 მღვდელს დავიწყენია ღმერთი —  
 უღმერთოდ სვამს და მღურის,  
 მუცელი, გასახეთქი,  
 ძლივსდა უჭირავს ხელით!...  
 სასმელს სმენ, საჭმელს თქვლეფენ,  
 ღირად ქცეულა კაცი!...  
 ადღეგრძელებენ მეფეს

ვეებერთელა ყანწით!...  
 მათ შორის არის ერთი —  
 კაცი — წყნარი და დინჯი,  
 ჭკუით მდიდარი ერთობ,  
 ღვთით ბოძებული ნიჭით/  
 ხუთაგის ძეა კოსტო ნულო  
 სოფელ ნარდელში დაიბადა  
 მოუწყენია მგოსანს, —  
 თითქოს ქცევია მხარი!...  
 მოწყენით უმხერს სურათს,  
 მხიარულობენ სხვები,  
 კოსტას ზვერავენ!... ჩუმად  
 წინ დაუხვავეს ძვლები!...  
 ამბობს ვიღაცა ღვთით,  
 რომ ჰგავს ნახშირით ნახატს:  
 — „ხედავთ, რამდენი ხორცი  
 შეჭამა ამ ღვთის გლაზამ?!  
 მუცელს როგორღა ზიდავს?!“  
 და ახორხოცდა სუფრა!...  
 კოსტა წამოდგა დინჯად,  
 აქამდე მყოფი უბრად  
 ამბობს: „ვაი, თქვენს პატრონს!  
 ჭამად აქციეთ ღვინი,  
 ნიადაგ ჭამას ნატრობთ,  
 დაფრენილი გაქვთ პირი!  
 ვერ ამოყორეთ, ვერა,  
 მუცელი გასახეთქი,  
 აღარც კაცობის გჯერათ,  
 აღარც ხატის და ღმერთის!  
 ქცეულხართ მუცლის წერად,  
 ჭამა-სმას მისდევთ მხოლოდ,  
 პირუტყვები ხართ ყველა!  
 პირუტყვებივით ცხოვრობთ!“







რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილიძე

1

საშემოდგომო ტრიმესტრის დაწყებიდან მეორე დღეს კემბრიჯში, სადაც ტობი უკვე მესამე წელი სწავლობდა, თბილი, მზიანი ამინდი იდგა. სამი ყმაწვილი — ტობი რობერტსი, ბობ ქათბერტსონი და ეიდრიან სტედმენი მდინარე კემის ნაპირას ისხდნენ და ოქტომბრის სითბოს შეჰხაროდნენ. ამ სამიდან ყველაზე უფრო ტობის გამოარჩევდით, რომელიც იოგივით ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა. საოცრად მოქნილი ყმაწვილი იყო და ზოგჯერ ნამდვილ აკრობატულ ნომერს აკეთებდა: შემოიწყობდა ხოლმე ფეხებს კეფაზე და რაღაც სასაცილო, უშველებელ კვერცხს დაემსგავსებოდა. მაღალი იყო, ჭორფლიანი, სახის ნაკვეთებში უცნაურად შერწყმოდა სიუხეშე და დახვეწილობა. მზის სხივებზე მის თმას მოწითალო ელფერი გადაჰკრავდა. ტობის ოცი წელი შეუსრულდა, ბობი ექვსი თვით უფროსი იყო მასზე, ეიდრიანი — თითქმის ორი წლით. აწ გარდაცვლილი ეპისკოპოსის შვილი ეიდრიანი ღვთისმეტყველებას სწავლობდა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მაღალი ეკლესიის<sup>1</sup> მღვდლად კურთხევას აპირებდა. ტობის მისი განზრახვა არ მოსწონდა, მაგრამ კრინტს არა სძრავდა. საერთოდ, არ სჩვეოდა თავისი აზრის გამჟღავნება.

მრგვალთავა ბობი ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. წარმოშობით შოტლანდიელი იყო, მაგრამ შეფილდში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი ფოლადსადნობი ქარხნის ოსტატი იყო. ბობს სწამდა საკუთარი თავისა და საკუთარი მომავლისა. სხვის გრძნობებს მაინცდამაინც არაფრად დაგიდევდა. აი, ახლაც ტობის ჰკითხა:

— შენ მეიზი მოგწონს, არა?

ტობიმ გაიღიმა.

— წესიერად არც კი ვიცნობ, მაგრამ სასიამოვნო გოგონაა. წინა ტრიმესტრში ერთი-ორჯერ შევხვდით ერთმანეთს, — უპასუხა ტობიმ და გაიფიქრა, რომ თვითონ ყველაფერი იცოდა ბობზე, იმან კი მასზე — არაფერი.

1. მიმართულება ანგლიკანურ ეკლესიაში, რომელიც მიისწრაფვის კათოლიციზმისაკენ.



ტობი ისტორიულზე იყო და ჯერ წარმოადგენდა არა ჰქონდა, მომავალში რა ელოდა: / წარჩინებულის დიპლომს ალბათ ვერ ეღირსებოდა, ისე რომ, ეტყობა, მასწავლებლის ადგილით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ისტორიული შრომების დასაწერად ალბათ არ იყო საკმარისი მისი ლიტერატურული ნიჭი.

— ეს რა წიგნები გაქვს? — ჰკითხა ეიდრიანმა.

ტობიმ უხბოდ დაუწყო წინ წიგნები: ჯერ მიშლეის კარლესი და ბოლოს მათიუზი.

— აჰა, ნახე.

კვამზე ჯერ კიდევ დასრიალებდნენ ბრტყელძირა ნაკები. ხიდის თავზე ქვის ბურთები ელაკდნენ მზეზე, ხიდს გადაღმა კოლეჯის შენობა აღმართულიყო — არც ტობის და არც ბობს ამაზე დიდებული არაფერი ენახათ აქ ჩამოსვლამდე.

ეიდრიანი შუბლშეჭმუხნული ფურცლავდა წიგნებს. ტობისა არ იყოს, ისიც მაღალი ყმაწვილი იყო, ოღონდ იტალიელს უფრო წააგავდა, ასკეტივით თხელი, მოგრძო სახე ჰქონდა. ტობიმ გაიფიქრა: სხვებს სულ არა ჰგავს, ქალიშვილებს ალბათ მოეწონებათ. ნეტა რატომ გადაწყვიტა უცოლოდ დარჩენა? კაცმა რომ თქვას, სულელური განზრახვაა, ჯერ სულ ახალგაზრდაა...

— კარლელი არ წამიკითხავს, — ეიდრიანმა ტობის ფიქრი შეაწყვეტინა, — რას წარმოადგენს?

— ნამდვილად ღირს მაგის წაკითხვა, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა ტობიმ. — შესანიშნავ ფერში გადაღებულ კინობოვიკსა ჰგავს, მაგრამ ისტორიაში მოისუსტებს. აი, მათიუზი სულ სხვაა, უფრო მცოდნეც ჩანს.

— მოდი, ამ საღამოს კინოში წავიდეთ, — შესთავაზა მეგობრებს ბობმა. იგი სულაც არ ცდილობდა თავისი შოტლანდიურ-ჩრდილოური გამოთქმის შეცვლას. პროფესორ ჰივინსს ბობთან ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, ტობის რბილი გამოთქმა კი, ლონდონის გარეუბანს რომ ახასიათებს, სწორედ რომ თავსატეხს გაუჩენდა.

— მე ვერ წამოვალ, უნდა ვიმეცადინო.

— შენა, ეიდრიან?

— იქნებ სხვა დროს სჯობდეს, ოღონდ დღეს არა. ტობისა არ იყოს, მეც სამეცადინო მაქვს.

ბობს იმედგაცრუება დაეტყო.

— შენ ჩვენი ჰკუისკოლოფი ხარ, — უთხრა ტობიმ, — ზუთხვა არ გჭირდება. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავებს, მეტი რა დაგვრჩენია.

სინამდვილეში ტობი წიგნებში კირკიტს სულაც არ აპირებდა, მეიზისთან ერთად კაფეში აპირებდა ვახშმობას. ბრწყინვალე კაფე არ იყო, ამის ფული სად ჰქონდა, თუმცა მეიზი დიდი მომთხოვნე არც ჩანდა.

— რას იზამ, ისევ უღელში უნდა ჩავება, — ბობი ადგა და წავიდა. დაბალი, ჩასკვნილი ყმაწვილი იყო და ჩრდილიც დაბალი მიჰყვებოდა უკან.

— სიტყვამ მოიტანა და მეიზის დედას დედაჩემი საკმაოდ კარგად იცნობს, — თქვა უცებ ეიდრიანმა და ტობი შეცბა: პირდაპირ სასწაულია, ნამდვილი ტელეპათიად, გაიფიქრა, — რაღაც სალონივითა აქვს: მხატვრები, მწერლები და სულ ასეთი ხალხი დადის. ეტყობა, ფულიც ბლომად აქვთ. მეიზის არაფერი უთქვამს დედაზე?



— არა, მხოლოდ ის მითხრა, სუფოლკში ვცხოვრობო. მაინცდამაინც არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. (ტობი მიხვდა, რას გაიფიქრებდა ეიდრიანი: ვითომ შენ კი ვიყვარსო?).

მაგრამ ეიდრიანმა სულ სხვა რამ თქვა:

— ნეტა თითოეულ ჩვენგანს ხუთი წლის შემდეგ რა მოგველის?

მას სჩვეოდა ერთი აზრიდან მეორეზე გადახტომა. სწორედ ეს მოხდა, როცა ხელს სწავლაში, თუმცა ძალიან სერიოზულად იყო განწყობილი. თხვას ეიდრიანმა თვითონვე უპასუხა:



— იმედი მაქვს, იმ დროისათვის რიგიანი მრეელი მეყოლება,

— და, რაღა თქმა უნდა, მაღალი ეკლესიის პრინციპები აუცილებლად იქნება დაცული, — სიტყვა გადაუკრა ტობიმ.

— ცხადია, რელიგიურ წეს-ჩვეულებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, — ეიდრიანმა თავი ვერ შეიკავა და მქადაგებელივით წარმოთქვა ეს სიტყვები.

— მაშაო სტედმენ...

— იმედი მაქვს ბოლოს და ბოლოს მივაღწევ ამას. შენა, ტობი, ღმერთი არა გწამს?

— იქნებ მწამს, იქნებ არა. მართალი გითხრა, თვითონ ვერ გამირკვევია. მეიზის სახლზე ფიქრი ტობის უკვე აეკვიატა. ნეტა მისის ფერარსს მართლა აქვს სალონი?

— დაუფიქრდი ამას, — დინჯად უთხრა ეიდრიანმა. — სარწმუნოება ქმედითაა. ლოცვა ძალიან შველის, ეს უდაუოა.

ტობიმ შეგობრულად დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად, თუმცა ბავშვობის შემდეგ არ ულოცია.

— შენ რაღას აპირებ, ვინ გახდები ხუთი წლის შემდეგ?

— ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტში... ოცდახუთი წლისა ვიქნები. საკმაოდ სოლიდური ასაკია, რადგან ამქვეყნად ყოფნის არც იმდენი დრო გვაქვს ბოცემული. ისე, მართალი გითხრა, წარმოდგენაც არა მაქვს.

— ალბათ უკვე ცოლი გეყოლება.

— შენ კი არა. დიდი დანაკლისია. ქალებს ვკულისხმობ.

ეიდრიანი ქალიშვილივით წამოჭარხლდა.

— მაგისი არაფერი გამეგება. ხოლო რაც არ გავგებება, იმაზე არც იღარ-ღებ, მე ასე მგონია.

ტობის კრინტი არ დაუძრავს. ერთიც ვნახოთ და მართლაც დაპატიჟეს ფერარსების სახლში, ქალაქგარეთ, სუფოლკში? ნეტა ვის გაიცნობს იქ? მტკიცედ სჯეროდა, რომ სასარგებლო ნაცნობობა ძალიან საჭირო რამ იყო. როგორ მოახერხოს, მეიზიმ რომ დაპატიჟოს? რაღაც უნდა მოიფიქროს. იქნებ ჯერ თვითონ დაპატიჟოს, დედ-მამა გააცნოს? მაგრამ მოეწონება კი მეიზის ისინი? და ტობიც მაშინვე გამოუქომაგა მშობლებს: დედა და მამა ძალიან უყვარს, მაღლიერია მათი, ამდენი მსხვერპლი გაიღეს მისთვის. და მაინც, იუვში! რომ ბრუნდება, მუდამ იმას გრძნობს, რასაც ფანი პრაიზი? გრძნობდა თავის ოჯახში დაბრუნებისას მენსფილდ-პარკში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ. ასეა თუ ისე, ფრთხილად უნდა იმოქმედოს: მას ხომ ჯერ არ უყვარს მეიზი,

1. ლონდონის განაპირა რაიონების საფოსტო ინდექსი.  
2. ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალის, ჯეინ ოსტინის (1775-1817) რომანის „მენსფილდ-პარკი“ გმირი ქალი.



თუმცა მეიზის, ეტყობა, შეუყვარდა იგი. ნეტა თუ შეეწყო მისთვის უჩვეულო ვითარებას? ტობის სპილენძისფერი ფოთოლი დაეცა ხელისგულზე.

— რა ლამაზია, — თქვა ტობიმ.

.. ტობი რეჯენტ-სტრიტზე პატარა კაფეში შეხვდა მეიზის, ქალიშვილი ველოსიპედით მივიდა ჰერტონიდან მხიარული და ხალისიანი, და ტობიმ მერამდენედ გაიფიქრა: რა საოცრად ჰგავს ფრიდა ლოურენსის ნახევარდობაში: მასავით სამკუთხედი სახე, ნათელი თვალები, კრისტალური კისრები დაწეული ქუთუთოები, აპრეხილი ცხვირი, და დიდი მოლიმარი პირი აქვს, ხუჭუჭა თმა მოოქროსფროდ უბზინავს, თუმცა ტობი დარწმუნებულია, რომ ნამდვილად მოქროსფერი თმა აქვს.

— სჯობდა „კლერიჯში“ წამეყვანე, — თქვა ვაჟმა.

— აქაც კარგია, — სმენად ქცეული გოგონა ტობის პირდაპირ იჯდა, მაგრამ ტობიმ მხოლოდ ისა ჰკითხა, მეცადინეობა როგორ მიდისო. მეიზი ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე იყო და ყველა *idees recues*<sup>1</sup> იზიარებდა, რაც დამოუკიდებელი ქალიშვილისთვის ძალზე უცნაური იყო. — ნელ-ნელა მიიწევს წინ. ჯორჯ ელიოტი პირდაპირ საოცრებაა, არა? — უპასუხა მეიზიმ.

მაგრამ ტობი არ დაეთანხმა: მისი აზრით, ამ მწერალი ქალის სტილი ცოტა დამძიმებულია, ხოლო „მიდლმარჩი“ ისეთი მოსაწყენია, შეიძლება ჰკუიდან შეცდე. კეზო ბონებს და ლიჭეიტებს კიდევ არა უშავს, მაგრამ რომანში იმდენი შეორეხარისხოვანი პერსონაჟი გამოკრთება ხოლმე, რომ შთაბეჭდილება გიფუჭდება.

მეიზი ნამდვილად იმედგაცრუებული ჩანდა.

— არა, მართაღს არ ამბობთ!

ტობიმ გაიფიქრა: ნეტა ზღვება კი, მეიზის არ მოეწონოს მწერალი, ვისით აღფრთოვანება წესად არის მიღებული, და მოეწონოს ის, ვინც ზღვარს გადააბიჯა, რომლის მიღმა გახედვა მეიზისა და მისთანებს არ შეშვენით?

— თუ თქვენ მოგწონთ ჯორჯ ელიოტი, მზად ვარ შევიყვარო. დიკენსზე რას იტყვით?

— დიკენსი გასართობი საკითხავია, — წარმოთქვა მეიზიმ ავღებულიად. ტობიმ გაიღიმა და ჰკითხა, რას მიირთმევო.

— ქამბალას და ხრამუნა კარტოფილს, — სწრაფად უპასუხა მეიზიმ, ცოტა ხანს იყურა და დაუმატა: — იცით, ბავშვობაში არ მაჭმევდნენ ხოლმე და სწორედ იმიტომ მიყვარს.

— მუ კი სწორედ ის მიყვარს, რაც ბავშვობაში მიყვარდა, — ფრთხილად შეაპარა ტობიმ. — მაგალითად, ხორცის და ღვიძლის პუდინგი:

მეიზიმ მხოლოდ თავი დაუქნია. მამ ასე, მეიზის ის უყვარს, რასაც ბავშვობაში არ აჭმევდნენ. თავის თავზე ტობივით მაინცდამაინც არაფერს ამბობს. თუმცა ისე კი ბევრს ლაპარაკობს მხიარულად და ხალისიანად. მისი დიმილი ხიბლავდა ტობის. მეიზი გემრიელად მიირთმევდა, ისე მარჯვედ ასხამდა ძმარს ქამბალას, თითქოს ბავშვობიდან შეჩვეულიაო, მაგრამ ტობიმ ხომ იცოდა, ასე არ იყო.

— რა ლამაზი კაბაა, — უთხრა ვაჟმა. რბილი შოტლანდიური შალის კაბა

### 1. გავრცელებული აზრები (ფრანგ.).



გევა, მეიზის, მქრქალი ფერისა, ნეტა რა დაუჯდათ ეს კაბა, გაიფიქრა ტობიმ, რომელიც ასეთ რამეებში არცთუ დიდად ერკვეოდა.

— მგონი, ასეთი შემოდგომისთვის მეტი სმეტად თბილია. დედაჩემს გული დაწყდება, რომ თბილი ამინდი გააცდინა. დასასვენებლად წავიდა, იფიქრა, ცივი შემოდგომა იქნებაო, და გაასწრო.

ახლა კი გადაწყვიტა ტობიმ ეკითხა:

— ისვენებს?

— ჰო, იამაიკაზე.

(...უფურე შენ! დედაჩემი კი არასოდეს ყოფილა საზღვარგარეთ.)

— ძალიან დაიღალა. მთელი ზაფხული სტუმრები ჰყავდა და გაუჭირდა, თქვენი მეცადინეობა როგორღა მიდის?

ტობი რომ უამბობდა, მეიზი გამამხნეველად თავს უკანტურებდა.

— ყველაფერი კარგად იქნება, — წარმოთქვა მერე ისე, თითქოს ამაზე რაღაც განსაკუთრებული, საიდუმლო ინფორმაცია ჰქონდა.

მაგრამ ტობიმ თავმდაბლობა გამოიჩინა. არა, ასე მაღლა არ უმიზნებს. ისიც კარგი იქნება, თუ რიგიან დიპლომს მიიღებს, ამაზე მეტს არც ვარაუდობს.

— აი, თქვენ კი ბრწყინვალედ წაგივათ საქმე, — კბილი გაჰკრა ტობიმ. — თუკი ისე უპასუხებთ, როგორც საჭიროდ მიიჩნევენ.

მეიზის თვალეებში წყენა გამოეხატა, მაგრამ მაშინვე გულლიად, მომხიბლავად გაუღიმა.

— უნდა გითხრათ, რომ საკუთარი თავიც მახია.

— თანაც შესანიშნავი, — ტობიმ პირველად მისცა თავს უფლება, ასე მიემართა. — და ძალიანაც მომწონს.

კმაყოფილმა მეიზიმ განზე გაიხედა.

— არა, მხოლოდ კარგი მეხსიერება მაქვს, ეს არას და ეს.

ნელის ნათურები თვალს სჭრიდა. სამზარეულოდან მაცივრის გუგუნის ისმოდა. სტუდენტები — ზოგი მეგობრებთან ერთად, ზოგიც ქალიშვილის თანხლებით — შემოდდიოდნენ და გადიოდნენ.

ეტყობა, ყველგან შინაურულად გრძნობს თავსო, გაიფიქრა ვაჟმა გოგონაზე.

ამასობაში მეიზი სპექტაკლებზე, ფირფიტებზე, ფილმებზე ლაპარაკობდა. „კარუსელი“ თუ ნახა? გადასარევი ფილმია. ისე გიტაცებს!.. უცებ სიტყვა გაწყვიტა:

— თუ შეიძლება, ნება მომეცით, ჩემი საჭმლისა მე გადავიხადო. ნამდვილი ცხენითა ვნთქავდი.

— ო, არა. მე ძველი წესების მიმდევარი ვარ.

ტობი სტიპენდიით ცხოვრობდა (კემბრიჯში კლასიკური სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა), მცირე თანხას მამა აძლევდა და მშვენივრად ჰყოფნიდა, რადგან ფულს ერთობ წინდახედულად ხარჯავდა.

მეიზიმ არ დაამალა, მაგრამ საათს კი დახედა:

— ღმერთმა უწყის, რამდენ ხანს ვზივართ აქ, მე კი ორივეს მაგივრად ვლაქლაქებ.

— და ძალზე საამურადაც ვლაქლაქებთ.

— უკვე გვიანაა. ჩემი წახელის დროა.





— თუ თანახმა ხართ, კოლეჯამდე მიგაცილებთ. რაც უნდა იყოს, ვაჟები ისე არა ვართ ჩაკეტილნი ყრუ კედელს იქით, როგორც თქვენ გოგონები.

ახალგაზრდები რიჯენტ-სტრიტზე მიდიოდნენ. ტობი მეიზის ველოსიპედს მიაგორებდა, მერე პეტი კიურიზე აუხვიეს, სადაც მაღაზია „კეფერის“ ვიტრინებში ნათურების შუქზე ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ პრიალი ვინაი წიგნები, შემდეგ ბაზრის მოედნიდან (სადაც პერი გაქვნილი იყო რაღაც სასიამოვნოს მღელვარე მოლოდინით, როგორც ყველა ქალაქის ნაჭარო მოედანზე) დიდებულ კინგს-პერუიდზე გავიდნენ. იქაურობას ბადრი მთვარე გადმოჰყურებდა და მის მჭრქალ სინათლეზე კინგს-კოლეჯის კაპელა ბზინავდა.

— ვიდაცამ ზურგზე დაწოლილ, ფეხებაფშეკილ ღორს მიაშვავსა, — თქვა ტობიმ. — ჩემი აზრით კი ნამდვილი სასწაულია.

უნივერსიტეტის სენატის შავ-თეთრი შენობა ახლა უფრო ჯადი ჩანდა, ვიდრე დღისით. მისი უკანა ფასადის მიღმა გზაზე არავინ ჭაჭანებდა.

ტობიმ მეიზის ველოსიპედი ბოძზე მიაყუდა, დაიხარა და მეიზის აკოცა. ეს პირველი კოცნა იყო.

— არ გეგონოთ იხე, უბრალოდ, — თქვა ვაჟმა. აღელვებულმა მეიზიმ გაიცინა და მაშინვე გაჩუმდა. ტობი ვერ მიუხვდა — მან მოულოდნელად, ნაუცბათევად აკოცა და ქალიშვილი კოცნითვე ვერ უპასუხებდა, მაგრამ მისმა სიცლიმა ცოტა არ იყოს შეაცბუნა, სულ არ შეეფერებოდა მეიზის ბუნებას. თითქოს მოახლე იყოსო, გაიფიქრა ტობიმ, თუმცა მოახლეებთან საქმე არასოდეს ჰქონია. როცა ისინი ჰანტიზგტონ-როუდზე ჰერტონისკენ მისრიალებდნენ ველოსიპედებით, ტობიმ უთხრა მეიზის:

— მშვენიერი საღამო იყო. კიდევ წამომყვები სადმე? მაგალითად, შაბათს?

მაგრამ მეიზიმ უპასუხა: შაბათს არა მცალია, დედა ჩამოდის და მასთან ყოფნა მინდაო.

როცა მეიზის კოლეჯთან ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, ტობის აღარ უცდია ეკოცნა მისთვის. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ შაბათ-კვირა თვისონაც მშობლებთან გაეტარებინა.

2

შინ ტობი საღამოხანს მივიდა მანამდე კი ბიბლიოთეკაში შეიარა. ცხრა-მეტი წლისა რომ სრულდებოდა, მშობლებმა გაჭირვებით მოაგროვეს ფული და ბიბლიოთეკის მუდმივი აბონემენტი უყიდეს და ტობიც ძალიან მაღლობული იყო. რამდენიმე წიგნი ამოარჩია და შინ წაყიდა.

ღრუბლიანი დღე იდგა, წვიმდა, სველ ასფალტზე არუკლილი ფარნების შუქი გაორებული ჩანდა. მწვანე მაღაზიები თვალს ახარებდნენ, ფერების მთელ სიმდიდრეს ქუჩაში აფრქვევდნენ — ფორთოხლისფერს, ლიმონისფერს, ღია მწვანეს.

ჯერ მამასთან შეიარა. ჯიხურის ვიტრინაში დახვავებული იყო მაცთუნებელი ფერის ქალაღლებში შეხვეული ტკბილეული, იქვე ეწყო ჟურნალები და იაფფასიანი წიგნები ქალაღდის ყდით — მათ არავინ ყიდულობდა. წიგნებს მტვრის ხაჯრდისებრი პატინა დასდებოდა და ოდნავ აკეთილშობილებდა. მყიდველი არავინ ჩანდა. ზარის წკრიალი რომ გაიგონა, მამა გამოვიდა პატარა ოთახიდან, საწყობად რომ ჰქონდა და დროდადრო დასასვენებლადაც.


მისტერ რობერტსი მაღალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო, შვილივით თაფლისფერთვალეებიანი, თუმცა საერთო სხვა არაფერი ჰქონდათ: მის მოუხეშო სახეს სინატიფის ნიშანწყალიც არ აჩნდა.



— აა, მოხვედი?

— დედამ მიიღო ჩემი წერილი?

— მიიღო და ჩასუქებული ხბოც დაგიკლა საპატივსაცემოდ.

მისტერ რობერტსმა ბუხებისგან დასკინტულ საათს შეხედა და თქვა:  ხუთი წუთის შემდეგ დააკეტავ კიოსკსო.

— როგორა ხარ, ბიჭო? — აღერსიანად ჰკითხა შვილს.

ეროვნული  
გზაობისთვის

ტობიმ — იგი მამას სულ სხეანაირად ელაპარაკებოდა, ვიდრე თავის მეგობრებს — უბასუხა: კუდი აპრეხილი მაქვს, და თახვივით ვშრომობ, თათებს მოსვენება არა აქვთო.

— მაგრამ ჯერჯერობით ადრეა თქმა, გავწევ უღელს თუ არა, — — დაუჩატა მან.

— გასწევ, შე ძველო! მე და დედას ამაში ეჭვიც არ გვეპარება.

მამის სიტყვებმა ტობის გუნება გაუფუჭა. მართალია, სწავლა არ უჭირს, მაგრამ იქნებ მეტი სმეტს სთხოვენ. მშობლების იმედის გაცრუება არ უნდოდა.

— კიდევ წამოიღე წიგნები?

— ჰო, ისეთი მძიმეა, ლამის ტონას იწონის.

— ეჰ, ახალგაზრდა რომ ვიყო... — მამის სიტყვებში სევდა იგრძნობოდა. მხოლოდ წიგნებს და წიგნებს გავეიდდი. მაგრამ იმ წლებში ამით რას გახდებოდი!

მამა-შვილი ერთ ღარიბულ, მაგრამ სუფთა, მოკლილ ქუჩაზე მდებარე ტერასიან სახლთან მივიდა. სხვა სახლებისაგან ის მხოლოდ უჩვეულო ფარდებით გამოირჩეოდა. სწორედ აქ გამოჩნდა მისის რობერტსის განსაკუთრებული გემოვნება: ორივე სართულზე ერთნაირი, თამამად მოხატული კრეტონის ფარდები ეკიდა — კამკაშა ფერის ბროწეულები ღია ფონზე (ზოგი მეზობელი ამ ფარდების დანახვისას წარბებს ზემოთ ასწევდა ხოლმე). ჭიშკრის ორივე მხარეს კენკრის სველი ბუჩქები ჩამწკრივებულნი, რომლებიც ქუჩის ფარნის შუქზე ბრწყინავდნენ. ტობიმ ფეხი ადორია. კვებრიჯიდან რომ ჩამოდიოდა, მუდამ ასე ემართებოდა: საკუთარი სახლის სუნი არ სიამოვნებდა, სუნი და არა ჭუჭყი, რადგან მისის რობერტსი ჭუჭყს არ გააჭაჭანებდა. ვაწრო დერეფნებში მუდამ იდგა კერძის, კარბოლის საპნის (დედას ახლაც სწამდა მისი), სკიპიდრის და შმორის ერთმანეთში არეული სუნი, რაც ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანდა. (სახლი არც ისე ძველი იყო, თორმეტ წელში აშენებული). მისი მეგობრები უფრო ძველ სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ იქ არ იდგა შმორის სუნი. ბოლოს დაასკვნა — ალბათ იმიტომ, რომ დიდი სახლებია და სივრცეც მეტი არისო. მისი წამიერი ზიზღის გრძნობა და გულწრფელი სიხარული, რომ სადაცაა დედას ნახავდა, უცნაურად გადახლართულიყო ერთმანეთში. დედა და შვილი ყოველთვის ძალზე ახლოს იყვნენ, გარდა ამისა, ტობი აღფრთოვანებული იყო, რა შეუპოვრად მიილტვოდა დედა ფერწერისა და თვითგანათლებისაკენ.

დედამ გაიგონა თუ არა გასაღების ჩხაკუნი, მაშინვე გამოეგება ქმარ-შვილს. ბელურასავით პატარა ქალი იყო, დიდრონი არა, მაგრამ ელვარე თვალები ჰქონდა. მაშინვე გულში ჩაიხუტა შვილი და ორივე ლოყა დაუკოცნა (კაცი იფიქრებდა, რუსულ ყაიდაზე მიესალმათ, მაგრამ მისის რობერტს არასოდეს ენახა რუსები).

— ეს ვინ ჩამოსულა! ასე ადრე არ გელოდით.



— მე კი ჩამოვედი. როგორა ხარ, დედა? რაღაც სკიპიდრის სუნია, ეტყობა, მთლად ხელოვნებაში ხარ ჩაძირული.

— ერთი ამას უყურე! — თქვა მისტერ რობერტსმა.

ფერწერა მარტო საკვირაო გასართობი არ იყო მისი რობერტსისთვის, იგი ყოველდღე ხატავდა სტუმრებისათვის განკუთვნილ საძინებელ ოთახში, მიაყუდებდა სკამის ზურგზე მშრალი ბათქაშის ნატეხს და ~~დახატავდა~~ ხატავდა.

დედის სურათები ოდნავ მაინც უკეთესი რომ ~~აქვს~~ ~~მამის~~ ~~სურათები~~ მოზესთან! შედარებას დაიმსახურებდაო, ფიქრობდა ტობი.

— ვერ დავინივლებ. ყვაილები მოდელის გარეშე დავხატე. — თქვა და შვილი უკან დახია: — აბა შეგხედო, როგორ გამოიყურები.

— გასულ კვირას ხომ მნახე, ერთ კვირაში როგორ გავიზრდებოდი.

დედამ ჰკითხა, არ გშია? შენი საყვარელი კერძები გავაკეთეო, და ყველანი სამზარეულოში შევიდნენ. რობერტსების ოჯახს ერთ დროს კარგად მიუდიოდა საქმე, სწორედ მაშინ გააფართოვეს სამზარეულო და ახლა მთელ სახლში ყველაზე დიდი სამზარეულო იყო. მაგიდაზე კუბოკრული სუფრა გადაეფარებინა, როგორც კონტინენტზე ჰქონდათ წესად. სუფრას ამშვენებდა ყვითულ ქრიზანთემებიანი ლარნაკი. ქრიზანთემები პირდაპირ იაპონური სიფაქიზით ჩაეწყო დედას.

— ძაღლივით მშია. სიტყვამ მოიტანა და, ხომ არსებობს ძაღლის თანავარსკვლავედი. მაშ, ეინ ვიქნები, თუ მშიერი ვარ: ძაღლი ძაღლების ხროვიდან თუ ვარსკვლავი თანავარსკვლავედიდან?

— გეყოფა ხუმრობა, ისეთი ბასრი ენა გაქვს, ალბათ თვითონვე გაიჭრი რამეს.

დედას მართლაც მოემზადებინა მისი საყვარელი კერძები. ერთი მდიდარი მეგობრის ოჯახში იკემა ერთხელ ტობიმ ბატის ღვიძლის პასტეტი და ძალიანაც მოეწონა, თუმცა არ იცოდა, მოუწევდა თუ არა კიდევ ასეთი სახუკვარი კერძის ჭამა. სუფრას ამშვენებდა ცხელი წვნიანი, შეპიწკინებული ხორცის ღვეზელები, ხრამუნა ჰარტოფილი, ღორის ხორცის დიდი ღვეზელი... (მისი რობერტსი დახელოვნებული იყო ღვეზელების ცხობაში), დაკონსერვებული ორაგული, რომელიც ტობის ცოცხალ ორაგულს ერჩივნა. მსხლის დარიჩინიანი კომპოტი, შაქრით მოზრავული ფორთოხლის კექსი. უშველებელ ჩაიდანს ორთქლი ასდიოდა, ტობის ნერწყვი მოადგა პირზე. როგორც არ უნდა შეტრიალდეს ჩემი ცხოვრება, ეს მუდამ ჩემი საყვარელი კერძები იქნებაო. ნეტა რას უქადის მომავალი? აი, ხოხობი კი არ უკემია. ალბათ რა გემრიელიაო, გაიფიქრა.

ტობი უკვე შეუდგა ჭამას, მადა თანდათან გაუღვამა. კემბრიჯში გაცილებით ცუდად იკვებებოდა, ვიდრე მშობლებს ეგონათ. ეს რომ იცოდნენ, გაგიჟდებიანო, გაიფიქრა.

— გადასარევი! — თქვა ტობიმ.

მისი რობერტსი ლამის შესცივინებდა შვილს. ქმრისაგან განსხვავებით ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან ტობი მიატოვებდათ... ლაპარაკით მათსავეით ლაპარაკობს, მაგრამ ხმა... აქ დედას უნებურად გაცვეთილი ფრაზა მოადგა პირზე — ნამდვილი ჯენტლმენის ხმა გაუხდაო.

1. ანა მოზესი — ამერიკელი პრიმიტივისტი მხატვარი, ცნობილი გახდა II მსოფლიო ომის შემდეგ. 78 წლისამ დაიწყო ხატვა.



— დღესვე წახვალ? — ჰკითხა შვილს.

— არა, დამეს აქ გავათევ, თუ თქვენ ამიტანთ. ამდენ გემრიელ საჭმელს მონელება ხომ უნდა, თანაც მეზარება ისევ სადგურში წასვლა.

ტობიმ სამი ფინჯანი ჩაი დალია, ექვსი სიგარეტი მოსწია და მერე დედას შესთავაზა, ჭურჭლის დარეცხვაში მოგეხმარებიო. მაგრამ დედამ უარი უთხრა, ეს კაცების საქმე არ არის, მამაშენიც ამ აზრისააო.

— ჭურჭელი მოითმენს. ჩემს სურათს კი, თუ გინდა, გაჩვენებ. დედა-შვილი ზემო სართულზე ავიდა. თამამი კომპოზიცია იყო: ლურჯ ფონზე თეთრი და ყვითელი ყვავილები — ტერაკოტის ლარნაკში. ლარნაკი მაინცდამაინც კარგი არ გამოხედა — ფაქტურა არ იგრძნობოდა და რატომღაც არც ჩრდილი ჰქონდა, მაგრამ სურათი მაინც მოეწონა ტობის. ისიც კი ჰკითხა დედას, არ შეიძლება კემბრიჯში წავილო, ჩემს ოთახში დავკიდებო. დედა სიამოვნებისაგან წამოჭარხლდა, მისთვის ეს უდიდესი ქება იყო.

— ოღონდ ჯერ ჩარჩოში ჩაუასმევინებ.

— არ გინდა. კემბრიჯში კარგი სახელოსნოა, ჩარჩოს იქ გავაკეთებინებ.

ტობის სინაზით აევსო გული. რა პატარა ქალია დედა, რა მჩატე. ტობით წითური თმა კუფაზე ჰქონდა შეკრული: ან ძველებური ვარცხნილობა იყო ან მზატვრის ახირება. ტობიმ იცოდა, სურათი რომ სთხოვა, ამით ძალიან გაახარა დედა, და ისეთივე გრძობა გაუფაჩუნდა გულში, როგორც ბავშვობაში; როცა ჭკვიანური საქციელით გაახარებდა, დედას სახე უცვებ თითქოს შიგნიდან უნათლებოდა ხოლმე.

— ხედავ რასა ვკითხულობ? — დედამ ამაყად გაუწოდა „ანა კარენინა“, ძველ, გაცვეთილ წიგნს ქალაქის ყდა ჰქონდა. — პირდაპირ გასაგიჟებელია, ისე კარგად იცნობს ადამიანის ბუნებას, — ჩაილაპარაკა მან, გულდაგულ არ ჩვედა სიტყვებს.

— რომელ გმირ ქალად წარმოიდგინე თავი? — გაეხუმრა შვილი, იცოდა, დედას ძალიან უყვარდა ასეთი ხუმრობა. — ანად? არა, ანად არ შეგეფერება. ძალიან მწყინს, მაგრამ ანა უფრო ჩასუქებული იყო. ტოლსტოი პირდაპირ ამბობს ამას.

— რაც არ მინდა, იმას ვივიწყებ. ისე კი სიმსუქნე თითქოს არ უხდება ანას. მართლა დაკიდებ ამ სურათს შენს ოთახში?

— ჰო, დე, ყველამ ნახოს. შემდეგ ჩამოსვლაზე წავიღებ, თორემ იმდენა წიგნი მაქვს წასაღები.

დედა-შვილი ისევ სამზარეულოში ჩავიდა. ასეთ სახლებში წესად ჰქონდათ, სასტუმრო ოთახში მხოლოდ გარეშე ხალხს იღებდნენ, ვთქვათ, დაზღვევის აგენტს.

დაპურებული, კმაყოფილი მამა მიმქრალ ბუხართან თვლემდა.

დედამ სუფრის ალაგება დაიწყო.

— ახლა მაინც მოგეხმარები, — უთხრა ტობიმ და ჭურჭლის სამრეცხაოში შეჰყვა. ამაზე აღარ უთქვამს უარი დედას და ტობი მიხვდა, დედას კიდევ ბევრი სალაპარაკო ჰქონდა მასთან. უპირველეს ყოვლისა დედამ ჰკითხა:

— კარგად ჭამ?

დედის შეკითხვებიდან ეს მუდამ მეორე იყო.

— განა კარგად არ გამოვიყურები?

— კოლეჯში ჭამ?

— მეტწილად, კვებას არა უშავს.



— ალბათ ქალიშვილებსაც ხვდები, არა?

დედა ისე გაერთო კითხვებით, რომ ვერც კი შეამჩნია, ტობი რომ თუ შებს ამშრალებდა — ამის ნებას საერთოდ არ აძლევდა.

— მაჭანკლობა გინდა დაიწყო, დედი? — ტობიმ უხმოლ ჩაიტრია: დედაჩემს სურს დარწმუნდეს, ბიჭებისკენ ხომ არ მიმიწევს გულიო, და უცებ, გაბედა: — შეიძლება სულ ძაღვ ერთი ქალიშვილი დავპატიყო ჩაიხვეწიუნუნო  
 დედა აფორიაქდა.

— ვინ არის?

— შეიზი ფერარსი. წინასწარ შეგატყობინებ.

— იმედი მაქვს, ძალიან მდიდარი ოჯახიდან არ არის. თავი არ შევირცხვინო.

მისის რობერტსი შვილს აღარ უყურებდა, გამწარებით აშორებდა ჩაის ფინჯანს ყავისფერ ნალექს.

— დედა, შენ არავისთან არ შეირცხვენ თავს.

წინათ ტობი „დედის“ უძახდა ხოლმე, მაგრამ ბოლო დროს იშვიათად თუ მიმართავდა ასე.

— ვინ იცის, იქნებ ხალხს უფრო მდიდარი ჰგონიხარ.

— უპ, რა ამაყი ვინმე ხარ! არა, ძალიან სასიამოვნო გოგოა. ოღონდ, ნუ იფიქრებ, რომ ჩვენს შორის სერიოზული რამ არის. არც კი ვიცი, წამოვა თუ არა.

მაგრამ დედას ისევ გაუბრწყინდა სახე. სკოლის დამთავრების შემდეგ პირველად არის, რომ ვიღაცას პატიუბსო, გაიფიქრა მან.

— შენ ისე კარგად მოაწყვე სახლი, — სრულიად გულწრფელად უთხრა ტობიმ.

კიბეზე უბრალო ლურჯი საფენი, თეთრი კედლები, ყველაფერი ეს მათ სახლს განასხვავებდა მეზობლების სახლებისგან. ტობიმ იცოდა რამდენი შრომა დასჭირდა დედას ამისათვის. ყოველ ოთახში ავეჯს ეფარა ერთნაირი, ლამაზ ყვავილებიანი ქსოვილი. ყველგან თოკისგან დაწნული პატარ-პატარა ხალიჩები ეყინა. მამა ამას ვერ ამჩნევდა, ტობი კი მაშინვე შეამჩნევდა ხოლმე ყველაფერს. ხშირად უფიქრია, დედაჩემს სხვა გარემოში სხვანაირი ცხოვრება ექნებოდაო. მისი მხატვრული გემოვნება ბევრ რამეში ჩანდა, გარდა მისი ჩაცმულობისა; საკმაოდ ღარიბულად ეცვა. ჯერ ერთი, ტანსაცმლისათვის ფული არ ჰყოფნიდა, მეორეც, ხატვაზე იყო გადაყოლილი და საკუთარ გარეგნობაზე სულაც არ ფიქრობდა.

სამზარეულოში რომ დაბრუნდნენ, მამა უკვე გაღვიძებული დახვდათ.

— შენი ჩამოსვლისა უნდა დავლიოთ, — უთხრა მამამ. — შენ რომ გამოგვეცხადები, გახარებულებს დალევა მოგვინდება ხოლმე.

— მაშინ სჯობს, იშვიათად ჩამოვიდე, — უთხრა ტობიმ მამას, რომელმაც ის იყო ვისკიანი ბოთლი გამოიღო კარადიდან, — თორემ გაგაკოტრებთ.

მისტერ რობერტსმა ვისკის წყალი და ორი ჭიქა მოაყოლა. მისის რობერტსი არ სვამდა: ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მას მეთოდისტთა ოჯახში მიღებული აღზრდის შედეგად გამოჰყვა. დედა ამბობდა, სპირტიანი სასმელის სუნი არ მსიამოვნებსო. კაცები მყუდროდ მოეწყვნენ ბუხართან და ვისკის წრუპვას მოჰყვნენ.

რა სიმყუდროვეა, აი, ზუსტი სიტყვა, გაიფიქრა ტობიმ. რაც არ უნდა გამიმზადოს ბედმა, ასე მყუდროდ მაინც ვერსად ვიგრძნობ თავს. რაცა ვარ,



ისა ვარ, ხოლო საჭიროა თუ არა ამის სხვასთან გამხელა — ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მაგრამ ახლა ოჯახის, ბუხრისა და ვისკის სითბოს გრძნობდა და კმაყოფილი იყო. მუდამ კმაყოფილი იქნება თუ არა, ეს თვითონაც არ იცის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს ახლა. იგი წუთიერი სიხარულით ცხობილობს — იმ სიხარულით, რასაც ეს წამი უბოძებს.

თავის ოთახში ტობის მაშინვე მკვდარივით დაეძინა. მაგრამ უკვე დაღუპულს დახუჭავდა, იგრძნო, რომ ზეწრებს ლავანდის სუნი ასდევდა და ფიქრა: როგორა ჰგავს დედას ეს ბოლო დამავიწყებელი შტრიხიო.

8

ტობის ოთახში მეგობრები ყავას მიირთმევდნენ. უკვე გვიან იყო. ლამაზი ეიდრიანი მათი თხოვნით ბიბლიურ გამოთქმას ხსნიდა: „ხოლო ცოდვა არა შერაცხილ იყო, თვინიერ სჯულისა“. მაგრამ ისე ბუნდოვნად მსჯელობდა, ბობმა და ტობიმ ვერაფერი გაიგეს.

ბობი და ეიდრიანი გაუთავებლად კამათობდნენ და ტობი უკვე მოთმინებას კარგავდა. მას უნდოდა ეიდრიანისგან რაიმე გაეგო მისის ფერარსის სალონის შესახებ, მაგრამ ვერაფრით მოეხერხებინა. ტობი რამდენჯერმე შეხვდა მეიზის, მაგრამ საქმე წინ არ წასულა, მხოლოდ გამთხოვებისას ჰკოცნიდა. მეიზი, ეტყობა, იმ გოგოებს არა ჰგავს, მაშინვე რომ ჩავიგორდებიან ლოგინში. თუმცა ერთი კვირის წინ ქალიშვილმა ისეთი სიყვარულით სავსე თვალეზით შეხვდა, რომ... თვითონ კი არის მზად მეიზისთან რომანი გააბას? ტობი ჯერაც ვერ გარკვეულიყო.

და უცებ ეიდრიანი კოზირს ჩამოვიდა (არაფრით არ იზამდა ამას, მაგრამ ბობმა კამათით გული გაუწყალა).

— კვირას ჰედისდონში ვიყავი.

— სად არის ეს ჰედისდონი? — ჰკითხა ბობმა.

— რატომ მაინცდამაინც შენ? — წამოსცდა ტობის და ამით თავისი გულისნადები გაამჟღავნა.

ეიდრიანს სახეზე გაკვირვება გამოეხატა:

— აკი ვითხარი, დედანში მეიზის დედას იცნობს-მეთქი.

— როგორ მოგეწონა იქაურობა?

— ძალიან სასიამოვნო იყო. მისი სახლი მუდამ დიაა გამოჩენილი მწერლებისათვის.

— თვითონ რაღას წარმოადგენს?

ეიდრიანი ერთხანს დაფიქრდა და მერე უპასუხა:

— ეს ქალი პიროვნებაა. — მას არ ეხერხებოდა უფრო დაწვრილებით დაეხასიათებინა ვინმე.

— უყურე შენ, — უხალისოდ ჩაილაპარაკა ბობმა. — მას არ აინტერესებდა ცნობილი პიროვნებები, ჩვეულებრივ ხალხთან ურთიერთობა ერჩივნა.

ამასობაში ტობი თავის მეგობრებზე ფიქრობდა. ბობი ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ განგებამ მათემატიკის ნიჭი გამოაყოლა და ძლიერი ფიზიკოსიც დადგება. ეიდრიანი ბუნებით კეთილია, არასოდეს ახსენებს ვინმეს აუგად, დამცინავად. იშვიათად თუ შეგხვდება ასეთი ადამიანი. თანაც ძალიან ღვთისმორწმუნეა და ზოგჯერ, თავისდა უნებურად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ადამიანებს. ტობიმ მერამდენედ გაიფიქრა: უცოლობის აღთქმა თუ დადო, უფერული ცხოვრება ექნება. იმიტომ კი არ გადაწყვიტა ეს, რომ სექსი სხვებზე



ნაკლებად აინტერესებს, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთადერთმა იდეამ გაიტაცა, და ლამის ჭკუაზე შეიშალოს. გამორიცხულა არ არის, რომ ეიდრიანი თავის ნავს რიფებზე შეაგდებს. ნეტა როგორი რიფები იქნება? მღვდლის სამოსში გამოწყობილ ტანწერწეტა მამა სტედმენს ხომ მამდვილად გაადმერთებენ მრევლის მშვიერი ქალები...

ეროვნული  
გზაურობა

— მაინც ვინ ნახე პედისდონში?

— აი, მაგალითად, ედუარდ კრეინი, მუდამ იქ არის.

ამის გაგონებაზე მხოლოდ ტობის კი არა, ბობსაც დაეტყო გაკვირება. ედუარდ კრეინი თანამედროვე დრამატურებს შორას ყველაზე სახელგანთქმულად ითვლებოდა: ერთხანს, ვესტ-ენდის თეატრებში ერთდროულად მისი სამი პიესა იდგმებოდა. კომერციული პიესები იყო, მაგრამ ღრმა და ჭკვიანური, ისე რომ, კრეინი ჯერ კიდევ მოდაში იყო. ალბათ ოდესმე გამოვა კიდევ მოდიდან და დიდად სამწუხაროც იქნება! ტობიმ სიამოვნებით გაიხსენა კრეინის პიესა ჯონ ნიკულსონზე და ინდოეთის აჯანყებაზე. რა ერქვა იმ პიესას? რაღაც გამორჩეული სათაური ჰქონდა „ბიბლია და ხმალი“? თუ რაღაც ამის მაგვარი.

— კიდევ ვინ ღადის იქ? — იკითხა ტობიმ.

ეიდრიანმა დაასახელა ერთი ახალგაზრდა რომანისტი, რომელიც თავისივე სქესის ადამიანებისკენ მიიღებოდა, ერთი ძალზე პოპულარული პოეტი, რომელიც თავისი ლექსების გასაღებას ახერხებდა, და ვილაც მხატვარი ქალი, რომელიც თანდათან იხვეჭდა სახელს.

— თუმცა მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი იქ, — დაუმატა ეიდრიანმა. — ფართოდ აზროვნებენ და ხელგაშლილად ცხოვრობენ.

ტობი ჩაფიქრდა: ნეტა, როგორ ახერხებენ? დედამისი თითქმის არაფრიდან სასწაულებს ახდენს, მაგრამ უმეტესობას ხომ ძალიან უჭირს! კვერცხი დელიკატესი გახდა. კოლეჯის სასადილოში სტუდენტებს საშინელ ომლეტს აჭმევენ, შიგ კვერცხის ნატამალიც არ არის. ტობიმ დაამთქნარა.

— მაპატიეთ, მაგრამ ღამე მშვიდობისა უნდა გისურვოთ, თუმცა მე ვერ დავიძინებ. ის წყეული რეფერატი — კალონზე — უნდა დავამთავრო, ყოვლად მოსაწყენია.

ეიდრიანმა წყენა ვერ დაფარა. მუდამ ასე იცოდა — ვინმესთან თუ შევიდოდა სალაპარაკოდ, წასვლას აღარც იფიქრებდა, სანამ არ ეტყოდნენ. უბრალოდ დროს ვერ ამჩნევდა.

მეგობრები რომ წავიდნენ, ტობიმ მართლაც იმუშავა ლამის სამ საათამდე. დილით თავისი შრომა წაუკითხა ბრწყინვალე ახალგაზრდა დონს,<sup>1</sup> რომელიც სტუდენტთა ისტორიკოსების მეცადინეობას ხელმძღვანელობდა, და რომელმაც უთხრა:

— ძილმორეული კაცის დაწერილსა ჰგავს, თქვენ არ მოგეჩვენათ ასე? დონს ნოელ პარტფორდი ერქვა, ყველა სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა, რაც კი შეიძლება მიანიჭონ ოცდაშვიდი წლის კაცს.

— მართლაც ძილმორეულის დაწერილია. ძალიან მეძინებოდა. შემდეგში უფრო კარგად დავწერ.

1. მასწავლებელი, დამრიგებელი, კოლეჯის საბჭოს წევრი, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში.



საუბრის შემდეგ ტობი ქალაქში გავიდა და წიგნის მალაზია „ბოუე და ბოუე“-ს ვიტრინაში შეიზი დაინახა. ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რომ დეტექტიური წიგნების თაროს ათვალეურებდა.

— გოგონის გაუმარჯოს, — თქვა მან, მეიზის ზურგს უკან მდგარმა, ეს აღერსიანი მიმართვა ისე წარმოთქვა, თითქოს შემთხვევით წამოსცდა.

ქალიშვილი ტობისკენ შეტრიალდა. უნდა იხე მოეჩვენებინა თავი, თითქოს სერიოზულ წიგნებს ათვალეურებდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— დანაშაულის ადვილზე წაგასწარი, — უთხრა ტობიმ. — მეგონა, დეტექტივის კითხვა აკრძალული გქონდა.

მეიზიმ ერთხანს არაფერი უპასუხა, მერე კი წამოიძახა:

— ძალიან დამაგვიანდა, ეტყობა, ტაქსით წასვლა მომიწევს. აქეთ ავტობუსით წამოვედი, ისე რომ, არ გავკოტრდები.

მათ ბაზრის მოედანი გადაჭრეს.

ტაქსით სეირნობა შეუძლიაო, გაიფიქრა ტობიმ. იგი გაჰყურებდა მანქანის უკანა ფარებს, სანამ ტაქსი მოსახვევში არ გაუჩინარდა. და იმავე წამს თავში გაუელვა: უნდა იმუშაოს. თანაც მხოლოდ ამ საღამოს კი არა, მუდამ, ყოველდღე. რაღაცას უნდა მიაღწიოს. ჯერ გვიან არ არის. ვკითხავ ჰარტფორდს, თუ საფუძვლიანად ვიმუშავებ, მივალწევ რამეს? თუ რომელიმე საგანი მოსაწყენი იქნება, უნდა მოვერიო თავს. ეჰ, ბობის ნიჭი რომ მომცა!.. მაგრამ არა მაქვს, და მაინც ბევრი უნდა ვიმეცადინო, დედ-მამის ხათრით მაინც. ხოლო თუ კეთილდღეობას მივალწვი, რაც მეტი იქნება, უკეთესიაო, ფიქრობდა ტობი... იგი წვიმას ვერ ამჩნევდა, კოლეჯისკენ მიაბიჯებდა ნახევრად შეყვარებული — არა, ნახევარზე მეტად. უცნაური კი იყო ეს გრძნობა, ასეთი არასოდეს განეცადა, თუმცა მეიზიმდე ჰქონდა ხანმოკლე კავშირები. მაგრამ ეს სულ სხვანაირია, მთლად სხვანაირი კი არა, მაგრამ მაინც... ჰედისდონი. საკუთარი მანქანა... ეჰ, რისკი კეთილშობილი საქმეა!

დილით ტობიმ დაურეკა მეიზის და მშობლებთან დააპატივა.

— ჩვენი სახლი არც ისე ბრწყინავს, მაგრამ თავისი სიმშვენიერე მაინც აქვს. დედაც ძალიან გაიხარებს.

ტობი სულ არ მოელოდა, რომ მეიზი მაშინვე დაეთანხმებოდა, ოღონდ ეს კი უთხრა:

— ორი კვირის შემდეგ წამოვალ, მანამდე ვერ შევძლებ.

(კაცმა რომ თქვას, რატომ ვერ შეძლებს?)

— მაშ, მეორე შაბათს? ჩაისთვის ჩამოდი. მერე მე და შენ სადმე წავიდეთ. ტობიმ იცოდა, რომ მეიზის ლონდონში ნათესავები ჰყავდა — დეიდა და გათხოვილი და. დამეს მათთან გაათუვს, ეს პრობლემა არ არისო, გაიფიქრა.

— მაშ, შევთანხმდით.

ტობი დაპირდა, რომ დაწვრილებით მერე მოაღაპარაკებდნენ.

— აა, კარგად იყავი.

— შენც კარგად იყავი.

ტობიმ დედას მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მისწერა. ძალიან გაუჭირდა ამ წერილის დაწერა.

„ამასწინათ ხომ გითხარი, შეიძლება ერთი ქალიშვილი ჩაიხე დავპატივო-მეთქი. პოდა, შაბათს ჩამოვალთ. კარგი იქნება, თუ შენს რამდენიმე სურათს აჩვენებ, მოამზადე იმ დროისათვის. ოღონდ იგულისხმე, რომ ჩიტვისთ კენკავს“. (ეს კი ნამდვილად რყული იყო). „ისე რომ, ნაირ-ნაირებისათვის



თავს ნუ შეიწუხებ, თუმცა პირადად მე უარს არ ვიტყვოდი. იქნებ სენდვიჩები გააკეთო. მას კიტრი უყვარს, შენებურად კობტად დაჭერი კიტრი და ღვეზელი გამთაცხვე. მეტი არაფერია საჭირო, ისე რომ, ყველაფერს არ გადაეჭამო.“ ტობიმ წარმოიდგინა, როგორ აღაშფოთებდა მამას ასეთი ღარიბული სუფრის გაშლა. მაგრამ იცოდა, რომ დედა გაუგებდა. ტყუილად კი არ მუშაობდა ახალგაზრდობისას მოსამსახურედ ლონდონის ერთ-მხედარ ქუჩაში. და სასწრაფოდ მიაწერა: „ძალიან ვთხოვ, სასტუმრო ოთახში ნუ გეშვლი სუფრას, თუ შენ აუცილებლად არ მიიჩნევ. სამზარეულო უფრო სასიამოვნოა. ამით მეიზის თვალში არ დაემცირდებით. ძალიან სასიამოვნო, უბრალო გოგონაა. საქმე ის არის, რომ ჩაის შემდეგ სადღაც მიინდა წავიყვანო და ბევრს მაინც არ შეჭამს.“ (ზედმეტი ზომ არ მომივიდა. მგონი, არა. კარგად დავწერო, გაიფიქრა). „ყველაფერი შინაურულად, სასიამოვნოდ იყოს, ოღონდ შენ ნუ დაიწყებ ფაცურს. თვითონაც მშვიდი გოგოა. შენს გასახარად გწერ, რომ დღე და ღამე ვშრომობ, დასახული მიზნისკენ მივაბიჯებ. პარტფორდის აზრით, საკმაოდ კარგ დიპლომს მივიღებ, თუ ძალიან მოვიინდომებ.“

(სამეცნიერო ხარისხებში დედა ცუდად ერკვეოდა: სულ ერთია როგორ დიპლომს მიიღებს, ოღონდ მისი გვარის შემდეგ სანუკვარი ასოები<sup>1</sup> ეწეროსო, ფიქრობდა).

„და მტვერი, მტვერი, მხოლოდღა მტვერი, ჩექმებისგან ავარდნილი მტვერი.“ — მიაწერა ტობიმ და გაიფიქრა: დედა მიხვდება, საიდან არის, მას ყოველთვის უყვარდა რადიარდ კიპლინგი (იმ დროსაც, როცა მწერალი პოპულარული არ იყო) და, ცოტა არ იყოს, გამომწვევად ამბობდა: მიყვარსო. კიპლინგის ბევრი ლექსი ზეპირად იცის. „ისე, რომ მაპატიე, თუ მთლად დამტვერილი, სილით თმა გავსებული, ბევრი სიარულით ქანცაწყვეტილი გამოგეცხადე. მონწერე, როგორ მოგეწონა ჩემი გეგმა. ვარგა?“

გკოცნით შენ და მამას.“

ტობიმ იცოდა, რომ „გემრიელ ჩაიზე“ უარის თქმა დედას გაუჭირდებოდა. ისე უყვარს შვილი, რომ მისთვის არ არსებობს უფრო მეტი სიამოვნება, ვიდრე ტობისთვის გემრიელი ჩაის ან სადილის მომზადება. წერილს რომ წაიკითხავს, დედა მაშინვე მიხვდება, მეიზი სულ სხვა, უფრო მაღალ წრეს რომ ეკუთვნის, და ცოტა დაძაბული, შებოჭილი იქნება. ტობის არ მოეწონებოდა ეს — რა სჯობს, როცა დედა ბუნებრივად იქცევა, მაგრამ რას იზამ? მშობლების სიყვარულით განებივრებული შვილები მუდამ უკოდავენ გულს მშობლებს, თანაც ყველა, ისიც კი, ვინც ყველაზე მოსიყვარულეა. ტობი შეეცდებოდა, რაც შეიძლება ნაკლებად ატკინოს მათ გული.

მეიზიმ რაც არ უნდა თქვას, დიდი მჭამელი არა ვარო, მისი ჩაიზე მიპატიჟება მაინც არ შეიძლება. ოჰ! ნეტა ვის ვასულელებ? — გაუელვა თავში ტობის. იქნებ არც არავისო. და კინაღამ დახია წერალი, მაგრამ უცებ ადგა, გავიდა ქუჩაში და წერილი ფოსტის ყუთში ჩააგდო.

დედის წერილი პირველივე ფოსტამ მოიტანა. ღირსებით სავსე წერილი იყო, მაგრამ ოღნავ სიცვიე დაჰკრავდა, ძლივს შესამჩნევი, დაუნის ფოთოლზე ოღნავ შესამჩნევი ჭირხლივით.

1. იგულისხმება სამეცნიერო ხარისხის შემოკლებულად აღნიშვნა.



„ჩვენ ორივე მოხარული ვიქნებით გავიცნოთ შენი მეგობარი, რა თქმა უნდა, ისე იყოს ყველაფერი, როგორც მას უნდა, მაგრამ მე და მამას მიგვაჩნია, რომ ასე არ ივარგებს. იქნებ მართლაც მიჩვეულია კიტრის ჭამას, თუ შენ გინდა, შეგვიძლია მხოლოდ თეთრი პური და კარაქი მივართვათ, ოღონდ სამზარეულოში არა, მოიღე მოწყალეობა. მე ისე მოვაწყობ სასტუმრო ოთახს, რომ სულ არ შეგცივათ. იქ ზოგჯერ სინესტეა და სიცვივე, მაგრამ ღრით ადრე დავიწყებ სასტუმროში ცეცხლის დანთებას.“

მიხარია, რომ კარგად მეცადინეობ. ვიცი, შენ ყველაფერს მიაღწევ, თუ მოინდომებ. ახლა სულ სხვანაირ სურათს ვხატავ — ქურჩა... ბავშვები სკოლაში მიდიან. რომ ჩამოხვალთ, ორივეს გაჩვენებთ. ოღონდ დარწმუნებული ხარ, რომ არ დამცინებს?“

რას იზამ, იმაზე უკეთესი პასუხია, ვიდრე მოველოდიო, გაიფიქრა ტობიმ და სინდისის ქენჯნა იგრძნო, მაგრამ ხომ გადაწყვიტა რისკზე წასვლა? მას რაღაც ცუდმა გრძნობამ გაუელვა გულში მეიზის მიმართ: ვაითუ მართლა შეიძულოს მისი მშობლები? არა, ამისთანა არა ჩანს. მტკიცე ხასიათის, სასიამოვნო გოგოა. თანაც ჰედისდონი: ასეთი თევზის დაჭერა ნაფოტათი...

როცა მეიზი შეიყვანეს სასტუმრო ოთახში, აღფრთოვანებულს აღმოხდა:

— რა მშვენიერია!

ოთახი მართლაც მშვენიერი იყო. თეთრ კედლებს ვარდისფერი დაპკრავდა (მისის რობერტსმა თვითონ შელესა კედლები). მუქ ლურჯ ხალიჩაზე ვარდები ერთმანეთში იყო გადაწნული. ფარდები ვარდისფერი სატინით იყო ამოქობილი. ოთახში მუქი მწვანე გარნიტური იდგა — დივანი და სამი სავარძელი. კედელზე ეკიდა მისის რობერტსის დახატული ორი ნატურმორტი, ყვავილები.

— მიხარია, რომ მოგეწონათ, — ჩაილაპარაკა მისის რობერტსმა.

— ვის არ მოეწონება ასეთი ოთახი.

სასტუმრო ოთახში თბილოდა. დედამ შეასრულა დაპირება: ორი ღლით ადრე დავიწყებ ცეცხლის დანთებასო. მაგრამ ჩაისთვის მზადების არავითარი ნიშანწყალი არა ჩანდა.

— დორა დახელოვნებულია სახლის მორთვაში, — აუჩქარებლად, დარბაისლურად აუხსნა მისტერ რობერტსმა. — მეც ჩამითრევს ხოლმე ამ საქმეში.

— ეს თქვენი ნახატებია? — ჰკითხა მეიზიმ.

დედამ თავი დაუქნია.

— „უღიმღამო ქმნილებებია, მაგრამ ჩემი“<sup>1</sup>, — ამაღლებულად წარმოთქვა დედამ. ღმერთმა უწყის, როდის ჩარჩა მეხსიერებაში ეს სიტყვები. — თუ გინდათ, მერე ჩემს ბოლო ნამუშევარს გაჩვენებთ.

მეიზიმ უპასუხა, შესანიშნავი იქნებაო.

მისის რობერტსი სამზარეულოში გავიდა.

— მამ ასე, — ჩაილაპარაკა მისტერ რობერტსმა, — თქვენ რომელ ფაკულტეტზე ხართ?

— ინგლისური ენისა და ლიტერატურის, — უპასუხა მეიზიმ.

— მე კი მეგონა ინგლისური უკვე იცოდით, — გაიცინა მამამ.

— ეს უფრო რთულია, ვიდრე შენ გგონია, — ჩაურთო ტობიმ.

1. დამახინჯებული ციტატა შექსპირის პიესიდან „როგორ მოგეწონებათ“, მოქ. V, სცენა IV.



მეიზი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. ეგ ყველგან მი-  
ნაურულად იგრძნობს თავსო, გაიფიქრა ტობიმ. სამივენი შეგობრულად ლა-  
პარაკობდნენ, სანამ არ შემოვიდა მისის რობერტსი და თავისი ახლად შე-  
ძენილი გორგოლაჭებიანი პატარა მაგიდა არ შემოეგორა, რომელიც სავსე  
იყო საჭმელებით. მისტერ რობერტსი გაოცებული ჩანდა.

მეიზი ისე მადიანად მიერთმევედა, რომ ტობის წინააღმდეგობა არ  
გამართლდა. ქალიშვილმა მიერთვა ექვსიოდე ჯემიანის მსგავსი ორივე  
კეკსი გასინჯა. ტობიმ შეამჩნია, რომ დედას თვალები აუციბციმდა.

ჩაის რომ სვამდნენ, მეიზიმ ჰკითხა მისტერ რობერტსს: აქედან შორს  
მუშაობთო? იგი მუდამ სასხვათაშორისოდ დასვამდა ხოლმე კითხვას და ახლაც  
ნათელი იყო, რომ არაფრის გამორკვევა არ უნდოდა.

— მე გაზუთების კიოსკი მაქვს, — მამა გაკვირვებული იყო, ტობიმ ამდენ-  
ხანს როგორ არ უთხრაო. — გაზუთებით, ტკბილეულით, სიგარეტებითა და  
ამისთანებით ვვაჭრობ.

— მე რომ ასეთი კიოსკი მქონდეს, მთელ დღეებს გაზუთების კითხვაში,  
ტკბილეულის ჭამაში და სიგარეტის წვევაში გავატარებდი. მუდამ მიზიდავდა  
ასეთი საქმიანობა.

— და ხელად გაკოტრდებოდით კიდეც. — მისტერ რობერტსმა დაინახა,  
რომ მეიზი ჭამას მორჩა და ჰკითხა: — სიგარეტს ეწვეით? — „და „პლეიერსის“  
კოლოფი გაუწოდა.

— უფრო მეტს ვეწვევი, ვიდრე საჭიროა, გმადლობთ.

— მე კიდევე მომწონს, როცა ქალიშვილი ამხანაგურია და ჩემთან ერთად  
სიგარეტს ეწვევა.

— ფრთხილად, მეიზი, ბევრს ნუ მოსწევთ, არაფერი აიტყხით, — უთხრა  
მისის რობერტსმა.

მეიზიმ გაიღიმა:

— მაინც ვერაუინ ავცდებით ამას.

— თუ ეს გვიწერია, რაც გვიან იქნება, უკეთესია. მე ასე მგონია, — შეე-  
პასუხა მისის რობერტსი.

ჩაის შემდეგ დედამ ყველანი ზემო სართულზე აიყვანა თავისი ახალი სუ-  
რათის სანახავად. სანამ სურათს ათვალეირებდნენ, უნებურად კაბაზე იწმენდ-  
და ხელებს, ნერვიულობდა. მას არ აწუხებდა, ტობი რას იტყოდა, მეიზის აზ-  
რი აინტერესებდა — რატომ, თვითონაც არ იცოდა. სურათზე გამწვრივებულ  
მოსწავლეებს ღია მწვანე ბლუიზერება ეცვათ და ნაცრისფერ ქუჩაზე გადადიოდ-  
ნენ, ცა წვიმის ღრუბლებით იყო დაფარული. ეს სურათი ლაურის მოგაგონებდათ  
რადაცოთ, მაგრამ იყო მასში ნიშანი თვითმყოფადობისა, პირადული, რის გამო-  
ხატვასაც მისის რობერტსი თავისდა უნებურად ცდილობდა. ტობიმ მაშინვე შე-  
აქო დედის ნამუშევარი და მიულოცა, მეიზი ჯერ ხმას არ იღებდა. მერე მისის  
რობერტსისაკენ შებრუნდა და უთხრა:

— საუცხოოა! რა ნიჭიერი ხართ! სად სწავლობდით?

— ჩემს სიცოცხლეში არავის უსწავლებია ჩემთვის ხატვა. მე ხომ მეს-  
მის, რომ ეს უხეში ნამუშევარია, ფიგურები არასწორია.

— შეიძლება თქვენი სხვა ნახატებიც ვნახო?

მისის რობერტსმა კიდევე ხუთი ნახატი მოიტანა, და სანამ მეიზი და ტობი  
ნახატებს ათვალეირებდნენ, თვითონ განზე გადგა. მისი ჩამუქებული სახე ეჭვს  
გამოხატავდა. მეიზი ამ სურათებმაც აღაფრთოვანა და მაინც წამდაუწუმ იმ



ქუჩის სურათს გახედავდა ხოლმე. ტობიმ დაინახა, როგორ უყურებდა ამ სურათს მეიზი და მიხვდა, ქალიშვილი კარგად ერკვეოდა მხატვრობაში.

— შენ თურმე კარგად ერკვევი მხატვრობაში, — უთხრა მან.

მეიზიმ გულლიად, პირდაპირ შეხედა მას.

— ცოტათი. სახლში გვაქვს სურათები. დედა სურათების კოლექციონერია.

— ალბათ სულ რემბრანდტები და ტერნერები? — მისის რობერტსის ნებნებისა და ნიგუნიძისა ლობისაგან შეკითხვა ცოტა იქედნური გამოუვიდა.

— არა, ამ კლასისა არა, — უპასუხა მეიზიმ ძალიან სერიოზულად, — მაგრამ კარგებიც ურევია: მე და დედა დავდივართ გალერეებში, სადაც სურათები გასაყიდად არის გამოფენილი. თქვენ რატომ არ გამოფენთ სურათებს?

— როგორ? თქვენ ვინდით თქვათ, რომ ესენი... გამოფენაზე? — მისის რობერტსი აშკარად გაოცებული იყო. — მე არც კი ვიცი როგორ გავაკეთო ეს. არც ტობიმ იცის. — მან ნაჩქარევად მიაყუდა სურათები პირით კედლისკენ. — არა, თქვენ ნამდვილად დამცინით.

მაგრამ ტობი ხედავდა, რომ დედას ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა. ტობიმ უცებ გაიფიქრა: პირველი შემთხვევაა, კემბრიჯიდან ჩამოსულს ჩვენი სახლის ჩვეული სუნი რომ არ მეცა ცხვირშიო. მხოლოდ ოდნავ იგრძნობოდა სკიპიდრის სუნი. ეტყობა, დედა ყველა ოთახს რამდენიმე საათით ანიაკებდა.

მალე ახალგაზრდებმა წასვლა დააპირეს: „ნოუ თიეტრის“ ბილეთები ჰქონდათ „ჰენრი IV“-ზე. გამომშვიდობებისას ტობის მშობლებმა მეიზის უთხრეს, იმედი გვაქვს, კიდევ გვესტუმრებიო.

— თუ შეიძლება, თქვენ თვითონ დამპატიეთ, — სთხოვა მეიზიმ.

ტობი მიხვდა, რომ სადამომ მშვენივრად ჩაიარა და მეიზისთან მუდამ ასე იქნებოდა.

4

ტობის უფრო და უფრო შეუყვარდა მეიზი. ქალიშვილს იშვიათი თვისება ჰქონდა — ადამიანები სიმპატიით იმსჭვალებოდნენ მისადმი. რა კარგად ეჭირა თავი მათ სახლში — „თავი ეჭირა“ არც არის შესაფერი, რადგან ეს სიტყვები წინასწარ განზრახულ მოქმედებას გამოხატავენ. მეიზი კი უშუალო არსებაა. ტობი ბევრს ფიქრობდა ქალიშვილზე, ცდილობდა ხშირად დაეპატიჟა სადმე, რამდენადაც ხელი მიუწვდებოდა. მხოლოდ ეს არის, უსათუოდ უნდა გაარკვიოს, როგორ დიპლომს მიიღებს. და ტობიმ სწორედ ამ კითხვით მიმართა ჰარტფორდს.

— მაშ ასე, — მცირე დაფიქრების შემდეგ ჩაილაპარაკა ჰარტფორდმა, ცუცხლს მიუშვირა თავისი გრძელი ფეხები და ტობის კონიაკი შესთავაზა — ხელით ანიშნა, დალიეო—ეს ხომ აღმზრდელობითი საუბარი არ ყოფილა, კონსულტაცია იყო და, ამდენად, განსაკუთრებული შემთხვევა. — ამ თვეში ბევრითად მეცადინეობდით, ასე თუ გააგრძელებთ და გაისადაც არ მოუკლებთ ტემპს, შეიძლება ითქვას, რომ პერსპექტივა კარგი გექნებათ, ჩემის აზრით, სადაც საშუალოსა და ბრწყინვალეს შორის. — ჰარტფორდს აშკარად ეტყობოდა, ტობი მოსწონდა, თუმცა ბევრი არაფერი იცოდა მის შესახებ. რა თქმა უნდა, იცოდა, რომელ წრეს ეკუთვნოდა მისი მოწაფე. მაგრამ ეს იყო და ეს იგი მიხვდა, რომ ტობი პატივმოყვარე ახალგაზრდა იყო, ხოლო სად მიიყვანდა ეს პატივმოყვარეობა ან რისკენ მიისწრაფოდა — წარმოდგენა არა ჰქონდა.



— თუ მოერევით თავს და იმ საკითხებში გაერკვევით, რომლებიც მოწყენილობას გვერიაან...

— მაგალითად, კალონი!

პარტფორდთან ლაპარაკში ტობიმ სილალე გამოურია — მათ შორის ხომ რამდენიმე წელი იყო განსხვავება.

—... სწორედაც, და ძალიან თუ არ გაგიტაცებთ, კრობლემის რომანტიკული მხარეები, ყველაფერი კარგად იქნება. ჯერჯერობა რევოლუცია მხოლოდ დიკენსი<sup>1</sup> და *ça ira*<sup>2</sup> არ არის.

— თქვენ არასოდეს მოგიწყენიათ, დოქტორო პარტფორდ?

— ძალიან ხშირად. მაგრამ მოწყენილობას თუ დანებდი — დაუშვებელი თავაშვებულობაა: ეს იგივეა, რაც ლოთობა და ზედმეტი ძილი. დამიჯერეთ, ძალიან საინტერესოა, როცა საკუთარ თავს ებრძვი. ძნელ საკითხს რომ დასძლევ, მეტად კმაყოფილი დარჩები. გამოჩენილ რომანისტებსაც კი მობეზრებით ხოლმე თავიანთი პერსონაჟები, მაგრამ ერეოდნენ საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, ტოლსტოის არა — იგი ხომ უდიდესი, მიუწვდომელი გამონაკლისია. დაისხით რა კონიაკი, ადგომა მეზარება. თქვენ ზოგჯერ სულიერი სიზარმაცე გჭირთ, მე კი — ფიზიკური, და თანაც, მუდმივი.

პარტფორდი უცოლო იყო და კოლეჯში ცხოვრობდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ცოლის შერთვას აპირებდა და მოლაპარაკება ჰქონდა სახლის ყიდვაზე, რომელიც ჩოსერ-როუდზე მდებარეობდა.

— ტობი, რა ვინდათ გამოხვიდეთ?

— ჯერ არ ვიცი. სხვებმა იციან?

— ვინც მალლა უმიზნებს, იმან იცის ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობამ. ზოგიერთს ერთი მიზანი აქვს — აფრინდეს სულ მალლა და მალლა, მაგრამ ბოლოს სად მიიყვანს ეს, მისთვის სულერთია.

— მე მალლა არ ვუმიზნებ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ პური არსობისა უნდა მოვიპოვო. თქვენ ჩემზე ბევრით უფროსი არ იყავით, როცა პირველი წიგნი დაწერეთ.

— უმწიფარი, ნადრევი, და მაინც უნდა გამოვტყდე, რომ იმ წიგნმა მიშველა.

ტობი ლამის თვალუბადქცეული შესცქეროდა მას და პარტფორდმაც, თითქოს მისი მხერით მოინუსხაო, სხვა მიმართულება მისცა საუბარს: თავისი გზის დასაწყისი გაიხსენა. ტობისთან საუბარი სასიამოვნო იყო, რადგან მას განსაკუთრებული უნარი ჰქონდა მოსმენისა.

— აბა, თქვენ როგორ შეგედრებით, — უთხრა ტობიმ, როცა პარტფორდმა ლაპარაკი დაამთავრა.

— რატომაც არა? ახლა თუ არა, მოგვიანებით მაინც. საკმაოდ კარგი სტილი გაქვთ. იცით, ჩემთან სადაცაა ერთი სტუდენტი უნდა მოვიდეს. თქვენ კვლავინდებურად იმეცადინეთ და, თუ ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, ყველაფერს გავაკეთებ.

მაგრამ ასეთი სასიამოვნო, დამამშვიდებელი საუბრის შემდეგ, ტობის

1. მხედველობაში აქვს დიკენსის რომანი „ამბავი ორი ქალაქისა“, ეძღვნება საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

2. „წავა! წავა!“ (ფრანგ.) — საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი სიმღერის სახელწოდება და მისამღერი.



სულ სხვანაირი საუბარი ელოდა. იგი ადრევე შეუთანხმდა ბობ კათბერტსონს, რომ სადილობამდე ორმოცდახუთი წუთით ადრე გამოუვლიდა და სასადილოში ერთად წავიდოდნენ. ბობი მხრებჩამოშვებული იჯდა სკამზე, მუშტები მუნღებშუა მოექცია, თვალები ტანჯვით ავსებოდა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- რა დაგეტაკა?
- გოგო დავაორსულე.
- დარწმუნებული ხარ? - ჰკითხა ტობიმ.
- იმაში, რომ ორსულადაა, თუ იმაში, რომ ნამდვილად მე დავაორსულე?
- იმაშიც და იმაშიც.
- სრულიად.
- ტობი დაჯდა.

- მიაბზე ყველაფერი. რა თქმა უნდა, თუ სურვილი გაქვს.

საოცრად ბანალური ამბავი გამოდგა. ქალიშვილი ძალაზიაში მუშაობს გამოდევლად და ბობმა მაშინ აიკიდა, როცა ცხვირსახოცებს ყიდულობდა. რიტა ჩემპიენი ცხრამეტი წლისაა და ბობი პირველი ბიჭია მისთვის. უბედურება ის არის, დაუმატა ბობმა, რომ მამა პოლიციელი ჰყავს. ამის გაგონებაზე ტობიმ ძლივს შეიკავა ღიმილი.

- რას აპირებ?
- რა უნდა ვქნა? ორი თვისაა. ყველაფერი სინჯა: კიბიდან ხტებოდა, ჯინს სვამდა, ცხელ აბაზანაში წვეებოდა, რაღაც აბებს ვლავავდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

- ესე იგი უნდა, რომ ცოლად შეირთო, - უთხრა ტობიმ, ეს კითხვა კი არა, ფაქტის კონსტატირება იყო.

- ნუტა როგორმე მოიშორებდეს! აბა, როგორ უნდა შევირთო? მაშინ სწავლას უნდა დავანებო თავი და მუშაობა დავიწყო. სხვა რა დამრჩენია.

- სწავლას ვერ გაანებებ თავს. გაისად გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებ და მერე კარგი შემოსავალი გექნება.

ბობი სადაცაა ატირდებოდა. ტობიმ ლუდი დაუსხა.

- ტობი, იქნებ იცი ვის მიემართოთ?
- მაგისი არაფერი გამეგება. შემძლია ვინმეს ფრთხილად გამოვკითხო. მაგრამ ვის? მათი მეგობრების ვიწრო წრეში თავაშვებულობას ვერ ეგუებოდნენ.

- მაშ, არალეგალური აბორტი უნდა გაიკეთოს? - თქვა ტობმა მწარედ, - საზიზღრობა, ანტისანიტარია, რისკი.

- აბა სხვა რა გზაა, თვითონ იფიქრე.
- ამ დროს ეიდრიანი შემოვიდა. ბობს რომ შეხედა, შეეშინდა.

- რა მოხდა? მგონი, უდროოდ შემოვიჭერი.
- როგორმე მოგვიტევეთ, მამაო სტედმენ, - ბობის ხმაში ახლა უფრო მეტი სიმწარე გაისმა, ვიდრე წედან, - თუმცა ახლა ნამდვილად არ გვაწყენდა მღვდლის დარიგება.

- ჯერ ნება არა მაქვს, ვინმეს ჭკუა ვასწავლო, - უბრალოდ უთხრა ეიდრიანმა, - მაგრამ იქნებ მითხრა, რა მოხდა.

ბობის მაგივრად ტობიმ უამბო ყველაფერი.

- რაღა თქმა უნდა, ცოლად უნდა შეირთო, - უთხრა ეიდრიანმა.
- დაიწყო ახლა მღვდლური ჩმახვა, - ჩაიბურტყუნა ბობმა თავისი ჩვეული ხმით. - აუცილებლად უნდა მოვიშოროთ, გაიგე?
- არავის არა აქვს უფლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპოს.



- ჯერ ხომ არ არის ცოცხალი?
- ვინ გითხრა? ძალიანაც ცოცხალია.
- მეგობრები დადუმდნენ. მერე ტობიმ თქვა:
- ისევ ისა სჯობს, სასადილოში ჩავიდეთ.
- ლუკმა გამეჩხირება ყელში, — იუარა ბობმა.



— მე ასეთი ფუფუნების ჩება არა მაქვს, სადილს ვერ ვამტკიცებ. თანაც იქ რაღაცას მოვიფიქრებ.

ტობიმ ბობი დატოვა, რათა ეიდრიანის დარიგებები ესმინა, თან გულში ფიქრობდა: ნეტა რამდენ ხანს გაუძლებს ბობი მის ლაპარაკსო.

... ჭალების და ბრების შუქზე ფაიფური და მინა ბრწყინავდა, კედლებზე ყოფილი რექტორებისა და აწ გარდაცვლილ სახელგანთქმულ ადამიანთა პორტრეტები დაეკიდათ. ის იყო ტობი გრძელ მაგიდას მიუჯდა, რომ ეიდრიანიც შემოვიდა, შეწუხებული და გულდამძიმებული ჩანდა. იგი ტობისგან მოშორებით დაჯდა.

სანამ სადილობდა, ტობიმ გადაწყვიტა, რა უნდა გაეკეთებინათ. სადილის შემდეგ ისევ ბობთან ავიდა, რომელიც იგივე პოზაში დახვდა. იჯდა სკამზე და ძირს დაშვებული, მაიმუნივით გრძელ ხელებით ლამის იატაკს ეხებოდა.

— მგონი, რაღაც მოვიფიქრე, — უთხრა ტობიმ, — მარკემს უნდა მოელაპარაკო (ბობის დამრიგებელი იყო).

— მარკემი რისი გამკეთებელია?

— გერგილიანი ბებერია. სწორედ ასეთი რამეებისთვისა ჰყავთ აქ.

და ბიჭები წაუდნენ ბობის დამრიგებელთან. მარკემი — დაბალი, მსუქანი, თავმოტვლებილი კაცუნა — თბილად და, ამავე დროს, დაძაბული შეხვდა ახალგაზრდებს.

— თქვენ ხომ იცნობთ ტობი რობერტსს, — უთხრა ბობმა.

— რა თქმა უნდა, ვიცნობ, თუმცა ძალიან იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. დასხედით, აბა, რა გასაჭირი გაქვთ?

როცა მარკემმა გაიგო, რაც მოხდა, ერთი ღრმად ამოიოხრა და მსუქანი სხეული აუცახცახდა — ამ ამოიოხრაში აურაცხელი ცხოვრებისეული სიბრძნე იყო ჩატყული.

— ახლა რას აპირებთ?

— თუ არ მოიშორებს, იძულებული გავხდები შევირთო. მაშასადამე, ჩემს სამეცნიერო კარიერას ბოლო მოეღება.

— მოდი, ყველაფერში თანდათანობით გავერკვეთ. თქვენ სტიპენდია გაქვთ, მშობლები ხომ ვერ გაგიმართავენ ხელს ცოტათი? შეიძლება მათი იმედი იქონიოთ?

— არა, — უპასუხა ბობმა, — შვიდნი ვყავართ, აქედან ოთხი ჩემზე უმცროსია.

— ახალგაზრდა ქალის ოჯახის იმედი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— იქნებ მე გიწილაღოთ ცოტა რაღაც ბევრს ვერა, მაგრამ ცოტას აუცილებლად შევაგროვებ.

— არა, მაგას ვერ ვიზამ, რომ თქვენ...

— მაინც მოგიწევთ მიიღოთ დახმარება, ვისგანაც არ უნდა იყოს. არაფრით არ შეიძლება სწავლა მიატოვოთ. არაფერ არ მოგცემთ ამის ნებას. პირადად მე არ დავუშვებ ამას. გაისად აღბათ უფრო მეტს შესთავაზებთ მეუღლეს. მაგრამ არაფრით არ შეიძლება, ვიმუორობ, არ შეიძლება სწავლის მიტოვება. ეს ნამ-



ღვილი სიგიჟე იქნებოდა. ახლა სჯობს შინ წახვიდეთ და ხვალ კიდევ მოვილაპარაკოთ. თქვენ კი, რობერტს, თვალი მიაღვენეთ, რამე სისულელე არ ჩაიდინოს, და დაარწმუნეთ, რომ ეს ქვეყნის დასასრული არ არის.

ახალგაზრდები კოლეჯის პატარ-პატარა ეზოებით მიდიოდნენ თავიანთი კორპუსისკენ, ერთ შენობაში ცხოვრობდნენ. ცაზე ერთი-მეორის მიყოლებით აკიფდნენ ვარსკვლავები, ხეები მკრთალად ბზინავდნენ მათ შუქზე. ღამე იყო ფთხული ბის სურნელს ისრუტავდა.

— ნეტა მართლა დაგეხმარება? ახლა რომ გამიმართოს ხელი, მერე გადავუხდიდი.

— რა თქმა უნდა, დაგეხმარება.

— იცი, უცნაური კია და, ჩვენი ეიდრიანი ძალიან გამიბრაზდა, რაღაცაში იგი მართალია. თუმცა რაღაცაში კი არა, მთავარშია მართალი. ბავშვი ხომ ჩემია, ჩემი. ერთ-ორ თვეში ამოძრავდება კიდევ. აი, ეს არის დასაფიქრებელი. ერთი სიტყვით, მე უკვე გადაწყვიტე, თუმცა ღმერთს შევთხოვ ფათერაკი ამაცდინოს. ასეა თუ ისე, ამაღამ უკეთესად დამეძინება.

მეორე დღეს, მაღაზიები რომ დაიკეტა, ტობი ქალაქში ბობს და მის შეყვარებულს წააწყდა. გოგონა სულაც არ იყო ისეთი, მას რომ წარმოედგინა. სტუდენტის გეგონებოდათ. მეიზიზე ოდნავ დაბალი და შესუქებული იყო, უბრალო, ნაცრისფერი პალტო ეცვა და ღია ფერის შარფი შემოეხვია ყელზე. შავკვრებანი, ნახკანიანი სახე ჰქონდა, საკმაოდ მკვეთრ ნაკვთებიანი. სწორი თმა ბოლოებში ოდნავ შიგნით შეგვეცა, პაფივით, ასეთი ვარცხნილობა ჯერ კიდევ მოდაში იყო.

— რიტა, ეს ტობია. ტობი — რიტა.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — თქვა ქალიშვილმა ჩუმად და თავაზიანად.

— ჩვენ „არტს თიეტრში“ გვაგვიანდება, — თქვა ბობმა.

ერთი წუთიც არ ულაპარაკიათ.

— აბა, კარგად, — თქვა რიტამ და ხელის აწევით დაემშვიდობა.

ტობი ერთხანს იდგა და მათ გასცქეროდა.

რა გაეწყობა, კიდევ კარგი, რომ არაუშავს გოგოა. ნეტავ მას რომ დამართნოდა ასეთი რამ, რას იზამდა? ტობის ჟრუანტელმა დაუარა ტანში. მას მშვენიერი მომავალი მოეღოს. ოცი წლის კაცი ხელფეხშეკრული რომ აღმოჩნდეს, როგორია? სხვა საქმეა, თუ ნამდვილად იცი, რომ მასთან ცხოვრება ასატანი იქნება. როგორ მოუვიდა პრაქტიკულ, ფრთხილ ბობს, ასე სულელურად რომ გაება? ნეტა როგორ მოხდა? ეტყობა, უსაფრთხოება არ დაიცვა. იქნებ ეგონა, ქალი დაიცავდა თავს? ან ვნებას აჰყვა (ნამდვილად ასე იქნებოდა) და იფიქრა: რაღა პირველსავე დამეს დაორსულდებაო. ან იქნებ რამდენჯერმე მოხდა? არა, ბობზე ამას ვერ იფიქრებს. ბობი ალბათ მოიცდის, იქნებ ყველაფერი მოგვარდეს, ხოლო თუ სხვა გამოსავალი არ ექნება, ცოლად შეირთავს. პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა გააჩნია. ტობი ამაში დარწმუნდა, როცა ბობს შეფილდში წაჰყვა და ქათმურტსონების ჯგროს გაეცნო.

ბობმა და რიტამ საშობაო არდადეგების დროს იქორწინეს ქალაქის რეგისტრაციის ბიუროში. ეკლესიებთან უკვე იდგა მორთული ნაძვის ხეები და პატარა ყუთები შესაწირისათვის. ყველა ვიტრინაში მოხვეული იყო ბამბის ფთილები — თოვლის იმიტაცია. ჯერ შუადღეც არ დამდგარიყო, „წყნარი ღამე, წმინდა ღამე“-ს კი უკვე მღეროდნენ. ტობის ჭირივით ეჯავრებოდა ეს დათაფლული ტექტონური მელოდია. კემბრიჯის ქუჩებში ხალხმრავლობა იყო, ყველას საშობაო საჩუქრებით სავსე ჩანთები მიჰქონდა. ჩანთებიდან, თითქოს სიუხვის დაგვირ-



გვინებააო, ამოწრილიყო პრილა შესაფუთი ქაღალდი. ტობის არ უყვარდა ეს დოვლათიანი საშობაო სურათი. წლიდან წლამდე ერთი და იგივე მეორდება, გეგონება, გასული შობიდან თვენახევარი გავიდაო. ახლა ალბათ მისი მშობლებიც ემზადებიან მობეზრებული დღესასწაულისათვის და ამ დროს იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე შეუძლიათ. ნეტავი წელსაც არ აჭამონ პუდინგი, გუჭი უღიზიანდება ხოლმე. მისი მეზობლების სახლებშიც გამოჩნდება შუშის ბურთებით, სირმით და კიდევ რაღაც-რაღაცით მორთული ნაძვის ხეები.

ქორწინება მაინცდამაინც მზიარული არა ყოფილა. ესწრებოდნენ: ტობი და მეიზი (ისინი უკვე „მყარ წყვილად“ ითვლებოდნენ); ბრგე, მოღუშული პოლიციელი და მისი ცოლი — ნერვული, მღელვარებისაგან ათრთოლებული ქალი; ბობის დედა, ისეთივე მრგვალთავა, როგორც მჯელი (ეტყობოდა, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებს მოეცვა: გულაჩუყებულიც იყო და ნაწყენიც); მარკეში, რომელმაც რამდენიმე ფინანსური მოლაპარაკება ჩაატარა, თავისი ჯიბიდანაც ასე გირვანქა დაუმატა, რათა ყველაფერი წესიერად ყოფილიყო. ბობის მამა სამუშაოდან ვერ განთავისუფლდა — ყოველ შემთხვევაში, ბობის ასე შემოუთვალა. მხოლოდ რიტას ეჭირა თავი ბუნებრივად. თეთრი ხელოვნური ყვავილებით დამშვენებული ქუდი ეხურა და ასეთივე ყვავილები ჰქონდა დამაგრებული ჟაკეტის ლაცკანზე. ტობის მოეჩვენა, რომ რეგისტრაციის ცერემონია მეტისმეტად ზერელე იყო.

რეგისტრაციის შემდეგ მოეწყო ლენჩი კაფე „დოროტი“-ში, სადაც უალკოჰოლო სასმელები მთართვეს. ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო. თუმცა ტობი, მეიზი და მარკეში ძალიან ცდილობდნენ მზიარულება ყოფილიყო, მაგრამ იქ მყოფთაგან მხოლოდ ბობი მზიარულობდა. როგორც კი რიტას თითზე ბეჭედი ჩამოაცვა, ბობი სულ შეიცვალა. იგი ძალიან ამაყობდა, რომ ცოლი შეირთო, და რომ მამა გახდებოდა. რიტა არც მზიარული იყო, არც სევდიანი; იგი მხოლოდ საერთო ლაპარაკში მონაწილეობდა.

ახლად დაქორწინებულებმა მოილაპარაკეს, რომ არდადეგებზე ბობი მშობლებთან აღარ წავიდოდა და ჩემპიონებთან გაატარებდა ამ დროს. რიტას მშობლებმა გადაწყვიტეს, ახალგაზრდებისთვის კარგა მოზრდილი საძინებელი ოთახი დაეთმობთ; აქ იცხოვრონ, სანამ უკეთესად არ მოეწყობიანო. ესეც შენი სიდედრი! რა საშინელებააო, გაიფიქრა ტობიმ. თვითონ ბობი, როგორც კი გადაწყვიტეს აქ დარჩენა, ბედნიერად გამოიყურებოდა. რაც შეეხება რიტას, — თუმცა ბობი ავლებულად მოიხსენიებდა მის ჭკუას, — ტობის აზრით, ტაქტიანად ეჭირა თავი. როგორი წარმატებაც არ უნდა ჰქონდეს ბობს, რიტა მას ძალად არ ჩამოეკიდებოდა. ტობიმ თვითონაც არ იცოდა, მოსწონდა ეს გოგონა თუ არა, მაგრამ რაღაც პატივისცემას კი ნამდვილად იმსახურებდა იგი.

— ახლა კი, მგონი, დროა ლუდის დასალევად წავიდეთ, არა? — უხალისოდ იკითხა მისტერ ჩემპიონმა, როცა ლენჩი მოათავეს და საფასურიც გადაიხადეს. — და როგორც წესია, აღვნიშნოთ ეს დღე.

ლუდის ბარები სადაც იყო გაიხსნებოდა. „წითელ ლომში“ წავიდნენ. კაცებმა რამდენიმე კათხა ლუდი დალიეს, ქალბატონებმა, მეიზის ჩათვლით, ტონიკიანი ჯინი. მისის ჩემპიონიც, როგორც იყო, ალაპარაკდა:

— არც ისე ხშირად ათხოვებ ქალიშვილს, — განაცხადა მან და ეს გახლდათ პირველი სანტიმენტალური ფრაზა მთელი ცერემონიის მანძილზე.

— იმედი მაქვს, ხშირად არ მოგიწევს ჩემი გათხოვება.

— ერთი გაბედუ და გიჩვენებ სეირს, — აიტაცა ბობმა. — ამის გარანტიას გაძლევ.



ტობიმ გადაწყვიტა: თუ როდისმე ცოლი შევირთე, ჩემი ქორწილი სულ სხვანაირი იქნება.

ცოტა არ იყო, ძნელი ასატანი ვითარება იყო და ტობის და მეიზის გაუხარდათ, როცა წასულის საშუალება მიეცათ.

— ეიდრიანს ასეთი ქორწილი არ მოეწონებოდა, — თქვა ტობიმ. — სიტუაციის გათვალისწინებითაც კი.

— რიტას თეთრები უნდა ჩაეცვა?

— არა, სწორედ მაგისი წინააღმდეგი იქნებოდა. ჩვენი ეიდრიანი ერთგვარად პურისტია, — თქვა ტობიმ.

— გულწრფელად რომ ვთქვათ, დიდი მოწყენილობა სუფევდა.

— იმედი მაქვს, შენს ან ჩემს ქორწილში, — განუცხადა ტობიმ (განგებ არა თქვა — ჩვენს ქორწილშიო), — უფრო მხიარულება იქნება.

მაგრამ ახლა ტობის სულ არ ეტყობოდა გამოცოცხლება. მომავალ ბავშვზე ფიქრი მას უფრო უმძიმებდა გულს, ვიდრე ბობს.

მეიზი კი პირიქით, როგორც ყველა ქალი, ააფორიაქა საქორწინო რიტუალმა. თანაც, სმას შეუჩვეველს, ჯინიც თავში აუვარდა. ტობის რომ ემშვიდობებოდა, მაგრად ჩაეხუტა და უთხრა:

— მგონი, მიყვარხარ.

ტობი არ დაბნეულა:

— ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი, გოგონი, — ორჭოფულად უპასუხა მან. მაგრამ მოსიყვარულე გული მხოლოდ პირდაპირ პასუხს მოელის, ეს ტობიმ კარგად იცოდა.

5

ტობიმ არდადეგების დროს შეიზისგან წერილი მიიღო და გაუკვირდა. საერთოდ მიწერ-მოწერა არა ჰქონიათ, იქნებ იმიტომ, რომ თვითონ ტობის არასოდეს მიუწერია წერილი. მეიზი სწერდა: შენს შშობლებთან შეხვედრა მინდაო. რალაც გეგმა ჰქონია მისის რობერტსის სურათებთან დაკავშირებით, უკვე დაუზვერავს კიდევ, რისი მოხერხება შეიძლებოდა. შობა დღეები ჰედისდონში გაუტარებია, ახლა კი მეგობრებთან არის, კემბრიჯთან ახლოს, აქ რალაც უნდა დააზუსტოს. შეიძლება ჩამოვიდე? მანქანითა ვარ და თუ დედაშენი ნებას მომცემს, ხუთ-ექვს სურათს წავიღებ, ეს საქმეს წინ წასწევსო.

— ნეტა რას გულისხმობს? — ჰკითხა დედამ ტობის, აშკარად აღელვებული იყო. — ძალე მაინც გავიგო რა ხდება. მოთმინება არა მყოფნის. სამშაბათს დაპატივე, მეორე საუზმეზე. ამჯერად ნამდვილი საუზმე იქნება. ახლა უკვე ვიცი, როგორი მადა აქვს ამ გოგონას.

მეიზი „ფოლკსვაგენით“ ჩავიდა. ტობიმ მანქანა რომ დაინახა, შურმა გაკენწლა. ქალიშვილი, ისე შევიდა სახლში, თითქოს ხშირი სტუმარი ყოფილიყო. იანუერის ცივი ჰაერისაგან ლოყები ასწითლებოდა.

— იმედი მაქვს, ხელი არ შეგიშალებო.

მისის რობერტსმა საჩქაროდ უპასუხა: არაო. ამჯერად სამზარეულოში იყო მაგიდა გაშლილი, და დიასახლისმა ბოდიში მოუხადა მეიზის.

— ძალიან მყუდრო სამზარეულოა. საერთოდ, სამზარეულოში მიყვარს ჭამა. შინ რომ ვარ, სულ იქ ვსაუზმობ. დედა ამბობს: ძალიან გვიან დგებიო.





— ვინც ადრე წვება და ადრე ღვება!... — მექანიკურად ჩაილაპარაკა მისი რობერტსმა, სულ იმაზე ფიქრობდა, რას ეტყოდა მეიზი.

მაგრამ მეიზის არაფერი უთქვამს, სანამ საუზმე არ მოათავს და ჩაის სმს არ დაიწყებს.

ბოლოს და ბოლოს მეიზიმ განაცხადა:

— მისის რობერტს, მე რაღაც დავხვერე თქვენი სურათებისთვის. მაგრამ, თუ ჩათვლით, რომ სხვის საქმეში ვყოფ ცხვირს, ძალიან ვთხოვთ პირდაპირ მითხარი.

აღმოჩნდა, რომ მეიზიმ ცნობები შეკრიბა კემბრიჯის სამხატვრო გალერეაში; საბაზრო მოედანზე რომ მაღაზიაა, იმის თავზე გალერეა იყო, სადაც დროდადრო პატარა გამოფენებს აწყობდნენ ხოლმე — უმეტესად ადგილობრივი მხატვრები. ზოგჯერ ერთი-ორი სურათი გაიყიდებოდა, მაგრამ მეტი წილი გაუყიდავად რჩებოდა. გალერეის პატრონი შეძლებული კაცია და ეს მისი ჰობიაო. მეიზის ნამბობმა დააინტერესა იგი (ეტყობა, გალერეის პატრონი კარგად იცნობდა მეიზის და პატივს სცემდა) და სურვილი გამოთქვა ენახა მისის რობერტსის რამდენიმე სურათი, მაგრამ, რა თქმა უნდა, წინასწარ არაფერს დაპირებიათ.

— ათი სურათი მაინც უნდა ვაჩვენოთ, — მიმართა მეიზიმ მისის რობერტსს. — ხომ უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს. ბევრი დახატეთ ჩემი აქ ყოფნის მერე?

— თქვენმა სიტყვებმა თავგზა ამიბნია. აზრი ვეღარ მომიკრებია. დიახ, დავხატე; ორი სურათი ქუჩის ხედებით, ერთიც 'პარკის პეიზაჟია, ოღონდ, რა თქმა უნდა, პარკში არა ვყოფილვარ, ზეპირად დავხატე.

— ნება მომეცით, ვნახო ეს სურათები.

— კი მაგრამ აქედან ხომ არაფერი გამოვა, ჰა? — მისის რობერტსის კითხვაში სევდა იგრძნობოდა.

— არ ვიცი, — უპასუხა მეიზიმ. — ჯერჯერობით მხოლოდ დახვერვას ვაწარმოებ.

აფორიაქებულმა მისის რობერტსმა ზემო სართულზე აიყვანა ახალგაზრდები. მართლაც, ბევრი ემუშავა. სხვადასხვა ზომის სურათები იყო, და ყოველი მათგანი თავისებურად მიმზიდველი. მეიზი ჩაცუცქდა და ნამდვილი პროფესიონალივით ათვალიერებდა სურათებს. — ხან შუბლს შეიჭმუხნიდა, ხან გაიღიმებდა. ბოლოს, როგორც იქნა, წამოდგა:

— თუ იგი გადაწყვეტს ამ სურათების გამოფენას, თქვენ ყოველ მათგანს ფასი უნდა დაადოთ.

— თქვენ გინდათ თქვით, რომ ფულს მომცემენ? — მისის რობერტსი სავიწროვებულში ჩავარდა.

— რა თქმა უნდა, თუ გაიყიდა, მაგრამ გალერეას თხუთმეტი პროცენტი რჩება.

— არც კი ვიცი, რა ფასი დავაწერო.

— უხეში ორიენტირებით ასეა: მომცროებს — ათი გირვანქა, მოზრდილებს — ოცდაათი. მუქთად ზომ არ მივცემთ. ფასი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მყიდველზე.

— ოცდაათი გირვანქა?!

— ვნახოთ, რას იტყვის მისტერ დრიფილდი, — უთხრა მეიზიმ და გაიღიმა თავისი მოულოდნელი, მომხიბლავი ღიმილით. — იქნებ არც არაფერი გამოგვი-

1. ანდაზა: ვინც ადრე წვება და ადრე ღვება, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს და ჭკუას შეიძენს.“



ვიდეს. მაშინ ისე გამოვა, რომ ტყუილად დაგაიმედეთ. მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო, და ვნახოთ. თუ არაფერი გამოვიდა, ჩემზე ნაწყენი ხომ არ დარჩებით?

— ნაწყენი კი არა, აღარ ვიცი როგორ გადავიხადოთ მადლობა იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ.

ტობის ვერც კი წარმოედგინა, რომ დედას ასეთი პატივმოყვრულად ეუბნებოდა. ჰქონდა, ან იქნებ მხოლოდ ახლა აღუძრა მეიზიმ. იგი მიხვდა, რომ მძიმე იმედი ჰქონდა, რომ ფერწერის სიყვარულით როდი იკისრა ეს, უბრალოდ, სურდა ტობი გაესარებინა.

ცოტა ხნის შემდეგ მეიზიმ თქვა, ჩემი წასვლის დროა, ახლა მოკლე დღეა და არ მინდა ბინდბუნდში ვატარო მანქანაო. ტობიმ მეიზის შერჩეული ექვსი სურათი მანქანის უკანა საკარძელზე დააღაგა.

შინ რომ შებრუნდა, დედა იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და თვალგამტვრეული რაღაცას მისჩერებოდა.

— მაინცდამაინც დიდი იმედი ნუ გექნება, — უთხრა ტობიმ, — ხეზე სამჯერ დააკაკუნე, არავინ გაგთვალოს.

— როგორ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ასე იზრუნებდა ჩემზე.

— შენ ეს დაიმსახურე!

ტობი რომ კემბრიჯში ჩავიდა, მეიზი სადგურში დახვდა: იგი მუდამ ერთი და იგივე მატარებლით დადიოდა. ქალიშვილი ისეთი გახარებული და აღელვებული იყო, ძლივს ლაპარაკობდა:

— გამოფენა გვექნება! დრიფილდმა ნახა თუ არა სურათები, ანთო, რამდენადაც მას შეუძლია ანთება და აღფრთოვანება. ასე თქვა: ათზე ნაკლები არ მინდა, და თუ შეიძლება, მეტიცო.

— ბრწყინვალეა! რა გადასარევი ვინმე ხარ!

— მაგრამ მარტის დასაწყისამდე ვერ გამოფენს. თანაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. ვერნისაეს საუკეთესო სტილში მოვაწყობთ, ამას მე ვითავებ. ღვინო და ყველი გვექნება, პრესის წარმომადგენლებს იმდენს მოვიპატიუებთ, რამდენის მორეკვასაც შევძლებთ.

ტობიმ გაიფიქრა, ნეტა ვინ გადაიხდისო ამის საფასურს. იქნებ, მეიზი აპირებს? ან იქნებ უკვე გადაიხადა? თვითონ ამ საქმისა სრულებით არაფერი იცოდა.

— ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ. შენ რა აზრისა ხარ? — ტობიმ პატარა იტალიურ რესტორანში შესთავაზა წასვლა. იცოდა, ძვირი დაუჯდებოდა, მაგრამ არა უშაუდა, სხვა რამეს მოიკლებდა.

მათ ერთი ბოთლი კიანტი შეუკვეთეს და ღვინის სმის დროს მეიზიმ დრიფილდის სიტყვები გაუმეორა: ჩემის აზრით, მისის რობერტსი ძალიან საინტერესო პრიმიტივისტიაო. დრიფილდს უკითხავს: როგორ დაიწყო ხატვა, რა ხნისა იყო. მისი აზრით, შესაძლოა ერთი ან ორი სურათი გაიყიდოს. (ესე იგი, დრიფილდმა უკვე მიიღო რაღაც თანხა მეიზისაგან. ამის გაფიქრებაზე ტობის თითქოს გული გაესურა. სულ არ უნდოდა მეიზის ვალში ყოფილიყო, თუნდაც უშუალოდ თვითონ არა. ვინმეს თუ ფულს გამოართმევ, მისგან დავალებული ხდება, ტობი კი მუდამ ცდილობდა, არავისგან დავალებული არ ყოფილიყო.)

ამასობაში მეიზი ამბობდა:

— დედაჩემიც ჩამოვა, მე მკონი, ედუარდიც, შენ კი, შენებს შეატყობინე. ოჰ, მოთმინება არა მყოფნის, როდის დადგება ეს დღე. სიტყვამ მოიტანა და, დედაჩემის სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ, ჩემის აზრით, სჯობს ახლავე



გვეწვიო ჰედისდონში. დიდი საზოგადოება არ იქნება, მაგრამ მთავარი ხომ დედაა.

ტობის გული აუფრთხილდა, ერთი წუთით დაავიწყდა კიდევ თავისი ეჭვები.

— დიდი სიამოვნებით!

ტობიმ მეიზი კოლეჯამდე გააცილა და ძალიან ნაზად გამოემშვიდობა. შინ რომ დაბრუნდა, ფანჯარა გააღო. იგი ყველაფერს ძალბანს სწინებით სჯიდა, ამიტომ იმასაც არ გამოირიცხავდა, რომ ახლო მომავალში მას შეიძლება დახმარება დასჭირებოდა. ალბათ სჯობს მეიზის არ ჰკითხოს, რა გააკეთა გამოფენის მოსაწყობად. თუ ჩააცივდა და მართალი ათქმევინა, ფული გადავიხადეო (ტობი კი თანდათან რწმუნდება ამაში), მაშინ იძულებული გახდება გამოფენა ჩაშალოს. მაგრამ დედას ხომ ძალიან გაუცრუვდება იმედი, მეიზისაც. არა, ამის გაფიქრებაც არ შეიძლება. ისევ ისა სჯობს, პირში წყალი ჩაიგუბოს და მოიცადოს, მერე კი ვნახოთ. დაე, ეგონოს, რომ ბენტერა ვარ, თანაც წინ ჰედისდონი მელოდებაო, გაიფიქრა.

გათუნებისას ნამდვილად აცივდება. ტობი ადგა, ფანჯარა მიხურა, მერე ისევ დაწვა და დაიძინა.

6

თებერვლის ერთ შაბათს ტობი ჰედისდონში ლენჩზე დაპატიჟეს. მეიზი პარასკევს აპირებდა შინ ჩასვლას და ტობის შესთავაზა, მატარებლით სედბერიში ჩამოდი. იქ მანქანით დაგზავდები და წავიყვანო. მზიანი დღე იყო, მაგრამ ცივი, ყინავდა, ალაგ-ალაგ თრთვილი ბრწყინავდა საშობაო დეკორაციებზე მიმოფანტულ ბამბასავით. ტობი დილიდან თავს იტეხდა, რა ჩაეცვა. ქალაქგარეთ, მამულში მიდიოდა, პოდა, რა უნდა ჩაიცვა, როცა ქალაქგარეთ მიდიხარ? მას მხოლოდ ორი ფლანელის შარვალი, ორი ლურჯი ჯინსი და ორი შალის სვიტერი ჰქონდა. სვიტერები ბევრი რეცხვისაგან მოთელილი იყო. ღამეც ამაზე ფიქრობდა, არ დაეძინა, თუმცა არც უძილობა სჭირდა და არც უბრალო რამეზე სჩვეოდა თავის შეწუხება.

გონებაში გადათვალა თავისი ტანსაცმელი და უკმაყოფილო დარჩა. ყვითელი კოსტიუმი შელახულია, მწვანე ხომ მთლად აღარ ვარგა. დარჩა ლურჯი კოსტიუმი, რომელსაც გამოცდებზე და ზეიმებზე იცვამდა. სანამ პირს იპარსავდა, უკვე მერამდენედ წარმოიდგინა ჰედისდონი: ტიუდორების სტილის სახლი, მწვანე მღელსო, რომელიც დამრეცად ეშვება გზისკენ. მეიზი არც კი გახსენებია.

აი, სედბერიც. მეიზი მანქანით მოსულიყო და ელოდებოდა. თავზე დიდი შოტლანდიური ბერეტი ეხურა, რომელიც ტობის საოცრად ძველებური მოეჩვენა. ამ ბერეტში კიდევ უფრო ჰგავდა ფრიდა ლოურენსს. მეიზი ჩვეულებრივ ხალისიანად, ალერსიანად შეხვდა.

— სულ სამი მილია, მოგშივდა? მე მომშივდა, — უთხრა მეიზიმ.

მოულოდნელად ჭიშკარი გამოჩნდა, მანქანა მორკალულ ხეივანში გასრიალდა და ტობიმ სახლი დაინახა.

ტიუდორების სტილის მეტი ყველაფერია! — გაიფიქრა მან. თანამედროვე დიდი სახლი იყო, თეთრი ქვებისგან ნაგები, რომლებიც დილის სინათლეს იზიდავდნენ, დახვეწილი სილაამაზის სახლი, მაგრამ რა სტილისა, ტობი ვერ მიხვდა (იგი მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა არქიტექტურაში). ორსართულიან სახლს კედლები კუთხეებში მომრგვალებული ჰქონდა, და ფლიგელები გვეგონებოდა. ფასა-



დის ორ სვეტს შორის წითელი ხის კარი მოჩანდა, კარს ზემოთ — მარაოსებრი კობტა ფანჯარა. ყველაფერ ამას ტობიმ მხოლოდ თვალი მოჰკრა, და უცებ დაღევა მოუნდა, სითამამისთვის.

ახალგაზრდებისაკენ სწრაფი ნაბიჯით მოემართებოდა ტანადი ქალი მის ტვიდის კოსტიუმი ეცვა. შავვრემანი ქალი იყო, სახის ნაკვთები მსხვილი ჰქონდა, შავი თმა კეფაზე შეეკრა.

— ტობი! — შესძახა მან, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ზაერეთ?

— ძალიან კარგად, კემბრიჯიდან თქვენამდე არც ისე შორი გზა.

— მე კი ეს გზა უსასრულო მეჩვენება ხოლმე. ჩქარა შემოდით. მეიზი განკენებთ, სად დაიბანოთ ხელები, მერე ხერესი დავლიოთ და გავმხიარულდებით. თქვენ ხომ მხიარული ყმაწვილი ხართ, შინდოდა მეთქვა, ბუნებით-მეთქი. ამისთანა რამეს მაშინვე შევნიშნავ ხოლმე.

ალბათ წინასწარმეტყველი ჰგონია თავი, გაიფიქრა ტობიმ. მეიზი და დედამისი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვერც კი წარმოიდგენ დედა-შვილი თუა. ნეტა მისი ქმარი, როგორი იყო? იქნებ მისი სურათი ან ფოტოა აქ სადმე? სახლის ინტერიერზე ჯერჯერობით ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მხოლოდ ის შეამჩნია, რომ ნათელი, ძალაღქვრიანი ოთახები იყო. ყველაფერი თეთრად ბრწყინავდა, კედლებზე სურათებიც ნათელ ფერებში იყო შესრულებული.

ტობი აბაზანაში დიდხანს არ დაყოვნებულა, თუმცა ძალიან მოეწონა. იატაკი პატარა ხალიჩებით იყო დაფარული, შხაპის წინ ფარდა ეკიდა, იქვე ახლოს კი საოცრად რბილი პირსახოცები, საპონს სასიამოვნო სუნი ასდიოდა. იგი სიამოვნებით დარჩებოდა აქ ნახევარი საათი.

მნე ქალმა, რომელიც ქვემოთ, კიბეზე ელოდა, ტობი სასტუმრო ოთახისკენ წაიყვანა. იქ მხოლოდ მეიზი და დედამისი იყვნენ.

— აბა, ტობი, მე მეიზისგან ვიცი ყველაფერი თქვენზე და დედათქვენზე, ისე რომ, შესავალი ფრაზები არ დაგვჭირდება. — თქვა ქალბატონმა და მაგიდასთან მივიდა, სადაც სასმელები ეწყო. — გიყვართ ხერესი?

ხერესი სულაც არ უნდოდა ტობის, სიამოვნებით დაღევა ლუდს, მაგრამ ხომ ვერ იტყოდა, უხერხული იყო (ლუდი, ეტყობა, ჰქონდათ), და ტობიმ თავი დაუქნია.

სანამ მისის ფერარსი ღვინოს ასხამდა, ტობიმ მოასწრო ოთახის შეთვალეობა: დიდი ოთახი იყო, ორი შესანიშნავი ფანჯარა დაწრდილულ ბაღს გადაჰყურებდა. ისეთი დიდი ბაღია, ჩემი მზერა ალბათ ვერც გასწვდებათ, გაიფიქრა (თუმცა ისე იყო აფორიაქებული, რომ ყველაფერი ძალზე გაზვიადებული ეჩვენებოდა — ტობიმ იცოდა ეს და ამიტომ დაასკვნა, რომ ბაღს ადამიანის თვალი გასწვდებოდა). კედელზე მშვენიერი სურათი ეკიდა, ალბათ კონსტებლიაო.

— მე ყველაფერი ვიცი თქვენს შესახებ, — გაიმეორა მისის ფერარსმა და ხერესიანი ჭიქა გაუწოდა. მაგრამ ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ იცოდა. — რატომ არ დაწერთ წიგნს სენ-ჟიუსტზე? — მოულოდნელად ჰკითხა მან. — როდესმე აუცილებლად დაწერეთ. საინტერესო პიროვნებაა. „თავისუფლების მტრებს — არავითარი თავისუფლება“. რამდენადაც ვიცი, მასზე ბევრი არ დაწერილა, თუმცა ჩემს განათლებაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია.

— ამისთვის დიდი გამოცდილებაა საჭირო, — უპასუხა ტობიმ. — მე ჯერ დამწყები ისტორიკოსი ვარ.

— საქმის დაწყება არასოდეს არ არის გვიან. პირადად თქვენ მოგწონთ სენ-ჟიუსტი?



— ჩემს ინტერესს იწვევს, მაგრამ შევძლებ კი მისადმი სიმპათიით განვიმსჯვალო? მართალი გითხრათ, ამაში მთლად დარწმუნებული არა ვარ.

ქალმა სამჯერ დაუქნია თავი, თანაც ძალიან სერიოზულად.

— კარგი ნათქვამია. მაშასადამე, თავი უნდა შევიკავოთ ნაჩქარევი აზრის გამოთქმისაგან, არა?

— ჯერ არა ვარ მზად, რომ ამაზე საკუთარი აზრი მქონდეს. უფლება ტობიმ და გაიფიქრა: იქნებ სულელია? რას იზამ, ასეთი სულელი შეიძლება მაძლევს ხელს.

— არა, თქვენ აუცილებლად უნდა მოჰკიდოთ ამას ხელი. მომავალში იქნებ სულ სხვა თვალთ შეხედოთ. მთავარია დაიწყეთ. აი, ედუარდიც მოვიდა! — წამოიძახა მან. ოთახში მაღალი, თმაშვერცხლილი მამაკაცი შემოვიდა. — ედუარდ, ერთი გვითხარით: ტობიმ სენ-ჟიუსტზე უნდა დაწეროს თუ არა, თქვენ რა აზრისა ხართ? ედუარდი — ტობი. — სტუმრები ერთმანეთს ასე წარუდგინა.

ედუარდმა აკოცა მისის ფერარსს, მეიზის, მერე ტობის ჩამოართვა ხელი.

— სენ-ჟიუსტზე დაწერას აპირებთ? თუ ასეა. საწინააღმდეგო რა უნდა გვექონდეს.

კრეინს ისე უბრალოდ ეჭირა თავი, ერთბაშად მოიგებდა თქვენს გულს, მაგრამ სქელშუშიან სათვალღადან გამჭრიახი, მახვილი თვალები გიყურებდნენ.

— ხერესი, ედუარდ?

— ხომ იცით, ამანდა, რომ ხერესი არ მიყვარს. მაგ ასაკს გადაეცილდი. შოტლანდიური ვისკი, თუ შეიძლება, — და კრეინი მძიმედ დაეშვა დივანზე, ტობის გვერდით.

— თქვენ ნამდვილად გიყვართ ხერესი? — ჰკითხა მან ტობის.

ტობიმ არ იცოდა, რა ეთქვა, ჭიქა თითქმის დაეცალა, და გაურკვეველი ბგერები აღმოხდა: ჰმ... მერე თითქმის გულწრფელად უთხრა:

— მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი პიესებით, სერ. ვცდილობ, არც ერთი არ გავაცდინო, როცა საშუალება მაქვს.

— მაღლობელი ვარ. თუმცა არა მგონია, ჩემი პიესებით გამოწვეული აღფრთოვანება დიდხანს გაჰყვეს ვინმეს. — იგი მეიზის მიუბრუნდა. — როგორ მიდის საქმე?

— ვშეცადინეობ, მაგრამ ზომიერად. იმდენს არა, როგორც ტობი, მაგას ვერ შევედრები.

— ფრთხილად იყავით, ტობი, ზედმეტი არ მოვივიდეთ, — უთხრა კრეინმა, — ყველაფერში ზომიერება უნდა დაიცვათ.

— ზომიერება თუ დავიცავი, ჩემს კურსს ალბათ ვერ დაეძლევ.

კრეინმა ყურადღებით შეათვალღიერა ტობი;

— ოდესღაც მეც ვასწავლიდი კემბრიჯში. არ იცოდით? ჰოდა, გამოცდის წინა დღეს ჩემს ვაჟკაცებს მდინარეზე გავისტუმრებდი ხოლმე. რაც მანამდე არ შეუთვისებიათ, ერთ დღეში მაინც ვერ ისწავლიდნენ. ხოლო უკანასკნელ წუთს რომ დასტაცებენ ხელს წიგნს, მაინც არაფერი გამოუვათ, ის კი არადა, ისიც დაავიწყდებათ, რაც იციან.

ყველანი ოვალურ სასადილო ოთახში შევიდნენ. ესეც მყუდრო ოთახი იყო, შუა ოთახში ოვალური მაგიდა იდგა, თეთრ სუფრაზე ფაიფური და ბროლი ბრწყინავდა. ტობიმ შეამჩნია, რომ ყოველ თეფშთან ფუფერი, ღვინის ჭიქა და სირჩა იდგა.

ტობის ცქიმურები. სუფლე ღვინის საწებლით. რინტვეინი და კლარეტი. საუზმეს რომ მორჩნენ, ყავა და პორტვეინი მოართვეს. ყავას იქვე სასადილო მაგი-



დასთან სვამდნენ. ტობიზე ყველაფერმა ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მხოლოდ ერთი რამ გაუკვირდა — მისის ფერარსი ყოველი კერძის შემდეგ სიგარეტს ეწეოდა, მას კი ეგონა, ღვინის მოყვარულმა ჭამის დროს არ ეწეოდნენ.



მაგიდასთან საუბარს დიასახლისი წარმოართავდა. რას ფიქრობს ტობი მავანის წიგნზე? ამის წიგნზე? იმის წიგნზე? მოდურ რომანებზე ლექსებზე? ტობიმ უპასუხა: სამწუხაროდ ლიტერატურის ბოლო სიახლეებზე ვერ ვწმინდები. თხავს, დრო აღარა მრჩება, მეცნიერების გრანიტს ვღრღნიო.

— მაგრამ ამისათვის როგორმე უნდა გამოჩახოთ დრო! დროს ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეთ, ჩამორჩენა არაფრით არ შეიძლება, არა, ედუარდ?

— არ ვიცი, — დინჯად უპასუხა კრეინმა, — როცა ნახავ, სამივე რასაც წერს... ჩემის აზრით, ისევ ისა სჯობს, ჩამორჩე.

— დამცინავი ედუარდი, — თქვა ქალბატონმა მშვიდად, — თვითონ კი ალბათ მათი ერთი სტრიქონიც არ წაუკითხავს. ასეა თუ ისე, მაისში ყველანი ჩემთან იქნებიან. მაშ, რასა კითხულობთ?

— დოსტოევსკის. თითქმის მუდამ.

— იცით, — მისის ფერარსს თვალები გაუფართოვდა, — მე კი შიშსა მკვრის. ძალიან მიყვარს, მაგრამ ყოველ წაკითხვაზე შიში შემიპყრობს ხოლმე, როგორც სიბნელეში დატოვებულ ბავშვს.

— რას იზამ, — ჩაურთო მეიზიმ, — ეტყობა, სწორედ ამას ვარაუდობდა ავტორი, თორემ რატომ შევიდოდა ასეთ უღრანში.

— თქვენ, ედუარდ, ძველებურად ყოველ წელს პრუსტის გადაკითხვაში ხართ? — ჰკითხა მისის ფერარსმა.

— დიახ, როგორც წესი. თუ ამ დროს თვითონ არ ვწერ. გადამდები მწერალია და ამით არის საშიში.

— ვანა დოსტოევსკიც ასეთი არ არის? — გაუბედავად ჰკითხა ტობიმ.

— ჩემი ჟანრისთვის არა. საერთოდ კი ზოგიერთი მწერალი წითელასავით არის. რომანისტი რომ ვიყო, ვერ გაუბედავდი ჯეიმზ ჯოისის წაკითხვას, თუმცა, ჯოისის კითხვით ძალიან ბევრი რომანისტია გატაცებული.

— აი, ჯეინ ოსტინი არ არის გადამდები, რადგან მეტიმეტად სრულყოფილია, — თქვა მისის ფერარსმა.

— მიზარია, რომ შენ „მისის ოსტინი“ მაინც არ უწოდებ. ვინც თავვანისცემის გამო მოიხსენიებს მას ასე და ყველა მწერალზე მაღლა აყენებს, ის ხომ არ იტყვის, „მისტერ შექსპირი“.

— რა საძაგელი ხართ, ედუარდ! — თქვა მისის ფერარსმა, მაგრამ სრულიად მშვიდად, უფრო სწორად, ჩვეულებისამებრ.

ყველანი ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ. ამინდი აირია და ამანდასაც გუნება გაუფუჭდა. ტობიმ მაშინვე შეამჩნია ეს და დაასკვნა, ამ ქალბატონს ცვალებადი ხასიათი ჰქონიაო. მდელიზე დიდი კედარი იდვა და ქარი რომ დაეშვერა, უცებ თითქოს უფერული გახდა.

კრეინი ტობის მიუჯდა და შეეცადა გულწრფელ საუბარში ჩაეთრია, თუმცა, ტობის მაინცადამაინც არ უყვარდა გულის გადახსნა. იგი ძალიან თავაზიანად პასუხობდა, მაგრამ მისი საუბარში ჩაბმა არც ისე ადვილი იყო.

— რომ არ მოგეწყინდეს, — შენიშნა ამანდამ, — იქნებ რამე გონებამახვილური თქვათ, ედუარდ.

კრეინი ამანდასკენ შებრუნდა.



— კი მაგრამ, მე რა გონებასახვილი მნახეთ, თანაც შეჩვიდმეტე საუკუნის გონებასახვილობა ახლა არა სწამთ.

ეტყობოდა, კრეინი პატივს სცემდა დიასახლისს, მაგრამ თავსაც არავის დააჩაგვრინებდა. რაც არ უნდა თქვან, ყველა ლომთან შედარებით კრეინი ყველაზე სახელგანთქმული ლომია, და შეკვეთით ღრემას არ აპირებს ან იქნებ არც არასოდეს იღრინება.

— დედა, — აფორიაქდა მეიზი, — შენ გინდა ეღუარდეს ან იქნებ არც იხტუნოს? მაგრამ ასეთი რომ არ არის?

— მაშ ასე, რისი იმედი გაქვთ? — ჰკითხა ტობის კრეინმა.

— კარგი დიპლომისა. მეტხ არ ველი.

— წერას ხომ არ აპირებთ?

— მგონი, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო საკუთარი ძალა გამოვცადო.

— იცით კი, რას ნიშნავს ეს? ყოველ ცისმარე დღეს რამდენიმე საათით საჯდომის დაბუყებას. შთაგონებას ნუ დაელოდებით, მაინც არასოდეს მოდის. ტრილოპმა იცოდა ეს და არც ძალავდა, ამიტომაც სძულდათ იგი.

— ტობი ისედაც ყოველდღე მუშაობს, — თქვა მეიზიმ. ძალიან უნდოდა საუკეთესო შთაბეჭდილება დარჩენოდათ ტობიზე.

— საერთოდ, იდეა სენ-ჟიუსტზე ცუდი არ არის. მასში, როგორც ამანდას სხვა იდეებში, არის რაღაც კეთილი მარცვალი.

ტობი უცებ მაღლიერების გრძნობით აივსო ამ კაცის მიმართ. რომელიც ასე ზრუნავდა და თანაუგრძნობდა მას.

— თქვენ თუ ასე მიგაჩნიათ, ვცდი. — შეპირდა ტობი, — ოღონდ ახლა არა.

— ხომ ხედავთ, მე ავამუშავებ ხოლმე ხალხს, — განაცხადა ამანდამ, რომელიც აშკარად კარგ გუნებაზე დადგა. — იცოდეთ, არ უარყოთ ეს.

— მე არც უარყოფ, პირიქით, — შეეპასუხა კრეინი.

— ტობი, იმედი მაქვს, დედათქვენსაც ავამუშავებ. ოღონდ, რა თქმა უნდა, ჯერ უნდა ვნახო მისი სურათები.

— დედა შიშისგან აკანკალდება, როცა თქვენ მისი სურათების დათვალიერებას დაიწყებთ, — თქვა ტობიმ. კრეინმა გამჭრიახი მზერა მიაპყრო მას.

— რატომ? — ამანდა აშკარად ნასიამოვნები დარჩა. — განა მე შიშს ვუნერგავ ხალხს?

მაგრამ ტობი დაუძვრა პირდაპირ პასუხს:

— არა, იქნებ მხოლოდ ზოგიერთებს... — თქვა მან და კრეინმა ისევ შეხედა.

— მაგრამ თქვენ არა! — წარმოთქვა ამანდამ და ტობისკენ გადაიხარა.

— სულაც არ მინდა, რომ ეგ იფიქროთ. ისე კეთილად მექცევით, — უთხრა ტობიმ. — თანაც, არ ვიცი, უხერხული ხომ არ არის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ღუნჩი შესანიშნავი იყო.

— ნახეთ, ეღუარდ, თქვენ და ტობის ბევრი საერთო გაქვთ! — წამოიძახა ამანდამ, — არა, ამაზე ლაპარაკი სულაც არ არის უხერხული. მართალი გითხრათ, არ მესმის, რა აზრი აქვს, საუზმეს ან სადილს ზედ გადაჭყვე, წვრილმანებამდე გაიაზრო, თუ სტუმრებს არ მოეწონებათ. ტობი, ძალიანაც მომეწონა თქვენი ნათქვამი.

ტობიმ უნებურად სიამოვნება იგრძნო. 'თუმცა სულაც არ უნდოდა, ამანდას ზედმეტად შეექო, რადგან მეიზის შესახებ ჯერ არაფერი გადაეწყვიტა. ახლა უკვე ცხადი იყო — მეიზი და დედამისი, შეძლებულთა წრეს ეკუთვნოდნენ, მდიდ-



რები იყვნენ. მაგრამ რატომ უნდა შეიბოჭოს თავი ასე ადრე? ჯერ ხომ მსოფ-  
ლიო უნდა დაიპყროს! ტობიმ დიასახლისს მადლობა გადაუხადა, ჩემი წასვლის  
დროაო.

— არა, ჯერ ადრეა, — შეეპასუხა მეიზი. — მატარებელი მხოლოდ ხუთ სა-  
ათზე გავა. მოდი, ბურიმე ვითამაშოთ.

აქამდე ტობიმ არც კი იცოდა, რომ მეიზის სალონური თამაშები *კუყვარული*  
მაგრამ, საბედნიეროდ, არ დაიბნა — კი ბატონო, არც მე შევირცხვინ *კუყვარული*  
იფიქრა.

— მე დახელოვნებული არა ვარ ამ თამაშში, — განაცხადა კრეინმა და ტობის  
გაუწოდა ქაღალდი, რომელზეც ეწერა:

- . . . . . ცული
- . . . . . დანა
- . . . . . ამისთანა
- . . . . . კრული

ტობიმ გამოართვა და სწრაფად დაწერა:

ჯერ რომ ჩავცხე მოზვერს ცული,  
მერე მოვიმარჯვე დანა;  
მე ღრიალი ამისთანა,  
თუ მსმენოდეს, ვიყო კრული.

მერე ხელიდან ხელში გადავიდა მისი თხზულება და დიდი მოწონებაც დაი-  
მსახურა.

— სასაკლაო, — თქვა კრეინმა. — ძალიან კარგადაა გამართული. მე კი მე-  
გონა, კუთხეში მოვიმწყვდიეთ.

— ეს ყმაწვილი პირდაპირ საუნჯეა! — თქვა გაბადრულმა ამანდამ.

ბურიმეს ჩაის შორთმევამდე თამაშობდნენ და ტობი ცოტა არ იყოს, გამოი-  
ფიტა. მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა: მან ჰედის-  
დონში ფეხი მოიკიდა. ამისთანა თამაშები შას ეხერხება, როცა დასჭირდება,  
მუდამ გამარჯვებული იქნება.

ჩაის შემდეგ (რომელიც ძალიან ხვავრიელი იყო) ტობი ადგა, რათა გამომ-  
შვიდობებოდა ყველას, და მაშინ კრეინმა უთხრა:

— იცით, თქვენ ბევრს მიაღწევთ.

— გმადლობთ, სურ.

— დიდად ვაფასებ ასეთ არათანამედროვე თავაზიანობას, მაგრამ აქ მე მხო-  
ლოდ ეღუარდი ვარ.

— გმადლობთ, მისტერ კრეინ, ჯერჯერობით არ შემიძლია სახელით მოგ-  
მართოთ, რაღაც ვერ ვახერხებ.

ტობი თვითონაც გრძნობდა, რა მიმზიდველი იყო თავისი თავაზიანობის  
წყალობით.

— იმედი მაქვს, მალე შესძლებთ.

ჯადოსნური დღე მთავრდებოდა, ტობიმ მადლობა გადაუხადა დიასახლისებს  
და გამოემშვიდობა.

— ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, — უთხრა კრეინმა.

ტობი მიხვდა, რომ ეს წარმატება იყო. მეიზიმ სადგურში მანქანით წაიყვანა  
და ტობიმ ამჯერად უფრო გულიანად აკოცა, ვიდრე აპირებდა.



მოვიდა მატარებელი, რომელიც კემბრიჯში წაიყვანს ტობის, კემბრიჯამდე კი მდინარის პირას გაშენებულ პატარ-პატარა მშენიერ სოფლებს ჩაუვლის. ტობი ხელს უქნევდა მეიზის, სანამ სადგური თვალს არ მიეფარა.



ბოლო ორი კვირა მეიზი მისის რობერტსის საქმეებში იყო ჩაფლული. ტობის დედას წერილი მისწერა და პასუხიც მიიღო. მეიზი ორჯერ ჩავიდა რობერტსებთან, ორივეჯერ მარტო (ტობი მართლაც თავაუღებლად მეცადინეობდა), მეორედ თვალგაბრწყინებული დაბრუნდა — კიდევ 'ხუთი სურათი ჩამოიტანა; სამი ტილოზე იყო დახატული, ორი კი მშრალ ბათქაშზე, მეიზიმ პირდაპირ გალერეაში წაიტანა ეს სურათები და ტობის უთხრა: როგორც კი თავისუფალი დრო გექნება, აუცილებლად ნახეო.

— შერე რაც შეიძლება მალე უნდა ჩაეკმევინოთ ჩარჩოებში. ფილიპსები ძალიან კარგი ხალხია და იაფადაც აკეთებენ ჩარჩოებს.

ტობის არ ესიაშოვნა ეს. ნეტა, ვინ ეკითხება ამას დედაჩემის საქმეებს, სანამ მე თვითონ არ გადავწყვეტ, რომ ამის ნება აქვსო, გაიფიქრა მან. ჩარჩოებზე ლაპარაკიც აწუხებდა. მშენიერად ესმოდა, რომ დედას ამაზე არც უფიქრია. ეტყობა, მეიზიმ გადაწყვიტა თვითონ იკისროს ყველა ხარჯი. მაგრამ თვითონ ტობის აქვს მცირეოდენი თანხა გადანახული — ორმოცდაათი გირვანქა, ცამეტი შილინგი და ოთხი პენსი და ჩარჩოების ფულს თვითონ გადაიხდის, აი, ასე. მაშინვე განუცხადა კიდევ ეს მეიზის, თანაც ისე მტკიცედ, რომ მეიზი დაიბნა.

— ტობი, ამდენი ფული არ დასჭირდება. ჩვენ გვინდა, ძალიან უბრალო ჩარჩოები იყოს, შეხედე სურათებს და ყველაფერი ნათელი გახდება.

ტობი გაჰყვა მას გალერეაში. დედის ახალი სურათები რომ ნახა, მღელვარებად მოიცვა. ეტყობა, გალერეის პატრონსაც იგივე დაემართა, რადგან მაშინვე უთხრა:

— დედათქვენს საოცარი მხატვარია.

მისის რობერტსმა გამოგზავნა: ორი სურათი პარკის ხედებით, ერთი ქუჩის პეიზაჟი და ორი ნატურმორტი — ყვავილები. აქ დედამ ნამდვილად იმშაპა: იცოდა, რომ ლარნაკებისა და თასების ხატვა არ ეხერხებოდა და ძალიან მჭრქალად დახატა, მხოლოდ მიანიშნა რაც იყო, სამაგიეროდ მთელი ყურადღება ყვავილებზე გადაიტანა. ცოტა უჩვეულო გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან კარგი. საერთოდ, მისის რობერტსი იშვიათი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა: სურათს ორ დღეში ხატავდა, ხოგჯერ კი ერთ დღეშიც. ახლაც დაპირდა მეიზის, ერთ კვირაში კიდევ სამს დაეხატავო. მაშასადამე, სულ თოთხმეტი სურათი იქნება.

— ხვალ მოვალ მანქანით, — მიმართა მეიზიმ დრიფილდს, — და სურათებს ხელოსანთან წავიღებ. ეფექტური ჩარჩოები რად გვინდა, დამთვალეირებლის ყურადღებას მიიქცევენ და სურათებს წესიერად არც შეხედავენ.

დრიფილდი თავაზიანად დაუთანხმა.

ქუჩაში რომ გავიდნენ, ტობიმ ლამის ძალით წაიყვანა მეიზი კაფეში. ქალიშვილი უარს ამბობდა, დრო არა შექვსო.

— საიდან გექნება დრო, როცა სულ დედაჩემის საქმეზე დარბიხარ. ძალიან გთხოვ, უმადური არ გეგონო, მაგრამ თუ ასე გააგრძელებ, გამოცდებს ვერ ჩააბარებ.

მეიზიმ გაკვირვებით ასწია წარბები, რატომღა ხარ ასეთი მკაცრი ჩემს მიმართო.



ტობიშ ისევ ჩარჩობებზე დაიწყო ლაპარაკი.

— მე ასეთი საქმეებისა არაფერი გამეგება, მაგრამ ორმოცდაათი გირვანქა მაქვს ჩარჩობებისთვის, თუ ეყო. მოდი, ამაზე ნუღარ ვიკამათებთ, ჩემო გონი.

— აქდენი ფული არ დასჭირდება, — შეეპასუხა მეიზი და მაშინვე დაუმატა: — თუმცა, თუ შენ გინდა გადაიხადო, კეთილი, იყოს ჩება შენი. — *მორჩილად* კი ეჭირა თავი, მაგრამ ტობიშ გამოცდილებით იცოდა, ეს სულაც უნებლად რომ მზად იყო დამორჩილებოდა. — სახელოსნოში ვეტყვი, ანგარიში შენ გამოგიგზავნონ.

რას იზამ, იქნებ მეიზი აპირებს ხელოსანთან მოლაპარაკებას, თუმცა ამაზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია. თუ ასეა, მოელაპარაკოს. ერთი სიტყვით, ხარჯის მეტ წილს ტობი გადაიხდის.

სწორედ ამ დროს მეიზიშ თქვა, ამ დღეებში ამანდა აპირებს სურათების ნახვას.

— დედა შეიძლება ძალიან დაგვეხმაროს ამ საქმეში. მაგრამ უნდა გაგაფრთხილო: თუ სურათებმა არ ააღელვეს, ხელსაც არ გაანძრევს. — მეიზიშ ჩაიციხა, — ხომ ხედავ, მეც შემიძლია მკაცრი ვიყო, როცა მოვინდომებ.

— მკაცრი ფისო, — თქვა ტობიშ.

მომდევნო კვირაში, პარასკევ დღეს ამანდა სამხატვრო გალერეაში მივიდა. ტობი და მეიზი კართან შეხვდნენ მას. ყმაწვილმა დაინახა, რომ ამანდა თავისმა მძლოლმა მოიყვანა მანქანით. ქალს ბეწვის საყელიანი ღია წითელი ფერის კოსტიუმი ეცვა და კოსტიუმის შესაფერისი საკმაოდ ექსტრავაგანტური ქუდი ეხურა.

— აბა, ბაუშუებო, — თქვა მან, — მაჩვენეთ.

დრიფილდმა არც კი იცოდა, ვინ იყო ეს ქალი, მაგრამ ისე შეხვდა, როგორც ქვრივ დედოფალს.

მას რიგრიგობით გამოჰქონდა თითო სურათი. ტობის ელდა ეცა: ამანდა წარბებშეჭმუხვნილი ხვდებოდა ყოველ სურათს. მერე სთხოვა დრიფილდს, თუ შეიძლება, კედელზე მიაყუდეთ სურათებიო, ჩაცუცქდა და ისე დაიწყო დათვალიერება, ოდნავ გადმოკარკლული თვალები უბრწყინავდა.

— დიახ, — ჩაილაპარაკა მან, — დიახ, და კიდევ ერთხელ დიახ, ეს ტალანტია, თუმცა ძალიან უჩვეულო. — უცებ ტობისკენ შებრუნდა, — ჩათვალეთ, რომ აქ არა ხართ. ჩემს შეფასებაზე პირადი ურთიერთობა ვერ იმოქმედებს. — მის ხმაში შონანიება გაისმა და ტობი ამან უფრო შეაშინა. ეჩვენებოდა, რომ ამანდა ძალიან დიდხანს ათვალიერებდა სურათებს. ბოლოს და ბოლოს, ამანდა დრიფილდისაკენ შებრუნდა და ბაუშუივით კეკლუცად უთხრა: — შევიძლიათ მიაკრათ წითელი ვარსკვლავი ამას და ამასაც, როგორც სიფთა.

ეს ნიშნავდა, რომ ამანდა ყიდულობდა ორ პეიზაჟს — ქუჩისას და პარკისას. თითოეული ოცდაათი გირვანქა ღირდა. დრიფილდი გაიბადრა. ამანდამ ისევ სურათების დათვალიერება დაიწყო.

— და კიდევ აი ეს ნატურმორტი, ყვავილები. იცოდე, — მიმართა მან მეიზის, — ამის ფულს მე არ ვიხდი, ეღუარდი ყიდულობს. მის ბინას მოუხდება, არა აქვს ისეთი სურათები, როგორიც საჭიროა. ვეცდები, ამიგრიდონ მე შევარჩიო.

— მისის ფერარს... — დაიწყო გაბრუებულმა ტობიშ.

მაგრამ ამანდამ არ დააცალა დამთავრება.

— ნუთუ ფიქრობთ, რომ არ მომწონდეს, ვიყიდი დედათქვენის სურათებს?



მე ქველმოქმედებას არ ვეწევი. ყველაზე მეტად რომ მიყვარდეთ, — თქვა მან მოულოდნელი სანტიმენტალობით, — მაინც არ ვიყიდი იმას, რაც არ მომწონს, თუნდაც ამით ძალიან შემელახა თქვენი თავმოყვარეობა. ნამდვილად ვერ შევძლებდი.

ტობიმ უცებ სასტიკი სიძულვილი იგრძნო მის მიმართ: მბრძანებლობს ჩემზეც; დედაჩემზეც, თვითონ კი არაფერი გაუგებიაო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გული მოუღება და დიდი სითბო იგრძნო ამანდას მიმართ, ღმერთო, ღმერთო, თავისი წუთიერი აფეთქებისა.

— თავს იწამებ, — უთხრა მეიზიმ, როცა ამანდა წავიდა. — თანაც სულ ტყუილად. დედა არაფერს გააკეთებს ისეთს, რომ მერე ინანოს. ჩვენ სუცილებლად ვიზუიმებთ ამას.

მეორე დღეს რაღაც გაუგონარი რამ მოხდა: ტობიმ მამის წერილი მიიღო.

„საყვარელო შვილო!

მე ცოტა მაშინებს დედაშენის ამბავი. ისე განიცდის ამ გამოფენას, ვაითუ, ლოგინად ჩავარდეს. ძალიან ბევრს მუშაობს, არ ვიცი პირდაპირ, რა თვალები უძლებს. კარგია თუ არა მისი სურათები, მე რა შემფასებელი ვარ; მაგრამ სულ იმას ვფიქრობ: ესმის კი შენს მეიზის, რა წამოიწყო? დედაშენს ხომ ამიერიდან ცნობილ ადამიანებთან, ბრწყინვალე ბატონებთან მოუწევს ურთიერთობა; არადა ასეთი ხალხი თვალითაც არ უნახავს. მხოლოდ მაშინ თუ ნახავდა, როცა მოახლე იყო, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა. დედა ბევრს არაფერს მეუბნება, მაგრამ თვითონ მივხვდი, რომ რაღაც ხარჯებია საჭირო. პოდა, მინდა ვიცოდე, რამდენია საჭირო. ვილაცამ ხომ უნდა იფიქროს საქმეზე. შენი მეიზი ძალიან მომწონს, ჩემის აზრით, კარგი ქალიშვილია, თღონდ თვითონაც არ იცის, რა ხათაბალაში გაგვხვია. როგორ ფიქრობ, ვარგა დედაშენის ნახატები? შენ ალბათ ერკვევი ამაში. იქნებ სულ ტყუილად ვწუხვარ, მაგრამ ფიქრი გულს კი მიღრღნის და!

შენი მოსიყვარულე მამა“

ტობი შეეცადა, რაც შეიძლება დიპლომატიურად ეპასუხა. სხვათა შორის, ისიც ჩაურთო, არავითარი ხარჯი არ დასჭირდებიაო. ეს ცოტა გაუფრთხილებლად მოუვიდა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოიგონა თავის დასაძვრენად.

8

რაც უფრო ახლოვდებოდა გამოფენის გახსნის დღე, მით უფრო მატულობდა ტობის გულში მეიზისადმი მადლიერებაც და ბრაზიც. იცოდა, რომ მეიზის არ გამოეპარებოდა მისი გუნება-განწყობილების პატარა ცვლილებაც კი, ამიტომ გადაწყვიტა საერთოდ არ გაემჟღავნებინა თავისი გულისნადები. საღი აზრი უკარნახებდა, რომ მეიზი უამრავ რამეს შესძენდა მას, მაგრამ რომ გაიფიქრებდა: უღელში შემაბამენო, — პირდაპირ აუტანელი იყო მისთვის. ასევე აუტანელი იყო, რომ დედამისსაც უპირებდნენ „უღელში შებმას“. თანაც ისე მწვავედ განიცდიდა თავის კლასობრივ მდგომარეობას, რომ სული უფორიაქდებოდა. განსაკუთრებით ყალყზე დგებოდა, როცა საქმე დედას ეხებოდა. აკი დაიჟინა, ჩარჩოების ფულს თვითონ გადავიხდით. ტობი ცოტა რომ დაფიქ-



რეზულიყო, მიხვდებოდა, ჩარჩოების გარდა სხვა ხარჯებიც რომ იყო საჭირო, მაგრამ, უბრალოდ, აუკრძალა საკუთარ თავს ამაზე ფიქრი.

მისი გრძნობა თითქოს გაორდა: ერთი მხრივ, იცოდა, მეიზისგან კიდევ ბევრს შეიძენდა (და ამით მასვე გაახარებდა), მეორე მხრივ, შიშობდა, ხაფანგში არ გამაბანო.

ხოლო მეიზი ძალიან ბედნიერი და გახარებული იყო, რომ შარტისგან გამოფენა გაიხსნებოდა. მისის რობერტსიც გახარებული იყო და ვერ ჩაუბრალებდა მათ სიხარულს. თავს იმშვიდებდა, იქნებ, მოგვიანებით ნამდვილად შემიყვარდეს მეიზიო. თუმცა კაცმა რომ თქვას, რატომ ახლა არა? და ტობი შეეცადა ლოგიკური დასკვნა გამოეტანა: ჯერ ხომ ვერაფერს შესთავაზებს მეიზის, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ასეთ პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს.

გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღეა დარჩა. მეიზიმ უთხრა ტობის: ვერნისაჟზე დედანემის ხუთიოდე მეგობარი მოვა, რამდენიმე კრიტიკოსსაც მივწერე, ვისაც ვიცნობ, აქაურ პრესასაც შევატყობინეო.

გამოფენა გაიხსნებოდა საღამოს ექვს საათზე. მისის რობერტსი თორმეტი საათის მატარებელს უნდა ჩამოჰყოლოდა, კემბრიჯში საღამო ისაუზმებდა ტობისთან ერთად, კოლეჯს დაათვალიერებდა და ცოტა ადრე მივიდოდა გამოფენაზე, რათა მარტო დაეთვალიერებინა თავისი სურათები. გამოფენის გახსნის შემდეგ ტობისთან, მეიზისთან და მისის ფერარსთან ერთად ისადილებდა და ბოლო მატარებლით წავიდოდა ლონდონში. ტობის აზრით, სჯობდა დედას სასტუმროში გაეთია ღამე, მაგრამ თვითონ ამის ფული არა ჰქონდა, ხოლო მეიზის არაფრით არ მისცემდა ნებას სასტუმროს ფული გადაეხადა. ნეტა დედა არ დაიბნეს. აი, მამა აუცილებლად დაიბნეოდა. მაგრამ მან შემოუთვალა: ვერ ჩამოვალ, კიოსკს უპატრონიოდ ვერ დავტოვებო.

ტობი სადგურზე დახვდა დედას, მზიანი დღე იყო, მაგრამ ქარი ქროდა. დაინახა თუ არა დედა, მაშინვე მიხვდა, რომ მისი დარდი არ უნდა ჰქონოდა. როგორც კი გამოვიდა ვაგონიდან, ტობი მაშინვე დარწმუნდა, რომ მას ვაჟკაცობა არ უღალატებდა. დედა ლურჯ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ქუდიც ლურჯი ეხურა.

ტობიმ დედას აკოცა და უთხრა:

— მშვენივრად გამოიყურები. ახლები გაცვია?

— კი, მე და მეიზიმ ერთად ავარჩიეთ მაღაზიაში. მიხარია, რომ მოგეწონა.

ცენტრამდე ტაქსით მივიდნენ. მის წინ გადაშლილ ქალაქს რომ გაჰყურებდა, მისის რობერტსმა თქვა:

— რა ბედნიერი ხარ, აქ რომ ცხოვრობ. ნეტავ საშუალება მქონდეს, ასეთ ღამაზე ადგილას დაუსახლდე...

— სულ ერთია, იმაზე მეტს, რასაც ახლა მიაღწიე, მაინც ვერ მიაღწევდი.

— სამოცდაათი გირვანქა, — თქვა დედამ. — აი, რამდენი მოგება მაქვს უკვე.

— და კიდევ გექნება, სხვა სურათებიც გაიყიდება.

კინგს-პერუილზე გააჩერეს ტაქსი, მისის რობერტსს სული შეეკრა აღფრთოვანებისაგან. კაპელის კოშკურები მუქად მოჩანდა ნათელი ცის ფონზე.

— კემბრიჯის ლაჟვარდი, — თქვა დედამ.



ტობიამ თავისი კოლეჯის პატარა ეზოებით კემის ნაპირზე გაიყვანა დედა, სადაც უამრავი ნარგიზი ცეკვავდა ქარში და მიუხედავად იმისა, რომ სუსხი იგრძნობოდა, მდინარის ნაპირზე ქალ-ვაჟნი გამოფენილიყვნენ. მისის რობერტსს წამით ენა ჩაუვარდა, მერე კი ერთგვარი შურით თქვა:

— წარმოვიდგენია, ეს ხომ შენი სამფლობელოა!

— როცა მუდმივად ცხოვრობ აქ, ბევრ რამეს ვეღარ ვეძინებო!

ტობიამ მთელი კოლეჯი შემოიარა დედასთან ერთად ალფრთოვანებისგან ისევ ენაჩავარდნილივით იყო. მისის რობერტსი ოდესღაც მოახლედ მსახურობდა მდიდარ ხალხთან, იმათაც ღამეზი სახლი ჰქონდათ, მაგრამ ოფიციალური შენობის სიღამაზე და დიდებულება არა ჰქონია იმ სახლს. დედა ნელი ნაბიჯით დადიოდა სასადილოში, გაოცებული შეჰყურებდა კედელზე ჩამოკიდებულ პორტრეტებს, გაპრიანებულ ფარნებს, ვერცხლულს სარკესავით გლუვ მაგიდაზე.

— როგორ აპრიანებენ და წმენდენ ალბათ აქაურობას, — ჩურჩულით თქვა მან, ცდილობდა ფეხაკრეფით ევლო.

— უნივერსიტეტში ცხოვრება ალბათ გაგვანებაურებს ყველას და როცა დავამთავრებთ, გული დაგვწყდება.

...როგორც იქნა, დედა ჩამოვიდა მასთან, და ტობი მიხვდა, რა ძალიან უყვარდა დედა. სინდისმა ქენჯნა დაუწყო: რატომ აქამდე არ დავპატიჟეო.

ტობიამ თავისი ოთახი უჩვენა დედას. აქ კი დიასახლისის ინსტიტუტმა იმძლია, მან ამაყად შეხედა თავის სურათს, რომელიც კედელზე ეკიდა და მაშინვე პრაქტიკულ საქმეებზე გადავიდა:

— განა შენს ოთახს არ ალაგებენ?

— წესით, უნდა დაალაგონ.

— აქაურობა ჭუჭყით არის სავსე. საქაღალდე კალათი, ეტყობა, რამდენიმე დღეა არ გაუტანიათ. კუთხეებიც მტვრითაა სავსე.

— მე თუ მკითხავ, ასეც არა უშავს.

— ნეტა რისთვის უხდიათ ფულს?

ტობიამ უპასუხა: არ ვიცი, მაგრამ აქ ყველაფერი მომწონსო.

სწორედ ამ დროს ბობი და ეიდრიანი შემოვიდნენ. დედამ ამაყად გაუწოდა მათ ხელი. ტობი თან ერთობოდა ამით, თანაც ძალიან ეამაყებოდა.

— დღეს თქვენი დღეა, მისის რობერტს, — უთხრა ეიდრიანმა დიდის ამბით. — ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდებით ამ გამოფენას.

— ხალხი ბევრი შეიკრიბება, — განაცხადა ბობმა, — ჩვენ, ტობის ამხანაგები, ყველანი მოვალთ.

ხუთი საათისთვის, როგორც შეთანხმდნენ, ტობიამ ტაქსით მიიყვანა დედა გალერეაში. მაგრამ დედას არც აქ დაეტყო ნერვულობა, უბრალოდ, ძალიან გამოცოცხლებული იყო. დრიფილდი კართან შეეგება მათ.

— მისის რობერტს! მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. ერთადერთი სურვილი მაქვს, თქვენ მოგეწონოთ ის, რისი გაკეთებაც მოვახერხეთ... მერწმუნეთ, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ თუ ინებებთ რაიმეს შეცვლას, დრო ჯერ გვაქვს.

მისის რობერტსს ისევ ღირსეულად ეჭირა თავი. ნელი ნაბიჯით ჩაუარა სურათებს, გაუხარდა, სურათებზე წითელი ვარსკვლავები რომ დაინახა. არა, არაფრის შეცვლას არ აპირებს.

— თქვენ ძალიან ორიგინალური მხატვარი ბრძანდებით, მისის რობერტს, —



განაცხადა დრიფილდმა, — ჩვენ გვეამაყება, რომ პირველად აქ ვაჩვენებთ თქვენს სურათებს.

ამასობაში შუა დარბაზში დადგეს დიდი მაგიდა, ზედ სუფრა გადააფარეს და ბოთლები გაამწკრივეს.

— იქნებ დაგელიათ ერთი ჭიქა ღვინო, ცოტა მომაგრდებით მომავალ გამოცდის წინ: რამდენიმე კრიტიკოსი მოვა.

— გმადლობთ, — უპასუხა დედამ, — ჯერ ცოტა ადრეა. ხოლო სეზონები თუ მოვლენ, რა უწყობთ მერე, როგორც შემეძლო ისე დავხატე, ამაზე უკეთესად მაინც ვერ დავხატავ.

ექვსს რომ ათი წუთი აკლდა, ამანდა მობრძანდა — ცოტა უხეში სახე ჰქონდა, მაგრამ ღია წითელ კოსტიუმში თვალისმომჭრელი იყო. მას თან ახლდა მეიზი და სამი მამაკაცი. ერთი ძალიან მაღალი, მხარბეჭიანი, ასე ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, ღია ფერის თვალები და მუქი, შეჭალარავებული თმა ჰქონდა. მეორე — დაბლვერილი, გამხდარი, ტანდაბალი კაცი იყო. ვარდისფერი ბაფთა-პალსტუხი ეკეთა. მესამე ეღუარდ კრეინი გახლდათ.

— ტობი, — დაუძახა ამანდამ. — შეეგებეთ სტუმრებს! ირდის, ეს ტობი რობერტსია. ლორდი ლენგეინი. პიტერ კოკსონი. ეღუარდს უკვე იცნობთ. ახლა კი წავკვიფვანეთ თქვენს შესანიშნავ დედასთან.

მეიზიმ უკვე მოასწრო მისის რობერტსთან მისვლა და გადაკოცნეს ერთმანეთი. ტობი გაოცდა: საერთოდ, დედას არ სჩვეოდა საქვეყნოდ თავისი გრძნობების გამოხატვა, მხოლოდ შინაურებს ხვდებოდა ასე.

დედამ როცა დაინახა, ყველანი მისკენ მიდიოდნენ, თვითონაც ამაყად გაემართა სტუმრებისკენ და ამანდას გაუწოდა ხელი.

— ვიცი, რა სიკეთე გამოიჩინეთ ჩემ მიმართ.

— სიკეთე? — წამოიძახა ამანდამ, — კარგად ვაბანდებ ფულს, მეტი არაფერი. ახლა კი დიდ წარმატებას ვისურვებთ.

ამანდამ დედას მამაკაცები წარუდგინა. დედას იქნებ აღრეც უნახა რომელიმე ლორდი, მაგრამ ასე ახლოს არა. მიუხედავად ამისა, მან მშვიდად გაუწოდა ხელი ლენგეინს და ვითომც აქ არაფერიო, ისე მოისმინა მისი ქება. ვარდისფერბაფთიანმა მამაკაცმა კი ოღნავ დააბნია, ისეთი აღფრთოვანებით აქებდა. ხოლო კრეინთან თავიდანვე ლაღად იგრძნო თავი.

— ტობის უკვე ვიცნობ, — უთხრა კრეინმა. — ახლა კი მოხარული ვარ, რომ თქვენ გაგიცანიოთ.

— პატივცემულო მისტერ დრიფილდ, — თქვა ამანდამ, — ჩვენ ცოტა ადრე გამოეცხადდით, ხანამ ხალხი მოასკდება, გვინდა მშვიდად დაეათვალიეროთ სურათები.

მათ დაიწყეს სურათების დათვალიერება ისე, როგორც დახურული გასინჯვის დროს ათვალიერებენ ხოლმე: მდუმარედ, თითქოს კარგი მცოდნეები და ხელოვნების დიად საიდუმლოს ნაზიარები არიანო.

დრიფილდის დაეინებული თხოვნით ყველამ დალია ღვინო გარდა მისის რობერტსისა, რომელიც ერთი ჭიქა პამიდორის წვენიით დაკმაყოფილდა.

შვიდის ოც წუთზე, როცა ტობის უკვე შეეშინდა, არავინ ჩანს და ვაითუ გამოფენა ჩაფლავდესო, დარბაზში თანდათან დაიწყო ხალხმა დენა, თითქმის გაივსო იქაურობა. მოვიდნენ: ბობი და რიტა, ეიდრიანს ორი მეგობარი მოჰყვა სასულიერო ფაკულტეტიდან, მეიზის რამდენიმე ამხანაგი გოგონაც მოვიდა, — გეგონებოდა, მეიზი მთელ ქვეყანას იცნობსო. მერე შემოვიდნენ ლონ-



დონელი კრიტიკოსი და ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორი. და კიდევ ამანდას რამდენიმე მეგობარი. ბოლოს გაღერებაში ისე შემოეფეთა ბრბო, თითქოს ეშინოდათ, კარში არ გავიჭედოთო. სრულიად უცნობი ხალხი იყო, ყოველ შემთხვევაში, ტობი არავის იცნობდა. მალე იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ სურათების დანახვა გაჭირდა.

დრიფილდი დაძვრებოდა მათ შორის და მისის რობერტსაც მიხვდა, რომ იგი კმაყოფილი იყო. წითელი ვარსკვლავი კიდევ ერთ სურათზე გამოჩნდა, მერე მეორეზე. დარბაზში პაპიროსის ბოლი იდგა, დაცხა. ტობიმ შეამჩნია, რომ ღვინოს ბევრსა სვამდნენ, თვითონ მხოლოდ ერთი ყლუპი მოსვა, უნდოდა ფხიზელი ყოფილიყო.

ძნელი სათქმელი იყო, ვინ ასრულებდა მასპინძლის ფუნქციებს — ყოველ შემთხვევაში, დრიფილდი არა, ალბათ ან ამანდა ან მეიზი.

რვის თხუტმეტ წუთზე, როცა ხალხის ნაწილი კარისაკენ გაემართა, შემოვიდა კიდევ ერთი ხელოვნების კრიტიკოსი, ძალიან ძალადი, სათვალღიანი კაცი (ტობიმ მაშინვე იცნო, კვირის გაზეთში ენახა მისი სურათი), და გაბადრული ამანდა მაშინვე დაუფლა მას. კრიტიკოსი მაგიდასთან მივიდა, ღვინო დაისხა და ნელი ნაბიჯით გაუყვა კედელს, ერთი სურათიდან მეორესთან გადადიოდა. მთელი დარბაზი რომ შემოიარა, მიათრია სკამი მისის რობერტსთან, გვერდით მიუჯდა და თავი წარუდგინა. პოლოკი იყო მისი გვარი.

დედა მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად აღელდა.

— მუ გვართ გიცნობთ, — უთხრა მან კრიტიკოსს.

— თქვენს გვარს კი ჩემის აზრით უფრო მეტი ხალხი გაიცნობს, ვიდრე ჩემსას.

— ეს ჩემი ვაჟია, ტობი, — თქვა მისის რობერტსმა, ოღონდ რამე ეთქვა.

პოლოკმა ძალიან თავაზიანად, ტაქტიკურად დაუწყო დედას გამოკითხვა: როგორ დაიწყო ხატვა? დიდი ხანია რაც ხატავს? მისი აზრით, სხვა მხატვრების გაუღენას ხომ არ განიცდის? ან როგორს? ვისი მხატვრობით არის აღფრთოვანებული?

სიხარულისგან სახეგაბადრული მეიზი ახლოს მივიდა და მათ საუბარს მიუგდო ყური.

მისის რობერტსმა უპასუხა, რომ ხელოვნებაში ცუდად ერკვევა. რამდენიმე კრიტიკოსის რეცენზია მაქვს წაკითხული, მაგრამ ვერ გამიგია, რა მოსწონთ და რა არაო.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა მოსწონს. ამას ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თქვენ ისევ თქვენი გზით უნდა იაროთ.

რა კარგი ადამიანია!

ტობისთან ლენგეინი მივიდა.

— ძალიან საინტერესოა. მართალია, ბევრი არაფერი მესმის მხატვრობისა, მაგრამ მისის ფერარსი მარჯვედ მხელმძღვანელობს. ალბათ ჰედისდონში უკვე იყავით, არა?

ტობიმ უპასუხა: დიახ, ვიყავიო.

— ძალიან მომწონს ჰედისდონი. ჩემს კლერს ხომ არ შეხვედრიხართ იქ?

— მგონი, არა. (მასთან მხოლოდ ერთხელ ახსენეს კლერი.)

— ჩვენ პლემსფორდთან ვცხოვრობთ, იქვეა ჰედისდონთან. მართალი გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ დედათქვენის სურათებით.

მაგრამ ლორდს არც ერთი სურათი არ უყვია.

სასიამოვნო კრიტიკოსი ადგა და ყველას გამოემშვიდობა.



დარბაზი თითქმის დაცარიელდა და მაშინ აღმოჩნდა, რომ კიდევ ორი მომცრო სურათი გაყიდულა. მაშასადამე, თოთხმეტიდან შვიდი გაიყიდა.

— ჩემის აზრით, ეს წარმატებაა, — თქვა დრიფილდმა. — მოგილოცავთ, მისის რობერტს.

როცა პრესის წარმომადგენლები წავიდნენ, მისის რობერტსი ისევ დამშვიდდა. ამ დროს მისკენ ამანდა გამოემართა:

— მისის რობერტს, ალბათ უკვე ქანცი გაგიწვდათ. გვინდა, მშვიდად, აუჩქარებლად ვისადილოთ.

ტობი, დედამისი და მეიზი თითქოს ბურანში იყვნენ, ისე გამოემშვიდობნენ ყველას. ამანდამ ისინი მანქანით მიიყვანა სასტუმრო „უნივერსიტეტის ღერბში“, რომლის რესტორანშიც წინასწარ შეუკვეთა მაგიდა...

— ესეც ასე, მოდი ახლავე ვისადილოთ, კარგი?

მათ გაიარეს დიდი, გამოქვაბულივით ბნელი ჰოლი და დარბაზში შევიდნენ.

ოფიციატმა შამპანური მოიტანა და მისის რობერტსის სადღეგრძელო დალიეს. ტობის გაუკვირდა, რომ დედამისმაც დალია ნახევარი ჭიქა.

— თ, რა კარგია! — თქვა დედამ.

— ოღონდაც, შენი ჩაისა და კაკოს შემდეგ.

— ალბათ სასაცილოა, მაგრამ ძალიან მიყვარს კაკო, — თქვა ამანდამ, — უტყობა, იმიტომ, რომ ბავშვობას მაგონებს. ახლა იშვიათად თუ ვინმე სვამს.

— საქმე ისაა, როგორ მოამზადებ, — განაცხადა მისის რობერტსმა, ისევ დიასახლისის როლს დაუბრუნდა. — არაფრით არ შეიძლება რძის აღუღება, თორემ მაშინვე ნალებს მოივლებს.

მეტად უხვი სადილი იყო. მისის რობერტსი ძალიან მადიანად მიირთმევდა, რამაც ტობი ისევ გააკვირვა, საერთოდ, ბევრმა რამემ გააკვირვა ამ საღამოს. ალბათ იმიტომ ჭამს ამდენს, რომ დიდი შვება იგრძნო, თანაც საუზმეზე ლუკმა არ ჩაუღევს პირშიო, გაიფიქრა მან.

სადილის შემდეგ მისის რობერტსი მანქანით წაიყვანეს სადგურში. ტობი დედასთან ერთად გავიდა ბაქანზე, მეიზი და ამანდა დაითანხმა არ მოეცადათ მისთვის.

— კმაყოფილი ხარ, დედა? ჩემის აზრით, გამოყენა შესანიშნავად ჩატარდა, ძალიან ვამაყობ შენით. დღეს ძალიან კარგად გამოიყურებოდი.

— მეიზი ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც საჭიროა, — დაბეჯითებით უთხრა დედამ.

დედა რომ გააცილა, ტობიმ ავტობუსს აღარ დაუცადა, ჩქარი ნაბიჯით წავიდა კოლეჯისკენ. კოლეჯში მისვლისთანავე პირდაპირ ბიბლიოთეკაში შევიდა, აიღო ცნობარი „ვინ ვინ არის“ და წაიკითხა: „ლენგეინ, იდრის დენიელ ფოლზ, მეოთხე ბარონი; დაიბ. 1898 წ. მეუღლე მორა სიუზანა პაუელი. ერთი ვაჟი, ერთი ქალი. განათ: ვინჩესტერი და ნიუ-კოლეჯი, ოქსფორდი“. აღმოჩნდა, რომ იგი სავაჭრო ბანკის დირექტორი იყო და სხვა საქმიანობას არ ეწეოდა. მისამართი: მამული ბარდენი, პლემსფორდთან ახლოს, საფოლკის საგრაფო. კლუბები: „ჰარიკი“ და „უაიტი“.

ესეც ასე, ტობი რაღაცაში უკვე გაერკვა.



მეორე დღეს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი ანგარიში გამოფენაზე — ეს რეცენზია არ იყო, უფრო ნაღალი ხაზოვანობის ქრონიკას ჰგავდა. თვითონ მისის რობერტსზე თითქმის არაფერი ეწერა, რადგან დედა არ პასუხობდა კითხვებს, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხებოდა და მხოლოდ თავის მხატვრობაზე ლაპარაკობდა. თითქმის მისის რობერტსის ფოტოც, მას ხელი გაშვებული ჰქონდა თავისი ყველაზე დიდი სურათისკენ, და ტობის ფოტოც, რომლის ქვეშ ეწერა: „მხატვრის ვაჟი, სტუდენტი“. ჩემზე შეიძლება უარესიც დაეწერათო, გაიფიქრა ტობიმ და დიდი პატივისცემით გაიხსენა, როგორ მტკიცედ უკუაგდო დედამ ყველა კითხვა, რომელიც რეპორტიორმა დაუსვა მის და ტობის პირად ცხოვრებაზე. მაგრამ ეს ცნობა გამოფენაზე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ხალხს ცნობისმოყვარეობა აღძროდა და გაღერებაში მნახველები მიეზიდა.

ტობიმ მაშინვე მისწერა დედას და კონკურტში გაზეთიდან ამოჭრილი სტატია ჩადო.

ახლა კვირის ბოლოს უნდა დაელოდონ. ტობის მეიზიმ დაურეკა, ძალიან გახარებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ლონდონელ კრიტიკოსს ტობი სულ არ უხსენებია. სამაგიეროდ პოლოკმა თავის ყოველკვირეულ განხილვაში მეორე ადგილი დაუთმო გამოფენას, ძალიან აქებდა ახალ „პრიმიტივს“ და ყველას ურჩევდა: ვისაც საშუალება გაქვთ, კემბრიჯში ჩადითო.

მალე სააღდგომო არდადეგებაც დაიწყო და ტობი შინ ჩავიდა.

მისის რობერტსს ერთი სული ჰქონდა, სანამ შეიღწახებოდა ამბებს ეტყოდა. — რა მშვენიერია, არა? მისტერ პოლოკის შესახებ გეუბნები. დრიფილდის წერილიც მივიღე, თითქმის ყველა სურათი გაიყიდაო. აქაც მოვიდნენ ჩემთან, კიდევ ხომ არა გაქვთ სურათებიო.

მისტერ რობერტსი გაოცებული იყო.

— ეტყობა, გენიოსი შებირთავს ცოლად. მე კი მეგონა, ეს მხოლოდ გატაცება იყო.

— რის გენიოსი, რა გენიოსი, ჩემთვის არც არავის უწოდებია ასეთი რამ. ეს კია, ამიერიდან ნამდვილად ვიცი, რომ უნდა ვხატო. გარდა ამისა, ახლა შემიძლია ტილო ვიყიდო, თორემ მშრალი ბათქაში რამდენიც არ უნდა დაგრუნტო, საღებავი მაინც მქრქალი გამოდის. უკვე ვიყიდე ოთხი ტილო.

და მაინც, ყველას უჩვენებოდა, რაღაც სასწაული ხდება და ეს სასწაული დიდხანს არ გაგრძელდებაო.

არდადეგების დროს ტობი მეიზის არ შეხვედრია, არც ჰედისდონში დაუპატიჟებიათ. მაინცდამაინც არ აღარდებდა ეს, რადგან ჯერ ვერ გაერკვია, რას გრძნობდა მეიზის მიმართ. თუმცა ძალიან მოენატრა — თვალწინ უდგა მისი გაღიშებული ტუჩები, სიხარულისგან ნათურებივით ანთებული თვალები, მაგრამ თავს ამალებდა, რომ ემეცადინა და მეტწილად ზემოთ, ჩვეულებრივ თავის ოთახში იჯდა.

მისის რობერტსმა ისევ სახლის საქმეებს მოჰკიდა ხელი, საჭმელს ჩვეულებრივ გულიანად, მარჯვედ ამზადებდა, ხოლო დღის მეორე ნახევარში გატაცებით ხატავდა.

ბოლოს ტობიმ მაინც მისწერა წერილი მეიზის. წერილს იწყებდა ჩვეულებრივ მიმართვით — „გოგონი“, შემდეგ სწერდა: ამ დღეებში ლონდონის გაღერების



მფლობელი გვესტუმრა, დედა ისევ გატაცებით მუშაობსო. „ჩემის აზრით, ძალიან კარგი ნახატებია. მე ბევრს ვმეცადინეობ, როგორც გამგონე ბიჭი. ძალიან მომენატრე“.

მეიზის წერილი ასე იწყებოდა: ჩემო საყვარელო ტობი, ძალიან გამიხარდა, ახალი ამბები რომ შემატყობინე, განსაკუთრებით მისის რობერტსის შესახებ. ძალე არდადეგები დამთავრდება და პირადად შენგან მოვინახულებ ნარჩენ წერილმანებსო. „მე თავს არ გაბეზრებდი, არ გეპატიებოდი ჩვენთან, რადგან ვიცი, რა შეუვალი ხარ და არ გიყვარს, როცა გულს გიწყალებენ. არ მინდა რაიმეაი შეგაწუხო. მაგრამ რა ვქნა, მეც ძალიან მომენატრე. ცოტა ხანილა დაგვრჩა, არა“

ტობის წერილი ასე თავდებოდა: „ნახვამდის ტობი“, მეიზისა: „სამუდამოდ შენი მეიზი“.

რატომ სწერს მეიზი, რომ არ უნდა შეაწუხო? ტობიმ ყურადღება დაძაბა. ნუთუ მიხვდა, რომ ტობის სუგნებულად შორს უჭირავს თავი? მეიზის „ანტენა“ მგრძნობიარეა. ეს რამდენჯერმე შეამჩნია ტობიმ. საერთოდ, სჯობს არ შეაწუხო, რაც უფრო მეტად შეაწუხებს, მით უფრო დაახლოვდებიან, ტობი კი ამისათვის არ არის მზად. აბეზარობა მეიზისაგან არასოდეს უგრძნია, თუ არ ჩავთვლით მისის რობერტსის საქმეებში ჩარევას, მაგრამ როცა ხუდავს, დედა რა გახარებულა, ამისათვის მხოლოდ მაღლიერი უნდა იყოს მისი. ყველაზე კარგი იქნება, თუ მეიზი ადრინდელ სიმშვიდეს შეინარჩუნებს. მისი უშფოთველობა ხომ ყველაზე მეტად ხიბლავს ტობის!..

ტობი კუმბრიჯში დაბრუნდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე დედასთან ლონდონის ერთ-ერთი გალერეის მფლობელი მივიდოდა. მეიზი არ დახვდა სადგურში და ტობიმ იმავე საღამოს დაურეკა. მეიზი ძალიან ხალისიანად ულაპარაკებოდა, მაგრამ რაღაც მეტისმეტად უღარდელად. არა, ორ დღეში ვერ შეგზვდები, ძალიან მიშვებულნი მაქვს მეცადინეობა, გასული ტრიმესტრიდან რაღაცები გადმომყვა, და ფილოლოგი-სტუდენტების ხელმძღვანელი ჩემით მაინცდამაინც არ არის კმაყოფილიო.

— არ მინდა დედას შერცხვეს, როცა გამოცდების შედეგებს გამოაცხადებენ.

— დედას არ შეარცხვენ, გოგონი, შენ ხომ ძალიან ჭკვიანი ხარ. შაბათზე რას იტყვი? ოთხ საათზე „ჭირვეულში“, კარგი?

ორი დღის შემდეგ უჩვეულო რამ მოხდა: ტობის დედამ დაურეკა, მამის კოსკიდან ურეკავდა და ისე ნერვიულობდა, რომ ტობი ყოველ სიტყვას ამეორებინებდა. დედა კი ატყობინებდა: ჩემი გამოფენა მოეწყობა ლონდონში, პატარა, თალიან გალერეაში პიკადილის მახლობლად. ამ გალერეის პატრონმა მომაკითხა და ძალიან შემიქო სურათები, თანაც მითხრა, გაყიდული სურათების ფულიდან ოც პროცენტს მე ვიტოვებო.

— ასი აილოს, ჩემთვის სულერთია, ოღონდ სურათები გამოფინოს, — უთხრა ტობიმ.

— გამოფენა ივლისშია, ისე რომ, უამრავი დრო მაქვს სამუშაოდ. პო, ტობი, იცი, კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ორი წერილი მივიღე, სულ უცნობი ადამიანებისაგან, სურათების ყიდვა უნდათ, მისტერ დრიფილდმა გადმომიგზავნა ეს წერილები.

— რა შესანიშნავი დედა მყავს. გადასარევი. გილოცავ და ჯანმრთელობას გისურვებ.



— გუშინ გამოგვცხადა რეპორტიორი, რაღაცას ყნოსავდა, ზვერაუდა, მაგრამ მაინცდამაინც გული არ გადამიხსნია. მამას კიოსკიც იცის, შენს შესახებაც იცის რაღაცები.

— ეგ დიდ უბედურებად არ მიმაჩნია, — ცოტა არ იყოს არიგულწრფელად უპასუხა ტობიმ.

ტობისთან მოსული მეიზი ძალიან გაახარა ახალმშობლებმა ეტყობოდა, რომ ბედნიერი იყო, ტობი ასეთი გახარებული რომ წახს—მსგნსმ ასევე უღარდელად ლაპარაკობდა, და როცა ტობიმ აკოცა, მეიზი ოდნავ შეეხო ტუჩებით.

ერთხანს ფანჯრის რაფაზე ისხდნენ და ეზოს გადაჰყურებდნენ — წაბლის ხეებმა ახლახან აღმართეს თავიანთი სანთლები, ზოგი თაფლისფერი იყო, ზოგი წითელი და ოქროსფერი წინწყლებით დაფარული. ეზოში ბობი და რიტა შემოვიდნენ, რიტას უკვე დასტყობოდა მუცელი. მალე კიბეზე გაისმა მათი ფეხის ხმა, მაგრამ ქვედა სართულზე შეწყდა.

— წამო ჩაის დასალევად წავიდეთ, სანამ აქ არ გამოუჭერივართ, — შესთავაზა ტობიმ.

კიბეზე რომ ჩავიდნენ, ბობის ოთახთან გაიარეს, კარი გამოღებული იყო და ქალის ისტერიული ყვირილი გაიგონეს:

— ნამდვილი ღორი ხარ, ღორი! ლამის შენს დაწყველილ ლაბორატორიაში ათენ-ალამებ, მე კი მარტო ვარ, მარტოკა, მარტოკა, ყოველ საღამოს! ზოგჯერ მგონია, ჭკუაზე შევიშლები.

— გეყოფა ახლა, რიტ! — და კარი ხმაურით მიკეტეს.

მეიზის და ტობის კრინტი არ დაუძრავთ, სანამ ეზოში არ გავიდნენ. აქ კი მეიზიმ თქვა:

— დმერთო ჩემო, მაშ, ასეთი ურთიერთობა აქვთ?...

როცა დიდებულ კინგს-პერჩიდზე მიდიოდნენ, მეიზიმ დარცხენილად უთხრა, რომ ამანდამ გადაწყვიტა ჰედისდონში ეზვიმათ გამოსაშვები გამოცდების დამთავრება, სანამ შედეგებს გამოაცხადებდნენ.

— დმერთო ჩემო, რა ვიცით, იქნებ საზეიმოდ არაფერი იყოს.

— საქმეც ეს არის, — თავისას არ იშლიდა მეიზი, — დედა ამბობს: როცა შედეგები გეცოდინებათ, იქნებ ზეიმი მხიარული არც გამოვიდეს, ხოლო სანამ არაფერი იცით, შეგიძლიათ უღარდელები იყოთო. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივია, მაგრამ არც დედაა ჩვეულებრივი ქალი.

— არა მგონია, უღარდელები ვიყოთ, — თქვა ტობიმ, მაგრამ ჰედისდონში მიპატიჟება ძალიან გაუხარდა.

— ამჯერად შეგიძლია ღამეც დარჩე ჩვენთან, დარჩები?

— რა თქმა უნდა, სასიამოვნო პერსპექტივაა.

ჩაის შემდეგ კემის ნაპირას გავიდნენ სასეირნოდ. მშვენიერი ამინდი იდგა, დაბერილი კვირტები, ეტყობოდა, მალე გაიშლებოდნენ. ტობიმ მეიზის წელზე შემოხვია ხელი.

— არ გინდა, გარშემო იმდენი ჯაშუშია.

— განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— მგონი, აქვს.

— ტობი თავისთავს ეკითხებოდა, რას ფიქრობდა ამ დროს მეიზი, და თვითონვე პასუხობდა, თან გრძნობდა, რომ უხეშად, მარტივად მსჯელობდა:



მეიზი რატომღაც ერიდება, თუმცა სინამდვილეში არ უნდა ეს. მაშ, რა მიზნით? იმიტომ რომ უფრო მიიზიდოს ტობი? თუ ასეა, გაუმართლა კიდეც — ტობი მართლაც გატაცებულია.

გამოცდებამდე დარჩენილ რამდენიმე კვირას ტობი არ შეხვედრია მეიზის. ალბათ წიგნებს უკირკიტებს, ცდილობს გაცდენილი ანაზღაუროსო, ფიქრობდა ტობი.

გამოცდებამდე ტობი ლამის შოკში იყო, ისე ეშინოდა, თითქოს გამოცდება მისთვის უცხო და გაუგებარ ტაის ან არამეულ ენაზე უნდა ჩაებარებინა, მაგრამ პირველივე გამოცდაზე მოერია შიშს: მას შესთავაზეს, სამი კითხვა თვითონვე ამოერჩია, და აღმოჩნდა, რომ ამ კითხვებზე საკმაოდ კარგად შეეძლო ეპასუხა. მაშ, მოლად წყალწაღებული სტუდენტი არა ყოფილა; გამოსაშვები გამოცდები სიამოვნებასაც კი ჰკვირის, თუმცა წარსულში ბრწყინვალედ არ აბარებდა გამოცდებს. შემდეგ დღეებში ტობი ბევრითად წერდა წერით გამოცდებზე, ბევრს სეირნობდა, ადრე წვებოდა და არ ფაციფუცობდა: სიკვდილის წინ ჰაერით მაინც ვერ გაძლები. როცა ძნელი გამოცდები მოათავა, მან უკვე იცოდა, რომ ნაღდი შანსი ჰქონდა „მეორე-ერთი“ დიპლომი მიეღო. სანამ შედეგები არ გამოცხადდებოდა, ლონდონში დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა, თანაც ჰედისდონში უნდა წასულიყო.

...სედბერიში მეიზი დახვდა და გზაში ტობიმ ჰკითხა, როგორ ჩააბარე გამოცდებიო.

— მგონი, არც ისე ცუდად. ლორენსი შემხვდა, მგონი, კარგად დავწერე.

— თუ ვერ დაწერე კარგად, ეს ზოგ-ზოგის ბრალი იქნება, — ჩაიცინა ტობიმ. თუმცა გაზაფხული ძალიან გაგრძელდა და არც მაინცდამაინც თბილი იყო, იმ დღეს მშვენიერი ამინდი იდგა.

— დღეს დედას შეუძლია ბაღში გამართოს მიღება, — თქვა მეიზიმ. — იცი, თუ ხერესი არ გიყვარს, ნუ დალევ. წინა ჩამოსვლაზე შევაშინე, როგორ დაიჭყანე. რასაც მოისურვებ, ყველა სასმელი გვაქვს.

ბოლოს ჰედისდონიც გამოჩნდა. ტობი ჩუმოდნით ხელში შინ შეჰყვია მეიზის, იქ არავინ დახვდათ.

— ყველანი ბაღში არიან, — აუხსნა მეიზიმ, — შენს ოთახამდე მიგაცილებ, როგორც კი მზად იქნები, ჩამოდი.

ძალიან სასიამოვნო პატარა საძინებელი ოთახი იყო; ტობის არასოდეს ენახა ასეთი მშვენიერი ოთახი, არასოდეს უძინია გავალაკის ქვეშ. სააბაზანოც აქვე იყო.

— ახლა დაგტოვებ, — უთხრა მეიზიმ, როცა ტობიმ აკოცა მადლიერების ნიშნად. — ოღონდ დიდხანს არ გვალოდინო.

მაგრამ ტობი ერთი წუთით მაინც დაწვა ლოჯინზე და ყვავილებით ძოჩითული, მოვარდისფრო-მწვანე გავალაკი შეათვალიერა. ფანჯრის იქით მაისის ნიავი ოდნავ არხევდა ხის ტოტებს და ფოთლებში ოქროსფერი სინათლე განოსჭვიოდა. სადღაც პატარა ტერციებით იძახდა გუგული.

1. ინგლისურ უნივერსიტეტებში წარმატებულ დიპლომს უწოდებენ პირველი ხარისხის დიპლომს (მოკლედ — „პირველი“), მეორე მოდის მეორე ხარისხის დიპლომი (მოკლედ — „მეორე“). მას აქვს ორი კატეგორია: მაღალი (მოკლ. „მეორე-ერთი“) და დაბალი (მოკლ. „მეორე-ორი“).



მთელი დღე უძიებოდ იძახის გუგულა  
თავის მწვანე სახლში მარტოდმარტოკა...

გაახსენდა ტობის და გაიფიქრა: განა უცნაური არ არის, ოც წელს გადაცილებულ ყმაწვილს რომ ადაფრთოვანებს ჰაუსმანის, ამ ჰირქუში პროეტის ლექსები, რომელთა ტრადიციული თემებია თვითმკვლელობა და სიკვდილი.

ტობი ადგა, ლოვინი გაასწორა, ჩემოდნიდან ამოიღო ტანსაცმელი. გზაში ხალვათად ეცვა — ჯინსები და ბამბის ქსოვილის ტენისურა. მაგრამ ლურჯი კოსტიუმიც წამოიღო, დარწმუნებული იყო, რომ კოსტიუმი უნდა სცმოდა სადილზე. მერე ხელები დაიბანა და ნიკაპზე დინლლი მოიპარსა. თუ სურვილი ექნება, იქნებ ხშირი, მოწითალო წვერიც გაიხარდოს...

ქვემოთ, კართან მუიზი ელოდა.

— რას აკეთებდი ამდენ ხანს? ოცნებობდი?

ტობიმ გაუღიმა.

— გამოდო რა ბადში... — უთხრა მუიზიმ.

— ო, მოდ, — აიტაცა ტობიმ.

10

ტობის მზე თვალებს სჭრიდა და მოეჩვენა, რომ ზიზილებით მოფენილ მდელოზე, რომლის მოთიბვა ამანდამ არ მოინდომა, ოცი-ოცდაათი ადამიანი მაინც იმყოფებოდა. მერე კი ნახა, რომ მხოლოდ ათამდე ადამიანი იყო. და მაინც, ცოტა არ იყოს, შეკრთა, რაც მას არა სჩვეოდა.

ამანდას ჯუბას<sup>1</sup> ტობის კაბა ეცვა, რომელშიც მეწამული და ნარინჯისფერი სჭარბობდა, და იჯდა თავისი ამალით გარშემორტყმული. მზის სინათლეზე მის სახის კანს ამკარად ეტყობოდა მსხვილი ფორები და ყოველ მათგანში პაწაწინა წერტილი ოქროსფერად ბრწყინავდა.

— მოდით ტობი, დაჯექით და წამში გაგაცნობთ ყველას, ვისაც არ იცნობთ. — ზოგს მართლაც არ იცნობდა ტობი, მაგრამ ნაცნობებიც იყვნენ: კრინი, კოკსონი, და კრიტიკოსი პოლიკი, რომლის დანახვაზე ტობი უდიდესი მაღლიერების გრძნობამ მოიცვა. — უპირველესად მაინტერესებს, როგორ ჩააბარეთ გამოცდები. მაგრამ იცოდეთ, დღეს იმას კი არ ვილოცავთ, როგორ ჩააბარეთ, არამედ გვინდა გამოცდების დამთავრება ვიზეიმოთ, რაც თქვენ აღბათ ძალიან გიხარიათ.

ტობიმ უპასუხა, მჯონი, რიგიანად ჩავაბარეთ, და დაუმატა:

— სჯობს ასე ეთქვა: იმედი მაქვს, უხარისხოდ არ დავრჩები.

ამანდას უნდობლად აღმოხდა:

— ჰმ! თქვენ ბრწყინვალედ ჩააბარეთ. თვალებს ნე მიხვევთ. თქვენი საყვარელი დედა როგორ არის? იმედი მქონდა თქვენთან ერთად ჩამოვიდოდა აქ, მაგრამ მას ხომ ვერ გამოიტყუებ სოროდან.

ტობის უცებ წარმოუდგა თვალწინ: დედა მუღაა და სოროშია მიმაღული.

1. ბოლო ორი რეპლიკა სტროფია ალფრედ ტენისონის (1809-1892) პოემიდან „მოდ.“

1. მაკმადიანების ტანსაცმელი, განიერი წამოსასხამი ხალათი.



ტობი მიესალმა კრეინს, პოლოკს, ეიდრიანს, მერე კი დანარჩენებს წარუდგინეს. ზოგიერთის სახელი ვერც კი გაიგონა წესიერად, მაგრამ რამდენიმე სახე ნაცნობი იყო: სახელგანთქმული შუახნის პოეტი, ახალგაზრდა რომანისტი ქალი, რომელმაც ბოლო დროს სახელი გაითქვა, მესამე ხარისხის მსახიობი, რომელიც ჩვეულებრივ უტიფარ ტიპებს თამაშობდა.

ამ მოუთიბავი ბალახის ზემოთ დიდებულ კედარს განერთხოვდა და დაეკავდა მასში, ნრავალფერი ტოტები. კუნელი უკვე ყვაოდა წითლად და უფრო მდებარე მსახური გამოჩნდა, ლანგარით სასმელები მოჰქონდა, სტუმრებს ჩამოუარა.

— გმადლობთ, თუ შეიძლება შოტლანდიური ვისკი, გაზავებული, — თამამად სთხოვა ტობიმ.

— ხედავ? — შესძახა დედას მეიზიმ. — ხომ გეუბნებოდი!

— არა, მართალი გითხრათ... — დაიწყო ტობიმ, მაგრამ ამანდამ ყური არ ათხოვა.

— ნუ იჩქარებთ, — მიმართა მან სტუმრებს, — დღეს ლენჩზე ცხელი კერძები არა გვაქვს, მაგრამ რაც იქნება, იმედი მაქვს, გემრიელი იქნება. ლენჩის შემდეგ პიტერი თავისი ახალი წიგნიდან ერთ თავს წავგვიკითხავს. ედუარდი კი ალბათ თავისი პიესის პირველ მოქმედებას.

— ედუარდი ალბათ არაფერს წაიკითხავს, — უპასუხა კრეინმა. — მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივსა გცემთ, ამანდა, სულ არ მეხერხება გამოთქმით კითხვა. საერთოდ, დროა იცოდეთ, რომ თან არ დავათრევ ჩემს ნაწერებს.

ამანდამ მხრები აიჩეჩა, ტობისკენ შებრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ არ მოგუნატრებათ კემბრიჯი? ალბათ ძალიან შეუჩვიეთ?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, — უპასუხა ტობიმ (დღეს უფრო მეტს ლაპარაკობდა). — იქ ბევრი მეგობარი არა მყოლია: ეიდრიანი და კიდევ ორისამი კაცი. არც სტუდენტურ ცხოვრებაში მიმიღია მონაწილეობა. ზოგჯერ იქ პარიედაც ვგრძნობდი თავს.

ამანდამ მაშინვე შეუსწორა, თუმცა ძალიან აღერსიანად, ყველაზე უფრო ჭკუის სწავლება ეჯავრებოდა:

— პარია, ძვირფასო. მაგრამ არ მესმის, რატომ გქონდათ ასეთი გრძნობა.

ტობი წამოჭარხლდა — სახე და კისერი აუნთო. ფიქრობდა, სჯობს მაშაკაცთან წავისწრონ ლოგინში (თუმცა არასოდეს ჰქონია ასეთი მიდრეკილება), ვიდრე საზოგადოებაში შეცდომით თქვა რამეო. ამიტომაც ყველგან თან დაჰქონდა ლექსიკონი.

— ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ შეცდომას წამოაფრანტალებს კაცი, — უპასუხა მან ბუნდოვნად. ეგონა, გულში ყველანი დამცინიანო: კრეინი, კოკსონი, რომელიც რგოლებიან გველსა ჰგავდა, და ეიდრიანიც.

სხვა რამეზე რომ გადაეტანა ყურადღება, ტობიმ მეიზის დაუწყო დაუინებოთ ყურება, რომელიც ის იყო გვერდით მიუჯდა, და პირველად ნათლად დაინახა, რა ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა. აქამდე არ მიუქცევია ამისათვის ყურადღება. მეიზის შავი ქვედა კაბა ეცვა, ქვევით დავიწროებული, და გასაოცარი ბლუზა: თეთრი აბრეშუმისა, მაქმანით გაწყობილი, მაღალი საყველო შავი ქარვის დიდი გულსაბნევით ჰქონდა შეკრული. მეიზი თითქოს ვერავის ამჩნევდა ტობის გარდა, და ყმაწვილისთვის აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, რომ ქალიშვილი ახლა მის შეცდომაზე ფიქრობდა.



სწორედ ამ დროს, მათი ყურადღება ახალმა სტუმარმა მიიქცია.

სახლიდან გამოვიდა მაღალი, ჯან-ღონით სავსე ქალიშვილი, რომელსაც თეთრი ბლუზა და ყაუისფერი საცხენოსნო შარვალი ეცვა, ღია ფურის ომა კეფაზე ცხენის კუდივით ჰქონდა შეკრული.

— საღამო ყველას!

— ბუდაური სადღაა? — წამოიძახა ამანდამ.

— ბუდაური არ არის. ამ ტანსაცმლით ცხენის მოსახერხებელია სიარული.

ესა თქვა და მდებლობა გაიარა, თან ზიზილებს თელავდა ფეხსაცმლით.

— მუონი, ყველას იცნობ, — უთხრა ამანდამ, როცა ქალიშვილმა მას, მეიზის, ეღუარდს აკოცა და სხვებსაც მიესალმა, — გარდა ტობი რობერტისა. ტობი, ეს კლერ ფოლზია.

ტობი ადრევე მიხვდა ვინც იყო.

ქალიშვილი ტობის გვერდით მიწაზე დაუბერტყა.

— ყველაფერი ვიცი თქვენი გასაოცარი დედის შესახებ. მწყინს, რომ გამოფენაზე არ ვიყავი. მამა კი იყო.

ტობიმ ვულში გაიფიქრა: გამომწვევი სილამაზის გოგოა, ჯიშთან ცხენსა ჰგავს. თხელი ცხვირი, ძალიან გრძელი ნიკაპი და მეიზიზე უფრო ღია ცისფერი თვალები აქვსო.

— თქვენც უნივერსიტეტში სწავლობთ? — ჰკითხა ტობიმ, რათა საუბარი არ გაეწყვიტა.

— მე? ვეგ საჩემო არ არის, ძალიან გონებაჩლუნგი ვარ. შვეიცარიაში ვსწავლობდი, გოგონების სკოლაში; იქ, როგორც იტყვიან, დამტუქსეს და დავაღწიე კიდევ თავი იქაურობას. სწორედ რომ დავაღწიე. ახლა კი ცოტ-ცოტას ვიქექები რაღაც სიძველეებში. ეს არის და ეს.

ამ დროს მეიზიმ რაღაც უთხრა, ტობის, მაგრამ იგი ნათქვამის აზრს ვერ ჩასწვდა, ოდნავ გადმოკარკლული ცისფერი თვალების ჰიპნოზი ჯერ არ გამქრალიყო.

— რაღაც მითხარი, გოგონი?

— არა, არაფერი.

ტობის არ გამოპარვია, რომ მეიზის სახეზე გაკვირვება გამოეხატა

— ეღუარდის შესახებ გეუბნებოდი. არ მესმის, რატომ იჩენს ასეთ თავმდაბლობას, — მეიზი ლაღად წამოდგა. — დიდხანს ვერ დავჯდები, უნდა ვიტ-რიოლო. — კრეინთან მივიდა და მის გვერდით დაჯდა ბალახზე.

კლერმა კიდევ ერთი მარტინის მოტანა ითხოვა. ეტყობა, უყვარდა გადაკვრა.

მაღე მდებლობა გამოვიდა მოახლე და ამანდას დახმარებით ბალახზე დიდი სუფრა გაფინა. მერე ბოკალები, სირჩები და ვერცხლეული დააწყო. ამის შემდეგ სახლსა და მდებლობის შორის მიდი-მოდითა ლაქია და ხან ერთ ლანგარს გამოიტანდა, ხან მეორეს.

— დღეს უბრალო კერძები გვაქვს, სოფლური, — განაცხადა ამანდამ. — თუ ვინმეს რბილი ადგილი დაუბუჟდა, ვ მოიტანოს სახლიდან ბალიში.

მაგრამ სტუმრების წინ დაწყობილი კერძები სულაც არა ჰგავდა სოფ-ლურს: ლანგარზე მომადლოდ იდო ბატის ღვიძლის სუფლე, საღათი ასთა-



კვებით — დიდ, წვნიან ფოთლებზე დაწყობილი მოწი, მარჯანი და სადაფი. კიდევ სხვადასხვა სალათები, შემწვარი ქათმები, რაღაც ძალიან მაღალი ლეკუზელი, სამი უცნაურად მორთული, ოქროსფერ ცხიმგადასმული პუდინგი, შამპანურიც მოართვეს, ტობის მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს საზეიმო ცერემონიალის აუცილებელი ატრიბუტა იყო.

მეიზი ისევ ტობისთან მივიდა და გვერდით მიუჯდა, მაგრამ მკვრივად მიუყვამოდა იყო: ტობის მეორე მხარეს ხომ ისევ კლერი იჯდა.

— პირველი ჭიქით ტობი და მეიზი უნდა ვადღეგრძელოთ, — განაცხადა ამანდამ, — წარმატებებს ვუსურვებ! მაგრამ დღეს წარმატებას არ ვულოცავთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გამოცდები დამთავრდა.

ლენჩის შემდეგ, როცა სტუმრებმა სასიამოვნო მაძღრობა იგრძნეს და სიგარეტის წევას მოჰყვნენ, პიტერ კოკსონს სთხოვეს თავისი წიგნიდან ერთი თავი წაეკითხა, რასაც ადრე შეპირდა მასპინძელს. ტობის არ მოეწონა: რაღაც წარმოუდგენელი ნარევი იყო ვირჯინია ვულფისა და კაფკასი. საკმაოდ უსიამოვნო გმირის სახელი უბრალოდ ლიტერ „ს“-ით იყო მოცემული. რომანისტს, თუმცა შესახედავად ნატიფი ჩანდა, მოულოდნელად ბოხი ხმა აღმოაჩნდა, და აშკარად ტკბებოდა თავისი ხმით. სანამ კითხულობდა, ტობის ხელი მეიზის ხელზე ედო. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მისგან დავალებული იყო.

— შესანიშნავია! — განაცხადა ამანდამ, როცა კოკსონი კითხვას მორჩა, — თავისებური, არავის არა ჰგავს. (ძალიანაც ჰგავს!) ახლა ყავა დავლიოთ, მერე გასეირნება მოვიწყობთ, თორემ ალბათ ფეხები დაგიბუყდათ. ხომ გითხარით, ბალიშები გამოიტანეთ-მეთქი.

გემრიელი კერძების უგემური ნარჩენები მალე გაიტანეს.

— ერთად გავისეირნოთ, პიტერ — მეიზიმ ხალისიანად უთხრა კოკსონს. — მიხდა თქვენს წიგნზე გელაპარაკოთ. მოწონებით მომეწონა, მაგრამ შემაფიქრინა.

— სწორედ ამაზეა გამიზნული, — ბუნდოვნად უპასუხა ავტორმა.

ტობისთან მოულოდნელად კლერი მივიდა:

— ნაკადულისკენ გავისეირნოთ.

ტობიმ არც კი იცოდა, რომ ჰედისდონში ნაკადული იყო, არადა აღმოჩნდა, რომ მართლაც ყოფილა ბაღის ბოლოში — წყალმარჩხი, გამჭვირვალე ნაკადული მოჩუხჩუხებს ბაიებსა და ზამბახებს შორის და კენჭებს აჩხრიალებს. ფსკერი ხავერდოვანი აქვს.

— ეს ნაკადული, რა თქმა უნდა, ხელოვნურია, — თქვა კლერმა. — წარმოდგენა არა მაქვს, როგორ აკეთებენ ხელოვნურ ნაკადულებს, ამანდამ კი როგორღაც მოახერხა. საოცარი ქალია, არა?

ტობი დაეთანხმა: დიახ, მართლაც საოცარიყო.

— მეიზიც გასაოცარია, — დაუმატა კლერმა. — განა მან არ მოგიწყობთ გამოფენა? მაშამ ასე მითხრა.

ტობის ფიქრი ღორღ ლენჩეიმს მისწვდა. სავაჭრო ბანკის დირექტორი. ჩინებულად ეღერს. ტობისთვის თუ იქნებოდა ასეთი კარიერა შესაფერისი? ნუტა აუცილებელია კარგად ერკვეოდე ციფრებში? სკოლაში მათემატიკაში მოისუსტებდა. ტელეფონის წიგნში ამოკითხულ ნომერსაც ვერ იმახსოვრებდა, აკრეფავდა და ისევ წიგნში იხედებოდა. პაემანს რომ დაუნიშნავდნენ, დღესა და საათს გაჭირვებით იმახსოვრებდა.

— დიახ, მან.



— შეხედეთ, ჩხვლეტია! — კლერი ნაკადულთან ჩაცუცქდა. — ოდესღაც ჩხვლეტიებს შურაბის ქილით ვიჭერდი, მაგრამ მერე ესევე წყალში ჩაუშვებდი ხოლმე.

სტუმრები თანდათან ბრუნდებოდნენ და კედარის ძარში ჩხვებოდნენ.

— მოდი, ძველისძველი თამაში ვითამაშოთ, — შესთავაზა სტუმრებს ამანდამ. — მწერლებზე. ყოველმა ჩვენგანმა უნდა დაასახელოს მწერალი, რომლის გვარი „ა“-ზე იწყება. ასო „ბ“-ზე უფრო ბევრი გვარია, ესეც უნდა შევადგება.

ჩაის დალევამდე თამაშობდნენ. ჩაის შემდეგ სტუმრები ერთმანეთის მიყოლებით წავიდნენ, და ბოლოს ტობი, კლერი და ედუარდ კრეინი დარჩნენ.

— კლერ, სადილად დარჩები? — ჰკითხა ამანდამ.

— ნამდვილად არ შემიძლია, მადლობელი ვარ. დედას სტუმრები ჰყავს.

— მე კი აქ გავათევ ღამეს, — თქვა ედუარდმა. — თუ გინდათ, ტობი, ხვალ კემბრიჯში ჩავიყვანთ. საქმე მაქვს იქ.

ტობიმ მადლობა გადაუხადა და დაეთანხმა, თუმცა იცოდა, მეიზის ვული დასწყდებოდა, მას ალბათ უნდოდა თვითონ წაეყვანა ტობი სადგურამდე. წელან, ლენჩის დროს რომ უსაზღვრო გაოცება გაკრთა მეიზის სახეზე, ახლა იმის კვალიც არ ემჩნეოდა. ძალიან მშვიდად, ბუნებრივად ეჭირა თავი.

კლერმა ერთი ჭიქა ღვინო კიდევ დალია და თქვა: ახლა კი ნამდვილად ჩემი წასვლის დროაო. მერე ტობის მიმართა:

— გაზეთებს მივაღვევებ თვალს და გავიგებ, როგორ დაამთავრეთ თქვენ და მეიზიმ. ქალი არ ვიცი, თუ არ მივაგნო თქვენს შედეგებს.

კლერი ყველას გამოემშვიდობა. სანამ ქალიშვილი სახლამდე მივიდოდა, ტობი გაჰყურებდა მის ძლიერ, თითქოს რკინის ზურგს.

— სანდომიანი ქალიშვილია, — თქვა ამანდამ. — არც ლიტერატურული, არც მხატვრული ნიჭი არა აქვს, მაგრამ რომ შეხედავ, თითქოს სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო. ჩვენთან შინაურულად არის, როცა მოუნდება, მაშინ მოვა ხოლმე. იცით, ხელფეხშეკრული კია. მოირა ისეთი ზარმაცია, რომ იდრისის სტუმრებს კლერი მასპინძლობს, მისი ძმა კი საზღვარგარეთ არის, საოკუპაციო ჯარში, და კლერმა ითავა მამის მოვლა, თუმცა, ჩვენს შორის იყოს და, მაინცდამაინც არ ეპიტნავენა.

სადამომ მშვიდად ჩაიარა, არაფერი არ უთამაშიათ. ედუარდი თავის პიესის შესახებ უამბობდა მათ.

— როდის გავა? — მოუთმენლად ჰკითხა ტობიმ.

ედუარდმა ჩაიცინა.

— არასოდეს ასე არ ჰკითხოთ დრამატურგს. რადგან სულაც არ უნდა, რომ მისი პიესა „გაეიდეს“ ან „გადადგეს“. უნდა ჰკითხოთ: „როდის დაიდგმება“?

— ეს რა სისულელე წამოვროშე. მე ვგულისხმობდი — მომზადების ყველა ეტაპს გაივლის და დაიდგმება-მეთქი. არა, ნამდვილად ჩერჩეტი ვარ.

— ვითომ? — ედუარდმა პირდაპირ თვალეში შეხედა, — მე კი ვერ ვიფიქრებდი.

მსუბუქი სადილი იყო და ტობის ესიაძონა, ლენჩის შემდეგ არც კი ზოშივებია. სადილს რომ მოარჩნენ, მოიტანეს ფირფიტების საკრავი და დე ბიუსის „სიხარულის კუნძულს“ უსმენდნენ. მეიზი თურქულად იჯდა იატაკზე და თითქოს გატაცებული იყო მუსიკით. როცა ფირფიტა გათავდა, ამანდამ თქვა:



— უნდა გამოვტყდე, სულ მოვითენთ სუფთა ჰაერზე. მაპატიეთ, მაგრამ ალბათ სჯობს დასაძინებლად წავიდე. ოღონდ თქვენ არ იჩქაროთ, დალიეთ კიდეც. ტობი, ჩვენთან საუზმობა ათი საათიდან როცა მოგესურვებათ, მაშინ შეგიძლიათ. სანამ დაწვებოდეთ, უთხარით მზე ქალს, რა მოგაროვან დილით ლოგინში.

და ამანდა ჯუბის ფრიალით წავიგმანდა თავისი ოთახისაკენ. ეღუარდმა მაშინვე მეიზის გაუბა საუბარი, ეტყობოდა, ძალბანს უყვანს. კითხვა, როგორ არიანო ესა და ეს? (მან მეიზის მეგობრების სახელები ას-სენა, რომლებსაც ტობი არ იცნობდა.) რის გაკეთებას აპირებო ახლა?

მეიზიმ უპასუხა: წარმოდგენაც არა მაქვსო.

— სამაგიეროდ ვიცი, ამ წუთში რას გააკეთებ. დედას მივბაძავ და დასაძინებლად წავალ. ღამე მშვიდობისა.

— ძილი ნებისა, გოგონი, — თამამად უთხრა ტობიმ, თუმცა მარტო არ იყვნენ. და მეიზის თვალები გაუბრწყინდა.

— რა მომხიბვლელი გოგონაა, — თქვა ეღუარდმა, როცა მეიზი წავიდა. — ოცდახუთი წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, გაგიჟებით შემიყვარდებოდა. ახლაც გავბედავდი, მაგრამ მეშინია, სასაცილო არ გავხდე. მამაკაცს, რა ხნისაც არ უნდა იყოს, შეუძლია გატაცება, თუმცა, თქვენ ალბათ გგონიათ, რომ ორმოცი წლის მამაკაცი კარგავს ამ თვისებას. თქვენი ხნისა რომ ვიყავი, მეც ასე ვფიქრობდი.

— მეიზი მშვენიერია.

— ღიახ, მშვენიერია, — დაუღასტურა კრეინმა ძალიან სერიოზულად და გაჩუმდა. თითო ჭიქა ვისკი კიდეც დალიეს და თავ-თავიანთი ოთახებისკენ გაემართნენ. ტობიმ წიგნიც თან წაიღო, იფიქრა, უცებ ვერ დავიძინებო.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კარზე მორიდებულად დააკაკუნეს და მაშინვე მეიზი შევიდა. ხალათი ეცვა. წამოჭარხლებულ სახეზე აღელვება და გამბედაობა ეტყობოდა.

— ა-ა, გოგონის გაუმარჯოს! — წამოიძახა ტობიმ, თავი მოიკატუნა, ვითომც მისი მისვლა რაღაც განსაკუთრებული რამ არ იყო.

— შშშ, ჩუმად, ცუდია, რომ შემოვედი?

— რას ამბობ?

მეიზი მისი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— მისძინე, მინდა მოგელაპარაკო, დრო კი ცოტა მაქვს. ვინდა შენი გავხდე? იმიტომ რო, თუ პო... მე ვიფიქრე: ალბათ, ამ ბოლო დროს იმიტომ ხარ ასეთი უცნაური, თითქოს ათასი მილით იყო ჩემგან დაშორებული. იქნებ, ფიქრობ, რომ გულცივი ვარ, მაგრამ გეფიცები, არა ვარ ასეთი. ვინდა შენი გავხდე?

მეიზის მთელი სხეული უცახცახებდა.

ტობის, რა თქმა უნდა, უნდოდა. რამდენიმე თვე იყო შემთხვევითი კავშირიც არა ჰქონია არავისთან. და მაინც ეშინოდა: მეიზისთვის ხომ ის პირველი მამაკაცი იქნებოდა, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ტობიმ ალერსიანად ჩამოუსვა ზურგზე ხელი, მეიზი დამფრთხალი ცხენივით შეტოკდა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ შენ მტკიცედ გადაწყვიტე?

— თუ შენ გადაწყვიტე, მაშინ — მეც.



მეიზი გადაიხარა და საწოლის ზემოთ ნათურა ჩააქრო. ფარდებს შორის მთვარის შუქი შეძლიოდა და ტობიმ დაინახა, რომ მეიზიმ ხალათი გაიხადა, შერე პერანგიც. რა მშვენიერია, საოცრებაა პირდაპირი — გულცი გამალებით აუძგერდა ტობის.

— მოდი ჩემთან, — ტობიმ საბანი გადასწია. — თორემ გაცვივები.

ტობიმ ჩაიხუტა მეიზი და სიხარულით აევსო გულს. მანვე დროს წინდახედულად ფიქრობდა, როგორ შემოტრიალდებოდა მისთვის ის, რაც ახლა ხდებოდა. განა შეიძლება ამანდას სახლში მოხდეს ეს? ხომ არსებობს მაღლიერების გრძნობა მასპინძლის მიმართ. თუ ეს მოხდა, ხომ არ იქნება საშუალოდ დაბმული? ტობის ტვინი გამალებით მუშაობდა.

— დედაჩემის ოთახი სახლის მეორე ბოლოშია, — წასჩურჩულა მეიზიმ კბილების კაწკაწით.

— შენი?

— შენი ოთახის გვერდით.

ტობის გაუკვირდა, მაგრამ ლოგინშივე დაიწყო პიჟამის გახდა: ცთუნება დიდი იყო. შიშვლები იწვნენ და ვაჟის ოფლი მეიზის ოფლს ერთვოდა.

— დღეს ისე გეჭირა თავი, თითქოს კლერი მოგეწონა. ალბათ გეგონა, მე ვერ გავბედავდი ამის გაკეთებას. კლერს მოეწონე, მე ვიცი.

სისულელეა, გაიფიქრა ტობიმ, მცდარი ტაქტიკაა.

— რა სისულელეა, — თქვა მან ხმაძალდა. მაგრამ ახლა ცდილობდა ერთდროულად დაემშვიდებინა მეიზი და ალეგზნო კიდევ. ძუძუს თავებს უკოცნიდა და გრძნობდა, ქალიშვილს ტალღასავით როგორ გადაურბენდა ხოლმე თრთოლვა. ტობი ნაზად უსვამდა ხელს ხერხემლის ჩაყოლებით. მეიზის სხეულს აყვავებული კუნელის სუნი ასდიოდა.

— მიყვარხარ, მიყვარხარ, — ჩურჩულებდა მეიზი.

ტობი დაეუფლა ქალიშვილს, ტკივილისა და სიხარულის სუსტი წამოძახილი მისწვდა მის ყურს მაშინვე.

— გოგონი, — ასეთ წუთებშიც კი, ტობიმ ჩვეულა, არაფრისმთქმელი სიტყვით მიმართა.

შემდეგ ტობი პირადმა დაწვა და მეიზამ თავი მხარზე დაადო.

მეიზი რომ წავიდა, ტობი შიშმა შეიპყრო და სინათლე აანთო. ზეწარზე მხოლოდ ორი წვეთი სისხლი იყო — არა, ეს არავის დააეჭვებსო, გაიფიქრა. მას უნდოდა ეფიქრა იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ ძილი უფრო მეტად მოედგა, და ამ მეორე სურვილმა სძლია პირველს.

გათენებისას დაფეთებულმა გამოიღვიძა: ეს რა ჩაიდინა! მეიზი ხომ არა ჰგავს იმ გოგონებს, რომლებთანაც დროდადრო დაძვრებოდა მხოლოდ ფინის მოსაკლავად. რატომ მაინცდამაინც მეიზის გვერდით ოთახში დააწვინეს? იქნებ ეს ამანდასთან იყო შეთანხმებული? არა, რა თქმა უნდა, არა. ტობი ხომ ვერაფერს შესთავაზებს მეიზის. მაშ, რა ხდება? ამანდა ყველა სურვილს უსრულებს ქალიშვილს? როგორ შეხედოს მეიზის თვალებში? შვიდ საათამდე ტობი წამდაუწუმ გვერდს იცვლიდა, ბოლოს მკვდარივით დაეძინა და არც გაუღვიძია, სანამ ოთახში მოახლე არ შევიდა ლანგრით ხელში. ამით აგრძნობინეს: ნუ ადგები, აქ ყველა ლოგინში საუზმობსო.



გვანცა ღვინჯილია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბახის პასიონების ისტორიული წანამკვრები

ბაროკოს ეპოქის უდიდესი გერმანული კომპოზიტორის ი. ს. ბახის შემოქმედება, რომელიც გენიალობის ნიშნითაა აღბეჭდილი, თავისი არსით ღრმად რელიგიურია. ეს არც არის შემთხვევითი. ბახისთვის მუსიკა არა მხოლოდ შემოქმედება იყო, არამედ უპირველეს ყოვლისა უფლის განდიდების საშუალება. მთელი ცხოვრების მანძილზე კომპოზიტორი გერმანიის სხვადასხვა ეკლესიებში მოღვაწეობდა და ამდენად ღვთისმსახურებით სულდგმულობდა. ეს კი ქრისტიანული ტემპარიტეტების აჟღერებას განაპირობებდა მუსიკალურ ენაზე კომპოზიტორის დიდსა თუ მცირე ფორმის ნაწარმოებებში, იქნებოდა ეს ფუგები თუ მესები, პარტიტები თუ კანტატები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახარებას მიხედვით დაწერილ თხზულებებს. მაცხოვრის ცხოვრების, მისი მისიის, ჯვარცმისა და ცოდვის გამოსყიდვის იდეის კდმოცემას ბახმა საკუთარი შემოქმედების ცენტრალური ჟანრები — მესები და პასიონები მიუძღვნა. ბახის პასიონები გერმანული პროტესტანტიზმის ტრადიციებზე არის ორიენტირებული, ამიტომ ჰიზანშეწონილია შევეხოთ გერმანული პროტესტანტიზმის მიერ სახარების გაზრების თავისებურებებს. ტრადიციის თანახმად, მაცხოვრის ვნებანი ყოველთვის განიხილებოდა როგორც პირველადი ცოდვის გამოსყიდვის სიმბოლური აქტი, როგორც ახალი ადამიანის დაბადებისათვის აუცილებელი გზა. პროტესტანტებს კი აქცენტი მაცხოვრის განკაცებულ ბუნებაზე გადააქვთ, გოლგოთის გზას ზოგადად ქრისტიანი ადამიანის ტანჯვასთან აიგივებენ. ამდენად ჩნდება

საოცარი სიახლოვის გრძნობა მაცხოვართან როგორც ადამიანთან და შესუსტებულია კავშირი მის ღვთაებრივ ბუნებასთან. პროტესტანტულ პასიონში მართლაც რომ სხვაგვარად იყო გაგებული მაცხოვრის ვნებანი, მასში ტრაგიზმის იდეა იყო გადმოცემული. პასიონის ჟანრმა პროტესტანტულ პასიონამდე განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია განვლო. პასიონის ჟანრის ევოლუცია მაცხოვრის სახისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით მუდმივი ცვლილებებით იყო განპირობებული. ჟანრის განვითარების ხაზი დრამატიზაციის და ტრაგიკულობის გამძაფრების გზით წარიმართა და ბაროკოს ეპოქაში ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა, რადგან ტრაგიკული მსოფლალქმა ბაროკოს ეპოქის ხელოვანთა საერთო თვისებად იქცა. ბახის პროტესტანტული პასიონები კი ამ ჟანრის განვითარების ისტორიული პროცესის ერთგვარი კულმინაციაა. საინტერესოა თუ რა გზა გაიარა ამ ჟანრმა ბახის მაღალმხატვრულ პროტესტანტულ პასიონებამდე.

პასიონის (ვნებანი) ისტორია IV საუკუნიდან იღებს სათავეს. იგი ჩამოყალიბდა საეკლესიო ღვთისმსახურების წიაღში. სწორედ ამ საუკუნეში დამკვიდრდა ტრადიცია სახარების ოთხთავის კითხვისა ვნების კვირის განმავლობაში — მათეს სახარება იკითხებოდა ვნების კვირას, ლუკას სახარება — ოთხშაბათობით, VII საუკუნიდან მათ ემატება მარკოზის სახარების კითხვა ხუთშაბათობით, იოანესი კი — პარასკეობით.

თავდაპირველად მთელ სახარებას კითხულობდნენ, შემდგომ ტექსტიდან გა-



მოიყო ცალკეული ეპიზოდები და V საუკუნიდან წითელი სტრიქონებით გამოკვეთეს ღვთისმსახურებისთვის არჩეული ტექსტი. იოანე ოქროპირმა ტექსტი თემატური თვალსაზრისით დაპყო ნაწილებად, უფრო ადრე, უკვე მეორე საუკუნიდან, გამოიყო თავები თავისი სათაურებით. აღმოსავლეთის ალექსანდრიულ ეკლესიაში დიაკვანმა ამონიუსმა (II-III ს-ს) ტექსტი მუხლებად დაპყო.

პასიონის როგორც მუსიკალური ჟანრის ისტორია დაიწყო ტექსტის ფსალმოდირებით, რომლის დროსაც გამოიყოფოდა მაცხოვრის, პილატეს, მოწაფეთა, მსახურთა პირდაპირი მეტყველება. ფსალმოდირება მიმდინარეობდა ერთ ინტონაციურ ღონეზე და ერთიანდებოდა ერთი გარკვეული მოდუსით. ფსალმოდის განაყოფები ბოლოვდებოდა მუსიკალური საქცევებით. იმთავითვე ჩაისახა მეღვინეებით მაცხოვრის სიტყვების გამოყოფის ტენდენცია. პასიონის ჟანრის განვითარების ეს ეტაპი ისტორიაში შევიდა ფსალმოდური პასიონების სახელით.

შემდგომ თანდათანობით პასიონებში მოხდა დეკლამაციის სამი სფეროს საშემსრულებლო მანერის დადგენა, — მახარებლის პარტია გადმოიცემოდა უცვლელი ტემპით, მაცხოვრისა კი ნელი ტემპით, ხალხის რეპლიკები ხმამაღლა. ყოველივეს ასრულებდა სამი კლერიკი (ბანი, ტენორი, ალტი). ბანი ინტონირებდა მაცხოვრის სიტყვებს, მოგვიანებით იუდას, პილატეს პარტიებს, ტენორი — მახარებლის პარტიას, ალტი ხალხის რეპლიკებს გადმოსცემდა. მოგვიანებით, ხალხის რეპლიკებს სამი კლერიკი მღეროდა, რითაც შემზადდა მრავალხმიანი პასიონი ეს, თავის მხრივ ხელს უწყობდა კათოლიკური პასიონის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნებოდა დიალოგს სოლისტსა და გუნდს შორის. პასიონების ეს ტიპი ისტორიულად საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. იგი მცირე მასშტაბებით გამოიარჩეოდა და ლიტურგიის დროს მოკრძალებულ ადგილს იკავებდა. მუსიკის ემო-

ციური ზემოქმედება აქ შემოსაზღვრული იყო, ხოლო ტექსტის პრიმატი გამოკვეთილი. თანდათან პუმიანური ცნობიერების გაღვიძებასთან ერთად მუსიკა პასიონებში დამოუკიდებელ ხასიათს ღებულობს.

ერქუნეში

XVI საუკუნეში მუსიკალური გახდა ვნებების თეატრალური ინსცენირება ეკლესიის ფარგლებს გარეთ. ამ პერიოდში იწერება უილიამ ბიორდის „იოანეს ვნებები“, რომელიც რესპონსორული პასიონის ერთ-ერთი ბოლო ლათინური ნიმუშია. ამ საუკუნეშივე იწერება ორლანდი ლასოს „მათეს პასიონი“ და „იოანეს პასიონი“, „მარკოზის პასიონი“, „ლუკას პასიონი“, ფრანგი კლოდ დე სერმიზის „მათეს პასიონი“, ესპანელი ტომას ლუის დე ვიქტორიას „მათეს პასიონი“.

რესპონსორული პასიონების პარალელურად არსებობდა მოტეტურიც, რომელიც წარმოადგენდა ოთხხმიან კომპოზიციას ინსტრუმენტების თანხლების გარეშე. ასეთი პასიონის ნიმუშად გვევლინება 1538 წელს დაწერილი „მათეს პასიონი“, რომლის ავტორი უცნობია. ამ მოტეტურმა პასიონმა უდიდესი გავლენა მოახდინა მრავალ კომპოზიტორზე, მათ შორის ჩიპრიან დე რორეს „იოანეს პასიონზე“. მოტეტური პასიონი კათოლიკურ ეკლესიაში სრულდებოდა, ორთოდოქსული კათოლიციზმი კი როგორც ცნობილია კრძალავდა ეკლესიაში ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის თანაარსებობას და ამასთან საეკლესიო გუნდი მხოლოდ მამაკაცთა ხმებისგან შედგებოდა. ინსტრუმენტული მუსიკის აკრძალვა მოიხსნა, რაც შეეხება მეორე აკრძალვას, მან შეინარჩუნა თავისი მოქმედება ბახის ეპოქამდე. ბახმა პირველმა დაარღვია ეს ტრადიცია და ქალთა ხმები ჩართო პასიონებში.

XVII საუკუნეში მოტეტურმა და რესპონსორულმა კათოლიკურმა პასიონებმა ამოწურეს თავისი შესაძლებლობანი. პასიონის განვითარების შემდგომი ეტაპი პროტესტანტულ ეკლესიასთანაა დაკავ-



შირებული. ლუთერის რეფორმამ ღვთის-  
მსახურების სფეროში ძალზე შეუწყო ხე-  
ლი პასიონების ახალი ტიპის შექმნას,  
რომლის არსი მდგომარეობს სახარების  
თავისუფალ წაკითხვასა და ინტერპრეტი-  
რებაში. კათოლიკური რესპონსორული პა-  
სიონის საფუძველზე პროტესტანტული  
პასიონები შექმნა გერმანულმა კომპოზი-  
ტორმა იოჰან ვალტერმა. ეს პასიონები  
ერთგვარი მოდელი იყო მათთვის, ვინც  
ამ ჟანრს მიმართავდა მოგვიანებით. მნი-  
შვნელოვანია მელპიორ ვულპიუსის „მა-  
თეს პასიონი“, იოჰან ბურკის „მათეს  
ვნებანი“, იაკობ პანდლის „იოანეს ვნება-  
ნი“, „მათეს ვნებანი“, რომლებიც გერ-  
მანული მოტეტური ვნებების ნიმუშებს  
წარმოადგენენ, ხოლო გერმანული მოტე-  
ტური პასიონის შექმნას მიაწერენ ქრის-  
ტოფ დემანტიუსს („იოანეს ვნებანი“  
ნი“).

პასიონის ჟანრის განვითარების მნიშვნე-  
ლოვანი ეტაპი უკავშირდება ჰაინრიხ  
შიუტცის სახელს, რომელიც წერდა პა-  
სიონებს დრესდენის სამეფო საეკლესიო  
კაპელისთვის. ბახისგან განსხვავებით,  
შიუტცი უშუალოდ მხოლოდ სახარების  
ტექსტს მიმართავდა, რადგან მიაჩნდა,  
რომ თავისუფალი პოეტური ტექსტი ვე-  
რასოდეს ვერ გადმოსცემდა პირველწყა-  
როს თეოლოგიურ სიღრმეს. ამავ დროს,  
იგი ფართოდ იყენებს მისი თანამედროვე  
იტალიური სკოლის მიღწევებს. კერძოდ,  
მისი მასწავლებლის ჯოვანი გაბრიელის  
მსგავსად, მასობრივი სცენის გადმოცემას  
გუნდს აკისრებს, ხოლო საორკესტრო ჩა-  
ნართებით მონტევერდის ნოვატორულ  
საოპერო სტილს უახლოვდება. ახალი  
იყო გერმანული მუსიკისთვის სოლო რე-  
ჩიტატივის გამოყენებაც. მიუხედავად ამ-  
გვარი ნოვაციებისა, შიუტცი მაინც ეყრ-  
დნობა ძველი რესპონსორული კათოლი-  
კური პასიონის სტრუქტურას. შიუტცი  
უარს ამბობს ადრეული პასიონის ფსალ-  
მოდირებაზე, ინსტრუმენტულ თანხლება-  
ზე, არიაზე, ქორალზე, ახდენს მახარებ-  
ლის პარტიის დრამატიზირებას, პოლი-

ფონიურად განვითარებულია შესავალი  
და დამამთავრებელი გუნდები. შიუტცის  
პასიონები ძალზე დრამატიზირებულია,  
მაგრამ ემოციური რეფლექსირების შრე-  
სუბიექტური ტონი მათში არ არის.

მე-17-ე საუკუნის გერმანულ კომპო-  
ზიტორის პამერშმიდტის *Massen* კუკ-  
ვე არის მცდელობა ამბავთა მსვლელობის  
შეჩერებისა და რეფლექსირების შრის  
წინა პლანზე წამოწევისა. გარდა სახარე-  
ბისეული ფიგურებისა, გადმოცემულია  
სინანულში ჩავარდნილი ან ტანჯული  
ადამიანების განზოგადებული სახეები,  
რომლებიც პასიონში ალევორიის ხერხის  
შემოტანაზე მიუთითებენ. პამერშმიდტის  
ნოვატორობა გამოვლინდა მის „დიალო-  
გებში“, რომლებმაც შიუტცის „დავითის  
ფსალმუნებთან“ ერთად, ხელი შეუწყვეს  
გერმანული სასულიერო კონცერტის დრა-  
მად გადაქცევას.

XVI საუკუნეში იქმნება ორატორიუ-  
ლი პასიონები, რომლებზეც გავლენა მო-  
ახდინა იტალიურმა საოპერო ხელოვნე-  
ბამ, იტალიური ოპერის გავლენით, მა-  
თში ვსვდებით არიას, რეჩიტატივებს,  
პოლიფონიურ-პარმონიულ ფაქტურას,  
რომელიც ეყრდნობოდა გენერალ-ბანის  
პრაქტიკას. ამ სტილურმა ცვლილებებმა  
კანაპირობეს თეატრალიზებული სტილის,  
საკონცერტო შესრულებისთვის გამიზნუ-  
ლი პასიონების შექმნა.

ალნიშვნის ღირსია კამბურგელი კან-  
ტორის ტომას ზელეს „იოანეს პასიონი“,  
რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებიან ქო-  
რალები, გუნდები, პოეტურ ტექსტზე  
დაწერილი არიები და მახარებლის პარ-  
ტია. ზელეს პასიონების ყველაზე გაბე-  
დულ ნაბიჯად ინსტრუმენტული ინტერ-  
მედიების, ე. წ. „სინფონიების“ ჩართვა  
შეიძლება მივიჩნიოთ. საგულისხმოა გე-  
ორგ ბიომის „იოანეს პასიონი“, რომელ-  
შიც სახარებისეული და პოეტური ტექს-  
ტები ერწყმოდა ერთმანეთს, განსაკუთ-  
რებით უნდა აღვნიშნოთ ბარტოლდ ჰაინ-  
რიპ ბროკესის მიერ დაწერილი „იოანეს



პასიონის“ ლიბრეტო, რომელსაც მიმართეს ისეთმა მნიშვნელოვანმა კომპოზიტორებმა, როგორებიც იყვნენ კაიზერი, ჰენდელი, ტელემანი, მატესონი. „იოანეს პასიონზე“ მუშაობის დროს ბახმაც ვერ აუარა გვერდი ბროკესის ლიბრეტოს და გამოიყენა „სიონის ქალიშვილების“ ალეგორული სახე.

ბროკესის ლიბრეტოთი დაინტერესება აიხსნება იმით, რომ იგი კომპოზიტორებს შესაძლებლობას აძლევდა საოპერო ხელოვნების სიახლენი ორატორიებშიც შეეტანათ, რამეთუ მის ლიბრეტოში სახარებისეულ ტექსტს ქორალურ სტროფებთან ერთად, არიებისთვის განკუთვნილი პოეტური ტექსტები ენაცვლებოდა.

გარდა პროფესიული საკომპოზიტორო პასიონებისა, ხალხური ტრადიციების წიაღშიც არსებობდა პასიონები, რომელთაც რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ იმ კომპოზიტორთა შემოქმედებაზე, რომლებიც პასიონის ჟანრის ნიმუშებს ქმნიდნენ.

მცირე ექსკურსი პასიონის ჟანრის ისტორიაში თვალნათლივ დაგვანახებს, რომ პასიონის ჟანრმა განვლო განვითარების საუკუნოვანი გზა, იქმნებოდა პასიონების სხვადასხვა ტიპები. პასიონების საუკეთესო ნაწილს კი <sup>ქრისტიანულ ტრადიციას</sup> მიაკუთვნებენ. ბახის, როგორც პროტესტანტი კომპოზიტორის შემოქმედებაში პასიონის ჟანრმა სრულყოფილი გამოხატულება პოვა. ბახის „მათეს პასიონი“ და „იოანეს პასიონი“ არაკანონიკური ჟანრის გენიალურ ნიმუშებს წარმოადგენს.

ბახი, როგორც ქრისტიანი და ამავე დროს უდიდესი კომპოზიტორი ითვისებს და თავის მუსიკაში, კერძოდ პასიონებში ანზოგადებს ამ ჟანრის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პერიოდში დაგროვილ უმდიდრეს გამოცდილებას და ახალ სიცოცხლეს სძენს მას.





(შტრიხები იაპონელი ქალის პორტრეტისათვის)

... ონო ნო კომაჩის არასოდეს სცმია უჩიკაკე:¹ ეს მხოლოდ დიდებულ ბანოვანთა პრივილეგია იყო — ხასხასა წითელი აბრეშუმი მზესავეთ აფრქვევდა სინათლეს: ყელწერწეტა თეთრი წეროები მსუბუქად შლიდნენ ფრთებს ქარვისფერ ლელიანში და ჟივილ-ხივილით ჰკრავდნენ კამარას ოქროსფერ ცაზე... სიცოცხლე ჰქუხდა უჩიკაკეს კიბანოს კალთებზე, თითქოს ცოტაც და საიმპერატორო სასახლე თავის სტუმრებიან-ბინადრებიანად გადაჰყვება წეროებს უსასრულო სივრცეშიო... ონო ნო კომაჩი მდუმარედ შესცქეროდა ფერთა ამ საუცხოო ზეიმს. იგი ვერასოდეს ჩაიცივამდა უჩიკაკეს — ონო ნო კომაჩი საიმპერატორო კარის თუმცა რჩეული, მაგრამ მაინც კურტიზანი ქალი იყო...

— საოცარია, — ამბობს ქალბატონი აკემი და ფრთხილად ასხამს არომატულ ჩაის ფაიფურის ფიალებში, — ონო ნო კომაჩის სახელი ლეგენდად შემორჩა იაპონიის ისტორიას: ბევრი რამ მისი ეპოქის შესახებ დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, ონო ნო კომაჩი კი — არა... ეს ვამლის ჩაია, მომმართავს ქალბატონი აკემი — გასინჯეთ, გეთაყვათ, უსათუოდ გესიამოვნებათ...

... ქალბატონი აკემი იაპონური სტანდარტებისათვის უჩვეულოდ მაღალი და პირხმელი ქალია, ფიქრიანი თვალები გამომცდელად იმზირებიან მძიმე სათვალეებიდან — ყოველთვის როდია შესაძ-

ლებელი მათ მიღმა დაფარული აზრის ამოცნობა... ამ ოციოდე წლის წინ ქალბატონმა აკემიმ წარმატებით დაამთავრა ტოკიოს უნივერსიტეტის ენისა და კულტურის ფაკულტეტი, იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი, შემდეგ კი...

... შემდეგ მივხვდი, რომ მეცნიერის კარიერა არ მიზიდავდა, სამწუხაროდ, — არც მასწავლებლის, — დამნაშავესავეთ იღიმება იგი, — რაღაც სხვა მინდოდა, განმარტობა, განრიდება, საკუთარი თავის შეცნობა... მიმაჩნდა, რომ ეს არის მთავარი, ახლაც ასე მიმაჩნია. უცნაურია, ალბათ...

... წიგნები უყვარს ქალბატონ აკემის, ბევრი, ბევრი, სხვადასხვა ენებზე და სხვადასხვა თემებზე დაწერილი წიგნები, თავისი ყვავილების ბაღი უყვარს — პატარა, კოხტა და მზიანი, და კიდევ, კიდევ მეგობრები უყვარს, დიდი ხნის, ძველისძველი, ერთგული მეგობრები: ყოველ ხუთშაბათს მის მყუდრო და ნათელ სასტუმრო ოთახში სიხარულით იკრიბებიან მისთვის ძვირფასი და ახლობელი ქალბატონები, ივიწყებენ ყოველდღიურ ქაოსს, ოჯახურ საქმეებს, სამსახურეობრივ პრობლემებს, სხდებიან რბილ, გრილ ტატამზე და მშვიდად, გულდინჯად საუბრობენ, საუბრობენ ყველაფერზე, რაც კი ადამიანის სულიერ საუნჯეს შეადგენს...

— რაკი ონო ნო კომაჩის პიროვნებით დაინტერესდით, — უბრუნდება გაწყვეტილ საუბარს ქალბატონი აკემი და მაგიდაზე მორიდებით აწყობს პიანისტის დახვეწილ ხელებს, — აუცილებლად უნდა ეწვიოთ ჩუიშინის ტაძარს. ამ ტაძრის კე-

1 იაპონური საქორწინო კიბანო.



დღები უსაზღვრო იდუმალებას გამოს-  
ცემენ, თითქოს სადღაც შორიდან ისმის  
ნაღვლიანი ჰანგები და მათი სევდა მსმე-  
ნელსაც უნებლიე სევდით ავსებს... ან იქ-  
ნებ მე შეჩვენება ასე — მუსიკოსი ვარ  
და ყველგან მუსიკას ვეძებ?... ვინ იცის...

... დიდხანს დავბორიალობ ჩუიშინის  
ტაძრის დარბაზებში... აქ ყველაფერი  
ონო ნო კომაჩის ხსოვნით სუნთქავს...  
„მლოცველი ონო ნო კომაჩი“... ყურად-  
ღებით ვაკვირდები შავი ქვისაგან ჩამო-  
სხმული ქალის სკულპტურას: სივრცეში  
იმზირება ფეხმორთხმით მჯდომი მოხუ-  
ცი ქალბატონი, გრძელი, დაშლილი, ტალ-  
ღოვანი თმა პარმონიულად ერწყმის თალ-  
კიძანოს ნაკეცებს, თვალის დაბერილი  
უბეები და შუბლის დაბაბული ნაოჭები  
განსაკუთრებულ გონიერებას სძენენ მის  
ფიქრიან სახეს...

... „გაივლის დრო და —  
ჩამოქცნებიან უღმობელად ეს  
ყვაკილები,  
დროს გადაჰყვება დაუნდობლის მათი  
სიტურფე...  
მეც ჩამოვხმები,  
დროის დინება გაახუნებს ჩემს  
სილამაზეს“...

განა შეიძლება, ამ სტრიქონების ავტო-  
რი ჩვეულებრივი, ორდინარული ქალი  
იყოს?

— ონო ნო კომაჩი მხოლოდ განსაკუ-  
თრებული სილამაზით როდი გამოირჩე-  
ოდა, — მეთანხმება ქალბატონი აკიკო,  
— იგი პოეტი იყო, საოცრად ღრმა და  
ორიგინალური პოეტი. კურტიზანი ქა-  
ლის ცხოვრება არასოდეს ყოფილა მისი  
თვითმიზანი: ეს იყო მისი გზა ცხოვრების  
შეცნობისა — ცუდი თუ კარგი, ეს ჩვენი  
განსასჯელი არ არის, — როგორც ბედ-  
მა არგუნა...

... შავი ფერი უყვარდა ონო ნო კომა-  
ჩის — ტანზე მჭიდროდ მომდგარი შავი  
აბრეშუმის კიშანო მეტ ლაზათსა და მოხ-  
დენილობას სძენდა ქალის ისედაც მშვე-  
ნიერ და ნატიფ სხეულს. მისი კიშანო მა-

სავით სევდიანი იყო მუდამ — შავი ფო-  
ნი, მქრქალი ვარდისფერი პეპლები, სიყ-  
ვითლემუებარული შემოდგომის ფოთლები,  
საკურას ტოტი... სადა, ნაზი და ნაღვლი-  
ანი... იქნებ სწორედ ეს იზიდავდა კარის  
წარჩინებულ მამაკაცებს?

... საიმპერატორის კარზე დიდებული  
და ძლევამოსილი ფეოდალები ეტრფოდ-  
ნენ ონო ნო კომაჩის, მისი გულინათვის  
საუკეთესო რაინდები ებრძოლებოდნენ  
ერთმანეთს, იჭრებოდნენ, იხოცებოდნენ...  
მისი ზღაპრული სილამაზე და ამოუცნო-  
ბი, იდუმალი პიროვნება ბევრი პოეტისა  
და მხატვრისათვის ქცეულა შთაგონების  
წყაროდ — ონო ნო კომაჩი თავისი ეპო-  
ქის ცოცხალი, მოარული მუშა გახლდათ,  
მაგრამ მუხუბს ყოველთვის როდი სწყა-  
ლობთ ბედი...

... ზაფხულის ერთ ადრიან დილას დი-  
დი ჩოქოლი შექმნილა იმპერატრიცას  
სასტუმრო ოთახში — წითელს და ოქ-  
როსფერს, მდელოსფერსა და იასამნის-  
ფერს განუყოფელად დაეპუროთ ტატამით  
დაფარული სადა დარბაზი: თვალისმომჭ-  
რელ კიშანოებში გამოწყობილი არისტო-  
კრატი ქალბატონები სწრაფ-სწრაფად  
იგრილებდნენ მარაოებით გაგულისხმებულ  
სახეებს:

— უნდა დაისაჯოს... უნდა ვანიდევ-  
ნოს! უნდა მოიკვეთოს! — ურჩევდნენ  
ერთხმად იმპერატრიცას, — საიმპერატო-  
რო სასახლეს დიდი უბედურება ემუქრე-  
ბა, სასწორზე პრინციის მომავალი დევს —  
იგი მზადაა კურტიზანი მთიბატივოს ტახ-  
ტზე!...

იმპერატრიცას არაფერი ჰქონდა ონო  
ნო კომაჩის საწინააღმდეგო, ის კი არა  
და, თვალიც კი შეერგია ამ სიფრიფანა,  
მწყაზარ ქალს, მაგრამ... პრინციო?!...  
პრინცი ფუკაკუსას მომავალსა და ბედნი-  
ერებას ვერაფრისათვის გასწირავდა იმპე-  
რატრიცა... დრო ძვირად ფასობდა:

სიყვარულისგან გაბრუებული ტახტის  
მემკვიდრე მყისვე მშვიდობის მისიონე-  
რად იქნა წარგზავნილი ურჩი ჩრდილოე-  
ლი ფეოდალების წინაშე, თავგასულ კურ-  
ტიზანს კი მკაცრად მიუთითეს კარზე —



ონო ნო კომაჩი მიწაზე განთრხმული ის-მუნდა განაჩენს — მისი ერთადერთი უფლება დამორჩილება იყო.

გამთენიისას დაუტოვებია ქალს სასახლე და სასახლესთან ერთად — სიყვარული... ბევრი არაფერი წაუღია თან: რამდენიმე ხელი კიმაწო, ქისა და პრინცის სატრფიალო ბარათები... ამ ბარათებში მისი ვნებები და მოგონებები განისვენებდნენ...

— პირადი ბარათები, ალბათ, არა მარტო ცალკეული პიროვნებებისათვის, არამედ, ზოგადად, ერის კულტურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, — ამბობს ქალბატონი აკემი და შუის გულზე აწყობს იკებანას ყვავილებს, — თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ჩემი პირადი დღიურები და წერილები რომ ოდესმე ვინმემ წაიკითხოს, ურიგო არ იქნება-მეთქი. ერთი ადამიანის გამოცდილება არასოდეს არის ზედმეტი მეორე ადამიანისათვის. მით უმეტეს, როდესაც საქმე ონო ნო კომაჩის ეჭვება...

... ბევრი უხეტიალია სასახლიდან განდევნილ ქალს — მზესა და წვიმაში, თოვლსა და ქარში, დარსა და ავდარში. გეტებში! ვაცვეთილა, თმები ჩამომლილა, კიმაწოზე ამოქარგული ვარდისფერი პეპლები გაფრენილან, ფოთლები დასცვენია საკურას... და ერთ ცხელ საღამოს, პატარა, მიყრუებულ სოფელ გოკურაკუდერაში ტუჭყიან თალხებში გამოწყობილი, ფეხშიშველა ქალი გამოჩენილა: მისი სახე, ხელები და ტანი უცნაური წყლულებით ყოფილა დაფარული — ვერაფის ამოუცვნია ქალის ვინაობა...

— იაპონიაში დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ აზრს, — ამბობს ქალბატონი ხიროკო, ცნობილი ოსაკელი ჟურნალისტი, — ეს ყოველთვის ასე იყო, არის და იქნება: დრომ ვერაფერი დააკლო იაპონელთა ფსიქოლოგიის ამ ძირძველ

ქვაკუთხედს — საზოგადოებრივი აზრი ფასობს, მნიშვნელობს, ბატონობს... ან ბათ, ამიტომაც იზარება ჩვენი ხასიათი, ჩვენში ორი „მე“ თანაარსებობს — საზოგადოებრივი და პირადი. რთული იაპონელის ხასიათის ხვეულებში ვარკვევა, დანამდვილებით არავინ ვერცხვება ფართო, კეთილი ღიმილის მიღმა, რა ფიქრი, რა ტკივილი, რა ამბოხი... პირადი „მე“ თითქმის სულ მუდამ დაფარულია და თუკი მუღავნდება, ყოვლად მოულოდნელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს... ასეა დღეს, ასე იყო ონო ნო კომაჩის ეპოქაშიც...

... სოფელი ამრეზით, თითქმის მტრულად შეევება უბედურ ქალს, კარდაკარ მოარულს წყალიც არავინ დააღვეინა, ვაითუ კეთროვანიო... დასუსტებული, იმედგაწყვეტილი მკზავრი ის-ის იყო სოფლის ბოლოსკენ აპირებდა თურმე წალასლასებას, რომ გზა სანდომიანი სახის მოხუცმა კაცმა გადაუღობა.

„—მე გიპატრონებ!...“

— იყო ეს გმირობა? — ვეკითხები ქალბატონ ხიროკოს...

— რასაკვირველია! — ღიმილით მზასუნობს ქალბატონი ხიროკო, — გმირობაცა და ჯანყიც. გმირობას, ალბათ, ისე როგორც ადამიანის ყველა სხვა ღირსებას, თავისი ხარისხები აქვს: სიკეთისათვის გმირობა ადამიანის უსაზღვრო შინაგანი თავისუფლების დასტურია...

— და თუკი ასეთი თავისუფლება ადამიანში ძევს, — ართმევს სიტყვას ქალბატონი აკემი, — იგი აუცილებლად ამოხეთქავს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

... ზუიშინის ტაძრის სამხრეთ კარიბჭესთან მიუყვანია გამბედავ მოხუცს უცნობი ქალი, რუდუნებით მოუსვენებია პატარა, ღარიბულ ქობში და უთქვამს:

„—ილოცე!“...

...დღე და ღამე, დღე და ღამე მუხლჩაუხრელად, განუწყვეტლად ღოცულობდა ონო ნო კომაჩი.

„ღვთაებავ, ჩემო,

1 სპეციალური ფესსაცმელი, რომელსაც კიმაწოზე იცვამენ.



ო, როგორ ვცდილობ, შეგახო ხელი...  
 ო, როგორ მინდა შეგასმინო ჩემი ვედ-  
 რება —

ასე მწუხარე, ასე მძიმე და ცრემლიანი,  
 მიხსენ დარდისგან“...

... დარდი მისი კი იყო უსაზღვრო:  
 დარდი — ტკივილი, დარდი — სევდა,  
 დარდი — მარტოობა...

... ათი დღის თავზე უკუქცეულა მისი  
 სენი, ათი დღის თავზე აღსრულებია ლოც-  
 ვა გატანჯულ ქალს — განკურნებულა  
 ონო ნო კომაჩი, განკურნებულა, მაგრამ  
 აღარასოდეს დაუგდია ზუიშინის ტა-  
 ძარი...

— მთელი ცხოვრება ეძებდა სიმშვიდეს  
 ონო ნო კომაჩის პოეტური. სული, —  
 ამბობს ქალბატონი აკემი, — სიმშვიდესა  
 და გარინდებას ეძებდა და ჰპოვია... სხვა-  
 გვარად ვერავინ ახსნის, თუ რატომ შე-  
 ეთვისა კურტიზანი ქალი ასე ძალუმად  
 ტაძარს — მხოლოდ იმიტომ, რომ მის  
 კედლებში განიკურნა?... ვეჭვობ... იქნებ  
 იმიტომ, რომ ღამლამობით ტაძრის გალა-  
 ვანზე დასკუბებულს მთვარის ცქერა  
 სურდა?... ვინ იცის...

... მაგრამ, სამწუხაროდ, სიმშვიდეცა  
 და მყუდროებაც დროებითი აღმოჩნდა  
 მხოლოდ — ამას მაშინ მიხვდა ონო ნო  
 კომაჩი, როდესაც ზუიშინის ტაძრის კა-  
 რიბჭესთან პრინცი ფუკაკუსა დაინახა:  
 საყვარლის გაძევებით განრისხებულ  
 პრინცს უარი უთქვამს ტახტსა და მემკვი-  
 დრეობაზე, მიუტოვებია სასახლე და, ექ-  
 ვსთვიანი ძიების შემდეგ ზუიშინის ტაძ-  
 რამდე მიუღწევია...

„— 100 დღეს იქნები დარდიანი ჩემ  
 წინაშე, — უბრძანებია პრინცისათვის  
 ონო ნო კომაჩის, — 100 დღეს მევედრე-  
 ბი, 100 დღეს მიკითხავ ლექსებს და შერე,  
 შერე... ვინძლო შეგინდო“...

... იმ წელიწადს დიდი თოვლი მოსუ-  
 ლა კიოტოში. წელამდე თოვლში დარდი-  
 ანი პრინცი ციებით გამხდარა ავად და

99-ე დღეს გარდაცვლილა... ონო ნო კო-  
 მაჩის არ უტირია, მხოლოდ მდუმარედ  
 მოუგროვებია პრინცი ფუკაკუსას წერილ-  
 ბი და ლექსები, ღრმად ჩაუფლავს მიწა-  
 ში და ზედ ქვის ხალოცავი — ფუმბუკა  
 დაუშენებია... ეს იყო, აღბათ სიყვარულის  
 უკვდავოფის მინუტი...

... ონო ნო კომაჩიმ მარტოობაში გაა-  
 ტარა დარჩენილი სიცოცხლე... ამბობენ,  
 პრინცის სიკვდილის შემდეგ ჭკუიდან შე-  
 ცდა და დიდი ტანჯვით მიიცვალა...  
 არავინ იცის... ერთი კი ცხადია: მისთვის  
 ესოდენ საოცნებო და სანუკვარი თეთრი  
 ყელწერწეტა წეროებით დამშვენებული  
 უჩიკაკე იაპონელი ქალების საქორწინო  
 კიძანოდ იქნა მონათლული...

„გაივლის დრო და —

ჩამოვჭკნებიან უღმობელად ეს ყვავი-  
 ლები,

დროს გადაყვება დაუნდობელს მათი  
 სიტურფე...

მეც ჩამოვჭკნები,

დროის დინება გაახუნებს ჩემს სილა-  
 მაზეს...“

„... ონო ნო კომაჩის პოეზია მხოლოდ  
 სევდა როდია, — მეუბნება ქალბატონი  
 აკემი, — არამედ — ჭეშმარიტებისათვის  
 თვალის გასწორება: დრო გადის და მის  
 ტალღებს მიჰყვება ყველაფერი, ყველა-  
 ფერი, ყველაფერი, რაც ფასეულია და —  
 არ არის ფასეული, რაც მშვენიერია და  
 არ მნიშვნელობს, ყველაფერი მიდის...  
 და ჩვენ ვერაფერს შევცვლით, ვერა-  
 ფერს გადავარჩენთ, ვერაფერს გამოვი-  
 ტანთ ნაპირზე... უსიტყვოდ უნდა დავე-  
 მორჩილოთ, დავემორჩილოთ და მიფი-  
 ლოთ — ეს ყველა ჩვენგანს უანდერძო  
 ონო ნო კომაჩიმ...“

და მართლაც... რანი არიან ქალბატო-  
 ნი აკემი, ქალბატონი ხიროკო, ქალბატო-  
 ნი აკიკო, რანი არიან, თუ არა ონო ნო  
 კომაჩის, ამ მშვენიერი, ფიქრიანი და  
 იდუმალი ქალის ნამსხვრევები?...







ბროდსკი ნიუ-იორკში

მორტონის 44

„პესტელზე, ალბათ, აღარასოდეს დაებრუნდები და მორტონ-სტრიტი მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობის ქუჩის მსგავსი ან სამყაროსეული შეგრძნებისაგან თავის დაღწევის მცდელობაა“, — წერდა ბროდსკი თავის ნიუ-იორკისეულ ბინაზე, სადაც ამერიკაში ყველაზე დიდხანს ცხოვრობდა. ლენინგრადისა და ნიუ-იორკის მისამართებს შორის შუალედის გამოტოვებით, ბროდსკიმ თავისი მარშრუტის დარჩენილი წერტილები გამოჰყო.

მორტონი გრინიჩ-ვილიჯის იმ რესპექტაბელურ ნაწილში მდებარეობს, ლონდონის ესთეტიკურ რაიონს — ბლუმსბერს რომ გვაგონებს. თუმცადა, იმპერიული წარსულის არმქონე ნიუ-იორკში, ჩვეულებებისამებრ, ყველაფერი სადაა: ქუჩები ვიწროა, სახლები — დაბალი, სვეტები თითქმის არაა. იგივე ითქმის ინტერიერზეც. მაგრამ ფოტოგრაფია, თეატრის მსგავსად, ფონს დეკორაციად აქცევს, დეტალს განგებ წამოსწევს წინ და ყურადღებას გამახვილებინებს. ყველაფერი, რაც კადრში მოხვდა, ალევგორიულ სურათად იქცევა.

მამ, პატრონის გარდა, მისი ბინიდან კიდევ რა მოხვდა ფოტოგრაფიულ ციტატაში? პუშკინის ქანდაკება, ინგლისური ენის ლექსიკონი, სამახსოვრო გონდოლა, დაფნის ფოთლებით შემკობილი პეტრე I-ის გამოსახულებიანი ძველი რუსული კუპიურა.

ამ ნატურმორტისათვის სახელის შერ-

ჩევა ძნელი არ არის: „სარკმელი ევროპაში“; რთული ისაა, ვის შეიძლება ეკუთვნოდეს იგი, ნაბოკოვს? შესაძლოა, მაგრამ გვაკრთობს ხაზგასმულად უქმად მდგარი გონდოლა. სამაგიეროდ, მართებული იყო გაგვეხსენებინა ალექსანდრ ბენუას ვენეციური ფესვები, ერთ-ერთი იმ ევროპელთაგანისა, ვისი წარმოდგენაც ბუნებრივად შეიძლებოდა ბროდსკის გვერდით. ისინი კი არ მიილტვოდნენ დასავლეთისკენ, არამედ იყვნენ კიდეც დასავლეთელები. საკუთარ ახალგაზრდობას რომ იხსენებდა, ბროდსკი წერდა: „სწორედ ჩვენ და, შესაძლოა, მხოლოდ ჩვენ ვიყავით დასავლეთელი ადამიანები“. ეს დასავლეთი, უფრო წარმოსახვას რომ მოითხოვდა, ვიდრე დამკვირვებლობას, ბროდსკიმ არა მხოლოდ თან გაიყოლა, გარემოსთვის მისი შეფხვარებაც შესძლო.

„სიტყვა „დასავლეთი“ ჩემთვის ნიშნავდა ზამთრის ზღვისპირა იდეალურ ქალაქს, — წერდა ბროდსკი. — აქერცლილ ბათქაშში გამომჭვდრვალ აგურისფერწითელ სხეულს, სავოზავს, დამტვერილ, გუგუბვადმოკარკლულ ქერუბიმებს“.

ევროპელთა გასაოცრად, ასეთი დასავლეთის პოვნა არა მარტო ვენეციაში, ნიუ-იორკშიც შეიძლებოდა. ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ ნანგრევები აქაც საკმარისადაა. ყოფილი საწყობებისა და ფაბრიკების აგურის ურჩხულები ჩამოსულებს თავიანთი გაქანებით ანცვიფრებენ. ესაა ნამდვილი შრომის სასახლეები: მაღალი ჭერი, განათების დასაზოგად ჩასმული ვეებერთელა ფანჯრები, არის აგრეთ-







გებდა, რომ არაფრით გამოჰყოფდა დასავლელთა შორის, მაგრამ განასხვავებდა რუს პოეტთაგან: როდესაც თანამემამულეთა წინაშე გამოსულ ბროდსკის არცთუ თანაკრძნობის გარეშე პკითხვს, როგორ ეკიდებოდა სწავლებას, მან მიუგო: „ხალისით, რამეთუ საქმიანობის ეს სახეობა შესაძლებელს ხდის ვისაუბრო სწორედ იმაზე, რაც მაინტერესებს“. ამ საუბრის მოწმენი გახდნენ არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ ბროდსკის ესეისტიკის მკითხველებიც.

პროფესორის მოვალეობანი, გარდა იმისა, რომ მისი შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყაროა, პოეტს აძლევს იმას, რასაც ყველაზე მეტად შეჩვევია — ბორკილს. პირობა, რომელიც მის თავისუფლებას ზღუდავს, როგორც სონეტი — პოეტს, — სტუდენტების ნეტ-ნაკლები უმეცრებაა. თამაშის წესების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ეს ბროდსკის ესმობდა, აუდიტორია თვალს ადევნებს ლექტორს, რომელსაც ცალმხრივი დიალოგი გაუმართავს ფილოლოგიური კომენტარებისა და ისტორიული კონტექსტისაგან განთავისუფლებული მიშველი ლექსისათვის. ყველაფერს, რის ცოდნაც სტუდენტს სჭირდება, პირდაპირ ლექსი უნდა მოიცავდეს. მასწავლებელი ქაჩავს მისგან აზრს მწკრივებად, როგორც ბოცვრებს — შლაპიდან. ლექსი საკუთარი ენერგიით უნდა მუშაობდეს, როგორც „ლოლუები — ქურაზე“ (ფროსტი).

თუმცა ბროდსკის სტუდენტები უმეტესწილად დამწყები პოეტები იყვნენ და იგი, როგორც ლიტერატურული ჰედონიზმის სხვა დამფასებლები — ბორხესი და ნაბოკოვი, წერას კი არა, მათ კითხვას ასწავლიდა, ხანდახან მას ეს ერთი და იგივე ეგონა: „ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ვუწოდოთ ყოველივეს, რაც ზეპირად გვახსოვს“.

ბროდსკის თეზისი „ადამიანი საკუთარი კითხვის პროდუქტია“ ზედმიწევნით პირდაპირ უნდა გავივოთ. კითხვა — სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც სიტყვა ხორცს ისხამს. ამ პროცესს ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ პოეტები წარმოიდგე-

ნენ. ასე მაგალითად, მანდელშტამთან მკითხველი ინელებს სიტყვებს, რომლებიც მისი სხეულის მოლეკულებს ცვლიან. ასევე საჭმლის მონელებას აკბნებს თ. ელიოტი კითხვას, რაც სხეული შემადგენლობას ფიზიკურად ცვლის. სწორედ ამგვარ რამეს წერდა ბროდსკი: „სიტყვაშიანი ჭამს იმას, რაც უყვარს. მას იმიტომ უყვარს, რომ იგი მისი ნაწილია“. პოეტის მასწავლებელი ამ „კულტურულ მეტამოლიზმში“ ფერმენტია, რომელიც ნებას აძლევს მკითხველს სულიერი საზრდო შეირგოს. თავის ხელობას რომ ამართლებდა, შკლოვსკი ამბობდა, რომ ადამიანი იმით კი არ იკვებება, რაც შეჭამა, არამედ — რაც მოინელა.

თავის მეთოდოლოგიას ბროდსკიც ბიოლოგიური ტერმინებით აღწერს. ლექსის გარჩევისას მკითხველს აჩვენებს, რა არჩევანის წინაშე აყენებდა პოეტს ყოველი მომდევნო პწკარი. ამ არაბუნებრივი შერჩევის შედეგია ნაწარმოები, მეტნაკლებად სრულყოფილი იმაზე, რის შექმნაც ბუნებას შეეძლო.

ბიოლოგიური ელფერი დაჰკრავს ტრადიციისადმი თვით ბროდსკის სიყვარულსაც. მეტრი თანახმიერია იმ ჰარმონიის, რომლის აღდგენასაც ცდილობს ხელოვნება. ის დროის მიბაძვას, ანდა მისი შენადედი, პოეტის მიერ ენაში დაჭერილი. კლასიკური ლექსები ენათესავენ კლასიკურ პეიზაჟს, რომელსაც „ბუნებრივი ბიოლოგიური რიტმი“ ახასიათებს.

ადამიანის სვეტებთან თანაფარდობაზე მოგვიხსრობენ კოლუმბიის უნივერსიტეტში გადაღებული ბროდსკის სურათები. იონისტურ სვეტებსა და ლათინურ წარწერიან ქანდაკებებს შორის ბროდსკი სტუმარივით კი არა, მასპინძელივით გამოიყურება.

ამ ფონის ორაზროვნება — კლასიკური სიძველენი ქვეყანაში, სადაც შუასაუკუნეებიც კი არ ყოფილა — ნიუ-იორკისა და პეტერბურგის ანტიკურობის იდუმალ სიახლოვედ შემობრუნდება. ერთიცა და მეორეც — პროდუქტია გამონაკონის, — რე-



ნესანსის დაგვიანებული ცდა, პოეტური და პოლიტიკური თავისუფლებაა.

ბროდსკი სხვის ისტორიაში მონაწილე ქალაქში გაიზარდა. გარკვეული აზრით, აქედან უფრო ახლო იყო ანტიკურობამდე, ვიდრე არცთუ ისე შორს მდებარე ადგილებიდან. პეტერბურგში აღრიცხვა ხდება თაობების მიხედვით და არა ათასწლეულებით. ასეთ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში „ლენინგრადს“ წილად ხვდა ბარბაროსული თავდასხმის როლი, რამაც ეს ანტიკური ლანდშაფტი ნანგრევებითაც გაამდიდრა. მათთან ერთად პეტერბურგულმა მითმა მიიღო ყოველი იმპერიული ლეგენდისათვის აუცილებელი ნოსტალგიური ელფერი. ამ თუმცა დაკნინებული, მაგრამ კეთილშობილური ატმოსფეროსაგან გამოიძერწა პოეტებისა და მწერლების ის პლეადა, რომლებიც, მართალია, კომუნალურ ნანგრევებში, მაგრამ მაინც ფუფუნებაში აღმოცენდნენ. ნაძერწით გამოვსებულ და უამრავ მეზობლებთან მათ ბინებს ბევრი აუცილებელი რამ აკლდა, მაგრამ ბევრიც ზედმეტი გააჩნდა. ინტერიერის სილატაკის გამოსწორება უწევდა სარკმელს, საიდანაც მხოლოდ ევროპაში კი არა, მის წარსულში გახედვაც შეიძლებოდა. ამ საჩუქრისთვის ბროდსკიმ ანგარიში გულუხვად გადაიხადა, როცა რუსულ პოეზიას შესძინა ანტიკურობა, იმდენად გამოგონილი და იმდენად ნამდვილიც როგორც ის, რომ საკუთარი თავისაგან შექმნა ქალაქი, რომელსაც „სახელგამოცვლილს“ ეძახდა.

რაც შეეხება ამერიკას, მისი სენატები და კაპიტოლიუმები — პირდაპირი პარალელია იმპერიულ პეტერბურგთან, სადაც თვით სპილენძის მხედარი ჯავშნოსანზე მდგარ ლენინთან ერთად მარკ ავრელიუსს მოვაგონებთ.

სახე

ბროდსკის უყვარდა ახმატოვას სიტყვების გამეორება — საკუთარი სახის ნაკვთებზე ყველა თვითონ აგებს პასუხს. გარეგნობას იმაზე ბევრად მეტ მნიშვნე-

ლობას ანიჭებდა, ვიდრე იგი ამას იმასურებს, თუ იმასაც დავიჯერებთ, რომ მას არ ირჩევენ. ბროდსკის ეს უკანასკნელი გარემოება გულს ტკენდა. იგი უეჭველად არჩევდა გეოგრაფიული რუკის მსგავს ოდენის სახეს. ბევრჯერ სემარქიფო ვარიანტი გახლდათ: „სემარქიფოს ფოტოსურათი იმაზე ადრე შემიყვარდა, ვიდრე მის თუნდაც ერთ პწკარს წაუვიკითხავდი“.

ადამიანები ხელოვნებაზე უფრო სინონიმიურები არიანო, ამბობდა ბროდსკი. სიბერე ნაწილობრივ ანაზღაურებს სხვაობას. იგი ტავტოლოგიისაგან გვიცავს — დრო ყველა ჩვენთაგანზე სხვადასხვა წარწერას აკეთებს. მთავარი აქ, რასაკვირველია, იარების მსგავსი ნაოჭებია.

ბროდსკი ნაოჭებს ადარებდა კალმის მიერ დატოვებულ პწკარებს. ორი მეტაფორის გაერთიანება მესამეს იძლევა — სახე ჰგავს ფურცელს, რომელზედაც გამოცდილება წერს. სახე არის განვლილი ცხოვრების რევიზიისთვის მუდამ მზადმყოფი სალდო. ნაოჭები — ბუნების იეროგლიფები. ჩვენ განწირულნი ვართ მათს სატარებლად, ოღონდაც ამოვიტხვა არ შეგვიძლია და მაინც ისინი ლექსებზე ბევრად უკეთ მოგვითხრობენ განვლილ ცხოვრებაზე. ბოლოს და ბოლოს, ნაოჭები მხოლოდ ცალკეულ სიტყვებზე კი არ გვესაუბრებიან, არამედ მთელს ლექსიკონზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ — პოეტზე, ვისი სახეც ნაწარმოებთა მთლიან კრებულს აღემატება, რადგანაც დაწერილიც და დაუწერელიც მასში ერთმანეთს შესისხლხორცებიან.

ამ აზრით სტანდარტულ კითხვაზე ბროდსკის ბანალური პასუხი („რაზე მუშაობთ“ — „საკუთარ თავზე“), ფოტოგრაფიისთვის სასარგებლო აღიარებად შემობრუნდება. ნახატისაგან განსხვავებით, სურათი რელიქვიას ჰგავს. რეალობას კი არ ასახავს, — იგი — რეალობის მიერ დატოვებული კვალია. ფოტოსურათი — წამიერების სიკვდილის შემდგომი ნიღაბია. ცხოვრება — კინოა, ფოტოსურათი — სიკვდილი“ — მოჰყავდა ბროდსკის სიუზენ სონტაგის ციტატა.



როდესაც ფოტოგრაფი ცდილობს გადალახოს ფოტოხელოვნებისათვის დამახასიათებელი დისკრეტულობა (წყვეტილობა), მაგალითად ჩაფიქრებული ბროდსკის სურათების სერიაში აღმოჩნდა, რომ ყოველ მომდევნო სურათზე სხვა სახეა გამოსახული. მულტფილმის შეჩერებული კადრებივით, სურათები ნაოჭების მოსამზადებელ მექანიზმს წარმოგვიდგენენ. ჩაფიქრებული ბროდსკი ერთდროულად გულისხმიერიცაა და დაბნეულიც. იგი ისე დაძაბულია, როგორც სიბნელეში მდგარი მოკრივე, რომელმაც არ იცის, დარტყმას საიდან უნდა ელოდოს. მზადაა, მაგრამ, არ იცის — რისთვის. მის სახეში იგრძნობა ხიდის სტატიკური დაძაბულობა, რაც ლითონსაც კი ღლის. გეგონება, აზრს კანი მოუჭიმავს და კუნთები დაუძაბავს — სახის ვარჯიში, თავისებური კულტურიზმი. მაგიდასთან მჯდარი ბროდსკი, მომლოდინე ადამიანს ჰგავს. შთაგონებისას კი არა, უბრალოდ — მომლოდინეს.

შემოქმედებას ბროდსკი პასიურ გვარში აღწერდა. პოეტი ახალს არ აკეთებს — იგი თვით იქმნება მასში. პოეტი დემიურგი კი არა, მედიუმია.. მატერიას დარაჯობს იქ, სადაც სულის დონემდე სიფრიფანავდება. ენის წიაღში ფუთფუთისას პოეტი ეხმარება უსულოს სულიერთან კავშირის დასამყარებლად.

ჩაფიქრებული კაცის თვალთვალი იგივეა — რაც ბალახის ზრდისთვის თვალყურის დევნება. როდესაც ფლორას ვემსგავსებით, არაფერი ხდება, მაგრამ ყველაფერი კი იცვლება. ასე ყველაზე უფრო ახლო ვართ დროსთან, რომელიც მსგავსად აზროვნებისა, უჩინრად და შეუმჩნეველად მუშაობს. ამ ანალოგიის მსგავსია ბროდსკის ფოტოსურათებისათვის აუცილებელი ატრიბუტი — სიგარეტი, რომლის სიგრძეც კედლის საათზე ნაკლებად არ ადასტურებს დროის მსვლელობას.

ბროდსკის სახეში ცვლილებანი ქვანტურ ხასიათს ატარებს. იგი საფეხურებად იცვლება — მკვეთრად და ძლიერ. ეს შეიმჩნევა თვით სამი-ოთხი წლით დაშო-

რიშორებულ სურათებზეც. ჯერ საკუთარ შარებთან მსგავსებას ჰკარგავს, მერე — ფოტოსურათებთან. თუ აღრეულ სურათებზე საფეთქლებიდან დაჩვენებული კულული სატირის რქას მოგვაგონებდა, მოგვიანებით მას უკვე ვეჭვრევდნენ ვემსგავსებით. თან სიმელოტუ მუბლქიუსეუამუშვლებს, რომ უნებლიეთ გვახსენდება ეპიგრაფად აღებული ახმატოვას სტრიქონი: „ამაოდ არ მერგო გვირგვინი ჰალარა“. სიცოცხლის მიწურულის ბროდსკის სახისგან, ვგონებ, გამოსაძერწად მოსახერხებელი დანტესავით გრძელცხვირა პროფილიდა დარჩა.

### დიალოგი

სკამებს ბროდსკის პოეზიაში პრივილეგირებული სტატუსი უკავია. შესაძლოა იმიტომ, რომ ეს ზურგიანი და ფეხებიანი ვერტიკალური ნივთები სხვა ავეჯზე მეტად გვგვანან. ან, იქნებ იმიტომ, რომ სკამები პირველები ხვდებიან და ბოლოში აცილებენ საზოგადოების წინაშე გამოსულ პოეტს. სავსე დარბაზში მოკრძალებულნი და შეუმჩნეველნი არიან, სამაგიეროდ, ცარიელში სკამები ფორიაქით გაპყურებენ მიკროფონს ლიბრიანი თვალეებით. აუდიტორიასთან საუბრისას ბროდსკის თითქოსდა ახსოვდა მათი უსიტყვო არსებობა.

საგნებიც და ადამიანებიც გამოწვევა და საბაბი კი არა, პირობა იყო იმ ცალმხრივი დიალოგისა, რომელსაც ბროდსკი დარბაზთან აწარმოებდა. იგი მათ იმაზე დიდი გულისყურით უსმენდა, ვიდრე თავებს ზემოთ მიმართული მწერა გამოსთქვამდა. ბროდსკი თანაუგრძნობდა აუდიტორიას, მაგრამ არ ეხმარებოდა. უფრო — პირიქით. ურთიერთვაგების შემჩნევისთანავე „(ენერგიული და პატარა მოგწონთ მეტადრე“) უმაღვე გადადიოდა გრძელსა და რთულზე — „ბუზისა“ და „ჩვილის“ მსგავსებაზე. ამაში არ იყო სადიზმი, იგი ამით მსმენელთა მოთმინებას კი არ სცდიდა, არამედ — საკუთარს. „თუ მოახერხებ და სხვებისათვის მიმზი-



დველ რაიმეს აირჩევ, — წერდა იგი, — ამით არჩეულის ვულგარულობას გაცემ“. გარემოს წინააღმდეგობა, მით უფრო, რომ მას შეადგენდნენ აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები, ადასტურებდა მისი გზების უვალობას.

ერთხელ ბროდსკიმ თქვა — ცხოვრების უმეტეს დროს წელში მოუხრელობას სწავლობ. დანარჩენი დრო, უნდა ვიფარაუდოთ, იმაზე იხარჯება, რომ ეს მეცნიერება გამოვიყენოთ.

ხალხმრავალ სურათებზეც იოლად შეიძლება ბროდსკის გამოყოფა. მათ შორის ყველაზე ხშირ ბრბოშიც კი, მათ შორისა და დანარჩენებთანაც, დისტანციას ინარჩუნებს. განდგომა მას გამჭვირვალე სკაფანდრით მოსაფარდა. ხალხის ნიაღვრით დაუსველებელი, ბროდსკი დარბაზს ისე გაივლიდა, როგორც ცხიმწასმული ნემსი — წყალში. ამ სანახაობას ახლდა რაღაც ფიზიკის სახელმძღვანელოსეული. როგორც ცალბოლუსიან მაგნიტზე განზიდვის ძალა იზრდებოდა სხეულების მიახლოებისას, ბროდსკის პოეზიისათვის დამახასიათებელი უკომპრომისობა ლაპარაკისას აზრის გაუთვალისწინებელ შემობრუნებას იწვევდა. მაგრამ საუბარში ხანდახან ცხადზე უცხადესი სახეები გამოიკვეთებოდა. ასე, ძველი ავიაციისადმი თავის სიყვარულს ანთროპომორთულობით რომ ხსნიდა, ხელებს იმგვარად შლიდა, ქრონიკისეულ თვითმფრინავს ემსგავსებოდა. მაგრამ, უმეტესწილად, ბროდსკი თანამოსაუბრეს მთელი წრით წინ უსწრებდა და მაშინ უეჭველად მოიშველიებდა ღიმილს, რომელსაც თან ერთვოდა ის კითხვისნიშნისანი „ჰო?“, რომლითაც მოყენილი იყო მისი ინტერვიუები. ის თანხმობას კი არა, გაგებას მოითხოვდა. ღიმილი, რომელშიც უფრო თვალები მონაწილეობდა, ვიდრე ტუჩები, ჰკავდა საუბარში მოსალოდნელ წერტილს, ნახევრადიძულებით პაუზას, რომელიც წინ წასულს წამოწევის საშუალებას აძლევს, ასე ამუხრუჭებენ ხოლმე ყვითელ შუქზე, როცა დარწმუნებული არ არიან, მას მწვანე შეცვლის თუ წითელი.

ახლობელ ადამიანებს რომ ახასიათებდა, ბროდსკი იშვიათად იმეორებდა მათთან საუბრებს. ჩანს, ამას იგი მნიშვნელობას არ ანიჭებდა. რეპორტის გაცვლა-გამოცვლაზე მნიშვნელოვანი იყო სვითა ყოფნა, სივრცის ატმოსფეროში წერტილში მათი დროებითი შეხვედრისას ხალხზე უფრო ხშირად ბროდსკი დიალოგს მართავს საგნებთან. უსულო სამყაროს სინუძე მას ისე ესმოდა, როგორც მეტაფიზიკური გამოწვევა. საგნებისა და ბუნებას მღუმარებას მიყურადებული ბროდსკი მათთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა.

ლიტერატურა ბროდსკისთვის ურთიერთობა კი არა, მარტოსულის შეშეცნებაა, რომელსაც, ადრე თუ გვიან, ავტორი მოკვეთისაკენ მიჰყავს. მწერალი თანდათან იმ დასკვნამდე მიდის, — ამბობდა ბროდსკი, რომ იგი განწირულია უიმედო იზოლაციაში საცხოვრებლად. იგი შეიძლება კოსმოსში გაშვებულ ადამიანს შევადაროთ. კაფულა — ეს მწერლის ენაა. სწორედ მასთან და არა მკითხველთან აწარმოებს ავტორი დიალოგს, სანამ რაკეტა მიწას გასცილდება.

### კონცერტი

თანამემამულეთა წინაშე ბროდსკის იშვიათ გამოსვლებს უპრიანია კონცერტები ვუწოდოთ. მაგრამ, უპირველესად, საჭიროა ამ სიტყვას დაუბრუნოთ თავისი ეტიმოლოგია, რომელიც მიკვირვითებს მუსიკალურ კონტრასტზე, ორი პარტიის მოჩვენებით წინააღმდეგობაზე, მეგობრულ ორთაბრძოლაზე, რომლის დროსაც ორკესტრისა და სოლოს ანგაგონიზში ერთი პარტიონის პოლუსებად შემობრუნდება.

ბროდსკის კონცერტზე ასეთი წვეილი იყო ბგერები და ასოები. მესამესთან ერთად — თავად პოეტთან — ისინი შეადგენდნენ სამკუთხედს განსაცვიფრებელი დრამისა, რომელშიც წყდებოდა პოეზიის საკვანძო წინააღმდეგობანი.

მსმენელთათვის ტექსტის გახსმევანება მეტად მტკივნეული იყო, რამეთუ ბროდ-



სკის მეტყველებას აშკარად წინ უსწრებდა აზრი. აუდიტორიას რომ ვერ ეხმარებოდა, ბროდსკი მარტო რჩებოდა თავის ლექსებთან, რომლებსაც, თითქოსდა, თავად მათთვისვე კითხულობდა: სტრიქონის ხმამაღლა წარმოთქმისას, თითქოსდა ათავისუფლებდა მათ. ბგერებს უბრუნდებოდა ის, რაც მელანმა წაართვა — სიცოცხლე.

ბროდსკი ერთობ მკაცრად ეკიდებოდა თავისი პროფესიის ორი პირობიდან ერთერთს. მეტყველების გადმოსაცემად დამწერლობას ნაკლებად შეწყობილად თვლიდა და აშკარა უპირატესობას ბგერას ანიჭებდა. ადამიანური ხმის გადმოცემა ხელეწიფება მხოლოდ პოეზიას, თანაც კლასიკურს, — დასძენდა ბროდსკი გულით ავადმყოფის დაჟინებულობით, პატივს რომ სცემდა რითმის გაწონასწორებულ თანაბარზომიერებას.

თუკი პოეზია, როგორც ის წერდა, ერთნაირად მახლობელია ტროვლოლიტიისა და უნივერსიტეტის პროფესორისთვის, მაშინ სწორედ ლექსის ზეპირი ბუნება ხდის ამ სასწაულს შესაძლებელს. თვით მაშინაც კი, როდესაც პოეტი „ცარიელ ზეცას“ შეჰღაღადებს, ლექსის აკუსტიკური ბუნება აძლევს მას პასუხის იმედს.

ექვ ზუსტი კი არა, დამახინჯებული ანარეკლია. ექვ — პირველი პოეტია. ის კი არ იმეორებს, არამედ ცვლის ბგერას — აცლის სიგრძეს, ადაბლებს ტონს, განმეორებისას ბადებს მეტრს, „კუბში აპყავს ყველაფერი, რაც ბავს მოსწყდება“, არჩევს რითმებს. ბროდსკის მტკიცებით, მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლია პოეზიის ხსნა. რითმაში ის ხედავდა ყველაზე ინტიმურ მოწმობას პოეტზე, ნაღდს — შეუცნობლობის გამო — ავტორისეული პიროვნების ანაბეჭდს.

ბოლო თანაყვარალობა — თანასწორობის ნიშანი, გაბმული ყველა გარითმვას შორის. ამიტომაც დანტე, შეგვახსენებდა ბროდსკი, უბრალო სიტყვებს არასოდეს ურითმავდა ქრისტიანული პანთეონის სახელებს. რითმა — მეტამორფოზაა. ოვიდიუსზე ნაკლებად არ გვიჩვენებს, რომ

„ერთი — ეს მეორეა“. საგარეო სხვაობათა უსასრულო ნიღბებს შორის რითმა აღმოაჩენს ამოსავალ ერთიანობას ბგერას.

პოეზიის ნატურფილოსოფიაში ბგერა წყლის როლს თამაშობს. მკრთალსა და მძვინვარე სტიქიასაც შეუძლია მტრუნსა და მტრება, გარდაქმნას ან დაკარგოს ის, რაც მას თავისთავადს ჰქვია.

თუკი ბგერა პოეზიის წყალია, მაშინ, ზეცისადმი მიმართვით, პოეტი ისევ ბრუნვაში უშვებს განვადებით აღებულ მასალას. ლექსების კითხვა ლოცვას უახლოვდება, შამანურ მელოცვას, გამოლოცვას, სახალხო მედიტაციას; რის დროსაც პოეტის შინაგანი ხმა თანაყვარადია მეტყველების, ამასთან მშობლიურისა. თვით ამერიკელებსაც კი ბროდსკი ლექსებს აუცილებლად რუსულადაც უკითხავდა. უცხო სიტყვები, — აბმობდა იგი, — მხოლოდ და მხოლოდ სინონიმთა სხვა ნაკრებია.

ბგერებთან, როგორც ჩანს, საქმე სულ სხვაგვარადაა. კითხვისას ბროდსკის პოზისათვის ნიშანდობლივია მისი დიქციისათვის დამახასიათებელი სიძუნწე. ფოტოსურათები, უენობის კომპენსაციას რომ წარმოადგენს, შესანიშნავად გადმოგვცემს სანახაობის სტატიკურობას. მიკროფონის წინ მდგარი პოეტი მიწას ჩაზრდილ და „ამიტომაც, ბგერათა უხილავი ტაძრის ხილვადად ქვეულ სვეტს გვაგონებს. ის კარიტიდასაც ჰგავს, უფრო ზუსტად — ატლანტს, წელში მოხრილს „ენის საგნის“ სიმძიმის ქვეშ, რასაც ლექსებში ბროდსკი ჰაერს ეძახის.

რუხი „დროის ფერები“, ატმოსფერო შედგება მხუთრისა და კვამლისაგან ნამწვავებით ახორხლილი საფურფლე, ვერეშჩაგინის „ომის აპოთეოზის“ მსგავსი. სურათიდან სურათამდე ჰაერი თითქოსდა სქელდება გამლდვარი ბგერებისაგან. ჯაფაში გავლილი საათები ტანსაცმლის არეულ-დარეულობაში გამოიხატება: უჩინარდება პიჯაკი, იტალიური იარლიყი გამოსჩრია პალსტრუსს, მარცხნივ — გულისპირთან პერანგზე მუქი ლაქა გადღაბნილა. მსხვილ პლანზე გადასვლა ავიწროებს პე-



რსპექტივას, მაგრამ აძლიერებს სიმკვეთრეს: სვეტი იქცევა ბიუსტად, პოზა — ქრიმასად. დაჩქარებული კინოკადრების მსგავსად, ბროდსკი ბგერითი მასალის ტრანსმუტაციის დემონსტრაციისას, კამერის წინ ბერდება.

### სიბერე

ნიუ-იორკის საკათედრო ტაძარში გამოსვლის უამს საერთო სურათზე მოხვედრილი ნობელის პრემიის სხვა ლაურეატების — ოქტავიო პასას, ჩესლაე მილოშისა და დერეკ უოლკოტისაგან ბროდსკი ასაკით განსხვავდება. იგი მათგან ყველაზე უმცროსზე ათი წლით გვიან არის დაბადებული.

ასაკი გამოჰყოფდა რუს პოეტთაგანაც, მან პუშკინზე 17 წლით მეტი იცოცხლა, ლერმონტოვზე — 28-ით, მანდელშტამზე — 8, ცვეტაევაზე — 6 წლით მეტი. კლასიკოსებს რომ იმდენ ხანს ეცოცხლათ, რამდენიც ბროდსკიმ იცოცხლა, ბიტოვის ოცნებისა არ იყოს, საშუალება გვექნებოდა — თვალი შეგვევლო პუშკინის ფოტოსურათისათვის, ვნახავდით, რას დაწერდა ლერმონტოვი — დოსტოვსკიზე, მანდელშტამი — ბანაკებზე, ცვეტაევა — სიბერეზე.

ბროდსკის ბედმა არგუნა ყოფნა იმ ადგილებში, სადაც ისინი არ ყოფილან. წლობით დაგროვილ სხვაობას რომ აფასებდა, წინდაწინ რომ შეგვეტყო, რის სწავლება შეეძლო ავტორს მკითხველისათვის. მან წინადადება წამოაყენა, მსხვილი ასოებით წაეწერათ გარეყდაზე, რამდენი წლის იყო მწერალი ამ წიგნის დაწერისას. თუმცაღა, სხვათა ზუსტი ასაკის ცოდნას რომ მოითხოვდა, თავისი ერეოდა. ლექსებით თუ ვიმსჯელებთ, ბროდსკის სიბერით კი არ დაუმთავრებია, მით დაიწყო ცხოვრება, პოეტმა სერგეი ვანდლევსკიმ ერთგან თქვა, პუშკინმა რუსულ პოეზიას სიბერის გაკვეთილები არ აღირსა, ბროდსკი კი აიხარვეზის შევსებას ჩქარობდა. „უეცარი მოხუცი, პუშკინის იდუმალი გამონათქვამისა არ იყოს, 24 წლისა უკვე ამას წერდა:

„მე მოხუცი ვარ და არა ფილოსოფოსი“. შემპარავი მოძრაობა გადაუადგილებლად, სიბერე გვაცდუნებს გარესამყაროსადმი სტოიკური ვანურჩეულობით. რამდენადაც სრულყოფილი სიმშვიდე, მით უფრო ხმამაღლა ურჩევნობა არა სწრაფად! — ჩაგვწყვიტეს სსსრ-ში. სიბერე ჩვენშივე ჩაბუდებული ბუნების ხმაა. მის დაუნაწევრებელ ჩურჩულს მიყურადებული პოეტი სწავლობს შეურიგდეს და შეერწყას მსგავს და მისგან განსხვავებულ დროსაც. სიბერე ხომ უსასრულო არ არის და სწორედ ამაშია მისი მშვენიერება. ის უწესებს საზღვარს ცვლილებებს და წარმოაჩენს ადამიანს მაქსიმალურად დასრულებული სახით. მისი სახის სიბერე, წერდა ბროდსკი ისაია ბერლინზე, შთაგვაგონებდა სიმშვიდეს, რამდენადაც თვით ნაკვთების სრულყოფილება გამორიცხავდა ყოველნაირ მოჩვენებითობას.

სიბერეს — და იგი აქ ისევ დროს თანხვდება ამ კეთილშობილურ არითმეტიკას ელაციცება. სხვა, ინგლისელ მოხუცთან — პოეტ სტივენ სპენდერთან სადილომის აღწერისას, ბროდსკი მას უწოდებს „ხამთრის ალეგორიას, წლის სხვა დროებთან სტუმრად მისულს“.

ამ სურათში ეთიკა მეტია, ვიდრე — ესთეტიკა. ბროდსკისთვის ზამთარი მორალურია. იგი ბუნების ინვარიანტია, წლის ჩონჩხი, ის მიშველი ძვლები, რომლებიც ელიოტის „უნაყოფო მიწაში“ ხვატმა გამოაშრო, ბროდსკისთან კი — ყინვამ. „ჩრდილოეთი პატიოსანი რამაა“, — ამბობდა იგი ერთგან, და — ზამთარი, — აკრძელებს სხვაგან, — „წლის ერთადერთი ჭეშარიტი — „დროა“.

ყინვა ბროდსკისთან — ნიშანია და ამრდილი. არყოფნის, მისი შავ-თეთრი გამის სიძუნწე საგანაფხულო პალიტრაზე ბევრად პატიოსანია. „აქ როდოსია! აქედან ისკუპე!“ — ამბობს ზამთარი და გვთავაზობს, მისი გაქრობის ზღვარზე გამოვცადოთ სიცოცხლე.

ზამთარში, როცა ყინვისგან, ისევე როგორც სიბერისაგან გაშიშვლებულ სამყარ-



როს ვერაფერი წამოუხურავს, „დღის ჯი-  
ბრზე კი არა, დღის საშინელებით“ ლექსე-  
ბი იბადებიან. ასე ამბობდა ბროდსკი იმ  
პოეტებზე, ვინც მოსწონდა. პირველ რიგ-  
ში ზამთრული სახელის მქონე ფროსტზე,  
რომლისთვისაც საჭირბოროტო — ყოვე-  
ლდღიურია. ასეც უნდა იყოს, გვიხსნის  
ბროდსკი, ჭეშმარიტ პოეზიაში, სადაც  
ნორმა საშინელია და არა გამონაკლისი.

საშინელის გარდუვალობა, როგორც  
ზამთრის ერთფეროვნება, როგორც დრო-  
ის მონოტონურობა და სიბერის მუდმივო-  
ბა, ნაკლი კი არა, თვისებაა სამყაროსი,  
რომელსაც წლითიწლობით ვემსგავსებით.

ნობელიანტთა კვარტეტში გამოსვლი-  
სას ბროდსკი ჯერ ინგლისურად, შემდეგ  
რუსულად კითხულობდა „ვირთევზას  
კონცხის იავენანას“, ცვეტაევას „მთების  
პოემის“ მსგავსად შეგვეძლო მისთვის  
„კუთხის პოემა“ გვეწოდებინა. ბროდსკიმ  
ხოც იგი სწორედ აღმოსავლეთისაკენ ყვე-  
ლაზე ღრმად შეჭრილ კონცხზე, ე. ი. კუ-  
თხეში დაწერა. ავტორი აქ მოიყვანა ორი  
იმპერიისა და ორი ნახევარსფეროს დავი-  
წრობებულმა სხივებმა: ერთმანეთთან თან-  
ხედრისას ისინი ჩიხს ქმნიან.

**ბაცილება**

„მეტაფიზიკისადმი ჭემოვნება განასხ-  
ვავებს ლიტერატურას ბელეტრისტიკისა-  
გან, — დაწერა ბროდსკიმ ესეების ბოლო  
კრებულში, რომლის უმეტესი ნაწილი  
ეძღვნება სულიერის — უსულოსთან, ანუ  
სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — ადამიანის  
სიკვდილისადმი ურთიერთობას. ამაში  
ხედავდა იგი შემეცნების ინსტრუმენტს.  
ამიტომაც ლექსებში — საკუთარსა და  
სხვისაშიც — მას აინტერესებდა საიქიოს  
ისტორია და გეოგრაფია. უსასრულოს  
ენის დაუფლებით, პოეზია მოგვითხრობს  
არა მხოლოდ და არა იმდენად მარადიულ  
ცხოვრებაზე, რამდენადაც მარადიულ სი-  
კვდილზე. ბროდსკი, არსებობის პოეტი,  
მასში ხედავდა მოკავშირეს, რომელსაც  
ჩვენზე ნაკლებად არ სწყუროდა, რომ მი-  
სი ესმინათ. სიმეტრიის სიყვარული, ზნე-

ობრივი გრძნობა თუ არა აიძულებდა  
ბროდსკის პატივი ეცა სიკვდილის სიკვდი-  
ლისადმი პარიტეტისთვის, ერთად სამყა-  
როს რომ შეადგენდნენ. მათ ძალთა თანას-  
წორობას თვალს ადევნებს კოსმიური სა-  
მართლიანობის გარანტი უქრუნული ამ  
უდიდესი სინქრონიზატორისადმი, რომელიც  
გაამართლა თვით ბროდსკის გარდაცვა-  
ლებასთან დაკავშირებულმა ერთმა შემ-  
თხვევითობამ.

თარიღი მისი სულის მოსახსენებელი სა-  
ღამოსი, რომელიც გაიმართა ნიუ-იორკის  
იმავე ტაძარში, სადაც ბროდსკი თავის  
„ვირთევზას კონცხის იავენანას“ კითხუ-  
ლობდა, შერჩეულ იქნა ყოველგვარი წი-  
ნასწარგანზრახვის გარეშე — უბრალოდ  
მ მარტამდე ტაძარი დაკავებული იყო.  
მხოლოდ შემდეგ გამოთვალეს, რომ სწო-  
რედ იმ პარასკევს გავიდა მისი გარდაცვა-  
ლებიდან 40 დღე.

ძველ რუსულ ალაპებში სულის მოსახ-  
სენებელი ტრადიციული განრიგი აიხსნება  
იმით, რომ მესამე დღეს გარდაცვლილის  
სახე სრულიად უცნობი ხდება, მეცხრეზე  
— „ინგრევა სხეულის მთელი შენობა,  
გარდა გულისა“, მეორმოცეზე — ისიც  
ქრება. ამ დღეებში მიზანშეწონილია სუ-  
ლის მოსახსენებელი ქელეხის გამართვა.  
მაგრამ რით უნდა უმასპინძლო მათ, ვის-  
განაც მხოლოდ და მხოლოდ სულია და-  
რჩა? ბროდსკი — მოელოდა ამ კითხვას,  
თავის ძეგლში — „ლიტვური ნოქტიურ-  
ნი.“ ის წერდა. „...მხოლოდ ბგერას შეუ-  
ძლია მოსწყდეს სხეულს“.

და მართლაც, სულის მოსახსენებელ  
საღამოს წმინდა იოანეს ტაძარი ბგერებს  
აევსო. დროდადრო ეს იყო მუსიკა —  
ბროდსკის საყვარელი კომპოზიტორები-  
სა: პერსელის, პაიდნის, მოცარტის, უფ-  
რო ხშირად — ლექსები — ოდენისა, ახმა-  
ტოვასი, ფროსტის, ცვეტაევასი. და მუდ-  
მივად — ბუბუნა ექო, რომლისა გამოც  
გეგონა, რომ მომხდარში ტაძრის გოთუ-  
რი არქიტექტურაც მონაწილეობდა, ლოც-  
ვების ბუბუნს მიჩვეული ტაძარი ოსტა-  
ტურად იმეორებდა ფსალმუნებს. „ნუ და-  
ღუპავ სულს ჩემსას ცოდვილებთან და



სიცოცხლეს ჩემსას სისხლის მსმელებთან“. მგალობელთა აღმატებულ სტილს არ ეწინააღმდეგებოდა ბროდსკის „მეტაფიზიკისადმი გემოვნებით“ დაწერილი ლექსები, მათ კითხულობდნენ მსოფლიოს, შესაძლოა, ყველაზე საუკეთესო პოეტები. ინგლისურად თარგმნილი ბროდსკის ლექსების წასაკითხად ეკლესიის მაღალ კათედრაზე ადიოდნენ — ნობელის პრემიის ლაურეატები — ჩესლავ მილოი, დერეკ უოლკოტი, ვიმან ხინი; ბროდსკის რუსულად კითხულობდნენ ძველი მეგობრები — ევგენი რეინი, ვლადიმირ უფლიანდი, ანატოლი ნაიშანი, ტომას ვენცლოვი, ვიქტორ გოლიშევი, იაკობ გორდინი, ლევ ლოსევი. პროფესიონალები ბაკეებით აუჩქარებლად აგემოვნებდნენ ყოველ ბგერას. პროფესიონალები კიდევ იმიტომაც იყვნენ, რომ თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს სწორედ ბროდსკის კითხულობდნენ. ლექსებისა და მუსიკის შემდგომ ბროდსკის სტუდენტების მიერ ჩამორიგე-

ბული სანთლები აანთეს. მათმა ცეცხლმა განდევნა ჩამომდგარი წყვილიაღი, მაგრამ ვეებერთელა საკათედრო ტაძრის სიცივეს ვერ მოერიო. კალენდრის მიუხედავად, ნიუ-იორკში ისევე ციოდა, როგორც ამ ორმოციოდე დღის წინ. და შამთრისეულ ცივ ჰაერში ფირფიტა ჩაქრჩხილი ბროდსკის ხმა გაისმა:

Меня упрекали во всем, кроме погоды,  
И сам я грозил себе часто суровой мздой.  
И скоро, как говорят, я сниму погоны  
И стану просто одной звездой.  
И если за скорость света не ждешь  
спасибо,  
То общего, может, небытия броня  
ценит пошлти ее превращения в сито  
И за отверстие поблагодарит меня.

გული კი არა, ხმა ტოვებს სულ ბოლოს პოეტის სხეულს. ლექსების შემდეგ ტაძარში დარჩა მასთან შერიტმული სიჩუმე.

ნიუ-იორკი, 1996.



**გმორბი გურჯიანი**

გერმანულიდან  
თარგმნა რაშა რადიანმა

**ადამიანის ცხოვრების ობიექტური, მიუკერძოებელი კრიტიკა**

დაუშურველად და უკომპრომისოდ აღმოვფხვრათ ადამიანის გონებასა და გრძნობებში საუკუნეების მანძილზე ღრმად ფესვგადგმული აზრები და შეხედულებები ყოველივე ამქვეყნად არსებულის შესახებ, რადგან ისინი ყალბია და სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

**კეთილმოსურნე რჩევა**

საკუთარი ხელით ექსპრომტად დაწერილი ავტორის მიერ, როდესაც მან თავისი წიგნი დასაბეჭდად გადასცა.

მრავალგზისი განსჯისა და დასკვნის საფუძველზე ჩემს ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ის მანერა გამოვიმუშავე, რომლითაც თანამედროვე ადამიანი ახალ შთაბეჭდილებათა,

მოსმენილი თუ წაკითხული მასალის რეალიზებას ახდენს; აქვე მახსენდება ერთი ხალსური სიბრძნე, უძველესი დროიდან დღევანდელობამდე რომ მოაღწია და ამგვარად ჟღერს: „ყოველ ჩვენს ლოცვას



მხოლოდ მაშინ შეისმენს ზეცა და პასუხსაც შესაბამისად მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როდესაც სამჯერ ვიტყვით:

**პირველი:** ჯანმრთელობა ან სამუდამო სასუფეველი ჩვენს მშობლებს.

**მეორე:** სიკეთე და კეთილდღეობა ჩვენს მშობლებს. და მხოლოდ ამის შემდეგ — ჩვენც კარგად ვიყოთ“.

ამ ახლა უკვე მთლიანად დასრულებული და დასაბუქდად გადაცემული წიგნის პირველ გვერდზე შემდეგ რჩევას ვთავაზობთ:

„სამჯერ წაიკითხე ყოველი ჩემი ნაშრომი:

**პირველად** — ისე მექანიკურად, როგორც კითხულობ ყველა მენს თანამედროვე წიგნს თუ გაზეთს;

**მეორედ** — ისე, ვითომ ვინმე სხვა ადამიანს უკითხავ;

და მხოლოდ ახლა **მესამედ** — შეეცადე ჩაწვდე ჩემი ნაწერების არსს“.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებ საკუთარი წარმოდგენის, მენეული თვალსაზრისის შექმნას ჩემი თხზულებების შესახებ, ხოლო მენს თავს შენივე გონების წყალობით განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტან, რასაც მთელი ჩემი არსებით გისურვებ.

### აზრების ბალვიძება

შეხედულებებს, ჩემს უცნაურ და ძალზე თავისებურად აწყობილ ცხოვრებაში რომ გამოძიებულა და ხაერით მდგომარეობის შესაბამისად, განეკუთვნება აგრეთვე ის, — და ეს უდავოა, — როგორც ყველგან და ყოველთვის დედამიწაზე ყოველი შესაძლო განვითარების საფეხურისა და ნებისმიერი გამოხატვა-გამოვლინების უნარის მქონე ადამიანებს ახასიათებთ მათი ინდივიდუალობიდან გამომდინარე ყველა შესაძლო იდეალისათვის შექმნილ ფა-

1. იგულისხმება როგორც გარეგანი, ასევე ადამიანის შინაგანი მდგომარეობა; აქ ლაპარაკია თვითონ ავტორის შინაგან მდგომარეობაზე, მის ბუნებაზე.

ქტორთან დაკავშირებით, — რომ ახალი საქმის წამოწყებისას ხმამაღლა ანდა გულში მაინც წარმოთქვან ის გარკვეული, თვით თითოეული სრულიად გაურთლებელი ადამიანისათვისაც კი გასაგებ სიტყვები, სხვადასხვა ეპოქაში უკვე სწავილებულად რომ წარმოთქვამდნენ, უმჯობესად უღერს:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ“.

ახლა, როდესაც ჩემთვის სრულიად ახალ საქმიანობას, სახელდობრ კი მწერლობას ვიწყებ, სწორედ ამ გამოხატვას ვინსუნებ და ვაკეთებ ამას არა მხოლოდ ხმამაღლა, არამედ ძალზე მკაფიოდაც და, როგორც ძველი „ტულუზეტები“ იტყოდნენ, „სრულიად გამოკვეთილი აქცენტით“, — ისე სრულიად ბუნებრივად, როგორც იგი ჩემს სიტუაციაში უკვე შექმნილი და მხოლოდ ამგვარი გამოხატვა-გამოთქმისათვის მტკიცედ დამკვიდრებული პირობებისაგან შეიძლება წარმოიქმნას — ეს ის პირობები და მონაცემებია, რომლებიც ადამიანის არსებაში საზოგადოდ მის მოსამზადებელ ახალგაზრდულ ასაკში ყალიბდება და მოგვიანებით მისი ცხოვრების საპასუხისმგებლო პერიოდში ბუნებისა და ამგვარი ინტონაციის ცხოველყოფელი ზეგავლენის შედეგად წარმოიქმნება.

და რადგან ასეთნაირად დავიწყე, შემიძლია ახლა სრულიად დამშვიდებული ვიყო და რელიგიური მორალის თვალსაზრისით, როგორც ეს თანამედროვეობაშიცაა დამკვიდრებული, იოტისოდენა ეჭვიც არ შევიტანო იმაში, რომ ამ ჩემს ახალ საქმიანობაში ყოველივე, როგორც იტყვიან, საათივით აეწყობა და სასიკეთოდაც წარიმართება.

ყოველ შემთხვევაში მე ასე დავიწყე და, თუ როგორ იქნება საქმე, ამაზე ჯერჯერობით მხოლოდ გაკვირით ვიტყვი: „ვნახოთ“.

თავდაპირველად, მსურს ჩემი საკუთარი და ამასთან მარჯვენა ხელი, რომელიც — თუმცა ავარიის გამო, ამ ცოტა ხნის წინ რომ შემემთხვა, — მსუბუქად დავიზიანე, — მართლაც ჩემი საკუთარი ხელია და თა-



ვისი პატრონისათვის არასოდეს უღალატია, — გულზე დავიდო (ჩემს საკუთარ გულზე, რომლის ცვალებადობაზე და უცნაურობაზე ახლა არ მინდა ვილაპარაკო) და გულახდილად ვთქვა, რომ პირადად მე იოტისოდენა სურვილიც არა მაქვს წერილსა, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი გარემოებანი ამას მაიძულებენ. თვითონაც არ ვიცი, შემთხვევით შეიქმნა ეს გარემოებანი თუ უცხო ძალებმა განაპირობა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ისინი მაიძულებენ დავწერო არა უბრალოდ „რაიმე ნებისმიერი“, არამედ დიდრონი, სქელტანიანი ტომები.

ასეა თუ ისე, საქმეს უნდა შევუდგეთო, მაგრამ როგორ დავიწყო?

ახ, დალახვროს ეშმაკმა!.. ნუთუ მართლა მეორდება იგივე, ძალზე არასასიამოვნო და უაღრესად თავისებური შეგრძნება, რომელიც ამ სამიოდე კვირის წინ განვიცადე, როდესაც, გონებაში იდეების პროგრამას და თანამიმდევრობას ვამუშავებდი (რომელთა გავრცელებაც განვიზრახე) და იმავდროულად არც კი ვიცოდი, როგორ დამეწყო?

იმჟამინდელი განცდა ახლა მხოლოდ შემდეგი სიტყვებით შემიძლია გამოვხატო: შიში იმისა, რომ „შთავინთქა ჩემი საკუთარი აზრების მორევში“.

იმჟამად, ეს უსიამოვნო შეგრძნება რომ თავიდან ამეცილებინა, შემეძლო მიმემართა დამლუპველი ჩვეულებისათვის — როგორც ჩემი, ასევე ყოველი სხვა დღევანდელი ადამიანის თანდაყოლილ თვისებას რომ წარმოადგენს: — ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი გვსურს, „შემდეგისათვის“ გადავიტანოთ ისე, რომ ამ დროს არავითარი სინდისის ქენჯნა არ ვიგრძნოთ.

იმ დროს ამის გაკეთება ძალიან ადვილად შემეძლო, რადგან ვიდრე საერთოდ წერას დავიწყებდი, მეგონა კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი დრო მქონდა მარაგში. მაგრამ ეს ასე არ არის და არც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ამიტომ მე, როგორც იტყვიან, „შუაზეც რომ გავსკადე“, აუცილებლად საქმეს უნდა შევუდგეთ.

მაგრამ, მართლაცდა, როგორ დავიწყო?

ვაშა...! მივაგენი...!

თითქმის ყველა წიგნი, რომელიც კი ჩემს ცხოვრებაში ხელში ამოვიღე, წინასიტყვაობით იწყებოდა: „...“

მეც, ალბათ, „...“ მსგავსით უნდა დავიწყო.

მე ვთქვი, „რაიმე ამის მსგავსით“-მეთქი, რადგან, საერთოდ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ბიჭის ვოგოსაგან გარჩევა რომ ვისწავლე, ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს, სხვანაირად ვაკეთებდი, ვიდრე სხვა ჩემი მსგავსი ორფეზიანი კეთილდღეობის მტრები (ბუნების სიმდიდრეთა გამანადგურებლები). ამიტომ ახლა მწერლობის დარგშიც — შეიძლება ჩემი პრინციპიდან გამომდინარე ვალდებული ვიყო — განსხვავებულად ვიმოქმედო, ვიდრე ეს ჩვეულებრივ არის მიღებული. ყოველ შემთხვევაში, მე, ნაცვლად ჩვეულებრივი წინასიტყვაობისა, უბრალო გაფრთხილებით დავიწყებ.

გაფრთხილებით დაწყება სრულიად მართებული იქნება — ეს არ ეწინააღმდეგება ჩემს ორგანულ, ფსიქიკურ და „თავნება“ პრინციპებს და ამასთან ძალზე პატიოსანი განზრახვაცაა, — ცხადია, ობიექტური თვალსაზრისით — რადგან ყველა, ვინც კარგად მიცნობს, იმედიანად ულის, რომ ჩემი თხზულებების წყალობით მკითხველთა დიდ უმრავლესობას წამსვე და არა თანდათან, როგორც ეს ადრე თუ გვიან, დროთა განმავლობაში, ყველა ადამიანს მოსდის — გაუქრება მემკვიდრეობითი თუ საკუთარი მუშაობით შექმნილი „სიმდიდრეები“ (მხოლოდ გულუბრყვილო ოცნებების წარმომქმნელი „დამამშვიდებელი ცნებებისა“ და ხილვა-წარმოსახვის სახით რომ აქვს). გაუქრება აგრეთვე ლამაზი წარმოდგენები თავის ადრინდელ ცხოვრებაზე და იმედები მომავალზე.

პროფესიონალი მწერლები ამგვარ შესავლებს ჩვეულებრივ იმით იწყებენ, რომ ყოველგვარი შესაძლო მაღალფარდოვანი და მეტისმეტად გადაქარბებული „ბუნ-



ქია“ ტიტულებით (ანუ წოდებულებებით) მიმართავენ მკითხველს.

მე მხოლოდ ამაში მსურს მივბაძო მათ და მისასაღმებელი სიტყვითაც დავიწყო, მაგრამ შევეცდები, ეს ისე „ტკბილად“, დიდად საზიანო, მაგნე ბრძობა-ტკუამეტობით არ გამოვთქვა, როგორც ჩვეულებრივ ისინი აკეთებენ, და თავიანთი მეტად თუ ნაკლებად ნორმალური მკითხველის გრძობებს „ულიტინებენ“ ხოლმე.

მაშასადამე... ჩემო პატივსაცემო, ძვირფასო, ნებისყოფიანო და, ცხადია, ძლიერ მომთმენო კეთილშობილო ბატონებო და ჩემო ღრმად პატივცემულო, მომხიბლავო და სამართლიანო ქალებო... მაპატიეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი გამომჩნა — ჩემო სრულიად არაისტერიულ ქალებო!

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ, მიუხედავად გარემოებათა გამო, რომლებიც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ სტადიაში წარმოიქმნა და ახლა წიგნების წერას ვიწყებ, ჩემს სიცოცხლეში ჯერ არც წიგნი დამიწერია, არც სხვადასხვა ეგრეთ წოდებული „დამრიგებლობითი სტატია“ თუ წერილიც კი, რომლებშიც აუცილებელი იქნებოდა, ასე ვთქვათ, „გრამატიკულობის“ დაცვა, მოკლედ თუმცა ვაპირებ გავხდე პროფესიონალი მწერალი, მაგრამ არა ვარ გაწაფული არც არსებულ პროფესიულ წეს-ჩვევებსა თუ მეთოდებში და არც ეგრეთ წოდებულ „ბონ-ტონ-ლიტერატურულ მეტყველებაში“, — იძულებული ვარ სრულიადაც არ ვწერო ისე, როგორც ჩვეულებრივი „პატენტისანი“ მწერლები წერენ, რომელთა წერის მანერასაც, ალბათ, უკვე ისე შეეჩვიეთ, როგორც საკუთარი სხეულის სუნს.

ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი ამ შემთხვევაში უმთავრესად ის არის, რომ თქვენ უკვე ბავშვობის წლებშივე ჩაგინერგეს საუცხოოდ მომუშავე ავტომატური ჩვევები ყოველგვარ შესაძლო ახალ შთაბეჭდილებათა აღსაქმელად, სრული პარმონიულობით რომ ფუნქციონირებს ახლა თქვენს ფსიქიკასთან ერთად; ჰოდა, ამ „კურთხევის“ წყალობით საერთოდ აღარ გესაჭიროებათ რაიმე ინდივიდუალური ძალისხ-

მევა თქვენს უკვე სერიოზულ, საბასუნისმგებლო ასაკში.

გულახდილად რომ ვთქვათ, თვითონ მე, ჩემი ამგვარი თვალსაზრისის საფუძველად სამწერლო წესების და მეთოდების უცოდინარობას კი არ მივიჩნევთ, არამედ, რომ ვერ ვფლობ ეგრეთ წოდებულ „ბონ-ტონ-ლიტერატურულ ენას“, რომელიც არა მხოლოდ მწერლებს მოეთხოვებათ თანამედროვე ცხოვრებაში, არამედ უბრალო მოკვდავთაც. რაც შეეხება პირველს, სახელდობრ კი ჩემს გაუწაფობას სხვადასხვა სამწერლო წესის თუ მეთოდის ცოდნაში, ეს დიდად არ მალეღვებს, რადგან ამგვარი „უცოდინარობა“ დღეს უკვე სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში.

ეს ლოცვა-კურთხევა, ეს ნობათი წარმოიშვა და ჰყვავის დღეს დედამიწაზე იმ უჩვეულო ავადმყოფობის „წყალობით“, რომელიც ოცი-ოცდაათი წელია იპყრობს სამი თაობის ხალხს, ნახევრად მოხუჭული თვალებით რომ სძინავთ, და მათი სახეები ნაყოფიერი ნიადაგია ყველა შესაძლო ჩივილის თუ წუწუნის წარმოქმნისათვის.

ეს უცნაური და ახირებული ავადმყოფობა იმაში ვლინდება, რომ სწორედ მაშინ, როცა ავადმყოფს წერა და კითხვა შეუძლია და სამი თვის ქირაც უკვე წინასწარ გადაიხადა, აუცილებლად წერს ან „დამრიგებლობით“ სტატიას ანდა მთელ წიგნს. რადგან მე ამ ახალ ავადმყოფობას და დედამიწაზე მის ეპიდემიურ გავრცელებას კარგად ვიცნობ, უფლებას ვიტოვებ გაგანდოთ, რომ თქვენ, როგორც სწავლული მედიკოსები ამბობენ, ამისგან დაცული ხართ, ამიტომ ისერიგად აღარ აღმოფოთლებით სამწერლო წესებისა და ხერხებისადმი ჩემი ამგვარი დამოკიდებულების გამო. ეს თვალსაზრისი მიჩენს სურვილს, მთავარი ყურადღება ლიტერატურული ენისადმი ჩემს უცოდნელობაზე გავამახვილო.

თავის გასამართლებლად და, შესაძლოა, იმისთვისაც, რომ უფრო მცირედ წარმოვაჩინო ეს ნაკლი თქვენს შეგნებაში ჩემს



დღევანდელ ცხოვრებაში აუცილებლად საჭირო ენის უცოდნელობასთან დაკავშირებით, საჭიროდ ვთვლი, თვინიერი გულითა და სირცხვილისაგან ლოყებწამოკარხლებული სახით გამოგიტყდეთ, — თუმცა ეს ენა ბავშვობაშიც მასწავლეს, როცა რამდენიმე უფროსი ადამიანი სერიოზული საპასუხისმგებლო ცხოვრების პერიოდისათვის მამზადებდა და გამუდმებით მაზეპირებინებდა მრავალ სხვადასხვა ენობრივ ნიუანსს ისე, რომ ამ დროს მკაცრსა და შემაშინებელ ზომებსაც არ ერიდებოდა, — ყოველივე იმისაგან, რაც მაშინ ზეპირად ვისწავლე, აღარაფერი დამრჩა ისეთი, ჩემს ახლანდელ სამწერლო საქმიანობაში რომ გამოვიყენო.

აღარაფერი დამრჩა და აღარაფერი მახსოვს, მაგრამ, როგორც ახლახან ცხადი შეიქმნა, ეს ჩემი მიზნით არ მომხდარა და ამაში არც ჩემს წინანდელ პატივსაცემ და ასევე არაპატივსაცემ მასწავლებლებს მიუძღვით ბრალი; უბრალოდ, ეს ადამიანური ამბავი გაცამტვერდა ერთი სრულიად თავისებური და უჩვეულო შემთხვევის გამო, რომელიც ამ ღვთის მიერ გაჩენილ ქვეყანაში ჩემი მოვლინების დროს მოხდა და იმით გამოიხატა, რომ — როგორც ერთმა ევროპაში კარგად ცნობილმა ოკულტიზტმა ძალზე საფუძვლიანად და დეტალურად ჩატარებული, ასე ვთქვათ, „ფსიქო-ფიზიკურ-ასტროლოგიური“ გამოკვლევების შემდეგ ამიხსნა, — იმ მომენტში ვატეხილი ფანჯრიდან, ჩვენმა გადარეულმა და ტლანქმა შავმა ოხამ რომ ჩაამტვრია, ოთახში ვიბრაციული ბგერები შემოიჭრა, რომელიც მუხობლის სახლში მდგარი ედისონისეული ფონოგრაფიდან მოისმოდა. ამ დროს კი ბებიაქალს პირში, ედო გერმანული წარმოების კოკაინის აბი, რომელიც არავითარ „შემცვლელ“ წამალს არ წარმოადგენდა და ბებიაქალი ბგერათა ამ რიტმში არც თუ მთლად სიამოვნებით ღეჭავდა.

გარდა ზემოაღნიშნული მოვლენისა, ჩემი ახლანდელი მდგომარეობა იმანაც გამოიწვია, რომ მოგვიანებით ჩემს მოსამზადებელ და —ზრდადამთავრებულ ახოვ-

რებაში — და ეს, უნდა ვაღიარო, თვითონვე აღმოვაჩინე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გერმანელი პროფესორის ბატონ მტუმფზინშმაუზენის მსგავსად (გონება-ჩლუნგი მუცელმერთა) — თავიდან ვიცლებდი ყოველივეს, რაც მაძიებდა ეს ენა გამოძეუნებისა სწავლებას ურთიერთობისას და ამას ვაკეთებდი ინსტიტუტურად, ავტომატურად, ზოგჯერ შეგნებულადაც, ე. ი. ჩემი პრინციპის შესაბამისად. ასეთი წვრილმანები და, შესაძლოა, არაწვრილმანები იწვევდა ჩემს გამოვლინებებს, სამი სხვადასხვა პირობა-გარემოების შედეგს რომ წარმოადგენდა; ეს პირობები ჩემს არსებაში გაცხადდა მოწიფულობის ასაკში, რის შესახებაც ცოტა მოგვიანებით გესაუბრებით ჩემი თხზულების ამ პირველივე თავში.

ასეა თუ ისე, ფაქტი სახეზეა, გაშუქებულია ყოველმხრივ, როგორც ამერიკული რეკლამა, და ვერ შეცვლის ვერავითარი ძალა და მე, — თუმცა ცოტა ხნის წინ ხალხის თვალში სატაძრო რიტუალური ცეკვების აღიარებულ მასწავლებლად ვითვლებოდი, ამჟამადაც კი უკვე პროფესიონალი მწერალი ვავხდი და, ცხადია, ბევრსაც დაეწერ, რამეთუ ბავშვობიდანვე ჩვევად დამყვა, რასაც ხელს მოვკიდებ, საფუძვლიანად გავაკეთო, — ახლა იძულებული ვარ, ყოველივე, რაც მოვისაზრე ჩვეულებრივი და უბრალო ენით დაეწერო, ყოველგვარი ლიტერატურული მანიპულაციისა და გრამატიკული ტვინისკუყლეუტის გარეშე.

მაგრამ ესეც არ არის საკმარისი ყველაზე მთავარი ჯერაც არ გადამიწყვეტია. სახელდობრ, რომელ ენაზე უნდა დაეწერო. წერა, მართალია, რუსულად დაეწევე, მაგრამ ამ ენით, როგორც ბრძენთა-ბრძენი მოლა ნასრედინი იტყოდა, მთლად შორს ვერ წავალ და ბევრს ვერაფერს მივალწევ.

რუსული უდავოდ ძალიან კარგი ენა მე ის მიყვარს კიდევ, მაგრამ... მხოლოდ იმისათვის, რომ ანეკდოტები მოვკვეთა ანდა ვინმეს გენერალოგია ნაკლებად პატივსაცემი სიტყვებით მოვიხსენიო — თუ დაეხასიათო.



რუსული ენა ინგლისურს ჰგავს, რომელიც ასევე შესანიშნავი ენაა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ „სმოკინგ რუმში“ ფესი ფესზე გადადებულმა ისაუბრო. ვთქვათ, ავსტრალიურ გაყინულ ხორცზე, ან ინდური სინამდვილიდან აღებულ რაიმე საკითხზე. ორივე ენა იმ კერძივითაა, რომელსაც მოსკოვში „სოლიანკას“ უწოდებენ, და ამ მოსკოვურ სოლიანკაში შედის ყველაფერი — ჩემსა და შენ გარდა, მკითხველო, რაც კი შენს გულს გაუხარდება, თვით შეპერეზადას საღამური ჩეხმაც (ჩადრი) კი.

აქვე ისიც უნდა დავსძინო, რომ ჩემს ახალგაზრდობაში ყველა შემთხვევით თუ არაშემთხვევით შექმნილ გარემოებათა გამო მრავალი ენის შესწავლა მომიწია; ამ ენებზე ლაპარაკი, კითხვა და წერა კი ძალზე სერიოზულად და მუდამ თვითიძულებით მოვახდინე და ბოლოს მათ ისე დავეუფლე, რომ ორივე ენაზე ლაპარაკს ახლა უკვე თავისუფლად ვახერხებ.

თუ მე ამ ავტობიოგრაფიულ შექმნილ, ხანგრძლივი წვრთნით განმტკიცებულ ჩვევებს კარგად გამოვიყენებ, მაშინ ან რუსულად უნდა დავიწყო წერა, ან სომხურად. რადგან ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ორი ათწლეულის თანამდევმა გარემოებებმა განაპირობეს, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ამ ენებზე რომ ვლაპარაკობდი და, მაშასადამე, მათ უკეთესადაც ვფლობ.

ეჰ, ეშმაკმა დალაზვროს!..

თვით ამ შემთხვევაშიც ჩემი თავისებური ფსიქიკის და ჩვეულებრივი ადამიანის ეს უჩვეულო ასპექტი მთელი ჩემი არსების ტანჯვა-წვალებას იწვევს. მთავარი მიზეზი ახლანდელი ძნელი მდგომარეობისა ჩემს უკვე თითქმის ხანშესულ ასაკში იმაში გამოიხატება, რომ სხვა მრავალ თანამედროვე ცხოვრებისათვის ყოვლად უსარგებლო, სულელურ ჩვევებთან ერთად ჩემს თავისებურ ფსიქიკაში ბავშვობიდანვე ერთი ისეთი დამახასიათებელი თვისება ჩაინერგა, რომელიც ავტობიოგრაფიულად ყველგან და ყველაფერში მხოლოდ იქითკენ მიბიძგებს, რომ ხალხური სიბრძნისამებრ ვიმოქმედო.

ამ შემთხვევაშიც, — ისევე როგორც ყველა მსგავს, ჯერ კიდევ განუსაზღვრელ ცხოვრებისეულ სიტუაციებში — მსხენდება ცნობილი სიბრძნისეული გამოხატულება, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს და ჩვენს დროში უკვე განვითარებულია: „ყოველ ჯოხს აუცილებლად ორი ბოლო აქვს“.

როდესაც ამ თავისებური და საოცარი გამოხატულების პრინციპისა და ნამდვილი მნიშვნელობის გაგებას ცდილობენ, ჩემი აზრით, ყოველი მეტად თუ ნაკლებად ჯანსაღად მოახროვნე ადამიანის ცნობიერებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარმოიქმნას შესხედულება, რომ იდეათა ერთობლიობას, ამ გამოხატულების ფარულ აზრს რომ ემყარება, საფუძვლად უდევს ადამიანთა მიერ საუკუნეების მანძილზე შეცნობილი ჭეშმარიტება, სახელდობრ ის, რომ ადამიანის ცხოვრებაში წარმოშობულ ყოველ მიზეზს — სულერთია, რომელი მოკლენისაგან გამომდინარეობს იგი, და სხვა მიზეზთა ორ ურთიერთდაპირისპირებულ შედეგს — თავის მხრივ აუცილებლად ორი სრულიად ურთიერთდაპირისპირებული შედეგი უნდა ჰქონდეს; მაგალითად, ორი სხვადასხვა მიზეზისაგან წარმოქმნილი მოვლენა — შუქს რომ ასხივებს, აუცილებლად მის საპირისპირო ფენომენსაც უნდა იწვევდეს, — რაც სიბნელეს ნიშნავს. ან კიდევ ფაქტორი, ცოცხალი არსების ორგანიზმში რაიმე საგრძნობ კმაყოფილებას რომ წარმოშობს, აუცილებლად უნდა იწვევდეს საწინააღმდეგო გრძნობასაც, ე. ი. უკმაყოფილებას, რასაკვირველია, ასევე საგრძნობს და ასე შემდეგ ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში.

როცა მე საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ და ზემოაღნიშნული ჯოხის შესახებ (რომელსაც, როგორც ითქვა, მართლაც ორი ბოლო აქვს) გამოთქმულ ამ ხალხურ სიბრძნეს მივმართავ (რომლის დროსაც ჯოხის ერთი ბოლო კარგის აღმნიშვნელია, მეორე კი ცუდისა) და ხანგრძლივი წვრთნით შექმნილ-შეთვისებულ ავტობიოგრაფიულ ვიყენებ, ეს ჩემთვის ძალი-



ან კარგი იქნება, მაგრამ მკითხველს ამ გამონათქვამის მიხედვით სწორედ საწინააღმდეგო ერგება და იმას, რაც კარგის საწინააღმდეგოა, ადვილად მიხვდება ყველა, ვისაც კი ჰემოროი (ბუასილი) არ აწუხებს. სხვა სიტყვებით, თუ მე ჩემი უპირატესობით ვისარგებლებ და ჯოხის კარგ ბოლოს გამოვიყენებ, მაშინ საპირისპირო ბოლო აუცილებლად მკითხველის თავზე დაეშვება.

ეს მართლაც შეიძლება მოხდეს, რადგან რუსულ ენაზე შეუძლებელია ფილოსოფიურ საკითხთა დეტალების გამოხატვა, რომელთაც ჩემს თხზულებებში საკმაოდ ხშირად უნდა შევეხო. ამის საწინააღმდეგოდ, სომხურში ეს თუმცა შესაძლებელია, მაგრამ, ყველა დღევანდელი სომხის საუბედუროდ, მასში თანამედროვე ცნებები გამოხატულებას ვერ პოულობენ.

ამით გამოწვეული ტკივილი რომ გავანელო, უნდა ვთქვა, რომ ადრეულ ახალგაზრდობაში, როცა ფილოსოფიური საკითხებით ვიყავი გატაცებული და მათგან მოგვრილი შთაბეჭდილებები მალეღებდა, სომხურს ვამჯობინებდი ყველა ენას, რომელზეც კი მაშინ ვლაპარაკობდი, მათ შორის ჩემს მშობლიურ ენასაც კი.

ეს ენა უმთავრესად იმიტომ გახლდათ ჩემი საყვარელი ენა, რომ იგი თავისებური იყო და არაფრით არ ჰგავდა თავის მეზობელ თუ მონათესავე ენებს.

ყოველი მისი, როგორც სწავლული ფილოლოგები ამბობენ, მხოლოდ მისთვის იყო დამახასიათებელი და ჩემი მაშინდელი გაგებით სრულიად ეთანხმებოდა და შეესაბამებოდა ამ ეროვნების ხალხის ფსიქიკას.

მაგრამ ბოლო ოცდაათი-ორმოცი წლის განმავლობაში ეს ენა ჰემ თვალწინ ისე შეიცვალა, თვითმყოფადი, დამოუკიდებელი, შორეული წარსულიდან ჩვენამდე მოღწეული ენისგან ისეთ ენად იქცა, რომ, თუმცა თავისებური და თავისთავადია, ისეთ კლოუნურ და დომხალივით არეულ ენათავანს წარმოადგენს, მეტად თუ ნაკლებად გათვითცნობიერებულ-მიმხვედრი მსმენელის ყურს საერთო ჟღერადობით

თურქული, სპარსული, ფრანგული, ქართული და რუსული სიტყვებით მოესმება, ისევე, როგორც სხვა „მოუნებელი“ და დაუნაწევრებელი ბგერები.

იგივე, ან თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ჩემი მშობლიური ენის — ბერძნულის შესახებ, რომელსაც ბავშვობაში ვლაპარაკობდი და მისი, როგორც იტყვიან, „ავტომატურ-ასოციაციური გემო“ დღემდე შენარჩუნებული მაქვს. ამ ენაზე შემიძლია ყველაფერი გამოვხატო, რაც კი მსურს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ვერ გამოვიყენებ ჩემი თხზულებებისათვის, სახელდობრ კი იმ უბრალო და კომიკური მიხეზით, რომ ვილატამ ჩემი ნაწარმოებები უნდა გადაწეროს და სხვა საჭირო ენებზე გადათარგმნოს, მაგრამ ვინ გააკეთებს ამას?

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თანამედროვე ბერძნულის თვით საუკეთესო მცოდნეც ვერაფერს გაიგებს, თუ მე ჩემს მშობლიურ ენაზე დავწერ ისე, როგორც ეს ბავშვობის წლებში მისწავლია, რადგან ჩემი ძვირფასი თანამემამულეები, — რომლებიც სურვილით იწვოდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდან, ყველაფერში და თვით საუბარშიც კი მიეზიდათ თანამედროვე ცივილიზაციის წარმომადგენლებისათვის — ბოლო 30-40 წლის მანძილზე ძვირფას მშობლიურ ენას ზუსტად ისევე ეპყრობოდნენ, როგორც სომხები თავისას, ამავე დროს ცდილობდნენ გადაეღოთ რუსი ინტელიგენტების მანერა.

ბერძნული ენა, რომლის ბუნება და არსიც მემკვიდრეობით შევითვისე, და ენა, რომელზეც დღევანდელი ბერძნები ლაპარაკობენ, ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც — მოლა ნასრედინის გამოთქმა რომ ვინმართ — ღურსმანი პანაშვიდს.

მაშ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

აჰ!.. შენ ნუ შეწუხდები, ჩემო ძვირფასო მკითხველო, მოთმინებით რომ მიპყვები ჩემს ტვინის საკვლევ სიტყვებს, სანამ საკმარისი რაოდენობის ფრანგული არაყი „არმანიაკი“ და „პაიზარული ბასტურმა“ მომეძვეება, მანამდე ამ ძნელი მდგომარეობიდანაც ვამოვნახავ როგორმე გამოსავალს.



ეს ხომ ახალი ამბავი არ არის ჩემთვის! ცხოვრებაში იმდენჯერ ვყოფილვარ ძნელ მდგომარეობაში და იმდენჯერ დამიღწევია თავი, რომ ეს უკვე ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია.

ჯერჯერობით, ამ შემთხვევაში, მინდა ნაწილობრივ რუსულად დავეწერო და ნაწილობრივ სომხურად, მით უმეტეს რომ იმ ხალხიდან, მუდამ გარს რომ მახვევია, ზოგიერთი მეტად თუ ნაკლებად ორივე ენაში ერკვევა და ამიტომ იმედი მაქვს, შეძლებენ ჩემი თხზულებების ამ ენაზე გადაწერას და თარგმნას.

ყოველ შემთხვევაში, კიდევ ვიმეორებ — შენ რომ არ დაგავიწყდეს (როგორც, საერთოდ ყველაფერი გავიწყდება — მათ შორის ისიც, რომ სხვათათვის მიცემული სიტყვა შეასრულო), რომელ ენაზეც არ უნდა დავეწერო, ყოველთვის და ყველაფერში იმ ენით არ ვისარგებლებ, რომელსაც „ბონ-ტონ-ლიტერატურული ენა“ ვუწოდებ.

ერთი განსაკუთრებით თავისებური ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანწილად — ალბათ, უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ჩვეულებრივ გონება გაწვდება — თქვენი ცოდნის წყურვილის ღირსია, იმაში გამოიხატება, რომ ჩემს ადრეულ ბავშვობაში, ე. ი. მას შემდეგ, რაც სურვილი დამებადა მომეშალა ჩიტის ბუდეები და გამეჯავრებინა ჩემი მეგობრების დები, ძველი თეოსოფების გამოთქმისამებრ, ჩემს „პლანეტურ სხეულში“ და ამასთან — არ ვიცი რატომ — უპირატესწილად „მარჯვენა ნახევარში“, ინსტინქტური, უნებლიე შეგრძნება გაჩნდა, რომელიც ჩემი ცხოვრების იმ პერიოდში, ცეკვის მასწავლებელი რომ გავხდი, თანდათანობით გარკვეულ გრძობად მექცა და შემდეგ, როცა ამ პროფესიის მეშვეობით სხვადასხვა კატეგორიის უამრავ ადამიანს ვხვდებოდი, ჩემში გაჩნდა რწმენა, რომ ამ ენებს ის ხალხი ადგენს, რომელიც მოცემული ენების ცოდნით ზუსტად ორფეხა ცხოველებს ჰგვანან, ვისაც ჩვენი პატივცემული მოლა ნასრედინი ამგვარად ახასიათებს: „ასეთი ადამიანები რომ არ არსებობდნენ,

ღორებს ფორთოხლების ერთმანეთისაგან გარჩევა ეცოდინებოდათ“.

ბოლო ხანებში ჩემს „საყვარელ იდეათა რიგში“ შევიდა ცნება — ადამიანური აზროვნების პროცესი, და ახლა ამ პირველივე თავში მსურს მოგახსენოთ ფიქსიონის შესახებ, რომელსაც *მეჩვენებოდა* ვავეცანი — წარსულში, ყოველ საუკუნეში ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ ის, რომ ადამიანი, რომელიც თვლიდა, „უფლება მაქვს, ესა თუ ის პიროვნება და თვითონ ჩემი თავიც „შეგნებულად მოაზროვნე არსებად“ ჩავთვალო“, უკვე ცხოვრების ადრეულ ხანაშივე იყო ინფორმირებული, რომ მას, საერთოდ, აზროვნების ორი სახე გააჩნია: ერთია ის აზრები, რომელთა გამოსახატავადაც სიტყვები გამოიყენება და რელატიური მნიშვნელობა გააჩნიათ და მეორე, რომელიც ყველა ადამიანსა და ცხოველსაც ახასიათებს და მეკი ასე ვუწოდებ: „აზროვნება ფორმებში“.

აი, ეს მეორე სახე აზროვნებისა, ანუ „აზროვნება ფორმებში“, რომლის შედეგადაც ყველა ნაწერისა თუ თხზულების ქეშმარიტი აზრი აღიქმება, ადამიანში იქმნება ადგილის, დროის, კლიმატის და საერთოდ მთელი გარემოს პირობებში, სადაც იგი დაიბადა და სადაც მისი არსებობა სრულწლოვანების ასაკამდე მიმდინარეობდა. ამის მიხედვით სხვადასხვა რასის, ცხოვრებისეული მდგომარეობის თუ გეოგრაფიული მხარის წარმომადგენელ ადამიანთა ტვინში იქმნება ერთმანეთისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი ფორმები ერთი და იმავე საგნისა თუ იდეისა, რომლებიც თავიანთი ფუნქციონირების, ე. ი. თავიანთი ასოცირების დროს, ადამიანში ამა თუ იმ განცდას წარმოშობენ და სუბიექტურად გარკვეულ წარმოდგენას განაპირობებენ. შემდეგ ეს წარმოდგენები გამოხატულებას პოულობენ ამა თუ იმ სიტყვით, რომელიც ამავე წარმოდგენის მხოლოდ გარეგნულ სუბიექტურ გამოხატვას ემსახურება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობისა და რასის ადამიანში ყოველი სიტყვა ერთი



და იმავე საგნისადმი თუ იდეისადმი სრულიად თავისებურ და განსხვავებულ შინაარსს იძენს.

სხვა სიტყვებით, როდესაც რომელიმე ადამიანის საერთო მდგომარეობაში, ნებისმიერ მხარესა და ნებისმიერ ადგილას რომ შეიქმნა, სპეციფიკური ლოგიკური ზეგავლენებითა და შთაბეჭდილებების მეოხებით „გარკვეული ფორმა იქმნება“, ეს ფორმა მასში განსაზღვრული „შინაგანი შემცველობის“ განცდას იწვევს და ამა თუ იმ წარმოდგენისა თუ ცნების მიხედვით, რომლის გამოსახატავადაც იგი სიტყვას იყენებს, ის მისთვის ჩვეულებრივი და, როგორც აღვნიშნე, სუბიექტური ხდება. მსმენელი, რომლის არსებაშიც წარმომშობისა და ზრდის განსხვავებულ პირობებში მოცემული სიტყვის საფუძველზე სრულიად განსხვავებული „შინაგანი შემცველობის“ ფორმა შეიქმნა, იმავე სიტყვას სულ სხვაგვარად აღიქვამს, აუცილებლად სხვანაირად, თავისებურად ესმის ის.

ეს ფაქტი შეიძლება ნათლად დავადგინოთ, თუ ყურადღების მოკრებით და ობიექტური დაკვირვებით ვუსმენთ ორი ადამიანის საუბარს, ორ განსხვავებულ რასას რომ მიეკუთვნებიან, ანდა სხვადასხვა გეოგრაფიულ მხარეში დაიბადნენ და გაიზარდნენ.

მაშასადამე, ჩემი „ნაწერების წაკითხვის კანდიდატო“, ჩემო მკითხველო, — რადგან გაგაფრთხილე, რომ მე ისე არ დავწერ, როგორც ჩვეულებრივ პროფესიონალი მწერლები წერენ, არამედ სრულიად სხვაგვარად-მეთქი, გირჩევ, ვიდრემდის ჩემი ნაწერების კითხვას შეუდგებოდე, ჯერ სერიოზულად დაფიქრდი და კითხვა ისე განაგრძე. წინააღმდეგ შემთხვევაში მომიწევს ზრუნვა შენს სმენით, აღმქმელ და ასევე მომწოდებელ ორგანოებზეც, რომლებიც უკვე ისე მიეჩვივნენ „ინტელიგენციის ლიტერატურულ ენას“ (დღესდღეობით მთელ ქვეყანაზე რომ არის გავრცელებულ-დამკვიდრებული), რომ ჩემი თხზულებების კითხვა ძალიან, ძალიან კაკაფონიურ სასმენად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს, რის გამოც, — იცი, რა,

— შეიძლება მადაც დაგეკარგოს შენი საყვარელი კერძისადმი და იმისადმიც, რაც შენს „შინაგან არსებას განსაკუთრებულად უღიჭინებს და შემდეგ „აღფეხნება“, როდესაც შენს მეზობელს მომხიბლავ შავგვრემან ქალს დაუჩაჩქენებ!

ჩემს სასაუბრეებს, მსმენელი ზუსტად, ჩემი აზროვნების მანერას ასეთი ზეგავლენის მოხდენა რომ შეუძლია, ამაში ისე ღრმად ვარ დარწმუნებული წარსულში ხშირად განმეორებული ამბებისა და განცდების გამოისობით, როგორც კარგი „ნაპატივები ვირი“ თავისი ჯიუტობის უფლებასა და სამართლიანობაში.

რაკი, ჩემო მკითხველო, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტის გამო უკვე გაგაფრთხილე, ყოველივე სხვა გარემოებისადმი შემიძლია მშვიდად განვეწყო და საქმესაც შევუდგე. ჩემს ნაწერებთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობაც რომ წარმოიქმნას, ამაში მხოლოდ შენ იქნები დამნაშავე. ჩემი სინდისი ისეთივე სუფთაა, როგორც, მაგალითად, ყოფილი იმპერატორის ვილჰელმისა.

შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ მე ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის კაცი ვარ და, როგორც ზოგს ჩვევია თქმა, „საექვსო შინაგანი ბუნებისაც“, რომელიც დამწყები მწერალივით ორიგინალობას იჩემებს და იმედოვნებს, მოიხვეჭოს სახელი და გამდიდრდეს კიდევ.

თუ შენ მართლა ასე ფიქრობ, გარწმუნებ, ღრმად ცდები.

ჯერ ერთი, მე ახალგაზრდა აღარა ვარ. უკვე იმდენი ვიცოცხლე, იმდენი განვიცადე, რომ კარგად ვიცი ამ ცხოვრების აგან-ჩაგანი, ლაბირინთები და მიხვეულ-მოხვეული გზები; მეორეც, მე სრულიად არ ვწერ იმ მიზნით, რომ კარიერა გავიკეთო, ანდა, როგორც იტყვიან, მტკიცედ მოვიკიდო ფეხი მიწაზე, თანაც იმ პროფესიით, რომელიც, ჩემი მოსაზრებით, მრავალ შესაძლებლობას ქმნის კაცი პირდაპირ „ჯოჯოხეთის კანდიდატად“ იქცეს — თუკი, ცხადია, ასეთი ხალხი შეძლებს ამ ზომამდე „სრულყოფის თავისი თავი“, ხალხი, რომელმაც სრულიად არაფერი იცის



და მაინც ყოველგვარ შესაძლო სისულელეს თხზავს და ამით ავტომატურად ავტორიტეტს იხვეჭს, რითაც ადამიანის ისედაც უკიდურესად ზერულე და დაკნინებულ ფსიქიკას კიდევ უფრო აკნინებს.

რაც შეეხება ჩემს პირად კარიერას, მე იგი ყოველგვარი მაღალი და დაბალი — თუ გნებავს — მემარცხენე თუ მემარჯვენე ძალებითაც კი სინამდვილედ ვაქციე და საკმაოზე მეტი ხანიცაა ფეხზე ვდგავარ, თანაც ძალიან მტკიცედ, ასე რომ, დარწმუნებული ვარ, მისი ძალა კიდევ მრავალ წელს გაგრძელდება ჩემი ყველა ადრინდელი, ახლანდელი და მომავალი მტრების ჯიბრზე.

ღიას, მსურს ჩემს განუსჯელ ტვინში სულ ახლახან დაბადებული იდეის შესახებაც მოგასხენო, რომლის არსსაც მალე შეიტყობ. საქმე ის გახლავთ, რომ კვლავ გამახსენდა ტრანსკავკასიელი ქურთის ამბავი, რაც ჩემს სრულიად ადრეულ ბავშვობაში მომისმენია, შესაბამის სიტუაციებში მუდამ წარუმლელ შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა ჩემზე. ამ ამბავს ცოტა უფრო დაწვრილებით გიამბობ, რადგან ვფიქრობ, იგი სასარგებლო იქნება როგორც ჩემთვის, ასევე შენთვისაც.

სასარგებლო ეს უმთავრესად იმიტომ იქნება, რომ მე ამ ამბის დედააზრის, ან, როგორც დიდგვაროვანი ებრაელი საქმოსანი იტყოდა, „ციმესის“ ახალი ლიტერატურული ფორმის ძირითად პრინციპად გადაქცევა მსურს, ამ ახალი პროფესიის მეოხებით ჩემ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად რომ უნდა გამოვიყენო.

ერთხელ ეს ტრანსკავკასიელი ქურთი სოფლიდან ქალაქში წავიდა. თავისი საქმე რომ გააკეთა, ბაზარში შეიარა. იქ ხილის ვაჭრის ფარდულში ლამაზად ჩამწკრივებული ნაირნაირი ხილეული ნახა. უცებ თვალი მოჰკრა ერთ ნაყოფს, რომელიც ძალიან ლამაზი ფერისა და მოყვანილობის იყო; ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა — მიუხედავად იმისა, რომ ჯიბეში მხოლოდ საცოდავი გროშები ედო — ეყიდა და გაესინჯა დედაბუნების ეს მშვენიერი ძღვენი.

ჩვენი გულაჩქროლებული ქურთი უჩ-

ვეულო სითამამით ფარდულში შევიდა და თითოთ ანიშნა „ხილის ნაყოფზე“, ასე ძალიან რომ მოეწონა, თან გამყოფველს ფასი ჰკითხა. ვაჭარმა უბასუხა, ამ „ხილეულის“ ერთი ფუნტი (410 გრამი) ექვსი გროში ღირსო. ქურთს სრულყოფილად ვერა დასახელებული ფასი დაეკმაყოფილებოდა მთელი ფუნტი შეეძინა.

ქალაქში საქმეები რომ მოითავა, იმავე დღეს ფეხით გაუყვა თავისი სოფლისკენ მიმავალ გზას.

შებინდებისას, როცა რამდენიმე გორაკი და ველ-მინდორი გადაიარა, და ამასთან ტკბებოდა დედაბუნების მშვენიერი ხედებით და სუფთა, სურნელოვანი ჰაერით, ჩვენს მგზავრს კუჭმა თავისი არსებობა შეახსენა. გზის პირას ჩამოჯდა, ფუთიდან პური და ახალი ნაყიდი „ხილი“ ამოიღო და მაღიანად შეექცა.

მაგრამ... პოი, საშინელებაჲ!!! მალე მთელ სხეულში უჩვეულო წვა დაეწყო, თუმცა ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და მშვიდად განაგრძო ჭამა.

ღიას, ჩვენი პლანეტის ამ უბედურმა ორფეხა არსებამ ჭამა მშვიდად განაგრძო, მხოლოდ ჩემ მიერ შემოაღნიშნული, ადამიანისათვის დამახასიათებელი იმ განსაკუთრებული თვისების თანახმად, რომლის პრინციპმაც — გადაწყვიტე იგი ჩემ მიერ შექმნილ ახალ ლიტერატურულ ფორმას საფუძვლად დავუდო — ჩემს ერთ-ერთ მიზანს უნდა მიმალწევინოს. ამ პრინციპის აზრსა და მნიშვნელობას შენ, იმედია, მალე გაიგებ ჩემი თხზულების ერთ-ერთი მომდევნო თავის კითხვის დროს (ეს, ცხადია, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შენს აღქმა-გააზრების უნარზე), — რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუკი გაბედავ და კითხვას გააგრძელებ, — ან არადა, შეიძლება უკვე ამ პირველი თავის ბოლო ნაწილშიც მიხვდე რაღაცას.

სწორედ ამ დროს, როდესაც ბუნების წიაღში მჯდომი ჩვენი ქურთი ამ უცნაური საჭმლისაგან მოგვრილ განცდებში ჩაფლულიყო, ამავე გზაზე მისი თანასოფლელი მოაბიჯებდა, რომელიც თავის ნაცნობთა წრეში ძალიან ჭკვიან და გამოც-



დიდი ადამიანად ითვლებოდა. როცა მან შენიშნა, რომ ქურთს მთელი სახე ჭარხალივით გაწითლებოდა და თვალებიდან ცრემლები სცვიოდა, — მაგრამ ამის მიუხედავად, თითქოსდა თავისი მთავარი მოვალეობის გრძნობით შეპყრობილი, მთლად წითელი წიწაკის პარკს ჭამდა (წითელი წიწაკა — პარკოსანთა ჯგუფის მცენარე), — შესძახა: — რას შერები, შე კკუათხელო იდიოტო! შენ ხომ ცოცხლად დაიწვეები! ახლავე შეწყვიტე ამ საშინელი და შენთვის სრულიად შეუფერებელი „საჭმლის ჭამა!“

მაგრამ ჩვენმა ქურთმა ასეთი პასუხი შეაგება: არაფითარ შემთხვევაში! ამაში ჩემი უკანასკნელი ექვსი გროში გადავიხადე! გინდაც სული გავაცხო, მაინც ბოლომდე შევჭამ!

მართლაც, ჩვენმა თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ქურთმა კვლავ მშვიდად განაგრძო წიწაკის ჭამა.

ახლა, როცა ეს ამბავი უკვე მოისმინე, იმედი მაქვს, შენს გონებაში ნელ-ნელა იბადება შესაბამისი ასოციაცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს — ზოგიერთი დღევანდელი ადამიანის მსგავსად შენში იმ აზრს გამოიწვევს, რასაც ვაგებას უწოდებენ, და რომ მოცემულ შემთხვევაში შენ მიხვდები, საიდან ვიცი ასე კარგად ეს ადამიანური თვისება, გარდაუვალად იმაში რომ გამოიხატება, რაშიც ფული გადავიხადეთ, იმით აუცილებლად ბოლომდე უნდა ვისარგებლოთ; მიხვდები, თუ რატომ ვარ შინაგანად აღფრთოვანებული ჩემს გონებაში წარმოქმნილი იდეით და რად მსურს ჩემს ხელთ არსებული ყველა სამუალებს გამოვიყენო, რათა შენ, როგორც „ჩემი სულიერი ნათესავი“, — თუ ჩემი თხზულებების შესაძენად უკვე ფული გადაიხადე და მხოლოდ შემდეგ შეიტყვე, რომ ისინი შენთვის ჩვეულ, მოსახერხებელ და ადვილად წასაკითხ ენაზე არ დაწერილა, — იძულებული არ შეიქნე, რადაც უნდა დაგიჯდეს ბოლომდე წაიკითხო ჩემი თხზულებები (ზემოაღნიშნული ადამიანური თვისების გამო), როგორც ეს საწყალ ტრანსკავკასიელ ქურთს დაემართა,

რომელმაც შეჭამა მის მიერ ესოდენ მოწონებული, „ხუმრობა იქით იყოს“ — დიდებული წითელი წიწაკა.

ზემოაღნიშნული ადამიანური თვისების შედეგად წარმოქმნილი შესაძლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მსურს ჩემი თხზულების შესაქმნელად აღნიშნული წესით დაიბეჭდოს და ყველამ შეძლოს მისი წაკითხვა ისე, რომ თვითონ არ მოუხდეს შეფუთული წიგნის მაკრატლით თუ დანით გახსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წიგნის ვაჭარი, როგორც იტყვიან, „ყალბზე შედგება“ და ვაჭართა მთავარი პრინციპის მიხედვით თავის სათქმელს ასეთნაირად ჩამოაყალიბებს: „შენ დოულაბია ხარ და არა მეთევზე, რადგან თევზს, რომელიც უკვე ანკესს წამოეგო, კვლავ ეპოტინები“, — და უარს იტყვის უკვე გახსნილი წიგნის კვლავ დაბრუნებაზე. ასეთი ვარიანტის შესაძლებლობა მე სრულიადაც არ მაეჭვებს და მსგავს უსინდისობას ადვილად მოველი წიგნის ვაჭართაგან.

ის თვალსაზრისი, საკუთარი დამოკიდებულება რომ გამოამჟღავნებინა წიგნის ვაჭართა არაკეთილსინდისიერების მიმართ, ჩემში სრულად მაშინ განმტკიცდა, როდესაც მე, როგორც ნამდვილი „ინდოელი ფაქირი“ (სხვათა შორის, ასევე ერთი გარკვეული „ულტრა-ფილოსოფიური საკითხის“ გაშუქების მიზნით), დღევანდელ წიგნის ვაჭართა ავტომატურად კონსტრუირებული ფსიქიკის ასოციაციური გამოვლინების პროცესს ვავეცანი, რომლის დროსაც ისინი მყიდველებს მოხერხებულად შეატყუებენ ხოლმე წიგნებს.

რადგან მე ყოველივე ეს ვიცი და ბუნებით სამართლიანიც ვარ, ხოლო იმ უბედურების შემდეგ, მე რომ შემემთხვა, ყოველთვის ძალზე ღრმად და გამოწვლილვით ვაანალიზებ მომხდარს, არ შემიძლია, არ გაგიმეორო და კვლავ არ გაგაფრთხილო; მეტიც, დაჟინებით გირჩიო, ვიდრე ჩემს პირველ წიგნს ვაეცნობი, ძალიან ყურადღებით და თანაც რამდენჯერმე წაიკითხე ჩემი ნაწერების ეს პირველი თავი.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად გაფრთხილებისა, მაინც არ დაიშლი და



ჩემი თხზულების შემდგომ შინაარსს გაეცნობი, მაშინ სხვა რაღა გითხრა, — მთელი სულითა და გულით ვისურვებ კარგ სურვილ-განწყობილებას; ვისურვებდი აგრეთვე, რომ, რასაც წაიკითხავ, არა მხოლოდ შენი, არამედ ყველა შენი მოკეთისა და ახლობლის კეთილდღეობისათვის გამოვეყენებინოს. მე ვთქვი — „მთელი სულითა და გულით“-მეთქი, რადგან ამ ბოლო დროს ვცხოვრობ ვეროპაში და ხშირად ვხვდები ხალხს, რომელიც ყოველ შესაფერის და შეუფერებელ სიტუაციაში ხალისიანად და ქარაფშუტულად ახსენებს ხოლმე წმინდა სახელს, ადამიანის მხოლოდ და მხოლოდ შინაგან ცხოვრებას რომ უნდა განეკუთვნებოდეს, ე. ი. — ვაგრძელებ, — ვხვდები-მეთქი ხალხს, უსაფუძვლოდ რომ ხმარობს სალანძღავ სიტყვებს, და მე, როგორც უკვე ვთქვი, არა მხოლოდ თეორიულად (როგორც დღევანდელი ადამიანები), არამედ პრაქტიკულადაც ვითვალისწინებ საუკუნეების მანძილზე შექმნილ ანდაზებს და იმ გამონათქვამს, რომელიც მოცემულ შემთხვევას ძალიან კარგად ესადაგება და ასე გამოიხატება — „მგლებთან როცა ხარ, შენც უნდა იყმუვლო“ (სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეთ), — გადავწყვიტე, ვეროპაში ვაგრძელებულ ადათში (ჩვეულებრივ საუბარშიც რომ ილანძღებიან) — დისპარმონიის შეუტანლად, — სალანძღავი სიტყვები ვიხმარო სხვებთან ურთიერთობის დროსაც. მაგრამ თან იმ მცნებას რომ მივსდით, რომელიც წმინდა მოსეს ბაგეებმა წარმოთქვეს, სახელდობრ — „ნუ ისარგებლებ ბოროტად წმინდა სახელებით“, — გადავწყვიტე გამოვიყენო თავისებური შემთხვევა ერთი, ასე ვთქვათ, „ახალგამომცხვარი“ მოდური ენიდან, ე. ი. ინგლისურიდან, და ამის შემდეგ შესატყვის სიტუაციაში ჩემი „ინგლისური სულისკვეთებით“ ვიხმარო „სალანძღავი“, გამკილავი სიტყვები.

არ ვიცი, როგორ უყურებ შენ ამას, ჩემი თხზულებების შექმნის უკვე ნახევრად კანდიდატო; ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩემს თავისებურ ბუნებას, არსებას არ შეუძლია არ აღმფოთდეს და წინ არ აღუდგეს თა-

ნამედროვე კულტურის წარმომადგენელთა გამოვლენილ ფაქტს, რომლის მიხედვითაც უმაღლესი რამ ადამიანში, ~~ჩვე~~ ყოველის შემქმნელისა და შემთქმნელისათვის განსაკუთრებით ძვირფასია (ვიდრე ადამიანი მის არსში გაერკვევა), მხოლოდ ყოველად ბიწიერად და ბინძურად არის ადამიანთა მიერ წოდებული და ხშირად ასეთივედ მიჩნეულიც.

მაგრამ გვეყოფა ფილოსოფოსობა... აქედან სჯობს დავუბრუნდეთ კვლავ ამ შესავალი თავის მთავარ ამოცანას, რაც, სხვათა შორის იმისთვისაა გამიზნული, ერთის მხრივ, გამოაღვიძოს მთვლემარე აზრები როგორც ჩემს, ასევე მკითხველის არსებაში, და მეორე მხრივ ერთი რამის გამო გააფრთხილოს მკითხველი.

მაშასადამე, მე უკვე გავიაზრე და დავალაგე ჩემი სათხრობი მასალის გეგმა და თანამიმდევრობა, მაგრამ თუ როგორ ფორმას მიიღებს იგი ქალაქდზე გადატანისას, ეს, გულახდილად უნდა ვთქვა, ჯერჯერობით თვითონაც არ ვიცი, თუმცა ქვეცნობიერად უკვე ნათლად ვგრძნობ, რომ მთლიანობაში რაღაც, ასე ვთქვათ, „მძაფრი და მკვეთრი“ გამოვა და ყოველი მკითხველის საერთო მდგომარეობაზე დაახლოებით ისევე იმოქმედებს, როგორც წიწაკის ნაყოფმა ღატაკ ტრანსკავკასიელ ქურთზე.

რადგან ახლა შენ ჩვენი თანამემამულის, შეუპოვარი ტრანსკავკასიელი ქურთის ამბავი იცი, უკვე ჩემს მოვალეობად ვთვლი ვიყო სრულიად გულახდილი, რათა, — ვიდრე ჩემი შემდგომი თხზულების ამ პირველი თავის ახსნასა და გადმოცემას ვაგრძელებდე, — შენს ვერეთწოდებულ „წმინდა ცნობიერებამდე“ დავიყვანო, რომ ამ გამაფრთხილებელი თავის შემდეგ ნაწილში ჩემს მოსაზრებებს განვებ ისეთი თანამიმდევრობით და „ლოგიკური შეპირისპირება-შეჯერებით“ ავსახავ, რომ ზოგიერთი არსებული ცნების არსი თავისთავად ავტომატურად გადავიდეს ამ „წმინდა ცნობიერების“ მდგომარეობიდან, — ადამიანთა უმეტესობა ნამდვილ ცნობიერებად რომ თვლის უცოდინარობის



გამო, მაგრამ რომელსაც მე მათი წარმოსახვის, ილუზიის შედეგად ვთვლი და ექსპერიმენტულად ვამტკიცებ, — იმასი, რასაც შენ ქვეცნობიერს უწოდებ, ჩემი აზრით კი ქვეშარითი ადამიანური ცნობიერება რომ არის და იქიდან თავისთავად, მექანიკურად ის ცვლილება გამოიწვიოს, რომელიც საერთოდ ადამიანის არსებაში ხდება და მასვე თავისი საკუთარი, შეგნებული, აქტიური აზროვნებით ის რეზულტატები მოუტანოს, ადამიანის დამახასიათებელ თვისებად რომ უნდა იქცეს და იგი ერთ და ორტვინიანი ცხოველები-საგან გამოარჩიოს.

მე გადავწყვიტე, ეს აუცილებლად გავაკეთო, რათა ამ შესავალმა თავმა, შენი ცნობიერების გაღვიძებისთვის რომ არის მოწოდებული, თავისი მიზანი მთლიანად შეასრულოს და მიადწიოს არა მხოლოდ შენს — აქამდე მხოლოდ ჩემი მოსაზრებით — წარმოსახულ „ცნობიერებას“, არამედ აგრეთვე შენს ნამდვილ, ქვეშარით ცნობიერებას, ე. ი. იმას, რასაც შენ ქვეცნობიერს უწოდებ და გაიძულოს პირველად — შენს ცხოვრებაში აქტიურად იაზროვნო.

ყოველი ადამიანის არსებაში, მისი მეაკვიდრეობითობისა და აღზრდის გარდა, იქმნება ორი დამოუკიდებელი ცნობიერება, რომელთაც არც თავიანთი ფუნქციონირებით და არც გამოვლინებით არაფერი საერთო არ გააჩნიათ. ცნობიერება იქმნება ყოველგვარი შესაძლო შემთხვევითი შევრძნებისა თუ დაკვირვებისაგან ანდა სხვათა მიერ განზრახ წარმოქმნილი მექანიკური შთაბეჭდილებებისაგან, რომლებშიც უნდა ჩავთვალოთ ასევე განსხვავებული სიტყვათა „ფლერანი“, და რომლებიც, როგორც ითქვას, ცარიელია, უშინაარსოა. ხოლო მეორე ცნობიერება იქმნება როგორც, ასე ვთქვათ, „უკვე — ადრე-ჩამოყალიბებული — მატერიალური რეზულტატებისაგან“, ადამიანის საერთო მდგომარეობის, მისი არსების შესაბამის ნაწილთან რომ არის შერწყმული და მეაკვიდრეობით აქვს მიღებული, და ასევე იმ მონაცემებიდან და პირობებიდან, რომლებიც წარმოიქმნება მასში უკვე არსებული ამ

„მატერიალიზებული მონაცემების“ ასოციაციური შეპირისპირება-შედარება-შეჯერების წინასწარგანზრახული გამოღვიძებით.



ამ მეორე ადამიანური ცნობიერების მთლიანი ფორმიზმის შესახებ, რაც სხვა არაფერია, უწოდებენ, და რომელიც მეაკვიდრეობითი „მატერიალიზებული რეზულტატებით“ და საკუთარი ზრახვებით განხორციელებული შედარება-შეჯერებით იქმნება, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში რომ წარმოიქმნა მრავალწლიანი ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად, და — აი, სწორედ ეს „ქვეცნობიერი“ უნდა დომინირებდეს (მატონობდეს) ადამიანის არსებაში.

ამ ჩემი მრწამსის რეზულტატიდან გამომდინარე, აქამდე უდავოდ გაფანტული გონების ფანტაზიის ნაყოფად რომ გერვენება (ახლა, როგორც უკვე თვითონაც ხვდები, ამ მეორე ცნობიერებას გვერდს ვერ ავუვლი), ვგრძნობ მძაფრ შინაგან მოთხოვნილება-მოვალეობას, რომ ჩემი ნაწერების ამ პირველი თავის (იმ თავისა, ყოველივე შემდგომის წინასიტყვაობად რომ ვთვლი) სტრუქტურა ისე ჩამოვაყალიბო, რომ იგი შენს ორივე ცნობიერებაში თავმოყრილ წარმოდგენებს მიწვდეს და ისინი ჩემი მიზნისთვის გააზრებული საჭირო მანერით „შეანჯღრიოს“ (შეარხიოს).

წარვმართავ რა ჩემს აზრებს ამ მიმართულებით და შინაარსით, უნდა გაუწყო, რომ სამი გარკვეული თავისებური პირობისა თუ მონაცემის წყალობით, ჩემს არსებაში რომ „გამოკრისტალდა“ ჩემი მოსამზადებელი ასაკის სხვადასხვა პერიოდში, ახლა მართლაც ერთადერთი ვარ, და აქ საქმე ეხება ყველა ადამიანის არსებაში მტკიცედ ჩანერგილი (ჩაბეჭდილი) ყალბი ცნებების, რწმენის და წარმოდგენის გამოამკარავებას და ადამიანის არსებაში ფესვგამჯდარი სიყალბე-ბოროტების თავისი ნამდვილი სახით წარმოჩენას (გვ. 26). მე ვიმედოვნებ, გარკვეულ მომენტში შენში გამოვიწვიო შესაბამისი, იმპულსი ამ



შემთხვევაში კი ცნობისმოყვარეობის იმპულსი და იმავდროულად განვიმარტო კიდევ, რატომ გავხდი მე — რომლის სახელიც, როგორც დამწყები მწერლისა, ჯერ არც ერთხელ არ მოხსენიებულა პრესაში, ეს ერთადერთი პიროვნება.

მე პირადად ძალიან კმაყოფილი დავრჩები შენს თუნდაც „ცრუ“ ცნობიერებაში, რომელიც (შენ) „ნამდვილ, კემმარიტ“ ცნობიერებად მიგაჩნია, ასეთი ცნობისმოყვარეობის წარმოქმნით, რადგან უკვე გამოცდილებით ვიცი, ადამიანისათვის დამახასიათებელი ეს უღირსი იმპულსი შეიძლება ამგვარი ცნობიერების მდგომარეობიდანაც კი გადავიდეს თავის ბუნებაში და იქცეს ღირსეულ იმპულსად, სახელდობრ კი ცოდნის წყურვილის იმპულსად, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ყოველი ობიექტის უკეთეს აღქმა-გააზრებას და სრულ წვდომასაც კი, იმ ობიექტისა, რომელსაც, შესაბამის შემთხვევაში თუ სიტუაციაში, ყურადღების კონცენტრაციის მოხდენა უწევს ადამიანს, მით უმეტეს ცოდნის დაუფლების წყურვილით სტიმულირებულ ადამიანს; ამიტომ მე სიამოვნებით დავაკმაყოფილებ შესაბამის მომენტში წარმოქმნილ ამგვარ ცნობისმოყვარეობას, რომელიც შენში ან უკვე გაჩნდა, ან არადა, ყველა წესით და კანონით, აუცილებლად უნდა გაჩნდეს.

მაშასადამე, მისმინე და შეეცადე ჩემი მოლოდინის გამართლებას და არა გაცრუებას. ჩემი „ორიგინალური“ პიროვნება, რომელიც გრძნობს, „იუნოსავს“ როგორც წმინდა „სამსჯავროს ორივე ქოროს“ (გუნდის) სხვადასხვა გარკვეულ ინდივიდუუმებს, ზევით, სადაც ობიექტური სამართლიანობა სუფევს და ასევე ადამიანთა აქამდე ძალზე შესლუდულ რაოდენობას აქ დედამიწაზე, აიხსნება სამი მეორეხარისხოვანი სპეციფიკური პირობითა და მონაცემით, ჩემს არსებაში ახალგაზრდული ასაკის სხვადასხვა პერიოდში რომ შეიქმნა. პირველი ეს პირობა-მონაცემი თავის ჩამოყალიბებისთანავე მოელი ჩემი არსების, ასე ვთქვათ, მთავარ, მიმართულებების მაჩვენებელ ბერ-

კეტად იქცა, ხოლო დანარჩენი ორი ამ პირველი პირობა-მონაცემის „მკვებავ“ და სრულმყოფ „მაცოცხლებელ წყაროებად“.

ეს პირველი პირობა-მონაცემი წარმოიქმნა მაშინ, როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა ვიყავი. ჩემს ძვირფასეს მამა-დაცვლილი ბებია — მაშინ ცოცხალი და ღრმად მოხუცი გახლდათ — ას წელს იყო გადაცილებული, სიცოცხლესთან გამოთხოვების უამი დაუდგა — ღმერთმა აკურთხოს მისი სახელი — დედამ მაშინდელი წესისამებრ მომაკვდავის საწოლთან მიმიყვანა; მარჯვენა ხელზე რომ ვაკოცე, ჩემმა საყვარელმა, აწ უკვე გარდაცვლილმა ბებიამ თავისი დაუძღურებული მარჯვენა ხელი თავზე დამადო და ჩურჩულით, მაგრამ ძალზე გარკვევით მითხრა: „ჩემო უფროსო შვილიშვილო, მისმინე და მუდამ გახსოვდეს ჩემი მკაცრი ანდერძი: არასოდეს გააკეთო ცხოვრებაში ის, რასაც სხვები აკეთებენ“.

ეს რომ თქვა, ამომხვდა და როცა, ჩემი გაოცება და მისი ნათქვამისადმი მიუხვედრელობა შენიშნა, თითქოსდა ოდნავი გაჯავრებით და იმავდროულად შემავულიანებლად დასძინა: ან არაფერი გააკეთო — გინდა წადი სკოლაში, ან გააკეთე რაიმე, რასაც ჩვეულებრივ სხვა არავინ აკეთებს“.

ამის შემდეგ, მან ცერემონიების გარეშე, (მის) გარშემო ყოველივესადმი უგულვებელმყოფელი მკაფიო იმპულსით და ღირსპატივისცემი, დარბაისლური თვითშეგნებით — თავისი სული პირდაპირ ხელებში ჩააბარა მის ყოვლად სამართლიანობას — მთავარანგელოზ გაბრიელს.

ფიქრობ, საინტერესო და საყურადღებოც იქნება შენთვის უბრალოდ იცოდე, რომ ყოველივე ამან მაშინ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ გარშემო არაფრის და არავის ატანა არ შემეძლო, რის გამოც, როგორც კი ოთახიდან გამოვედი, სადაც ჩემი წარმოშობის (დაბადების) მიზეზთა მიზეზის მოკვდავი „პლანეტური სხეული“ იწვა, ძალიან ფრთხილად, ისე, რომ სხვებს არ შევემჩნიე, საკუჭნაოში შევიპარე, სადაც მარხვის დროს ჩვენი ღორებისათვის სამ-



ზარეულოს საკმლის ნარჩენებს და კარტოფილის ნაფცქვენებს ინახავდნენ, და იქ ვიწეკი უქმელ-უსძელი, მღელვარე ბავშვურ და გაურკვეველ ფიქრებში ჩაფლული, ვიდრე დედაჩემი არ დაბრუნდა სასაფლაოდან და თავისი ტირილით (როცა ჩემი არყოფნა შენიშნა და კარგა ხანს ამოდმეძახდა) კვლავ „გონზე არ მომიყვანა“, რის შემდეგაც წამსვე გამოვედი საკუჭნაოდან, ხელეზგაწვდილი მისკენ გავიქეცი და კაბაზე ჩამოვეკიდე; შემდეგ ჩემდაუნებურად ფეხები დაუბაკუნე და არ ვიცი რატომ, ყროყინში მივბაძე ვირს, ჩვენი სოფლის მამასახლისის საკუთრებას რომ წარმოადგენდა.

თუ რატომ მოახდინა მაშინ ყოველივე ამან ჩემზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება და რატომ გამოვაგლინე თითქმის ავტომატურად ასე უცნაურად ჩემი თავი, ეს ჩემთვის დღემდე აუხსნელია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი იმ დღეებში, „დიდმარხვის წინა დღეს“ რომ უწოდებენ, ამაზე ბევრს ვფიქრობდი და მისი მიზეზის დადგენას ვცდილობდი.

ამასთან მე, უბრალოდ ლოგიკურად ჩავთვალე, რომ შესაძლოა ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ოთახი, რომელშიც წმინდა წესი შესრულდა და უადრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩემი შემდგომი ცხოვრებისათვის, ერთიანად გაუღენთილიყო განსაკუთრებული საკმეველის სურნელებით, მონასტერ „ახალ ათონში“ რომ იყო ნაყიდი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქრისტიანული რელიგიის ყველა მიმართულების მიმდევართა შორის.

როგორც არ უნდა იყოს, ეს ფაქტი ჯერ კიდევ ფაქტად რჩება.

მომდევნო დღეებში ჩემს საერთო მდგომარეობაში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა; თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ამ დღეების განმავლობაში მე უფრო ხშირად, ვიდრე ჩვეულებრივ, ჰაერში ფეხებით (ე. ი. ხელებით მიწაზე) დავდიოდი.

ჩემი პირველი მოქმედება, აქტი, რომელიც, როგორც ჩანს, არ შეესატყვისებოდა სხვა გამოვლინებებს (თუმცა კი იგი მოხდა არა მხოლოდ ჩემი კანონიერების, არამედ თვითონ ჩემი ეკეცნობიერების მონაწილეობის გარეშე; უაჩხორციელდა ბებიაჩემის სიკვდილამდის მსხვერპლად მეორე მოცე დღეს, როდესაც მთელი ოჯახი, ნათესავეები და ყველა, ვინც კი პატივს სცემდა ჩემს ძვირფას, ყველასათვის საყვარელ ბებიას, შეიკრიბა სასაფლაოზე, რათა მის ნეშტზე, საფლავში რომ განისვენებდა, შეესრულებინათ სულის მოსახსენიებელი წირვა: ამ დროს უეცრად, და სრულიად უნებლიეთ დავიწყე — (ნაცვლად იმისა, რომ დაშეცვა, ის, რაც ჩვეულებრივი ამბავია ყოველგვარი მატერიალური მდგომარეობისა და ხელშესახები თუ „არახელშესახები“ მორალის ყველა კატეგორიის ხალხისათვის) წყნარად დგომის მაგიურად, როცა ადამიანს სახეზე მწუხარება უხატება და თვალეებში ცრემლი ერევა — ცეკვა საფლავის გარშემო და მღერა: „მას, ვინც ახლა განისვენებს ღვთის საუფლოში წმინდანებთან ერთად, აქ ვერაფერს შეედრებოდა“...

„ეი, ეი, ეი!“

მას, ვინც ახლა იქ განისვენებს ღვთის საუფლოში წმინდანებთან ერთად, აქ დედამიწაზე ვერაფერს შეედრებოდა...“ და ა. შ. და ა. შ.

და სწორედ აქედან დაიწყო, რომ ჩემს არსებაში წარმოიქმნა „რაღაც“, რაც (რაც შეეხება ყოველგვარ „მაიმუნობას“, ე. ი. ჩემ გარშემო მყოფ ადამიანთა ჩვეულებრივ ავტომატურ გამოვლინებათა მიბაძვას) ყოველთვის და ყველაფერში იწვევს, როგორც ახლა მას ვუწოდებ, იმის „დაუძლეველ სურვილს“, რომ არაფერი ისე არ გავაკეთო, როგორც სხვები აკეთებენ.

მაშინდელ ასაკში მე ვაწყობდი სხვადასხვა ოინებს; მაგალითად:

როცა ჩემი ძმები, დები და მეზობლის ბავშვები, რომლებიც ჩვენთან თამაშობდნენ, ბურთს ჰაერში ისროდნენ, მე მას ჯერ მაგრად დავაგდებდი მიწაზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც, ბურთი ასხლტებოდა, ვი-



ჭერდი მას (მანამდე კი ვაკეთებდი ყირა-  
მალას), თანაც მარცხენა ხელის ცერითა და  
შუათითით, ანდა, როცა ყველა ბავშვი წინ  
გადაწეული თავით ციგით გორაკზე ჩასრია-  
ლდებოდა, მე ამას ვაკეთებდი, — რო-  
გორც მაშინ ბავშვები უწოდებდნენ, —  
„უკნიდან წინ“ და თან გამუდმებით ვცდი-  
ლობდი უფრო და უფრო უკეთ გამეკე-  
თებინა ეს; ან კიდევ, როდესაც ბავშვებს  
სხვადასხვანაირ ნამცხვარს გვაძლევდნენ,  
— ყველა ბავშვი, ვიდრე პირში ჩაიდებ-  
და, ჯერ ჩვეულებისამებრ ლოკავდა მას,  
— რათა გემო გაეგო და სიამოვნება გაე-  
ხანგრძლივებინა — მე ჯერ ვყნოსა-  
ვდი მას ყოველი მხრიდან, ყურზეც ვიდე-  
ბდი და დაკვირვებით ვუვლდებდი ყურს და  
მხოლოდ შემდეგ, თითქმის გაუცნობიერე-  
ბლად, მაგრამ მაინც სრულიად სერიოზუ-  
ლად ჩემთვის ვბუტბუტებდი: „ასე უნდა;  
ასე უნდა; — ნუ ჭამ, — რაც არა გრგებს;“  
თან რიტმულად ვღიღინებდი, ვიღებდი  
მხოლოდ ერთ ნაჭერს და მაშინვე ველა-  
პავდი ისე, რომ გემოს არ ვატანდი, და  
ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

პირველი ამბავი, რომლის დროსაც ჩემს  
არსებაში ერთი აღნიშნულ მონაცემთაგა-  
ნი წარმოიქმნა, და ჩემი განსვენებული  
ბებიის ანდერძის სრულყოფისა და საზრ-  
დობის „მაცოცხლებელ წყაროდ“ იქცა,  
მოხდა სწორედ იმ წელიწადს, როდესაც  
მე, ჯერ კიდევ პატარა ბუთხუზა ბიჭი  
სულ მალე „ცუდლუტ ახალგაზრდად“ ვი-  
ქეცი და, როგორც ზოგჯერ ამბობენ, ისე  
გამოვიყურებოდი, — ვითარ „სასიამოვნო  
გარეგნობის ახალგაზრდა კაცი ჯერ  
კიდევ გამოუკვეთელი და გაურკვეველი  
შინაგანი სამყაროთი“.

ეს ამბავი მოხდა ისეთ ვითარებაში, რო-  
მელიც, შესაძლოა, თვითონ ბედის მიერ  
იყო საგანგებოდ შექმნილი.

ერთხელ რამდენიმე ყმაწვილთან ერ-  
თად მეზობლის სახლის სახურავზე მახეს  
ვუგებდი მტრედებს; ამ დროს ერთმა ბი-  
ჭნა, ზემოდან რომ იყო ჩემზე გადმოხრი-  
ლი და ყურადღებით მიცქერდა, თქვა: —  
„მე რომ მკითხოს კაცმა, ცხენის ძუის  
მახე ისე უნდა დავაგოთ, მტრედის ტერ-

ფი და მოზრდილი თითი არ მოხვდეს მას-  
ში, თორემ, როგორც ბიოლოგიის მასწა-  
ვლებელმა ამასწინათ აგვისხნა, რაკი მო-  
ძრაობის დროს მტრედის ყველა თითში  
სარეზერვო ძალა გროვდება, მტრედი,  
რასაკვირველია, ადვილად გააღწევს ძუის  
მარყუქს“:

მეორე ბიჭი, ჩემ წინ რომ ჩაცუცქული-  
ყო და, სხვათა შორის, როგორც კი დაი-  
ლაპარაკებდა, უხვად გამოპყოფდა და ამ-  
ხეფებდა ნერწყვის სხვადასხვა მიმართულე-  
ბით, პირველი ყმაწვილის ნათქვამის გა-  
გონებისთანავე ალაპარაკდა და თავის  
სიტყვებს საკმაო რაოდენობით წაუმძღვა-  
რა წინ ნერწყვის შხეფები;

„ენა გააჩუმე, შე პოტენტოტების უიმე-  
დო შთამომავალო! შენც ისეთივე უდღე-  
ური ხარ, როგორც შენი მასწავლებელი!  
თუნდაც მართალი იყოს, რომ მტრედის  
უმეტესი ფიზიკური ძალა ამ დიდ თით-  
შია მოქცეული, ჩვენ მით უფრო უნდა  
ვეცადოთ, სწორედ ეს თითი მოხვდეს მა-  
რყუქში. მხოლოდ მაშინ ექნება აზრი  
ჩვენს მიზანს — ე. ი. ამ საწყალი მტრე-  
დების დაჭერას. ტვინის, გონების ეს თა-  
ვისებურება-განსაკუთრებულობა რაც აგ-  
რერიგადაა დამახასიათებელი იმ რბი-  
ლი და სხლტომადი „რალაციისათვის“,  
გამოიხატება სხვადასხვა მოქმედებების  
მეოხებით, რომლებზეც დამოკიდებულია  
მისი უმნიშვნელო გამოვლინების უნარი,  
და პერიოდულად წარმოიქმნება აუცილე-  
ბელი კანონი, იმას რომ შეესატყვისება,  
რასაც „მდგომარეობის, შემადგენელი  
ნაწილის ცვლილებას“ უწოდებენ; შემდეგ  
ეს პატარა, ასე ვთქვათ, „კანონზომიერი  
დომხალი“, სხვა აქტების „გამოცოცხლება-  
გახალისებას“ რომ უწყობს ხელს მათ სა-  
ერთო ფუნქციონირებაში, დაუყოვნებლივ  
ასტიმულირებს მთელი ფუნქციონირების  
სიმძიმის ცენტრს, — რომელშიც ეს  
„სხლტომადი რალაც“ ძალიან მცირე  
როლს თამაშობს — და გადაჰყავს იგი  
დროებით ერთი მდგომარეობიდან მეორე-  
ში, რის შედეგადაც ზშირად ვიღებთ მო-  
ულოდნელ, სულელურ, ყოვლად სასაცი-  
ლო „რეზულტატებს“. ბოლო სიტყვები მან



ნერწყვთა ისეთი კასკადით წამოიხროლა, რომ მეგონა „საფრქვეველას“ ნაკადის ქვეშ მოვეყვი-მეთქი და არა „ერზაც“-პროდუქციისა (შემცვლელი), რომელიც გერმანელებმა გამოიგონეს ანილინის საღებავებისაგან ნივთების შესაღებად.

ეს უკვე მეტისმეტი იყო, მე მეტის ატანა არ შემეძლო და ისე, რომ ჩემი „ჩაცუცქული პოზა“ არ შემიცვლია, მას მძლავრად დავაჯახე თავი მუცელში; ბიჭი იმწამსვე ძირს დაენარცხა და, როგორც იტყვიან, უგრძობლად გაიშოტა“. არ ვიცი და არც მსურს ვიცოდე, როგორ ყალიბდება თქვენს აზროვნებაში რეზულტატი ცხოვრებისეულ გარემოებათა ამ არაჩვეულებრივი დამთხვევის თაობაზე, რომელიც ახლა უნდა განვმარტო; ყოველ შემთხვევაში ეს დამთხვევა იყო შესანიშნავი მასალა ჩემი აზროვნებისათვის, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ამბავი, რომელსაც ჩემს სიყმაწვილეში ჰქონდა ადგილი, შემთხვევით კი არ მომხდარა, არამედ განზრახ იყო მოწყობილი გარკვეულ უცხო, გარეშე ძალთა მიერ.

საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარ ფიზიკურ სიმარჯვე-მოხერხებულობაში — ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღით ადრე — მე დამახელოვნა ერთმა ბერძენმა მღვდელმა თურქეთიდან, რომელიც დევნილი იყო თურქების მიერ თავისი პოლიტიკური მრწამსის გამო. როდესაც იგი ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა, ჩემმა მშობლებმა მას შესთავაზეს, ესწავლებინა ჩემთვის (გარკვეული საფასურის წილად) თანამედროვე ბერძნული ენა.

არ ვიცი, რა მონაცემებს ემყარებოდა მისი პოლიტიკური მრწამსი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, რომ ამ ბერძენი მღვდლის ყველა საუბარში, მაშინაც კი, როცა იგი მიხსნიდა ექსკლამაციური სიტყვების (შეძახილი, წამოძახილი) განსხვავებას ძველ და ახალ ბერძნულში, ძალუმად იგრძნობოდა და იკვეთებოდა დიდი სურვილი, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო კუნძულ კრეტაზე, რათა იქ თავისი პატრიოტული ზრახვანი განეხორციელებინა.

პოდა, როდესაც მე ჩემი სიმარჯვე-ხერხიანობის რეზულტატი ვნახე, არ დავმალავ და ძალიან შეშვენივრდა; ვიფიქრე, — რაკი მაშინ არაფერი ვიცოდა სხეულის ამ ადგილზე მიყენებული დარტყმით გამოწვეული შესაძლო შედეგებს შესახებ, — ბიჭი შემომაკვდა მართალი.

სწორედ ამ მომენტში, დიდ შიშს რომ განვიცდიდი, მეორე ბიჭი, ბიძაშვილი იმისა, რომელიც ამ ჩემი „სიმარჯვე-ხერხიანობის“ პირველი მსხვერპლი შეიქნა, იმწამსვე ცხვირწინ ამეტუზა, ეტყობა, იგი შეპყრობილი იყო „სისხლით ნათესაობის“ გრძნობით, ამიტომ მთელი ძალით ჩამცხო მუშტი სახეში.

ამ დარტყმისაგან, როგორც იტყვიან, „თვალეში ნაპერწკლებმა გამოიღვა“, იმაგდროულად პირში სისხავსე ვიგრძენი, თითქოს იგი გამოტენილი მქონდა საკვებით, ათასი წიწილას ხელოვნური გამოკვებისათვის რომ იყო განკუთვნილი.

მცირე ხნის შემდეგ, როცა ეს ორი უცნაური შეგრძნება თანდათან გამინელდა, აშკარად ვიგრძენი, რომ პირში რაღაც უცხო საგანი მქონდა, როდესაც იგი პირიდან თითქმის გამოვიღე, ხელში შემჩრა უჩვეულო ფორმისა და ზომის მოხრდილი კბილი.

როდესაც სხვა ბავშვებმა ამ უჩვეულო ზომისა და ფორმის კბილზე ასე თვალჩამტერებული დამინახეს, ჩემ ვარშემო შეგროვდნენ და თვითონაც დიდი ცნობისმოყვარეობითა და უცნაური ღუმილით დააშტერდნენ.

ამ დროს ბიჭი, აჭამდე სახურავზე უგონოდ გაშხლართული რომ იწვა, ვრძნობაზე მოვიდა, ადგა და სხვა ბავშვების მავავსად ჩემ კბილს მიაშტერდა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

ამ უცნაურ კბილს შეიღი ძირი ჰქონდა და ყოველ მათგანს ბოლოში ეკიდა ამობერილი წვეთი სისხლი, ყოველ წვეთში ნათლად, გამოკვეთილად გამოსჰვიოდა და ატანდა თეთრი სხივის ხილვადი გარდატეხა, ანუ შუქტყდომა.



ჩვენნაირი ანცი ბიჭებისათვის ამგვარი უჩვეულო სიჩუმის შემდეგ კვლავ ხმაური ატყდა და ამ ღრიანცელში გადავწყვიტეთ, მაშინვე წავსულიყავით პარიკმახერთან, კბილის ამოღების სპეციალისტიც რომ იყო, და გვეკითხა რატომ გამოიყურებოდა ეს კბილი ასე უჩვეულოდ. ყველანი ჩამოვედით სახურავიდან და პარიკმახერთან წავედით. მე, როგორც „ღღის გმირი“, ამაყად მივუძღოდი მათ წინ.

პარიკმახერმა ზერელედ დახედა კბილს და თქვა: ეს, უბრალოდ, „სიბრძნის კბილია“ და მამრობითი სქესის მხოლოდ იმ არსებებს აქვთ, რომლებიც, ვიდრე პირველად წარმოსთქვამენ „მამას“, ან „დედას“, მხოლოდ საკუთარი დედის რძით იკვებებიან და პირველივე შეხედვით ცნობენ და განასხვავებენ საკუთარი მამის სახეს სხვა სახეებისაგან.

ამ შემთხვევის ეფექტების მთელი ერთობლიობის შედეგი, რომლის „მსხვერპლიც“ ჩემი საწყალი „სიბრძნის კბილი“ შეიქნა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩემმა ცნობიერებამ იმ დღიდან დაიწყო არა მხოლოდ მუდმივად ყოველივესთან კავშირში ჩემი განსვენებული ბებიის — იკურასოს მისი წმინდა სული — ნაანდერძევის არსის გაშიშვლება, არამედ აგრეთვე (იმ დროს მე არ შემეძლო კვალიფიცირებულ კბილის ექიმთან წასვლა, რათა შემკურნა ღა ეს „ნაკბილარი“ ცარიელი ადგილი, რადგან ჩვენი საცხოვრებელი დაშორებული იყო თანამედროვე კულტურის ცენტრებს) ამ ნაკბილარი ადგილის დრმულიდან ქრონიკულად იწყო ქონვა „რადიკამ“, რომელსაც ის უნარ-თვისება ჰქონდა — როგორც ეს ერთმა განთქმულმა ამინდის პროგნოზისტმა ამიხსნა, რომელსაც შემთხვევის წყალობით ძალიან დავუახლოვდი, როცა ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს პარიზის ლამის რესტორნებში მონმარტრზე — გაედვიძებინა ინტერესი და მისწრაფება „საექვო ფაქტის“ წარმოქმნის მიზეზის გარკვევისადმი და ამ არამემკვიდრეობით მიღებულმა თვისებამ ბოლოს ყოველი „საექვო ფენომენის“ გამოკვლევის და დადგე-

ნის სპეციალისტად მაქცია, იმ ფენომენებისა, ასე ხშირად რომ მხვდებოდნენ ცხოვრების გზაზე.

ეს თვისება, ამ ამბის შემდეგ ჩემს არსებაში რომ ჩაინერგა, და მე, რასაც ვირველია, ჩვენი უღმრთესი კერძაქის საყოველთაო მბრძანებლის (ე. ი. დროის დინებისა) ახალგაზრდა კაცად (როგორც ეს უკვე ვთქვი) გარდავიქმენი, მართლაც წარუშლელ, ჩემი ცნობიერების მძლავრად მასტიმულირებელ, ცხოველყოფელ, მუდმივმოგიზგიზე კერად იქცა.

მეორე ადრე მოხსენიებული ცხოველყოფელი ფაქტორი, — ამჯერად ჩემი ძვირფასი ბებიის ნაანდერძევის სრულად შესახამებლად ყველა მონაცემთან, ჩემს საერთო ინდივიდუალობას რომ ქმნის, — იყო შთაბეჭდილებათა მთლიანობა, შემთხვევით მიღებული ინფორმაციის წყალობით რომ შემექმნა და ჩვენთან დედამიწაზე მომხდარ ამბავს რომ შეეხება იმ პრინციპის წარმოშობიდან გამომდინარე, რომელიც მოგვიანებით — როგორც ეს ბატონი ალან კარდეკის მიერ „სრულიად საიდუმლო სპირიტუალისტური სეანსის“ დროს ჩატარებული გამოკვლევებით გახდა ცნობილი — ჩვენი დიდი სამყაროს ყველა პლანეტაზე ჩვენი მსგავსი ყველა არსების სასიცოცხლო პრინციპად იქცა.

ამ ახლა უკვე „საყოველთაო უნივერსალური სასიცოცხლო პრინციპის“ ფორმულირება ასეთი გახლავთ: „თუ ვქეიფობთ, ვიქეიფოთ ბოლომდე, თავისი საფოსტო ხარჯებითურთ“.

რადგან ეს უნივერსალური „პრინციპი“ სწორედ იმ პლანეტაზე წარმოიშვა, რომელზეც შენ გაჩნდი, და ყოველთვის „ვარდების საწოლზე წოლით“ და ხშირად ფოქსტროტის ცეკვით არსებობ, ვფიქრობ, არა მაქვს უფლება დაგიმალო ცნობილი ამბავი, რომელიც სწორედ ამ უნივერსალური პრინციპის წარმოქმნის ზოგიერთ დეტალს ეხება.

ჩემს ბუნებაში აღნიშნული ახალი პრინციპის ჩანერგვის შემდეგ ვგრძნობდი აუხსნელ მისწრაფებას გამომეკვლია ნამ-



დვილი მიზეზები, საიდანაც წარმოიქმნება სხვადასხვა „ჭეშმარიტი ფაქტი, ამიტომ დავიწყე (ამ დროს პირველად ჩავედი რუსეთის გულში, ქალაქ მოსკოვში, სადაც ისეთი ვერაფერი ვნახე, რაც ჩემს ფსიქიკურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა) რუსული ლეგენდებისა და ანდაზების კვლევა, რომლის დროსაც, — ვერ გეტყვით შემთხვევით თუ გარკვეული ობიექტური თანმიმდევრობის შედეგად — შევიტყვე შემდეგი:

ერთხელ ერთ რუსს, რომელიც ნაცნობების წრეში უბრალო ვაჭრის სახელით იყო ცნობილი, რაღაც საქმის გამო პროვინციული ქალაქიდან რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მოუწია გამგზავრება; ამ დროს მას საყვარელმა ვაჟმა — რადგან იგი ძალიან ჰგავდა თავის დედას — სთხოვა, ესა და ეს წიგნი ჩამომეიტანეო.

როდესაც ამ „ყოვლად უნივერსალური სიცოცხლის პრინციპის“ დიდი ავტორი მოსკოვში ჩავიდა, თავის მეგობრებთან ერთად „მამაპაპურად დათვრა“, — როგორც ეს მაშინ წესად ჰქონდათ და ახლაც წესად აქვთ, — ნამდვილი „რუსული არყით“.

როდესაც ორფეხა არსებათა ყველაზე უფრო დიდი თანამედროვე დაჯგუფების ეს ორი მცხოვრები აღნიშნული „რუსული ნექტრით“ გამოთვრა, მათ საუბარი დაიწყეს ხალხის „სწავლა-განათლებაზე“ — საკითხზე, რომლითაც კარგა ხანია, იწყება ყოველგვარი მსჯელობა, — ჩვენს ვაჭარს უცებ ასოციაციურად გაახსენდა ძვირფასი ვაჭაშვილის თხოვნა და მან გადაწყვიტა მეგობართან ერთად იმწამსვე წასულიყო წიგნის მაღაზიაში იმ წიგნის საყიდლად.

მაღაზიაში ვაჭარმა წიგნი გადაათვალიერა და გამყიდველს, რომელმაც მას ეს წიგნი მიაწოდა, ფასი ჰკითხა. გამყიდველმა უპასუხა, ეს წიგნი სამოცი კაპიკი ღირსო.

როცა ჩვენმა ვაჭარმა ნახა, რომ წიგნის ყდაზე მხოლოდ ორმოცდახუთი კაპიკი ეწერა, ჯერ დაფიქრდა რაღაცნაირად უცნაურად, რუსებისათვის საერთოდ უცნაური

მანერით, შემდეგ მხრები შეარჩია, გასწორდა, თითქოსდა გვარდიის ოფიცერიო, და მცირე პაუსის შემდეგ ძალიან მშვიდად, მაგრამ ისეთი ინტონაციით, დიდ ავტორიტეტს რომ გამოხატავდა, დასვა შეკითხვა: აქ ხომ ორმოცდახუთი კაპიკი აწერია, თქვენ რატომ ითხოვთ სამოცს? ამაზე გამყიდველმა „დათაფლული სახით“ — ყველა გამყიდველს რომ ახასიათებს — მიუგო, რომ წიგნი მართლაც მხოლოდ ორმოცდახუთი კაპიკი ღირს, მაგრამ უნდა გაიყიდოს სამოცად, რადგან თხუთმეტი კაპიკი საფოსტო ხარჯებს ხმარდებაო. ამ პაუსის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩვენი რუსი ვაჭრის, ამ ორი სრულიად საპირისპირო, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულწილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებით შეცბუნებულის არსებაში რაღაც ხდებოდა; იგი მიაშტერდა ჭერს, კვლავ ჩაფიქრდა, ამჯერად ინგლისელი პროფესორით, რომელმაც ფისტონი (კაპსული) გამოიგონა აბუსალათინის ზეთისათვის, უეცრად მეგობარს მიუბრუნდა და პირველად დედამიწაზე სიტყვიერი ფორმულირება მოახდინა იმისა, რაც თავისი არსით ეჭვმიუტანელ ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს და რამაც იმ დროიდან ანდაზის ხასიათი მიიღო.

სახელდობრ, მან თავის მეგობარს ასეთი რამ უთხრა: რას იზამ, ჩემო კარგო, წიგნი უნდა შევიძინოთ. ჩვენ ხომ დღეს ვქეიფობთ, და, როცა ვქეიფობთ, უნდა ვიქეიფოთ ბოლომდე, თავისი საფოსტო ხარჯებითურთ“.

როდესაც მე უბედურმა, წილად რომ მერგო ცხოვრებაში „ჯოჯოხეთის“ სიტყბობათა განცდა, ყოველივე ეს შევიცანი, ჩემში იმწამსვე წარმოიქმნა რაღაც ძალზე უცნაური რამ, რაც არც მანამდე და არც შემდეგში არასოდეს მიგრძენია და რაც კარგა ხანს გრძელდებოდა. სახელდობრ, ეს იყო ისეთი შეგრძნება, თითქოსდა, — როგორც თანამედროვე „პივინციები“ ამბობენ, — „საკონკურსო მარულათა“ ყველა სახეობა წარმოიშვა და არსებობას აგრძელებდა ჩემს არსებაში ყველა



ჩემეული ასოციაციისა და განცდის პარალელურად.

ამავდროულად ხერხემლის მთელს არეში დამეწყო ძლიერი, თითქმის აუტანელი ქავილი, ხოლო ასეთივე აუტანელი ჭვალი კი ზუსტად ჩემი მზის წნულის ცენტრში ვიგრძენი; ეს ორმაგი ურთიერთმასტიმულირებელი შეგრძნება ცოტა ხნის შემდეგ ისეთი შინაგანი სიმშვიდით შეიცვალა, როგორც მომდევნო წლებში მხოლოდ ერთხელ განვიცადე, როცა ჩემთან განხორციელდა ცერემონია „პაერიდან კარაქის მწარმოებელთა“ ძმობაში ხელთდასხმისა; მოგვიანებით, მე, ე. ი. ეს ჩემი „რადაც უცნობი“, ძველი დროის ერთმა უცნაურმა კაცმა — მისი წრის ხალხი „სწავლულ ადამიანს“ რომ უწოდებდა, ისევე როგორც ახლა ჩვენ ვუწოდებთ ხოლმე ასე ამგვარ ხალხს, — დაახასიათა როგორც „რელატიურად გადატანილი წარმოქმნა, დამოკიდებული აზრის, გრძნობისა და ორგანული ავტომატიზმის ფუნქციონირების ხარისხზე“; ასეთივე შეფასება მისცა მას აგრეთვე სხვა ძველი დროის ცნობილმა სწავლულმა არაბმა მალ-ელ-ლელმა; ეს განსაზღვრა მოგვიანებით მისგან გადაიღო არანაკლებ ცნობილმა მეცნიერმა ქსენოფონტემ, გაიმეორა იგი და მას უწოდა — „ცნობიერების, ქვეცნობიერის და ინსტიქტის ერთობლივი რეზულტატი“; მაშასადამე, როცა ამ ჩემმა „მემ“ აღნიშნულ მდგომარეობაში ჩემი გაფანტული ყურადღება ჩემივე არსების სიღრმისკენ მიმართა, მაშინ ამან ნათლად ცხადყო, რომ ყოველივემ, — თითოეული ამ სიტყვის ჩათვლით, — ჩვენს გამონათქვამს რომ განმარტავს, რაც „საყოველთაო უნივერსალურ ცხოვრებისეულ პრინციპად“ იქცა, ჩემში გარკვეული კოსმოსური სუბსტანციის ფორმა მიიღო და შეერწყა იმ მონაცემებს, გაცილებით უფრო ადრე ცხოვრებული ბებუის ანდერძის მეშვეობით რომ გამოკრისტალდა ჩემში და იქცა იმ „რადაცად“, რომელიც იკრება და ჩემი არსების ყოველ ატომში მკვიდრდება; მეორეც, ეს ჩემი ბედკრული „მე“ აქ და ყო-

ველთვის ძალიან ზუსტად გრძნობდა და აღიქვამდა — ეს ჩემთვის მძიმე ფაქტია, — რომ ამიერიდან მე ყოველთვის, ნებისით თუ უნებლიეთ, უნდა გამოვავლინო თავი ყველაფერში და გამოვავლინო გარეშე — ჩემში წარმოქმნილი ფუნქციების შესაბამისად, და არა მეტყველებო ჩემი ცნონების თანახმად ანდა გარემომცველი გარემოებების მიხედვით. ეს „რადაც“ ჩემს არსებაში წარმოიშვა სამი გარეშე შემთხვევითი მიზეზით, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი საერთო არ ჰქონიათ; პირველია იმ პიროვნების ანდერძი, რომელიც ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ ამქვეყნად ჩემი მოვლინების პასიურ მიზეზად იქცა, მეორეა ჩემი კბილი, „ხულიგანმა ბიჭმა“ რომ ამომიგდო „ნერწყვოსანი“ ბიჭის გამო და მესამე — სიტყვიერი დაფორმულება ნასმურევზე, რომ წარმოთქვა ჩემმა უცნობმა „მოსკოვური მარკის“ ვაჭარმა.

თუ მე, — სანამ მე ამ „ყოველად უნივერსალურ ცხოვრებისეულ პრინციპზე“ რაიმეს შევიტყობდი, — ყოველგვარ გამოვლინებას ვახდენდი სულ სხვაგვარად, ვიდრე ჩემივე მსგავსი სხვა „ორფეხა ცხოველები“, ჩემთან ერთად რომ იბადებიან და იზრდებიან ამ პლანეტაზე და ყოველივეს ავტომატურად და ზოგჯერ ნახევრად ცნობიერად ვაკეთებდი, ამ შემთხვევის შემდეგ კი ყველაფერს ცნობიერად, გააზრებულად ვაკეთებდი და ამასთან ერთად თვითშეცნობისა და თვითდაკმაყოფილების — ამ ორი ურთიერთშერწყმული იმპულსის ინსტიქტური შეგრძნებით — დიდი ბუნებისადმი ჩემი მოვალეობის სწორი და საპატიო შესრულების ასპექტიდან გამომდინარე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ, თუმცა უკვე ამ შემთხვევამდე არაფერს ვაკეთებდი ისე, როგორც სხვები, მაგრამ იმ მომენტიდან, როცა ამ სასიცოცხლო პრინციპის არსი ჩემს ბუნებას შეერწყა, ჩემმა ყველა გამოვლინებამ, როგორც რაიმე მიზნისთვის განკუთვნილმა, ასევე წმინდა წყლის „სიზარმაცით“ განპირობებულმა, ცხოველმყოფე-



ლი ძალა შეიძინა და ხელი შეუწყო „მანოლის“ გაჩენას ყოველი ჩემი მსგავსი არსების გრძნობა-აღქმის ორგანოებზე — ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, — და თავის ყურადღებას პირდაპირ თუ ირიბად ჩემს მოქმედებებზე მიმართავდა; მეორეს მხრივ, დავიწყე — ჩემი ცხოვრებით ბებულის ანდერძის თანახმად — ყველა ჩემი განზრახვისა თუ წამოწყების მაქსიმალური ძალისხმევით შესრულება. ამგვარად, ავტობიოგრაფიულად შევისისხლხორცე ჩვევა, — როცა ვიწყებდი რაიმე ახალ საქმეს, ან როცა ხდებოდა რაიმე მასშტაბური ცვლილება, — გონებაში თუ ხმალდა მუდამ უნდა წარმომეთქვა: — თუ ქეიფობ, იქეიფე ბოლომდე, თავისი საფოსტო დანახარჯებითურთ.

ახლაც, მაგალითად, როდესაც, — გარემოებათა გამო, ჩემზე რომ არ არიან დამოკიდებული, არამედ ჩემი ცხოვრების უცნაური და შემთხვევითი გარემოებებიდან გამომდინარეობენ, — წიგნები უნდა დაეწერო, იძულებული ვარ გავაკეთო ეს იმავე პრინციპის თანახმად, რომელიც სხვადასხვა უჩვეულო, თვითონ ცხოვრების მიერ შექმნილი კომბინაციებით იქნება განპირობებული და ჩემი არსების ყოველ ატომთან შერწყმული. ამჯერად ჩემი ფსიქოლოგიური პრინციპის განხორციელებას იმით დავიწყებ, რომ არ გამოვედევნებ ყველა მწერლის ჩვეულებას, — რომელიც უძველესი დროიდან მომდინარეობს, გრძელდება დღემდე და იმაში გამოიხატება, რომ თავიანთი სხვადასხვა ნაწერის თემად სავარაუდოდ იღებენ იმ ამბებსა და მოვლენებს, რომელთაც ჰქონდათ ან არ ჰქონდათ ადგილი დედამიწაზე, — არამედ ჩემი ნაწერების ამბებისა თუ მოვლენების მასშტაბად მთელ სამყაროს მივიღებ. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც მოქმედებს პრინციპი „თუ იღებ, აიღე“, ე. ი. „თუ ვქეიფობთ, ვიქეიფოთ ბოლომდე, საფოსტო ხარჯებითურთ“; ნებისმიერ მწერალს შეუძლია წეროს დედამიწის მასშტაბის ფარგლებში, მაგრამ მე არ განსაზღვრავარ ნებისმიერი, შემოძლია შემოვიფარ-

გლო მხოლოდ „პაწია პლანეტით“ — დედამიწით? ამის გაკეთების უფლება, — ე. ი. ჩემი ნაწერების თემებად ისინი შევარჩიო, რომელთაც საერთოდ სხვა მწერლები იღებენ, — მე არა მაქვს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, ურთქმეფსე რასაც ჩვენი სულიერი მოძღვრება ამტკიცებს, შეიძლება უეცრად ნამდვილად მართალი აღმოჩნდეს: და ჩემს ბებუას, ეს რომ გაიგოს, გესმის, მკითხველო, რა მოუვიდოდა, ჩემს ძვირფას, საყვარელ ბებუას? იგი საფლაფში გადაბრუნდებოდა და არა ერთხელ, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, — რადგან მე მას ვიცნობდი და განსაკუთრებით კი ახლა, როცა უკვე ძალიან „მარჯვედ“ შემოძლია სხვების მდგომარეობაში შესვლა, — არამედ ბევრჯერ, გადაბრუნდებოდა ვიდრე ბოლოს და ბოლოს „ირლანდიურ ფლუგერად“ (ფლუგერი—მამლის ფიგურის ფორმისა) არ გადაიქცეოდა.

გთხოვ, დამშვიდდე, მკითხველო... მე, რასაკვირველია, დედამიწის შესახებაც დავწერ, მაგრამ ისეთი მიუკერძოებლობით, რომ ეს შედარებით პატარა პლანეტა და ყოველივე, რაც მასზე იმყოფება, შესაბამისობაში იქნება იმ ადგილთან, რომელიც მას ფაქტობრივად უჭირავს კიდეც და რომელიც მან, შენი-საკუთარი ჯანსაღი ლოგიკის ძალით, ჩემი ხელმძღვანელობით რომ მიაღწიე, ჩვენს დიდ სამყაროში უნდა დაიკავოს.

მე, რასაკვირველია, უნდა განვასხვავო აგრეთვე ის „ტიპები“, ჩემი ნაწერების „გმირები“ რომ ჰქვიათ, არა ისეთი „ტიპები“, რომელთაც საერთოდ აღწერდნენ და განადიდებდნენ ყველა რანგისა და ებოქის მწერლები დედამიწის ზურგზე, მაგალითად, ვინმე მიუღერის ან მაიერის მსგავსი ტიპები, გაუგებრობის ნიადაგზე რომ წარმოიშვებიან ხოლმე და თავიანთი ჩამოყალიბების პროცესში (იქამდე, რასაც „საპასუხისმგებლო ცხოვრების პერიოდი“ ეწოდება) ვერაფერს ითავისებენ, რაც შესაბამისი იქნებოდა ღმერთის ხატების წარმოქმნისათვის, ე. ი. ადამიანისათვის და ბოლო ამოსუნთქვამდე „პროგრესულად“



ოვითარებენ მხოლოდ ისეთ „მშვენიერებებს“ და „სიკეთეებს“, როგორცაა „ახორცობა“, „გულღვარძლიანობა“, „სულმოკლეობა“, „შური“ და სხვა ადამიანისათვის შეუფერებელი და უღირსი ბიჭიერებები.

მე განზრახული მაქვს შემოვიყვანო ჩემს ნაწერებში ისეთი ტიპის გმირები, რომლებიც, — როგორც ამბობენ „სურთ თუ არ სურთ“ — მთელი არსებით იგრძნობენ და გაიცნობიერებენ ამას და რომელთა შესახებაც ყოველ მკითხველს აუცილებლად გამოუკრისტალებს მონაცემები იმის გასააზრებლად, რომ ისინი, „მე“ არიან და არა „ვიღაც“.

უკანასკნელი კვირების განმავლობაში ვიყავი მწოლიარე ავადმყოფი და გონებრივად ვიზრებდი ჩემი მომავალი ნაწერების მოკლე შინაარსს, მათი გადმოცემის ფორმასა და თანმიმდევრობას; მაშინ გადაწყვიტე, ჩემი თხზულებების პირველი სერიის მთავარ მოქმედ პირად გამომეყვანა... იცი, ვინ?... თვითონ დიდი ბელზებელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა არჩევანმა შესაძლოა თავიდანვე გამოიწვიოს მკითხველთა უმრავლესობაში ის აზრობრივი ასოციაციები, ავტომატურად რომ ზადებენ ყოველგვარ შესაძლო ურთიერთსაპირისპირო იმპულსებს მონაცემთა იმ ერთობლიობის შედეგად, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნება ადამიანთა ფსიქიკაში გარეგნული ცხოვრების არანორმალური პირობის გამო და ადამიანში გამოკრისტალებიან ცნობილი, ეგრეთწოდებული „რელიგიური მორალის“ წყალობით, როგორადაც ეს უკანასკნელი არსებობს და ჩანერგილია მასში (ადამიანში); აქედან გამომდინარე, მათში უნდა წარმოიშვას მონაცემები აუხსნელი მტრული დამოკიდებულებისა ჩემს მიმართ.

მაგრამ, იცი რა, მკითხველო?

იმ შემთხვევაში, თუ შენ, მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, მაინც გადაწყვეტ გასწიო რისკი და გაეცნო ჩემს შემდეგ თხზულებებს და შეეცდე ბიჭიერობის იმპულსით აღიქვა და ჩაწვდე საკითხების

არსს, რომელთა გაშუქებაც განვიზრახე, ასევე იმ თავისებურებათა გამო, ადამიანის ფსიქიკისათვის რომ არის დამახასიათებელი, — ვგულისხმობ იმას, რომ თვითონ სიკეთის აღქმას მხოლოდ მაშინ არ ექნება დაბრკოლება, როცა არსებობს ურთმივი გულწრფელობისა და უმტყუარობის რი, — მე ახლაც ვაგანდობ ვულაბდილად ჩემში წარმოქმნილ ასოციაციებს, რომელთაც ბოლოს და ბოლოს ჩემი ცნობიერების შესაბამის სფეროში გამოიწვიეს მონაცემები, მთელ ჩემს ინდივიდუალობას რომ „აიძულებენ“, ავირჩიო ჩემი თხზულებების მთავარ გმირად სწორედ ისეთი ინდივიდები, როგორადაც წარსდგება თქვენი შინაგანი თვალთახედვის წინაშე ეს ბატონი ბელზებელი.

აქ მე პატარა ეშმაკობა ვიხმარე.

ეს ეშმაკობა გამოიხატება უბრალო ლოგიკურ განზრახვაში: თუ მე მას ყურადღებას დავუთმობ, მან აუცილებლად — ამაში ეჭვი იოტისოდენადაც არ მეპარება — უნდა გამოხატოს მადლობის გრძნობა და გამიწიოს დახმარება ჩემს ჩაფიქრებულ თხზულებებში.

ბატონი ბელზებელი, თუმცა როგორც იტყვიან ხოლმე, „სხვა ცომისგანაა მოზეულილი“, მაგრამ, რადგან მასაც შეუძლია ფიქრი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აქვს — როგორც მე უკვე კარგა ხნის წინ განთქმული კათოლიკე ბერის — ძმა ფულონის ტრაქტატიდან შევითყვე — მორკალული კუდი, ვაკეთებ დასკვნას, — რაკი ვარ გამოცდილების საფუძველზე სრულიად დარწმუნებული, რომ კულულები არასდროს არ არის ბუნებრივი და შეიძლება მიღებული იქნას მხოლოდ სხვადასხვა ხელოვნური მანიპულაციით, — რომ ბატონ ბელზებელსაც საკმაო პატივმოყვარეობა გააჩნია და უკიდურესად სათაკილო საქციელად ჩათვლის არ დაეხმაროს იმას, რომელიც მის სახელს რეკლამას უკეთებს.

ტყუილად კი არ ამბობს ხშირად ჩვენი სახელგანთქმული და განუმეორებელი მოლანასრედინი: „გაბოხვის გარეშე შეუძ-



ლებელია არა თუ როგორმე ცხოვრება, არამედ თვით სუნთქვაც“.

სხვა ამქვეყნიურმა ბრძენმაც — რომელიც ასეთად მხოლოდ ადამიანთა სრული სისულელის წყალობით იქცა, — ტილ ულენშპიგელმა იგივე აზრი შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ვინც კარგად შეზეთავს, ის კარგად იმობრავებს“.

რადგანაც მე ეს და სხვა მრავალი ხალხური გამონათქვამი კარგად ვიცი, ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ შეიქმნა საუკუნეების მანძილზე, გადავწყვიტე სწორედ ბატონი ბელზებელი „გაფპოხო“, რომელსაც, როგორც ეს ყველას კარგად მოეხსენება, საკმარისზე მეტი ცოდნა და უნარი მოეპოვება.

კმარა, მოხუცო! შეწყვიტე ხუმრობა, თვით ფილოსოფიურიც — შენ ხომ, როგორც ჩანს, ამ წიაღსვლებით ერთი შენს არსებაში შემუშავებული მთავარი პრინციპთაგანი დაარღვიე, რომელიც საფუძვლად ედო სისტემას, შენი ოცნების ცხოვრებაში გატარებისათვის რომ იყო გამიზნული, — პრინციპი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ არ უნდა დაგვაფიქსდეს და მუდამ მხედველობაში გვქონდეს ის გარემოება, რომ დღევანდელი მკითხველის სააზროვნო ფუნქცია დაქვეითებულია და, მაშასადამე, იგი (მკითხველი) არ უნდა გადავლათ მრავალრიცხოვანი იდეის აღქმა-გააზრებით მოკლე დროის განმავლობაში.

როდესაც მე ერთ-ერთ ადამიანს იმ ხალხთაგან, მუდამ ჩემს გარშემო რომ არიან და „სამოთხეში პირდაპირ ფეხსაცმლით შესვლა სურთ“, ვთხოვე, წაეკითხა ჩემთვის სმამალა ყოველივე ის, რაც ამ შესავალ თავში დავწერე, და როგორც იტყვიან, ჩემი „მე“ — ცხადია, ყველა გარკვეული მონაცემის მონაწილეობით, რომლებიც წარმოიქმნენ ჩემს ორიგინალურ ფსიქიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე, და, სხვათა შორის, სხვადასხვა ტიპის ფსიქიკის გავებისა და წვდომის უნარი მომანიჭეს, — დავადგინე, მტკიცედ დავრწმუნდი, რომ უკლებლივ ყველა მკითხველის არსებაში გარდაუვალად უნდა წარ-

მოიშვას (მარტო პირველი თავის წყალობით) ის „რალაც“, რომელიც ავტობიოგრაფიულ წარმოშობს არამეგობრულ დამოკიდებულებას პირადად ჩემს მიმართ.

სხვათა შორის, მე ახლა ყველაზე უფრო მაწუხებს ისევე, როგორც წაკითხული მასალები, რომელიც ამ თავში ახსნილ-განმარტებული საკითხების საერთო ჯამში ჩემი არსება, რომელიც ადრე მოხსენიებული „მე“ ძალიან მცირე როლს თამაშობს, სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენი საყოველთაო მასწავლებლის, განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნების მოლა ნასრ-ედინის ერთ-ერთი უმთავრეს მცნებას, რომელიც მან შემდეგი სიტყვებით დააფორმულა: „ნუ მოუფათურებ ხელს კრაზანების ბუდეს“.

აღელვება, რომელიც მთელ ჩემს ნერვულ სისტემას მოედო, მაშინ წარმოიქმნა, როდესაც შევიცანი, რომ მკითხველ-არსებაში აუცილებლად უნდა გაჩნდეს არამეგობრული გრძნობა ჩემ მიმართ, მაგრამ ეს აღელვება მაშინვე გაქრა, როგორც კი ძველი რუსული ანდაზა გამახსენდა, შემდეგნაირად რომ ჟღერს, „არ არსებობს ისეთი გულისწყრომა, ვარკვეული დროის განმავლობაში რომ არ დაცხრეს“.

მაგრამ ჩემს არსებაში წარმოქმნილი ღელვა — იმის შეცნობიდან რომ გამომდინარეობს, მოლა-ნასრ-ედინის მცნებას რომ ვერ მივსდიე — ახლა არა მხოლოდ სერიოზულად მაწუხებს, არამედ ამით — როგორც ჩავწვდი, — ცოტა ხნის წინ აღმოჩენილ ჩემს ორივე „სულში“ უცნაური პროცესი დაიწყო, რომელმაც უჩვეულო ქაეილის ფორმა მიიღო, სულ უფრო მატულობს და ახლა თითქმის აუტანელ ტკივილს მაყენებს უკვე ისედაც გადატვირთული „მზის წნულის“ მარჯვენა ნახევრის ცოტა უფრო ქვემოთ.

მოიცადე, მოიცადე, ერთი წუთი... ეს პროცესი, მგონი, უკვე თავდება, ანუ ჩემი ცნობიერების, ანდა ასე ვთქვათ, ჩემი ქვეცნობიერების ქვემოთ არსებულ სიღრმეებშიც კი, წარმოიქმნება ყოველივე, რაც ღრმად მარწმუნებს, რომ ეს პროცესი შეწყდება, რადგან გამახსენდა ცხოვრებისე-



ული სიბრძნის სხვა ფაქტი, რომელმაც ჩემი აზრები წარმართა სხვა შეგრძნებით, — თუ მე მართლაც დიდად პატივცემული მოლა-ნასრ-ედინის რჩევის საწინააღმდეგოდ მოვიქეცი, ეს განზრახ არ გამოკეთებია, პირიქით, ეს გაუაკეთე უაღრესად სიმპატიური და, შეიძლება არა საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ ყოველი ადამიანისათვის დაუვიწყარი (ვინც კი მას ერთხელ მაინც შეხვედრია) ჭეშმარიტი განძის — თბილისელი კარაპეტას პრინციპის მიხედვით.

რას იზამ... რადგან ეს შესავალი თავი ასეთი გრძელი გამოვიდა, ალბათ, ბევრი არაფერი დაშავდება, თუ მცირე ხნით შენს ყურადღებას ამ არაჩვეულებრივად სიმპატიურ თბილისელ კარაპეტაზე შევაჩერებ.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ თბილისის რკინიგზის სადგურს ორთქლის საყვირი ჰქონდა. ამ საყვირით ყოველ დილით აღვიძებდნენ რკინიგზის მუშებსა და სადგურის მოსამსახურეებს და, რადგან თბილისის სადგური გორაკზე იდგა, საყვირის ხმა მთელ ქალაქში ისმოდა და აღვიძებდა არა მხოლოდ რკინიგზის მუშებს, არამედ თვითონ ქალაქის მცხოვრებთაც.

თუ სწორად ვიხსენებ, თბილისის მმართველობას მიმოწერაც კი ჰქონდა რკინიგზის უფროსებთან მშვიდობიან მოქალაქეთა დილის ძილის დარღვევის თაობაზე.

ყოველ დილით საყვირიდან ორთქლის გამოშვება — სწორედ ამ კარაპეტას ევალებოდა, რომელიც იმხანად დებოში მუშაობდა.

როდესაც დილით თოკთან მიდიოდა, რომლითაც ორთქლს უშვებდა ხოლმე, — ვიდრე თოკს ხელს მოკიდებდა, იგი—ჯერ ხელების ქნევას მოჰყვებოდა ყველა მიმართულებით და ხმამაღლა და საზეიმო ტონით გაჰყვიროდა მაჰმადიანი მოლას მსგავსად:

— შენი დედა არის... მამაშენი არის... ბაბუაშენი არის... აი, შენი თვალები, ყურები, ცხვირი, ელენთა, ღვიძლი, „მაწოლები“... მოკლედ, სხვადასხვა ტონალობით

წარმოთქვამდა ნაირნაირ საკინებელ სიტყვებს, რაც კი იცოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ქარავდა თოკს.

ამ კარაპეტასა და მისი ჩვეულების ამბავი რომ შევიტყვე, ერთ საღამოს პატარა ტიკით კახური ღვინო შევიმსრავლე და მივედი. როდესაც ადგილობრივი, ყოველსუფრაზე აუცილებელი „სადღეგრძელო-რიტუალი“ შევასრულე, ვკითხე — ცხადია, შესაბამისი ფორმით და ასევე „თავაზიანობათა ადგილობრივი კომპლექსის“ შესაბამისად, ორმხრივი ურთიერთობისთვის რომ იყო განკუთვნილი, — ამას რატომ აკეთებ-მეთქი.

მან ჭიქა ერთი ამოსუნთქვით დაცალა და წაიმღერა განთქმული ქართული სიმღერა — „ჩამოასხი, ერთიც უნდა დავლიო“, რომელიც ყოველთვის სრულდება ხოლმე ქეიფის დროს, — მერე კი დინჯად დაიწყო:

„რადგანაც თქვენ ისე არ სვამთ ღვინოს, როგორც მას სხვები, ე. ი. არა მოსაჩვენებლად, არამედ მართლაც წესიერად, მე ვრწმუნდები, რომ ჩემი ჩვეულება გაინტერესებთ არა ცნობისმოყვარეობის გამო, — როგორც, მაგალითად, ჩვენს ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, უკანასკნელ ხანებში მოსვენებას რომ არ მაძლევენ, — არამედ ცოდნის წყურვილიდან გამომდინარე; ამიტომ მსურს — და ეს ჩემს მოვალეობადაც მიმაჩნია — გულწრფელად გაგანდოთ ჩემი შინაგანი, ასე ვთქვათ, „საჩოთირო მოსაზრებები“, თანდათანობით ეს ჩვევა რომ შემძინეს.

შემდეგ მან განაგრძო: წინათ სადგურში ვმუშაობდი დამის ცვლაში და გასათბობ ქვაბებს ვწმენდდი; მაგრამ, როდესაც ეს ორთქლის საყვირი მოიტანეს, სადგურის უფროსმა, ეტყობა, მხედველობაში მიიღო ჩემი ასაკი და შესასრულებელი სამუშაოების სიძნელე, დამავალა ორთქლის საყვირის ახმიანება, რისთვისაც აქ ყოველ დილას და საღამოს ზუსტად დაწესებულ დროზე მოვდივარ ხოლმე.

ამ ახალი სამუშაოს დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შევნიშნე, რომ ჩემი



მოვალეობის შესრულების შემდეგ ერთი თუ ორი საათის განმავლობაში თავს რაღაც შეუძლოდ ვგრძნობდი.

ეს უცნაური შეგრძნება დღითიდღე მატულობდა და ბოლოს გარკვეულ ინსტინქტურ უქეიფობაში გადაიზარდა, რამაც მახოხის (საჭმელია ქინძია და ნივრით შეკაზმული) ჭამის მადაც დამიკარგა და იმის ფიქრებიც აღმიძრა, თუ რით იყო გამოწვეული ყოველივე ეს. ბევრს ვფიქრობდი სამუშაოზე წასვლისა თუ იქიდან უკან დაბრუნების დროს, მაგრამ რამდენიც არ ვეცადე, არაფერი გამოვიდა, მიახლოებითაც კი ვერაფრის გარკვევა შევძელი.

ასე გაგრძელდა თითქმის ნახევარი წელი და, როდესაც ორთქლის საყვირის თოკისაგან ხელისგულებზე კოფრები ძალიან გამიმავრდა, ერთ დღეს უეცრად და სრულიად შემთხვევით მივხვდი, თუ რატომ ვგრძნობდი ამ უქეიფობას.

ამ ჩემი სწორი გაგების ბიძგად — საიდანაც ბოლოს ჩემში ურყევი რწმენა ამოიზარდა — იქცა ერთგვარი წამოძახილი, რომელიც შემთხვევით შემომესმა ერთ ძალზე უცნაურ სიტუაციაში.

ერთხელ დილით, არ ვიყავი კარგად გამოძინებული, რადგან ღამის პირველი ნახევარი ჩემი მეზობლის მეცხრე გოგონას მონათვლას მოვანდომე, ხოლო მეორე ნახევარი ერთი ძალზე საინტერესო და იშვიათი წიგნის კითხვას, შემთხვევით რომ ჩამივარდა ხელში და „ოცნებები და ჯადოსნობა“ ერქვა, — და სწრაფად მივრბოდი საყვირის ასახმიანებლად, როცა უეცრად ქუჩის კუთხეში დავინახე ჩემი ნაცნობი ფერშალი, ბურგომისტრატის მოსამსახურე, რომელმაც მანიშნა, გაჩერდიო.

ამ ჩემი ფერშალი მეგობრის მოვალეობა ის იყო, რომ დაწესებულ დროს უნდა ევლო ქალაქში ასისტენტთან ერთად სპეციალურად გაკეთებული ურიკით და დაეჭირა უბატრონო ძაღლები, რომლებსაც საყულოზე არ ეკეთათ ბალთა, ძაღლის პატრონებს რომ ურიგებდნენ გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, და წაეყვანა ისინი ქალაქის სასაკლაოზე, სადაც ორი კვირის განმავლობაში სასაკლაოს ნარჩე-

ნებით კვებავდნენ. თუ ამ ვადის გასვლის დროს ძაღლების პატრონები არ მიაკითხავდნენ და დაწესებულ თანხას არ გადაიხდიდნენ, ამ ძაღლებს ერთგვარი ზეიმური განწყობილებით გაივლებდნენ ხოლმე წინ ერთ-ერთი გასაკვლელის გავლით, რომლის ბოლოს კვეთდნენ კაკეთებული ღუმელი მოჩანდა.

ცოტა ხნის შემდეგ ამ ვანთქმული „მარგებელი“ ღუმელიდან, საიდანაც შესანიშნავი მობუყბუყე ბგერები მოისმოდა, გამოდიოდა გამჭვირვალე, იდეალურად წმინდა ქონის გარკვეული რაოდენობა — ჩვენი ქალაქის უფროსობის სასარგებლოდ — საპნის დასამზადებლად და, შესაძლოა, კიდევ სხვა რამისთვისაც, მოჩქრიალე ჟღერადობა რომ ჰქონდა და სასიამოვნოდ ელამუნებოდა ყურს, გამოდიოდა აგრეთვე საკმაო რაოდენობის ძალზე სასარგებლო ნივთიერება ნიადაგის გასანოყიერებლად.

ეს ჩემი ფერშალი მეგობარი ძაღლების დასაჭერად ერთ უბრალო და საოცრად მარჯვე ხერხს ხმარობდა.

მან სადღაც იშოვნა მოზრდილი, ძველი და ჩვეულებრივი სათევზაო ზადე, რომელიც შემდეგ თავისი საგანგებო ექსკურსიების დროს ჩვენი ქალაქის სხვადასხვა რაიონში დაჰქონდა მძლავრი მხრებით, და როგორც კი ძაღლი მისი ყოვლისმხილველი, ყოველგვარი ჯიშის ძაღლისათვის საშინელი მზერის არეში ხვდებოდა, იგი აუჩქარებლად და პანტერისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქით ეპარებოდა და ელოდა ხელსაყრელ მომენტს, როდესაც ძაღლის ყურადღება რაღაცით იქნება შებოჭილი; ამ დროს ესროდა იგი ზადეს ძაღლს და სწრაფად გაახვევდა მასში; შემდეგ მოიყვანდა ურიკას, ძაღლს გამოხსნიდა, და იგიც უკვე გალიაში ამოჰყოფდა თავს, ურიკაზე რომ იყო გამობმული.

როდესაც ჩემმა კარგმა ნაცნობმა, ე. ი. ამ ფერშალმა დამიძახა და შეჩერების ნიშანი მომცა, იგი უკვე აპირებდა ზადე ესროლა თავისი მორიგი მსხვერპლისათვის, რომელიც ამ დროს იქვე იდგა, კუდს აჩინებდა და ძუკნას შეჰყურებდა. უეცრად მეზობელი ეკლესიიდან ზარების რეკვა







## პენის იბსენი

იბსენს აუღელვებლად ვერ ვკითხულობ. მას უმზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემ მიერ გასული წლის ბოლოს გადატანილ სულიერ კრიზისსა და მარქსიზმისაგან ჩემს განთავისუფლებაში. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პიროვნების, შემოქმედებისა და სულიერი თავისუფლების პრობლემებზე. როდესაც იბსენს კითხულობ, თითქოს ჩრდილოეთის მთის ჰაერს სუნთქავ. მისი შემოქმედების ფონი ნორვეგიული მეშჩანობაა, რომელშიც ლამის იხრჩობა იგი. სწორედ ამ მაქსიმალური მეშჩანობის ატმოსფეროში ხდება მათზე მაქსიმალური ამაღლება. იბსენის შემოქმედებაში არის წარმავალი და დროებითი და არის მარადიული. ამჯერად მინდა ვისაუბრო იმაზე, რაც მარადიულია მის შემოქმედებაში. იგი დიდი ხანია მოდიდან გავიდა, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც იბსენიზმი მოდაში იყო, აფასებდნენ არა იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მასში, არამედ „ნორმას“, „გედა გაბლერს“, ანუ დემონურ ქალებს, სოციალურ სატირასა და ანარქიულ განწყობილებებს. თავისი მნიშვნელობით მარადიული იბსენთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძებოთ ჯერ „პერ გიუნტერში“, ხოლო შემდეგ „ბრანდსა“ და „კეისარსა და გალილეველში“, ნაწილობრივ „ხალხის მტერსა“ და მისი შემოქმედებითი გზის ბოლო დრამებში — „მშენებელი სოლნესი“ და „როდესაც ჩვენ, მიცვალებულები ვიდვიძებთ“. იბსენმა გენიალური სიმახვილით განიცადა და დასვა პიროვნების ბედის პრობლემა და პრობლემა შემოქმედებასა და ცხოვრებას

შორის არსებული კონფლიქტისა. მასთან, ისევე, როგორც ნიცშესთან, თანამედროვე კულტურა ცდილობს დაუსხლტეს პოზიტივიზმისა და ევდემონური მორალის მარწუხებს, იგი მხურვალედ ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ სულს და სულიერი ამაღლებისაკენ ისწრაფვის, მასში სიმაღლისა და გმირობის პათოსია. იბსენი არა მხოლოდ უდიდესი მხატვარი, არამედ დიდი მორალისტი და რევოლუციონერიცაა. მისი ხელოვნება პროფეტულია, იგი მარტოსული და სოციალურია. ხოლო მარტოობისა და სოციალურობის ერთობა არის წინასწარმეტყველური მოწოდების ძირითადი ნიშანი. იბსენი იტანჯებოდა უზარმაზარი წინააღმდეგობრიობითა და კონფლიქტურობით. მისი შემოქმედების მთავარ თემას ოცნებისა და სინამდვილის, შემოქმედებისა და ცხოვრების შეჯახება წარმოადგენს. იბსენი ფლობდა უდიდეს შემოქმედებით ოცნებას, იგი მთელი თავისი ძალით მთელი თავისი სილამაზით იზიდავდა, თუმცა, არ იცოდა, როგორ განეხორციელებინა, როგორ მოეხდინა მისი რეალიზება და როგორ მოეყვანა იგი მოქმედებაში. ამიტომაც ყოველი შემოქმედებითი ადამიანი წარუმატებლობას განიცდის და იღუპება — ბრანდი მთიდან წამოსული ზვავის ქვეშ ექცევა, სოლნესი კოშკიდან ვარდება და კვდება, ვინაიდან შემოქმედებითი სული სიკვდილს თავის თავში ატარებს. უაზრო და უადვილოა კამათი იმის თაობაზე, რა მიმართულებისაა იბსენი — „მემარჯვენე“ თუ „მემარცხენე“, „პროგრესისა“ და „დემოკრატიის“ მომხრე თუ



მოწინააღმდეგე. იგი მარტოსული ადამიანის იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელთა აზროვნების ხატს ყველაზე უკეთესად სიტყვათშეთანხმება — „არისტოკრატიული რადიკალიზმი“ მიესადაგება. იგი ყოველგვარი საზოგადოებრივი მიმართულების გარეშე დგას, იგი არც ერთ სოციალურ კოლექტივს არ წარმოადგენს, ერთნაირად ებრძვის და წინააღმდეგია ინერტული კონსერვატიზმის წინააღმდეგია თანამედროვე საზოგადოების ბურჟუებისა და მეძარცხენე საზოგადოებრივი აზრისა, წინააღმდეგია ერთსულოვანი უმრავლესობისა და დემოკრატიული მეშჩანობისა. იგი მომხრეა თავისუფალი სულისა და წინააღმდეგია თანასწორობისა, რომელიც შლის, სახეს უკარგავს პიროვნებას. იგი ყოველთვის ამაღლების, აღმასვლის, პერიოკული პიროვნების მხარეს დგას. იგი სულიერი რევოლუციონერია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რევოლუციონერი გარეგანი სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობით. მისი მორალური პათოსი ძალიან განსხვავდება ტოლსტოის მორალური პათოსისაგან, ვინაიდან, იგი უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პიროვნულ თვისებებთან, პირად შემოქმედებით ძალასთან. მაგრამ, მან არ იცის, როგორ მოახდინოს რეალიზაცია, როგორ შეასხას ხორცი პიროვნების პერიოკულ და შემოქმედებით სულს ნაყოფიერ მოქმედებაში. სწორედ აქედან მომდინარეობს ის უკურნებელი რომანტიზმი, რომლითაც იგი გარდამავალ ეპოქას მიეკუთვნება. მაგრამ, მასში ისეთივე პროფეტული სულია, როგორიც დოსტოევსკიში და ნიცშეში. მთის სიმაღლე და უსასრულობა იზიდავს. ამ განწყობით ქმნის და ამ განწყობით ცხოვრობს. როგორც მორალისტი, ევდომონისტური მორალის უძლიერესი კრიტიკოსია, ჭეშმარიტება მისთვის მუდამ ადამიანების კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე მაღლა დგას.

მაგრამ იბსენმა არ იცის ქრისტიანული კავშირი ღმერთთან ამაღლებასა და ადამიანამდე დაშვებას შორის, მან არ იცის ღმერთკაცური სიყვარულის საიდუმლოება-

ნი. ტიტანიზმისა და ზეკაცობის დაუძლეველი ცდუნება მასში ბოლომდე ცდუნებად რჩება და ამით იგი ნიცშეს ბედს იზიარებს. მას ჰქონდა დანაშაულისა და ცოდვის განცდა, რომელიც მუდამ თან სდევდა მის გმირებს, მაგრამ, ამ დანაშაულებს ფრსო წისთვის ბოლომდე შეუცნობდა და მსგავსად ნიცშესა და დოსტოევსკის შემოქმედებისა, იბსენის შემოქმედებასაც ჰუმანიზმისა და ჰუმანიტური მორალის ღრმა კრიზისის დაღი აზის. ჰუმანიტური მორალი, ისევე როგორც ნიცშესათვის, მისთვისაც მთის სულის დაკარგვას, სიმაღლისა და უსასრულობის უარყოფას ნიშნავს. იბსენის შემოქმედებითი გზა არის სწორედ ადამიანის მიერ ღვთაებრივი სიმაღლის ძიების გზა, ადამიანისა, რომელმაც ცოცხალი ღმერთი დაკარგა. ამიტომაც „შორეულის“ სიყვარულს იგი „მახლობლის“ სიყვარულის უარყოფამდე მიჰყავს. აქედანაა გმირული მორალი — მაქსიმალიზმი, რომელიც ვერ ითავსებს ადამიანობამდე დასულ სიყვარულს. აქედან მომდინარეობს პერიოკული მორალის ჩავარდნა, ცხოვრებაში მისი რეალიზაციის შეუძლებლობა. ამას ჩვენ ვხედავთ იბსენის ისეთ გენიალურ ქმნილებაში, როგორიც „ბრანდია“ და რომელიც მნიშვნელოვანწილად კირხერგარტიდან არის კოპირებული, სადაც მაქსიმალისტური პრინციპი „ყველაფერი ან არაფერი“ — საჯაროდაა გაცხადებული, თუმცა „ბრანდი“ ამავე დროს არის აგრეთვე პერიოზმი სიკეთის, სიყვარულის გარეშე. იბსენს ხიბლავს ბრანდი, მაგრამ მის მარცხსა და ჩავარდნასაც გრძნობს. „ბრანდი“ ასეთი სიტყვებით მთავრდება: „ღმერთი, ეს არის — deus caritatis“. იბსენის ყველა გმირს ტროლი სტანჯავს. იცოცხლო, ეს იმას ნიშნავს, ტროლს ებრძოლო, — ამბობს იგი. იბსენი უდიდესი ძალით გამოხატავს სულის ტანჯვას ტროლით. ტროლი ეს არის მიწისქვეშა საწყისი ადამიანში, სულის ერთ-ერთი მარადიული ელემენტთაგანი, რომელიც ხელს უშლის ადამიანის სულიერ ამაღლებას. და მაინც, იბსენის ქალებს უდიდესი აღიარება



ხედათ წილად, იბსენი ხსნის ქალური საწყისის მნიშვნელობას. „ზღვის ქალი“ ეს არის უსასრულობისაკენ სწრაფვის სიმბოლო. ქალი მას შემოქმედებისათვის აღძრავს, შთაგონებულს ხდის. ქალში აღმოაჩენს როგორც დემონიზმს, ისე სიწმიდესა და სისპეტაკეს. იბსენის ქალთა ტიპთაგან ერთი მოდერნიზებული ვალკირიაა, მეორე (მაგალითად, აგნესი „ბრანდში“ და სოლვეიგი „პერ გიუნტერში“) — წმინდა ქალური მოვლენა, რომელიც ღვთისმშობლის მადლითაა ცხებული. იბსენის შემოქმედება სიყვარულის მეტაფიზიკური არსის გამჟღავნებაა. ადამიანის შემოქმედებითი მნიშვნელობა დაკავშირებულია ქალისა და მამაკაცის სიყვარულთან. თვით ეროსიც კი იბსენის შემოქმედებაში დიდ სიმაღლეზეა აყვანილი. დიას, არის ეროსში დემონური საწყისი, მაგრამ იბსენის შემოქმედებაში იგი სრულიადაც არ არის მდაბიო, ავხორცი. აფროდიტე, არ არის ის, რითაც ასე სავსეა ფრანგული ლიტერატურა. ქალისა და მამაკაცის შეჯახება, მათი მგზნებარე ურთიერთმიზიდულება და არანაკლებ მგზნებარე ბრძოლა იბსენის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოტივთაგანია.

მისი შემოქმედების მეორე მოტივს წარმოადგენს შემოქმედისა და საზოგადოების შეჯახება. იბსენს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვუწოდოთ ინდივიდუალისტი იმ გაგებით, რა გაგებითაც ეს სიტყვა მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიულ საზოგადოებასთან მიმართებაში იხმარებოდა. იგი არ არის ავტონომიისათვის მებრძოლი, ავტონომიისა, რომელიც ყოველი პიროვნებისათვის თანაბარი იქნება. იბსენისეულ პრობლემათა მთელი სიმწვავე მდგომარეობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, თვისობრივი ამაღლებისათვის მოწოდებული, სიმაღლისაკენ მსწრაფი პიროვნების შეჯახებაში საზოგადოებრივი აზრის ინერტულობის, უგერგილობასა და საერთოდ, საზოგადოებრივ ყოფასთან. იბსენის ინდივიდუალიზმი არისტოკრატიულია. ეს არ არის იმდენად ის ინდივიდუალიზმი რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებას

უდევს საფუძვლად, არამედ ის, რომელიც პიროვნებას „საზოგადოების მტრად“ ხდის რომელიც შთაგონებულია არა თანასწორობის, არამედ შემოქმედებითი თავისუფლების პათოსით. იბსენს სჯეროდა თავისობრივი განუმტკიცებლობის, ინდივიდუალობის ერთადერთობა. „ხალხის მტერში“ ეს პრობლემა თითქმის პრიმიტიული უბრალოებითაა დასმული. ძლიერია მხოლოდ მარტო ადამიანი, რომელიც ეყრდნობა არა საზოგადოებას, არამედ თავის სულიერ ძალებს, თავის შემოქმედებით თავისუფლებას. „ხალხის მტერი“ დოქტორ შტოკმანის ამ სიტყვებით მთავრდება: „ყველაზე ძლიერი ადამიანი ის არის, ვინც ცხოვრების გზას მარტოდმარტო ადგას“. მეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პრობლემა, რომელიც იბსენს სტანჯავდა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის პრობლემა იყო და რომ მას მნიშვნელობა მხოლოდ იმ ეპოქის ინდივიდუალისტურ განწყობებისათვის ჰქონდა. ეს არის კაცობრიობის ისტორიაში გამოვლილი მარადიული პრობლემა. ტრაგიკული კონფლიქტი სხვა, უკეთესი ცხოვრებისათვის მომწიფებულ შემოქმედ პიროვნებასა და სოციალურ კოლექტივს შორის, რომელიც ყოველ პიროვნებას თავისი უსახური ძალაუფლების ქვეშ აქცევს; მარადიული კონფლიქტი, რომელმაც თავი ჯერ პირველყოფილ საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ წინასწარმეტყველური ინდივიდუუმების რელიგიურ კოლექტივებთან შეჯახებაში იჩინა. ეს პრობლემა ჩვენს კოლექტიურ ეპოქაშიც რჩება ძალაში, მასში იგი განსაკუთრებით მწვავე ხასიათსაც კი ღებულობს. იბსენის შემოქმედება სიმბოლიზმის ეპოქას განეკუთვნება. ახლა ადგილი აქვს რეაქციას როგორც სიმბოლიზმის, ასევე რომანტიზმის წინააღმდეგ. მაგრამ იბსენის სიმბოლიზმი სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებულია. სიმბოლოები მოცემულია ყველაზე ყოფით, რეალურ გარემოში. ყველაფერს, რასაც იბსენის გმირები ამბობენ, ორმაგი აზრი აქვს — რეალისტურ-ყოფითი და სიმბოლიზებული, სულიერ სამყაროს მოვლენა-



თა და ბედისწერათა აღმნიშვნელი. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იბსენის ყოველ ნათქვამს. იბსენს, როგორც დოსტოევსკის, აინტერესებს არა იმდენად ფსიქოლოგია ადამიანისა, რამდენადაც სულის პრობლემები. ხოლო ხელოვნება, რომელიც სულის პრობლემებს გაიაზრებს, არ შეიძლება მხოლოდ რეალისტური იყოს. ყოველდღიური ცხოვრების რეალიზმი აქ სხვაგვარი ყოფიერების სულიერ აღსრულებათა სიმბოლიკად იქცევა, რამეთუ ყოველი დიდი ხელოვნება სიმბოლურ ელემენტს შეიცავს.

იბსენის უდიდესი ქმნილება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული — „პერ გიუნტერია“. სამყაროს თემა აქ გადმოცემულია ნორვეგიული ხალხური ზღაპრის ფორმით. „პერ გიუნტერი“ თავისი მნიშვნელობით გოეთეს „ფაუსტს“ უნდა შევადაროთ. ეს არის ინდივიდუალობისა და პიროვნების ბედისწერის მსოფლიო ტრაგედია. მსოფლიო ლიტერატურაში მე არ მეგულება ნაწარმოები, რომელიც ინდივიდუალობისა და პიროვნების ტრაგედიის გამოსახვის სიძლიერი „პერ გიუნტერს“ გაუტოლდებოდა. ავტორი გვიჩვენებს ინდივიდუუმის თვითდამკვიდრებას, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე იბრძვის, რათა ბოლომდე „თავის თავად“ დარჩეს, რასაც მიჰყავს პიროვნება გახრწნასა და დაღუპვამდე. პერ გიუნტერს ყოველთვის, ყოველ ვითარებაში „თავის თავად“ ყოფნა სწადია, მაგრამ ამოდ — ცდილობს დაიმკვიდროს თავისი თავი და კარგავს თავის თავს. პერ გიუნტერი ტროლისაგან სწავლობს „საკუთარი თავით კმაყოფილებას“ და ამით ღუპავს თავის პიროვნებას, რამეთუ პიროვნება ეს არის ღმერთის ჩანაფიქრი ადამიანის მიმართ, ღმერთის იდეა, რომელსაც შეუძლია ადამიანს ხორციც შეასხას და დაღუპოს კიდევ. მხოლოდ მსხვერპლითა და თვითშეზღუდვით შეუძლია ადამიანს პიროვნებად გამოქერწოს საკუთარი თავი და გაიმარჯვოს. „პერ გიუნტერი“ ვვასწავლის, რომ ინდივიდუმი და პიროვნება ერთი და იგი-

ვე არ არის, რომ ინდივიდუმი ნატურალისტურ-ბიოლოგიური კატეგორიაა, ხოლო პიროვნება — რელიგიურ-სულიერი. ინდივიდუუმის ამოცანა პიროვნებად მამოყალიბებაა. ერთდროულად შეიძლება იყო დაღუპული პიროვნება, მაგრამ ხმანვე დროს იყო გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი. პირი არასოდეს ესწრაფოდა პიროვნებად გახდომას, მას მხოლოდ თავისი ინდივიდუალობის დამკვიდრება და ვანმტკიცება ეწადა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ამით „თავისთავადი“ იქნებოდა. მაგრამ ინდივიდუმი ყოფნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს „თავის თავად“ ყოფნას, ეს მხოლოდ ბიოლოგიური მდგომარეობაა, „თავისთავადი“ მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს. აქ იბსენმა აჯობა თავის თავს, გადალახა თავისი ცნობიერების საზღვარი. იგი მხატვრულად დასანახს ხდის, ძირიძირობამდე აშუქებს პიროვნების რელიგიურ პრობლემებს. პერ გიუნტერის შესვედრა მედილესთან, რომელიც თითქოს უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, იმქვეყნად ხდება და სულის ტანჯვა-წამებითაა აღბეჭდილი, შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ხელოვნებას, მე მგონი, აქამდე ჯერ არასოდეს დაუყენებია თავის წინაშე ასეთი გაბედული ამოცანა. გიუნტერი, რომელსაც თავის „მე“ დაკარგული პქონდა ცხოვრებაში, რომელიც არსებითად არასოდეს ყოფილა „თავისთავადი“, საიქიოში ხვდება მედილეს, რათა გადადნობილ იქნას. იგი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც არც სამოთხის ღირსია და არც ჯოჯოხეთის. მას არყოფნა, არარსებობა ელოდება. მას რაიმე დიდი ცოდვაც კი არასოდეს ჩაუდენია, ახლა კი სურს, ვინმეს, ვისაც კი იგი ოდესმე ცხოვრებაში შეხვედრია, მის მიერ ჩადენილი რაიმე დიდი ცოდვა დაუდასტუროს, რათა თავისი პიროვნების ყოფიერება ჯოჯოხეთში მაინც შეინარჩუნოს. მაგრამ უკიდურესად ინდივიდუალისტი პერ გიუნტერი სრულიად უპიროვნოა, მან დაკარგა თავის პიროვნულობა, იგი არასოდეს ყოფილა იმად, რისთვისაც შემოქმედის მიერ იყო შექმნილი. პერი ტროლად, ესე იგი, თვითკმაყოფილად, ანუ არარად იქცა.



ხოლო იმისათვის, რათა შენ, შენ იყო, საკიროა უარი თქვა შენს თავზე, აღასრულო უზენაესის ნება. მაგრამ „პერ გიუნტერში“ ყველაზე ძლიერი მაინც სოლვეიგის სახეა, სახე ქალური ერთგულებისა და თავგანწირული სიყვარულისა. სოლვეიგი მთელი თავისი სიცოცხლე პერის ერთგული დარჩა, იგი მას მთელი სიცოცხლე ელოდა, მუდამ მის გულში ცოცხლობდა. და აი, ჟამს სიკვდილისას, როდესაც პეარგავდა პიროვნულობას, პერს თავშესაფარი შეეძლო მხოლოდ სოლვეიგის გულში, მის სიყვარულსა და ერთგულებაში ეპოვა, სოლვეიგისა, რომლის არსებობაც კი დავიწყებული ჰქონდა. დიახ, პერმა თავისი თავი, თავისი პიროვნულობა მხოლოდ სოლვეიგში შემოინახა. სოლვეიგი ამავე დროს არის დედა და ქომაგი, უკანასკნელი თავშესაფარი ადამიანისა, რომელმაც დაკარგა საკუთარი თავი და დასაღუპად არის განწირული. მასში ღვთისმშობლის, წმინდა ქალწულის სიწმინდე და სიბრძნეა უკუფენილი. „პერ გიუნტერი“ ღრმა ქრისტიანული აზრის ნაწარმოებია. მასში პირადი ბედისწერის პრობლემა უკიდურესად არის გამახვილებული, ნაჩვენებია პიროვნების დამღუპველი ინდივიდუალიზმის კრახი.

ჩანაფიქრის მიხედვით იბსენის ყველაზე გრანდიოზულ ქმნილებაში — „კეისარსა და გალილეველში“ ასახულია ორი მსოფლიო იდეის, ორი სამყაროს — კეისრისა და ქრისტეს სამყაროების შეჯახება. ამ ტრაგედიაში იბსენმა ჩადო თავისი ოცნება მესამე სამყაროს, სულის სამყაროს შესახებ, რომელიც შეარიგებდა ორ მეტროძოდ იდეას. იბსენი ნათელს ხდის კეისრის უღონობას გალილეველის წინაშე, კეისრის იდეის რეაქციულობას. იულიუს განდგომილი უძლური მეოცნებეა, რომელსაც პკონია, თავისი თხზულებებით გაიმარჯვებს ქრისტეზე. იულიუსი ხედავს, რომ წარმართობის რესტავრაცია შეუძლებელია, რომ იგი წარუმატებლობისთვისაა განწირული, მაგრამ იგი ვერ გრძნობს ისტორიულ ბედისწერას. იგი რეაქციონერ-ფა-

ნატიკოსია. მისი — დრომოჭმული, უამგადასული წარმართის რომანტიკული სული გაღმერთებული კეისრის ანტიკური, ქრისტემდელი იდეითაა შეპყრობილი. წარმართობის აღორძინება დაკავშირებულია ღმერთისებრი პატევის მიგებასთან. იულიუსს სურდა ებატონებოდა იდეების არამხოლოდ სისხლსა და სიცოცხლეზე, არამედ მის სულსა და ნებაზეც. მაგრამ, როგორც ყველა მეოცნებე რომანტიკოსი, იგი ყოველგვარ ძალაუფლებას არის მოკლებული. მისტიკოსი მაქსიმი მესამე სამყაროს — სულის სამყაროს იდეის მატარებელია, იდეისა, რომელმაც უნდა შეარჩოს კეისარი და გალილეველი, ცა და დედამიწა, სხეული და სული, მიწიერი და სულიერი სამყაროები ერთ სახედ გააერთიანოს. მაგრამ მისტიკოსი მაქსიმი არაღამაჯერებელია, იგი ვერ ინადირებს ადამიანის გულებს... იბსენი არსებითად გამუდმებით ამხელს ზეკაცობის, ტიტანიზმის სიყალბეს, ამხელს საკუთარ თავს — ბოლოსა და ბოლოს „კეისარი და გალილეველი“ მაინც ქრისტიანობის ქებათაქებას წარმოადგენს.

„მშენებელი სოლნესი“ და „როდესაც მიცვალებულები ვიღვიძებთ“ იბსენის შემოქმედებითი გზის ფინალს წარმოადგენს. შემოქმედებითი პრობლემა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე აწვალებდა იბსენს, ყველაზე მწვავედ „მშენებელ სოლნესშია“ წამოჭრილი, ისევე როგორც პიროვნების პრობლემა „პერ გიუნტერში“. სიბერის ჟამს მშენებელი სოლნესი უკვე აღარ აშენებს ეკლესიებსა და მაღალ კოშკებს, ახლა იგი საცხოვრებელ სახლებს აგებს და სწორედ ამ სახლების მშენებლობაში აღწევს ნამდვილ წარმატებას. მაგრამ, ეშინია, რომ დაკარგავს შემოქმედებით ძალას, ეშინია ახალგაზრდებისა, რომლებიც შეცვლიან მას ამ საქმეში. ხალხს აღარ სჭირდება მაღალი კოშკები და სოლნესის ეს ცხოვრებისეული წარმატება.



ამავე დროს მისი შემოქმედებითი თვისობრიობის დაკნინებასაც ნიშნავს. როდესაც იგი შედარებით ახალგაზრდა იყო, პირობა დადო, რომ ადამიანთა საცხოვრებელ სახლებზე მაღალ კოშკებსა და ქვითკირის საძირკვლიან პაუროვან ციხე-დარბაზებს ააგებდა. სოლნესს სინდისი სუფთა არა აქვს, იგი თავს დამნაშავედ გრძნობს. და აი, შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ, პილდას სახით, კარზე მიუკაკუნა და მაღალი კოშკების შეპირებული სამეფო მოსთხოვა, რომელზედაც თავად უნდა ამაღლებულიყო სოლნესი. სოლნესმა მართლაც აიშენა მაღალკოშკიანი სახლი და, პილდას მიერ შეგულიანებულს, სურს კოშკის კენწეროზე ავიდეს, მაგრამ სიმაღლეს ვერ უძლებს, თავბრუდახვეული მიწაზე ეცემა და იმტვრევა. „მშენებელი სოლნესი“ ყველაზე უფრო სიმბოლისტურია იბსენის დრამებს შორის. სოლნესში კაცობრიობის ბედია სიმბოლისებული, კაცობრიობისა, რომელიც წარსულში ეკლესიებსა და ცათამბჯენ კოშკებს აგებდა, შემდეგ კი კი მთლიანად საცხოვრებელი სახლების შენებას მიჰყო ხელი. ადამიანმა უღალატა სიმაღლისაკენ მსწრაფ უდიდეს შემოქმედებით ჩანაფიქრს, დაეცა შემოქმედებითი ხარისხი, ადამიანმა დაკარგა ზეასვლის ნიჭი. მაგრამ კაცობრიობა ღრმა სულიერ კრიზისს განიცდის, მას ისევ ეკლესიები და მაღალი კოშკები ენატრება, მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მეშჩანურ საცხოვრისში ცხოვრებით. „მშენებელ სოლნესში“ მოცემულია სულიერი შემოქმედებისაკენ მოწოდება, ნაჩვენებია თანამედროვე ადამიანის სისუსტე და უძლურება. იბსენი აქ საკუთარ ტიტანურობას ამჟღავნებს. „როდესაც მიცვალებულები ვიღვიძებთ“ წარმოადგენს მხატვრის შემოქმედებით ტრაგედიას. ქალი იბსენთან ყოველთვის შემოქმედების გამომწვევის როლს

თამაშობს. ირენი მოქანდაკეს შემოქმედებისათვის აღძრავს, ხელოვნების საუკეთესო ნიმუშის შექმნას შთააგონებს, მაგრამ თავად იგი შემოქმედების მსხვერპლი ხდება, იგი იღუპება, იგი არც არასოდეს არსებულა შემოქმედისათვის, რეზონანსის ცოცხალი პიროვნება. იგი კვდება, მაგრამ კვლავ აღდგება მკვდრეთით, რათა შემოქმედს შემოქმედებისა და ცხოვრების ტრაგედიის არსებობა შეახსენოს. შემოქმედებასა და ცხოვრებას შორის არსებობს ტრაგიკული კონფლიქტი — შემოქმედება ცხოვრებიდან განდგომა, სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა. სწორედ ამიტომაც შემოქმედება სიცოცხლესა და ცოცხალ არსებასთან მიმართებაში ცოდვად იქცევა. და აი, აქ იგრძნობა იბსენის პირადი გამოცდილება, რამეთუ მან თავად გაწირა სიცოცხლე შემოქმედებისათვის. ჩამქრალი სიცოცხლე შემოქმედებით დაძაბულობაში გადადის, მაგრამ, სიცოცხლე კვლავ ახლდება, შემოქმედს ჩადენილ მკვლელობას ახსენებს და მხატვარი-შემოქმედი იმ ქალთან ერთად იღუპება, რომელიც მას შემოქმედებისათვის აღძრავდა, მან კი შემოქმედებას შესწირა. პრობლემა აქ განსაკუთრებულ სიღრმეს იძენს. ხელოვნების ნაწარმოების, კულტურული ფასეულობების შექმნა, გარკვეული აზრით, სიცოცხლის ქმნადობის საპირისპიროა. ეს პრობლემა განსაკუთრებით რუსულ ცნობიერებასთან არის ახლოს. იბსენის შემოქმედება ამართლებს ადამიანის ტიტანურ სწრაფვას და ამავე დროს ამხელს მას. თავისი გენიალური ნაწარმოებებით ადამიანის ბედსა და შემოქმედებაზე — იბსენი რელიგიის აღდგენა-აღორძინებას ემსახურება. მისი შემოქმედება, მსგავსად სოფოკლეს, შექსპირისა თუ დოსტოევსკის შემოქმედებისა, არა ათწლეულების, არამედ მარადიულობის საკუთრებაა.





სამოციანი წლების ბოლოს გერმანიაში გამოჩნდა მომაჯადოებელი სილამაზის წიგნი, რომელიც დროის სულისკვეთების თამაში გამოწვევა იყო. მე ვლადპარაკობ ფრ. ნიცშეს წიგნზე — „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“, სადაც იგი ბერძნული კულტურის ახალ ფილოსოფიურ ახსნას იძლევა. ელინების ნათელ, ხალისიან სულში, რომელიც მრავალთა მიერ გაგებულია როგორც ჰედონისტური, ნიცშე აღმოაჩენს ტრაგიკულ სილამაზეს. ამ დიონისურმა საწყისმა თავისი კლასიკური ხორცშესხმა ესქილესა და სოფოკლეს ტრაგედიებში პპოვა, ხოლო ტრაგედიის სულის დაღუპვა ამავე დროს მთელი ბერძნული კულტურის დაღუპვაც იყო. ცხოვრებისადმი ის გონითი დამოკიდებულება, რომელსაც სოკრატეს მოსვლა მოჰყვა და რომელიც უკვე აისახა ევროპიდეს ტრაგედიებში — მტრულია ღმერთი დიონისოს, ტრაგიკული სილამაზის სულის მიმართ.

ნიცშეს წიგნი თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ მიმართული მგზნებარე პროტესტის ნაყოფია, დიდი „ამორალისტი“ მასში ტრაგიკული სული-სა და სილამაზის სიკვდილს ხედავს. მისი რელიგიური სამშვინველი შუურაცხყოფილია წვრილმანი გონებისა და მატერიალური ინტერესების ბატონობით. მას სჯერა, რომ კვლავ აღდგება „დიონისური ძალები“, რომ ჩვენთან უთუოდ ჩამოვა „ღრუბლებში დამალული აპოლონი“ და „უახლესი მომავლის თაობები იხილავენ მის დიდებულ საქმეებს სილამაზის სფერო-

როში“. თავის შემდგომ ძიებებში ნიცშეს ვხა დაეხნა, იგი არაერთხელ მოექცა ყველაზე განსაცვიფრებელ წინააღმდეგობაში თავისი სულის იდეურ რაობასთან, მაგრამ ეს უკვე აღარაა ჩვენი სტატიის თემა. ჩვენთვის მთავარი იმ დიდი გამჭვირახობის აღნიშვნაა, რომელიც ნიცშემ „ტრაგედიის დაბადებაში“ გამოავლინა.

რამდენიმე ათეული წლის წინ ევროპის ხალხების სულიერი ცხოვრება ისე აეწყო, თითქოს მასში საბოლოოდ ჩაკვდა ტრაგედიის სული. ადამიანთა მიწიერი კმაყოფილების ჰედონისტურმა იდეალმა აჯობა ადამიანური ცხოვრების მარადიული ტრაგიზმის შეგნებას, ტრაგიზმისა, რომელთანაც დაკავშირებულია როგორც ყველა და ყოველგვარი ტანჯვა, ისე ყოველივე ის, რაც ყველაზე მშვენიერია ცხოვრებაში და რაც ყოველდღიურ უხამსობასა და მეშხანობაზე გვამაღლებს. საზოგადოების მოწინავე ნაწილის ცხოვრებაში ვაბატონებული იყო პრაქტიკულ-გონითი ნირი. მატერიალურმა სიმძიმემ ადამიანთა ცხოვრების მატერიალური მოწყობის აუცილებლობის გამახვილებული შეგნება გამოიწვია. ამ მომენტმა გენიალური გამოსატულება პპოვა მარქსის მოძღვრებაში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სჯეროდათ, რომ ცხოვრებაში ყოველგვარი ბოროტების, ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვა მატერიალურ-სოციალური განვითარებით იყო შესაძლებელი, ხოლო პოზიტიური მეცნიერება და პოლიტიკური ბრძოლა აღიარებული იყო იმ საზოგადოებრივი პროცესის ერთადერთ ღირსეულ და მიზანშეწო-



ნილ იარაღად, რომელსაც ხალხისათვის კმაყოფილება და ბედნიერება უნდა მოეტანა. ეს იყო ფსიქოლოგიურ ილუზიაზე დაფუძნებული წარმავლის, ვარეგანის ზეიმი შინაგანზე, სიცოცხლის საშუალებათა ზეიმი მის მიზანზე. თეორიასა და პრაქტიკაში აღორძინებული პოზიტივიზმისათვის გაუგებარი იყო ცხოვრების ტრაგიზმი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მის შინაგან არსთან, იგი ხედავდა მხოლოდ შეუგუებლობის განსხვავებულ ფორმებს, რომელთა თავიდან აცილება შემეცნებაში მეცნიერების მეშვეობით ხდება, ხოლო პრაქტიკულ ცხოვრებაში — სოციალური განვითარებით. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორია დამოკიდებულება ტრაგედიისადმი — ეს მსოფლმხედველობის სასინჯი ქვაა. სწორედ აქ იმალება სამყაროსა და სიცოცხლისადმი დამოკიდებულების ორი მკვეთრად განსხვავებული ტიპის — იდეალისტურისა და რეალისტურის შესახებ აზრთა სხვაობის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტთაგანი. ვადავდივართ ტრაგიზმის ანალიზზე, ემპირიული გამოუვალობა — აი, რა არის ტრაგიზმის არსი. ემპირიული გამოუვალობა მიუთითებს ემპირიული სინამდვილის აღმოუფხვრელ წინააღმდეგობრიობაზე და მოითხოვს როგორღაც უმაღლეს ხეემპირიულ გამოსავალს. ეს არის უდიდესი სამხილი ემპირიული მატერიალური სამყაროს ერთადერთობასა და საბოლოობაში გულუბრყვილო — რეალისტური რწმენის წინააღმდეგ. ამის ახსნა მთელი რიგი მაგალითებით შევვიძლია, ვთქვათ, სიკვდილის ტრაგიზმით, სიყვარულის ტრაგიზმით, შემეცნების წყურვილის ტრაგიზმითა თუ თავისუფლებისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის ტრაგიზმით.

ცხოვრების ძირითად ტრაგიზმს წარმოადგენს სიკვდილის ტრაგიზმი. ემპირიულად სიკვდილის აცილება შეუძლებელია და ეს გამოუვალობა ეჯახება ადამიანის სულში არსებული სიცოცხლის, უკვდავების, სრულყოფილებისაკენ გამუდმებული სწრაფვისა და ძლევამოსილების წყურ-

ვილს. მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას შეუძლია გაახანგრძლივოს სიცოცხლე, შეუძლია ადამიანი ჩააყენოს არსებობის უკეთეს პირობებში, შეამციროს ავადმყოფობითა და გაჭირვებით გამოწვეული სიკვდილიანობის რიცხვი, მაგრამ ეს უწყველყოფილად უძლურია სიკვდილის ტრაგიზმის წინააღმდეგ. სიკვდილის ტრაგედიის წინაშე „პოზიტივისტი“ ჩერდება, ჩერდება თავისი უძლურებისა და უილაჯობის განცდით. ზოგჯერ იგი ცდილობს, გაიმხნევოს თავი სხვადასხვა ფრაზებით, რომელიც, ჩველებრივ, ადამიანის სულიერი ბუნების ხელყოფას წარმოადგენს. სიკვდილის წინაშე „პოზიტივისტები“ მუდამ უხერხულად გრძნობენ თავს, ხოლო ყველაზე ალოიაზნი მათ შორის — გაჩუმებას არჩევენ, როდესაც ადამიანს ტრაგიკულად უკვდება მახლობელი, იგი შეიძლება წელში გადრიკოს თავსდამტყდარმა უბედურებამ, თუმცა, თუ ძლიერია, შეიძლება გაუძლოს კიდევ, მაგრამ მისი ვულგარული ოპტიმიზმი დასაღუბად არის განწირული. ცხოვრების ემპირიულმა უაზრობამ ის უნდა გააოცოს, უნდა აგრძნობინოს, რომ ტრაგიზმი ადამიანს შეიძლება ცხოვრების ყველაზე მშვიდობიან, ყველაზე ბედნიერ წუთებში წამოეწიოს, რომ ამ ტრაგიზმისაგან ვერც საზოგადოებრივი კეთილმოწყობა იხსნის, ვერც მეცნიერება, ვერც კარგად მოწყობილი სახლ-კარი და ვერც თბილი ტანსაცმელი, ვერც ვერაფრითარი ბუნების კანონების შეცნობა დაამშვიდებს.

ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში სიყვარული. მე ვლაპარაკობ კაცისა და ქალის სიყვარულზე, მოგეხსენებათ, ამ თემისადმი რამდენი ღრამა, კომედია თუ ტრაგედიაა მიძღვნილი, ვფიქრობ, სიყვარულის ტრაგიზმის შესაცნობად რაიმე განსაკუთრებული მაგალითის მოხმობა საჭირო არ არის. განა ყოველ ნაბიჯზე არ ვხვდებით გაუზიარებელ სიყვარულს, რომელსაც თან უამრავი სიმწარე, ტანჯვა, ტკივილი ახლავს. ამ ზოგჯერ აშკარა, ძლიერი, უფრო ხშირად კი უხა-



მსობამდე ჩვეულებრივი, გაუზიარებელი სიყვარულის ტრაგედიის მოსპობა არ შეუძლია არა თუ სოციალურ ან შემეცნებით პროგრესს, არამედ არცერთ იმ საშუალებათაგანს, რაც ემპირიულ სინამდვილეში არსებობს. მაგრამ ტრაგიკულია არა მხოლოდ გაუზიარებელი, არამედ თავისი არსით ტრაგიკულია ყოველგვარი სიყვარული, ვინაიდან მან არ იცის დაკმაყოფილება და დამშვიდება, მას თან მუდამ უკმაირისობის გრძნობა სდევს, ვინაიდან იმ იდეალურ ოცნებას, რომელსაც ასე ელოლიავენ ადამიანი, ცხოვრებაში განხორციელება არ უწყურია. შეიძლება ბევრი კმაყოფილი ადამიანიც შეგვხვდეს — ქმრები, რომლებიც კმაყოფილები არიან თავიანთი ცოლებით, მაგრამ ეს მეშინური კმაყოფილება შორსაა სიყვარულისაგან, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. სიყვარული მეტისმეტად ხშირად იწამლება ეჭვიანობის შხამით, მეტისმეტად ხშირად ბინძურდება მოყირკებულობისა და იმედგაცრუებულობისაგან, ახალ-ახალ შთაბეჭდილებათა წყურვილისაგან. პლატონის მიერ „ნადიმში“ მოთხრობილი მშვენიერი მითის მიხედვით, ადამიანური არსების ორი ნახევარი ვერასოდეს შესძლებს უმაღლეს ინდივიდუალობად გაერთიანებას და იგი მარადიული ტანჯვისთვისაა განწირული. სული ეძებს მონათესავე სულს და განიცდის ტრაგიკულ კონფლიქტს სიყვარულის „მონისტურ“ იდეალსა და მის ემპირიულ „პლურალიზმს“ შორის. პოზიტივიზმი სიყვარულის ტრაგედიის წინაშეც ისეთივე უძლური აღმოჩნდება, როგორც სიკვდილის ტრაგედიის წინაშე. სოციალურ განვითარებას შეუძლია მხოლოდ გარეგანი დაბრკოლებები ჩამოაცილოს სიყვარულს, შეუქმნას შედარებით უკეთესი პირობები გამოვლენისათვის. მაგრამ, ის მხოლოდ გააძლიერებს სიყვარულის შინაგანი ტრაგიზმის შეგნებას, რომელიც ადრე შესუსტებული იყო გარე უსიამოვნებებისა და ცხოვრებისეული პატარ-პატარა ტანჯვებით.

ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში შემეცნების წყურვილი ისეთ დიდ როლს

არ თამაშობს, როგორც სიყვარული და სიკვდილი, მაგრამ იგი ყველა ადამიანშია, ვინც კი ადამიანის სახელს იმსახურებს. უკეთესთა შორის შემეცნების ეს წყურვილი მტანჯველ ზომებს აღწევს, ეს რჩეულთა ტრაგედიის ტრაგიკული, ემპირიულად უკმაყოფილებელი, აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ ჩვენი სწრაფვა. ეგრეთწოდებული ზუსტი, ცდაზე დამყარებული მეცნიერება არ იძლევა სრულ, ჭეშმარიტ ცოდნას, იგი იმ პირობით, შეფარდებით ცოდნას იძლევა, რომელიც მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლის იარაღად თუ გამოდგება. აქ პოზიტივიზმი თავს ბატონ-პატრონად გრძნობს და გვირჩევს თავი შევიკავოთ იმ კითხვებისაგან, რომელსაც მხოლოდ ზედმეტი ტანჯვის მოყენება შეუძლია, რომელსაც შეუძლია პარალიზებულ ქნას ცხოვრებით ტკბობის, კმაყოფილების გრძნობა. ემპირიულად გამოუვალმა აბსოლუტური შემეცნების წყურვილმა დაკმაყოფილება მხოლოდ იდეალისტური მეტაფიზიკისა და რელიგიის ნიადაგზე შეიძლება კბოვოს. ამის მნიშვნელოვან არგუმენტს ცხოვრების ტრაგიზმი ზოგადად, ხოლო კერძოდ შემეცნების ტრაგიზმი წარმოადგენს. ტრაგიზმის არსი ადამიანის სულიერ ბუნებასა და ემპირიულ სინამდვილეს შორის არსებულ უდიდეს შეუსაბამობაში მდგომარეობს. ილუზია მატერიალურ-ემპირიული სამყაროს მბრძანებლობის შესახებ — აი, რა არის ყოველგვარი ტრაგიზმის სათავე და მისი ძირითადი წყარო, რომელიც მხოლოდ ფილოსოფიური სპირიტუალიზმისათვისაა გასაგები და ამასთან ერთად ის გამოსავალიც, რომელიც მხოლოდ მასშია და არ არის პოზიტივიზმსა და ემპირიზმში.

ასევე ტრაგიკულია ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, საიდანაც ყოველგვარი სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგია ამოიხაპება. სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ქმნის მხოლოდ სასურველ გარემოს შინაგანი თავისუფლების ზეიმის, პიროვნების ავტონომიური თვითგამორკვევისათვის. მაგრამ თავისუფლების იმ უსაზღვრო წყურვილის საბოლოო დაკმა-



ყოფილება, რომელიც ალამაზებს და ამაღლებს ადამიანის ცხოვრებას, დაკავშირებულია უმაღლესი სრულყოფილების, უზენაესი კეთილდღეობის მიღწევასთან. ამიტომაც ადამიანის თავისუფლებისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის ემპირიულად გამოუვალ ტრაგიზმს უკვდავების პოსტულატამდე მივყავართ.

გოეთეს „ფაუსტის“ თემაც ადამიანის იმ უძლიერეს სწრაფვათა ტრაგიზმია, რომელიც უსასრულობაში იკარგება.

ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის მითითება, რომ ევროპის გონით — პრაქტიკული კულტურა, ყოველგვარი უკეთურობისა და ბოროტების, ყოველგვარი წინააღმდეგობის ჩამოცილების, მეცნიერული პოზიტივიზმისა და სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის გზით პედონისტური იდეალის საბოლოო განმტკიცების ოპტიმისტური რწმენით, ცხოვრების იდეალური მიზნების მისეული სუსტი ვაგებით — ტრაგიკულ სულს ეწინააღმდეგება. სილამაზე კი, მოგესხენებათ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრების ტრაგიზმთან და ტრაგედიის სიკვდილი იგივე სილამაზის სიკვდილი იქნებოდა. პედონიზმისა და პოზიტივიზმის საუკუნე ადამიანთა ცხოვრებაში ტრაგედიის დასამარებას ფიქრობდა, რაც, სხვათა შორის, ლიტერატურაში დრამატული (უდავოდ უმაღლესი) ფორმების დაცემაში, განსაკუთრებით კი რეალისტური რომანის მოქარბებაში გამოიხატა, რომანისა, რომელმაც ასე ზუსტად ასახა ბურჟუაზიული საზოგადოების ყოველგვარი წვრილმანი უხამსობაც კი.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი ათწლეულები ევროპულ ლიტერატურაში დრამის აღორძინებით აღინიშნა, რაც მეტად მნიშვნელოვანი სიმპტომია. ახალი დრამის ფუძემდებელი გახლავთ ისეთი გენიალური მწერალი, როგორც ჰენრიკ იბსენია. მთელი შემდგომი დრამატული ლიტერატურისა თუ ხელოვნების უახლეს მიმდინარეობებზე მისი გავლენის სათანადო შეფასება თითქმის შეუძლებელია. დიდი ტალანტის, მისი არაჩვეულებრივი ორიგინალობის, მთელ თანამედროვე ლიტერა-

ტურაზე მისი იმ დიდი გავლენის მიხედვით, იბსენს გვერდით მხოლოდ ცნობილი ბელგიელი დრამატურგი — მორის მეტერლინკი შეიძლება დაუყენო იგი ტრაგედიის ყველაზე ნაღდი წარმომადგენელია არა მხოლოდ თანამედროვე დრამატურაში, არამედ იქნებ ყველა დრამატურაშიც. ესწილესა და სოფოკლესთან ტრაგედია ადამიანის ბედისწერასთან, ხოლო შექსპირის ქმნილებებში, — ადამიანური ვნებების ზნეობის კანონებთან შეჯახების შედეგი იყო. ამასვე ვხვდებით როგორც მილერის, ისე სხვა მრავალთა შემოქმედებაშიც. ტრაგედია ყოველთვის იმ გარეგანი მოვლენების ჯაჭვს გამოხატავს, რომელსაც გარდაუვალ კატასტროფამდე მივყავართ. იბსენთან ჩვენ ვხვდებით არა იმდენად ტრაგედიას, რამდენადაც დრამას. ადამიანური ცხოვრების მარადიული ტრაგიზმი მასთან გამოხატულებას ჰპოვებს არა წმინდა სახით, არამედ რთულ ემპირიულ სინამდვილეში გარდატყდება და ნელდება. იბსენის შემოქმედების არე გაცილებით ფართოა და მხოლოდ ხანდახან თუ აღწევს წმინდა ტრაგიზმის სიმალლეებს, როგორც ეს მაგალითად, „ბრანდშია“. ტრაგედიის ისტორიაში მეტერლინკი უხარმაზარ ნაბიჯს დგამს წინ და აღრმავებს მას. ადამიანის ცხოვრების შინაგან არსს იგი აღიქვამს როგორც ტრაგედიას. ადამიანის ცხოვრების ტრაგიზმის გამოსახატავად საჭირო არ არის მოვლენათა წმინდა გარეგანი თავმოყრა, საჭირო არ არის ფაბულა, კატასტროფები, საჭირო არ არის ხმაური და სისხლი. შინაგანი ტრაგედია ხდება მანამდე, ხდება სიჩუმეში, იგი ყოველ წუთს შეიძლება დაატყდეს თავს ადამიანს, დაატყდეს მაშინ, როდესაც სრულიად არ ელის, ვინაიდან თვით ცხოვრების არსშია გამოუვალი ტრაგიკული წინააღმდეგობანი. მსოფლიო ლიტერატურაში არ არის მწერალი, რომელიც ასეთი სიღრმითა და სილამაზით გამოხატავდა მარადიულ, ყოველგვარი გარეგანი შინარევებისაგან განწმენდილ ცხოვრების ტრაგიკულ საწყისს, როგორც მეტერლინკი. „სულის საიდუმლოებებსა“ და „სიკვდი-



ლის შემოჭრაში“ — მარად ჩვენზე ჩასაფრებული სიკვდილის ტრაგიზმია ასახული. ეს მეტერლინკის საყვარელი თემაა. „ავლავენესა და სელისეტაში“ თუ „პელეასსა და მელისანედში“ სიყვარულის გამოუვალი ტრაგიზმია მოცემული, „ბრძემბში“ — ადამიანთა სინათლისა და შემეცნებისაკენ სწრაფვის, არცოდნის ტრაგიზმი. მინდა თქვენი ყურადღება მეტერლინკის ხუთი საუკეთესო, მისთვის ტიპიური დრამის შინაარსსა და ანალიზზე შევაჩერო.

აღნიშნული დრამების შინაარსი მეტად უბრალო, ამასთან დიდებული და დიადია, უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ პატარა, ერთაქტიან დრამას — „სულის საიდუმლოებანი“. აქ პირველი შეხებისთანავე ნათელი ხდება მეტერლინკის ტრაგედიების ორიგინალობა. სცენა წარმოადგენს „ძველ, ტირიფებით გადამწვანებულ ბაღს, ბაღის სიღრმეში სახლი დგას. სახლის ქვედა სართულის სამი ფანჯარა განათებულია, ამიტომაც მაყურებელი კარგად ხედავს, რა ხდება სახლის შიგნით. საღამოს მთელი ოჯახი ერთი ლამბის შუქზე ატარებს. მამა ბუხართან ზის. დედა ცალი ხელით მაგიდაზეა ჩამოყრდნობილი, მეორე ხელი მის გვერდით ჩაძინებული ბავშვის თავზე უდევს და წინ დაფიქრებული იმზირება. მისი ორი, ჯერ სრულიად ნორჩი ასული საქარგავს უზის და ირგვლივ გამეფებულ სირუმეში ხანდახან ჩუმად იღიმის. როცა რომელიმე მათგანი წამოდგება, დადის ან რაიმეს აკეთებს, მოძრაობა მედიდური და ხელი ვერცხვება. მანძილი და ფანჯრებიდან გამოსული უღიმღამო შუქი მათ როგორცაა გამჭვირვალეობას აძლევს. სცენაზე შემოდის მოხუცი და ვიღაც შემთხვევითი გამვლელი, რომლებიც ამბობენ, რომ, აი, იმ ორი ადამიანის ქალიშვილი, ოთახში ახლა მშვიდად რომ ზის და თვლემს, ეს-ესაა გარდაიცვალა — თავი დაიხრჩო. მოხუცი და გამვლელი იმ ოთახს ათვალეერებენ, სადაც ქალიშვილის მახლობლები სხედან და მის დაბრუნებას ელოდებიან.

მოხუცი. მაცალეთ, ჯერ კარგად შევხედო, ყველანი დარბაზში არიან თუ არა.

ღიახ... აგერ მამამისი ბუხართან ზის და ხელები მუხლებზე დაუწყია... თითქოს ვიღაცას ელოდება. დედა იდაყვით მაგიდას ჩამოყრდნობს...  
 ბამვლელი. ჩვენს გვერდებზე...

მოხუცი. „თვალები ფართოდ აქვს გაღებული, მაგრამ, თავადაც არ იცის, საით იმზირება. ესეც რომ არა, მაინც ვერ დაგვინახავდა ამ ხეების ჩრდილში. არა, ნუ მიხვალთ, ახლოს ნუ მიხვალთ... გარდაცვლილის დებიც ოთახში არიან, რაღაცას გამალებით ქარგავენ. აი, ბავშვს კი დაუძინია. საათი, აგერ იქ, კუთხეში რომ დგას, შესტად ცხრა საათს აჩვენებს... ყველანი გაჩუმებული სხედან, ვერაფერს გრძნობენ, არავითარი წინათგრძნობა არ აწუხებთ...“

მოხუცი და გამვლელი თათბირობენ, როგორ შეატყობინონ მომხდარი უბედურება. მოხუცი განსვენებულის შესახებ ამბობს:

„რას ვაიგებ... იქნებ ერთ-ერთი იმათგანია, ყველაფერს სულის სიღრმეში რომ მალავს. რომელ ჩვენგანს არ ჰქონია წუთები, როდესაც სიკვდილი ასეთი სანუკვარი გეჩვენება? სხვისი სული შენთვის უშქარი წყვდიადია, მასში ყველაფერი ისე როდია განათებული, როგორც ამ ოთახში... ისინი ყველანი ერთნაირები, ერთი ჯურისანი არიან... ყველანი მხოლოდ რაღაც სისულელეებზე ყბედობენ და თავში ეჭვადაც არაფერი მოსდით... ცხოვრობ ასე მთელი თვეობით იმ ადამიანის გვერდით, ვისი სულიც უკვე პირთამდეა სავსე, ვინც უკვე ამქვეყანას აღარ ეკუთვნის, რაღაცას პასუხობ, რაღაცას ეუბნები და შენს სიტყვებს იოტისოდენა ანგარიშსაც არ უწევ — და აი, უცებ ხდება ის, რასაც სულაც არ ელოდი... გარედან მოსიარულე თოჯინებს ჰგვანან, გულში კი, ვინ იცის, რამდენს ფიქრობენ, რა ჯოჯოხეთი არ უტრიალებთ... კაცი იტყვი, რა უჭირდა, ისე ეცხოვრა, როგორც სხვები ცხოვრობენო? დამტკნარ ყვაილებზე ღიმილით საუბრობენ, ჩუმად კი ტირიან. ანგელოზია, ვინ იცის, იქნებ ისიც ვერ







ლი მათი პატარა ბუნდერება ავადმყოფი ჩიტვიტ მიჭირავს“.

შემოდის მარტა, მოხუცის მეორე შვილიშვილი და, უკვე მოვიდნენო, — ამბობს. ხალხის ნაწილი ბაღს მოეფინება. მოხუცი სახლში შედის, რათა თავზარდამცემი ამბავი იქ მყოფთ ამცნოს. ხალხის ნაწილი ფანჯრებს მისდგომია და სახლში იყურება. სახლში კი შემზარავი მუნჯი სცენა თამაშდება. მოხუცი სახლში შედის; დედაც, მამაცა და დებიც უკვე ხვდებიან რაღაცას. ამ დროს ხალხში ვიღაც წამოიკივლებს: „უთხრა! უკვე უთხრა!..“ მოხუცი წამოდგება და პირშეუბრუნებლად თითოთ უკან, კარისაკენ მიუთითებს. დედა, მამა და ორივე და კარს ეცემიან, მაგრამ, მოხუცი კარს უცებ ვერ აღებს. იგი ცდილობს, დედა ოთახში შეაყოვნოს. ბაღში ქოთქოთია. ყველანი სახლის მეორე კუთხისაკენ გარბიან და თვალს ეფარებიან, მხოლოდ გამვლელი რჩება ფანჯარასთან. ბოლოს კარი იღება და ოთახიდან ყველანი ერთად გამორბიან. მოჩანს მთვარით განათებული პატარა მდელობი და შადრევანი. დაცარიელებული ოთახის შუაგულში ბავშვს კვლავ მშვიდად სძინავს სავარძელში.

ეს უბრალო, ამასთან ღრმად სიმბოლური ტრაგედია სულისშემძვრელ შთაბეჭდილებას ახდენს. მასში სიკვდილის ის შინაგანი ტრაგედიაა გამოხატული, რომელსაც ადამიანის სული გარეგან მოვლენათა თავმოყრის გარეშე განიცდის. ორ სამყაროდ გაყოფა — სახლის ბინადრებად და იმად, ვინც გარედან აკვირდება, რა ხდება სახლს შიგნით, მეტად დამახასიათებელია მეტურლინკისათვის და ეს ძალზე ღრმა შინაარსის შემცველია. ის, რაც სახლს შიგნითაა, მთელი კაცობრიული ცხოვრების სიმბოლოა. ცხოვრობენ თავისთვის ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლული ადამიანები, აღასრულებენ თავიანთ ყოველდღიურ წვრილმან საქმეებს და წარმოდგენა არა აქვთ, რაოდენ ტრაგიკულია მათი ცხოვრება. აზრადაც არ მოსდით, რომ ყოველ წუთში ათასნაირი უბედურება შეიძლება დაატყდეთ თავს, და

მხოლოდ რაღაც გაურკვეველ წუხილს გრძნობენ. მაგრამ ადამიანების ცხოვრებას გარედან თუ შესედავ მიხედები, როგორი მძიმე და ტრაგიკულია იგი. მხოლოდ გარედან ჩანს ის პატარა სიმაართლე რომელიც ადამიანს გაქრესტურობის დგურებით ემუქრება. მას გერბსტრანსსისსეს — ვერც კედლები, რომელთა შიგნითაც ტრაგედიისაგან დამალვას ცდილობენ, და ვერც კარი, რომელსაც მაგრად გმანავენ, რათა მწარე სიმაართლემ შიგნით არ შეაღწიოს. კაცობრიობის მთელი მატერიალური კულტურა, რაც ამ კედლებით, კარებითა და ფანჯრებით სიმბოლიზდება, სრულიად უძლურია, ვერ იცავს ადამიანებს ცხოვრების ტრაგიზმისაგან — იგი მათ მხოლოდ ქარისა და წვიმისაგან იცავს, და არამც და არამც სიკვდილის ემპირიულად გამოუვალი ტრაგიზმისაგან.

„სიკვდილის შემოჭრაში“ ნარევენებია ძველი ციხე-კოშკის ერთი უღიმღამო, პირქუში დარბაზი. დარბაზში თვალეზდავსებული პაპა, მამა, ბიძა და სამი ქალიშვილი ზის. მეზობელ ოთახში მძიმედ ავადმყოფი დედა წევს. ოჯახის ყველა წევრი რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს წარმოთქვამს. ყველა რაღაც უცნაურ შემფოთებას გრძნობს, რაღაც საშინელის მოლოდინშია. იოტიხოდენა ხმაურიც კი განსაკუთრებულად აღიქმება, ეს განწყობილება თანდათან მატულობს და არაჩვეულებრივი ძალით მკითხველსაც გადაეცემა. ყველას სიკვდილის შემოჭრის გრძნობა იპყრობს. ეს გრძნობა სიჩუმეში, სრულიად ჩვეულებრივ ვითარებაში წარმოიშობა და წარმოუდგენლად მტანჯველი ხდება. განსაკუთრებით მოხუცი პაპა შეუბყრია მოუსვენრობას, იგი ვერ ხედავს გარესამყაროს, ამიტომაც უფრო მგრძნობიარეა ყოველივე იმის მიმართ, რაც მისი სულის სიღრმეში ხდება. მხოლოდ ბიძა გვევლინება სკეპტიკოსად, საღი აზრის, კეთილგონიერების წარმომადგენლად. მღელვარება იმ რაღაც შემზარავის გამო, რომელიც საცაა თავს უნდა დაატყდეთ, უკვე კულმინაციას აღწევს. იღება მეზობელი ოთახის კარი, ზღურბლზე შავ სამოსში გამოწყო-



ბილი მოწყალების და გამოჩნდება და დედის სიკვდილის ნიშნად პირჯვარს იწერს. მისი ეს ჟესტი ყველასათვის გასაგები ხდება, ყველანი მიცვალებულის ოთახისაკენ მიემართებიან. ადგილზე მხოლოდ მოხუცი პაპა რჩება.

მეტერლინკი ფლობს უძლიერესი და უმძიმესი განწყობილების შექმნის არაჩვეულებრივ ნიჭს, ამ მხრივ მას მეტოქე არ გააჩნია. ეს განსაკუთრებით საგრძნობია იმპრესიონისტულ პიესაში — „სიკვდილის შემოჭრა“, პიესაში, რომელიც თვითული ადამიანის სულთანაა ახლოს; მრავალსა და მრავალს ჰქონია მსგავსი წუთები — წუთები საშინელი დაძაბულობისა, როდესაც წინასწარ გრძნობს, რომ ახლა რაღაც ტრაგიკული უნდა მოხდეს, რომ მის ყოველდღიურ ყოფაში რაღაც საშინელება უნდა შემოიჭრას. და დაე, მათ, ვინც სიამოვნებით დასცინის „სიმბოლისტსა“ და „დეკადენტ“ მეტერლინკს, გაიხსენონ თავისი განწყობა მათ სახლში სიკვდილის შემოჭრის წინ და იქნებ მაშინ მაინც მიხვდნენ, რა ღრმა, სულისწამლები, ცხოვრებისეული სიმართლეა ამ პატარა, ყოველგვარ ფაბულას მოკლებულ ტრაგედიაში.

გაცილებით მრავლისმომცველი და ფართოა „ბრძემის“ თემა — ეს მთელი ფილოსოფიაა ისტორიისა. მასში კაცობრიობის სინათლისა და შემეცნებისაკენ სწრაფვის გამოუვალი ტრაგიზმია ასახული. „ბრძემიც“ ისეთივე ერთაქტიანი პატარა პიესაა, როგორც „სულის საიდუმლოებანი“ და „სიკვდილის შემოჭრა“.

„ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ ძველი, უკიდევანო ჩრდილოური ტყე გაჭიმულა. ტყის შუაგულში ჩამოწოლილ გაუვალ წყვდიადში ფართო ლაბადაში გახვეული მოხუცი მღვდელი ზის. სიკვდილივით უმოძრაო, ოდნავ უკან გადახრილი ბერიკაცი მუხის უხარმაზარ, შიშველ ზროს მიყრდნობია. მიცვალებულივით ფერმიხდილს ოდნავ გაღებული ბაგე ლურჯად აქვს ჩატეტკილი. მისი უმეტესველო, უსიცოცხლო თვალები რა ხანია ველარაფერს ხედავენ, მათ მხოლოდ მუდმივი

ტანჯვისა და ცრემლის დაღი აზის. ერთიანად გაჭალარავებული, შეთხელებული თმა სწორ დალალებად ჩამოშორდა დაღლილ სახეზე. გამხდარ-გაფონხებული უიონო ხელები ჯვარედინად დაუწყვია მუხლებზე. მარჯვნივ ექვსი მუხის, ვინ ქვაზეა მოკალათებული, ვინ ჯირკვზე, ვინ მიწაზე დაყრილ ფოთლებშია ჩამჯდარი. მის წინ, ოდნავ მარცხნივ, ამდენივე ბრმა ქალი ზის. ბერიკაცს ქალებისაგან მხოლოდ კლდის ჩამონაქცევი და ფესვიანად მოთხრილი ხე ამორებს. სამი მათგანი ლოცულობს და ჩუმად მოთქვამს. მეოთხე ძალიან მოხუცია, მეხუთეს, რომელიც ოდნავ ჰკუიდანაა გადასული, კალთაში მძინარე ბავშვი უწევს. მეექვსეს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალს, მთელ ტანზე შემოხვეული თმა მიწამდე დასთრევს. ქალებიცა და ის ბერიკაციც მუქი ფერის ფართო ტალავრებში არიან გახვეული. უმეტესობას თავი მუხლზე ნიდაყვით დაყრდნობილ ხელზე აქვთ ჩამოდებული — სხედან და მდუმარედ რაღაცას ელიან. ასე გგონია, სამუდამოდ გადაჩვეულან ყოველგვარ უსარგებლო მოძრაობას და უკვე აინუნშიაც არ აკდებენ კუნძულის ყრუ, მშფოთვარე ხმაურს. თავს მოწყენით მდგარი დიდი, უხარმაზარი ხეების — ურთხმელის, მტირალა ტირიფებისა და კიპარისების ჩრდილი დასდგომიათ, მოხუცი მღვდლის შორიახლოს, დამის სიბნელეში, გადარეულან ჯგუფ-ჯგუფად ამოზრდილი გრძელღეროიანი ოქროსფერი ყვავილები. მართალია, ცაზე მთვარე ანათებს, მართალია, მთვარის შუქი ზოგჯერ ფოთლებს შორის ჩამოწოლილ წყვდიადშიც აღწევს, მაგრამ ირგვლივ კვლავ სიბნელეს დაუვანებია“.

ასეთია ტრაგედის მინაარსი. ღრმად მოხუცებული მღვდლის თაოსნობით მოხუცები ხანდაკიდან — თავისი მუდმივი სამყოფელიდან ტყეში გამოსულან. ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ესიტყვებიან ერთმანეთს და მათ სიტყვებში სიბრმავით გამოწვეული უსაზღვრო გულისტკივილი ისმის. თურმე თავიანთი ღრმად მოხუცი, დაუძლურებული წინამძღოლი



დაუკარგავთ და ახლა აღელვებული ფიქრობენ, რომ იგი მათ გაერიდათ. სიბრძავის გამო ტყვიდან თავის დაღწევა და დავრდომილთა თავშესაფარში დაბრუნება არ შეუძლიათ, ისიც კი არ იციან, სად არიან. ამის თქმა მათთვის მხოლოდ წინამძღოლს, ერთადერთ თვალხილულს — მოხუც მღვდელს შეეძლო. ყველაფერი, კი რაც მათ ირგვლივ, ამ უკიდევანო ტყეში ხდება, — ოდნავი ხმაური, ოდნავი გაყაჩუნებაც კი — ბრძების გულებში აუტანელ მღელვარებას იწვევს. — იქნება ეს კლდეზე შემსხვრეული ტალღების დგაფუნის, ღამეულ ფრინველთა ფრთების ფათქუნის, მიწაზე დაცემული ფოთლის შრიალი თუ ქარის ზუზუნის საბრალო ბრძების ყველაფერი თავზარსა სცემს. ისინი ყველაფერს იღუმალებით მოცულ უცნაურ შიშისმომგვრელ მოვლენებად აღიქვამენ უკვე გაუსაძლისია ტყეში ყოფნა, სინათლეს ეძებენ, უნდათ დაბრუნდნენ თავიანთ თავშესაფარში, მაგრამ, ამაოდ... იწყება ჩურჩული:

**პირველი ბრმა.** „ძალიან დაბერდა ჩანს, კარ ხანია თვალის ჩინიც დააკლდა, მაგრამ არ უნდა, რომ გამოგვიტყდეს, ეშინია, სხვამ არ დაიკავოს მისი ადგილი. მე ისიც კი მგონია, რომ იგი უკვე ვეღარ ხედავს. ჩვენ ახლა სხვა მეგზური, სხვა წინამძღოლი გვჭირდება — იგი ჩვენ უკვე აღარ გვისმენს. თან უკვე ბევრნი ვართ, უკვე ბევრმა მოვიყარეთ თავი. მთელ სახლში მხოლოდ ოთხი თვალხილული დადის — სამი მოლოზანი და ჩვენი წინამძღოლი, თანაც ყველანი ჩვენზე ბებრები არიან! დარწმუნებული ვარ, გზა დაგვებნა, გზის გაგნება კი მხოლოდ მას — წინამძღოლს შეუძლია. ნეტავი სად წავიდა? არა, ვერ გაბედავს, არ მიგვატოვებს...“

ბრძებს ერჩიათ, დავრდომილთა თავშესაფარში დარჩენილიყვნენ. ისინი ღაპარაკობენ სინათლეზე, მზეზე, იმაზე, რომ აქ, ამ კუნძულზე მოსვლისას უკვე იყვნენ უსინათლონი და მზეს ოდესღაც, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ სადღაც, სხვა ქვეყნებში ხედავდნენ.

**მეექვსე ბრმა.** იქნებ არის კიდევ ვინ-

მე ჩვენ შორის ამ კუნძულზე დაბადებული? ბრმა მოხუცი. განა არ იცით, რომ ყველანი მოსულები ვართ? ბრმა დედაბერი. ჩვენ ყველანი შორიდან ჩამოვედით.

**პირველი ბრმადდაბადებული.** ზღვაზე რომ მოვცურავდით, კინალამ მოვეკედი. მეორე ბრმადდაბადებული. მეც... ჩვენ ერთად ჩამოვედით.

**მესამე ბრმადდაბადებული.** ჩვენ ყველანი ერთი სოფლიდან ვართ.

**პირველი ბრმადდაბადებული.** ამბობენ, მზიან დღეს აქედან ჩვენი ეკლესია მოჩანს, ჩვენს ეკლესიას სამრეკლო არა აქვსო.

**მესამე ბრმადდაბადებული.** ჩვენ აქ შემთხვევით ჩამოვედით.

**ბრმა დედაბერი.** მე სხვა ადგილიდან ჩამოვედი.

**მეორე ბრმა დედაბერი.** სადაური ხართ?

**ბრმა დედაბერი.** ვცდილობ, არ ვიფიქრო ამაზე... როცა კი რაიმეს მოყოლას მოვისურვებ, თითქმის ვეღარაფერს ვიხსენებ... ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ იყო...

**ახალბაზრდა ბრმა ძალი.** მე სადღაც შორიდან ჩამომიყვანეს.

**პირველი ბრმადდაბადებული.** კი, მაგრამ, სადაური ხართ?

**ახალბაზრდა ბრმა ძალი.** ვერ გეტყვით... არ ვიცი, როგორ უნდა ავიხსნათ... ის ადგილი აქედან ძალიან შორსაა, ზღვის იქით. ერთ დიდ, გაშლილ ადგილას ვცხოვრობდი... იქნებ როგორღაც მენიშნებინა კიდევ, მაგრამ ჩვენ ხომ ახლა ვეღარაფერს ვხედავთ! დიდხანს, დიდხანს ვიხეტიალე... მაშინ ჯერ ისევ ყველაფერს ვხედავდი — მზეს, წყალს, მთებს, ადამიანის სახეებსა თუ საოცარ ყვავილებს... აქ, ამ კუნძულზე არ არის ისეთი ყვავილები, აქ მხოლოდ შიშისმომგვრელი სიბნელე და სიცივება. მას შემდეგ, რაც თვალის ჩინი დავკარგე, ის სურნელება არასოდეს მიგრძვნია. მაშინ დედასაც ვხედავდი, მამასაც, დებსაც... აბა რა უნდა დამხსომებოდა, მაშინ ხომ სულ პატარა ვიყავი!.. აბა,



რა უნდა ვიცოდე, სადა ვარ... კიდევ ის მახსოვს, რომ ზღვის ნაპირას ვთამაშობდი... აი, ჩემი თვალხილულობა კი არასოდეს დამავიწყდება!.. ერთხელ მთის მწვერვალთან თოვლს ჩავეყურებდი... იმ ადამიანების გამოცნობაც კი დავიწყე, რომელთაც ბედისწერა უბედურებას უქადდა“.

ბოლოს ფოთლებზე მოსიარულე ვილაციის სწრაფი, შორეული ნაბიჯის ხმა გაისმა და უსინათლო ადამიანებს გულში თავიანთი მეგზურის დაბრუნების იმედი ჩაესახათ. მაგრამ ამაოდ, მათ მხოლოდ ძაღლმა ჩაურბინათ შორიასლოს.

**პირველი ბრმადმოგვილი.** ვინ არის? რომელი ხართ? რა ხანია ვსხედვართ და ვიცდით, შეგვიბრალეთ!... (ძალლი ბერიკაცთან მოირბენს და წინა თათებს მუხლებზე დაუწყობს). აჰ, რა არის, რა დამაწყვეთ მუხლებზე? რაიმე პირუტყვი ხომ არაა? აა, მგონი, ძაღლია... დიას! დიას! ეს ხომ დავრდომილთა თავშესაფარის ძაღლია! მოდი... მოდი ჩემთან!... მოვიდა, რომ დაგვეხმაროს!

პირველ ბრმადდაბადებულს ძაღლი პირით ექაჩება, იგი წამოდგება და ძაღლი მღვდელთან მიიყვანს და აი, ჩვენ აქ უკვე გამოუვალი ტრაგიზმის მწვერვალზე ავდივართ. ძაღლი აღმოაჩენს, რომ უსინათლოთა შორის მიცვალებულია და ეს მიცვალებული მღვდელია, მათი ერთადერთი წინამძღოლი და მეგზური. იგი არსად არ წასულა, მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ, მათ შორის იყო, მაგრამ, უკვე მკვდარი. უსინათლო ადამიანებს შიშის ზარი იპყრობს.

**ბრმა მოხუცი.** ჩვენ არაფერი ვიცოდით... ჩვენ ხომ ის არ დაგვინახავს... აბა, საიდან უნდა გვეცოდნოდა, რა ხდებოდა აქვე, ჩვენს გვერდით, ჩვენი საბრალო, დავსებული თვალების წინ? მას ხომ არასოდეს დაუჩივლია, ერთხელაც არ დაუწუწუნია... ახლა კი უკვე გვიანაა... ჩემ თვალწინ სამი ადამიანი მიიცვალა, მაგრამ ასეთი სიკვდილით არავინ მომკვდარა! ახლა ჩვენი რიგია...

ხანდახან გულში იმედის სხივი გაუკრთებათ — იქნებ მოლოზნები წამოვიდნენ

დავრდომილთა თავშესაფრიდან, იქნებ შუქურიდან მოჰკრათ ვინმემ თვალი... მაგრამ, ამაოდ... და აი, მათ ისევ ჯიმედობა ეუფლებათ. თოვს. ბავშვი ტირის... ეს ბავშვი შეშლილი, უსინათლო ქალის შვილია.

**ახალგაზრდა უსინათლო ქალი.** შედავს! აი, ხედავს! ისე ტირის მგონი ხედავს რალაცას, (ახალგაზრდა ქალი ბავშვს ბრმების თავებს ზემოთ ასწევს — ბავშვი მათთვის ის ხავესია, ასე რომ ჩასჭიდებიან).

**ბრმა დედაბერი.** „შეგვიბრალეთ!“ ამ შესანიშნავი ტრაგედიის სიმბოლური აზრი სრულიად ნათელია. უსინათლოთა ტრაგიკული ბედი მთელი კაცობრიობის ბედის სიმბოლოს წარმოადგენს. ადამიანი დედამიწაზე მოვიდა საღლაც შორიდან. მას მხოლოდ ბუნდოვნად ახსოვს, რომ ოდესღაც მზეც უხილავს და სინათლაც. მას ახლა სინათლის, ჭეშმარიტების, სიბრთლის შეცნობა სწყურია, მაგრამ უკუნეთ წყვდიადში დაეხეტება. რელიგია მისი მეგზური და წინამძღოლი იყო, მაგრამ იგი დაბერდა და მოკვდა. ადამიანმა მაშინვე როდი შეამჩნია რელიგიის სიკვდილი, ვერც ის შეამჩნია, ამქვეყნიური ცხოვრების ბნელსა და უსიერ ტყეში წინამძღოლის გარეშე რომ დარჩა. ხოლო, როცა ეს გაიგო, თავისი გამოუვალი მღვთმარეობის ტრაგიზმი იგრძნო და მიხვდა, რომ ამ უკიდევანო, ბნელი, უსიერი ტყიდან მისთვის გამოსავალი არ არსებობს. და აი, მეტერლინკის პესიმისმმა, ადამიანის გონებისა და პროგრესისადმი მისმა უნდობლობამ აქ უკვე აშკარად იჩინა თავი. გადარჩენა უნდა ეძებო მხოლოდ სილამაზესა და ხელოვნებაში და ეს იქნება სწორედ იმ ბავშვით სიმბოლიზდება, რომელიც შეშლილი ბრმა ქალისაგან იშვა.

გადაუდივართ „ავლავენასა და სელისეტასა“ და „პელეასსა და მელისანდაზე“, მეტერლინკის ყველაზე პოეტურ, ფორმით ყველაზე ორიგინალურსა და ლამაზ ნაწარმოებებზე, რომელიც სიყვარულის ტრაგედიას შეეხება, თემას, რომელსაც სრულიად არ ეხება პირველი სამი პიესა.



„აგლავენა და სელისეტა“ და „ბელეასი და მელისანდა“ უფრო ადრეულ დრამებს ჩამოგავს იმ თვალსაზრისით, რომ ეს პიესებიც, ისევე როგორც სხვა ადრეული პიესები, ხუთი აქტისაგან შედგება და მათში ინდივიდუალურად გამოკვეთილი ხასიათებია მოცემული, რაც არ არის არც „სულის საიდუმლოებანში“, არც „სიკვდილის შემოჭრასა“ და არც „ბრმეებში“. ზემოთ დასახლებული ორი დრამა — ფსიქოლოგიური დრამებია. მათში მოცემულია ქალთა მეტერლინიკისეული ნაზი, მშვენიერი, ანგელოზებრივი სახეები. მსოფლიო ლიტერატურაში არ არის არც ერთი ნაწარმოები, რომელშიც დრამა ასეთი სულიერი სილამაზის ატმოსფეროში მიმდინარეობდეს.

„აგლავენა და სელისეტა“ დრამა ფილოსოფიური ტრაგედიაა, ყოველგვარი რთული ფაბულისა და ხმაურიანი გარე მოვლენების გარეშე. სიუჟეტი ძველია, მაგრამ იგი ჯერ არასოდეს და არავის დაუმუშავებია ასე განსხვავებულად, შინაგანი ტრაგიზმი არავის დაუხატავს ამგვარად — მარადიული, ყოველგვარი გარეგანი მოვლენებისაგან თავისუფალი, ყოველივე იმის გარეშე, რაც რამ ადამიანში ბოროტი და უგვანოა — ცხოვრების ყოველგვარი ჭუჭყის გარეშე. როგორც ყოველთვის, მეტერლინიკთან მოქმედება დროისა და სივრცის გარეთ, ადამიანის სულის სიღრმეში მიმდინარეობს. ცხოვრობს თავისთვის ციხე-დარბაზში ორი შეყვარებული არსება — მელეანდრი და სელისეტა. მელეანდრი კითხულობს სელისეტას ძმის ქვრივის — აგლავენას წერილს, რომელიც ამ წერილით თავის ჩამოსვლას ატყობინებს. იგი სწერს: „მე მხოლოდ ერთხელ გნახე, მელეანდრ, ჩემი ქორწილის, ჩემი უბედური ქორწილის ფუსფუსსა და ფაციფუსში. ვაი, რომ ამ ქორწილზე ვერ შევამჩნიეთ სტუმარი, რომელსაც არასოდეს ეპატიუებიან და რომელიც მუდამ მოსალოდნელი ბედნიერების ადგილზე ჯდება. მე თქვენ ერთხელ გნახეთ, მხოლოდ ერთხელ! მას შემდეგ აგერ უკვე სამ წელზე მეტია. მიუხედავად ამისა, თქვენთან ისე გულდამ-

შეიდებული მოვდივარ, თითქოს მთელი ჩვენი ყრობა ერთ აკვანში გაგვეტარებინოს... დარწმუნებული ვარ, ძმას ვიპოვი!.. ჩვენ თითქმის არაფერი გვეთქამს ერთმანეთისათვის, მაგრამ, თქვენ მიერ ნათქვამ იმ ორიოდ სიტყვას, რომელსაც სხვა ელერადობა უკონდა, რომელიც იმ სიტყვას, რაც მანამდე მსმენია... რომ იცოდეთ, როგორ მოვისწრაფი, რათა გულში ჩავიკრა სელისეტა... ის ალბათ ძალიან სათნო და ლამაზია, ვინაიდან თქვენ იგი გიყვართ და თქვენ მას უყვარხართ! მე კი ის უფრო მეტად შეყვარება! და, იცით, რატომ? იმიტომ, რომ მე უფრო მეტად შემიძლია სიყვარული. აქამდე უბედური ვიყავი... ახლა ბედნიერი ვარ... ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ვიტანჯე... მე თქვენც გავინაწილებთ იმას, რაც მწუხარებაში შეიძინება... ხანდახან ასე მგონია, ხარკი, რომელიც გადავიხადე სამივეს გვეყოფა... და რომ ბედისწერისათვის სათსოვარი მეტი აღარაფერი გვექნება — ან კი სხვას რას უნდა ველოდეთ ამ უცნაური ცხოვრებისაგან!... გარდა ბედნიერებისა, სხვა ჩვენ საზრუნავი არაფერი გვექნება. იმ მცირეოდენის მიხედვით, რასაც თქვენ მის შესახებ მიყვებოდით, ამკარაა, თქვენთვისაც, ჩემთვისაც და სელისეტასთვისაც ბედნიერება მხოლოდ იმ საუკეთესოში მდგომარეობს, რაც ჩვენს სულელებშია. ჩვენ მხოლოდ ერთი, საზურნავი გვექნება — ჩვენი გამძაფრებული სიყვარულის გავლენით, რაც შეიძლება მშვენიერები გავხდეთ! და გავხდებით კიდევ... უფრო კარგები გავხდებით სიყვარულის წყალობით, უფრო მომხიბვლევები. იმდენ სილამაზეს შევქმნით ჩვენს ირგვლივ, მწუხარებისა და უბედურებისათვის ჩვენს გულებში სულ მცირე ადგილიც არ დარჩება. და თუ უბედურება და მწუხარება მაინც მოიწადინებს ჩვენს სულელებში შემოღწევას, თვითონვე გალამაზდებიან მანამდე, ვიდრე ჩვენი სულების კარებზე მოაკაკუნებდნენ“.

„ლამაზია აგლავენა?“ — ეკითხება სელისეტა მელეანდრს. მელეანდრი. დიან, ძალიან ლამაზია. სელისეტა. ვის ჰგავს მელეანდრი. არავის. არც ერთ სხვა



ქალს არ ჰგავს... ეს სხვა სილამაზეა, ეს არის და ეს... ძალიან უცნაური და ძალიან სულიერი სილამაზე... სელისეტა. ვიცი, რომ მე ლამაზი არა ვარ... მელეანდრი. როცა იგი აქ ჩამოვა, შენ ამას უკვე აღარ იტყვი — მისი თანდასწრებით არასოდეს იტყვი იმას, რასაც არ ფიქრობ და რასაც აზრი არა აქვს“.

და აი, იწყება სიყვარულის ტრაგედია. მელეანდრი ეუბნება სელისეტას, რომ აგლავენას ჩამოსვლის შემდეგ მათ უფრო ძლიერ ეყვარებათ ერთმანეთი — უფრო სხვაგვარად და უფრო ლამაზად. რაზედაც სელისეტა პასუხობს: „რახან გიყვარს, გიყვარდეს, მე წაეალ“.

სელისეტამ თავისი ნაზი, მგრძობიარე გულით იგრძნო, რომ მათ ცხოვრებაში იჭრება გაცილებით ძლიერი არსება და რომ იგი მელეანდრისათვის გაცილებით მახლობელი და აუცილებელი იქნება. შემოდის აგლავენა. აგლავენას, მელეანდრსა და სელისეტას ძალზე ბევრი რამის თქმა სურთ ერთმანეთისათვის, მაგრამ, როგორც ყოველთვის ამგვარ ვითარებაში, ისინი მხოლოდ წვრილმანებზე საუბრობენ. სელისეტას მოხუცი ბებია თვალმოუცილებლად შეჰყურებს აგლავენას და ამბობს: „განა შეიძლება ადამიანი ასეთი ლამაზი იყოს?“

შემდეგ სცენაში აგლავენა და მელეანდრი ბაღში ხვდებიან ერთმანეთს. ისინი ლაპარაკობენ იმაზე, თუ რას წარმოადგენენ ერთმანეთისათვის და რაოდენ ახლოს არიან მათი სულები... ძნელია, სიტყვით გამოხატო, რაოდენ მშვენიერი იყო მათი საუბარი, რომ მასში არ იყო არც ერთი ბანალური სიტყვა რომ სიყვარულს ისინი სრულიად ახალ, უჩვეულო ფორმებში გამოხატავდნენ.

„მელეანდრი. შენ რომ მელაპარაკები, ჩემი სულის ხმა მესმის... აბლაპენა. მეც, მელეანდრ, მეც ჩემი სულის ხმა მესმის... როცა ვდუმვარ, მაშინაც შენი სული მესაუბრება, შენი სულის ხმა მესმის... თუ შენი სული ვერ ვიპოვე, ჩემს სულსაც ვერ ვპოულობ. ხოლო როცა ჩემს სულს ვერ ვპოულობ აღარც შენი სულის ძეგნა შემიძლია... მელეანდრი. ჩვენს სულებში

ერთი სამყაროა... ღმერთი შეცდა, როდესაც ჩვენი სულიდან ორი სული შექმნა... აბლაპენა. სად იყავი ეს ორი წელჩნადი, ასე ეული და მარტოსული რომ გედლოდი, მელეანდრ! მელეანდრი. მეც ასე გედლოდი, ასე ეული და მარტოსული, — იმედოც კი გადამეწურა“.

და აი, ნეტარების ამ მწვერვალზე ისინი უცებ კიდევ ერთ არსებას — სელისეტას იხსენებენ. აბლაპენა, ჩვენთან ერთად რატომ არ ამაღლდეს ისიც იმ სიყვარულამდე, რომლისთვისაც უცნობია სიყვარულის წვრილმანები? იგი მშვენიერია. მელეანდრ, გაცილებით მშვენიერი, ვიდრე ეს შენ გგონია! ჩვენ მას ხელს გავუწვდით და იგი შესძლებს, იგი გამოგვეყვება. ჩვენს გვერდით იგი არასოდეს იტირებს.. მელეანდრი. შენ ხომ და არა ხარ ჩემი, აგლავენა, მე არ შემიძლია დასავით მიყვარდე... აბლაპენა. „ღიახ, შენ ძმა არა ხარ ჩემი, მელეანდრ, სწორედ ამიტომ უნდა ვიტანჯოთ“. ამ საუბრისას აგლავენა წარმოთქვამს სიტყვებს, რომელიც ასე დამახასიათებელია მეტერლინკისათვის, მისი სულიერი სიღბოს, მისი სილამაზის კულტისათვის: „ვფიქრობ, იშვიათად ცდებიან, როდესაც ცდილობენ ააცილონ ტანჯვა შედარებით სუსტს, რათა თავად იტვირთონ იგი“. „მელეანდრი. ო, რა მშვენიერი ხარ, აგლავენა. აბლაპენა. მიყვარხარ, მელეანდრ... მელეანდრი. შენ ტირი, აგლავენა?! აბლაპენა. არა, მე არა, შენ ტირი, მელეანდრ. მელეანდრი. ეს ჩვენ... ჩვენ ორივენი ვთრით... აბლაპენა. ჰო... (ერთმანეთს კოცნიან. ხეებს უკან მწუხარე კივილი ისმის. ჩანს, როგორ გარბის სელისეტა ციხე-დარბაზისაკენ).

შემდეგ სცენაში აგლავენა ტბის ნაპირას, სკამზე ზის. შემოდის სელისეტა და — წყალში არ ჩავარდეთ, — აგლავენას აფრთხილებს. აგლავენა სარგებლობს ამიო და სელისეტას გულახდილ საუბარს უწყებს: „მე ახლა შენი სული დავინახე, სელისეტა, ვინაიდან, შენი სურვილისდა მიუხედავად, შენ მე ახლა გიყვარდი“. ამ ორი მეტოქისათვის უცხოა ჩვეულებრივი უბადრუკი ეჭვიანობა, ამისათვის მათ ძა-



ლზე დიდი სულიერი სილამაზე, სილბო და სინაზე გააჩნიათ. მათ ერთმანეთი უყვართ...

„აბლაპინა. მას შენშიც ის ეყვარება, რაც ჩემში, ვინაიდან ეს ერთი და იგივეა... არ არის ქვეყნიერებაზე ადამიანი, რომელიც ისე ძალიან მგავდეს, როგორც მელეანდრი. როგორ შეიძლება შენ მას არ უყვარდე, როდესაც შენ მე ასე მიყვარხარ. ანდა როგორ შეიძლება მიყვარდეს მე იგი, შენ რომ არ უყვარდე?.. სილი-სამტა. ო, ვგრძნობ, რომ უკვე მიყვარხარ, აგლავენა, მიყვარხარ! აბლაპინა. მე კი უკვე დიდი ხანია მიყვარხარ, სელისეტა. ამ სცენის შემდეგ აგლავენასა და სელისეტას შორის იწყება ბრძოლა, მაგრამ ეს არის ბრძოლა ორ მშვენიერ სულს შორის, რომელთაგან თვითუღეს უდიდესი სილამაზე სწყურია. ამ ტრაგიკულ ბრძოლაში არ არის ჩვეულებრივი მეტოქეობის, ღვა-რძლის, შურის ნატამალიც კი.“

მელეანდრის სულიერი მდგომარეობა გამოიხატება იმ გულწრფელ სიტყვებში, რომლითაც იგი სელისეტას მიმართავს: „როდესაც შენს გვერდით ვარ, მასზე ვფიქრობ, მის გვერდით კი — შენზე“.

მეტურლინკის ამ პიესაში არავითარ სიცრუეს არა აქვს ადგილი: მელეანდრს გულწრფელად უყვარს ორივე — უყვარს აგლავენა და უყვარს სელისეტა. ეს არის საკითხის მეტად ორიგინალური და გაბედული დასმა, მასში არის ღრმა სიმართლე, სიმართლე, რომელიც ადამიანებმა, ადვილი შესაძლებელია, კიდევ დიდხანს ვერ გაიგონ და ვერ შეაფასონ.

მელეანდრი ეუბნება სელისეტას: „როგორ გგონია, ბედნიერება, თუ იგი ასეთი პატარა, ასეთი ფაქიზი, ასეთი ნაზი არსების ტანჯვაზე იქნება აგებული, როგორიც შენ ხარ, განა ხანგრძლივი და ღირსშესაფერი იქნებოდა ჩემთვის?.. როგორ გგონია, შეუძლებელი კი მეკოცნა აგლავენასათვის, ანდა ის შესძლებდა კი ჩემს სიყვარულს, თუ მხოლოდ ერთი ჩვენგანი იქნებოდა ბედნიერი? ჩვენ ერთმანეთი სადღაც ჩვენს ზემოთ გვიყვარს, სელისეტა, ჩვენ იქ გვიყვარს ერთმანეთი,

სადაც ჩვენ წმინდები და ლამაზები ვართ, იქ შენც გხვდებით „სელისეტა“.

აგლავენა ეუბნება სელისეტას: „ჩვენ სამივე იმ რაღაცას ვწირავთ მსხვერპლს, რასაც სახელიც კი არა აქვს და რაც, მიუხედავად ამისა, ჭკნის ღმერთს ძლიერია ჩვენზე... მაგრამ, გნებავთ, სელისეტა არ არის, სელისეტა? მიყვარხარ შენ და მიყვარს მელეანდრი, მელეანდრს ვუყვარვარ მე და ასევე უყვარხარ შენც, სელისეტა, შენ კი ჩვენ ორივენი გიყვარვართ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ბედნიერები ვერასოდეს ვიქნებით, ვერასოდეს ვიცხოვრებთ ბედნიერად, რამეთუ არ დამდგარა ის ჟამი და ის საათი, როდესაც ადამიანები შესძლებენ, ასე დაუკავშირდნენ, ასე შეუერთდნენ ერთმანეთს. (კურსივი ნ. ბერდიაევისა).“

ეს უკვდავი ადგილია, ნამდვილი ეთიკური და ესთეტიკური აღმოჩენა, რისთვისაც ოდესმე ძეგლს დაუდგამენ მეტურლინკს. ამ სიტყვებში პიესის მთელი არსია ჩადებული. ეს არის მომავლის სილამაზე, უმაღლესი ადამიანურობის სილამაზე. „მე მინდა, ისე ადამიანურად გაკოცო, — ეუბნება აგლავენა სელისეტას, — როგორც მხოლოდ ერთ ადამიანურ არსებას ძალუძს აკოცოს მეორე ადამიანურ არსებას“ აგლავენას სურს, წაეიდეს, ვინაიდან მელეანდრთან შორს მყოფს მას უკეთესად შეუძლია იმ სულიერი სილამაზის შენარჩუნება, რის გამოც უყვარს იგი. მაგრამ წასვლა სელისეტასაც აქვს გადაწყვეტილი. ამ პატარა ნატიფ არსებასაც აქვს თავისი გეგმა: „პატარა სელისეტასაც ძალუძს, ლამაზი, მშვენიერი იყოს. ნახავ, აი, ნახავ... ო, რომ იცოდე, როგორ გეყვარებით ორივეს“. სელისეტას თავისი უმცოროსი და — უსლანა მიჰყავს და ისინი ძველ კოშკზე ადიან. სელისეტა ზღვის მხარეს, იმ კედლისაკენ იხრება, რომელიც საცაა უნდა ჩაინგრეს. და აი, კედელი მართლაც ინგრევა. ისმის ნგრევისა და ოდნავი, მაგრამ, თავზარდამცემი კვილის ხმა. შემდეგ მოქმედებაში აგლავენა ცდილობს, სიმართლე გაიგოს მომავლადვი სელისეტასაგან.



აბლაჰინა. „ჩემო საბრალო, პატარა სელისეტა, მე თავს ვხრი შენ წინაშე, რამეთუ მეტად მშვენიერი ხარ... შენ მოიმოქმედე ის ყველაზე ულამაზესი და უმშვენიერესი რამ, რის გაკეთებაც სიყვარულს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც არ ცდება... ახლა კი, გახოვ, მოიმოქმედო რაიმე უფრო მშვენიერი იმ მეორე სიყვარულისათვის, რომელიც არ ცდება... შენი პატარა ბავით შენ ახლა მთელი ჩვენი ცხოვრების დიდ სიმშვიდეს ინახავ“.

სელისეტა კვდება, კვდება ისე, რომ არავის უმხელს, რატომ გადმოვარდა კომპიდან.

„ავლავენა და სელისეტა“ მეტერლინკის ერთ-ერთი საუკეთესო, გენიალური, მე ვიტყვოდი, წინასწარმეტყველური ნაწარმოებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია დრამის ღრმად ეთიკური მნიშვნელობა. მასში სიყვარულის ის იდეალური, სულიერი საფუძვლები იხსნება, რომელიც ტრაგიზმიდან გამოსავალს, მისი დაძლევის უმაღლეს გზას გვიჩვენებს. ეს შეიძლება მხოლოდ მომავალში გახდეს უფრო ნათელი და თვალსაჩინო, ვიდრე მეტერლინკთან არის, მაგრამ, ასეა თუ ისე, ავლავენას, სელისეტას და მელენდრის სიყვარული ისეთი მშვენიერია, ისე მაღლა დგას ყოველგვარ წვრილმანსა და წარმავალზე, რომ მასში გამოუვალ მდგომარეობასთან შეგუება იგრძნობა.

„პელეასი და მელისანდა“, მართალია, არ არის ისეთი ღრმა შინაარსის პიესა, როგორც „ავლავენა და სელისეტა“, მაგრამ ეს არის ფორმის მხრივ მეტერლინკის ყველაზე ულამაზი, ყველაზე პოეტური ნაწარმოები. ეს არის ნამდვილი პოეზია, ეს მუსიკაა. პიესის სიუჟეტი მარტივია: გოლომ ტყეში, ტბის ნაპირას ნახა პატარა, მშვენიერი იღუმალეებით მოცული არსება — მელისანდა, თავის კომპი წამოიყვანა და ცოლად შეირთო. მელისანდასა და გოლოს უმცროს ძმას — პელეასს შორის სულის სიღრმეში ჩუმად, შეუმჩნევლად იბადება სიყვარული. ამ „ბავშვებს“, როგორც მათ გოლო უწოდებს, სილამაზის ინსტინქტი მართავს, რო-

გორიდაც არამიწიერია მათი სიყვარული. მელისანდამ პელეასში მონათესავე სული ჰპოვა, გაუგო მელისანდას სევდას ცისადმი, რაც სრულიად გაუგებარი იყო გოლოსათვის, რომელიც, მართალია, ძალიან კეთილი და მოსიყვარულეა, მაგრამ უკვე მოხუცია და უხეში. პელეასსა და მელისანდას სიყვარულს დიდი და ღრმა სევდის ბეჭედი აზის, იგი ტრაგიკული სილამაზის განსახიერებაა. სცენა, რომელიც ხდება ხვეულ კიბეზე ამავალ პელეასსა და ფანჯარაში გადმოსრილ მელისანდას შორის, როდესაც ქალის საუცხოო თმა ეაქვს ეყრება, მსოფლიო პოეზიის მარგალიტს წარმოადგენს. გოლომ ვერ შეძლო ამ „ბავშვების“ სიყვარულის მშვენიერებასა და სიწმინდემდე ამალღება და „ბავშვები“ იღუპებიან. მაგრამ, მელისანდა კვდება არა გოლოს მიერ მიყენებული, ექიმის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ პატარა კრილობით, რომელიც ჩიტსაც კი ვერაფერს დააკლებდა, არამედ იმის გამო, რომ მას სიცოცხლე აღარ შეუძლია, იგი სიკვდილისათვის არის დაბადებული. „ეს იყო პატარა არსება, — ამბობს გოლოსა და პელეასს არკელის პაპა, — საოცრად მორცხვი და უსიტყვო... ისეთივე იღუმალეებით მოცული, როგორც ყოველივე ამქვეყნად“.

აქ ჩვენ კვლავ სიყვარულის ტრაგიზმის პირისპირ ვდგავართ. მეტერლინკის უდიდესი დამსახურება არის, ის, რომ მან ეს ტრაგიზმი გამოხატა როგორც მარადიული საწყისი, განწმენდილი ემპირიული ყოფის ყოველგვარი წარმავალი წვრილმანისაგან. მეტერლინკისეული ტრაგედის შინაარსი თავისუფალია სოციალური კვანძებისა და ისტორიული გრძნობებისაგან.

თავის წიგნებში — „Le tresor de humbles“ და La sagesse et la destinée“ მეტერლინკი იძლევა თავისი დრამების ფილოსოფიური წვდომის გასაღებს, კრებულში — „Le tresor de humbles“ — შესულ პირველ სტატიას „La silans“ („მღუმარება“) ეწოდება. აქ იგი ძალზე ულამაზად ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ყოველივე დიდი და მნიშვნელოვანი



ადამიანის ცხოვრებაში სიწყნარესა და მდუმარებაში წარმოიშობა, რომ ჩვეულებრივ სიტყვებს არ ძალუძს იმის გადმოცემა, რაც ადამიანის სულის სიღრმეში ხდება. ეს ძალზე დამახასიათებელია მეტერლინკის დრამებისათვის. ადამიანის სულის სინაზებ, სინატიფემ და სილამაზემ ასახვა მეტერლინკის შემოქმედებაში ჰპოვა. სამაგიეროდ ადამიანისათვის ჩვეული ყოველგვარი სიბოროტე, სიუხეშე და სიმკაცრე სრულიად უცხო, გაუგებარია მისთვის. მეტერლინკთან არ არის ის ძალა და ის პროტესტი, რასაც ჩვენ ნიცშესა და იბსენთან ვხვდებით, მასთან თითქმის არაფერია პრომეთესული — იგი ჩვენი დროის პასიური ქრისტიანია. მასში გაცილებით მეტი სიკეთე, ადამიანური ტანჯვის მიმართ გაცილებით მეტი სიბრალული, თანაღმობა და ტკივილია, ვიდრე რომელიც ვნებავთ თანამედროვე მწერალში. „ყველას რომ ჰყოფნიდეს ვაჟკაცობა, — ამბობს იგი, — უსმინოს საკუთარი სინდისის ყველაზე უფრო მარტივ, გასაგებ, დაჟინებულ ხმას, თავის ერთადერთ მოვალეობად თავის ირგვლივ, რაც შეიძლება ფართო წრეში რაც შეიძლება ბევრი ადამიანის ტანჯვა-მწუხარების შემსუბუქებას ჩათვლიდა“. მეტერლინკის ორიგინალობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი სიკეთესა და სილამაზეს ორგანულად აკავშირებს ერთმანეთთან. მე მგონი, ადამიანის სულში „მეტერლინკისეულიც“ ისეთივე მარადიულია, როგორც „ნიცშესეული“, ვინაიდან მასშიც ყოველთვის ანგელოზური“ და „დემონური“ შეერწყმის ერთმანეთს.

მეტერლინკის ტრაგიკული მსოფლჭვრეტა ღრმა პესიმიზმითაა გამსჭვალული, იგი ვერ ხედავს გამოსავალს და ცხოვრებას მხოლოდ იმიტომ ურიგდება, რომ „სამყარო შეიძლება გამართლებულ იქნას, როგორც ესთეტური ფენომენი“. მეტერლინკს არც ადამიანის ნების სიძლიერისა სჯერა, რომელსაც ცხოვრების აქტიური გარდაქმნა შეუძლია, არც ადამიანის გონებისა, რომელიც სამყაროს შეცნობასა და გზის განათებას შეძლებდა. ეს ძალზე

დამახასიათებელია მთელი იმ მიმართულებისათვის, რომელსაც ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ „დეკადენტურს“ უწოდებენ.

ადამიანის ნატიფი, ცხოვრების სიუხეშით შეურაცხყოფილი სული თავს მისგან — ცხოვრებისაგან ამოკლავდა გრძობს — იგი ავადაა ხელოვნური პრუტლებით, პროტესტს აცხადებს პედონიზმითა და უტილიტარიზმით ცხოვრების გაუხამების წინააღმდეგ და ამავე დროს იმორალიზმამდე მიდის. მას სწყურია რელიგია, მაგრამ არ გააჩნია იგი, ბევრი რამ აღაშფოთებს, ყოველ ნაბიჯზე ბოროტების სიმძიმეს გრძობს და ამავე დროს ხშირად ყველაფერს აღმერთებს, ფატალურად ამტკიცებს, რომ ყველაფერი რაც არსებობს — სიკეთეა. თანამედროვე ცხოვრებაში არის მეტად საინტერესო მიმდინარეობა, რომელიც რაღაც სულიერ გარდატეხაზე, რაღაც ახალი გზის ძიებასა და რაღაც ახალ იდეალებზე მიუთითებს. ეს ხდება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მთელი თავისი სულითა და არსებით პროტესტს აცხადებენ ცხოვრების უხამსობის, შემწანობის, სულის ჩაკვლისა და გარეგნული მატერიალური ინტერესებით ბურჟუაზიული გატაცების წინააღმდეგ. ეს ახალი ადამიანები პროტესტს აცხადებენ გონითი კულტურის წინააღმდეგ, ტრაგიკული სილამაზის კულტურისათვის. მაგრამ ისინი მეტისმეტად ხშირად დეკანან განზე კაცობრიობის უდიდესი განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან და მოწყვეტილნი არიან ადამიანის შეგნების ისტორიული ტრადიციისაგან.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, ტრაგიზმი ეს არის ემპირიული გამოუვალობა. ტრაგიზმი გვიჩვენებს, რომ ცხოვრება, როგორც ემპირიულ მოვლენათა თავმოყრა, ყოველგვარ აზრს არის მოკლებული, მაგრამ სწორედ ტრაგიზმი გვაიძულებს, განსაკუთრებული ძალით დაესვათ საკითხი ცხოვრების აზრისა და მიზნის შესახებ სპირიტული მეტაფიზიკა სძლევს ცხოვრების ემპირიულ გამოუვალ ტრაგიზმს და მიჰყავს იმ მაღალ, საბოლოო ოპტიმიზმამდე, რომელსაც არაფე-



რი აქვს საერთო უბადრუკ კმაყოფილებასთან და გულისწყრომას, სევდასა და მწუხარებასაც კი გულისხმობს. სამყარო გამართლებულ უნდა იქნას არა მხოლოდ როგორც ესთეტიკური ფენომენი, არამედ ისევე როგორც ზნეობითი და გონითი ფენომენიც.

ზევით მე მივუთითე, რომ ცხოვრების ტრაგიზმს ბოლოს და ბოლოს ფესვი ემპირიული სინამდვილის ილუზიაში აქვს გადგმული და რომ მასში ტრაგიზმს გამოსავალი არა აქვს — არ შეიძლება იპოვო ცხოვრების აზრი, არ შეიძლება საბოლოოდ მოეღოს ბოლო ბოროტებას, ვერ გაიმარჯვებს სიმართლე, დასასრული არ ექნება ადამიანის სევდას თავის იდეალურ ოცნებაზე. აი, ფილოსოფიური იდეალიზმი კი ნახულობს გამოსავალს. ანგრევს რა შემეცნების თეორიის გულუბრყვილო რეალიზმს, მას, ჩვენ ადამიანისა და სამყაროს სულიერი ბუნების აღიარებასა და ადამიანის გონების უფლებებში აღდგენასთან მივყევართ, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა გონის კრძნობადობის ტყვეობაში. ამგვარად, გნოსეოლოგიურად დაიძლევა პესიმიზმის ერთი ძირითადი წყაროთაგანი — აგნოსტიციზმი. აგნოსტიციზმი ეს არის მეცხრამეტე საუკუნის სენი, რომლის ფილოსოფიურ პრინციპამდე აყვანასაც ცდილობდნენ პოზიტივისტები. ამ სენით განსაკუთრებულად პოზიტივიზმით დაავადებული, იდეალისტურად განწყობილი სულები იტანჯებოდნენ. მეტერლინკი და მისი სულიერი ყაიდის ადამიანებიც აგნოსტიკოსები არიან, მათ არ სწამთ აზრის ძლევა მოსილება, არ შეუძლიათ იმ პოზიტივიზმის გადალახვა, რომელიც თრგუნავთ და რომელიც სძულთ. გამოსავალს ისინი მისტიციზმში ეძებენ, რომელმაც უნდა აუნაზღაუროს მათ იდეალისტურ სულებში შეჭრილი პოზიტივიზმისა და მატერიალიზმის მიერ მიყენებული დანაკარგი. რამეთუ მისტიციზმი ყოველთვის ახალი მსოფლჭვრეტის მოთხოვნილების სიმპტომს წარმოადგენს.

ჩვენი ღრმა რწმენით, შემეცნების ტრაგედიიდან ადამიანისათვის მხოლოდ ერ-

თი ღირსეული გამოსავალი არსებობს: დაუბრუნდეს გონების იმ მკვნიბარე რწმენას, რომელიც კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეებს — პლატონსა და არისტოტელეს, სპინოზასა და ლეიბნიცს, ფიხეტსა და ჰეგელს ჰქონდათ რწმენა. რომელიც თავისი სულის ტრანსცენდენტული აგნოსტიციზმისაკენ მიმართული კენისბერგელი ბრძენი იყო. ძლიერი პოზიტივისტ-აგნოსტიკოსები ამაოდ ცდილობენ თავიანთი წარმოშობა დაუკავშირონ კანტს, რომლის ფილოსოფია წარმოადგენდა კრიტიკულ გარდატენას მეტაფიზიკის ისტორიაში. მასში ბევრია ჯანსაღი სკეპტიციზმი, მაგრამ მასში არასოდეს ჩამქრალა ადამიანის გონების, როგორც უდიდესი იდეის მატარებლის რწმენა. მან დაწერა გონების კრიტიკა და ეს კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივ-გონითი ბუნებისადმი აღმართული ძეგლი იყო. შემეცნების ის ფაუსტური წყურვილი, წყურვილი აბსოლუტური ჰემმარიტებისა, რომელიც ღრმა ტრაგიზმითაა აღსავსე და რომელსაც სუსტი, ავადყოფი სულები გამოუვალ პესიმიზმსა და ბრმა მისტიციზმამდე მიჰყავს, ფილოსოფიური იდეალიზმის თვალსაზრისით, ადამიანის სულის წინაშე ხსნის მარადიულობისა და უსაზღვრო განვითარების პერსპექტივებს იმ უზუნაესი სრულყოფილებისაკენ, რომელსაც თვითეული სული უსიტყვოდ დეთაებას უწოდებს. თავის უფლებებში აღდგენილმა ადამიანის გონებამ უნდა შექმნას ახალი მეტაფიზიკა, რომელიც მხოლოდ პლატონის მიერ დაფუძნებული ერთიანი მარადიული მეტაფიზიკისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

იმ ადამიანურ სულს, რომელსაც მეტერლინკი თავის ქმნილებებში ასახავს, აგრეთვე მთელ „დეკადენტურ“ ლიტერატურასაც, რწმენა ჰქონდა დაკარგული არა მხოლოდ იმ აზრის, არამედ კაცობრიობის იმ უსაზღვრო პროგრესის მიმართაც, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ადამიანების რელიგიას წარმოადგენდა. მაგრამ კაცობრიობა დაუბრუნდება პროგრესის გარდამქმნელ იდეას, გაგებულს პრომეთეს ტრა-



გედის და არა უკბილო პედონიზმის სულსკვეთების შესაბამისად. მხოლოდ მაშინ იპოვის ადამიანის დასწრეული ნებისყოფის ტრაგედია გმირულ გამოსავალს, მხოლოდ მაშინ იქნება დაძლეული ის პესიმიზმი, რომელსაც მოშვეტულობასა და მოდუნებამდე მივყავართ. ეს არის მოწოდება სიცოცხლის რწმენისაკენ, მისი მზარდი ფასეულობებისაკენ. მე ვლაპარაკობ პროგრესზე, ეთიკურ და სარწმუნოებრივ იდეაზე და არა ევოლუციაზე, ამ ყოველგვარ აზრსა და მიზანს მოკლებულ პროცესზე. აღნიშნულ რევოლუციურ-იდეალისტური იდეის დასაბუთება შეიძლება ვიპოვოთ უფრო ფიხტეს, ვიდრე სპენსერის ფილოსოფიაში. კაცობრიობის გამუდმებული სრულყოფა გულისხმობს ზნეობრივ მსოფლწესრიგსა და იდეალური ნორმების ზემოქმედებულ სამყაროს, რომლის მიხედვითაც ფასდება ყველაფერი ემპირიულ სინამდვილეში. კაცობრიობის პროგრესი ჩვენ წინაშე ხსნის უსასრულობას და სწორედ აქ პოულობს ყოველგვარი ადამიანური სწრაფვის ტრაგიზმი თავის გამოსავალს. ქმნა სიკეთისა და სილამაზის, იმ ფასეულის შექმნა, რაზედაც წუხს ადამიანი, შეიძლება მხოლოდ ცხოვრებისა და კულტურის უმაღლესი ფორმების შექმნით. ამიტომაც ყოველი შეგნებული ადამიანის მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ძალადობისა და უსამართლობის მოსპობა-განადგურებისათვის კაცობრიობის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. უკეთესი მომავლის იმედი შეიძლება დაკავშირებული იყოს თანამედროვე სოციალური მოძრაობისათვის ნიშანდობლივი იმ რეალიზმის იდეალიზმთან სინთეზში, რომელმაც საუკეთესო გამოხატულება მარქსიზმში პპოვა და რომელიც ამ მოძრაობაში სასულიერო არისტოკრატია უნდა შეიტანოს.

დასკვნა: ასე ჩამოვაყალიბებდი ტრაგიზმის ფილოსოფიურ არსს: მწუხარება და მარად უკმაყოფილოთა ტრაგიკული სილამაზე არის ადამიანის ერთადერთი ღირსეული გზა მართალთა ნეტარებისაკენ. მეტერლინკის არა მხოლოდ ლიტერატურულ-

ლი, არამედ უზარმაზარი ზოგადკულტურული დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მას ადამიანის მეშჩანობით გაუხამებულ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეაქვს არაჩვეულებრივი სილბილისა და ადამიანურობის, ტრაგიკული სული, რითაც აკეთილშობილებს ადამიანს, სულიერ არისტოკრატის და მიუთითებს მის როგორიღაც უმაღლეს დანიშნულებაზე. მეტერლინკისა და მთელი „დეკადენტობის“ უარყოფითი მხარე კი მდგომარეობს იმაში, რომ მას არ სჯერა ადამიანის გონებისა და არ არის აქტიური. ახალი ხელოვნება და „ახალი ადამიანები“, რომელთა სულებიც უმაღლეს სულიერ მოთხოვნებათა გამო იტანჯებიან, უნდა შეუერთდნენ დედამიწაზე თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლთ და — იქნებ მაშინ მოეღოს ბოლო ერთთა პასიურობასა და მეორეთა სიუხემეს. გარდა ამისა, ორივე მხარე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განიმსჭვალოს გონისა და იმ თეორეტიკული აზრის მქონე ადამიანებისადმი უდაო პატივისცემით, რომელნიც სინათლესა და ჭეშმარიტებას ეძიებენ. დროა, მთელს ჩვენს მსოფლმხედველობას სათავეში ჩავუყენოთ გონება, ხოლო ცხოვრებისადმი ჩვენს ეთიკურ დამოკიდებულებას პიროვნების იდეა, რომელიც ყველაზე მეტად არის სულიერი, შინაარსის შემცველი.

მაგრამ, ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის საბოლოო გაერთიანება და მათი იმ ერთ ჭეშმარიტებად აღიარება, რომელიც ოდენ ემპირულ ხილვადობაშია მრავალსაზე, — მხოლოდ რელიგიის ნიადაგზეა შესაძლებელი. ადამიანისათვის საჭიროა ასეთი რელიგია, ვინაიდან, მის გარეშე იგი თავს ვერ დააღწევს ყოფიერების მიერ წამოყენებულ ტრაგიკულ მოვლენებს. ახალი საქმე, რომელიც მომავალმა კაცობრიობამ უნდა აღასრულოს, არის ხიდის გადება თავისუფლებისა და სამართლიანობის „დედამიწისეულ ღვთიურ“ სამეფოსა და „ციურ სამეფოს“ შორის, რომლისთვისაც ყოველთვის იწუხებს ადამიანის ტრაგიკული სული.







## მხატვრული სიტყვის ლოგიკა

„გერმანისტიკის მსცოვანი მანდილოსანი“ — ასე მოიხსენიებენ თანამედროვენი თავისი დარგის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, ლიტერატურათმცოდნე კეტე ჰამბურგერს, რომელიც 1992 წლის 8 აპრილს, სულ რამდენიმე თვეში თავისი 95 წლის იუბილედან, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შტუტგარტში. წარმოშობით იგი ჰამბურგელია (დაიბადა 1896 წელს).

1922 წელს კეტე ჰამბურგერს მიუნჰენში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება ნაშრომისათვის „ადამიანის ანალიზი“ მილერის შემოქმედების მიხედვით. 1928 წლიდან იგი ბერლინელი ფილოსოფოსის პაულ პოფმანის ჰამბურგელი ასისტენტია, 1934 წლიდან კი ემიგრაციაშია — ჯერ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ შვეიცარიაში. 1956 წელს შტუტგარტელმა გერმანისტმა ფრიც მარტინიმ იგი შტუტგარტში ჩამოიყვანა, რასაც მეცნიერი ქალი გადამწყვეტ და ბედნიერ შემობრუნებად თვლის თავის ცხოვრებაში. შტუტგარტი იქცა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ახალ ასპარეზად. როგორც შტუტგარტის უნივერსიტეტის პროფესორი შედარებითი და სისტემატური ლიტერატურათმცოდნეობის დარგში, იგი მრავალი წლის განმავლობაში იპყრობდა თავის მსმენელთა თუ მკითხველთა ყურადღებას ნათელი და ზუსტი აზროვნებით. 60 წლის ასაკში შექმნილი მისი ფუძემდებლური ნაშრომი „მხატვრული სიტყვის ლოგიკა“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ერ-

თვარ კლასიკად იქცა, და არა მარტო გერმანისტიკის დარგში. ეს წიგნი, როგორც ამბობს ცნობილი გერმანისტი ჰანს დიტერ ციმერმანი, მაშინაც კი გხიბლავთ, როცა არ ეთანხმებათ მას. ციმერმანი, განსაკუთრებით აფასებს კეტე ჰამბურგერის შემდგომ ნარკვევს „თანაგრძნობა“ („Das Mitleid“ — 1985) და წერს, რომ „გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის ამ მსცოვანი მანდილოსნის“ თვალსაწიერი არასოდეს არ იფარგლება მხოლოდ გერმანულით, არამედ მთელ ევროპულ ლიტერატურას სწვდება. ნოვალისი, მილერი, ჟან პოლი, ტოლსტოი, რილკე, თომას მანი, სარტრი, — აი, იმ მწერალთა არასრული სია, რომელთა შემოქმედების კვლევასაც მიუძღვნა მეცნიერმა ქალმა თავისი მდიდარი ნააზრევი. როგორც ჰელმუტ კროიცერი აღნიშნავს, იგი მუდამ ცდილობდა გაედო ხიდი გოეთეს დროსა და „მოდერნად“ წოდებულ 1900-იანი წლების პერიოდს შორის, და რომ „მისი გზები ფილოსოფიიდან ლიტერატურისაკენ და ლიტერატურიდან ფილოსოფიისაკენ მიემართებოდა“. „მხატვრული სიტყვის ლოგიკის“, ომისშემდგომი ხანის პოეტიკის თეორიაში შექმნილი ამ ყველაზე საკამათო გამოკვლევის დამსახურებას კროიცერი მასში მოცემულ პოეტიკის ჟანრების თეორიაში ხედავს, რომელიც პირველია, ასე თანმიმდევრულად რომ ემყარება მხატვრული სიტყვის თეორიას. მისი საგანია მხატვრული სიტყვის მიმართება ენის მთელ სისტემასთან. სწორედ აქ ყალიბ-



დება კეტე კამბურგერის ორიგინალური იდეა მხატვრული სიტყვის ლოგიკისა და ესთეტიკის ურთიერთგამიჯვნის შესახებ. მეცნიერის ერთ-ერთი თეზისის თანახმად, ზღვარს ლიტერატურულ ჟანრებს შორის ფიქციისადმი მათი მიმართება განსაზღვრავს, ხოლო ფიქციურობა ენობრივი კრიტერიუმების მეშვეობით ვლინდება.

კამბურგერის ნაშრომებში „მწერალთა ფილოსოფია“, „სინამდვილე და ესთეტიკური სინამდვილე“, „სოფოკლედან სარტრისაკენ“, „თანაგრძნობა“, ასევე ნოვალისის, ტოლსტოის, იბსენის, რილკეს, თომას მანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ჩანს კამბურგერი — ფილოსოფოსი, კამბურგერი — ფენომენოლოგი. მან შესძლო აეხსნა და ზუსტად აღეწერა რილკეს ლირიკის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც მანამდე, გამოუკვლეველი იყო. ეგზისტენციალური ფილოსოფიის ღრმა ცოდნის წყალობით მკვლევარმა სარტრის შემოქმედების შუქზე სრულიად ახლებურად განჭვრიტა შილერი და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი შრომებისათვის 1989 წელს ბადენვიურტემბერგის მხარის შილერის პრემია დაიმსახურა.

„კეტე კამბურგერის შემოქმედება ნათლად დაგვანახვებს იმ დანაკარგს, — წერს პანს დიტერ ციმერმანი, — რომელიც გერმანიამ ებრაელთა განდევნით განიცადა“.

მთარგმნელი

### წინასიტყვაობა

ამ წიგნს წინ უძღოდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომლებიც გამოვაქვეყნე ჟურნალში: „Deutsche Vierteljahrschrift für Literaturwissenschaft und Geistesgeschichte“, ეს ნაშრომებია: ეპიკური და დრამატული შემოქმედების სტრუქტურის პრობლემებისათვის (1951), ეპიკური წარსული (1953), სიტყვიერი მხატვრული შემოქ-

მედების ზედროულობა (1955). აქვე მსურს მაღლობა მოვახსენო გამოცემლობებს, რომელთა ნებართვით განმეორებით ვბეჭდავ რამდენიმე გვერდს, უპირველეს ყოვლისა, სტატიიდან ეპიკური წარსულის შესახებ; ეპიკური წარსული, როგორც საკვანძო მხატვრული შემოქმედების მთელი ლოგიკისათვის, უფრო ვრცლად უნდა ჩამერთო ამ წიგნში, რისთვისაც აუცილებლად მჭირდებოდა ადრინდელ ნაშრომებში უკვე მოცემული დასაბუთებანი საკვლევო პრობლემების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

დასახელებული ნაშრომები ეხებოდა მხოლოდ ეპიკურ და დრამატულ შემოქმედებას, რომლებიც წინამდებარე წიგნში ფიქციური ჟანრის სახელწოდებითაა გაერთიანებული. მაგრამ ის ჟანრი, რომელიც მხატვრული შემოქმედების სისტემის ლოგიკური სტრუქტურისათვის გადამწყვეტ და ზუსტ კრიტერიუმებს გვაწვდიდა, უპირველეს ყოვლისა, თხრობითი შემოქმედება იყო. და, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ სწორედ დიდმა ეპიკურმა ნაწარმოებმა, თხრობის განსაკუთრებული ტექნიკით წყალობით, მიმიყვანა იმ პრობლემებამდე, რომელთა წარმოდგენა წინამდებარე წიგნში ვცადე. ეს გახლდათ თომას მანის რომანი „იოსები და ძმანი მისნი“. ის მოწიწება, რომელსაც მე თომას მანის, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, მიმართ განვიცდი, სცილდება საყოველთაო პატივისცემის ფარგლებს და იმ განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, საქმიან საფუძველს შეადგენს, რომლის გამოც ჩემს წიგნს მის სახელსა და ხსონას ვუძღვნი. ორი წლის წინ, როცა ხელნაწერი უკვე თითქმის დამთავრებული მქონდა, ვიმედოვნებდი, რომ საჯაროდ მივუძღვნიდი მას მაშინ ჯერ კიდევ შემოქმედებითი ძალებით აღსავსე მწერალს, და 1955 წლის ივლისში საამისო ნებართვაც გამოვითხოვე მისგან. მან გულითადი დასტური მომცა, სიკვდილამდე



ათიოდე დღით აღრე, და, როგორც მწერდა, ძალზე აინტერესებდა, რაგვარად დავასაბუთებდი... ჩემს მიძღვნას, ახლა ამ მიძღვნას უდიდესი ეპიკოსის დაკარგვით გამოწვეული მწუსარებაც ერთვის.

შტუტგარტი, 1957 წლის ივნისი,  
კეტე ჰამბურგერი.

შინაგვალი

მხატვრული შემოქმედების ლოგიკის  
კროზლეები და ამოცანები

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების ლოგიკის გამოყოფის ცდას მხატვრული შემოქმედების ზოგადი ესთეტიკიდან. ეს ნაბიჯი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან მხატვრული შემოქმედების ყოველგვარი თეორიული განხილვა, რომელ ასპექტსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, მის ესთეტიკას განეკუთვნება. რადგან ხელოვნება საგანია ესთეტიკის და არა ლოგიკისა, სფეროა გამოსახვის და არა აზროვნებისა, მხატვრული შემოქმედების ლოგიკაზე საუბარი შეიძლება შედგეთად და სადაოდაც კი მოგვეჩვენოს. მაგრამ სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებული ადგილი ხელოვნების დარგთა სისტემაში განაპირობებს ასეთი ლოგიკური სისტემის არსებობას. თუ მის

გამოვლენას შევძლებთ, იმავე დროს აღმოვაჩინოთ, რომ სიტყვიერი შემოქმედების ლოგიკურ და ესთეტიკურ პრობლემებს შორის სტრუქტურულად ღრმა, შედაპირულად კი უხილავი ზღვარი ძევს. ამ საზღვარზე სიტყვიერი შემოქმედება შემეცნებისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით შესაძლებელია სხვადასხვაგვარად გამოიყურებოდეს. ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდებით, რომ სიტყვიერი შემოქმედების ლოგიკური მკვლევარი გარკვეულ პირობებში, თავისი ამოცანების შესრულების შემდეგ, შეიძლება იძულებული გახდეს, უკან დაიხიოს და

შემოქმედების შემდგომი გაშუქება ესთეტიკოსს დაუთმოს. მაგრამ, ალბათ, ვერც ესთეტიკოსი დატოვებს უყურადღებოდ შემოქმედების ფარულ ლოგიკას, თუკი სურს ადეკვატურ, ფუნქციონალ მომცველ ესთეტიკურ შეფასებას მხატვრულს. თუ როდის და რანაირად უნდა მოქმედებდეს ინტერპრეტაციის ეს სხვადასხვაგვარი შესაძლებლობანი, მხოლოდ ჩვენი გამოკვლევის ბოლოს ან მის მსვლელობაში გამოირკვევა: როცა თვით საზღვარი ხილული გახდება, ანუ როცა განვავითარებთ სიტყვიერი შემოქმედების სპეციფიკურ ლოგიკურ სისტემას.

ასეთი ცნების არსებობას, როგორც უკვე ვთქვით, განაპირობებს სიტყვიერი შემოქმედების ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მას ხელოვნების ყველა დანარჩენი დარგისაგან განასხვავებს. განსხვავდება კი მათგან იმით, რომ გამომსახველი მასალა, რომელსაც იგი იყენებს, ამავე დროს წარმოადგენს მედიუმს — რომელშიც მიმდინარეობს საერთოდ ადამიანის ცხოვრება — ენას. როცა პოეზიას ენისმიერ ხელოვნებას ვუწოდებთ, ეს გაცილებით უფრო ზუსტი განსაზღვრაა, ვიდრე მუსიკოსისათვის — ბგერითი, მხატვრობისათვის — ფურთა, პლასტიკისათვის — ქვის ხელოვნება, რაც აზრსა და მნიშვნელობას მოკლებულ კატეგორიზაციად აღიქმება. რადგან პოეზიის მასალას სხვა ხელოვნებათა მასალებისაგან განასხვავებს სწორედ ის, რომ იგი უკვე თავისთავადაა აზრით აღბეჭდილი, უკვე თავისთავად წარმოადგენს ადამიანის გონების, მისი განვითარების პროდუქტს. ეს არ გახლავთ ახალი მოსაზრება, თითქმის ასევე ჩამოაყალიბა იგი ვილჰელმ შლეგელმა, როცა თქვა: „პოეზიის მედიუმი არის სწორედ ის, რისი მეშვეობითაც ადამიანის აზრი გონებას აღწევს და მისი წარმოდგენების თავისუფალ ურთიერთდაკავშირებას ეუფლება: ენა“. ამ გამონათქვამში უკვე მინიშნებულია, რომ ეს მედიუმი მხოლოდ აზრით აღბეჭდილი ნიშნების — სი-



ტყვების ერთობლიობა კი არაა, არამედ მას გაცილებით უფრო გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების, როგორც ხელოვნების დარგის განსაზღვრაში. რამდენადაც პოეზიის მასალა ენაა, იგი ამავე დროს ნაწილია იმ სისტემისა, რომლის შემეცნებითაც ხდება საერთოდ გონითი სამყაროს აგება, ანუ საგნობრივი და ისტორიული სინამდვილის შემეცნება, ასევე იდეალურ წარმოდგენათა მოხაზვა; ნაწილია თვით აზროვნების სისტემისა.

პოეტური ხელოვნების მრავალგვარი ძველი თუ ახალი თეორიები, ჩემის აზრით, იმის გამო ვერ აღწევენ დამაკმაყოფილებელ შედეგებს, რომ ეს ფაქტი — პოეტური ხელოვნების წილი აზროვნების სისტემაში — ჯეროვანი სიმკვეთრით არ არის გააზრებული, ან, ყოველ შემთხვევაში, საბოლოო დასკვნები არაა გამოტანილი. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდება სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების საკუთრივი, სპეციფიკური ფენომენი — რომ ხელოვნების ამ სფეროს საზღვრების დადგენა საკმაოდ ძნელია, რომ, სახელდობრ, ეს არის „ხელოვნების ის განსაკუთრებული სახე, რომლის ზღვარზეც ხელოვნება უჩინარდება“, როგორც ეს აღიარა ჰეგელმა; და ჩვენ აქვე დავინახავთ, თუ რას ემყარება ჰეგელის ეს შეხედულება, ან რა დასკვნები გამომდინარეობს მისგან; დასკვნები, რომლებიც თვით მას, ჩანს, არც გამოუტანია. თუ ჰეგელის ამ შეხედულებას სერიოზულად მივუდგებით, ნათელი გახდება მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. მას სინათლე შეაქვს მხატვრული შემოქმედების ფარულ ლოგიკურ ქსოვილში, რომლის მეოხებითაც იგი, ერთი მხრივ, აზროვნებისა და წარმოდგენის პროცესების საერთო ქსოვილს უკავშირდება, მეორე მხრივ კი ემიჯნება მას. ამ სტრუქტურის გამოამჟღავნებას კი თავისებური, ხშირად მოულოდნელი ფენომენების გამოვლენა მოჰყვება ხოლმე. ასე მაგალითად, უჩინარესად, პოეტიკის ცენტრა-

ლური პრობლემა — ჟანრების პრობლემა — სხვა ასპექტში, სხვა რიგში წარმოგვიდგება, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი, თუმცა ეს შეხედულებანი მრავალფეროვნებითა და ცვალებადობით ხასიათდებოდა ადრეც და ახლაც. მას შემდეგ რაც კლასიკური პოეტიკის ჩარჩოებისაგან გათავისუფლებულმა გოეთემ ლირიკა, ეპოსი და დრამატურგია სამად-სამ „ბუნებრივ ფორმად“ სცნო („დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანის“ შენიშვნებსა და კომენტარებში), რომლებსაც იგი არ უკავშირებდა ტრადიციულ ჟანრებს, არამედ „ხშირად ერთ პატარა ლექსში“ ხედავდა მათ ურთიერთქმედებას, ახალმა პოეტიკამ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს შეხედულება გაითავისა. აი, თუნდაც ემილ შტაიგერი — მან პოეტური შემოქმედების ახალი განმარტების შესაძლებლობებს მიაგნო, როცა ფორმათა ტრადიციული ცნებებიდან განავითარა მოძღვრება ლირიკული, ეპიკური და დრამატული ჟანრების სემანტიკურ ინვარიანტებზე, როგორც სულიერ პოზიციათა განმტკიცებაზე. მოგონებაზე (გახსენება), წარმოსახვასა და დამახულობაზე. მასზე უადრეს კი რობერტ პარტმა ჟანრები განცდის ფორმებამდე — ხასიათის, გრძნობის, შემეცნებისა და მისწრაფების უნარამდე დაიყვანა.

ამკარაა, რომ ყველა ეს განსაზღვრა, მხატვრული ქმნილების რაც არ უნდა უფაქიზეს ნიუანსებს მოიცავდნენ ისინი, მხოლოდ და მხოლოდ უკვე ცნობილი ჟანრების განმარტებებად გვევლინება, ასეთი განმარტებანი კი სწორედ იმის შედეგია, რომ მყარი ჟანრები განცდისა და გამოსახვის ფორმებში გაირთვნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟანრები წარმოადგენენ მყარ ფორმებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს, როგორც ასეთნი, ყოველგვარ განსაზღვრასა თუ ინტერპრეტაციას უმკლავდებიან. ამაში უშუალოდ ვრწმუნდებით, როცა ლექსს, რომანსა თუ დრამას ვკითხულობთ. რაც არ უნდა ლირიულად მოგვეჩვენოს რო-



მანი, რაც არ უნდა ეპიკურად განვრცობილი იყოს დრამის მოქმედება, რაც არ უნდა არალირიკული იყოს ლირიკული ლექსი — მაინც თხრობითი ქმნილება, დრამა თუ ლექსი ის ფორმებია, რომლებიც კითხვისას ჩვენს განცდებს წარმართავენ და კვალს აჩენენ მათ. მოცემული ფორმა მიმართულების მიმცემია, ჩვენი განცდის წარმმართველია — ისტორიულ ნაწარმოებს თუ საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოს ჩვენ უთუოდ სხვაგვარად აღვიქვამთ, ვიდრე რომანს. ლირიკულ ლექსს სრულიად სხვაგვარად ვღებულობთ, ვიდრე იგივე რომანსა და დრამას, იმდენად განსხვავებულად, რომ ამ ორ უკანასკნელს თუმცა კი აღვიქვამთ მხატვრულ ნაწარმოებად, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც ლექსს, და პირიქით. უკვე ამ წინასწარი ლოგიკური განსჯებიდანაც ჩანს, რომ ჩვენს განცდაში თხრობითი და დრამატული შემოქმედება უპირისპირდება ლირიკას, რომელიც ჩვენი წარმოდგენების სრულიად სხვა დონეს წარმოაჩენს, ვიდრე ორი პირველი.

არც ჟანრების პოეტიკისა და არც ცალკეულ მხატვრულ ქმნილებათა ინტერპრეტაციაში დღემდე არ გაუთვალისწინებიათ ის ფაქტი, რომ თხრობითი და დრამატული შემოქმედება ფიქციის ანუ არასინამდვილის განცდას წარმოშობს, რასაც ვერ ვიტყვით ლირიკულ შემოქმედებაზე. ხოლო ის, თუ რა განცდა აღიძვრის ჩვენში, თვით აღმძრავ ფენომენებზეა დამოკიდებული. ფენომენებად გვევლინებიან ლირიკა, ეპოსი, დრამა, ასევე ამ ჟანრების ყოველი ცალკეული სახეობა. იმისი მიზეზი, რომ ორი უკანასკნელი ჟანრი არასინამდვილის განცდას იწვევს, პირველი კი სინამდვილისას, სხვა არაფერია, თუ არა ის ლოგიკური და, აქედან გამომდინარე, ენობრივი სტრუქტურა, რომელიც მათ უდევს საფუძვლად. ამდენად, მხატვრული შემოქმედების ლოგიკა მისი ფენომენოლოგიაცაა ეს ცნება არც აქ და არც მთელი ჩვენი

კვლევის მსვლელობაში არ შეიცავს ჰეგელისა თუ ჰუსერლისეული ფენომენოლოგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი გულისხმობს მხოლოდ თვით ფენომენთა აღწერას, ოღონდ არა დესკრიპტიული, არამედ აღწერის სიმპტომატური მეთოდის გაგებით — ანუ ფენომენების მოძღვრებაზე დაყრდნობით. როცა გოეთე უარყოფდა და კრძალავდა ფენომენთა მიღმა ძიებას, იგი გულისხმობდა მათთვის ისეთი აზრის მინიჭებას, რომელიც თვით მათგან არ გამომდინარეობს — რაიმე მეტაფიზიკური მნიშვნელობისას, რაც ბუნების ფენომენებს ნატურფილოსოფიად აქცევს, ისტორიის ფენომენებს — ისტორიის ფილოსოფიად, ნაცვლად მეცნიერებისა, ან, როგორც გოეთე ამბობს, თეორიისა. მაგრამ ერთი მხრივ გოეთეც აღიარებდა და მიმართავდა ფენომენთა მიღმა ძიებას — რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი თავისთავად არსებობენ როგორც მოძღვრებანი. ისინი წარმოადგენენ მოძღვრებას, რადგან ფენომენები ამავე დროს სიმპტომებიცაა, და, რადგან არსებობის თუ მოვლენილობის განსაკუთრებული მოდუსი მათშივე არსებულ იმ ერთ თუ მრავალ მიზეზზე მიუთითებს, რომლებიც მათი არსებობისა და მოვლენილობის მოდუსს განაპირობებენ, გოეთემ ის ფაქტიც დაბეჯითებით აღნიშნა, რომ ეს მიზეზები ისე ფარული და შეუმჩნეველია, აღწერის დროს შეიძლება სულაც ვერ აღვიქვათ: „სავსებით მართებულად ამბობენ: ფენომენი არის შედეგი მიზეზის გარეშე, შემოქმედება გამომწვევის გარეშე. მიზეზისა და გამომწვევის პოვნა იმიტომაც გვიძნელდება ასე, რომ თავისი სიმარტივის გამო ისინი შეუმჩნეველნი რჩებიან“. (უმთავრესია იმის შეგნება, რომ ყოველივე ფაქტიური უკვე თეორიის სიღრმე ქრომატიკის ძირითად კანონს გვიმხელს. არაა საჭირო ფენომენთა მიღმა რაიმეს ძიება; ისინი თვით წარმოადგენენ მოძღვრებას). მეცნიერება



ბუნებაზე სხვა არაფერია, თუ არა სწორედ შემეცნების ეს პროცესი. იგი იკვლევს იმ სიმპტომთა მიზეზებს, რომლებიც მოვლენებს ახასიათებს და ვერ მოისვენებს, ვიდრე ამ მიზეზთა კანონს, კანონზომიერებას, სტრუქტურას არ აღმოაჩენს. ჩვენ აქ არ შევხებით იმ ვრცელსა და სადაო საკითხს, თუ რამდენად ზუსტი შეიძლება იყოს პუმანიტარული მეცნიერებანი. ჩვენ მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ფენომენს შევინარჩუნებთ და შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ იგი იმდენადვე მიეკუთვნება სიმპტომებით მდიდარ ფენომენებს, რამდენადაც თვით ენა; იმ ფენომენებს, რომელთა არსებობის მოდუსი თუ რაგვარობა შემთხვევითი არაა და მხოლოდ უბრალო აღწერას კი არ საჭიროებს, არამედ მისი ახსნა და განმარტება გამომდინარეობს ფარული ლოგიკური სტრუქტურიდან, რომელიც მას საფუძვლად უდევს ენის ხელოვნების სახით.

ამ ლოგიკურ სტრუქტურასა თუ კანონზომიერებას პოეტები შემოქმედებით პროცესში ვერ აცნობიერებენ, ისევე, როგორც ფიქრისა თუ მეტყველების პროცესში ვერ ვაცნობიერებთ იმ კანონებს, რომელთაც უნდა მივსდით, რათა ჩვენი ნათქვამი გასაგები იყოს. მხატვრული შემოქმედების ინტერპრეტატორს კი ეს ერთხელ გამოვლენილი კანონები ხელთ აძლევენ გასაღებს მრავალი იდუმალი კარისას, რომელთა მიღმა იმალება შემოქმედებითი პროცესის და, ამდენად, თვით პოეტური ფორმების საიდუმლოებანი. თუ ჩვენ შემდგომში შევეცდებით ვავაანალიზოთ სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება როგორც ნებისმიერი ხელოვნება, მაშინ ენა შემოქმედებასთან მიმართებაში „პოეტური“ ენის, „კაზმულსიტყვაობის“ ვიწრო, ესთეტიკური თვალსაზრისით კი არ უნდა გავიაზროთ, არამედ როგორც თვით პოეტური ფენომენის შემოქმედი, ე. ი. იგი უნდა ვიკვლიოთ იმ ლოგიკური ფუნქციების გათვალისწინებით, რომლებიც მარ-

თავენ მას პოეტური ფორმების წარმოქმნისას.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნება — სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება — ესთეტიკური თვალსაზრისით ძალზე ფართოდ უნდა გვესმოდეს, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გაგებით: ენა შემოქმედი მაშინაც, როცა მისი შედეგია მხოლოდ საგაზეთო რომანი, ოპერეტის ლიბრეტო ან მოწაფური ლექსი. რადგან ენის ქმნის პროცესის კანონები დამოუკიდებელია იმისაგან, წარმოადგენენ თუ არა მის მიერ წარმოქმნილი ფორმები მხატვრული შემოქმედების ცნების ესთეტიკურ განსახიერებას. ლოგიკური კანონები აქ აბსოლუტურია, ესთეტიკური კი — ფარდობითი; პირველნი შემეცნების საგანს წარმოადგენენ, მეორენი — შეფასებისას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ და შემდგომ გამოკვლევაშიც არაერთხელ დავრწმუნდებით, ეს არ გვიშლის ხელს, ესთეტიკური შეფასებისას ლოგიკურ სტრუქტურულ მიმართებათა ცოდნა გამოვიყენოთ. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების ადგილს ხელოვნების დარგთა სისტემაში განაპირობებს მისი ადგილი ენის და, აქედან გამომდინარე, აზროვნების სისტემაში.

## 1. ლოგიკური საფუძვლები

### ცნებათშეწყვილება — „მხატვრული შემოქმედება და სინამდვილე“

მხატვრული შემოქმედების ლოგიკის ძირითადი თემა საბოლოო ჯამში სხვა არაფერია, თუ არა ცნებათშეწყვილება — მხატვრული შემოქმედება და სინამდვილე, რომელიც ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ყოველთვის უდევს საფუძვლად თეორიულ მოსაზრებებს მხატვრული შემოქმედების თაობაზე. მაგრამ საჭიროა ამ ცნობილ, ცოტად თუ ბევრად პოპულარულ ცნებათშეწყვილებაში ურ-



თიერთდაკავშირებული, შესაბამისად ურთიერთდაპირისპირებული ორი ცნება უფრო მკაფიოდ განვსაზღვროთ სწორედ მათი დაპირისპირებულობის თვალსაზრისით, ვიდრე ეს ლიტერატურულ მოსაზრებათა პრაქტიკული გამოყენებისას გვხვდება.

რას გვეუბნება ეს ცნებათშეწყვილება? იგი ორმაგ აზრს შეიცავს: რომ მხატვრული შემოქმედება სხვა რამეა, ვიდრე სინამდვილე; მაგრამ ამავე დროს გარეგნულად საპირისპიროსაც: რომ სინამდვილე მხატვრული შემოქმედების მასალას წარმო-

\* სინამდვილის ცნება პრობლემატური გახდა განსაკუთრებით თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა და ლოგიკის თვალსაზრისით; და ამ პოზიციებიდან შეიძლება გვისაყვედურონ, რომ ჩვენს გამოკვლევაში ხსენებული ცნება (მოქველებული) „ნაივური რეალიზმის“ მნიშვნელობას ატარებს. ასეთი შემოღების საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილის ცნება მხატვრული შემოქმედების ცნებიდან მისი დაპირისპირებისა და მიმართების თვალსაზრისით (როგორც განიხილება იგი აქ), არ წარმოადგენს ფილოსოფიური შემეცნების საგანს და, ამდენად, არც ნაივურ რეალიზმს უკავშირდება. როგორც საკმაოდ მკაფიოდ ჩანს შემდეგი განმარტებებიდან, იგი გულისხმობს მხოლოდ ადამიანური ცხოვრების სინამდვილეს (ბუნების, ისტორიის, აზროვნების) იმისაგან განსხვავებით, რასაც მხატვრული შემოქმედების შინაარსს ვუწოდებთ; ცხოვრების ყოფის რაგვარობის იმ რაგვარობისაგან განსხვავებით, რომელსაც ქმნის და წარმოადგენს მხატვრული შემოქმედება. და, ჩემის აზრით, მთლად უმართებულო არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ ყოველგვარ მეცნიერულ-თეორიულ განსაზღვრამდე მეტად სწორედ ამ განსხვავების ზუსტი განსაზღვრით გამოიკვეთება მთელი სიცხადით სინამდვილის ფენომენი.“

ადგენს. ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია, რადგან მხატვრული შემოქმედება მხოლოდ იმიტომაც სხვა რიგის მოვლენა, ვიდრე სინამდვილე, რომ იგი მისი მასალაა. მაგრამ ამ ცნებათშეწყვილებაზე ზოგადი მსჯელობისთანავე უნდა აღინიშნოს პირველი სიძნელეები, უნდა აღინიშნოს და შეუსაბამობანი, რომლებიც ტრადიციული მიდგომისათვისაა დამახასიათებელი. თუ უარს ვიტყვით წმინდა ბიოგრაფიული ან სოციალური წყაროებისა და ფონის კვლევაზე, რაც ე. წ. რომანსა, რომელშიც ასახულია ფაქტიური ამბები და მხოლოდ გმირების სახელებია შეცვლილი (რ. ლ.) და „პიროვნების ლექსსაც მოიცავს, მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის შეწყვილებაში უდაოდ წარმოიქმნება მიმართება თხრობილ და დრამატულ შემოქმედებაზე, ოღონდ მხატვრული შემოქმედების ცნებას, გაცნობიერებულად, მხოლოდ ამ ორი სფეროთი არ შემოვფარგლავთ. და მაინც, მესამე სფერო იმისა, რასაც პოეტიკისა და საყოველთაო აღქმის ძალით მხატვრული შემოქმედება ეწოდება, — ლირიკა — არ შედის, ან უშუალოდ არ შედის მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ცნებათა შეწყვილებაში. ამ უკანასკნელს აზრი აქვს მხოლოდ პირველ ორ ჟანრთან დაკავშირებით, ლირიკა კი სათანადო საილუსტრაციო მასალას არ იძლევა. ეს გარემოება რომ საკუთრივ პრობლემად არ გამოკვეთილა, იმისი ბრალი თუა, რომ სინამდვილისა და მხატვრული შემოქმედების ცნებათა მნიშვნელობა ისეთი შეწყვილებით, როგორც ისინი განიხილებიან, ზუსტი ანალიზის საგნად არ ქცეულა. მხატვრული შემოქმედების მრავალწახნაგოვანი ცნება მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება, როცა განმარტებული იქნება სინამდვილის ცნება და მისი ჯერ კიდევ დაუზუსტებელი მიმართება მხატვრულ შემოქმედებასთან.



სწორედ ეს განმარტება გახლავთ ჩვენი შემდგომი კვლევის ამოცანა.

მაგრამ ხსენებული პრობლემის დასმის საწყის საფეხურზე თავდაპირველად უნდა მოვიშველიოთ ის მთავარი მოწმე, რომლის, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ აუსახავი და სწორედ ამიტომ მხედველობაში მისაღები მოსაზრება დღემდე დაფარულია: არისტოტელეს იმ ფაქტს, რომ თავის „პოეტიკაში“ იგი მხოლოდ ეპოსსა და დრამას განიხილავს, ლირიკას კი არა, საზოგადოდ, ნაწარმოების ფრაგმენტულობით ხსნიან, ან ფიქრობენ, არისტოტელე იმის გამო არ ახსენებს მე-ნ და მე-5 საუკუნეების დიდ ბერძნულ ლირიკას, რომ ეს „სასიმღერო“ პოეზია იყო, რომელსაც ინსტრუმენტული მუსიკის აკომპანიმენტი ახლდა და ამდენად მას მუსიკას მიაკუთვნებდნენ. მაგრამ, როგორც ახლავთ დავრწმუნდებით, არისტოტელეს ნახსენები აქვს სასიმღერო პოეზია, კერძოდ, დითირამბი, და წმინდა ინსტრუმენტული მუსიკაც კი, მაგრამ ის კონტექსტი, რომელშიც ეს ფაქტია მოქცეული, იმაზე მიგვითითებს, რომ არისტოტელე ამ უანრს ლირიკას კი არ მიაკუთვნებს, არამედ „პოესისს“, რომ სწორედ ის, რასაც ჩვენ ლირიკულ შემოქმედებად, და „პოეზიადაც“ კი მივიჩნევთ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არისტოტელესათვის „სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება“ კი არ იყო, არამედ „ენობრივ ქმნილებათა“ სხვა სფეროს განეკუთვნებოდა.

ეს მიმართებანი მხოლოდ მაშინ ხდება საცნაური, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ არისტოტელე „პოესისის“ ცნებას „მიმესისის“ ცნებით განსაზღვრავს და ამდენად, ისინი მისთვის იდენტურია. ამ ფაქტის გათვალისწინებას კი, ჩანს, ის უშლის ხელს, რომ ამ ცნებების ძირითადი მნიშვნელობა, კერძოდ „კეთება“, „დამზადება“ — ყურადღების მიღმა დარჩენილი, მეორე მხრივ კი „მიმესისი“, თარგმნილია როგორც „იმიტაცია, რითაც მას „მიბაძვის“ მნიშვნელობა დაერთო. როცა ე. ფაუერბახმა თავის ცნობილ წიგნს „მი-

მესისს“ ქვესათაურად „წარმოსახული სინამდვილე“ წაუძღვარა, ამით მან კანონგარეშე აღმოჩენილი ცნება კვლავ ძველ უფლებებში აღადგინა და საკუთრივ არისტოტელესეული აზრით გამსჭვალა. არისტოტელეს განსაზღვრათა უფრო ზუსტი განხილვა მართლაც უნდა გვჩვენოს, რომ მიმესისის მისეული ცნებისათვის გაცილებით ნაკლებად გადამწყვეტია მასში შეჭველად თანაარსებული „მიბაძვის“ ნიუანსი, ვიდრე ძირითადი — „წარმოსახვის“, „კეთების“ მნიშვნელობა. ამით ნათელი ხდება არა მარტო „პოესისის“ და „მიმესისის“ უკვე ნახსენები და დასაბუთებული იდენტურობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმ მნიშვნელობის ზუსტი შინაარსიც, რომელსაც არისტოტელე მიმესისის ცნებას ანიჭებს. „მიმესისის“ ტერმინით აღინიშნება ის ნაწარმოებები, რომელთა საგანს შეადგენენ — მოქმედი პირები და ამდენად, მოქმედებანი. „მიმესისი“ არის ეპოპეა, ტრაგედია, კომედია, ასევე დითირამბი და ფლეიტასა და ციტრაზე შესასრულებელ ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი, ამასთანავე ცეკვაც, რადგან იგი „ხასიათებს, ვნებებსა და მოქმედებებს წარმოსახავს“, რიტმისა და მიმიკის მეშვეობით. ხელოვნების ეს სახეობანი რომ „პოესისს“ წარმოადგენენ\*, თუმცა ინსტრუმენტული მუსიკისა და ცეკვის ჩართვის გამო ისინი სცილდებიან „სიტყვიერი ხელოვნების ქმნილების“ ვიწრო ცნების ფარგლებს, ამას შემდეგი მიზეზობრივი წინადადებაც ადასტურებს: „რადგან მსახიობები მოქმედ პირებს წარმოგვიდგენენ, ისინი კი საჭიროებისამებრ კეთილშობილნი ან მღაბალნი უნდა იყვნენ... ამდენად ისინი უნდა იყვნენ ჩვენზე უკეთესები, ჩვენზე უარესები ან ჩვენი მსგავსნი“. მთავარ წინადადებაში გამოხატული შედეგი ადასტურებს პოესისი და მიმესისის ცნებათა მნიშვნელობების იდენტურობიდან უკვე გამოტანილ დასკვნას, რომ მიმესისის ცნების მახვილი მასში შემავალ იმიტაციის, „მიბაძვის“ მნიშვნელობის ნიუანსზე კი არ მოდის, არამედ იგი მხოლოდ იმდენად უკავშირდება მიმესისის ცნებას, რამდენადაც მხატვრული შემოქ-



მედების მასალას ადამიანური სინამდვილე იძლევა, იგი ადამიანებს წარმოსახავს და „აკეთებს“, უმთავრესად კი ეს დრამატულსა და ეპიკურ შემოქმედებაზე ითქმის, რომელთა ანალიზიც შეადგენს სწორედ არისტოტელეს პოეტიკის შინაარსს.

პოესისის და მიმესისის ცნებების იდენტურობას კიდევ უფრო ნათელ შუქს ჰფენს ორი თავისთავად თითქოსდა უმნიშვნელო ადგილი, რომელიც შეძლებისდაგვარად გასაგებს ხდის იმ მიზეზს, თუ რატომ არ არის ასეთ ნაწარმოებში განხილული ის, რასაც ჩვენ ლირიკას ვეძახით. არისტოტელეს აოცებს, რომ ადამიანები „თხზვა“ — ცნებას მხოლოდ ლექსის მეტრს უკავშირებენ, მაგალითად, ელეგიის ფორმას, თუნდაც ამ მეტრში მოქცეული „ენობრივი ნაწარმოები“ სულაც არ წარმოადგენდეს მიმესისს, როგორც, მაგალითად, ემპედოკლეს „ბუნების ლექსი“: „როცა ადამიანები შემოქმედებას მეტრს უკავშირებენ, ამით ისინი ელეგიების ავტორებს ეპიკურ პოეტებს უწოდებენ, ე. ი. პოეტის სახელს არქმევენ არა მიმესისის, არამედ მეტრის მიხედვით... ჰომეროსსა და ემპედოკლეს კი არაფერი აქვთ საერთო გარდა მეტრისა (კერძოდ, ჰევზამეტრისა), რის გამოც ერთს პოეტი უნდა ვუწოდოთ, მეორეს კი უმაღლეს ბუნების მკვლევარი“. ბერძნულ სიტყვაში „ბუნების სიტყვა“ შედის ლოგოსის-ის ცნება, და თუ მოვიშველიებთ

ერთ პატარა ადგილს პოეტიკიდან, წინ წამოიწევს განსხვავება პოესისსა და ლოგოსის თქმას, მიმესისსა და ლოგოსის შორის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, „Dichtung“ — ცნება არისტოტელესათვის მხოლოდ მოქმედ პირთა წარმოდგენას, მხატვრულ-ლისხმობს და არა ყოველგვარ „პოეტურ“ მეტრულ, „გამონათქვამს“. შემთხვევითი არაა, რომ ეს პრობლემა მწვავედ დგება მასთან „თხრობით“ შემოქმედებასთან დაკავშირებით. იგი უკმაყოფილოა, როცა ეპიკოსი „პირველი პირით“ ლაპარაკობს, ნაცვლად იმისა, რომ მიმეტურად წარმოადგინოს მოქმედი პირები. „პოეტმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ილაპარაკოს პირველ პირში, რადგან, თუკი ასე იქცევა, ის არ არის „მიმესისი“ და იგი ხოტბას ასხამს ჰომეროსს — ერთადერთ ეპიკოსს, რომელიც იცავს „პოესისის“ კანონს, კერძოდ, მოკლე შესავლის შემდეგ მაშინვე მოლაპარაკე კაცი ან ქალი გამოჰყავს.

არამიმეტური „პოეზიის“ (როგორც ეს არისტოტელეს გათვალისწინებით ბრჭყალებში უნდა ითქვას) გამორიცხვა „პოესისი“-დან შეიძლება იმ თვალსაზრისის საწინდრად იქცეს, რომ მხატვრული შემოქმედების ის ფორმა, რომელიც არ „ქმნის“ მოქმედებას და შესაბამისად მოქმედ ადამიანებს (მხოლოდ უნდა დავაზუსტოთ, რომ არ „ქმნის“ ფიქტიურ, „მიმესისის“ მოდუსით, და არა სინამდვილეში არსებულ ადამიანებს), იმ ფენომენის სხვა სფეროში გადაინაცვლებს, რასაც ჩვენ დღეს პოეზიის მთლიან სისტემას ვუწოდებთ. ჩვენს გამოკვლევაში გამოჩნდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ განსხვავებას, რომელსაც ჩვენ ფიქციური ანუ მიმეტური და ლირიული ანუ ექსისტენციალური მხატვრული შემოქმედების ცნებებით აღვნიშნავთ, მხატვრული შემოქმედების სისტემის ლოგიკური სტრუქტურისათვის, და აქედან გამომდინარე, მხატვრული შემოქმედების ფანრების ფენომენოლოგიისათვის.

თუნდ ცნებათშეწყვილება „მხატვრული შემოქმედება და სინამდვილე“ მიმესისის ცნებაშიც შედიოდეს, არისტოტელესათვის იგი მაინც არ ქცეულა

\* თვალში საცემია, მაგრამ ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ არისტოტელე დითირამბსაც მიმესისს მიაკუთვნებს. ეს იყო ქოროს სიმღერა ფლეიტის თანხლებით, რომელიც წარმოადგენდა „მოქმედებას“ კერძოდ, დიონისოსა და სხვა მითიურ ფიგურათა ბედ-იღბალს; მისგან განვითარდა ტრაგედია და სატირული წარმოდგენა აქედან ნათელი ხდება, რატომაა ამავე კონტექსტში მოხსენებული „ფლეიტასა და ციტრაზე შესასრულებელ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი“, როგორც ჩანს, ისეთი ინსტრუმენტული მუსიკა, რომელიც ახლდა დითირამბებსა და სხვა „გამომსახველ“ შემოქმედებას.



თემატურად. მაგრამ ახალმა პოეტიკამ, რომელმაც ეს ცნებათშეწყვილება შექმნა, არაექსპლიციტურად და უნებურად გაიხიარა მხატვრული შემოქმედების არისტოტელესეული განსაზღვრა, ე. ი. მხატვრული შემოქმედების ცნება მისი მიმეტური სახეობებით შემოფარგლა. მხოლოდ ალაგ-ალაგაა მინიშნებული, რომ ლირიკასთან დაკავშირებით მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებაზე იმავე მნიშვნელობით ვერ ვილაპარაკებთ, როგორც თხრობითი ან დრამატული შემოქმედების შემთხვევაში. და თუ ეს ფაქტი მთელი ფენომენოლოგიური სიმკვეთრით არაა გააზრებული, გაუგებარი ხდება, თუ რატომ არის, რომ ეპიკური და დრამატული შემოქმედებისათვის ეს ურთიერთმიმართება არა თუ შესაძლებელი და ახლობელია, არამედ მის არსსაც შეადგენს. მხატვრული შემოქმედების სისტემის ტრადიციული დაყოფა სამ ერთსა და იმავე დონეზე განლაგებულ ჟანრად აძნელებს იმ გარემოების შეგნებას (და მის თეორიულად გამოხატვას), რომ რომანი ან დრამა და ლირიული ლექსი მხოლოდ ხელოვნურად თუ შეიძლება გავაერთიანოთ მხატვრული შემოქმედების ფართო ცნებაში.

ამ ხელოვნურობას არისტოტელე ხსნის იმით, რაც იმ დროს ეპოსისა და ელეგიისათვის იყო საერთო: მეტრით, ლექსის დისტრიკური ფორმით. ახალი პოეტიკა და ლიტერატურის თეორია სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების ყველა სახეობის პოეტური ხელოვნების ცნებაში გამაერთიანებელ ნიშნად მის მასალას — ენას მიიჩნევს. თუმცე ეს თვალსაზრისი უფრო პრინციპული და ზოგადია, პრობლემის გააზრებით იგი ჩამორჩება არისტოტელეს და ამიტომაც ზუსტად ვერ მოიცავს ვერც სინამდვილისა და ვერც მხატვრული შემოქმედების პრობლემატიკას. მაგრამ, როგორც ჩვენ შესავალშივე დავსვით პრობლემის სახით, მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ცნებათა შეწყვილებაში ფაქტიურად სწორედ ენობრივ მასალას შეაქვს სინათლე და შესაძლებელს

ხდის თვით მხატვრული შემოქმედების ცნებისა და მისი სისტემის შემეცნებას.

ჩატარებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცდა მხატვრული შემოქმედების გააზრებისა ენიდან, ამასთან, არა მარტო პოეტური, არამედ ესპერტენტულიდან გამომდინარე. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც ენერგიულად მოკიდა ხელი ამ პრობლემას, ჰეგელი იყო. მისი ესთეტიკის შესავალშივე მოყვანილია წინადადება, რომელიც მკაფიოდ მეტყველებს: „პოეზია (ჰეგელის დროისათვის პოეზია ნიშნავს სიტყვიერ მხატვრულ შემოქმედებას საერთოდ და არ შემოიფარგლება მხოლოდ ლირიკით) წარმოიშობა როგორც ხელოვნების ის განსაკუთრებული სახეობა, რომლის საზღვარზე ხელოვნება გაუჩინარებას იწყებს და ფილოსოფიური შემეცნებისათვის მეცნიერული აზროვნების პროზაზე გარდამავალ პუნქტს წარმოადგენს. ჰეგელის ამ წინადადებას მხატვრული შემოქმედების თეორიის იმ სფეროში შევყავართ, რომელიც უნდა განვასხვავოთ ესთეტიკური სფეროსაგან, როგორც სპეციფიური ლოგიკური მოვლენა, ჰეგელმა ნათლად განჭვრიტა სფეროს სპეციფიკა, როცა მხატვრული შემოქმედების საკუთრივ მასალად დაასახელა ენა არა მისი მიმართებითი ფუნქციით, არამედ „გონისმიერი წარმოდგენები და შეხედულებანი“; „ამ მასალას, რომლის მეშვეობითაც იგი (ე. ი. სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება — რ. ლ.) თავისთავს ავლენს, გააჩნია მხოლოდ ესთეტიკურად დამუშავებული ისეთი საშუალების ღირებულება, რომელიც ესაჭიროება გონს, რათა სხვა გონს თავისი სათქმელი აუწყოს“. ჰეგელი აქ მკაფიოდ მიჯნავს მხატვრული შემოქმედების ლოგიკურ მხარეს ესთეტიკურისაგან, თუმცე მას თვით ენის პრობლემა არა აქვს გააზრებული და კავშირი მის ლოგიკურ-გრამატიკულ და შემოქმედებით ფუნქციებს შორის ბოლომდე არა აქვს შემეცნებული. მაგრამ აქ, უპირველეს ყოვე-



ლისა, მნიშვნელოვანია ჰეგელის აღიარება, რომ პოეზიას იმის გამო ემუქრება საფრთხე, გაუჩინარდეს როგორც ხელოვნება და ამდენად, როგორც ხელოვნების სისტემა, რადგან იგი წარმოდგენათა და აზროვნების საერთო სისტემას მიეკუთვნება, „წარმოდგენა კი ხელოვნების ფარგლებს გარეთაც ცნობიერების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა“. ამ მტკიცებით წამოწეულია სინამდვილის ცნება — ერთადერთი, რომელიც შეიცავს კრიტერიუმს სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების ფორმისა და ფორმებისათვის: ის სინამდვილე, რომელიც ნააზრევის მოდუსით არსებობს, ე. ი. როგორც წარმოდგენისა და ყოველგვარი აღწერის საგანი. „აზროვნება“, — ამბობს ჰეგელი, „რეალობის ფორმას წმინდა ცნების ფორმად გარდაქმნის, და თუმც იგი მოიცავს და შეიმეცნებს რეალურ საგნებს მათთვის მნიშვნელოვანი თავისებურებებით და მათ რეალურ მყოფობაში, იგი ამ თავისებურებასაც იდეალურ ელემენტამდე განაზოგადებს, რის გარეშეც აზროვნების აქტი არ განხორციელდება“.

„წმინდა ცნების ფორმად გარდაქმნილი რეალობა“ წარმოადგენს რეალობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც პოეტურ, ასევე არაპოეტურ ენაში, — „მეცნიერული აზროვნების პროზაში“ მეცნიერული აზროვნება ჰეგელთან (და ფიხტესთან) ნიშნავს თეორიულ აზროვნებას, და ესეც იმ ცნების ფართო გაგებით, რასაც ქვემოთ სინამდვილის გამონათქვამად აღვნიშნავთ). ძნელი არაა იმის დადგენა, თუ რით განსხვავდება დახატული პეიზაჟი ნამდვილისაგან. მაგრამ ასევე, ადვილი მოსახელთებელი როდია ის ზღვარი, რომელიც პეიზაჟის პოეტურ და არაპოეტურ აღწერას შორის გადის. მხატვრული შემოქმედების წარმოდგენათა სამყარო „პროზაული“, არაპოეტური წარმოდგენების სამყაროსაგან განსხვავდება არა მასალის ან გეომეტრიული ფორმის კატეგორიით (როგორც ნახატი განსხვავდება თავისი მასალისა ან მოდელი-საგან). და ჰეგელიც არც თუ ადვილ ამო-

ცანად სახავს „პოეტური წარმოდგენის გამოყოფას პროზაულისაგან“. თვით იგი ამას ფრიად ადვილად ახერხებდა, როცა განსხვავების კრიტერიუმად „ხელოვნებისეულ ფანტაზიას“ სახავდა. „ჩვენ ზოგადად ასე შეგვიძლია განვსხვავოთ“ — ეს განსხვავება, რომ იგი არის „არაპოეტურა“ როგორც ასეთი, არამედ ხელოვნებისეული ფანტაზიაა, რომელიც შინაარსს პოეტურად აქცევს“, მაგრამ ეს ფანტაზია არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს იმ ინსტანციას რომელსაც ძალუძს წინ აღუდგეს ხელოვნების გაუჩინარებას და მის გადასვლას „მეცნიერული“, ე. ი. თეორიული აზროვნების პროზაში. აშკარაა, ისიც, რომ ეს განუსაზღვრელი ფსიქოლოგიური ცნება გამოუსადეგარია იმ ზუსტ ლოგიკურ მიმართებათა დასადგენად, რომლებზეც ჰეგელი აქ მოყვანილ, ძალზე მნიშვნელოვან წინადადებაში ლაპარაკობს, მაგრამ მათ დამაკმაყოფილებელ ანალიზსა და განმარტებას არ იძლევა. თავის ესთეტიკაში მას აღარ გაუღრმავებია სინამდვილის ეს ცნება, რომელიც მხატვრული შემოქმედებისათვის ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს, და ამდენად, ბოლომდე არ გაუაზრებია მხატვრული შემოქმედების, როგორც წარმოდგენებისა და ენის მთლიანი სისტემის ნაწილის ამჟამად უკვე სწორად მონიშნული „არსებობის რავვარობა“.

მაგრამ ეს მიდგომა თავისთავად საკმაოდ მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხატვრული შემოქმედების თანამედროვე თეორიები ამ მიმართულებით წინ წავიდნენ და მხატვრულ შემოქმედებას ენის მთლიანი სისტემის ნაწილად მიიჩნევენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჰეგელის შემკვიდრეზე — ჩვენს თანამედროვეზე — ბენედეტო კროჩეზე ითქმის, ამ განსაკუთრებულ პუნქტში ჰეგელი არ წარმოადგენს მისთვის ამოსავალ წერტილს და თავის ნაშრომში „ესთეტიკა როგორც გამოსახვის მეცნიერება და ზოგადი ენათმეცნიერება“ (გერმანულ ენაზე, 1930 წ.) მან დიქტატის შედეგად გარკვეულწილად მოხსნა ჰეგელის მიერ დანახუ-



ლი პრობლემატიკა მხატვრული შემოქმედების „მეცნიერული აზროვნების პროზაში“ გადაზრდის ყოველგვარ საფრთხეს კროჩე უპირისპირებს შემეცნებისა და მისი ენობრივი მანიფესტაციის სფეროს დაყოფას „ინტუიტიურ“ და „თეორიულ“ ლოგიკურ შემეცნებად. ინტუიტიური შემეცნება — ეს არის ინდივიდუალურად არსებული, ცალკეული საგნების შემეცნება, ლოგიკური შემეცნება კი — ეს არის ზოგადის შემეცნება, ამასთან, პირველი ხატებში ისხამს ხორცს, მეორე კი — ცნებებში. ინტუიტიური შემეცნება და მისი შესაბამისი ხატების ენა, გამოხატვა (ექსპრესია) — ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ყოველი წინადადება, რომელშიც ჩვენ რაიმე ინდივიდუალურ საგანს ან მოვლენას აღწერთ, უკვე ინტუიციასა და ამდენად, ექსპრესიას. ინტუიციასთან გვაქვს საქმე, როცა ვამბობთ, „ეს ჭიქა წყალი“, მაშინ, როცა გამონათქვამი „წყალი“ ზოგადი ცნებაა. ამრიგად, კროჩე გამორიცხავს გამონათქვამის მნიშვნელობის ცნებით ხასიათს, როგორც კი იგი ინდივიდუალურ ფენომენს შეეხება და არა ცნებას (რომელიც ინდივიდუალურ ფენომენებს მოიცავს). ამ პოზიციიდან (რომლის პრობლემატიკას თავისთავად აქ არ განვიხილავთ) გასაგებია, რომ კროჩე მხატვრული შემოქმედების ყოველ გამონათქვამს ინტუიციას ან ექსპრესიას უწოდებს, რადგან მხატვრული შემოქმედება აღწერს არა ზოგად ცნებებს (ე. ი. ის არის არა თეორიული შემეცნება), არამედ ყოველთვის მხოლოდ ინდივიდუალურ ფენომენებს. „არც ფილოსოფიური მაქსიმები, რომლებსაც ავტორი ტრაგედიისა თუ კომედიის მოქმედ პირებს წარმოათქმევინებს, არ ასრულებენ აქ ცნების როლს, არამედ ამ მოქმედ პირთა დახასიათებას ემსახურებიან: ისევე, როგორც სიწითლე დახატულ ფიგურაზე წითელი ფერის ცნებად კი აღარ გვევლინება თავისი ფიზიკური გაგებით, არამედ ამ ფიგურის დამახასიათებელ ელემენტად... ხელოვნების ნაწარმოებში შეიძლება უხვად იყოს ფილოსოფიური ცნებები... მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელოვნების ნაწარმოების შე-

დგენი არის ინტუიციის“, ე. ი. არა თეორიული შემეცნება.

რაც არ უნდა შექველდეს იყოს ეს მტკიცება თუნდაც აქ შეჩინებული დრამატული შემოქმედების მაგალითისათვის, რომელიც ტიპიურია კროჩესთვის. მაგრამ, ცოტა არ იყოს, საეჭვოა უწყობა ანიჭების მას, ექსპრესიის ესთეტიკის გამოყენების შესაძლებლობას მაინც ამცირებს ის გარემოება, რომ შემეცნების ინტუიციურ-ექსპრესიული ფორმის გამოყენების სფერო ძალზე ფართოა. რადგან თუ ინტუიციად მივიჩნევთ ყველა გამონათქვამს, რომელიც ცალკეულ ფენომენებს გულისხმობს და, ამდენად, თვით „ისტორიასაც“ — ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობით, — და მათ ესთეტიკის ზოგად ცნებას მივაკუთვნებთ, მაშინ აღარ იარსებებს ხელოვნების, ამ შემთხვევაში სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების სპეციფიური მეცნიერება, და ყოველგვარი შესაძლებლობა გამოირიცხება, განვასხვავოთ პოეტური „გამოხატვა“ არაპოეტურისაგან. თუკი გამონათქვამი „ეს ჭიქა წყალი“, რომელსაც სინამდვილესთან მიმართებით გამოვთქვამ, ისეთივე „ინტუიციას“, როგორც იგივე გამონათქვამი მხატვრულ შემოქმედებასთან მიმართებაში, მაშინ მხატვრული შემოქმედების სტრუქტურის შემეცნება შეუძლებელია. და ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა პირიქით — გამოირიცხოს თეორიული მნიშვნელობა ცნებიდან, რომელიც კონტექსტის ძალით ინტუიტიურად იქცა? რიკერტი ეხება ამ პრობლემას გოეთეს „ფაუსტისადმი“ მიძღვნილი თავისი წიგნის შესავალში (კროჩესე მითითების გარეშე), როცა იგი სვამს კითხვას, შესაძლებელია თუ არა „ხელოვნების ნაწარმოებებში, რომლებიც სიტყვებისა და წინადადებებისაგან შედგება, მთლიანად გავმიჯნოთ ხელოვნებისეული მნიშვნელობა იმ მნიშვნელობისაგან, რომელსაც ეს სიტყვები და წინადადებანი, გარდა ამისა, თეორიული მნიშვნელობის სახით გამოხატავენ?“.

მართლაც, ჰეგელის მიერ უკვე თვალში ამოღებული პრობლემა სიტყვიერი შემოქმედების ადვილისა ენის მთლიან სის-



ტემაში, და, აქედან გამომდინარე, თვით სინამდვილის პრობლემაც, რომელიც არელევანტურია მხატვრული შემოქმედებისათვის, — გადაჭრილად ვერ ჩაითვლება, თუ კროჩესავით ასე დიქტატორულად და დაუნებით ენას, უფრო ზუსტად — ენის მნიშვნელობის შინაარსს — იმ კონტექსტით განსაზღვრავთ, რომელშიც გამონათქვამები და სიტყვები დგანან. ცხადია, როგორც ამას დავინახავთ, მხატვრული შემოქმედების ფორმათა და სახეობათა განსაზღვრისას კონტექსტს დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს მნიშვნელობა არ შეიძლება უბრალოდ „მივანიჭოთ“, ისეთი თვითმიზნური ეტიკეტით აღვებჭდოთ, როგორცაა ექსპრესიის ცნება, არამედ იგი ენის ფუნქციებზე მხოლოდ ზუსტი დაკვირვებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ასეთი მეთოდი გვხვდება რომან ინგარდენის ცნობილ წიგნში „ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოები“, რომელშიც ავტორი ცდილობს პუსერლის ლოგიკის, ე. ი. შემეცნების ონთოლოგიურ-ფენომენოლოგიური თეორიის საფუძველზე გამიჯნოს მხატვრული შემოქმედების არსებობის მოდუსი სინამდვილის ამსახველი „პროზისაგან“. ჰეგელისეული პრობლემა (რომელიც არც აქაა მითითებული) აქ უფრო გამოკვეთილია, ვიდრე კროჩესთან, რადგან აქაც ლოგიკის სისტემის საფუძველს შეადგენს (ავტონომიურად არსებულ) სინამდვილეზე. მაგრამ საბოლოოდ ვერც ინგარდენი სცილდება აზროვნებისა და ენის ფენომენების ხსენებულ ეტიკეტირებას; და თუ კროჩეს ეტიკეტები ფართო ცნებებს შეიცავს, ინგარდენთან განმასხვავებელი ცნება ძალზე ვიწრო მნიშვნელობისაა — და კერძოდ იმ შემთხვევაში, როცა ცნება „ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოები“ მხოლოდ ეპიკური და დრამატული შემოქმედების მიმართ არის გამოყენებული (როგორც ეს წიგნში უსიტყვოდ იგულისხმება, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ინგლისურ ტერმინოლოგიასთანაა შეთანხმებული), აქ ლაპარაკია სწორედ მხატვრუ-

ლი შემოქმედების ამ სახეობათა „არა-სინამდვილის“ ფენომენისა და განცდის დადასტურებაზე. მაგრამ ამის დასადასტურებლად ინგარდენი იყენებს შემეცნების ისეთ ინსტრუმენტს, რომელიც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სუსტი გამოდგა, „კვაზი-მსჯელობის“ ცნებას. ეს ცნება მომდინარეობს ფენომენოლოგიური მოძღვრებიდან „ინტენციონალურ საგანთა“ შესახებ. მაგრამ ეს თეორია განასხვავებს უბრალოდ „ინტენციონალურ“ და „წმინდა ინტენციონალურ“ საგნებს. „წმინდა ინტენციონალური ნიშნავს წარმოდგენას (რეალურ ან იდეალურ) საგანზე, როგორც ასეთზე, უფრო ზუსტად, წარმოდგენას საგნობრივ ვითარებაზე, რომელიც ჯერ „მსჯელობის“ ობიექტად არ ქცეულა. თუკი ის მსჯელობის საგნად იქცევა, ეს ნიშნავს, რომ, იგი არსებობის რეალურ სფეროში გადაინაცვლებს“, ე. ი. მიმართული იქნება რეალურად არსებულ საგანზე ან საგნობრივ ვითარებაზე. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება „ნამდვილ მსჯელობასთან“, რომლის შინაარსის შეჯერება შესაძლებელია. ამის შემდეგ, მსჯელობით განსაზღვრული საგნობრივი ვითარება უკვე აღარ არის „წმინდა ინტენციონალური, არამედ ფაქტურად არსებობს, როგორც მსჯელობისაგან დამოუკიდებელ ყოფიერების სფეროში ჩანერგილი საგნობრივი ვითარება“, როგორც მეტყველების ფენომენოლოგიური განსაზღვრის იმისა, რასაც ჩვენ შემდგომში სინამდვილის აღმნიშვნელ გამონათქვამს ვუწოდებთ. წინადადებები, რომელთაგანაც მხატვრული ნაწარმოები (რომანი თუ დრამა) შედგება, არ წარმოადგენენ ნამდვილ მსჯელობებს, არამედ „კვაზი-მსჯელობებს“, რომელთა დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი არ შეიცავენ ყოფიერების რეალურ სფეროში გადასვლის მომენტს. პოეტური საგანი არსებობს მხოლოდ წმინდა ინტენციონალურად. მაგრამ არც ინგარდენისათვის შეადგენს ყოველივე ეს მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების ამომწურავ აღწერას. სინამდვილედ რომ მაინც მხატვრული შემოქმედების



მასალას წარმოადგენს, ისეა გამოთქმული, „რომ წინადადების კორელატივი თავისი შინაარსის მიხედვით რეალურ სამყაროში გადაიტანებიან“. მაგრამ წმინდა ინტენციონალობა ძალაში რჩება იმ განსაზღვრის თანახმად, რომ „გადატანა ხდება არა სრული სერიოზულობის მოდუსით, არამედ მხოლოდ ამ სერიოზულობის მიმსგავსების გზით: წმინდა ინტენციონალური საგნები, შესაბამისად საგანთა ვითარება, რეალურად არსებულად ითვლებიან, ოღონდ ისე, რომ ისინი არ არიან გაუღენთილნი რეალობის ხასიათით“. ინგარდენი გულისხმობს, რომ სწორედ ამგვარად განსაზღვრული „კვაზილოგიკური მტკიცებითი წინადადებები იწვევენ... რეალობის ილუზიას“, რომ მათ ახლავთ დამაჯერებელი ძალა, რაც კითხვისას საშუალებას გვაძლევს, გადავიდეთ გამოგონილ სამყაროში და ვიცხოვროთ, ამ თავისებურ არანამდვილ, და მაინც თითქოსდა ნამდვილ სამყაროში“. მიმეტური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი ფიქციურობის დაყენა იმ წინადადებებზე, რომლებიც განაწილებს შედეგება, დამაკმაყოფილებლად ვერ ხსნის ამ ფენომენს. საბოლოო ჯამში, ეს წრებრუნვაა და სხვა არაფერი. რომანის წინადადებები თუ გამონათქვამები მხოლოდ იმის გამო იქცევიან კვაზი-გამონათქვამებად, რომ ისინი რომანში არიან. „ობლონსკების სახლში ყველაფერი აირ-დაირია“, — ეს წინადადება, რომლითაც ტოლსტოის „ანა კარენინა“ იწყება, თავისთავად არ იწვევს რეალობის ილუზიას; რადგან თავისი ფორმით, თუ მას რომანის კონტექსტს მოვწყვეტთ, იგი შეიძლება წარმოადგენდეს ცნობას რეალობის შესახებ, კერძოდ, თუ ასეთი წინადადება წერილში შეგვხვდება. რომანის სამყაროს არარეალურობა, როგორც დავინახავთ, ენის სულ სხვა ფუნქციების მეშვეობით მიიღწევა, სახელდობრ, ნამდვილი ფუნქციების მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ სწორედ ფენომენტა მიზეზს. რომანისა თუ დრამის წინადადებების კვაზი-მსჯელობებად მონათვლა მხოლოდ ტრადიციული ფაქტის აღნიშვნაა — რომ, როცა რომანს

ან დრამას ვკითხულობთ, ვიცით, რომ ვკითხულობთ რომანს ან დრამას, ე. ი. არა ვართ დაკავშირებული სინამდვილესთან. ინგარდენს — და არა მარტო მას — მხედველობის არის მიღმა რჩება გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მსჯელობის ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით განსაზღვრავს და რომელსაც არისტოტელე მოქმედ ადამიანთა მიმდევრის უწოდებს. ეს გაუგებრობა აშკარად იჩენს თავს ინგარდენის მიერ ისტორიული რომანის განსაზღვრის ცდაში. ამ კატეგორიისათვის კვაზი-მსჯელობის ცნება მთლად შესაფერისი აღარაა. აქ, როგორც იგი ფიქრობს, „კვაზი-მსჯელობის წინადადებები ერთი ნაბიჯით უახლოვდებიან ნამდვილი მსჯელობის წინადადებებს“, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ რეალობასთან, რომელიც რეალური გამოდგა, მაგრამ იგი თავისი რეალობით არაა წარმოდგენილი, „ინტენციონალურად ასახული ვითარება სავსებით ემთხვევა ნამდვილს“. ისტორიული რომანის რომანული ხასიათი, და ამდენად, რომანისა საერთოდ, სრულიად გამრუდებულია, როცა ისტორიულად ცნობილი სინამდვილე, რომელიც ამ რომანების მასალას შეადგენს, მხატვრული შემოქმედების თეორიის თვალსაზრისით სხვა გვარის მასალადაა მიჩნეული, ვიდრე ყველა სხვა რომანებში წარმოდგენილი სინამდვილე (რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით). და ეს გამრუდება უფრო მკაფიოდ ჩანს, როცა ვგულისხმობთ, რომ ისტორიული რომანი მხოლოდ კვაზი-მსჯელობით განსხვავდება სამეცნიერო-ისტორიული ნაწარმოებისაგან, რომ მათ შორის ხდება კვაზი-მსჯელობიდან ნამდვილ მსჯელობაზე გადასვლა, და ამდენად, ისტორიული რომანი შეიძლება გადაიქცეს სამეცნიერო-ისტორიულ თხზულებად. „ასე აღდგება ჩვენს თვალწინ (რომანში) ოდესღაც გაუჩინარებული და გაქარწყლებული წარსული ამჯერად ინტენციონალური, მისი განმასახიერებელი საგანთა ვითარების მეორებით, მაგრამ აქ ლაპარაკია არა თვით მასზე (წარსულზე, რადგან ჯერ კიდევ არ



არის გადადგმული ის უკანასკნელი ნაბიჯი, რომელიც კვაზი-ლოგიკურ მტკიცებით წინადადებებს ნამდვილ მსჯელობით წინადადებათაგან ჰყოფს... — ნაბიჯი სრული სერიოზულობის მოდუსით განხორციელებული გადატანისა. ეს ნაბიჯი გადაიდგმება მხოლოდ მეცნიერულ დაკვირვებასა ან უბრალო მოგონებებზე გადასვლით, მაგრამ ამ გზითაც ნამდვილ მსჯელობით წინადადებებს მივიღებდით“. ცხადია, ასეთი აღწერით ძნელია ისტორიული რომანის წარმოდგენა. მაგრამ აქედან განსაკუთრებით ნათელი ხდება, რომ კვაზი-მსჯელობის ცნება ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღწერს რომანის ენობრივ-ლიტერატურულ სტრუქტურასა და მისი გამოვლინების სპეციფიურ ფორმას, არამედ მხოლოდ ავტორის ან მკითხველის გაურკვეველ ფსიქოლოგიურ პოზიციას: სრული სერიოზულობის, შესაბამისად, არასერიოზულობის მოდუსს, და ეს არის ის თვალსაზრისი, რომელიც სხვადასხვაგვარია ისტორიული რომანის (აგრეთვე დრამისა) და ისტორიული ქრონიკის მიმართ. მხოლოდ ენობრივ ფუნქციათა გამოკვლევის შედეგად დაეინახავთ, რომ ისტორიული რომანი და ისტორიული სინამდვილის ქრონიკა ვერასოდეს ვერ გადავლენ ერთურთში, და ამას შეუძლებელს ხდის სწორედ ინგარდენის ყურადღების მიღმა დარჩენილი „განმასახიერებელი“, კერძოდ, მიმეტური ვითარებანი. ხოლო როცა ინგარდენი თავის თეორიას კვაზი-მსჯელობათა („როგორც, „ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების „ფუნქციონირების ფენომენის) შესახებ ისტორიული რომანის ხასიათის გათვალისწინებით გარდაქმნის, ეს უკვე გვიჩვენებს, რომ თეორია მცდარია და მოჩვენებით პრობლემატიკას ემყარება.

როგორც კროჩეს, ასევე ინგარდენის თეორიებში მხატვრული შემოქმედების ენობრივი მასალისა და, ამდენად, თვით მხატვრული შემოქმედების შესახებ, მხოლოდ მოჩვენებითადაა აღწერილი ენის, როგორც შემოქმედებითი პროცესის შემადგენელი კომპონენტის თვისებები, და

ამიტომ, ორივე თეორია ტავტოლოგიაში გადადის. მხატვრული შემოქმედების ენის განსხვავება სინამდვილის ენისაგან მხოლოდ მაშინ ხდება საცნაური, როცა საკუთრივ მარტო ენას კი არ ვაკვირდებით, არამედ მის მიღმაც ვინტერესდებით. ამგვარად გამოვლენილი სტრუქტურული გვიჩვენებს, თუ რა სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაშია მხატვრული შემოქმედება სინამდვილესთან მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ცნებათშეწყვილება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოგვიდგება მთელი თავისი ტოტალური მნიშვნელობით, თუკი იგი მიემართება არა მარტო მიმეტურ სახეობებს, არამედ ლირიკასაც მოიცავს, იმგვარად, რომ მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ფენომენოლოგია ერთურთს ხსნიან და გამოკვეთენ. ამით უკვე მინიშნებულია, რომ სწორედ შედარების მნიშვნელობის ის ნიუანსი, რომელსაც ეს მრავალმნიშვნელოვანი ცნებათშეწყვილება შეიცავს, ამ გამოკვლევითსათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ენაში გამოვლენილი „წარმოდგენა“, როგორც ჰეგელი ამბობს, „გონებისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა სიტყვიერი ხელოვნების ფარგლებს გარეთაც“, ამიტომ შემოქმედებითი ენის არა-შემოქმედებით „პროზაულ“ ენასთან განუწყვეტელი შედარება წარმოადგენს შემოთავაზებულ მეთოდურ საშუალებას მხატვრული შემოქმედების (როგორც მთლიანი ფენომენის) სტრუქტურის შესამუშავებლად.

II. „მე“-ს გამომხატველი ლოგიკური ცნებები

მხატვრული შემოქმედების ფარულ სტრუქტურაში შეღწევა გვსურს სამი მაგალითის მეშვეობით წარმოვადგინოთ:

მაგალითი 1:

DIE Luff gong durch die Felder,  
Die Ahren wogten sacht,  
Es rauschten leis die Wälder,  
So sternblar war die Nacht.



სიომ დაუარა მინდვრებს,  
თავთავეები ნაზად ირწეოდნენ,  
ტყეები ჩუმად შრიალებდნენ,  
ღამე ვარსკვლავებით იყო განათებული.

**მაგალითი II.**—ათი ზანზალაკის წკარუნნი მიაცილებდა მარხილს ცაცხვების გრძელ ხეივანში — მან გადაუხვია და გამოჩნდა სასახლის მოედანი, პატარა ფლიგელებით გარშემორტყმული. იქ კი, სადაც თოვლიანი მოედნიდან ძლივს ძლივობით აღმოჩნდა ტერასისაკენ მიმავალი ოთხი საფეხური, და სადაც ეს ტერასა, ლარნაკებით შემკული მესერიტ გარშემოვლებულ სასახლის მოახლოებას ამცნობდა მიმსვლელს, არაფერი იყო, არაფერი, გარდა რამდენიმე დათოვლილი ბუჩქისა და ცის — მოქუფრული, მთრთოლვარე ცისა, რომლის ბინდიდან თეთრი ფანტელები თოვდა.

**მაგალითი III:** შუადღის მზე დასცქეროდა შიშველ, კლდის ქიმებით შემოზღუდულ იულიუსის უღელტეხილს გრაუპიუნდენის მხარეში. მწველ, ვერტიკალურ სხივებზე მიფიცხებულ კედლებს აღმური ასდიოდა. დროდადრო, როცა საადრო ღრუბლის ბურთი ამოცურდებოდა და მთის წვერებს ჩაუვლიდა, მთის კედლები თითქოს კიდევ უფრო მჭიდროდ შემოიჯარებოდნენ ხოლმე და შემზარავად ავიწროვებდნენ გარემოს... მაღლა, მთებს შორის გაწოლილ ვიწროებში, საცალფეხო ბილიკის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი გადამტვრეული სვეტი იდგა, რომლებიც, ალბათ, ათას წელზე მეტია, უმკლავდებიან დრო-ჟამს.

ეს სამი მაგალითი უამრავთაგან ორი თვალსაზრისითაა შერჩეული: 1. სამივე აღწერს საგნობრივი სინამდვილის მონაკვეთს — პეიზაჟს. 2. არცერთ მათგანში არ არის თხრობა პირველ პირში. ეს არჩევანი დიდაქტიკური მიზნითაა განპირობებული: რაც უფრო მარტივია მაგალითების სტრუქტურა, მით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება ის პრობლემა, რომლის დემონსტრირებასაც ვახდენთ. მაგრამ მაგალითების სიმარტივე არ ნიშნავს, რომ ისინი ამ პრობლემის თვალსაზრისით განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენენ. ჩვენ დავინახ-

ავთ, რომ ისინი ყველა შესაძლებელი შემთხვევისათვის პარადიგმატულნი არიან.

ამ მაგალითებიდან მხოლოდ პირველი მეტყველებს უშუალოდ ენის (ან თუ უფრო ზოგადად ვიტყვი, ენობრივი გამოსატვის) სისტემაში ფარგულდგომის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. მეტრისა და გარიტმული ფორმის მეშვეობით მასში შევიცნობთ ლირიკულ ლექსს, ე. ი. პოეზიის სისტემას მივაკუთვნებთ: სახელდობრ, ეს ვახლავთ აიხენდორფის „მთვარიანი ღამის“ მეორე სტროფი. თუკი ახლა თავს ნებას მივცემთ, ჩვენი განსაკუთრებული მიზნისათვის ცოტა უბოდიშოდ მოვექცეთ ლექსის სტროფს და ზოგიერთი სიტყვის გადაადგილებით მეტრული და რიტმული ფორმა დავარღვიოთ, მაგალითად, ასე: სიომ მინდვრებს დაუარა, ნაზად ირწეოდნენ თავთავეები, ჩუმად შრიალებდნენ ტყეები, ღამე განათებული იყო ვარსკვლავებით — იგი ისეთივე მხატვრულ პროზაულ ნაწყვეტად გადაიქცევა, როგორც ორი დანარჩენი ტექსტი და პირიქით, ამ ტექსტების ავტორები სურვილისამებრ ადვილად მოახერხებდნენ მათ ლექსად გარდათქმას. მაგრამ მოცემული სახით ეს ტექსტები ლიტერატურის და ამდენად, ენობრივი სისტემის სრულიად სხვადასხვა სფეროებს მიეკუთვნებიან. დიახ, მათ შორის ის ზღვარიც კი ძევს, რომელიც მხატვრულ შემოქმედებას სინამდვილისაგან ჰყოფს.

ამგვარად, პირველი ტექსტი თავისი ორიგინალური ფორმით ლირიკას მიეკუთვნება, მეორე — ნაწყვეტია წერილიდან: რილკეს წერილიდან, რომელსაც იგი 1904 წლის 4 დეკემბერს შარლოტენლუნდიდან (კოპენჰაგენის მახლობლად) ლოუ ანდრეას — სალომეს სწერს და სადაც იგი აღწერს შვეციაში მარხილით მოგზაურობას. მესამე ტექსტი, რომელიც აქ მცირეოდენი შემოკლებითაა მოყვანილი, დასაწყისია ს. ფ. მაილერის რომანისა „იურგ იენანი“.

თუ ახლა მხედველობაში არ მივიღებთ ლექსის სტროფის გარეგნულ ფორმას, მეტრსა და რითმას, რის უფლებასაც მხა-



ტვრული შემოქმედების ლოგიკის კვლევის მიზანი გვაძლევს, დავინახავთ, რომ სამივე ტექსტი მსგავსი ლოგიკური სტრუქტურით ხასიათდება, ან, თუ უფრო ფრთხილად ვიტყვით, ასე გვეჩვენება. მაგრამ თუკი მათ განვიხილავთ ისე, როგორც აქ მოვიყვანეთ, დავინახავთ, რომ სამივე მსჯელობის ან გამონათქვამის ფორმას ავლენს. თუმცა ცნებები — მსჯელობა და გამონათქვამი — სულ მთლად იდენტურნი არ არიან, მაინც შეგვიძლია უკანასკნელი პირველის ნაცვლად გამოვიყენოთ. რადგან გამონათქვამის ცნებაში ორივე აზრობრივი მომენტი — მსჯელობა და (გრამატიკული) წინადადება მნიშვნელობის ერთეულადაა შერწყმული; ზიგვარტიც ხომ წინადადებას მსჯელობის აზრობრივი ნიშანს უწოდებს. და მსჯელობის პროცესს ასე განსაზღვრავს, რომ მე რაღაცას რაღაცაზე გამოვთქვამო. გამონათქვამის ცნება აქ და შემდეგში ნიშნავს: სუბიექტის გამონათქვამი ობიექტის, შესაბამისად საგნობრივი ვითარების შესახებ. ამრიგად, გამონათქვამს შეიძლება ჰქონდეს ობიექტური მტკიცებითი წინადადების ფორმა, რომელშიც გამომთქმელი სუბიექტი არ ჩნდება გრამატიკულ I პირში. ან იგი (სუბიექტი) შეიძლება გამოჩნდეს გამონათქვამში პირის — ან კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმით. წინადადებები, როგორცაა: თავთავები ნაზად ირწოდნენ (მაგალითად I), მარხილმა გადაუსერა (მაგალითი II), შუადღის მზე დასცქეროდა შიშველ უღელტეხილს (მაგალითი III) — ობიექტური გამონათქვამებია. ასეთი ფორმის წინადადება კი: მე ვხედავდი, როგორ ირწოდნენ თავთავები — სუბიექტური გამონათქვამია.

ობიექტური ფორმით წარმოდგება გამონათქვამი (გამონათქვამის სუბიექტისაგან მოწყვეტით), თუ სუბიექტურით (ე. ი. თავის ფორმაში შეიცავს მას) — გამონათქვამის სუბიექტი — მოლაპარაკე მე — ყოველთვის სახეზეა, იმისდა მიუხედავად, შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება განსაზღვრულ სუბიექტთან თუ არა. ამრი-

გად, ჩვენს სამ მაგალითს ობიექტური მტკიცებითი წინადადებების ფორმა აქვს. ორი მათგანი მხატვრული შემოქმედების სფეროს — ლირიკასა (I) და ეპოსს (III) მიეკუთვნება, ხოლო მაგალითი (II) — ნაწყვეტი რილკეს წერილად ითვლება. ან არა მხატვრულ შემოქმედებას სინამდვილეს, უფრო ზუსტად, ისტორიულ სინამდვილეს, რადგან წერილი ბიოგრაფიული, და ამდენად, ისტორიული დოკუმენტია, რომელიც რილკეს ბიოგრაფიისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ. და თუმცა ფორმის თვალსაზრისით სამივე მაგალითი მტკიცებითი წინადადებებისაგან შედგენილ ტექსტს წარმოადგენს, ან ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს, სუბიექტები, რომლებიც თითოეულ გამონათქვამში შედის, იმ კონტექსტის სახეობის მიხედვით უნდა აღვნიშნოთ, რომელშიც ეს გამონათქვამები დგას: გამონათქვამის სუბიექტი ლირიკულ ტექსტში — როგორც „ლირიკული მე“, წერილში — როგორც „ისტორიული მე“ და რომანის ფრაგმენტში — როგორც „ეპიკური მე“. ეს არის სამი ლოგიკური და ლინგვოთეორიული მე — ცნება, რომელთაგან ვითარდება მხატვრული შემოქმედება მთელი თავისი ტოტალურობით, მაგრამ ამავე დროს თავისი სხვადასხვაგვაროვანი სტრუქტურითაც, რაც სამი უანრით აღინიშნება (თუ ჯერჯერობით ისევ ტრადიციულად ვიტყვით).

ამისათვის რამდენიმე დამაზუსტებელი კომენტარია საჭირო. ნათელია, რომ ერთი მხრივ „მე“-ს გამომხატველ ამ ცნებათაგან მხოლოდ ორს გააჩნია მხატვრული ნაწარმოების შექმნის უნარი — ლირიკულსა და ეპიკურ მე-ს; მეორე მხრივ, დრამატული შემოქმედება ამ თვალსაზრისით ჯერ არ დაგვიხასიათებია. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იგი, როგორც ლოგიკური სტრუქტურა, ეპიკურ სტრუქტურაშია შეყურსული და მხოლოდ აქედან შეუძლია განვითარება; რადგან დრამატული მე, როგორც ასეთი, არ არსებობს. ისტორიული მე-ს დაკავშირება მხატვრული შემოქმედების თეორიასთან იმითაა განპირობებული,



რომ იგი შემეცნების იარაღად გვემსახურება, როგორც *tercium comparationis* და გადამწყვეტი მეთოდური მნიშვნელობა და ფუნქცია ენიჭება იმ მიმართებათა გასაშუქებლად, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს: ეს არის შედარების იარაღი, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება, როგორც კვლევის მეთოდი. ტერმინ „ისტორიულ მე“-სთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნება „ისტორიული“ „მე — ცნების“ უფრო ვიწრო, მისი მნიშვნელობის ის ნაწილია, რომელზეც შემდგომში მოგვიხდება მუშაობა. აქ ჩვენ ცნება ჯერჯერობით მაგალითს მივუსადაგეთ, რილკეს წერილის ისტორიულ დოკუმენტს, რაც მომდევნო თავში ეპიკური (და დრამატული) შემოქმედების სტრუქტურის ანალიზისათვის დაგვჭირდება. ლირიკის ანალიზისა და განსაზღვრისათვის საჭირო იქნება ისტორიული მე-ს ცნების განვრცობა. „ეპიკური მე“-ს ცნებას კი უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მოსამზადებელ მონაკვეთში ეს ტერმინი ჩვეულებრივ ტერმინოლოგიას შევუფარდეთ. მისი ანალიზი შესაბამისად, ამ ტერმინით აღნიშნული ფენომენის ანალიზი, დაგვანახვებს, რომ ჩვეული ტერმინი თხრობითი შემოქმედების ლოგიკურად მცდარი გაგების შედეგია და სხვა ტერმინით უნდა შეიცვალოს.

ამრიგად, ამ მონაკვეთს მოსამზადებელი, ერთგვარი წინათქმის როლი ეკისრება. აქ მხოლოდ ესკიზურადაა მოხაზული ის პრობლემა, რომლის ძირფესვიანად შესწავლა ამ წიგნის მიზანს შეადგენს; გამონათქვამის ასევე წინასწარი განსაზღვრა კი იმ მიმართულებას იძლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავმიჯნოთ მხატვრული შემოქმედების სტრუქტურა საზოგადოებრივისა, და ამდენად, აზროვნების სისტემის სტრუქტურისაგან. ისე რომ, ეს მონაკვეთი ნიშნავს *cum grano salis*, უპირველეს ყოვლისა, ჰეგელის წინადადების შემდგომ განვითარებას, წინადადებისა, რომელიც ფრთხილად ამუქებს მხატვრული შემოქმედების ძნელად დასადგენ ადგილს. მაგრამ სწორედ თავისი სიფრთხილით მიგვითითებს იმ მიმართულებას, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მთელი სიზუსტით ეს ადგილი მისი სიძნელის მიუხედავად. რადგან თუკი სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება მართლაც ის სახეობაა ხელოვნებისა, რომლის მიჯნაზეც ხელოვნებას გაუჩინარების საფრთხე ემუქრება, კერძოდ, „მეცნიერული აზროვნების პროზაში გადასვლის“ საფრთხე, იგი მაინც მოიცავს თავის თავში იმ ელემენტებს (რაც ჰეგელს არ გაუცნობიერებია), რომლებიც ამ საფრთხეს ებრძვიან.

